პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნათობი

19851

№ 3 (23)

წელიწადი მესამე.

ყოველთვიური სამხატვრო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

მ ა რ ტ ი

ტფილისი. 1926 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს პოლიტ-განათლების მთავარ-მართველობა.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ ტრესტის მე-3 სტამბა.

შეკვეთა № 1303 მთავლიტი 423. ტირაჟი 3.000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო

რ უ ს ე თ ი

დასავლეთი

მიხეილ ჯავახიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არსენა მარაგდელი

რომანის ნაწყვეტი

ღმერთმა მოგცეს განათლება,
ოძელა'შვილო არსენა.

მესტვირული.

— ფუჰ, შეგარცხვინოს ჩემმა გამჩენმა!—ბრაზით წამოიძახა დიდმა ხაალმა და ზურგი შეაქცია ნარგიზების მოედანს, სადაც ორბელიანის ახალმა ფალავანმა—გიორგი კუჭატელმა, ის იყო ხაალს მესამე მოჰიდავე შოლტის ტყავივით გაუჭიმა თვალ წინ.

ხაალის რისხვა ველარავინ გაიგო. წაიქცა თუ არა მეშთა ცხოვრებაშვილი—ხაალის მეჯინიბე ოსი, ათასმა კაცმა იხუვლა და, გმინვა-ყიჟინით, აფურთხნილ ხღვასავით შეჰკრა პირი საჭიდაო ასპარეზზე.

როგორ! ვილაც მოთრეულმა კუჭატელმა უნდა შეარცხვინოს მარაბდელებიც?! მეცხვარე კახელმა უნდა დაიბრიყვოს კოდელები და კუმისელები?! ვილაც უთვისტომომ უნდა დასჯაბნოს ბირთვისელი, ბორბალოელი და ერტისელი ბიჭები?! მაშ იაღლუჯელმა ელიზბარ ორბელიანმა საქვეყნოდ თავი უნდა მოსჭრას დიდს ბატონს ხაალ გოსტაშაბ-ბარათაშვილს?! არა, ასეთს აუგს ხაალის ყმები ვერ მოითმენენ! ეყოთ ამდენი სირცხვილი! ეყოთ ათი თავმომწონე ბიჭის გალახვა!

— მიდი! დაჰკა!

ჰაერი რისხვის გრგვინვამ შესძრა და დიდი ბოედანი ტყესავით აღმართულ კომბლებით და მარგილებით გაიჭედა.

— ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და შენი ჭიდაობაც!—ერთხელ კიდევ მიუბრუნდა აღელვებულ ხღვას გულფიცხი ხაალი და ისე მოიქნია ჰაერში ძვირფასი ქვერთხი და შავ-ლურჯი ყურთმაჯა, თითქო ვინმე უჩინარს თვისი რისხვა და საყვედური პირსახეში მიახალაო.

მეფე ერეკლეს ნამდივნევი და ნასარდლარი, ხოლო დღევანდელი მდივანბეგი, მსაჯული და დიდი ბატონი საზეიმოდ არის გამოწყობილი. ამოდენა ხალხს, თავის პატარა სამეფოს უბრალოდ ვერ დაენახვება: შავი მაუდის კაბა, ლურჯი აბრეშუმის სარჩული, ფარჩის თეთრი გულისპირი, მაღალი ბოხოხის

ქუდი, ცხვირიანი ჩექმები და ოქროთი და ძვლით მოჭედილი ხმალ-ხანჯალი, რომელიც ათასი წლის ტვირთით იყო შეცრეცილი.

მეფეთა და მთავარმართებელთა ჯილდოები და სამხრეებზედ ჰქონდა ასხმული. მაუდი თავადმა ვასილჩიკოვმა მოუტანა პეტერბურგიდამ; დიდი ლალის ბეჭედი ერეკლე მეფის ნაჩუქარი იყო; ოქროთი და სპილოს ძვლით შეჭედილი კვერთხი, რომელიც ეხლაც არქიელივით დაჰქონდა, იმპერატორმა პავლემ გამოუგზავნა თავისი დესპანის კოვალენსკის ხელით.

არც ერთი მთავარმართებელი არ იყო, რომ ზაალის გულზე, ვითარცა კანკელზე, ჯვარი ან ვარსკვლავი არ ჩამოეკიდნა: კნორინგმა, ციციანოვმა, გუდოვიჩმა, ტორმასოვმა, პაულიჩიმ და ერმოლოვმა,—ყველამ მიუძღვნა ღირსეული დიდი ზაალის მკერდს, რომლის ქვეშ ერთგული გული ჰფეთქავდა ახალი ტახტისა და სამშობლოსადმი.

ნაწყენმა ბატონმა ერთხელ კიდევ შეანჯღრია ჰაერში მრისხანე კვერთხი, მერმე ისევ მობრუნდა, პირახდილ კარავის წინ შესდგა და თავისიანებს შესჩივლა:

— ვეჲო, გაგიგონიათ ამისთანა ამბავი?! სტუმარი მოგივიდეს, ვიღაც ოხერტიელი მოათრიოს და ყველა დარჩეული ბიჭები გაგილახოს! გაგიგიათ მეთქი ამისთანა ამბავი?!

მისი სძალი კნეინა ტასო არც ნაწყენი იყო, არც გახარებული, მაგრამ ზაალის გაფიცხება უფრო აფიქრებდა, ვიდრე მარაბდელი და ბირთვისელი ფალავნების შერცხვენა.

თვითონ კნეინა ჩოლოყაანთ გვარისა იყო, ამიტომ იმის გულში კახელი ბიჭის გამარჯვებამ ზაალის ყმების დამარცხება ადვილად მოინელა.

— კნიაზ ელიზბარს და თქვენს შვილს მიეშველეთ, თორემ აწყენინებენ რასმეს.—ურჩია კნეინა ტასომ თავის მამამთილს და კარვის წინ ჩამოჯდა.

— არა, გაგიგიათ მართლა ამისთანა ამბავი?! ელიზბარი სტუმრად მოვიდეს, ვიღაც კახელი ბიჭი მოიყვანოს და იმ ოხერ-ტიალმა...

— მამა, მოაშორე ის ხალხი კნიაზ ელიზბარს, თორემ შეგარცხვენენ.— მოაგონა მამას კნეინა მარიამ ქობულაშვილის მეუღლემ და ზაალს თვალი უყო კნეინა ეფემიაზე, მელიტონ ბარათაშვილის მეუღლეზე, რომელიც ელიზბარს ნათესავად მიუდგებოდა.

ზაალმა ენაზე იკბინა, თეთრი და თხელი ულვაშები ჰროლა თვალებისკენ აიგრიხა და სამივე კნეინა დაამშვიდა:

ნუ შეშინდებიან კნეინები, ხელს ვერავინ ახლებს მდივანბეგის—დიდი ზაალის სტუმარს და იმის ფალავანს. ზაალის შვილს დავითს დავალებული აქვს ჭიდაობის წესრიგისა და სტუმრის დაცვა. მას ჰყავს ასიოდე იასაული, ზედამდეგი, მოურავი, მოჯამაგირე, ქეთხუდა, ჩაფარი და გზირი.

აგერ, ყველანი ისე ამუშავებენ კომბლებს, კეტებსა და მათრახებს, თითქო მტრის ბანაკში იყვნენ შეჭრილნიო. ისმის ყაპა-ყუპი, შხუილი და კივილყივილი. თათრები და იასაულები ცხენებს დააჭროლებენ და გულმოსულ გლე-

ხებს დამფრთხალ ცხვრის ფარასავით მიერეკებიან. დავით ბარათაშვილისა და ელიზბარ ორბელიანის ხმლები ელვასავით ლაპლაპებენ.

ბოლოს, აყაყანებული გლეხები გაიფანტნენ და მოედანს სრულიად მკალივით შემოერტყნენ. თვითეულმა სოფელმა კელავ თავისი ბაირაღის ქვეშ მოიყარა თავი. მოედანზე დარჩნენ მხოლოდ ცხენოსანი ჩაფრები, რომელნიც უმიზეზოდ დაჰქროდნენ, ქვეითი გზირები და მოურავები, რომელნიც უაზროდ დარბოდნენ, და ზაალ ბარათაშვილის დიდი კარავი,—წითელი არშიებით და კუნწუბოებით შემოვლებული თეთრი საჩრდილობელი, რომლის თავზე მარტის ნიავი ბარათაანთ საგვარეულო დროშას—ვიღაც კუჭატელის მიერ იმ დღეს შერცხვენილ ალამს—მხიარულად აფრიალებდა.

არა, დიდი ზაალი ვერ მოინელებს ათას ბრძოლაში ნაწრთობი დროშის შეგინებას და ლიპარიტ ორბელიანის მემკვიდრის გაძარჯვებას! მაღლობა უფალსა, რომ ზაალის წინაპრები დროზედ ჩამოეცალნენ მეფისა და ქვეყნის მოღალატე ლიპარიტის ტოტს და ახალი გვარი დაირქვეს.

ელიზბარს კი ისე მოაქვს თავი, თითქოს ორბელიანთა გვარი საქართველოს დედა-ბოძი ყოფილიყო, ბარათაანთ კი „ბევრი არაფერი გაუკეთებიათო“.

ელიზბარმა თავის ნათესავი დავით ყაფლანაშვილი—ორბელიანიც გაიხსენა. დავითი დიდი სარდალია. მეფე ერეკლეს სახლთუხუცესად და მსაჯულთა მსაჯულადაც იყო. რაც მართალია, მართალია! მაგრამ არც ზაალია ნაკლები!

სადაც დავითმა გამოიჩინა მეფისა და მამულის ერთგულება, ზაალიც გვერდით ედგა. გიორგი ქსნის ერისთავმა ქვეყანას რომ ღალატა, ზაალმა უმალ ჩაუყვანა ერეკლეს სამი ათასი მებრძოლი და ქსნის ხეობაში ცეცხლი და რკინა შეიტანა.

ისიც მართალია: მიქელა არღუთაშვილმა დურნუკთან და ყალაჩთან ერთად დაამარცხა დავითიც და ზაალიც და ორივეს სამფლობელონი აიკლო და გაანიავა. სამაგიეროდ ზაალმა ერთი-ორად გადაუხადა: დავით ბატონიშვილს ყარსისკენ გაჰყვა და ბრძოლის ბედი გადასწყვიტა.

მაშინ იყო, რომ ზაალმა ახტალის და ახპატის დიდი მამული ჩამოართვა მიქელა არღუთაშვილს. სამაგიეროდ მან დიდი განძი დაუბრუნა სამეფოს: ხოჯორნის გზით და დებედას ხეობით ლორს შეესია და სამ დღეში ხელთ იგდო ახტალის, შამბლულისა და ალავერდის—სპილენძის და ვერცხლის მადნები. მერმე ადვილად აიღო სანაინი, უზუნლარი და ზურგში მოექცა მტერს, რომელმაც ამის გამო დუმანისის ხეობა დასტოვა და ლორის განთქმულ ციხეშიც კი ვერ გამაგრდა.

ტოტლებენმა რომ ასპინძასთან ივერაგა, ზაალმა მეფე გაამხნევა და სახელოვანი ომი მოაგებინა.

წუნკალმა აღა-მაჰმადმა, სანამ ქალაქს მიადგებოდა, მარაბდა დასწვა, ქოტისი დაანგრია და ზაალის მამული მიწასთან გაასწორა. დავით სარდალის მამული კი თითქმის უვნებლად შეინახა.

ამას წინათ დიდი დავითი და დიდი ზაალი ორ საათს ანგარიშობდნენ

წაგებულ და მოგებულ ომებს. მართალია, ორივემ სამოც-სამოცი ბრძოლა მოიხადეს. მაგრამ მოგებული ბრძოლების დათვლაში ერთმანერთს დაეტაკნენ. დავითმა დურნუკის ბრძოლის წაგება ზაალს მიაწერა, [illegible] [illegible] კი თვითონ დაიჩემა.

ახირებული კაცია დავითი! დიდი სარდალია, მაგრამ შურიანი ადამიანია!

ზაალს ისე არ სწყენია მარაბდის აკლება, როგორც ეხლა ეწყინა მარაბდელების წაქცევა ელიზბარის ფალავანისგან. არა, რა სათქმელი იყო, ელიზბარმა რომ იკადრა: „ბარათაანთ იმდენი არაფერი გაუკეთებიათო!“ სწორედ ეს სიტყვები იხმარა გუშინ ზაალის სახლში ელიზბარმა.

არა, მშვიდმა და თავაზიანმა კნეინა ეფემიამაც რომ კვერი დაუკრა ელიზბარს! იმასაც ორბელიანის სისხლმა უყივლა ძარღვებში! თავის ქმარს მელიტონ ბარათაშვილსაც აღარ მოერიდა.

ღმერთმა უშველოს მელიტონს! ზაალს აღარ დააცადა და თოფის წამალივით აფეთქდა. ორივემ კინაღამ იარაღზე გაიკრეს ხელი. ნასწავლი კაცია მელიტონი. ისე დააყარა პასუხი, რომ მისი სიტყვა ზაალის დარბაზში დამბაჩასავით სჭექდა. ელიზბარს ძაან ეწყინა. კნეინა ეფემია გატერინდა.

„მალადეც, მელიტონ, მალადეც! ტყვილად კი არ მისცეს რუსებმა თარჯიმანობა და წითელი ჯვარი!“

— ესეც ბედია, რაღა! არა, რაღა ეხლა მოუნდა იმ უსინიდისო არსენას ცხვარში წასვლა!—რისხვით მიუბრუნდა ზაალი თავის მოურავს.

— ალბად მოასწრებს ჩამოსვლას, დიდო ბატონო.—დაამშვიდა ზაალი მოურავმა და პატარა ბიჭს მიუბრუნდა:—შენ ჰეი, პატარავ, ნარგიზებში აირბინე, ჭანდარზე აცოცდი და ქვეით გაიხედე, არსენა ხომ არ მოდის?

— მაგან რა იცის ჭანდარზე ასვლისა! მე ავალ, მე!—წამოიძახა მიწიდან ამომძვრალმა მეორე ბალღმა და ხუთიოდე ნახტომით გლეხის ბიჭს წინ მოექცა.

— უი მე, დამიდგა თვალები!—წამოიძახა კნეინა ეფემიამ.—ტატე, შვილო ტატე! დაბრუნდი, დაბრუნდი მეთქი! კნიაზ ზაალ, დაადევნე ვინმე, თორემ მელიტონი ამიკლებს.

ერთი გლეხი ძუნძულით გაჰყვა, მაგრამ პატარა თეთრი ჩოხა ფრიალით მოეფარა კოდელების ბანაკს.

— ჩამოვარდება!.. მოიტეხს რასმეს!..—შფოთავდა მელიტონ ბარათაშვილის მეუღლე.

მაგრამ ზაალს ეფემიასთვის არა სცალიან. არსენას ელის დიდი ბატონი. მარტო ოძელაშვილ არსენას შეუძლიან აღადგინოს მისი შებღალული სახელი.

* * *

ელიზბარ ორბელიანი ზაალთან ყველიერის გასატარებლად ამოვიდა გიაურ-არხიდან და ორი კახელი ამოიყვანა: ვინმე ფარსადან ბოდბისხეველი და გიორგი კუჭატელი.

თურმე ორივე მეცხვარეები ყოფილიყვნენ და თავიანთი ცხვარი იმ ზამ-

თარს შირაქის მაგიერად ელიზბარის მამულში—ქვემო ბოლნისში დაებინავებინათ.

მთელმა ქვეყანამ იცის ელიზბარის სენი: სადაც დოლ-დუდუკობა, ჯირითი ან ჭიდაობა, ელიზბარიც იქ უნდა დაჰკრჰოს. დღეს [illegible] იყოს, ხვალ ალავერდობა, ზეგ ბოლნისობა და მაზეგ გელათობა, არც ერთს არ დააკლდება.

აქაც ისე მოიქცა. ორივე მეცხვარე გაიყოლა, ზაალის შვილი დავითიც აიდევნა, ბერიკებს გაუძღვა და სამ დღეში შვიდიოდე სოფელი ჩამოიარა. თვითონ ელიზბარიც გატაცებით ბერიკაობდა. ხან ლორის თავს წამოიცვამდა პირსახეზე, ხან საცეცხლურს იქნევდა, ხან მესტვირობდა, ხან მეფობდა, ხან კიდევ დედოფლობდა და ქალური წრიპინით გლეხებს სიცილით ხოცავდა. რაც იმ სოფლებში თავმომწონე ბიჭები იყვნენ, ყველანი გიორგი კუჭატელს გაალახვინა.

ყეინობაც ელიზბარმა მოაწყო. ვიღაც ჩანჩუროვან გლეხს წითლად შეღებილი ძუა მიაკრა ნიკაპზე, თავპირიც ხინით შეუღება, თავზე წოწოლა ქუდი ჩამოაფხატა, ზაალის მამა-პაპეული სპარსული ხალათი ჩააცვა, პირში ორადლიანი ჩიბუხი მისცა, ხელში ბატის ფრთა ჩასჩარა, ჯიბეში სიმინდი ჩაუყარა, ვირზე უკულმა შესვა და სოფლის დასავლელად წაიყვანა. ყეენს გვერდით ნაზირ-ვეზირები მისდევდნენ, ისინიც მასხრულად ჩაცმულნი და ხინით, კირით და ნახშირით მოთხუპნილნი.

დიდ ვეზირს გალესილ ჭვარტლით სავსე ჯამი ეჭირა. როცა ვინმეს მიადგებოდნენ, ყეენი იმ საველნეში ბატის ფრთას ჩააწობდა, ქაღალდის ნაგლეჯზე ფირმანს დასწერდა და გლეხს შეუგზავნიდა. გლეხიც შენაწერ სანოვაგეს ჩამოიტანდა და ყეენისგან ერთ ოქროს—სიმინდის ერთ მარცვალს მიიღებდა.

ასე ჩამოიარეს მთელი სოფელი,—სიცილ-ხარხარით, ჟრიამულით და ყიჟინით. ბოლოს ზაალის სასახლესაც მიადგნენ. ყეენმა დიდ ბატონს ელიზბარის დაწერილი ფირმანი აუგზავნა: ხუთი ჩაფი ღვინო, ხუთი ხელადა არაყი, ხუთი ჩანახი ლობიო, ორი ჩანახი ბრინჯი, სამი ცხვარი, ერთი ლიტრა მარილი და ორმოცი შოთი. ზაალმა არ იწყინა. მოურავს შესაფერი ბრძანება მისცა და შენაწერს ერთი ბებერი ძროხაც მიაყოლა.

ეხლა შენავროვი იხარშება. მართალია, დიდი მარხვა დადგა, მაგრამ წინაპართა წესიც არის: ორშაბათი ნამცეცობის დღეა და მარხვის გატეხვას ცოდვების სიიდან ანგელოზები ამოჰშლიანო. ჭიდაობა რომ გათავდება, არიფანა დაიწყება და მთელი სოფელი იქეიფებს. რა თქმა უნდა, თამადად ელიზბარი დადგება.

აგერ, ეხლაც გლეხებში ტრიალებს. მეტის-მეტად გაუყადრა თავი გლეხობას. ელიზბარმა თავის ყმებსაც ლაგამი მიუშვა და ზაალის ყმებიც გაათამამა. არა, იმ ოხერ არსენასაც რაღა ეხლა მოუნდა ცხვარში წასვლა ილლუჯის საძოვრებზე!

— არსენა თუ მოერევა მაგ ბიჭს, თორემ მაგის მძლევი აქ არავინ არის.— ამბობდა მოურავი.

— ჰაი ჰაი, რომ არავინ არის!—კვერს უკრავს გზირიც.—არსენას კი ერთ ლუკმად ძლივს ეყოფა.

— ვითომ? მართლა წააქცევს?—იმედს ეძებს ზაალი.

— რა სათქმელია, დიდო ბატონო!—აღარ აცლიან ერთმანეთს გზირები და მოურავები.—იმისი მძლევი ბიჭი ქალაქშიც არ მოიძებნება.

— ბერი კაცები ანბობენ, არსენას მარტო გიორგი მჭედელი დეეტოლებოდაო.

— ვინ მჭედელი? ვინ არის, სადაურია?—კითხულობდა მოურავი.

— ქალაქელი ყოფილა. ვილაც მჭედელს ამირანიძეს ამბობენ. მომკვდარა თურმე. ბარემ ათასი კაცი წაუქცევია. თითონ კი ერთხელაც არ დაუკრავს ბექები მიწაზე.

— ამას წინათ აღზევნიდან მომავალი ურემი ჩაფლულა ტალახში. მარილით ყოფილა სავსე. ყველარი ხარი მიაშველეს და ვერაფერს გაუხდნენ. არსენამ თურმე პირჯვარი დაიწერა და ი ურემი ისე აიგდო ბექებზე, როგორც ბუმბული.

— ამ ერთი კვირის წინათ მარნეულში ერთი მოზვერი გაგიჟდა. ხუთი კაცი გააფუჭა თურმე. ისე დაფთხა სოფელი, რომ გარეთ გამოსვლაც ვეღარავინ გაჰბედა. ი მოზვერს არსენა წააწყდა. ეცნენ ერთმანეთს. არსენამ თურმე მოასწრო და ხელები რქებში ჩასჭიდა, ჩასჭიდა და დაითრია. ისე მოსწია და ჩაბლუჯა, რომ კისრის ძვლები მოუმტვრია და ძარღვები დასწყვიტა. მოზვერი წაიქცა და იქვე გათავდა.

— რა ბიჭია, ვენაცვალე იმის გამჩენსა!

— მამა ნახე, დედაც ნახე, შვილი ისე გამონახეო, ისეთი კაცია იასე, და ცოლიც ისეთი შეხვდა—ი მელანა—რომ სხვანაირი შვილი ვერც ჩამოუვიდოდათ.

— მაგაზეა ნათქომი: დედაც მაგას ჰყოლია და ძუძუც მაგისთვის უწოვებიაო.

— რომ იტყვიან, რკინას ღეჭავს, რკინას!

— მერე რა გული აქვს! ბალღია, ბალღი! ტყუილ უბრალოდ ჭიასაც არ დაადგამს ფეხს.

— რა მართალი კაცია! ისე სჭრის სამართალს, როგორც სამართებელი. კარგი, კმარა! იცის ზაალმა ეს ამბები, იცის! ათასჯერ გაუგონია და თვალითაც უნახავს. იცნობს მდიავნბეგი არსენას! აკი არც იშორებდა გვერდიდან, მაგრამ, ბოლოს, მაინც მოიშორა. აბეზარი და გულზვიადი ბიჭია ოძელაშვილი. გათამამდა, მეტის მეტად გათამამდა! გარდა ამისა...

ზაალმა კარავისკენ მიიხედა და კარებში ქალის თავს მოჰკრა თვალი. არსენა რომ ახსენეს, კნეინა ტასოს მოახლემ—მარინემ ყურები სცქვიტა, კარავიდან ცისფერი და დიდრონი თვალები ორი სანთელივით გამოანათა და ისე მიუგდო ბატონ-ყმების საუბარს გალესილი ყური და აფართხალებული გული, თითქო ზაალისგან თავისთვის სიკვდილ-სიცოცხლის განაჩენს ელოდებოდაო. და, განაჩენის მაგიერ, ოთხი ბატონის თვალებს რომ წააწყდა, ანაზდათ კარავის კალთა ჩამოუშვა და მიიმალა.

მელიტონი, ელიზბარი და დავითიც კარავთან მისულიყვნენ და მარინეს ისე შესცქეროდნენ, როგორც უნახავ ჯადოსანს.

არც მაიორს ვასილ პეტროვიჩს დაეგვიანა. ისიც მოგორგბულიყო, ხის ხალდათივით გაჩაჩხულიყო, დოინჯი შემოეყარნა და წყლის ფერი პაწაწა თვალები ბასილასავით დაეჭყიტნა. თითონაც ზიზილ-პიპილაებით ჭრელებულ ბასილას ჰგავდა: ცომის თავ-პირი გაბერილ გოგრას მაგვანებდა, ხის აყირო თავზე წითელი თმა და წვერ-ულვაში გაცვეთილ ჭილობივით ეყარა. ხოლო თხილის ოდენა ცხვირი,—აბზეკილი და წითელ-ლურჯი ცხვირი ისე ობლად გამოიყურებოდა, თითქო გასხმარ ლელიანში დამჭკნარი ვაშლი მოსჩანსო.

მაიორი ზაალის ხშირი სტუმარი იყო. არსენამ ბასილა დაარქვა, და ეს სიხელი დიდ მოხელეს ადვილად მიეკერა და შერჩა.

კნეინებმაც კარავისკენ მიიხედეს. მარინე ვერ დაინახეს, მაგრამ მამაკაცთა გულის ზრახვას უმალვე მიუხვდნენ.

— „ესეც... ისიც... ბასილაც,—გაიფიქრეს გულში კნეინებმა,—ისეთი რა აქვს ამ ფშაველს, რომ მამაკაცები ბუზებივით ეხვევიან?.. ალარც ჩვენ გვერიდებიან, არც გვარიშვილობას დასდევენ და ზრდილობაც მიივიწყეს.“

ბატონებმა კარავს თვალები მოსწყვიტეს და ისევ ჭიდაობაზე ახმაურდნენ. მერმე ბასილა გაიხსენეს და რუსი სტუმრის რიდით რუსული აჯიჯგნეს:

— მაია გიორგი კუპატელი დესიტ ჩელოვეკა ნა ზემლუ პალატილა.— დაამტვრია ელიზბარმა.

— ნა ზემლუ პალატილა კი არა, ნა ზემლი პალატილსა.—გაუსწორა ზაალის შვილმა დავითმა.

მელიტონმა და ეფემიამ ჩაიცინეს, რადგან მხოლოდ იმათ იცოდნენ ხეირიანი რუსული.

— მოი ფალავანუ სამი პერვუ, მოი!—არ უთმობდა ელიზბარი.

— თავის ქება კიტრადა ღირს—მიუგდო ელიზბარს დავითმა და ბასილას მიუბრუნდა:—ჩიჩას მაია არსენუ პრიეხალუ. ტადა პასმატრელუ. ბიჭო, ის ჩემი ცოდვით სავსე არსენა არ გამოჩნდა ჯერაც?

მოურავმა სამი პატარა ბიჭი კიდევ გაჰყანტა ჭანდარზე ასასვლელად.

სანამ დიდები დიდებზე ზრუნავდნენ, თვრამეტი წლის ერეკლე ბიჭმა, არსენას უმცროსმა ძმამ, ოციოდე წლის სამი მოჭიდავე ზედიზედ ნალოსავით დაითრია და პანტასავით დაჭყარა. მარაბდელებმა ოდნავ გული მოიფხანეს.

— ჯიშია, ჯიში! არსენას ძმაც არსენას ემგვანება, მაშა!

— ამასაც მელანოს ძუძუ აქვს ნაწოვნი, მაშა!

— გაიზარდე, ძმაო! გაიზარდე და არსენასავით ასახელე შენი ბატონი.— გაამხნევა ერეკლე ბიჭი ზაალმაც და საალერსოდ აშვერილი ხელით ძლივს ასწვდა ერეკლეს მხარს.

ქუდ-მოგლეჯილი პატარა ტატე შურდულივით შეევარდა მოლოდინით აფორიაქებულ თავადებში და დაიძახა:

— მოდის! მოდის! არსენა მოდის!

და იმავე წამს ორმა სიტყვამ ელვასავით დაუარა ხალხით სავსე ფორს:

— არსენა მოდის! არსენა მოდის!

ორიოდე ათასმა, როგორც ერთმა, მარაბდისკენ იბრუნა პირი. ასიოდე

ბალღმა და ჰაბუკმა მხიარული ყივილით მოჰკურცხლეს ქვეით, ლურჯა ბედაურისკენ, რომელიც მგლური ნაბიჯით მოაქანებდა დამარცხებულის უკანასკნელ იმედს—მარაბდელ ფალავანს, დიდი ზაალ ბარათაშვილის ყმას არსენა ოძელაშვილს. გახარებულმა ამხანაგებმა აქშინებული ცხენი და [illegible] მხედარი შუაში მოიქციეს, მერმე ისევ პირი იბრუნეს, ისევ გაქანებულ ჩორთით მომავალ ლურჯას დაედევნენ და თან ეძახდნენ:

— არსენას გაუმარჯოს!.. ბიჭო არსენ, სადა ხარ? . სად დაიკარგე, ბიჭო?.. ჰარიქა, გვიშველე, თორემ გაგვლახეს!

თავმოშვებული ცხენი მხედარს ისეთის მოურიდებლობით მოჰყავდა კარავისკენ, თითქოს იმის გარღვევას და ბატონების გატანას აპირებდაო.

ბატონ-ქალბატონები უკვე შეფუსფუსდნენ და გზა გასჭრეს. მხოლოდ ზაალი იდგა უნძრევლად და მომავალ მხედარს ღიმილით შესცქეროდა. უცებ იმანაც შეიკრა შუბლი. არსენამ თითქმის ზედ მიაგდო აქაფებული ბედაური.

მდივანბეგმა კვერთხი ასწია და ერთი მრისხანე სიტყვა გადმოაგდო:

— არსენ!—იმავ წამს ცხენი ბოძივით ჩეერჭო მიწაში.

ხოლო ასვეტილი არსენა უკვე ფეხდაფეხ მოდიოდა ზაალისკენ—ტანგაშლით, ლაღად და თამამად. სავსე კისერი ოდნავ მოიღრიკა და საერთო სალამში თავადური კილო ჩააქსოვა:

— ბატონებს ვახლავარ!

ზაალმა ბოლმა ძლივს ჩაიბრუნა. ისევ ის არსენა! ისევ თავხედი, კადნიერი, თამამი, მოურიდებელი და მოუდრეკი! ცხენი მხოლოდ ათ ნაბიჯზე შეაჩერა. ისე მიადგა ბატონს, როგორც თანასწორს. ეხლაც ისე შესცქერის ზაალს, როგორც ტოლი ტოლს. წამწამსაც არ ახამხამებს. იღიმება კიდევაც. ათიოდე სოფელი რკალივით შემოერტყა კარავს.

— რას მიბრძანებ, დიდო ბატონო?

— აქამდე სად იყავი?

— ცხვარს ვაბინავებდი, ბატონო.

— კინაღამ დაიგვიანე.

— არ დავიგვიანებდი, ბატონო. ცხენი კარგი მყავს და დროსაც კარგად ვატყობ.

— იცი, რისთვის დაგიბარე?

— ყეენობის დღეა. ალბად საჭიდაოდ დამიბარებდი.

მერე? ვის უნდა ეჭიდაოს არსენა? ვინ ,გადაურჩა განა ახლო-მახლოს წაუქცეველი?

— გიორგი კუჭატელს?

— რა იყო, ბიჭო, ხომ არ შეგეშინდა?

არსენას შეეშინდა?!—რა ბრძანებაა შიში, დიდო ბატონო!

— არსენა და შიში?—ჩაიცინა დავითმა.

სხვებსაც ღიმმა გადაჰკრა.

— შიში და არსენა ერთმანერთს არ იცნობენ.—ჩაურთო მელიტონმაც.

— არა, ბატონო, შიში რა სათქმელია!

მხოლოდ ეს არის, რომ არსენა გიორგი კუჭატელს ერიდება. მიზეზი? არაფერი, საიმისო არაფერი...

მაგრამ დღეს აღარ მოერიდება. რაკი გიორგიმ აქ მოსვლა იკადრა და ათიოდე ჩვენებური ბიჭი გააფუჭა, დეე მეთერთმეტეც არსენა იყოს!

— როგორ თუ მეთერთმეტე! რას ამბობ, ბიჭო! შენც რომ შემარცხვინო, ან გაგაციმბირებ, ან სალდათში გიკრავ თავსა!

— ნუ შეშინდი, დიდო ბატონო, სიტყვამ მოიტანა, თორემ... არსენას კვეხნა არ უყვარს. ვაჟკაცს ქადილი არ შეჰშვენის. მაინც... ვინ იცის... თქვენც მოგეხსენებათ, რომ მჯობის მჯობი არ დაილევა.

— მაგრამ, თუ კუჭატელი წააქციე, რაც გინდა მთხოვე,—ჰპირდება ზაალი.

— მართლა, ბატონო? მართლა?—და პირგაშუქებულმა არსენამ დავითსაც გადაჰხედა.

—ზაალის სიტყვა ბეჭედია.

— შენი ხმალი და ჩემი კისერი.—დაუდასტურა ზაალს შვილმაც.

არსენამ გაბრწყინებული, ხარის თვალები ზაალის ბოხოხს გადაავლო და კარვისკენ გაიხედა. გაიხედა და კარებში, მოღიმარე კნეინების თავსართავების უკან, ერთ წყვილ თვალებს წააწყდა,—დიდრონს, ცისფერს, ჟუჟუნას და მობიბინეს. დავითმა არსენას თვალებს თვისი თვალები გააყოლა და მარინე დაინახა. დავითის მეუღლის მოხლე ელდანაკრავივით ამოეფარა კარავის კალთას.

„ისევ!—გაიფიქრა არსენას ტოლმა ბატონმა და კუშტი აიკრა.—ისევ დაინახეს ერთმანეთი! მართლა, თუ არსენამ გაიმარჯვა, უეჭველად მარინეს თავს მომთხოვს. სახალხოდ დავპირდი ნათხოვნის ასრულებას. სიტყვას ვერ გავტეხავ. თუმცა... ითხოვოს, მარინე ჩემი ცოლის მზითევია. მე არ მეკუთვნის. მაინც ვეტყვი, მერე ვეტყვი.“

— აბა, არსენ, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ.

ბასილა-მაიორმა არსენა გაზომ-აწონა, მკლავები გაუსინჯა, განიერი მკერდი აუბაგუნა და, ხორცის ნაცვლად რკინას რომ წააწყდა, კნეინებს მიუბრუნდა:

— Нда-а... товось, я вам долож у у...

— აბა, არსენ, გაიხადე!

კეთილი და პატიოსანი! მაშ გიორგიმაც გაიხადოს. ჰეი, ერეკლე, ჩამოართვი არსენას სიათა თოფი... ხმალიც, დამბაჩაც და ხანჯალიც.

— შენ რა ჰქენ, ბიჭო ერეკლე?

— სამი წავაქციე.—მორცხვად უპასუხა უმცროსმა ძმამ.

— შეგერგოს მელანოს ძუძუ. ჩემი გაფუჭებისა ხომ არ გეშინიან, ბიჭო?

არა, ერეკლეს არ ეშინიან. მაგრამ არსენა მაინც ფრთხილად უნდა იყოს. ი ოხერი კუჭატელი ტყვიასავით წამოვა ხოლმე და...

— ვიცი, ვინც არის. მინახავს.

ძალიან კარგი მოჭიდავეა გიორგი მეცხვარე, მაგრამ ზეტის მეტად შუ-

რიანია. წუწკია, ანჩხლია, ძაღლივით ავი ადამიანია. არსენას ე კაცი თრიალეთზედაც უნახავს და დღეობებშიაც: ბოლნისში, თელეთში, სვეტიცხოვლობასაც და ალავერდობასაც. წაქცევას ვერ ინელებს. მცხეთაში გრთმა დუშელმა წააქცია. თრიალეთზე დაუხვდა, მეცხვარე თათრები მიუსია და ატეხინა. ბოდბეში ერთი თუში ჩაიგდო. იმ თუშს კუჭატელისთვის სადღაც ერთი მკვახე სიტყვა ეთქვა. კეტებით დაესივნენ და, საწყალი, კინაღამ მოჰკლეს. არსენას ნათლიმამამ ფარსადანმა,—აგერ იმან, ეხლაც რომ გარს ევლება თავის მოზიარე მეცხვარეს,—ძლივს გადააარჩინა ი ბიჭი.

მარტყოფში ერთმა საგურამოელმა კინაღამ აჯობა. ვერ მოისვენა კუჭატელმა, სანამ მეორედ არ დაეტაკა. ხერხით რომ ვერაფერი გაიტანა, ისე ვერაგულად მოიგდო და მოსწია იმისი მკლავი, რომ შუაზე გადაუტეხა. მოპირდაპირე იმისთვის მოსისხლე მტერი იყო, რომელსაც, ადრე თუ გვიან, ფათერაკს შეამთხვევდა. ანიტომ ერიდებოდა ოძელაშვილი ბოროტ მეცხვარეს და მოჰიდავეს. მაგრამ მაინც ვერ ასცდა. ბედმა ნარგიზების მინდორზე შეახვედრა.

დილას ზაალის გზირმა ბინებში უთხრა:

— მოვიდა თუ არა ი ოხერი, მაშინვე მარინეს დაადგა თვალი. ანბობენ, დიდ ფულს შეაძლევს ზაალსო.

არსენას წამოსვლა ეზარებოდა. საქმით იყო იაღლუჯაზე მიბმული. მაგრამ ამ სიტყვებს რომ მოჰკრა ყური, უმალ ლურჯას მოახტა და ისეთი ჩორთით წამოიყვანა, რომ გზირის ცხენი ჭენებითაც ვერ მოჰყვა და მალე ჩამორჩა.

ჰაი დედასა! გიორგი კუჭატელმა უნდა წაართვას ი გოგო არსენას?! მაშ არსენა ბიჭი აღარ არი? ღმერთმა დავით ბატონი, ელიზბარი და ბასილა მოაშორებინოს, თორემ კუჭატელისა არ ეშინიან არსენას.

— ოოჰ, ტატე, შენც აქა ხარ? გამარჯვებაა, პატარა ბატონო!

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, არსენ! იცი, რას გეტყვი: შენ რომ მოდიოდი, ყველაზე ადრე მე დაგინახე ჰანდრის, კენწეროდან.

— მართლა? ბიჭი ხარ, ბიჭი!

— იცოდე: თუ წაგაქციეს, ჩვენი მეგობრობაც გათავდა.

— ეგრე იყოს, ტატო, ეგრე! დღეს შენს ბედზე ვჭიდაობ. დამლოცე, გენაცვალოს არსენა, დამლოცე!

პაწაწა მეგობარი მხარზე აიტაცა და კარავს მოეფარა.

— გენაცვალეთ, რატომ არ არის ვითომ ეს ბიჭი კეთილშობილი?—სთქვა ერთმა კნეინამ.

— არც თვალი აკლია, არც ქცევა, არც სიტყვა-პასუხი.—დაუმატა მეორემ.

— ათასს თავადსა და აზნაურს შეჰშურდება მაგის ვაჟკაცობა.

— პატარა ბიჭიც არ არის თრიალეთსა და ბორჩალოში, რომ არსენას სახელი გაგონილი არ ჰქონდეს.

— ჰო, მაგრამ... აბეზარი კაცია.—უცებ მოიგონა კნეინა ტასომ.—მეტის-

მეტად გათამამდა და გლეხებიც გაათამამა. ყმის ქერქში ველარ ეტევა. არ ისვენებს. მუდამ შფოთავს და ყმებსაც ყალყზე აყენებს. მაგიტომ მოვიშორეთ კარიდან. ძალიან თავს გავიდა. ნახეთ, როგორ მოგვაგდო ცხენი?

— თავი ძლივს გაგვიყადრა. ისეთი სალამი მოგვცა, თითქოს ერმოლოვი მობრძანდაო.

— არა, გენაცვა,—გამოესარჩლა კნეინა ტასო,—არსენა უზრდელი კაცი არ არის, მაგრამ გლეხს მაგისთანა ზრდილობა მაინც არ შეჰმვენის. თამამია, თავს არ იხრის და ლაპარაკში ბატონს სულ თვალებში უყურებს.

— ნიძლავი, კნიაზ დავით!—მიაძახა ელიზბარმა მარაბდელ პატარა ბატონს და ხელი გაუშვირა.—შენი კანჭაკ მწევარი და ჩემი თაფლა ყარაბაღი.

— მოდის, კნიაზო!

და ხელი ხელს დაჰკრეს. ბასილაც ჩაერია ნიძლავში. მხარი კუჭატელს მისცა და ოქროს საათი მოიხსნა. დავითმა ნიძლავი მიიღო და ზურმუხტის დიდ ბეჭედს ჩამოვიდა, რომელიც ცერზე ჰქონდა გაკეთებული.

გზირებმა, მოურავებმა და თავადებმა ფორი ისე გასწიეს, რომ ცხენი ადვილად გაჭენდებოდა. სხვებზე მეტად ელიზბარი სცდილობდა, რადგან იმის ფალავანს გამოსაქცევი მანძილი სჭირდებოდა. მეზურნეებმა საჭიდაო ააჭყვიტინეს. მედოლემ სისხლის ასაფორიაქებელი ბაგა-ბუგი ასტეხა. ყველანი გაჩუმდნენ და გაინაბნენ.

არსენამ თვისი მკერდი—განიერი, თეთრი და ამოზნექილი—მოედანზე გადმოაგდო. გულამოჭრილი საჭიდაო ჩოხა უკან, ქამარში ჰქონდა აკრეფილი. ფეხებზე ლბილი, რუმბის ქალამნები ეცვა. მუხლებამდე აკრული თათრული შავი ტულაღები ისედაც სქელ წვივებს უფრო მეტად უსქელებდნენ.

მეორე მხრიდან ბუმბერაზი კუჭატელი მოსხლტა და ქორივით წამოვიდა. ყველას აოცებდა იმოდენა მდევის სიმკვირცხლე. არსენაზე ოდნავ დაბალი იყო, მაგრამ მეტად სრული, ჩატყვიებული და უკისრო. მისი ქორული წამოსვლა, რიხიანი შემოტევა, ფახი და ბექი უმალ აფრთხობდა და სჯაბნიდა მოპირდაპირეს.

შურდულივით მოდის კუჭატელი. წელში მოღუნული და თვალებ-ამღვრეული მოჰქრის გამარჯვებული მეცხვარე. მოჰქრის და გაშლილი მკლავები არწივის ფრთებივით მოაქვს.

„ვერა, გიორგი კუჭატელო, ვერა! იცის არსენა ბიჭმა შენი ხერხი, იცის! მაგით ვერ შემაშინებ და გზა-კვალს ვერ ამირევ.“

და არსენა-ბიჭი ისე დინჯად მიდის მომქროლის დასახვედრად, თითქოს იმ მანძილს არხეინად ზომავსო. ღიმილით მიდის, ამაყად მიაქვს ქოჩრიანი თავი და ჩაბუქებულ ქორულ თვალებს ისარივით უყრის კუჭატელის მღვრიე თვალებს.

„ხუთი ნახტომი-ღა დარჩა კუჭატელს—ითვლის არსენა...—ოთხი!.. სამი!.. ორი!.. ერთი!.. ღმერთო, მიშველე!“

უმალ მობრუნდა და წაიჩოქა. იმავ წამს კუჭატელის ფეხებმა არსენას ზურგზე გადაიელვეს. არსენა უკვე ფეხზე იდგა.

ყირამალა გადავარდნილი კუჭატელიც უმალ წამოვარდა.

ხალხის ჟრიამული და ყიჟინი სოფელ ბორბალოს მისწვდა.

ბრაზისა და შიშისგან აცახცახებული მეცხვარე თვალებს აკეცებდა. უკან იხევდა და გონებას იკრებდა. მაგრამ არსენამ ალარ დააცალა. ორი ნახტომით წამოეწია, ზურგი ჰკრა, კისრულით წამოიღო, ფეხები მარგილებივით ააშვერინა და სამ ნაბიჯზე გუდასავით გადააგდო. უმალ თვითონვე წამოაყენა, ტომარასავით დაჰბერტყა, მარჯვენა მკლავით იღლიაში შეუვარდა, გვერდი ჰკრა და ყირამალა წამოიღო. კუჭატელმა ორივე ფეხი ჰაერში გაასავსავა. ყიჟინამ ისევ შეარყია ჰაერი.

— მოდის, დავჯაბნე!—გულში დაიძახა არსენამ და მეცხვარეს მოსწყდა. მაგრამ იმავ წამს მარცხენა ხელი მხარზე დაჰკრა, მარცხენა ფეხი ლაჯებში გაუყარა, გადასწია და გადაზნიქა. წელში გადახრილი მოჰიდავე თვითონვე გაასწორა და აათამაშა. მერმე თავი კუჭატელის მხარს მიაბჯინა და ჩასჩურჩულა:

— გიორგი, ჩემ ხელში ხარ. არ შეგარცხვენ, ოღონდ დღესვე მოშორდი აქაურობას.

— მითომ რათაო? რითვინაო?

— შენც იცი. მაინც გეტყვი: ი ქალზე ხელი აიღე.

— მიჰქარავ! — მიაძახა კუჭატელმა და ერთბაშად ორივე ხელით იღლიებში შეუძვრა.

არსენამ ტანი დაიბერტყა და გამოსხლტა. მაგრამ იმავ წამს კუჭატელი ზურგში მოექცა, ისევ ორივე ხელით ჩაბღუჯა, ასწია და ფეხები ჰაერში აათამაშებინა. მერმე დაიქნია, მუხლებში მოსტეხა, დააწვა და თავისი ბუმბერაზი ტანით ბავშვივით დაჰფარა.

ათასმა გულმა დაიგმინა:

— ჰარიქა, არსენ, ჰარიქა!

— ვაი ჩვენ შერცხვენას!

— დავიღუპეთ, დავიღუპეთ!

გაშმაგებული ელიზბარი შიშველ ხმალს ელვასავით იქნევდა და გასაშველებად მოწოლილს არსენას მომხრეებს იგერებდა. ზაალის გზირ-მოურავები მოჰიდავეებისკენ მშიერ მგლებივით მიიწევდნენ. მელიტონ ბარათაშვილი ანჩხლობდა. მისი რუსული სერთუკის კალთები აქეთ-იქით დაჰქროდენ. ხოლო მუეჭარი ხმა ხალხის გრგვინვას ჰფარავდა:

— გააშველეთ! გააშველეთ!

და იმის ყვირილს ათასი ხმა იმეორებდა:

— წესი არ არის! წესი არ არის! გააშველეთ, გააშველეთ!

უცებ კუჭატელის კისერს ქვეიდან ორი ხელი უუზარმაზარ მარწუხივით შემოეხვია. ერთი წუთით ორივენი გაინაბნენ. მერმე კუჭატელმა ისე აიწია, თითქო იმის ქვეშ მიწა ამობურთდა და მეცხვარე გოლიათი ჰაერში აიტანაო. შემდეგ კუჭატელის ფეხები მიწას მოსწყდნენ და ჰაერში

ატლინკდნენ. ორად მოხრილმა არსენამ ზურგი აიბერტყა, ცოცხალი ტვირთი გუდასავით აიკიდა და კარავისკენ გააქცია.

— ბატონო, მიბრძანე, თავი საით ვუყო ამ მამაძაღლს, ამას? — შესძახა ზაალს, რომელიც კნეინების გვერდით იდგა და თხელ ულვაშს იწვალებდა.

ირგვლივ ქრიამულმა და ყიჟინამ იხეთქა:

— ქალაქისკენ, ქალაქისკენ! — ყვიროდნენ ერთნი.

— კახეთისკენ, კახეთისკენ! — იძახდენ მეორენი.

— მარაბდისკენ, მარაბდისკენ! — ბღაოდენ მესამენი.

ზაალმა ორი თითი კნეინა ტასოს ფეხებისკენ გაიშვირა. კუჭატელი დაჭერილ ლოქოსავით აფართხალდა. მერმე ფეხებით ჰაერში რკალი მოხაზა, მოჭრილ მორივით მიწაზე გაიშოტა და გრუზა თავი კნეინების ფეხებთან დაანარცხა.

— მომირთმევია! — ისე მიაძახა უმალ წამომხტარმა არსენამ ოდნავ თავდახრით კნეინებს, თითქო გიდელათი ნობათი მიართვაო. და იმავ წამს, ქია-კოკონასავით ანთებულ თვალებს რომ წააწყდა კარვის კარებში, თვითონაც აინთო და გულში დაუმატა: — შენთვის მომირთმევია, შენთვის! ჩემო გოგონი... ჩემო მარინე... შენთვის, შენთვის!

ირგვლივ გუგუნი ბობოქრობდა. ხალხი ზღვის ტალღასავით მოიწევდა კარავისკენ.

კუჭატელი უკვე წამოდგა. თავჩაღუნული იდგა და სიძულვილით, შხამით და გესლით სავსე თვალებით არსენას მგლურად შესცქეროდა.

არსენამ ძლივს მოსწყვიტა თვისი თვალები მარინეს და, ხელგაშლილი, კუჭატელს მიადგა:

— შევრიგდეთ, გიორგი!

და გადასახვევად მიიწია.

— აკოცეთ, აკოცეთ ერმანერთს! — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

არსენას ჰაერშივე შერჩა გაშვერილი მკლავები. კუჭატელმა განზე გაიწია და მარაბდელს თვალებით და პირით გესლი შეასხა:

— დამეკარგე აქედან, შე ცინგლიანო, შენა!

ერთის წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ არსენას გადაჰხედეს და უმალვე იგრძნეს, რომ წუნკლად ნასროლი ისარი არსენას ასცდა და ისევ ავგულა მსროლელს მოხვდა.

ზაალის ფალავანმა ჯერ შუბლი შეიკრა, ტუჩები შეიკეცა და იმოდენა რისხვა და ელვა დაიგროვა ვეფხურ თვალებში, რომ ყველას მისი ჰექა-ქუხილისა შეეშინდათ და ისე მიიწ-მოიწიეს, თითქო მხეცებს საბრძოლველ ალაგს უთმობდნენო.

კუჭატელმა ფეხი მონინაცვლა და არსენას დასახვედრად მოემზადა. მაგრამ არსენამ ერთბაშად გამოიდარა: პირსახე ჩაუმშვიდდა, ფერულად გაიღიმა, მარჯვენა ულვაში აიგრიხა და დინჯად წარმოსთქვა:

— ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსა, — და ერთი წამის შე-

მდეგ ნაჭანდაკევი თავი აუქნია და რკინის ნაჭერივით მიუგდო: — მერე იყოს, კუჭატელო! ან განანებ, ან ვინანებ.

ფარსადან ბოდბისხეველმა კუჭატელი ძალით წაიყვანა დარბაზში შერია.

ელიზბარმა არსენას შეევრცხლილი დამბაჩა ჩაუდო ხელში და უთხრა:

— მართალია, ჩემი ყარაბაღი წამაგებინე, მაგრამ ვაჟკაცს ვაჟკაცური საჩუქარი ერგება. აიღე და მოიხმარე.

მელიტონმა მეორე ხელში ერთი ოქრო ჩაუდო:

— ღმერთმა გაგახაროს, როგორც დღეს გაგეხარე. აიღე, აიღე! ნუ ინაზები, ამპარტავანი ნუ ხარ, აიღე და ჩემი ტატეს სადღეგრძელო დალიე. ქალაქში რომ ჩამოხვალ, მნახე.

— აგაშენა ღმერთმა, არსენა. ოქროს საათი მომაგებინე.—მიესალმა დავითიც და აბრეშუმის ჯრელი ხელსახოცი მოახვია კისერზე.—ჯერ-ჯერობით ეს იქმარე. დანარჩენი მერე იყოს. სათხოვარს შეგისრულებ, მაგრამ...—მიიხედ-მოიხედა და ალარ დაასრულა.

კნეინები ჟუჟუნა თვალებით უღიმოდნენ და სალამის ნიშნად ლამაზ თავებს უქნევდნენ.

— ბიჭო არსენა, ჩაიცვი, თორემ გაცივდები.—უთხრა გულკეთილმა ეფემიამ და თავის შვილს მიაძახა:—ტატე, რას შვრები? სად მიიცოცავ, შვილო?

ალანძულმა არსენამ წინ დაიხედა და მელიტონის სადღეგრძელოს საგანს დასწვდა, რომელიც ფეხზე ეკონწიალებოდა და ისე მიფოფხავდა იმის მხრებისკენ, თითქო წელანდელ ჭანდარზე მისცოცავდაო.

— ოოჰ, ტატე, შენც აქა ხარ?

ცალის ხელით აიტაცა, მხარზე დაისვა და წაებაასა:

— რა ბედი გქონია, გენაცვალოს არსენა! წელან შენ ბედზე ვიჭიდავე, დღესაც შენ ბედზე უნდა ვიქეიფო არიფანაზე. მერე კი... მერე რასაც ჩავიდენ, ისიც შენი ბედისა იყოს!

— ძია არსენ, რა უნდა ჩაიდინო იმისთანა?

— ნახავ და გაიგებ, გენაცვალოს ჩემი თავი.

— როსტომივით გარეული ტახი ხომ არ უნდა მოჰკლა? მეც წამიყვანე.

— ეგრე, გენაცვა, ეგრე იყოს. ტახი უნდა მოვკლა.

— თუ ამირანივით ყამარის მოსატაცებლად მიდიხარ, მეც შენი ძმა უსუპი ვიქნები. მესამე ძმას ბაღრსაც ვიპოვნით. ისე ვჟლიტოთ მდევები, რომ იმათი სისხლი მარაბდას მოსწვდეს.

— ეგრე, გენაცვა, ეგრე.—მარინეს გადაჰხედა და ხმამაღლა დაუმატა:—ყამარი მალე უნდა მოვიტაცოთ, თორემ სხვები მოგვტაცებენ.

— მაშ მივდივართ, მივდივართ! ჰაჩუუუ!—წამოიძახა ტატემ, ოქროსფერ თმებში თითები ჩაუყარა და არსენას განიერ მკერდზე ფეხები ააბაგუნა. მერმე ხმა მაღლა წაიტიტინა:

„ცოტა კაცია ამირან, ცოტა სმაჭამა ეყოფა:

სადილად ბულა კამეჩი, ვახშმად არც სამი ეყოფა.“
„ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა, საქმარედ გამზადებულსა“...
თითი მკერდზე მიიდო და განაგრძო:
„უსუპი—ბროლის ციხესა, თავ-ბოლო გამაგრებულსა“,
თითი არსენას თავზე გადაიტანა და დაასრულა:
„ამირან—შავსა ღრუბელსა, საავდროდ დამზადებულსა.
— ყამარის მოსაყვანად მივდივართ, ყამარისა! ჰაჩუ ცხენო, ჰაჩუ-უ-უ!“
არსენა გაჭენდა და რკალი შემოირბინა. და ამ დროს მარაბდელი მოჭიდავე მართლა მოძრავ კოშკს ჰგავდა, რომლის თავზე პაწაწა მხედარი წამომჯდარიყო და ცოცხალ კოშკს ხელების ქნევით, ფეხების ბაგუნით და მხიარულ კიჟინით მიერეკებოდა.

* * *

შუადღე გადავიდა, ყველანი თავიანთ დროშებს შემოეხვივნენ და დაიძრნენ. კუმისელები, თელეთელები და ტაბახმელელნი ქალაქისკენ მობრუნდნენ. ხეობელებმა ზევით გასწიეს, ხოლო მარაბდელებმა, მარნეულელოებმა და დურნუკელებმა ალგეთისკენ ჰქნეს პირი. თიო ქო ნალაშქრევნი იყვნენო: დროშებს მისდევდნენ და რიხიანად მგზავრულსა და მაყრულს გაჰკიოდნენ.

მარაბდელები დიდ გზაზე ჩამოვიდნენ და ხუთ რუსულ ფურგუნს წააწყდნენ.

ბასილა-მაიორი მოწინავეს გამოელაპარაკა. უცებ ფურგუნებში ალიაქოთი ასტყდა. მუჟიკები, დედაკაცები და ბავშვები თეთრ ჩარდახებიდან გადმოცვივდნენ და ბასილას შემოეხვივნენ. მერმე ჩიფჩიფი და ბუტბუტი ასტეხეს, თან ერთ სიტყვას გაიძახოდნენ:

— ბარინ... ბარინ...

ფართედ პირჯვარს იწერდნენ, მუხლის ცემით მაიორს თაყვანსა სცემდნენ და ხელფეხს უკოცნიდნენ. მაიორი ზაალს მიუბრუნდა და რუსულად დაელაპარაკა, თან იმ რუსებზე უთითებდა. მერმე ზაალზე უჩვენა და რუსებს რაღაც უთხრა.

არსენას ერთი სიტყვა ესმოდა ხშირად: „ბარინ, ბარინ.“

რუსებმა იხუვლეს, ზაალს შემოეხვივნენ და ისევ პირჯვრის წერა, ფოფხვა, მუხლმოდრეკა და კალთებსა და ხელებზე კოცნა ასტეხეს.

— ბატონო, ეს რა ამბავია, შენი ჭირიმე? — ჰკითხა არსენამ დავითს.

— ჰმ,—ჩაიცინა დავითმა.—მოდი და ღმერთი სთხოვე ამ ურჯულოს! შარშან მამა ჩემმა ზაალმა ბასილას მწევარი აჩუქა. ბასილამ სამაგიეროდ ხუთი კომლი ყმა აჩუქა. თურმე ეს საცოდავნი ოთხი თვე გზაში არიან.

— ურჯულო საქმეა, შენი კვნესა მე, მაგრამ ეს საცოდავები საქრისტიანოში მაინც ჩამოვიდნენ. რუსები აქაც არიან და ჩვენც ხომ ხალხნი ვართ. ზოგი ჩვენებური კი ქრისტიან ყმას სათათრეთში ჰყიდის.

— კაი ბიჭი ხარ, არსენ, მაგრამ ენა გრძელი გაქვს. გირჩევ, დაიმოკლე.— შეუბღვირა დავითმა და ცხენი განზე გააყენა.

— ჰეი, მოურავო!—დაიძახა ზაალმა.—ეს რუსები ჩემი უფლებაა. დღეს სოფელში დააბინავე და ხვალ მომაგონე.

— „ოთხი თვე გზაში არიანო“,—ფიქრობდა არსენა.—დღეში ხუთ აღაჯს მაინც გაივლიდნენ. აქედან კავკავამდე ექვს დღეს მოუნდებოდნენ. მაშ რამდენი ქვეყანა ყოფილა ი ტიელი რუსეთი?—და ის მანძილი რომ ვერ გაზომა, ლურჯა დასძრა და რუსეთის მანძილი თავიდან ამოიგდო.

კნეინები, ზაალი და მელიტონი ეტლით დაწინაურდნენ. გლეხები და რუსები ჩამორჩნენ. დანარჩენები აფიცხებულ ცხენებს სადაეებს ძლივს უმაგრებდნენ.

არსენა ბატონებს უკან მისდევდა. ოთხივენი სხვადასხვა ჯიშის ცხენებზე ისხდნენ.

ბასილა-მაიორის დონული თაფლა ცეკვავდა;

ელიზბარის წაგებული ყარაბაღული ფაშატი ლაგამს იგლეჯდა;

დავითის შავი ყაბარდოული კვიცი ნავარდობდა;

არსენას ფორაჯიანი ულაყი, ქართული ლურჯა, ჭიხვინებდა, თავს იქნევდა, ტოტებით მიწას ბრდღვინვიდა და ელიზბარის ფაშატს ეტანებოდა.

ორბელიანმა ყაბარდოს ქუსლი ჰკრა და მგლურით გააქანა. მერმე ყირამალა ჩამოეკიდა, მიწიდან კენჭი აიღო, მოტრიალდა და დავითს ესროლა, თანაც მოაყოლა:

— მომყე!

დავითიც მოტრიალდა:

— არსენ, არ დაგვივარდე!

და სამივემ ჯირითით გასწიეს. რიგ-რიგით ხან გაქანებულ ცხენიდან ჩამოხტებოდნენ და უმალ ისევ უნაგირზე ავარდებოდნენ, ხან ყირამალა დგებოდნენ, ხან ფეხზე ადგებოდნენ და ხან კიდევ ბორბალივით ტრიალებდნენ.

იცის არსენამ თავადური ჯირითი, იცის! ბავშვობიდან შეეჩვია. ცხენზე ჯირითი უფრო ეხერხება, ვიდრე ლბილ ლოგინში წოლა. მაგრამ ერთი რამ კიდევ ისწავლა მარაბდელმა გლეხმა: ელიზბარს წამოეწია, ისკუპა და ელიზბარს ზურგის უკან მოექცა.

— ცხენს ზურგი არ ჩაუნგრიო, შე გიჟო, შენა!—უყვირის დავითი, რომელიც ელიზბარს გაუსწორდა.

— ნუ გეშინიან, ბატონო.—ამშვიდებს არსენა და უკვე დავითის კვიცზე სდგას.—ფეხი გავაზე მიდგია, ზურგს არა დაუშავდება რა.

ლურჯა ულაჯო გვერდით მისდევს. ისევ ისკუპა და თავის ლურჯას ზურგზე მოექცა, თანაც თავისთვის წაიბუტბუტა:

— ბიჭია არსენა, ბიჭი! ვენაცვალე იმის მარჯვენას!

ბასილა ძლივს იმაგრებს დონულს. ჯირითისა არაფერი იცის, ამიტომ სხვებს ფეხ და ფეხ მისდევს და ჰკვირობს ბატონების თავგაყადრებას და ყმის თავგასულობას.

უცებ ელიზბარის ცხენი მოსხლტა და ისარივით წავიდა. დავითმა დაჰკივლა და შავი კვიცი მტვერში გაახვია. ბასილამაც დეზი ჰკრა თაფლას და ნალებს ნაპერწკალი გააყრევინა.

შორს ზაალის ეტლი მოსჩანს.

— „დიდი ბატონი გამიჯავრდება".—ფიქრობს არსენა და თავის ცხენს თავს უმაგრებს.

ლურჯამ ორჯერ-სამჯერ დაიბერტყა თავი და კისერი. მერმე მძლავრი მკერდი აიწია, წინა ტოტები ჰაერში გაასავსავა და კამარა შეჰკრა. მხედარმა მძლავრად დასჭიმა მძიმე ლაგამი. ცხენმა თავი მუხლებში ჩაიგდო და გაინაბა.

მიუშვი ლურჯა, ბიჭო არსენა, მიუშვი! აუგია ჩამორჩენა, აუგი! მარინე ქალი ვაჟკაცებში ვერ დაგინახავს და გულს იტკენს. გაუშვი ლურჯა, მიუშვი!

ლურჯამ უცებ თავი აიქნია, ატორტმანდა და ისკუპა. მიშვებული ლაგამი რომ იგრძნო, კანჭა-მკვეთრივით გაიწაფა, გავარდა და კორიანტელის ბოლი გაიყოლა.

მიჰქრის ოთხი ცხენოსანი.

ქართველები მოკუბულან და ცხენის ზურგს გაჰკვრიან. ბასილა წამოყენებულ კუნძივით ასვეტილა. მისი თაფლა ელიზბარის ყარაბაღულს გაუსწორდა. დავითიც ფეხდაფეხ მისდევს.

არსენას ლურჯა ჯერ ასიოდე ალაბით ჩამორჩა. მერმე მანძილი მოსწია და მალე დალია.

ოთხმა ცხენმა ეტლს ქვიშა, მიწა და გრიგალი მიაყარეს.

კნეინები ხელებს ასავსავებენ. ზაალი ამდგარა, ჩიბუხს იქნევს და ყვირის:

— ნელა! ნელა, თქვე გიჟებო, თქვენა!

მარინეს თვალებმა ელვასავით გაირბინეს.

არსენა ლურჯას თავს უმაგრებს. ბატონის წყენა არ უნდა, მაგრამ ბასილას არ დაუთმობს. დონუღმა თაფლამ იმძლავრა და წინ გავარდა.

— ვერ მოგართვი, ბასილავ!—ბუტბუტებს არსენა და ჰყივის: ჰეი, ლურჯავ! მიდი! გასწი! ჰოოპუნა, ჰოპ! ჰოოპუნა, ჰოპ!

ათიოდე ნახტომით ბასილას გვერდით ამოუდგა და მიაძახა:

— მალადეცა, ბასილა, მალადეცა! მოდი! მომყე! ჰოპ-ჰოპ, ლურჯა! ჰოპ-ჰოპ!

და ორ წუთში თაფლა დონული ოციოდე ალაბით ჩამოიგდო. მერმე მოიხედა და გაჭინთულ მაიორს მიაძახა:

— აკი გითხარი, ბიჭია მეთქი არსენა, ბიჭი! ვენაცვალე იმის მარჯვენას! მალადეცა!.. მალადეცა!

უცებ ბუჩქის ძირიდან ორი მელა გამოხტა. მელებმა გზა გადაჭრეს და ქვეით დაეშვნენ.

ოთხივემ დაჰკივლეს და ცხენები მარცხნივ შეაბრუნეს.

ისრებივით მიდიან მელები. ტყვიებივით მიჰქრიან ცხენები. ჯერ ერთმა დამბაჩამ დაიჭექა, მერმე მეორემ და მესამემაც დაიჭუხეს.

არსენამაც იძრო დამბაჩა. ერთს განაპირებულს დაუმიზნა და ესროლა.

მელა ყირამალა გადატრიალდა.

— ბიჭია მეთქი, ბიჭი!—ჩაიცინა არსენამ და აღვარებული ცხენი მეორეზე მიუშვა.

მელამ განიერი ნაარხევი გასროლილ რკალივით გადასერა. ცხენებიც თქარათქურით გადაჰყვნენ.

დაფეთებულმა მელამ ნაღობარი გადასჭრა.

იმავ წამს იმ ნაღობარზე ოთხი ცხენის ნალებმაც გაიელვეს. მელა თხელ ბუჩქნარში შეერია.

ცხენებმაც ლაწალუწი ასტეხეს.

— ჰარიქა, არსენ, ჰარიქა, თორემ ტყეში შეგვისწრო!—ესმის დაწინაურებულ არსენას დავითის ხმა და თაფლას ქშენა.

-- ჰოპ-ჰოპ, ლურჯავ! ჰოპ-ჰოპ, გენაცვალოს არსენა!

კეთილშობილი ქართული ლარივით გაიჭიმა. ტოტებს ჩაქუჩებივით ურტყამს ხრიოკ ნიადაგს. ქვას აქეთ-იქით კაკალივით ისვრის. ხორხი მტვრად ადის ჰაერში. გაბერილ ნესტოებიდან ოხშივარს ჰყრის. მანძილი თანდათან იღევა. ხუთიოდე ადლი-ღა დარჩა... ოთხზე მეტი აღარ იქნება. უკვე ბასილას ცხენის თავი მოსჩანს ლურჯას გავასთან.

— მიდი, ლურჯავ, მიდი! მიდი, გენაცვალოს არსენა!

აჰა, ერთი ადლიც მოსჭრა. კუდგაფშეკილი მელა უარესად იჭიმება.

— ჰარიქა, არსენ, ჰარიქა! არ დაგასწროს, ბიჭო, არ დაგასწროს!—ისმის დავითის კივილი.

— მიდი, გენაცვალე, მიდი!—ჩასჩურჩულებს ლურჯას არსენა და ყური ბასილას თაფლასკენ აქვს.

ტყეს მიადგნენ. კიდევ ერთი ადლი დაილია. ლამის ლურჯამ წინა ფეხი მელის კუდს გაჰკრას.

თაფლა ლურჯას გაუსწორდა. მელა შუაში მოჰყვა.

არსენამ უჩვევ ცხენს მათრახი დაჰკრა, მარჯვენა ხელი კეხს ჩასჭიდა, მთელის ტანით ცხენის ფეხებთან ჩაექანა და გაწაფულ მელას კისერში დასწვდა.

იმავ წამს მელის წრიპინი და ბასილას ბოყინი მოისმა.

უჩვევი თაფლა არსენას დახრაზე დაფთხა და განზე გახტა. ბასილამ თავი ველარ შეიმაგრა და არსენას თვალწინ გაიშოტა.

— ბიჭი ხარ შეთქი, ბიჭი!—ჩაიცინა არსენამ და ლურჯა მოაბრუნა. წრიპინა მელა იღლიაში ამოიჩარა, ცხენიდან ჩამოხტა და ბასილას დასძახა:

— ჰა, რუსო, ვერა დგები?.. რა დაგემართა, შე კაი კაცო? მაჩვენე, სადა გტკივა?.. რა ვქნა, შენი რომ არაფერი მესმის! რა სთქვი, ბოლნაო? სად ბოლ-

ნა? აქა?.. აქაც? ვაიმე, იქნება ფეხიც მოიტეხე და ხელიც, ჩე უბედურო, შენა!

დავითიც და ელიზბარიც თქარათქურით მივიდნენ.

ბასილა კვნესოდა და ტკივილებისგან იღმიჭებოდა.

— სლამალა ნაგა? რუკაც ბოლნა?—გამოჰკითხა დავითმა და არსენას უბრძანა:—ჩქარა კოდაში აირბინე და ბაჯიაშვილი მოიყვანე. ეს ცხენიც წაიყვანე და ზედ დოსტაქარი ზაქარა შესვი. ჩვენებსაც შეატყობინე... უთხარი საჩქაროდ „დროშკა“ ან ურემი ჩამოგზავნონ. კოდადან პირდაპირ მარაბდაში ამოდით.

— ეგრე, ბატონო.

ლურჯას მოაჯდა, თაფლა სადავით დაიჭირა და მოჰჭუსლა.

ალიო მაშაველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადახრა მთვარისაკენ

„Коль нет цветов среди зимы,
Так и грустить о них не надо".

С. Есенин.

[redacted]

ამელამ მთვარესაც ღრუბლები უვლიან,
მთვარეო გუნდაო სად მიხვალ, სად...
ეხ, ნეტავ იცოდე რომ დაკარგულია
შენი დრო, იმედი და შენი გზაც!

მოგვწყინდა ამდენხანს უმიზნოთ ტრიალი,
გზაზე ღრუბელივით მოწყენა, ცდა:
ისევ მაღალია და ფიქრებ-ტყიანი
სამშობლო მიწა, სამშობლო ცა!

მშობელო მხარეო, მუდამ თუ გაიხსენებ,
კისერზე გაწვიმებს და სველი ხარ:
საკუთარ თვალების ცრემლებით გივსებენ
წყურვილის მდინარეს, წყურვილის ხრამს!

ამ გზიდან გადმოსულს მზეზე გაგიელიათ,
და იცით შორიდან რა მოდის ხვალ,
მთიდან რომ ჩამოდის სულ სხვანაირია
ქართული გოდება, ქართული ხმა!

ერთხელ მთვარის ბედი ჩემს ბედს შევადარე,
როცა ის მიჰქონდა ღრუბლების ტივს,
გულში მთვარე იწვა, თვალებში—ავდარი
და ირგვლივ მეხვია შრიალი ტყის!

და ეხლაც... როდესაც ქარების ტყვე რომ ვარ,
ორბივით კლდეებზე თუ ვიმტვრევ პირს:
ალბად დამნაშავე ეს საქართველოა
და საქართველოზე ფიქრები მტკვრის!

არ ვიცი რას ნიშნავს მთვარისკენ გადახრა,
ცხადია, რომ შრება ღრუბლების ზღვა,
სოფელს გადაეარა, მინდვრებზე გადახვალ
და გესმის კვამლიდან სიმღერა სხვა!

მეც მინდა სივრციდან დავლიო ხმაური,
შუშის ვარსკვლავები არხევენ ცას,
სადაც ეწოდება ორი სიხარული
თვალების წამებას და გულის წვას!

გულო! ხომ ენდობი ქუჩების გორიალს,
ფიქრი ქვანახშირი ქალაქში სდგას,
მტვერში გაეხვიე, დრო ბურთი მგონია
და მხრებზე მეზრდება კვამლების მთა!

მე ეხლა ტფილისში თუ რამე მადარდებს,
და გულს აგორებულს თუ რამე სწვავს,
ეს ალბათ იმისთვის რომ მკერდზე გადადის
სამშობლოს მიწა, სამშობლოს ცა!

რათ მოგიწყენია, მთაო ბედ-სვიანო—,
ელვის ნაჯახებით გაძრობენ ტყავს,
შუბლიდან ჩამოგდის მტკვარი სისხლიანი
და ქვებით დაჩეხილს ისველებ ტანს!

რკინის ბრწყინვალება მოდის, მობოგინებს,
აზიის ფრინველებს სირბილი ჰკლავს,
შლიან მტკვარისტანზე გაწოლილ ბოგირებს
და ბარათაშვილის მერნების კვალს!

რა ვქნა: ქართლის ბედი სახეში მიცქერის
და თვალში დაეძებს ქართველის თვალს:
რამდენჯერ გავმაროეთ მოხრილი კისერი,
რამდენჯერ მტკვრის პირად მოვიხრით თავს!?

სადაც წინაპრების ძაღლვი გადაიჭრა,
სისხლი დაღვრილია მშობლიურ ზღვათ:
ბედი მწუხრვალელო აქ თუ გადამირჩა
ქვეყნის სადღეგრძელოს დოქებით ვსვამ!

ცეცხლის მხურვალებით სქდებიან ველები,
ცეცხლის მხურვალება ცივ ღრუბლებს სწვავს;
სალამი, სალამი ელვის ფრინველებო,
სალამი, სალამი კვამლიან ცას!

თუ კიდევ ეს მთვარე პოეტის გულია,
და გინდა იცოდე სად მივა, სად...
ბედო უბედურო, ხომ დაკარგულია
შენი დრო, იმედი და შენი გზაც!?

[redacted]
ტფილისი.
მარტი.
1926

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. სულიაშვილი-ლისელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორე დღეს

ერთ სართულიანი სახლები მჩქეფარე მდინარის პირად გაბნეული. აქეთ იქით გორაკები. ჭიაყელასავით თავი და ბოლო სუსტი. შუა ტანი გასიებული და ამ ტანზე ერთი მეორეზე მიკრული ქალაქის საზოგადო შენობები: ეკლესია, თეატრი, სასწორი, საყასპოები, ბაზარი, აფთიაქი.

გასიებული ადგილის შემდეგ, ბალჩიანი სახლები, გაფანტული როგორც კალოზე დაბნეული პურის მარცვლები. ქუჩის პირად გაყოლებული მესრები—ჭისკრებით. მერე ბილიკი და ოთხსაფეხურიანი ხის კიბეები მოაჯირიან აივნებზე მიყუდებული. ლურჯად შეღებილი კედელი კარ-ფანჯრით.

კოტე დოდიძის სახელი ყველამ იცის ქალაქში. ვექილია. მთელი თავისი ცხოვრება აქ გაუტარებია. პატივცემული, დარბაისელი, საზოგადო მოღვაწეა.

დღეს დილას იგი უსიამოვნო გუნებაზე ადგა. ასეთ გუნებაზე დგება ის, აგერ ერთი კვირეა.

ერთი კვირეა, რაც ქალაქის გასიებულ ნაწილში, ერთი შენობის წარწერა—ქალაქის თვითმართველობა—წაშალეს და ამის მაგიერ წითელი ასოებით დააწერეს—რევკომი. წითელი დროშა შესავალ კარებთან ჩამოკიდეს.

მაგრამ ეს იმდენად არ აღონებს მას. „რა ვუყოთ მერე, რომ დააწერეს „რევკომი". ბავშები არიან, გაიცლის ცოტა ხანი და ჰკუას ისწავლიან. დღეს თუ არა ხვალ ბათუმს მოადგება ინგლისის დესანტი, ჩვენი ჯარი წინ გამოუძღვება და მაშინ რევკომისაგან აღარაფერი დარჩება... ასე ფიქრობს იგი.

ოთახში დადიოდა, როგორც დადიან მთვარეულები. ფანჯარაში გაიხედა. შიშველ ხის ტოტებზე შეყინული ბამბის ქულები დაინახა. მესერის იქით გზა ატალახებული იყო. რამდენიმე ცხენოსანი ძაბრიანი ქუდებით—ორლობეში ქანაობით მიდიოდა.

ამ ერთი კვირის წინად, როცა ქართული ჯარი იხევდა და ქალაქში წითელი არმია უნდა შემოსულიყო, კოტე დოდიძემ თავისი ქალიშვილი მახლობელ სოფელში გადახიზნა. ათასნაირი ხმები იყო გავრცელებული არმიის შესახებ. არიდება იყო საჭირო.

გუშინ ქალიშვილი სოფლიდან დაბრუნდა და საყვარელ მამას მოუთხრო სოფლელების შიში და მათი სიცივესა და ქარბუქში ტყეში გახიზვნის ამბავი.

ასეთ არა სასურველ გაჭირვებას თავიდან აიცილებდა, რომ სახლში დარჩენილიყო. მაინც და მაინც არაფერი მომხდარა და შიში უსაფუძვლო გამოდგა.

ოჯახში ერთად ერთი წევრი—მისი ქალიშვილი [illegible] მამის გულისყურიც მისკენ იყო მიპყრობილი.

პაპიროსის ნამწვი ბუხარში შეაგდო. აივანზე გავიდა. იქიდან შეშა შემოიტანა და ბუხარში ცეცხლი აანთო. გძელ ჭიღარა წვერებზე ხელი ჩამოისვა. სკამზე დაჯდა ბუხრის წინ. ნაპერწკლების ცვევნას და კვამლის დენას, თავისი ფიქრები შეართო.

არ აბსოვს მას ცხოვრებაში მხიარული წუთები. იყო მხოლოდ ტანჯვები და გამუდმებული, დაუღალავი შრომა ოჯახის კეთილ დღეობისათვის.

უფროსი ვაჟი—ექიმი, ჯან-ღონით სავსე და მამის ნუგეში, დაიღუპა შორეულ ქვეყანაში ომის დროს. ამას მოჰყვა ცოლის ხანგრძლივი ავადმყოფობა; მერე სიკვდილი. ამის შემდეგ დაცარიელდა კოტე დოდიძის გული, როგორც გამოფიტული ნაჭუჭი; სუსტი და ფხვიერი, ყოველ მიუღებელ მოვლენის დროს, ეს ნაჭუჭი იმსხვრეოდა და ტკივილებს აგრძობინებდა.

ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ, ქალაქში დიდი აურზაური იყო. არავის სჯეროდა თუ ქალაქში ბოლშევიკები შემოვიდოდნენ. იწედი იყო, რომ მალე ინგლისელების და ან ფრანგების ჯარი გაჩოჩნდებოდა.

ხალხი მაინც მზადებაში იყო. ურმებზე ბარგს ჰკრავდნენ და მახლობელ სოფლებში ცოლ-შვილს გზავნიდნენ. ქალაქის თვითმართველობა მოხალისეთა ჯარს აგროვებდა. ფრონტის დამხმარე კომიტეტი, რომლის თავჯდომარე კოტე დოდიძე იყო, ტანისამოსს, ფეხსაცმელს და სურსათს აგროვებდა ჯარისთვის.

დუქნები ცარიელდებოდა. ქალაქში გაჭრა ყველაფერი.

მოსახლეობა მთელი დღე სადგურზე ალამებდა. ჰხვდებოდხენ თბილისიდან მომავალ მატარებლებს. მატარებლები კი მოდიოდნენ მძიმედ დატვირთულნი. ჩამოაბნელებდნენ სადგურის დახურულ ბაქანს, ხვნეშით და ხრიალით ცოტა ხნით შეჩერდებოდნენ და ისევ დაეშვებოდნენ ბათომისკენ.

რონოდებიდან გადმოეყუდებოდნენ თავები, გაკვირვებულნი და განცვიფრებულნი.

დამხდურები ეკითხებოდნენ თბილისის ამბავს, მაგრამ სანუგეშოს ვერაფერს იგებდნენ. მოსულებს ჰქონდათ დამხდურების იმედი, მაგრამ იმათგანაც არაფერი გამოდიოდა, გარდა საზოგადოდ გავრცელებული ხმებისა, რომ მალე გამოჩნდებიან ინგლისელები.

შემდეგ ზედი-ზედ ჩაიარა ზარბაზნებით, ცხენებით და ავტომობილებით დატვიოთულმა რონოდებმა. მერე ფეხით გაიარა გვარდიელთა გაფითრებულმა რაზმებმა.

დაცარიელდა ქალაქი.

ერთ დილას ქალაქი გაივსო წითელ არმიელთა ცხენოსანი ჯარით.

ასე იყო ერთი კვირის წინ. ეხლა ქალაქში სიწყნარეა. წითელ არმიელები აბავენ ტელეფონის ქსელს. თივას უყრიან ეზოებში დაბმულ დამშეულ ცხენებს,

რომლებიც კბილებით ღრღნიან მოაჯირებს. რეკომ'ში მიაქვთ ძაგრდები და სკამები. იწყება ახალი ცხოვრება.

მოსახლეობა დამფრთხალი და დაშინებულია. არ [illegible] გზას და-ადგეს.

კოტე დოდიძემაც არ იცის, რა უნდა გააკეთოს დღეს. თუმცა არც ფიქრობს ამაზე. მისი საფიქრელი სხვა რამეა და ეს უკლავს გულს.

მის ქალიშვილს თინას, მეორე ოთახში სძინავს.

ფიქრთა ქსოვილი, როგორც ობობას ბადე, იხლართება მის თავში.

ბუხარში აყუდებულ შეშას, გარს ჯსრიალებენ ალის ენები, როგორც აყირაებული გველები.

ოთახის კარი გაიღო და შემოვიდა ვარდისფერ სახით, ცოცხალი შავი თვალებით, ცქრიალა და მხიარული თინა.

მივიდა ბუხართან. მამას მუხლებზე დაუჯდა და შუბლზე აკოცა.

— მამა, რატომ ხარ დაღვრემილი?

— რა მაქვს შვილო, სამხიარულო?

— მაინც რა მოხდა, მამა! რა ვუყოთ მერე, შენ თვითონ ამბობ ბოლშევიკები დიდ ხანს ვერ გასძლებენო აქ!..

— შენ როგორ გინდა, შვილო! გინდა დიდ ხანს გასძლონ?..

— უწინამც დღე დაელევათ იმათ! რად უნდა მინდოდეს, მამა?..

— რა ვიცი, შვილო!..

თინა მიხვდა—სადღაც სხეულის მიყრუებულ ალაგს გაღიზინდა ერთი სიმი,—თინა მიხვდა, რასაც ნიშნავდა მამის შეკითხვა.

არაფერი უთქვამს. იქვე მდგარ სკამზე ჩამოჯდა. ბუხარში ალის რხევას მიაშტერა თვალები... და მოაგონდა ზაფხული...

იმ დღეს თინა დაჰპირდა დიტოს, რომ ბაღში მარტო გავიდოდა და იქ შეხვდებოდა მას. სარკესთან დიდ ხანს იდგა. თმას ისწორებდა, ცხვირზე პუდრს ისვამდა, თვალებს აკვირდებოდა და ამჩნევდა მურაბის კაკალსავით როგორ ბზინავდნენ ისინი და წამწამები,—როგორც მიბნედილ პეპელას ნაზი ფრთები,—ნელა ირხეოდნენ.

მოუსვენარ სხეულის მოძრაობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ხელები ფაცურობდნენ და მაგიდაზე დაწყობილ საგნებს, ხან აქეთ ისროდნენ და ხან იქით.

გული ფართხალებდა, როგორც ხელში დაჭერილი ცოცხალი თევზი.

იცოდა თინამ, რომ დღეს დიტო ეტყოდა იმ სიტყვას, რაც დიდი ხანია გულში აქვს შენახული და კი ვერ უთქვამს. ეს კარგად იცოდა თინამ. დიდი ხანია მიმხვდარი იყო დიტოს გულის ზრახვებს, მაგრამ რამდენადაც დიტო ეტანებოდა თინას,—იმდენად თინა გაურბოდა მას და თითონაც არ იცოდა თინამ, რატომ სჩადიოდა ასე. და იმ დღესაც თინამ იგივე გაიმეორა, რაც მრავალჯერ.

დიტოსთან მისასვლელად გამზადებული თინა, თავის მეგობარ ანიკოს

შეხვდა და იმის მაგიერ, რომ აცდენოდა, მკლავში ხელი გაუყარა და გაიყოლა სასეირნოდ.

როცა დიტოს შეხვდნენ, მის სახეზე ალმური შეამჩნია თინამ და ეს მდგომარეობა, თითქო ესიამოვნა. გაისეირნეს ერთად. დაწყნარებულმა თინამ გრძნობდა დიტოს გულის ცემას. მერე თინამ დაინახა დიტოს აცეცხლებული თვალები, ათრთოლებული ტუჩები და ნერვიული, გამომწვევი მსჯელობა, პირში რომ ნერწყვი ჰქონდა გამშრალი.

მალე ანიკო მეორე ჯგუფს შეერია და თინა და დიტო მარტო დარჩნენ. დამნაშავე შეგირდივით აიწურა თინა. გაინაბა. წარბები შეკრა, მოემზადა.

უკმეხი და დაუნდობელი იყო დიტო. საყვედურით და გესლით სავსე იყო მისი სიტყვები. თინას ვერ მოენახა გასამართლებელი საბუთი და რამდენადაც მეტს ღელდებოდა დიტო, იმდენად უფრო ლბილდებოდა თინა.

დიტო აღარ სცხრებოდა. გააფთრებული გაიძახოდა: „სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო თქვენს თამაშობას. მე ბავში არა ვარ!.. ვიცი ჩემი გზა!.. თქვენთვისაც გზა დამილოცნია!.. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ჩვენ ერთმანეთს აღარ ვიცნობთ!“.. სთქვა ნევსივით წვეტიანი ხმით.

თინა დაიბნა, გაშტერდა. არ მოელოდა ასეთ ბოლოს. თვალები დანესტიანდა და ლმობიერი ხვეწნა და მუდარა გამოხატა. დიტომ შეხედა თინას სახეში. მერე მიტრიალდა და უცბად, გადაწყვეტით გადადგა ნაბიჯი. წავიდა, აღარ მოუხედნია უკან.

გაცვიფრებული თინა მიაცქერდა მიმავალ დიტოს, უნდოდა ეყვირა, უკან გამოსდგომოდა, მაგრამ არც ხმა ემორჩილებოდა, არც ფეხები.

სახლში მივიდა. ბალიშში ჩაყო თავი და დიდ ხანს, დიდ ხანს იტირა.

მას შემდეგ არ უნახავს და არც სადმე შეხვედრია დიტოს. გაიგო, რომ ის წასულიყო თბილისში და იქ ბოლშევიკების პარტიაში დაეწყო არალეგალური მუშაობა. მის ბიძაშვილისაგან შეიტყო, რომ დიტო დიდიხნის ბოლშევიკი ყოფილა, და კი არ ამხელდა. მერე მოდიოდა ხმები დიტოს პარტიულ მუშაობის და მის ენერგიულ და გატაცებულ მოქმედების შესახებ. მისი რაზმი ხან ერთ კუთხეში გამოჩნდებოდა აჯანყებულ გლეხთა შორის და ხან მეორე კუთხეში. დიტოზე ლაპარაკობდნენ, მის მამაცობას ქებას შეასხამდნენ.

შემდეგ გაიგო, რომ მთავრობამ იგი წეიპყრო და გადაასახლა საბჭოთა რუსეთში. მას შემდეგ გავიდა თვეები და თინას აღარაფერი სმენია დიტოსი.

ეხლა დიტო ალბად აქ არის, საქართველოში. შეიძლება აქაც, ამ ქალაქში... და თინა მოელის მას იდუმლად. მოელის ყოველ დღე. იცის რომ მოვა. იცის რომ დიტოს არ დავიწყებია იგი. ეს ყველაფერი მისი ბიძაშვილისაგან გაიგო: ის ეტყოდა ხოლმე ყველაფერს, რასაც დიტო წერილში სწერდა თინას შესახებ.

ეს ყველაფერი იცის მამამ. მამამ იცის კარგად, რომ ზაფხულში დიტო თინასთან ხშირად მოდიოდა და როცა დიტო უეცრად გაქრა, თინა მთვარეულივით დაიარებოდა გაფითრებული. ცოტა ხნის შემდეგ, მამა დარწმუნდა,

რომ თინამ დაივიწყა იგი. ხოლო, ახლა,—როცა „ისინი“ შემოვიდნენ ქალაქში, —მისი აჩრდილი კვლავ აიმართა მამის წინაშე და ბოროტება და მწუხარება გაამეფა მის გულში.

ეხლა, ნაკვერჩხლების გუზგუზს რომ უცქერიან ბუხარში, ერთსა და იმავე საგანზე ჰფიქრობენ... ჰფიქრობენ სხვადასხვანაირად...

მიატოვებდა შვილი მამას? გასცვლიდა მის ამაგს და სიყვარულს, მისთვის არა სასურველ ადამიანზე,—თუ მოხუც მამის სიყვარული დასძლევდა?

ბუხარში აყუდებული, ფერფლ გადაკრული გძელი ღერი მოიღუნა, თავი დაქინდრა და ფხვიერ ნაპერწკლებათ დაიბნა ნაღვერდალში.

მამამ პაპიროსი ამოიღო ჯიბიდან, ნაკვერჩხალზე მოუკიდა. უეცრად კარებისაკენ გაიხედა, თითქო მოელოდა ვისმეს. თინამაც მკვირცხლად თვალები ფანჯარას მიაშტერა, ეზოს გახედა...

ორივეს გულისყური კარებისაკენ იყო მიპყრობილი. იქ უნდა შემოსულიყო ის, რომელიც ერთისთვის მწუხარებას და ტკივილებს მოიტანდა, მეორესთვის კი მხიარულებას და გულის ძგერას.

ჭიშკარის გაღების ხმა მოისმა. ორივეს გულისყური ჩიქით მიეპყრო. შემდეგ აივანზე ფეხის ხმა და ბრახუნი გაისმა. მერე კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა იგი,—მაღალი მოლიმარი, გამარჯვებული, ლაღი, გაბედული. შავი ტყავის მოკლე პალტოთი და მაღალი ყელიანი ჩექმებით, აყუდებულ ზვინს წააგავდა. ქუდი მოიხადა, და გძელ თმაზე ხელი გადაისვა. იდგა კარებთან, როგორც უცხოეთიდან მოსული მეომარი—უდრეკი და ტლანქი, უცნაური და შეუპოვარი...

— დიტო!... გულის სიღრმიდან შეჰყვირა თინამ და მისკენ გაემართა.

მამა არ განძრეულა, იქვე იჯდა ქანდაკებასავით კისერმოღერებული.

— ამხანაგ კოტეს ვახლავარ!.. მიუახლოვდა დიტო. ტლანქად გაუშვირა ხელი.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს დიტოს!.. შორეულად წარმოთქვა.

უცქერდა, როგორც უცქერიან საგანს სივრცეში. მოსჩანდა მხოლოდ დიტოს ერთი მთლიანი შავი ხაზი. სხვა არაფერი.

—. ახლა აქ დარჩებით დიტო, ჩვენს ქალაქში?

— დროებით! საქმეს მოვაწყობ და მერე თბილისში წავალ. რაკილა საქართველოს გასაბჭოება მოხდა, ახლა გზაც სხნილია და მოქმედების ასპარეზი თავისუფალი, ჩვენ მოვაწყობთ ნამდვილ შრომის უფლებას...

დიტოს ბაგედან მოდიოდა სიტყვები, როგორც კლდიდან მოგლეჯილი ქვის ნატეხები და ლოდებად ეწყობოდა.

მამა კისერ მოღერებული შესცქეროდა დიტოს. ყოველი მისი სიტყვა, გულის კუნთებს მტკივნეულად ჰკუმშავდა...

თინა ჰგრძნობდა ამას. მეორე ოთახისაკენ გაიწია, დიტოც მას გაჰყვა.

მოხურულ კარებიდან მამამ ყური მოჰკრა თინას ალერსით სავსე ხმას:

— არ დამივიწყე?..

— ხომ ხედავ, მოვედი!..

— მე კი იმდენი მატირია შენთვის! მეც მოგელოდი! ვხლა შენი ვარ სამუდამოდ!...

— ჩვენ წავალთ ქალაქში! იქ ვიცხოვრებთ ერთად!..

— ერთად!...

. . . . . .

უცნაური ხმაური გაისმა. ჯერ თითქო მძლავრი ტოტი გადატყდა და მერე იატაკზე მძიმე კუნძი მოსხლეტილი გაგორდა....

თინა შეკრთა, უეცრად ხელიდან გაუსხლტა დიტოს, კარებისაკენ გაიწია, გაალო და ოთახში შესვლისთანავე შეჰკივლა...

ბუხრის წინ, კოტე დოდიძე პირდაპირ გაშოთილი, როგორც მოჭრილი ალვის ხე, უშნოდ გაგძელებულიყო იატაკზე...

მოსულმა ექიმმა გულის ძგერის შეჩერება აღნიშნა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონ. ლორთქიფანიძე.

ტერორისტი

უცებ დააკლა შრიალი ქუსლებს,
გულმა ფრჩხილივით გრძნობა ჩამოქნა:

. . . .

შორს ინდოეთში მიმავალ ღრუბლებს,
მიჰქონდათ ჩუმათ პატარა ოქრო.

ეი ღრუბლებო საით დამფრთხალხართ,
საითაც გსურდეთ ცა გადაჰკეცეთ...
და ღამე შავი ისე ფართხალებს,
როგორც ყორანი ფრთა მოკვეცილი.

ჩუ, ორი თვალი როგორც ღამურა
აფრინდა ფრთხილათ ფანჯრის მინებთან:
შესდგა, სიჩუმე წამოიხურა
და გულის ცემა ისევ მინელდა.

მხარი მოიგდო, შორდება ნაბიჯს
და ნაბიჯები გულზე ეცემა...
და გახელილი თვალები ფანჯრის,
დაიდგა როგორც პატარა ზეცა.

თოვს და ქარია და ბნელა ისე,
თითქოს ყორანი თვალებში გიზის;
თოვს და ქარია, ქარს ფიფქი მისდევს
და ლიანდაგებს მწყობრი გიზგიზი.

შეჩერდა ოდნავ წელში მოხრილი,
გული რა არის, იქაც თუ ათოვს!
მხოლოთ თვალები ძირს გადმოყრილი,
ჯერ კიდევ მოჰგავს დაფერფლილ მნათობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ საცაა იქაც იელვებს,
ხომ არ კანკალებ გულო ლოდინით!
უკვე ისვენებს შავი ფრინველი,
უკვე დაეშვა დუმილის ლოდი.

ჩქარა ქუსლები აკრიფე ისევ,
გზა ჩაბნელებულ სივრცეს მოჰპარე!
გაიჭერ ფრთხილათ, იყავი ნისლი,
საკუთარ სუნთქვას ამოეფარე!

წამები სძიძგნის გულს ეკლებივით:
— დაეაგვიანე?... ფიქრი ფრიალებს...
..... და მაშინ სადღაც დაფრთხა ეტლები,
როცა ქუჩებმა გაიგრიალეს...

შორს ინდოეთში მიმავალ ლრუბლებს
მიჰქონდათ ჩუმათ პატარა ოქრო,
. . . . . .
დილით კი ვილაც თვალებ ამღვრეულს
ულებდენ რკინის კარების ბოქლომს.
მარტი.

კოტე ლორთქიფანიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცხოეთში

თუ უკან გზები ქივილით მომსდევს
და ნაკვალევში ფრინავს ბელურა,
ვინ მეტყვის, გულს აქ ნუღარ ჩამოსდებ,
აქ მშობლის თვალებს ვერ მოიხურავ!

ოეთრო ველებო, თქვენთან მოვსულვარ
და უნიბურათ შევკარი წარბი;
აქ არ მიყვება ღობეებს სურო
და არ მიღიმის ეზოდან წაბლი.

დავკარგე მთებიც, მზეც სხვა ფერია,
ყურში არ ტყდება მუხლი მეხების,
და ნაცნობ ქედზე მოსაფერებლათ
ცას ჩამოფრენილს, ველარ ვეხები.

მაგრამ რა უყოთ, ხომ არ ვიდარდებ
მაშინ როდესაც არის ზამთარი,
რათ აღარ ჰყვავის ია და ვარდი,
რათ..... და ამიტომ სევდამ დამთოვოს.

დედა? დავტოვე თუმც ძალზე მიყვარს,
მერე..... დედები აქაც ხომ არის
და ისეთებიც, რომლებსაც მიჰყავს
შვილების გულში ცეცხლის ხომალდი.

მათ გულო ჩემო ვგრძნობთ ჩვენს დედებათ,
და ისე დგება გზები მათ თვალზე
ვამბობ: მე სევდა ვერ მომედება,
სხვის სამშობლოში სამშობლოს ვეძებ.

ეშვება ბინდი და ბინდზე ქარი,
ვაი თუ გზები კიდევ წინ არის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორს შორს ღრუბლები მოიჩქარიან,
რომ ააშენონ ცა საწვიმარი.

მაგრამ ამაღამ გზათ ვინ დამტოვებს,
ისე მომხედავს თვალები ქოხის;
ძმურათ შემომბევს მკლავების ტოტებს
და ტუჩებიდან ღიმილს გადმოხრის.

შევალ, ქუჩუნა თვალებში ვამჩნევ
რას, რა ვიცი...., ყველაფერს მგონი!
ალერსით უცქერ, თაროდან არჩევს
ლამბაქებს, ხილს და პურებს გაქონილს.

მე დავუხატავ თბილისის უბნებს,
არ დავივიწყებ რუხ მშობელ რიონს;
ჩვენ სიყვარული და მეგობრობა
ვერც ერთმა ზეცამ ვერ დაგვინგრიოს.

თებერვალი.

ს. ჯასრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქის კუჭი

(უცმური წარსულიდან)

აღმოსავლეთმა ისროლა მზე; მზემ გახსნა ქალაქი; ქალაქმა გააზმორა.

დაფაცურდენ მეეზოენი, რომ ეკლიან ცოცხებით ააგდონ ბუღი დაუგველ ქუჩებზე. მანქანას მტვერში გააცვს მხარი. მოქალაქენი იწყებენ სიარულს ფილაქანზე; დადიან ნელა; არ ეშლებათ ფიქრები:

კარგად ეძინათ თუ არა წუხელის: როგორი ნახეს სიზმარი; არა ჩვეულებრივი იქნება დღეს სიცხე თუ ჩვეულებრივი. ვაჭარი ელაზღანდარება მეზობელს:

— ან იქნება დღეს სიცხე, ან არა.

ვაჭარი იცინის. მეზობელმა არ იცის—გაიცინოს თუ არა; როდესაც ვაჭარი მსუქან ხელებს დაიწყობს გავაზე და უცდის ოხუნჯობის შედეგს—მეზობელი გადასწყვეტს:

— დაგილბა ხუმრობა!

მეეზოვემ მოდენა მტვერი დუქანთან; ვაჭარი ათვალიერებს საქონელს, ანგარიშობს ღირებულებას და ღებულობს სიამოვნებას, თანაც ამაყობს, რომ ცხვარი თავის თმაზედ მეტი ჰყავს.

ეს მოაგონდა ვაჭარს მოულოდნელად: შემდეგ კი ისე აღიღინდა, როგორც მღეროდა ერთ დროს სკოლაში; უნდოდა ეკითხა მეზობლისათვის: ხომ არ ახსოვს მას მეცხვარის ლექსი? ნუ თუ სასწავლებელში არ გაუვლიათ?

ვხედავ მეცხვარეს ჯოხით მხარზედა,
წინ უძღვის ცხვრებსა, მიდის მთაზედა.
სალამურს უკრავს ფეხის ხმაზედა.

ერთი სიტყვით, პირველ განყოფილების საზეპირო, მოიგონებდნენ—კარგია ბავშვობა! მაგრამ მეზობელი შორს იყო; ჰუჰყიანი სახოცი აეფარებინა ცხვირზე და მიდიოდა.

მეეზოვემ დაგავა ქუჩა, გადააფურთხა დიდი ნახველი და როდესაც ამთქნარებდა, კიდევ დაამღერა: ა-ჰა-ჰაჲ...

კარგს დამთქნარებას სჭირია მონელება და გასინჯვა გემოსი; მეეზოვე მიებჯინა დარაბას, ხა-ხი დადის ძეტი. ეტლები გარბიან საბუშაოდ, სმენა მიაქვს მძიმე ჯაგანს. მეეტლე იძახის:

— ხაბარდააა!—და ათვალიერებს კალათიან გოგოს; მოსამსახურეც ათვალიერებს მეეტლეს:

— კარგი ბიჭია! ბიჭად არ ვარგა მეჯაგნე; როგორც ფრთა, ჭერი?, მაგრამ მეჯაგნეს სულთად არ აცვია. ის არ იძახის—ხაბარდა. მხოლოდ დროგი რახრახით ყველას შეუძლიან ცხენს გაუაროს წინ; ეს მოვლენა უთუოდ აბრაზებს მეჯაგნეს და, რაკი ხალხს ვერაფერს ჰკადრებს ისევ ცხენს ურტყამს—ჰა-ჩუ!

საბოლოოდ გასაოცხლდა ქუჩა. ხუმრობისთვის აღარ სცალიან ვაჭარს; ორი მუშტარი იყო: ერთმა დაუტოვა სითა—ჩვიდმეტი კაპიკი, მეორე კი გაექცა. ვაჭარი გაკვირვებულია:

— ვა, გაგონილა, არ იყიდო კარგი საქონელი, ვთქვათ აი ეს ლილა?

მეეზოვეს ესმის და ეკითხება სხვათა შორის:

— ჰა, რა ღირს ლილა?

— რომელი მყიდველი შენა ხარ!

მართალია, ლილა არ სჭირდება მეეზოვეს. მოქალაქე რომ რამეს ეკითხება, უმჯობესია პასუხი გასცეს; მეეზოვემ მიიღო წყნარი სახე:—აჰ!

ანდრო აღელვებული იყო. ანდრო ქოშინით ლაპარაკობდა. მარჯვენა ხელი უცახცახებდა ძალიან, თანაც ცდილობდა შეებნია მეეზოვესთვის ლილა. მეეზოვე იდგა გულგრილად; რა საქმე ჰქონდა ამ კაცს მასთან—ჯერ ვერ მიმხვდარიყო. ესმის მხოლოდ სიტყვები:

— დროგი, ქალაქის დროგი; ძმობილო, ძაღლი, ძაღლი, ძაღლი—და გაღელილ მკერდთან უცნობი ხელს უფათურებს.

„ნეტავ რა უნდა სთქვას?“ იქნებ შეუბნევს ლილს და წავა უცნობი!—უკაცრავად, მეტი არაფერი, ვერ ვითმენ გახსნილ გულსაკინძსო—მეეზოვემ თვითონ შეიბნია ფილაქი; უცნობის ხელი მაინც აწვალებს ლილებს.

— მაშ რაშია საქმე, ჰა?

ანდრო იწყებს თავიდან:

— ნასწავლი ძაღლი, ძმობილო; მანჯური ჰქვიან სახელად; დაბალფეხა ძაღლია. შავია, შუბლზე თეთრი ვარსკვლავი აქვს; თვალები ისეთი ღრმა, გონიერი, გამომეტყველი, რომ...

მეეზოვემ ოდნავ გაიღიმა: საიდან იცის ამ კაცმა ასეთი კარგი სიტყვები—„გამომეტყველი, ღრმა, გონიერი?“—და როდესაც ანდროს ბაგეებზე, ქაფი მოადგა მოზღვავებულ სიტყვებისაგან, მეეზოვემ მორიდებით დაათვალიერა უცნობი.

ქალაქში ბევრი დაეხეტება ასეთი: მხცოვანი წვერ-ულვაში, დაგლეჯილი ევროპული ტანისამოსი, ქუდი და ჯოხი. ზოგი სათვალეებსაც ატარებს: უცნობს არ აქვს სათვალეები, სამაგიეროდ აქვს ფართე და თეთრი შუბლი. ესენი არიან გამოურკვეველის ხელობის. ცხოვრობენ იოლად—ვერ გაიგებ როგორ. მეეზოვესთვის ასეთი მდგმური დავიდარაბაა; პოლიცია ეჭვით უცქერის ამნაირებს და ცდილობს გაიგოს:—რას აკეთებს; რით სცხოვრობს; კითხულობს წიგნებს თუ არა: რა ჯურის ხალხია მისი ნაცნობები; ვინ მისდის ბინაზე; მეზობლების ცხოვრებაში ერევა, თუ ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი.—ჰო, მართლა!—მეეზოვეს

მოაგონდა. ასეთებს ხშირად ებადებათ სურვილი ლაპარაკის, მხოლოდ ლაპარაკის; თუ არავინ ჰყავთ მომსმენი, წავლენ ქუჩაში და დაიჭერენ სრულიად უცნობს; აჰა! გულსაკინძის წვალებაც სწორედ ასეთებმა იციან! თუ ზრდილობიანი ხარ, თანაც ოდნავ გულუბრყვილო, უსმენ მოთმინებით; უდასტურებ ხანდახან: როდესაც აღელდება, შენც უნდა აღშფოთდე; შეიძლება არ გესმოდეს, არც იცოდე, რაშია საქმე. ვინ გაყალბებს თავის შეწუხებას?. მაგრამ-ცოტა რამ თუ გინახავს ცხოვრებაში, თუ ოდნავ მაინც გამოცდილი ხარ, მოუჭრი უცნობს: „ჩემთვის უდაოა, რომ თქვენა ხართ მართალი მაგრამ, იცით რა... მეჩქარება, მშვიდობით." შეიძლება ქუდიც მოუხადო თავაზიანად და დაჰპირდე:—შევხვდებით კიდევ!—ამით მას შეუნელდება უკმაყოფილება.

ანდროს გაეთავებინა სალაპარაკო და ახლა ეკითხებოდა: ხომ არ უნახავს მანჯური? მეეზოვე ხომ მუდამ ქუჩაშია და უთუოდ თვალს მოჰკრავდა! შავი, თეთრი ვარსკვლავი.

მეეზოვე გულუბრყვილო კაცი არ არის, არც გამოუცდელი ვინმეა, ამიტომ უცნობს საჩქაროდ გამოუცხადა თანხმობა.

— დიახ, მე ძალიან მჯერა!

— რა გჯერა, ჩემო ძმაო! მე გეკითხები, ხომ არ გინახავს მეთქი?

ანდრომ კლავში მოივლო ხელი. მეეზოვე ცოტათი დაიბნა. ვაჟარი იდგა კარებში, მეეზოვეს თავის მოქექა უნდოდა, მაგრამ არჩია ეკითხა მედუქნისათვის:

— დახლიდარო, შენ ხომ არ გინახავს მანჯური,—გონიერი, გამომეტყველი?

— გამომეტყველი მანჯური? როგორ არა! მანჯურიაში ვიბრძოდი! ჭრილობაც მივიღე—და ვაჟარმა დააპირა თავგადასავლის მოყოლა, სულ ერთია მუშტრები არ აწუხებენ: როგორ გაემგზავრა ომში, სად მიიღო ჭრილობა, რამდენად გონიერი ხალხია იაპონელები; დაუსრულებელი ამბავია, დიდ დროს მოითხოვდა. ანდრომ გააწყვეტია:

— ჯანდაბას იაპონია!—ის ეკითხება სხვა რამეს! პიროუტყვი დაეკარგა — ხომ არ უნახავს!

— ცხვარი იქნებოდა!—

— ცხვარი კი არა, უთხრა ანდრომ—ძაღლი, ნასწავლი ძაღლი! შავი. შუბლზე თეთრი მთვარე აქვს.

ვაჟარი გულნაკლული იყო: არ მოუსმინეს კარგი ამბავი! მერე კიდევ ვინა? გამვლელმა, ისიც მეეზოვის თანდასწრებით! საჭიროა უცნობის გამასხარავება რომ მეეზოვე არ უცქეროდეს დაცინვით მას; საჭიროა მდგომარეობის აღდგენა; ამიტომ ვაჟარს განგებ შეაქვს ეჭვი მანჯურის ძაღლობაში.

— გამიგონე: უეჭველად შავი ცხვარი იქნებოდა, თეთრი მთვარით შუბლზე, არა?

ანდრომ ჯერ წამოიძახა:

— რას მასწავლი!—მერე უეცრად მიხვდა რომ ხუმრობდა ვაჟარი, და დაუყვირა:

— გრცხვენოდეს!—და გაიქცა.

მეეზოვემ ეხლა მოიქექა თავი. ვაჭარს შერცხვებოდა, მაგრამ, განზრახ გადიხარხარა უდარდელად. როდესაც შებრუნდა სავაჭროში, მეცხვარის ლექსს მღეროდა. მიდიოდა ანდრო ჩქარა. ბევრს დაეჯახა გულზე [illegible], თანაც ფიქრობდა:—არა უშავს რაო!—ხოლო ისინი, ვისაც ეჯახებოდა ლანძღავდენ: —თავხედი!...—რეგვენი!

ანდროს ძაღლი დაეკარგა დილით და ეძებს დილიდანვე; ყველას ეკითხება: ხომ არ უნახავთ? ჩვეულებრივი კითხვაა, მაგრამ ერთის თქმით ვერავის შეასმინა შინაარსი. ვინ იცის, რამდენს ჰკითხა, რამდენჯერ მოუხდა განმეორება. ანდრო ფიქრობს:

— რა არის გაუგებარი? ნუ თუ სიცხის ბრალია? დიახ, სიცხემ ხალხს ტვინი ამოუშრო და მოსაზრების უნარი დაუკარგა. ამიტომ უნდა ილაპარაკო უბრალოდ. ანდრო იმეორებს გონებაში ძაღლის დაკარგვის ამბავს მარტივად; პირველივე მავალი უმალ უნდა მიუხვდეს. ამბავი ანდროს გონებაში დალაგდა ასეთის სახით:

— მე ვცხოვრობ ამა და ამ უბანში; მყავს ძაღლი—შავი, შუბლზე ნიშანი აქვს თეთრი; ძაღლს მე დავარქვი მანჯური და მთელი უბანი მანჯურს ეძახის; მე და მანჯურს გვიცნობენ ყველანი; ჭკვიანია მანჯური, ბრძენია თითქმის; გაწვრთნილია. უბნის ბავშვებს უნდათ რომ მანჯური იყოს მათი. მაგრამ ძაღლი ჩემია, ამიტომ ბავშვები ემტერებიან ჩემს ძაღლს. დიასახლისსაც უნდა—მისი იყოს ძაღლი, და მემტერება მეც და მანჯურსაც; აგრეთვე იმიტომაც გვმტრობს დიასახლისი, რომ... მადროვე!

ანდრო შესდგა; ამბავი, მართალია, სადად ეწყობოდა, მაგრამ ძალიან გრძელი გამოდიოდა.

— უნდა შემოკლდეს! მაშ ასე! დილით მე ყოველთვის ძაღლი მაღვიძებს; ეს არის ჩემი და მანჯურის ჩვეულება; ამ დილით კი მე გამაღვიძა მეზობლის ბავშვმა; მე მანჯური მეგონა და ვეკითხებოდი: მანჯურ, სიცხეა თუ არა დღეს! ბიჭმა დამიძახა:

— რა დროს სიცხეა! შენი ძაღლი, ძია, ორმა კაცმა მოიტაცა; გალიაში ჩასვეს და გაიქცენ!—მე წამოვხტი, მომაგონდა: მანჯურს ვერ ვუყიდე ყელსაკიდი ნიშანი და ეხლა უთუოდ დაიჭირეს; ჭკვიანი მანჯური, გონიერი!

მეორე ოთახში დიასახლისი შფოთავდა—თითქო სიცხისგან, მაგრამ მე ვიცი—უხაროდა მანჯურის დაკარგვა...ამბავი ვრცელია ისევ.—ანდრომ ჩაიქნია ხელი: როგორც მოუწევს, ისე იტყვის. ცოტათი გული დაწყდა—ამდენი ილაჯა უქმად. შესახვევში დაინახა, მხიარული ბიჭი მორბოდა.

— ბიჭო, ბიჭო! შენ ხომ არ გინახავს შავი ძაღლი?

— აგერ, ძია!

ანდრო თითქმის გაიქცა. ქუჩაში იდგა დროგი, მავთულის გალიით. ორი კაცი იჭერდა ძაღლს; ერთს ხელში ეჭირა გრძელი გაზივით რკინა,—მეორე შორიდან ელერსებოდა ქუჩის ძაღლს:— მოდი ხორცი სჭამეო.—ძაღლი გრძნობდა ხიფათს, მაგრამ ლუკმას სთავაზობდენ და ვერ დარწმუნებულიყო, თუ გაიმე-

ტებდენ; სამაგიეროდ დარწმუნებული იყვნენ ბავშვები; ისინი იდგნენ გროვათ; დაიჭირეს ძაღლი და ბავშვებმა ასტეხეს ყვირილი; უ—უ—უ!—

გულგახეთქილი ძაღლი სტიროდა მილეულის ხმით; ქუჩის ბოლოში და ყოველგან, სადაც ძაღლებმა ვაიგონეს მოძმის ზარი, გაბრუნდენ უფრო შორს; გალიაში ამოძრავდენ ტყვეები; ახალი ტუსალი დასუნეს, მერე უკბინეს; როდესაც გალიაში ძაღლები ჰყეფდნენ და გორაობდენ, ბავშვები იცინოდენ. ერთმა დამჭერმაც გაიცინა, მეორემ—არა. ასე დაიყვირა ანდრომ:— აი ჩემი მანჯური!

ეს ძახილი იმდენად სასაცილო გამოდგა, რომ გაიღიმა მეორე დამჭერმაც.

— მანჯური ჰქვიან?

— ჰო, მანჯური. გაანთავისუფლეთ ეხლავე!—ძაღლმა გამოჰყო ცხვირი გალიაში. კუდს ცხარედ იქნევდა; ჰყეფდა, ჰყეფდა ბედნიერი, მნახველი პატრონის. ანდრომ მიუალერსა; ანდრომ განუმარტა ყველას დამჭერთ და ბავშვებსაც მანჯურის ღირსებები:

— გთხოვთ გაანთავისუფლოთ.—მიუხედავათ ამისა არავინ აღებდა გალიის კარებს.

— მაშ, რატომ არ ანთავისუფლებთ, ეს მითხარით მე.

დამჭერი ამბობდა:— არა გვაქვს ნება „რომ ქუჩის ძაღლები გავუშვათ. თუ არ არის ქუჩის ძაღლი ყელსაკიდი ნიშანი ექნებოდა, რომელიც იყიდება სამმართველოში; თუ ვინმეს არ შეუძენია, რა ჩვენი ბრალია! ყოველ შემთხვევაში, კვლავ შეიძლება ყიდვა. ვადა სამი დღეა. შემდეგ კი ძაღლი ტყავდება, ტყავს ამუშავებენ და გამოდის ხელთათმანები. ფერადი ქისები და სხვა. ანდრომ ამოიოხრა:

— სადა აქვს ფული?—ცუდად არის საქმე. მაინც სთხოვს. დამჭერნი სხდებოდენ ფურგონზე; დაიძახებენ აჩუ! და დასტოვებენ დალონებულ ანდროს; ანდრო დაბრუნდება სახლში მწუხარე. დიასახლისს გაეხარდება. ანდრო ეცდება ფულის შოვნას, მაგრამ დიასახლისიც ეცდება, რომ არ იშოვნოს ფული ანდრომ— ასე ფიქრობდა ანდრო, როდესაც ფურგონს მოადგა მრისხანე სახის კაცი.

— აბა, ძმობილო გამოუშვით ეს ძაღლი ეხლავე, თუ არ გინდა, ორივენი რომ გაგგზავნოთ გალიაში!—კაცი უთითებდა დამწყვდეულს მწევარზე და ეჭირა ძაღლის ნიშანი. დამჭერმა ბოდიში მოიხადა, ანდრომაც ბოდიში მოიხადა და ისე სთხოვა მრისხანე კაცს—დახმარებოდა!

— ესეც გაანთავისუფლეთ!

— გმადლობთ, დიდათ გმადლობთ!—დამჭერნი ცუდ ხასიათზე დადგნენ, მაგრამ ძაღლები გაუშვეს. დროგი დაიძრა ხმაურობით. ანდრომ მანჯურს გააკეთებინა ორნები, მაგალითად: უკანა ფეხებზე დადგომა, ხელის ჩამორთმევა და სხვა. ბავშვები კმაყოფილნი დაიშალნენ. ანდროც წავიდა.

უბნის ძაღლები ეალერსებოდენ მანჯურს; შეშინებული მანჯური გაურბოდა პატრონს. ანდრო იცინოდა და ამბნევებდა:— საშიში არაფერია, მხოლოდ კვლავ აღარ დააჭერინო თავი!

გახურებულია მტვერი, ფილაქანი. შეხუთული შენობები დგანან გულშემყრილნი და ზურგზე ასდით ბოლი; ქუჩამ დაუწვა შიშველა ფეხები გოგონას.

ქუჩა ელვარეა და გავარვარებული. შეიძლება ივი ქუჩა კი არ იყოს, არამედ ხერხემალი მზის.

— მაშ მზემ გადმოყარა ძვლები ქალაქში?

არა. მოქალაქენი ხედავდენ როგორ ამოვარდა მზე [illegible] ისმოდა ხმა დანის ლესვის და კბილების ღრჭენის; ეხლა მზე ქალაქს უბრუნებს ჯიგარს; მზემ კბილებით ამოუგდო ძვლები ქალაქს და ხრავს; ვაჭრები სხედან დახლში; კარგია თვლემა, მაგრამ აბეზარ ბუზებს მიაქვთ თვალი; წოლილ ლაბაბზე მობობლავს ოფლი დაუსრულებლივ. ვაჭარი დაიწყებს ფიქრს ზამთარზე, რომ გაგრილდეს; შემდეგ აიბუზება, როგორც სიცივის დროს; ბოლოს მხრებს ჩამოჰკრის უნუგეშოდ, ხელს დაირტყამს თავზე ზანტად, თან იტყვის:

— დაიჯერე, რომ ყინვაა შე ვერანავ!—მოჯამაგირე ბიჭები ფილაქანზე ასხამენ წყალს, გოგონას სწადია გაგრილება და ისველებს ფეხს. ანდრო ხეითქში სცურავს; შვიდჯერ მოიწმინდა თვალი მუშტით; ზურგზე მიეკრა პერანგი და პიჯაკი მიეკრა პერანგს; ენა გამოაგდო ძაღლმა. ჩრდილი არსადაა—ვაჟკაცობა სიცხემ წაართვა ანდროს; ბინას მიუახლოვდა. დიასახლისი იწვა აივანზე და ინიავებდა ალვის შტოთი. დიდედა სულს ლაფავდა—წოხუცი, გამხდარი, სუნთქვა მილეული. ლოგინი გაშლილი იყო ღია ფანჯარასთან და ანდრომ ვერ გაიგო, მომკვდარა ბებია ელხიაბედი, თუ სძინავს. დიასახლისმა ძაღლი დაინახა და ეწყინა; ელდა ეცა კატას; ერთი დაიკნავლა და გაიქცა. პიჯაკი გაიხადა ანდრომ; დაამურა მანჯური და თითონაც სვამა. ოთახში გრილოდა; ეს იცოდა მეეზოვემ და ხშირად მოდიოდა ანდროსთან; შემოსვლისას იტყოდა:

— ნესტიანია შენი ოთახი, ამიტომ გრილა. ანდრო მუდამ ეთანხმებოდა და ეხლაც დაეთანხმა.

— მართალია! ჯანმრთელობისთვის ცუდია! მერე მოუყვა მეეზოვეს ძაღლის დაკარგვისა და პოვნის ამბავს. დიასახლისი თითქო სთვლემდა ტახტზე, ნამდვილად კი ისმენდა ყველაფერს.

მეეზოვეს ჰქვიან სახელად კოსტა და უსმენს ანდროს; უსმენს იმიტომ, რომ პატივს სცემს. გაოდა ამას:—სწორედ საინტერესო ამბავია!—როდესაც ანდრომ უთხრა, რომ გამვლელებს ვერ გააგებინა საქმის შინაარსი, მეეზოვემ არ დაიჯერა და ჩამოართვა კდემამოსილებად. „თორემ ანდრო ისეთი კარგი მოლაპარაკეა! აი, ეხლაც რა გაუგებარი სიტყვები ისმის!—გაოცების ნიშნად კოსტამ ტუჩი ცერი; ძაღლს მიეფერა; საზოგადოდ ძაღლები სულს, მაგრამ ანდროს ხათრით. დიასახლისმა დაუძახა მეზობლის ქალს:—მარიამ!—იქაქანეს:

— დიდედა ავათაა ძალიან! სძინავს. ცხელა! ეს ორივემ იცოდა. მერე დიასახლისმა დაბალის ხმით მოუთხრო, რაც არ იცოდა მარიამმა—მანჯურის შემთხვევა. ბინადარის გასაგონად იძახდა:

— უქმარშვილო ქალი ვარ. გულს ვაყოლებ კატას; მდგმურებმა კი ჯიბრით ძაღლები გაიჩინეს. რა ვქნა, რა ვქნა მე!

ანდრომ ხმა გაკმიდა; შემდეგ აღელდა, გულიც მოუვიდა: პირველად არ ესმის დიასახლისისაგან განაჩენი. მაგრამ, არ ვარგა ჩხუბი! კოსტა ვერ მიმხვდარიყო,—რატომ არ აუკრძალავს ანდრო ასეთს თავხედობას დიასახლისს.

აივანზე გაჩოჩნდა ჩასუქებული კატა, ძაღლმა დაუღრინა. დიასახლისმა კალთაში ჩაიგორა კატა; დიასახლისი ეფერებოდა კატას:

— ჩემო ფისო, ქვეყნის ფასო: მე მითხარი, თუ გაწყენინოს ვინმემ. კუდით ქვას ვასროლინებ ყველას!

კიდევ ერთი ასეთი სიტყვა რომ გაეგო ანდროს, დაარღვევდა მეზობლურ განწყობილებას; განა ყველაფერს მოითმენს კაცი? ვერ მოითმენს. უნდა ეჩხუბო ღტვინო დედაკაცს; შეიქნება აყალ-მაყალი; დიასახლისმა იცის ყვირილი და იკივლებს კიდეც თუ გაუჭირდა; გამოიღვიძებს ავადმყოფი, შეწუხდება; მართალია, სიცხეა, და დგას დიდი სიზარმაცე, მაგრამ ხალხი ეზოში თავს მოიყრის, რადგან უფასოდ თავის გართობა უყვარს უბანს; ანდრო დიასახლისს ყოველთვის ჩასჭრის დავაში, მაგრამ უბანი ჭორიკანაა; ყბად აიღებენ, გამოუგონებენ რამეს, თვითონ დიასახლისი გამოუგონებს; ო, დიასახლისი ძალიან ბნელი პიროვნებაა, ერთი სიტყვით—კახპაა, ყველაფერს იკადრებს! და რომ არ მომხდარიყო დავიდარაბა, ანდრომ ბოდიში მოუხადა კოსტას და წავიდა მეზობელთან და წაიყვანა მანჯურიც.

დიასახლისმა თვალები დაულურსა ანდროს; ანდრომ შეხედა მრისხანედ. ანდრომ თავი დაუკრა მარიამს; კოსტა დარჩა დიასახლისთან; დიასახლისი ყოველთვის ძვირს ამბობს მდგმურზე; მეეზოვე ისმენს და ხმას არ იღებს! უწინ მეეზოვემ იცოდა თავის ქნევა—ვითომც ვეთანხმებიო—მაგრამ ერთჯერ დიასახლისმა ჰკითხა:

— კოსტა, ავად ვიხსენიებ მე ანდროს და შენც მეთანხმები; იმასთან კი დადიხარ და აქებ პირში. რაშია საქმე?

რაშია და იმაშია საქმე, რომ პატივს სცემდა მეეზოვე ანდროს, თავის დაქნევაში კი, არა ეხარჯება რა. ასე არ უპასუხა კოსტამ დიასახლისს—მხოლოდ დაიბნა, გაწითლდა. კვლავ არ დაუქნევს თავს არასოდეს ამ კუდიან დედაკაცს; დაჯდება ყარყუმივით და მოუსმენს: აბა, რას იტყვის მეტს? მარიამიც იჯდა უხმოდ. დიასახლისმა მოიჯერა გული მეზობლის გაქიაქებით, მერე აღნიშნა:

— უჰ ცხელა!

— ძალიან!

—ძალიან!

ამის შემდეგ მეეზოვემ სთქვა:

— დილის ოთხზე ბნელა. საათის ხუთზე კი სინათლეა.

მარიამს ესიამოვნა ეს უხმოდ და დაუმადლა კოსტას, რადგან ეგონა: თუ კი სინათლეა საათის ხუთზე, მაშასადამე, მალე აგრიოდებაო. დიასახლისს არაფერი ეგონა, მაინც უმადურის კილოთი უთხრა მეეზოვეს:

— ნეტავი შენ, მოგცლია:

მეეზოვემ დაახველა განგებ, და როდესაც მეორედ დაახველა, გამოეღვიძა მძინარს.

ოხრავდა ძველი და ტყავი ავადმყოფის—გაწურული ოფლში და დაფენილი ლოგინზე ზეწრად; ყვითელი თავი უცახცახებდა ყოველ ამოსუნთქვაზე, და

ამოსუნთქვა იყო წვრილ კისერა და გამხდარი; ჩამქრალი ძარღვები აპირებდენ ხელების დაკრეფას.

კოსტამ იგრძნო დანაშაული და შეკრთა. დიასახლისმა დასწყევლა:

— დაგეწვას კანი, ძუძუ ძაღლო! დაიკარგე აქედან!

კოსტა საჩქაროდ წავიდა. მეზობლის ქალიც აპირებდა წასვლას. დიასახლისმა არ გაუშვა.

— მიჰხედე ავადმყოფს, მარიამ!

მარიამმა მიჰხედა, თანაც ჯავრობდა:—თვითონ ხომ არ გაინძრევი, როკაპი! თითქო იმისი დედა კი არ იყოს ავადმყოფი, არამედ ჩემი დედა იყოს!

დიასახლისი იწვა ტახტზე; ავადმყოფს მარიამმა ოფლი მოსწმინდა და ბალიშიც გაუსწორა, მაგრამ ვერაფერი აამა. მაშინ მარიამმა დაყვავებით ჰკითხა ავამდყოფს:

— რა გინდა, ელისაბედ, სთქვი.

— სიკვდილი!—ისროლა დიასახლისმა.

მოხუცი ელისაბედი ევედრებოდა შვილს თვალებით:—არ შეუძლიან მეტი წაერთვა ძალა; სხეული არ აბადია თითქმის, და რაც გააჩნია, არის ტკივილი: ტკივილია სიცხე. თეთრი, შეკრეჭილი თმა, რომელთაც თავის ქალადან ამოჰყავთ გათაებული ძარღვები, ტკივილია აგრეთვე. დაუამე დედას! ყველაფრის დაამება იცი შენ. შენ უნდა იყო სიხარული ჩემი, მაგრამ მე შემიძლიან ტკივილი მხოლოდ. შვილი ხარ შენ და დიდი ტკივილი ჩემი, დედაშვილობამ!—

ავადმყოფს აუტყდა ხველა. მაშინ, მარიამმა გაჯავრებით დაუძახა დიასახლისს:

— მაკა, უშველე, ჭალო, დედაშენს!—დიასახლისი წამოდგა; ლოგინთან ფუსფუსებდა; ხველას ამოჰქონდა ელისაბედის გულღვიძლი და ხველაში ერეოდა მრისხანე სიტყვები შვილის:

— დახრჩობა! ჩემი მონელება გწადიან და მერე მოისვენებ. აჰა, ჩაძაღლდი!

ჩვეულებრივი მოულენაა—იცის მარიამმა; თვითონ ელისაბედმა, ანდრომ, კოსტამ და სხვებმაც იციან. ანდრო—პირველად წაეჩხუბა მაკას:

— დედაკაცო, შვილის მოვალეობა! ზნეობა!

მაკამ უთხრა ანდროს—რასაც ე-ბნებოდა სხვებს:

— განა გულით ვამობ? დამტანჯა ცხოვრებამ, გულნატკენი ვარ. დედა ჩემი მე უფრო მებრალება!

ყველას სჯეროდა, მაგრამ ანდრომ არ დაიჯერა. მაშინ დიასახლისმა იტირა, მერე საწყენი შეახო ანდროს. ამის შემდეგ დიასახლისი და მდგმური არ შედიოდენ ერთმანეთისას, მაგრამ უთანხმოება ისევ დარბოდა ოთახებში—კატა და ძაღლი. ეხლა დიასახლისი ზის დამშვიდებული. მარიამმა ტილოთი გაუგრილა ავადმყოფს შუბლი და დაჯდა. თუ ოდნავ დაუბერავს სიო, გადარეკავს სიცხეს. ავადმყოფი ფიქრობს:

— დასნეულდა ბეჩავი ელისაბედი—მაკას დედა, ჰგდია მუდამ ლოგინზე: ლოგინი ბუდეა სნეულების; სნეულება გაძლიერდა სხეულში; ამის შემდეგ

ალარ იქნება გართობა მეზობელ ქალებში; სიარული და ყველაფერი გათავდება ამით; დიასახლისი გაიბანს სიძღერას წვრილის ხმით, რომელიც ვითარდება ტროფობის ფარდებში; მარიამი ხნიერი ქალია—ისმენს:

— ერთად დავსხდეთ და ვლაქიროთ,
როგორ არხევს ზღვას ნიავი—

მარიამს წარმოუდგება სიძღერის გმირები: ყელსახვევიანი კაცი, თეთრი პანტმით, და ქალი, რომელსაც აქვს ხელთათმანი თითებ-ნოკრილი, და ჭრელი ქოლგა: მაკას კი არა აქვს ქოლგა, არა აქვს ხელთათმანები, და ეცინება თავისთვის ხნიერ მარიამს; კიდევ რაღაც აცინებს მარიამს, მაგრამ არ იცის რა აცინებს.—ჰო, მაკა თმას იღებავს; მოდის ერთი სპარსელი. ჰინას და სურმას ჰყიდის; სპარსელი და თმას იღებავს მაკა.

— ეშმაკივით იცინი!

მარიამს შერცხვა. რაკი აგრილდა, სასიამოვნოა. გაიხსნა ღილები, რომ ნიავი შედიოდეს ხბურვალე იღლიაში. საუბარი გადადის ავადმყოფობაზე; მაკამ გაიხსენა ღრძილების სურავანდი, და წამლად დაასახელა ჯალღუზა, ჯაოზი, და დაუმატა:

— კარაბადინში სწერია—მარიამი თუ ოდნავ შეეჭვდა, მაკა თაროდან გადმოიღებს ხელნაწერ წიგნს, გადაშლის დაჭრულ ფურცლებს, სადაც დაცულია საიდუმლოებანი აქიმობის—დატოვებული უჯუცესთაგან აღსადგენად შერყეულ ჯანის.

ძველად ელისაბედი მკურნალობდა კარაბადინით, მანამდე კი ელისაბედის დედა აქიმობდა, უფრო ადრე—დიდედა. ყდაზე არ არის აღნიშნული: რომელმა მონამან ღვთისამან, ანუ ღვთისავე მხევალმან მოაგროვა და შეადგინა საუნალებანი ასარიდებლად სნეულებათა, ფათერაკთა და ჭირთა!

მაკა ამთქნარებს, მერე იცინის, რადგან აგონდება:

ეს იყო უწინ; სიყვარული პირველად მოინელა და გადასახლდა სოფელში; მარჩიელობა დაიწყო სოფელში. ხელფასად ღებულობდა შინაურ ფრინველებს—ცოცხალს, შემწვარს, მოხარშულს. და მიდიოდენ სოფლის დედაკაცები და გლეხები სოფლის; მაკა მიირთმევდა ქათმის ბეჭს, კურტუმოს, და სადილის შემდეგ არავის ღებულობდა. ბოლოს ხელი აიღო მარჩიელობაზე და სიმსუქნე დაუბრუნა ქალაქს. მაკა იცინის:—ვაბრიყვებდი უგუნურ სოფელს!

მარიამს სჯერა ცისნობა. შეურაცყოფილია, და თუ რამ იცის ავი სიტყვები, გონებაში უწოდებს მაკას:

— როსკიპი! ცბიერი! მურტალი! კახპა!

ეზოში მორბის ბავშვი. მაკასთან პატარა ბარათი მოაქვს. ბავშვი საჩუქრად ღებულობს ერთ მუჭა თხილს, მაკა კითხულობს ქალალდის ნახევს; მაკას თმა შეღებილი აქვს ჰინითა და სურმით. ჰიაფერით გაწითლებულის ტუჩებით ჰკოცნის უსტარს:

— დარჩო მოვა!

მარიამი წავიდა; დიასახლისმა დაუძახა მიმავალს.

— სახლი დასაგველია, წყალი მოსატანია. ან შენ თვითონ მოდი, ან გამოგზავნე ვინმე.

მარიამმა დაცინვით ჩაილაპარაკა:

— ოოლოლო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრჯერ გაუკილავთ დიასახლისი მარიამსა და ქალებს, მაგრამ მ სთან მაინც დადიან. უზიდავენ შეშას და ნავთს, უმზადებენ სადილს, ართობენ ჰორებით. როდესაც შელამდება და უბნის ქალები აავსებენ აივნებსა და ხლურბელს გაგრილებულის ხმიანობით, მაშინ მაკას, მოუვლენ ნაცნობი მამაკაცები. მაკა ლებულობს სტუმრებს და სტუმრები მიჰყავს ერთ კუთხეში, სადაც ჭილობის ფარდა ლოგინს უმალავს სხვებს. ელისაბედი უმზერს ჭილობს და ერთგვარად გრძნობს ტკივილს:—ავადმყოფობა ოხვრაა; ოხვრა იცის ელისაბედმა. ნეტავ რა არის სიხარული!

სტუმრები სხვადასხვა ნაირებია: ერთნი იწყებენ უბგვანო ბღლარძუნს და დუჟიანი ბაგენი ზოაქვთ ქალის შეფერადებულ ტუჩების დასალოწნად: ყველას არ ეძლევა ტუჩებში კოცნის ნება, დიასახლისი აგრძნობინებს ამას სტუმრებს და ეუბნება:

— არც ლოყა მომიყიდნია შენთვის, არც ტუჩები. მორჩი მალე!

თუ აკოცეს შემთხვევით, მაკას ბევრი აქვს საღებავი ღაწვთა, ხოლო ბედნიერი კურო უცხადებს:

— ტუჩები ღაჟღაჟა, გემრიელი ტუჩები!

ფასი ნახევარი მანეთია არც ძვირი, არც იაფი! კარგია, რომ მანეთი იყოს, მაგრამ ვინ მოგცემს! შემდეგ სტუმრები საუბრობენ ავადმყოფთანაც, თუ მოულოდნელად შემოდის ვინმე, დიასახლისი წარუდგენს:

— ოჯახის ძველი მეგობარი!

„ძველი მეგობარი“ მალე მიდის და ანგარიშობს:—ვერცხლი ნებას აძლევს, რომ ისევ მოვიდეს, ან როდის?

მეეზოვე ლოდზე იჯდა ჭანდრის ჩრდილში; სთვლემდა კოსტა. თავი ჩამოეგდო დაბლა. ჟეცრად გასწორდებოდა ხოლმე წელში, მაგრამ კვლავ უარესად იხრებოდა ძირს; თანაც ფიქრობდა მეეზოვე:

— სიზარმაცე მიხრის ბეჭებს; სიცხემ დაგვაძაბუნა ყველანი, და მე მარტო რას გავხდები!—ამით იმართლა თავი კოსტამ. კოსტას დიდი ხანია წასვლა უნდოდა ნიკოსთან, სადაც წავიდა ანდრო ტკბილმოუბარი; საჭირო იყო ადგომა, მეტი არაფერი. გადააფურთხებდა და წავიდოდა. ბარემ ორჯერაც ადგა კოსტა, გააზმორა და წავიდა, მაგრამ თურმე ეძინა. და რომ ეძინა, მაშინ მიხვდა, როდესაც შუბლით ჩაემხო თავისავე მუხლებში; ერთის სიტყვით, ვერ წავიდა. გულისთებოდა ამიტომ, და რომ ძილი მაინც შერგებოდა, გამოიგონა სიცხის გამტყუნება:

— რა ჩემი ბრალია? ცას ხვატი ჩამოსდის. აჰა, ნახე!

მეეზოვეს ეძინა და იმის მაგიერად ხელს იშვერდა ძილი. ნიკოსკენ მიმავალი გზა ხრამში გადიოდა და გადასათელი იყო ალმართიც; დამხობილ კლდეს

გაუდიოდა ჯრტიალი, და რადგან მზე იჯდა კლდეზე, თვალი ვერ უძლებდა ცქერას; მეეზოვემ შესწყვიტა მზერა.

ბალღები დაეშვენ ხეკიდან მოდუნებულის კუნთებით; ერთმა მეეზოვეს ქვიშა შეაყარა წვეროებზე. მერე ჩხირი გაუფაჩუნა ყურზე—[illegible] მოიგერია ხელით: ბუზები იქნებიანო. ასე აწვალეს ბავშვებმა კოსტა. დარჩო ბრუნდებოდა ნამუშევარი; ჯაგანი აწამებდა ელამ ფაშატს; მეჯაგნემ დასჭყივლა ბავშვებს; დაფრთხენ ბავშვები და დასცეს ყიჟინა; კოსტას გამოეღვიძა; კოსტამ შეაგინა დედ-მამა და ბავშვებს დაუძრახა ცელქობა. ბავშვები კი უკვე ჯაგანზე ისხდენ; ერთმა ბიჭმა სადავე აიღო, მეორემ მათრახი გამოსთხოვა მეჯაგნეს; ცხენმა კუდი აიქნია, როდესაც მათრახი მოხვდა უდროოდ, მერე ისროლა წყვილი წიხლები; ბოლოს აძუნძულდა; ბიჭებმა სიმღერა შემოსძახეს. დარჩო ახლახან დაბრუნდა რუსეთიდან. რუსეთი შორს არის და ითვლება ცივ ქვეყნად; ჯარისკაცობა გაათავა. გაათავა ბავშობაც. დადინჯდა; უწინ ხშირად სვამდა სარდაფებში, ეხლა კი—იშვიათად; ბავშვები უყვარს და ბავშვებიც პატივს სცემენ, რადგან მან იცის რუსული ენა; ბავშვებს მოსწონთ სიტყვა: „გორტ“.

ძალიან მოსწონთ და ჰგონიათ, ეს სიტყვა გორისოდენაო. ჯაგანი შეაგდეს ნიკოს ეზოში; ცხენი გამოხსნეს; დაჰბანეს, აჭამეს. მერე ცხენი გაგორდა სილაზე და ორჯერ გადაბრუნდა ზურგით. უხაროდათ ბიჭებს.

ამ დროს ანდრო იჯდა ნიკოსთან; ნიკოს არ უყვარს ბევრი ლაპარაკი; შოსმენა უფრო ადვილია. ზის ნიკო, ეწევა თუთუნს და ბურთის ოდენა თვალები არაჩვეულებრივად უბრუნავს გუგებში; თავი ჩაუმალია მხრებში და, ერთის შეხედვით, მიუგავს გალოცხლებულ რკოს; შეიძლება სხვა რამეს უფრო მიუგავდეს, მაგრამ ანდრომ შეადარა ასე:—ნიკო—რკო.

ანდრომ დაწვრილებით უამბო მანჯურის თავგადასავალი. ნიკო მაშინაც ხანტად აბოლებდა თამბაქოს:—ჯერ ადამიანი რა არის—ძაღლი რა უნდა იყოს!—ასე უნდოდა ეპასუხნა ნიკოს, მაგრამ სიზარმაცემ გაუკავა ყბები—მხოლოდ თვალები გადააბრუნა:—დაკნინება.

— გამიგონე, ჩვენ ეშვები რატომ გვაქვს, ნიკო!

— ჰმ.—უპასუხებს ნიკო.

ეს პასუხი არ არის, მაგრამ ანდრომ იცის, რომ უკეთეს ვერ ეღირსება და გააგრძელებს; ლაპარაკის საგანია დიდრონი მასალები—მაგალითად: რისთვის გაჩენილა კაცობრიობა? რა უნდა აკეთოს და რა არ აკეთოს კაცობრიობამ?

ახალგაზრდობაში, როდესაც უჭირდა ნიკოს, ბევრს ფიქრობდა; ბევრი გამოჰქონდა განაჩენი; დაეხეტებოდა უბნებში; მერე სხვა და სხვა ქალაქებში. ბევრი ღამე გაუთენებია ბაღში, სადაც დარაჯები ყნოსვით მიაგნებდენ ხოლმე უბინადროს, რომ აევდოთ ბუდიდან:

— მაშ სად წავიდე, მეგობარო! დამტოვე აქა, ხის ძირში დავწვები; ხეს არ გადაუღრღნი ძირს და ყვავილების ფესვებს არ შევჭამ.

— არა! არა! არა!

ნიკო ისევ ქუჩაში მიდიოდა. მერე ისევ ბაღში შეიპარებოდა და, სინამ იყო ფიქრობდა:—ხეებო, ხეებო! თქვენა ხართ კარგი ბიჭები და გულკეთილი

ქალები; თქვენი დარაჯი კი ხე არის, შემა! ნეტავ ვინ არ იგრძნობს ჩემს ყვირილს! მე უფრო მუნჯი ვარ მუდამ და ყვირილით სავსეა სული: ეს უარესია: მერე უარესად ვყვირი, ჰაერი ცარიელია და არ მესმის გამოძახილი; ამიტომ ზოგჯერ არც კი ვიცი, ვყვირი თუ ვდუმრავ.—მერე შემოინდებოდა:—ხომ არ ვგიჟდები?—და მოინატრებდა მრისაუბრეს—მაგრამ ბაღს ხომ ჰკეტავენ ღამით არავის სტოვებენ შიგ—აკრძალული იყო. მაშინ ნიკო გაიმხნევებდა თავს:—ჯანდაბას გადარევა! სადა მაქვს ტვინი! მე მიწყვია თავში ერთმანეთზე გადაძიძგული გველები: დამცირება, სიმშილი, ყინვა! ეხლა კი ეცინება ნიკოს: ეს იყო დიდი სისუსტე, ჰეშმარიტად! როდესაც ღამე გალხვობილ წელით ჩამოეკიდებოდა შტოებს მე ვიძინებდი; მლანძღავდენ დარაჯები ღორსავით; ჩექმას მირტყამდენ ფერდებში, რომ სისუსტე განეცადათ ძვლებს, ხორცს, სისხლს; დიდი სისუსტე! ნიკომ შემდეგ იპოვნა გულის სიმაგრე და იგრძნო საკუთარი თვალები—მრავალ სიამოვნებათა მომტანი.

პატარა საიდუმლოებაა ეს—არ უნდა გახმაურდეს: ერთი კაცი გამოშიგხა, რომელსაც ბევრი ფული ებადა. მერე ჩამოვიდა თავის ქალაქში და სცხოვრობს ტკბილად. ანდროს მოუსმენია ნიკოს ცხოვრება ნაწყვეტებად: ღვინოს სვამდენ: თვალის გუგა დაებერა ნიკოს და მაშინ სთქვა:

—უხეირო ფიქრები სუსტი კაცის საქმეა.—სცდებით, მოწყალეო ხელმწიფევ, ფიქრი გონების ვარჯიშობაა!—უპასუხა ანდრომ.

არ დაეთანხმა ანდრო; არ ეთანხმება ეხლაც და ამბობს რასაც ამბობდა ყოველთვის. სამაგიეროდ, ნიკო ფიქრობს:—იღაყბე წვილოსან!

ბარად დაეშვა ღამე მთებიდან; ისმოდა ნაბიჯი მოსხლეტილ ქვებში და ხრეშის ცვენაში; ქალაქის გალავანს მოადგა ბანჯგვლიანი ღამე; თათებში ეჭირა ელექტრონის ლამფა. ადგა ანდრო; ძაღლმა დაიბერტყა რწყილები. ამის გამო ნიკომ იფიქრა:—მიაკვდი პატრონს კისერში!—ხელის ჩამორთმევის დროს სტუმარმა ჰკითხა:

— ნიკო, ფეხების სიმსივნემ გიკლო?

— არა!

— ცუდია!

წავიდა ანდრო; ეზოში ანდროს შეხვდა დარჩო, რომელსაც თვალი აარიდა—არ მოსწონდა. დარჩო ელაზღანდარებოდა უსაქმურ ბენედიქტეს. ბენედიქტე იცინოდა. ანდრომ გაისეირნა ქუჩაში; თან ახლდა ძაღლი; აკვირდებოდა ანდრო ხალხის ყოფაქცევას: დუქნები ყველგან დაჰკეტეს; ხელოსნები უბრუნდებიან ბინას, სადაც დახვდებათ სიამოვნება, მოსვენება—ოჯახობა წვირიანი და გათხვრილი ბავშვები; ორი მათხოვარიც ბრუნდებოდა სახლში; კოჭლები, ნახევრად უსინათლონი; უამბობდენ ერთმანეთს დღის შემთხვევას; ერთი ძალიან დაღერემილია. ეტყვის მეორე:—

— გამხიარულდი!

— შენს მუცელში ჭორწილია, ჩემში კი ჯერ ნიშნობაც არ დაწყებულა.

ანდრომ ყური მოჰკრა და გაიცინა; ეზოსთან გააჩერა კოსტამ, რომელმაც გარსკვლავები ახსენა:

— თურმე ყოველ კაცის სულს თითო ვარსკვლავი ჰყავს მიჩენილი!

ანდრომ გაუმტყუნა აზრი მეეზოვეს; ანდრო ყოფილი მასწავლებელია. უთხრა რომ, ვარსკვლავი ტყუილად გვეჩვენება პატარად—შორს არის აქედან და არის უზარმაზარი. ანდრომ რომ სთქვა „უზარმაზარი“, თან ხელით უჩვენა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე. კოსტამ დაიძახა:

— უჰ!—და პატივისცემით გააყოლა თვალი მასწავლებლის თითს. დაუბერა მხურვალე ქარმა; სადღაც იგრიალა გრგვინვამ და მეხი გასკდა; ქუჩა აცახცახდა წვიმის მოლოდინში. ისმოდა გამამაცებულ მოქალაქეთა სასიხარულო ყიჟინა:—წამოვა წვიმა!

კოსტამ გადაიძრო ბუხრის ქუდი, რომ შუბლი მიეშვირნა წვიმისათვის. ჯერ კი ორთქლი ასდიოდა მელოტ თავზე.—მაშ! ანდროც მიუშვერს შუბლს!—ძაღლმა ღონივრად შემოჰკრა კუდი ანდროს:

— უხარიან პირუტყვსაც!

ელვამ გააპო ცხელი ჰაერი და ცამ ვეებერთელა ძუძუები გადმოჰკიდა უბიდან. დაეცა წვეთი. ასი. ათასი. უთვალავი. წვიმა ყირავდება; სოველ ტერფებს წვიმა ესვრის ქუჩის სანათურებს. ალმართიდან დაიძრა მღვრიე წყალი და ქუჩები მკვლავებს სძირავენ მოდენილ შხეფში.

დადგები ეხლა აივანზე და შეკიძლიან მიხვდე—მართლა სიხარულია ეს—თუ მარტო წვიმა; დაითვლი ცის გულუბრყვილო ოინებს—რომელიც გასწავლის, რომ ყოველთვის არ არის ცა უსინდისო.

ფილაქანზე გარბიან დაგვიანებული ქალები! მათ უსველდებათ ფეხსაცმელი, უსველდებათ პერანგი სავსე მკერდით; მთლად სველდებიან ისინი; ქალები ჰკივიან ამიტომ და უნდათ ისეთი სირბილი, რომ ფეხები მუცელზე მოახვედრონ წვიმას; წვიმა რომ იყოს ბავშვი, დაუკოცნიდენ თვალებს და უჩმეტდენ ფუნთუშა ხელზე.

სახლში მისულები იმღერიან სხვა და სხვა სიმღერებს და იცინიან ბევრს.

ანდრო დგას პერანგის ამარა. დიასახლისი ცუდ ხასიათზეა. ავადმყოფი შესწუხდა ძალიან; კოსტა გარედ იწუწება და ისმენს ანდროსა და დიასახლისის კამათს. მეეზოვე გულში მომხრეა ანდროსი; მეეზოვეს ანდროს გამარჯვება გაეხარდება, მაგრამ ვგონებ დიასახლისი სჯობნის:

—რა კაცი ხარ შენ! ოთახის ქირა ვერ გადაგიხდია ოთხი აბაზი!

ბოროტი ქალი ამით ანადგურებს მდგმურს და მეეზოვის კეთილი გული, მიჩვეული ანდროს პატივსცემას, ნადგურდება. მეეზოვე ფიქრობს:

— რამდენი კარგი აზრის თქმა იცის ანდრომ! ეხლა მაინც უთხრას რაიმე მაგარი!—და როდესაც მდგმური ეტყვის გაწიწმატებულ ქალს, განაბული ისმენს მეეზოვე და სტკბება:—ახ, რა მშვენიერია!

— დედაკაცო, ნუ მაბიჯებთ სულში ფეხს,—უპასუხა ანდრომ.—ჩემი სული ფეხსაცმელი არ არის; არც წინდა, არც კაბაა თქვენი.

— ყოჩაღ!—წამოიძახა კოსტამ.

ანდრო შევიდა ოთახში. დიასახლისი დარჩა მოხიბლული და წარმოიდგი-

ნა, თუ როგორ ჩაჰყოფს ფეხს ანდროს სულში და როგორ მოერგება ფეხსაცმელი და წინდები ფეხზე; ოღონდ, დიდ ხანს არ გაუძლებს ალბად, რადგან ანდრო ხნიერია, მოტეხილი და სული ექნება დაქექილი; ამიტომაც დიასახლისმა ისატრა: —ნეტა ენა მომცა ქალამნად!

დიასახლისთან მალე მივა დარჩო. წვიმს. ბენედიქტე (რომელსაც შემოკლებულად ეძახიან ბენედის) დარჩოს ურიგებს სათამაშო ქაღალდს. კედელზე მოთამაშეთა დიდი ლანდია. როდესაც ბენედიმ გადმოაბრუნა ჯიბე და შიგ არა იყო რა, დარჩომ გაიღიმა, დასთვალა მოგებული და წავიდა მაკასთან. ამოიოხრა მაშინ ბენედიქტემ; მერე დაემხო ლოგინზე და ყური დაუგდო წვიმას; ოთახიც გაყუჩებულია. კრამიტზე ჩამოდის თქეში და გრილი ნიავი ფანჯარას არწევს.

შორს სადღაც ისმის თქარუნი. ეს უნდა იყოს ეტლი. შეიძლება თქარუნიც არ ისმოდეს; ჩვეულებრივ წვიმის შხუილია მხოლოდ, მაგრამ ახალგაზდას უნდა სწორედ ეტლი: სოველ ცხენებს ასდით ოშხივარი; წვიმა ცხრილავს ბორბლების გრიალს; ცხენების ფლოქებიც იჩერიტება წვიმაში; ბენედი ხის ეტლში და ჰხედავს:

ელვარე დუქნები გაებენ მოწვიმულ ბადეში; სოველი შენობები ირხევიან ძლმაცერად და პირბადეს ისვრიან შავ ფისზე;

— ვინ არის ძალიან მდიდარი კაცი?—

— ბენედიქტე!

— ვინ არის ბრძენი?

— ბენედიქტე' ბენედიქტე! ბენედიქტე!

მოათავა მხიარულება. ეხლა აგონდება თათარი, კაცი—დათვი რომ ჩამოატარა გასულ შაბათს უბანში; დათვი მ სდევდა ჯამბაზს და ბავშვები მისდევდენ დათვს კვალდაკვალ; ბავშვები ქვებს ესროდენ დათვს; თათარი იცინოდა და დათვი ჯავრობდა; მისი გაბრაზების ნიშანი იყო ბურტყუნი და თათების დაბიჯება მრიდედ; ბავშვებისთვის ეს ძალიან ძვირფასი იყო და კიდევ ესროდენ ქვებს; მაშინ, დათვი იღრიჭებოდა და მოსჩანდა მისი გადახერხილი კბილები. ჯამბაზმა ენაში დაავლო მ კირე ხალი და ზედ დათვი გააგორა. მერე თვითონაც გაგორდა. ხალხს აუხსნა:

— მეც რომ დავწვე, დათუნას ეწყინება.

მოგროვდენ უკლებლივ უბნის ბავშვები, დედაკაცები, მამაკაცები; ჯამბაზი მღეროდა მაშინ, და ეხლაც მღერის ბენედიქტე:

„სოილან, ბოილან... სადაც ბევრი ფულებია იქ დამაჯინაი-ი“. თათარს ფულები აჩუქეს, ბენედიქტეს კი ვინ უთავაზებს რამეს! პირიქით, ბენედიქტემ წავაგო რაც გააჩნდა—ხუთი სპილენძის ფული, მბზინავი მზეზე. ნიკომ ჯამბაზს თეთრი უხალთუნი ჩაუდო ხელში: —„გექუთვნის შენ.“

ბავშვები გათამაშდენ, როდესაც გათავდა წარმოდგენა. მოულოდნელად აგონდება ბენედიქტეს: დათვს კისერში ება ჯაჭვი; ჯაჭვი ება მხეცს, ჯაჭვი ნადირს!

ბენედი შეკრთა, რადგან ამას წინად, იდუმალად ნატრობდა დათვობას:

რომ ეტარებინათ ქუჩებში, ბავშთა გასართობად; მოედანზე ეგორებინათ უნოხოდ, შიშველ მიწაზე, სანახაობისთვის!—თოკი მხეცს კისერში! ეშვები დაჰხერხეთ! ადამიანს ერჩის! ბავშვებს ჩაიგდებს პირში და არ მოუშვებს!

ყმაწვილმა დაბუჭა თვალები; ოთხივე მხარე მოიძებნა გუგაში! არც ერთი ოქრო არსად, არც ვერცხლი, არც ერთი სპილენძი—ფულად დანიშნული. კიდევ ფიქრობს ჭურდულად:—სანაქებო ოინებს გააკეთებდა.

"სადაც ბევრი ფულებია იქ დამაჯინაი"—

ღრიალებდა ჯამბაზი და ვერავინ გაიგო, ნატვრის ლექსი ჯამბაზმა გამოიგონა, თუ ვინმე ხუმარამ გამოუთქვა სიცილის დროს. ეხლა ჰყვირის ბენედიქტე:

— იქ დამაჯინაი—იმიტომ, რომ არ უნდა იყვეს დათვი.

ურტყამს წვიმა ფანჯარას: ფანჯარა სველდება.—რაც არის გარედ, გაიწუწა; ბენედის ძარღვები დაფენილია ეზოში, სადაც ჰვანგებით ჰპოტნიდა მიწას თათრის დათვი. ამიტომ გააჟრჟოლა ყმაწვილს და შეკუმშა ზურგის კუნთები.

მეზობლად სცხოვრობს მოხუცი ქალი; ქალმა ტუჩები აბსნა ულისხლო ღრძილებს და დაიწყო ბაიათის ბღერა. რადგან მაჯარი და უხვი იყო ბაიათი, უცებ აივსო ოთახი მოხუც დედაკაცისა, დანარჩენი კი გადმოდინდა ეზოში, მეორე სართულში აუვსო რკოს ლოთი ყურები და სადათვო ბინაში შესჭელდა ბენედისთან; ნესტიანი ჰაერი ლაგდება თბილ ბალიშებად; ბალიშებზე ბუდდებიან წვიმაში გამოსული ბგერანი, ნაწვიმარ ბუმბულით ფრთებზე. ბაიათი მოჰყავთ სიტყვებს: „არა მჯერა მე შენი ტრფობა."

ბენედი ისმენს, ისმენს და...

— ბაიათო, რა გინდა ჩემგან, რა? გული გინდა? გშიან? აჰა, სისხლი, დალიე, დაო!

ხრამში ვიღაცამ დაიწყო ხროტინი; ნაგუბარი თქეში ანგრევს ყამირს; ბაიათი იხრჩობა უთუოდ:— ალალი გული შეუშვირა ცას: პირი აივსო წვიმით, მუცელი ებერება. ბებერი ქალი ჩაინგრა ნაგუბარში; ჩაიხლართა ხრამში მოხუცი ქალი, წასული მთაბარად „ღვთის გულისათვის" და დაბრუნებული ცარიელა. ხრამი მოლმუის, ღრმა ნიაღვარში ჩამსხდარია; ნიაღვარი სძრავს კაჟიან ლოდებს; ლოდები დალეწავენ მოხუცის ძვლებს. ბენედი წამოხტა: ის იცნობს უძლურ მოხუცს:

— დედა!

სიტყვები ურტყამდენ კეფაში, ვიღაც აძალებდა:

— გაიცინე! გაიცინე!

ბენედი გაიქცა გარეთ. აირბინა მეორე სართული და სადაც სინათლე უჩვენებდა ოთახს, შევიდა. ბენედიმ დაუძახა:

— ნიკო, გეთაყვა!—მერე დაუმატა:—საღამო მშვიდობისა!

ნიკო ზის ფეხმორთხმული, უდგას სურა ღვინით და სვამს: თვალზე ეფარება დასიებული, მძიმე ქუთუთოები; დასიებულს ფეხებს ჰფარავენ ფლოსტები. როდესაც გაწვიმდა, ნიკომ გამოიტანა ღვინო:—დედამიწას მოსწყურდა წყალი;

დედამიწა რომ იყოს ნიკო, ისიც დალევდა წვიმას, მინამ დაიცლებოდენ ცაზე ღრუბლები. ეხლა ნიკო მარტო დასცლის სურას, მერე დაწვება. ქვეით მამაცხონებულმა ქალმა ბაიათი გამართა: ოთახი აევსო ლხენით, და ქუჩაში ღვინო შარბათად იქცა. სიმღერა ულუტუნებს ფეხის გულებს. ბენედი ეკითხება:

— რა გინდა! ოთახის ქირა მოგიტანია?

ნიკომ ასე იცის მუდამ: სახლის პატრონის ჩვეულება დასწავლილი აქვთ მდგმურებს, მაგრამ ეხლა თავზარი დაეცა ბენედის. აემღვრა თვალი, მიაშტერდა რკოს.

ნიკო, გაზეთი წაგიკითხავს? ასეთ დროს, იბეჭდება ახალი ამბავი—მკვლელობის, თავის დარჩობის, დაცემის. უბანი მეორე დღეს გამოათრევს გარდაცვლილის გვამს. იწყება კვლევა-ძიება. ისინჯება შემთხვევის სარჩული. კაცები ამბობენ: კარგი ბიჭი იყო თუ ცუდი. ქალები აღნიშნავენ: როგორ მიწებებულა თმა ნასისხლარ შუბლზე. თვალები დახუჭული თუ როგორი? მსმელი, თუ არა მსმელი. უცოლოა—ვაი დედაშენს!

ბავშვებს დიდხანს ეშინიათ გავლა იმ გზით. ნიკოს მთვრალ გონებაში რაღაც აზრი მოუვიდა და გაიცინა; მერე კეთილის გულით უთხრა:

— აჰა, დალიე. გაგიმარჯოს!

ბენედიმ ჩამოართვა; ოფლმა გამოჟონა შუბლზე; შუბლი და ოფლიც იყო ცივი. ღვინო შესვა და გათბა; ნიკომ კიდევ აუვსო ჭიქა; მერე თავისთვის აივსო. სვეს. ნელნელ გადმობრუნდა ოთახი— რკოს საბუდარი; დაღვრემილი ბუხარი ჩაიმალა იატაკის ქვეშ. კედელზე გაკრულია ჩვეულებრივი, გახუნებული შპალერი, სადაც, მხოლოდ ეხლა გამოჩნდენ ლორთქო ყვავილები. ბენედის უხარია:

— მეტი არაფერი მინდა!

უხარიან ყველას; მოხუცი ქალი მღერის მხიარულად,—ახ, რარიგ მხიარულად:— „არა მჯერა მე შენი ტრფობა".

ნიკო ამბობს შესაფერ სამასლაათოს და ბენედის ჰგონია ყაჩაღების ბელადია. სახლის პატრონი, და რადგან კბილები აქვს ნაკვერცხლებივით, სიტყვები დაკეპილი ასეთ კბილებით – აწოსწვავს ადგილს სადაც დაეცემა.

ბენედის დაედალა მკერდი და სუსტი ხელებით მშვიდროდ იხვევს ხალათს. ნიკომ ბევრჯერ გაიხსნა პერანგი ნაქარგი ჭრელი აბრეშუმით; ბენედი ხედავდა მასპინძლის მსხვილს ნეკნებზე ძველს ჭრილობებს: ნიკოს ღვინომ დაურბინა ძარღვებში! გონებაში შეიჭრა მშვიანედ ანთებული სპირტი და გარეთ ამოაგდო გადამალული ზრახვანი:

— რა უნდა კაცის მოკვლას?! დააყრევინე ფაშვი!—სისინებდა მასპინძელი და ეზიდებოდა მაღლა წარბებს, რომ გამოეჩინა ცეცხლი.

— ნიკოლი. ნიკოლი...—ბენედი ვერ უცქეროდა პირდაპირ, სანამ თვალები არ ჩაეძირა უკანასკნელ ჭიქაში; ჩამოუვარდა ხელები, თავი დაჰკიდა კისერზე, მხრებში მოიღუნა ბენედი. მაშინ ნიკოლიმ იღიღინა ძველი სიმღერები; სადაც ბაიათი კარგი გამოვიდა. დაწვა გაუხდელად.

ანდროს ტახტი სდგას დიასახლისის ოთახის კარებთან. დაკეტილია კარე-

ბი, მაგრამ ყველაფერი ისმის, რაც ხდება მეზობლად. მდგურს უნდოდა საკუთარ რამეზე ეოცნება, მაგრამ ხმაური იჭრება დაჟინებით და მთელს ყურადღებას იპყრობს. დარჩო მოვიდა დიდიხანია და მაკა შეეგება ალერსით.

ავადმყოფი სწუხს, ქოშინობს და გგონია: ალბად გა[illegible] მისი ჯანი! სხეულში უძლურება-ღა დარჩენილა, ისიც დაილევა ერთ საათში და მორჩა ელისაბედ! ავადმყოფს წაერთვა ცნობიერება. ეს შეატყვეს, როდესაც მოვიდა დარჩო; მოსულმა მოიკითხა, მაგრამ დედაბერმა პასუხი არ მისცა. დარჩომ ჩინური ლოქები აიფარა თვალებზე და დაასვენა მუხლები. მაკა ანთებულის სახით ათვალიერებს მას; დარჩოს ეცვა ყვითელი ხალათი, შარვლის ტოტები ჩაეყოლებინა წაღებში. წინდები ღაზლისაა, ახალი, ყელმაღალი და ლალისფერი; მაკას მოსწონს წინდები და აგონდება სპარსული მეჩეთი. დიასახლისი იღიმება და სჩქმეტს ლოყაზე დარჩოს; დარჩომ ულვაში აიგრიხა, ქალს მოხვია ხელი და გაიყვანა აფარებულ ჭილობის უკან. ჭილობი შეინძრა: ქალმა იცის: დარჩოს მაგარი ხელები აქვს, მაინც-და-მაინც არ გაუშვებს, ამიტომ თითქო გასხლტომა მოინდომა.

ქალს უხარიან და სიცილი უგროვდება მკერდში.

— ურცხვი! ბილწი!

— შენ რა გული გეწვის!

ლოგინთან—პირსაბანი. ბზის ჯოხი მოკლე, ხორკლიანი, დაკიდული კედელზე ჭუჭყიანი ლეკვერთხით. უწინ ეს ჯოხი ეკუთვნოდა ერთს მამაკაცს; მამაკაცს კიდევ ჰყავდა ამხანაგები და მათ ჰქონდათ ასეთი ჯოხები—მძიმე, მოკლე და თასმიანი; მამაკაცები ქერა და შავი. დიდი ცხვირი, გადმოზნექილი უმადურ ტუჩებზე; ნერწყვი ტუჩებზე; თვალები წითელი და ნაბადლამარი. დღისით ითრობოდნენ ლუდით და არყით; ყოველ მათგანს ოთახში ჰყავდა თავისი ხასა; სცემდნენ მუშტით მეძავებს: უმტვრევდნენ თითებს; ღამით, ნატირალი ქალები, დალილავებული ყბებით მოდიოდნენ დიდ ოჯახში.

მოდიოდნენ მათი კუროები და ბევრი სხვა სტუმრებიც. არღანი განუწყვეტლივ ისროდა ხმას ფოჩიან სახელურიდან; ხმა აიტუზებოდა ცარცით შეღებილ მინაზე, რომ გამვლელისათვის ჩაეკრა თვალი. მინაზე ეხატა ბოთლი, თავისთავად დაყირავებული, საიდანაც ლუდი ისხმოდა ჭიქაში; ჭიქა დიდი ხანია ავსებულა, ლუდი იხრდება უსარგებლოდ. ამიტომ ოჯახის დიასახლისმა სთხოვა დამწერს: რომ დაეხატა გამვლელი კაცი, რომელსაც ენანება ვერცხლის გაღება და შეუშვერია ენა უპატრონოდ მიშვებულ სასმელისათვის. მხატვარმა ვერ შესძლო!

— აბა, როგორ დახატავ კაცს, რომელსაც მართლა ენანება ფულის დახარჯვა?

ასეთები, ამ უბანში არც დადიან; დაეხეტებიან მთვრალები, პოლიციელები. ისმის ქუჩაში სიმღერები, გინება, სტვენა, ალიაქოთი. ეტლი მოადგება ხშირად და მთვრალები შედიან ოჯახში; თუ რომელიმე მათგანი არ შედის, ქალებმა იციან ხერხები მათ მოსაბირებლად. ქალებს აცვიათ ფერადი კაბები: სახე ყველას —წითელი; ოთახში დგას თუთუნის ბოლი და როდესაც საჭიროა ერთ კუთხიდან მეორე მხარეს გააგონო რამე, ქალები ხელს მილივით

მიიდებენ პირზე და იძახიან. კვამლი იშლება ზანტად, რომ გაქრეთდეს ბევრი ბევრი გვირაბი, სადაც გინებას გააქვს ლორწიანი ნაწლავები. ქალები სასმელს აძალებენ სტუმრებს.

მეარღნე დგას—სახე გამხმარი—და აბრუნებს არღანს; მას ასმევენ ლუდს, პაპიროსს აწოდებენ, ჰკოცნიან დროგამოშვებით; ის მაინც აბრუნებს სახელურს და ანიშნებს თვალით რომ პირში ჩაუდვან პაპიროსი, ცეცხლიც მიაწოდონ ბარემ. არ იქნება არღნის შეწყვეტა დილამდე.

როდესაც ოჯახიდან დაიძვრის ნაქეიფარი მთვრალი ჯგუფი, მეარღნე სახლამდე მიაცილებს მათ; დადგება ღია კარებში და უკრავს დიდხანს; შემდეგ ნელა ბრუდება და არღანს უცვლის კილოს. ალერსი იწყება ლანძღვით. ფულიან სტუმარს შარის მოსდებს ქალი: ქალი იკივლებს: მოვარდებიან კუროები და სახელოებიდან ამოაქვთ მოკლე ჯოხები ბზის, მიბმული მაჯაზე თასმით; სტუმარს გადაუბრუნებენ იდაყვს; ურტყამენ სტუმარს; სტუმარს ეკარგება ბეჭდები, ფულები.

მეორე დღეს ქუჩის ტალახში სისხლის კვალით იგნებენ გზას, რომ როგორმე იპოვნონ დაკარგული ოქრო.

მაკამ ერთჯერ ბევრი ოქრო იპოვნა. მისი კუროკ დასჭრეს ხანჯლით. კუროკ მოკვდა. ქალი წავიდა სოფელში და მერე ისევ დაბრუნდა. მაკა ეხლა ეუბნება დარჩოს,—როდის უნდა დაიდგან გვირგვინი; დარჩო ხედავს შელებილთმას და ეცინება; დიასახლისა თვალი აქვს მორიელი და ნაოჭები სახეზე იშიშვლებენ ჭვანგებს. დარჩომ სთქვა:

— მალე მოკვდება დედაბერი.—და წავიდა. ეს სიტყვები ეამა მაკას; აკოცა დარჩოს და დაწვა. გზაში მღეროდა დარჩო:

— სანამ მქონდა ფულები..

ბენედის ოთახთან აუწია ხმას; უნდოდა გაელვიძებინა და ეხეტიალნათ ერთად უბანში; წვიმა შესწყდა. დარჩა გრილი ჰაერი და პირდაბანილი, ღრო ჩღრო ქუჩები, სადაც არავინ დადის; მაგრამ ბენედი არ გამოეხმაურა. დარჩო შევიდა თავლაში, ცხენს ფაფარზე ხელი გადაუსვა და მერე წავიდა დასაძინებლად.

ანდროს არ ეძინება: მაშ გაიარე ანდრო გარედ, გადაყლაპე წვიმით მოტანილი მჟავბადი; თვალს წყალი ასვი.

კუთხეში მიგდებულა მანჯური. რწყილები ჰკბენენ ძაღლს, ძაღლი ჰკბენს კუდს და იღრინება. მასწავლებელმა აღმოაჩინა:

— სიარული კარგია იმიტომ რომ სხვადასხვა სანახაობებს ჰხედავ, და რადგან კარგი მუსაიფი იგივე სიარულია, შეგიძლიან საუბარი შესცვალო ოცნებად და გამოგივა სეირნობა.—ამიტომ ანდროს ოცნებანი გამოდიან გარედ და იწყება მხიარული რონინი მასწავლებლის და პატარა ბავშვის. ბავშვი მღეროდა:

— მახსოვს პირველად—

ზაფხულში მეზობელს ჰპარავდა გრძელ ჩალამგულას; ძუის მაყრულჯს აკეთებდა ჩალამგულაზე, მოირთვებოდა ალვის შტოებით და ოფოფებს დასდევდა. ბავშვი ჰგავდა მაშინ ბუჩქს და ზოგიერთ ოფოფს მართლა ბუჩქი ეგონა, ამიტომ ერთი ოფოფი ებმებოდა ძუაში კისრით, სხვები კი მიფრინავდენ. ბავშვს

უცემდა გული სიხარულისაგან. ოფოფს უძგერდა გული შიშით, მაგრამ გვიანღა იყო.

— ესაა და ეს!

— კიდევ კარგი! ბედაური მეხსიერება გქონია!

— ჰო, შემდეგ გადმოიყვანეს ქალაქში. სწავლობდა. საქმე ის არის, რომ მარტო სიცივე ახსოვს. ოთახში ცეცხლი არ ინთებოდა, არც ლუმელი იდგა, მხოლოდ ჭერში გაჩხირულიყო მილის ნამტვრევი. ანდრო ჯდებოდა იქ, ამხანაგებიც იქვე ჯდებოდენ; ოდნავ თბილოდა:

— მართალს გეუბნები!—

ფანჯრის მინაზე, ვილაცამ გაზეთი ააფარა ხუმრობით და ანდროს სჯეროდა, ვითომ ქალალდი იძლევა სითბოს. ამაზე ერთი ამბობდა:—სითბოს, მხოლოდ ადამიანის სხეული გამოჰყოფს.

ანდრო არ აძრობდა მინიდან ქალალდს. ამიტომ ბნელოდა ბინაში.

— ეხლაც ბნელა! ფუჰ!—

დამსახურებული მასწავლებელი ღებულობს „პენსიას“. მეზობელ ოთახში ოხრავს დედაბერი მილეულის ოხვრით; ანდრო ყურს უგდებს და ეჩვენება, თითქო ის დედაბერი არ არის: თითქო დამპალია კედლების ძირი; თაგვები ხრავენ კედლების ძირს და ფიცრებს სტკივათ ტანი; ფიცრები საცსეა მატლებით და დალრღნილია ჩოჩილისაგან.

— მალე მოკვდება საბრალო! დიახ, მალე მოკვდება უპატრონო!—

— ვინ მოკვდება ანდრო, ვინ? დედაბერი თუ კედლები:—

— თავი გამანებე!—

მდგმურმა დაიძინა. უბანში ჩამქრალია ბევრი სინათლე. ქუჩაში დგას პოლიციელი; დგას დილით, შუადღისას, საღამოთი—მუდამ!

მეორე დღეს ბენედის სტკიოდა თავი; ნიკოს უფრო დასიებოდა ხელები და ფეხები; უცემდა გული მაგრად და თვალის ქუთუთოები ეკიდა ლოყაზე პარკივით. ბენედიმ ეზოში ნახა ქალი, რომელიც მღეროდა წუხელის: ქალი იყო მოხუცი და ეწყინა პირმოთნეობას, რომ საუბარი არ ჩამოეგდო იმაზე, თუ რა კარგი იქნებოდა, რომ სალი ქბილების პატრონი ყოფილიყო! ასე უთხრა ერთჯერ ბენედიმ მოხუცს; მოხუცმა მანდილი პირზე აიფარა და ისე გაიცინა თითქო ვინმე აუტირდა უბეში და ამშვიდებსო.

ბენედი წავიდა სახეტიალოდ: ქალაქის ბაღში საკვირველ ამბებს ახდენდა ჩინელი; ლითონის რგოლებით ლოკა გაიხვრიტა, ცხვირში შეიძვრიხა ცოცხალი გველი. უცქეროდენ ჯარისკაცები, ბავშვები, ქალები და საეჭვო გამომეტყველების მამაკაცები. ერთმა კაცმა სთქვა:

— გველი მოჯადოებულია, თორემ უკბენდა.

როდესაც ჩინელმა პირიდან ამოიყვანა გველი, ჯარისკაცმა დაუყვირა:

— სტყუი!— და დედა შეაგინა.

ჩინელმა იუკადრისა ლანძღვა, აღელდა!

— ოცი წელიწადია, რაც ქალაქში ვცხოვრობ, და დედა ჯერ არავის შეუგინებია!—

— უბის წიგნში ჩაიწერე!—ურჩია ვიღაცამ.

ფოტოგრაფები ქვეყანას აბნელებენ. როსკიპი ქალები ხეთქვენ მზესუმზირას და უცქერიან სურათის გადაღებას. ჯარისკაცებს ჰგონიათ, ბოლუნულ ხელს, ფოტოგრაფი ვერ გადიღებსო, ამიტომ ხელი უკავიათ გამართულად.

ერთგან ბალღი სტიროდა; გაიძვერა ფოტოგრაფმა დასდგა აპარატი და აბრიყვებდა ბალღს:

— თუ არ იტირებ, აქედან შენთვის გამოფრინდება ლამაზი ჩიტი!—

ბენედიმ უცქირა, უცქირა და წავიდა.

ჯერ არ დალამებულიყო; უკვე გამოჩნდენ ვარსკვლავები; ბენედი შეხედავს ვარსკვლავებს და იტყვის:—გოგოები არიან ვარსკვლავები; არც ერთი მათგანი თუთუნს არ სწევს; იქნება ბიჭებიც არიან. თუთუნიც უყვართ, მაგრამ გაუთავდათ საბრალოებს მარაგი და ეხლა ალარ ეწევიან. კარგი იქნება, რომ გაუგზავნო თუთუნი და კოპწია ჩიბუხები. ამანათზე აღნიშნავ:—დედამიწიდან გითავაზათ ეს ერთად ერთმა კაცმა, რომელმაც გაიგო თქვენი მდგომარეობა.

პატივისცემით—ბენედიქტე.

საღამო ხანს ავადმყოფი ნიკო დადგა ცუდ ხასიათზე.

ანდრო უხსნიდა კოსტას და ბენედის:

— როგორ და რატომ ღამდება... ხომ გაიგეთ?—

— ჰო! —

აი, ეხლაც—უბანმა დინგი შეჰყო ღამეში და ღამეშივე მიათრევს ჩინჩაყვს.

უეცრად გაისმა დიასახლისის კივილი:

— დედა!—

ანდრო შეკრთა. სმივემ გადაიძვრეს ქუდები. მოცვინდენ ქალები ზარით;

— ელისაბედმა სული დალია!—

მანჯურმა მალლა აიღო ცრემლიანი თვალები და დაიყმუვლა.

ვარლამ ჟურული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულტკბილი

წერილი მივიღე—სულში დავიქერი
გული რომ მოგანდვე—რომანი გათავდა.
— შენი ვარ!—ამბობდი. რატომ დავიჯერე,
თუ კი მწუხარება ისევ დამათოვდა.

მე ეხლა მარტო ვარ. გაფრინდენ მერცხლები.
ცა უფრო შორს არის. ღრუბლები მიდიან.
რომ აღარ მოგელი—ცრემლით ვირეცხები;
დღეს ჩემი ცხოვრება ნისლი და ბინდია.

დავდივარ იქ, სადაც ნაპირი მდინარის
მე ჩუმათ მეძახის: — დაკარგე სინაზე —
ეს ბავში რომ სტირის, ნეტავი ვინ არის?
ცრემლებით ეცემა ნაწვიმარ სილაზე.

სად უკვე გამხმარან ტირიფის ფოთლები.
ხმაურობს წისქვილი წყალი რომ იმტვრევა:
მივალ და ქვის სროლით მივაფრენ თოლიებს,
მივალ და მოწყენით გულამდე ვითვრები.

გული რომ დაჭრილი ფრინველი მგონია:
ცრემლებით სავსეა ზეცა და თვალები.
წყლის პირას ღიმილით შემხვდება გოგონა,
შემიბყრობს სევდა და—ვის შევებრალები!

ეშვება სალამო. სულში რომ ბინდდება,
მე ჩუმათ მივტირი მინდვრებს და ნაკვალევს:
— ამ გზით რომ დავდივარ, ამ გზაზე რა მინდა,
თუ ველარ გავივლი ცხოვრების ნაპრალებს!

და მაინც მარტო ვარ, ვის რაში ვუნდები?
ცა ისევ შორს არის. შორს წვიმაც იღვრება.
შემკივის კედლები სახლში რომ ვბრუნდები:
— დღეს შენი მგზავრია ცრემლი და სიმღერა.

რომანი გათავდა. მე მაინც გიგონებ.
წინ მიდევს წერილი ცივი და უნდობი.
სანამდე სევდებით ვისროლი სტრიქონებს:
გულია ობოლი, უფრო კი—მშვიდობით.

1926 წელი.
თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. მალაქიაშვილი.

ს ა მ ნ ი

რომანი სამ ნაწილად.

ნაწილი მეორე.

გაგრძელება*)

I.

1917 წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში პეტროგრადში მომხდარი ამბები შალვა ღრუბლიანმა იმ დროს გაიგო, როცა იგი საღამოზე გადათვლის შემდეგ ძილისათვის ემზადებოდა.

ჩაფიქრებული შალვა დანაოჭებულის შუბლით შლიდა თავის ლოგინს: ფარაჯის რუხ საბანს და თივით სავსე ლეიბს, რომელზ;დაც ძ ელი, რი ვით გარეცილი ზეწარი ეფინა. ამ დროს ვილაცამ საკანის ვიწრო სარკმელს დაურაკუნა. შალვამ იცოდა, რომ საღამოს გადათვლის შემდეგ მათ საყარაულოთ ახალი მეკლიტური დადგებოდა.

ეს მეკლიტური აგერ მესამე თვეა, რაც აქ მსახურობს, სხვებთან შედარებით ახალგაზრდაც არის და ადამიანური თვისებების მატარებელიცაა; სრულებით არ გავს იმ ძველის-ძველ ჩამძალებულ მეკლიტურებს, რომლებიც ისე შესისხლხორცებიან ციხესა და მის ატმოსფერას, რომ გარეგნულადაც ტიხეს გვანან: ხმა ჩაკბენდილნი, ცივნი, შუბლ შეჭმუხვნილნი და გულ ქვაობიანები.

ერთად ერთი არსება, რომელსაც საკატორღო ციხის ჯურღმულებში შემოქონდა გარეშე ცხოვრების ნიშანწყალი, ეს ახალი მეკლიტური იყო. მის მოსვლას ტუსაღები ყოველთვის მოუთმენლად მოელოდენ. ამიტომ იყო, რომ შალვამ ხმაურობის გაგონებისთანავე სარკმელისაკენ მიიხედა.

— ახალი ამბავი თუ იცით? მოისმა მეკლიტურის აჩქარებული ხმა,— პეტროგრადში აჯანყებაა!.. მინისტრები დაიჭირეს!.. ახალი მთავრობა შემდგარა!.. მეფე გადცეულა!..

მეკლიტური სწრაფად მოშორდა სარკმელს,—უფროსისაგან შენიშვნის მიღების ეშინოდა და ვითომც აქ არაფერიაო—დინჯად დაიწყო სიარული მიბნელებულ კორიდორში, რომელშიც ლოდივით მძიმე, ობილი და თანაც მყრალი ჰაერი იდგა.

იგი უაღრეს სიამოვნებას განიცდიდა, რომ ასეთი კარგი ამბავი მოუტანა ამ ცოცხლად დასამარებულ ადამიანებს.

შალვასთან ერთად პატარა საკანში ორი კიდევ სხვა ტუსაღი იყო: ქართველი—სიმონიკა ებზიანიძე და რუსი—ვლასი.

სამნივე ერთნაირად იყვნენ მორთულნი: რუხი ტანისამოსი და რუხივე „გაწიბარდის“ ქუდები; ფეხებზე ერთნაირი ჩუსტები, კოჭებ ზევით ერთნაირივე ბორკილები, შუაზე გასკვნილნი და თასმებით წელზე მიმაგრებულნი.

მათი ერთმანეთისგან გარჩევა არც ისე იოლი იყო: უფერულ ხანგრძლივ ცხოვრებას და ერთნაირ პირობებში ყოფნას. მათი პირის სახეებიც კი ერთ-

*) იხ. ჟურნალი „მნათობი“ № 3 (23).

მანეთისათვის დაემსგავსებია: მოყვითანო მიწის ფერი და დაბეჟილი—დასივებული ლოყები, წყნარი ნაღველით დათალხული თვალები და ერთნაირად შეპარსული წვერები...

მეკლიტურის სიტყვები ტუსაღებმა ჯერ ვერ გაიგეს; რაშია საქმე—მოგველანდა, თუ სიმართლე იყო?—

ლოგინების გაშლას მაშინვე თავი ანებეს და სარკმელს მიცვივდნენ. ყველაზე წინ სიმონიკა ებზიანიძე მივარდა.

— გაიმეორე, კუზმა, რა სთქვი გაიმეორე!—მიაჩურჩულა სიმონიკამ.

მეკლიტური თუმც გარეგნულის შეხედულობით დინჯად იდგა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ მხარში რაღაც ეშმაკი უჯდა და მოსვენებას არ აძლევდა: წამდაუწუმ ღიმილი ეპარებოდა, მაგრამ ტუჩებს განგებ კუმავდა, წარბებსაც ძალად იმშუხვნიდა; განუწყვეტლივ ბოლთასა სცემდა და ცალის თვალით რომ შალვას კამერას მიჩერებოდა, მეორე იქეთ მიეპყრო, საიდანაც შესაძლებელი იყო უფროსის გამოჩენა.

სიმონიკა ებზიანიძე მაშინვე მიხვდა, რომ კუზმას რაღაც დიდი ამბავი აწუხებდა; მან ასე იცოდა ხოლმე ყოველთვის, როცა საყურადღებო რაიმე ეცოდინებოდა.

მსოფლიო ომის მთავარი ეპიზოდები კუზმამ ასეთ ნაირად შეატყობინა მათ: აღელვებული მიადგებოდა სარკმელს, ერთს გადიჩურჩულებდა, ტუსაღების ყურადღებას მიიპყრობდა და მერე დერეფანში ბოლთის ცემით დაასრულებდა ყველაფერს; ამ დროს კუზმა ინგლისელი აგიტატორივით ყვებოდა საინტერესო ამბავს, რომელსაც სარკმელებზე ყურებ მოდებული ტუსაღები სულ განაბულნი ისმენდენ.

ახალი ამბების მიტანა და მათი თავისებურად ახსნა-განმარტება, უძლიერეს მოთხოვნილებას შეადგენდა კუზმასათვის, რომლისთვისაც საღიოაჯოზე ჩუმად დგომა ჯოჯოხეთს წარმოადგენდა. ტუსაღები სარგებლობდენ კუზმას გულკეთილობით, მუსაიფის სურვილით და როგორც კი შემთხვევა მიეცემოდათ, მაშინვე აალაპარაკებდენ ხოლმე. ამისათვის კუზმა დიდი პატივისცემითაც სარგებლობდა: ჩაი, შაქარი, თუთუნი და მორჩენილი პური არავის ეშურებოდა მისთვის.

— კუზმა, სთქვი, რას უყურებ! გაუმეორა სიმონიკამ.

— სატახტო ქალაქში ბუნტია!.. ჩვენს ქალაქში ახლა მიტინგია, მთელი ხალხი იქით მიდიოდა, პოლიცია სულ დაიჭირეს და აქ მოათრევენ... ხა... ხა... ხა!.. თქვენ გაგიშვებენ... ამბობდა კუზმა ღიმილით და ბოლთასა სცემდა.

— კუზმა, ტყვილი იქნება, ვინ გითხრა?..

— სხვიმის როდის მომიტყვილებიხართ?.. გეუბნებით ასეა და დამიჯერეთ. პოლიციის ვირთხებს სულ აქ მოათრევენ... ხე... ხე... ხე...

კუზმამ ეს სიტყვები ისეთის დარწმუნებითი კილოთი სთქვა, რომ ტუსაღებმა მაშინვე დაიჯერეს მისი ნათქვამი.

ტუსაღისთანა იმედიანი და ყველაფრის დამჯერე მეორე არავინ არის

ქვეყანაზე: სახრჩობელაზე რომ აყავდენ, მაინც ჯერა, რომ რაღაც სასწაული მოხდება და განთავისუფლებული იქნება. ის ყოველგვარ ხმას და ყურმოკრულ ამბავს უტყუარ სინამდვილეთ ღებულობს და მყისვე შეუდგება სახიამოვნო ოცნებას: როგორ განთავისუფლდება ციხიდან, როგორ ნახავს თავისიანებს, მტერს მტრულად მიეგებება, მოყვარეს მოყრულად და ამნაირად მთელი მისი სიცოცხლე იმედებში გადის.

— ნუ თუ ეს შესაძლებელია? რაშია საქმე? იკითხა ღიმილით შალვამ და დაუმატა: ომის გარშემო დღეს ისეთი ნასკვია გაბმული, რომ ყოველივე ეს მოსალოდნელი იყო, მაგრამ... მაგრამ... არ ვიცი რა ძალებს უნდა მოეხდინა პეტროგრადში რაიმე ცვლილება? რევოლიუციონური პარტიები დაქსაქსულნი არიან, ეგრეთ წოდებულ საზოგადოების პატრიოტიზმი უადრეს ხარისხამდეა მიღწეული... ნუ თუ რუსული პატრიოტიზმი საკუთარმა სიმძიმემ დაამსხვრია? ამბობდა იგი ბოლთის ცემით და ხელების სიამოვნებით მტვრევით.

— ეგეც შეიძლება: ალბათ პატრიოტიზმის უადრეს წერტილამდე მიღწევა თავისივე უარყოფაში გადავიდა... დიახ... დიახ... შეიძლება... ყველაფერი შეიძლება!..

სიამოვნებით გარინდებული სიმონიკა ებზიანიძე თვალებში მიჩერებოდა შალვას—აბა რას იტყვისო.

იცოცხლეთ თითონაც მზად ჰონდა „მომენტის შესაფერი“ სიტყვები და გამოთქმანი, მაგრამ შალვას მორიდებით მისი ლაპარაკის დროს თავს იკავებდა. ბოლოს სიმონიკას მოთმინებასაც ბოლო მოეღო და პირდაპირ გიჟივით გადაეხვია შალვას.

— გვეშველა, ამხანაგო, გვეშველა! ხა... ხა... ხა!,. რევოლიუცია! რევოლიუცია!.. დაბრუნდა პიატი გოდა, დაბრუნდა!..

— ყველა გახარებულია! ახლა კი დავამარცხებთ გერმანელებსო... სპეკულიანტებს დედას ვუტირებთო,—განაგრძობდა კუზმა.

კიდევ წუთი და სამივე ტუსაღი ერთმანეთს ჩახვეულნი გიჟებივით ხარხარებდენ, თრთოდენ, იცინოდენ.

— ხა... ხა... ხა!.. რა ბედნიერებაა, რას მოვესწარით! ხა... ხა... ხა!.. განუწყვეტლივ გაისმოდა ცრემლში ნარევი ხარხარი.

წელთა განმავლობაში ფიქრისა და გრძნობის სამეფოში ყოფნის გამო ნერვებად ქცეულნი ძლივს იმაგრებდენ მოულოდნელის სიხარულით ათრთოლებულ გულებს. მათი ტანის ყოველი კუნთი შეუკავებლად ცახცახებდა. სხეულს მოძრაობას მოითხოვდა და ისინიც თრთოდენ...

— ხა... ხა... ხა!.. ხა... ხა... ხა!.. გაისმოდა ვიწრო საკანში, რომლის უჩვეული სიხარულს ბანს აძლევდა ყრუდ მოგუგუნე ციხე.

— მე ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა, ღმერთმანი ვიცოდი,—იძახდა ხელების ქნევით სიმონიკა.

— შენ ნუ მომიკვდები, შალვა, მე ეს ყველაფერი ვიცოდი! აკი ვლაპარაკობდი პიატი გოდის ამბები ისევ დატრიალდება, ნიკოლოზ ხელმწიფეს არ შერჩება ჩვენი ციხეებში გამოლპობა თქვა! აბა, ერთი მითხარი, თუ კაცი ხარ,

განა სამართალი ჰქონდა მაგ ჯალათს? განა შენისთანა კაცები, ჩემო შალვა, ციხეებში უნდა ყავდეს? თქვი თუ, ძმა ხარ!

— ოო, შენ ყველაფერი წინდაწინ იცოდი, ჩემო სიმონიკა, წინდაწინ!

— აბა სამართალი ჰქონდა იმას? ვის რა წავუხდინე, ვის [illegible]? არა, მითხარი თუ ღმერთი გწამს, ამხანაგო შალვა, კანონია, რომ ჩემსავით უსამართლო კაცი ციხეში იჯდეს? არა, მითხარი თუ გიყვარდე, მითხარი!..

— მართალი ხარ, მართალი,—ეუბნებოდა შალვა სახეში ჩაჩერებულ სიმონიკას, რომელიც თავის თავზე ლაპარაკს უნდებოდა და თან ცდილობდა, რომ ყველას მისი სიბრძნე მოესმინა. ეს აზრები მისგან ათი ათასჯერ მოუსმენია შალვას, ათასჯერვე დამოწმებია—მართალი ხარო, მაგრამ დღესაც, ამ უალრესად ბედნიერ წუთებშიაც სიმონიკა ისევ თავის გულის ტკივილს დასტრიალებს და შალვას გულის ყურიც თავისკენ უნდა მიიქციოს. ბოლოს, როცა სიმონიკა დროებით შეჩერდა თავისი სიბრძნის გადმოშლის დროს, შალვამ სთქვა:

— დიახ!.. კუზმას მიერ მოტანილი ამბები შეუძლებელს არას შეიცავენ, ცეცხლის ასაპრიალებელი მასალა ბლომად იყო დაგროვილი: განმანადგურებელი ომი, ხალხის საერთო უკმაყოფილება, უუფლებობა, დამონავება, ბიუროკრატიის აღვირ ახსნილი თვითნებობა... დიახ, ყოველივე ამას თავისი უნდა ექნა, ეს ცხოვრების კანონია...

— დიახ, დიახ, მე ეს თავიდანვე ვიცოდი, თავიდანვე,—დაემოწმა სიმონიკა.

მესამე ტუსაღი, ტომით რუსი, თავზარდაცემული იდგა და თვალებ გამოცეცებული ხან სიმონიკას შეხედავდა და ხან შალვას.

— Скажите, ну што будит? Скажите ну что будит?—მხოლოდ ამ სიტყვებს იმეორებდა იგი. შალვა მას ყურადღებას არ აქცევდა, სამაგიეროთ სიმონიკა შეუდგა მის გათვითცნობიერებას. ბევრი ელაპარაკა „პიატი გოდის“ რევოლიუციაზე, ნიკოლოზზე, ომზე, ბევრი უმტვრია რუსული, მაგრამ ეტყობოდა, რომ ბევრს ვერას გახდა. ერთად ერთი კითხვა, რომელიც რამდენჯერმე დაუსვა მას ვლასმა—ასეთი იყო:

— Значит будит манихвест?.. да?..

— ფუ, რა პირუტყვია ეს ოხერი, ესა—სთქვა ჭართულად სიმონიკამ და თან დაუმატა: Слуши, не адин, а сто манифест будит, наими, შე ხვადაგო, შენა!..

— Ну, чего серчаешь товариш,—მტყუანივით ჩაიბუტბუტა ვლასმა—Об'ясни мине и только... вразуми...

შალვა ღრუბელიანის თავში კი ათასნაირი კითხვები ირეოდა: რა სახის არის პეტროგრადის ამბები? ვინ უდგას სათავეში—პროლეტარიატი თუ ბურჟუაზია? რა არის გადაატრიალების მიზანი: ომის გაგრძელება და უკეთესის საშვალებით მისი წაყვანა, თუ ეხლავე სისხლის ღვრის შეჩერება? რა უნდა მოყვეს ქვეყნისათვის ან პირველ ან მეორე გზას? როგორ შეხვდება პროვინცია პეტროგრადის ამბებს: მიიღებს, თუ უარჰყოფს? იქნებ სასახლის უბრალო ტრა-

გედიათ გადაიქცეს ყოველივე? რა გავლენას იქონიებს ყოველივე ეს ფრონტზე, მრავალ მილიონიან სამხედრო ბანაკზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

რამდენიმე წამში ეს ამბავი მთელ ციხეს მოედო: პატიმრებმა კედლებზე კაკუნით და სხვა ამგვარის საშვალებებით დაუყონებლივ გააგებინეს ერთმანეთს პეტროგრადის ამბები.

და... მთელი ციხე უჩვეულო გუგუნმა და ხმაურობამ მოიცვა.

ტუსაღების გადათვლისა და იატაკ-ფანჯრების სიმაგრის რკინის უროების ცემით შეძოწმების შემდეგ, ციხეში სიწყნარე უნდა დამკვიდრებულიყო.

მაგრამ სულ სხვა სურათი გარდიშალა იმ საღამოს: ტუსაღების გადათვლამ ვერ დააწყნარა ციხე, რომელსაც ელვის სისწრაფით მოედო ყრუ სიხარული და გუგუნათ გადაქცეული აღფრთოვანება.

დაუსრულებელი ხარხარი, ალაგ-ალაგ ისტეჟრიული სიცილი, აღფრთოვანება, ბორკილების რაჩხუნი, კარებზე ცემა...

— უუ!.. უუუ!..

— გაგვიშვით!.. გაგვიშვით! თავისუფლება! თავისუფლება!

— სუ!.. სუ!.. მგონი მოვიდა ხალხი!.. მგონი ამტვრევენ ციხის კარებს!.. სუ!.. სუ!.. იძახდა სიმონიკა და თან ბორკილის რაჩხუნს რომ ხელი არ შეეშალა, ფეხებს გაფართოვებით ადგამდა და ბორკილებსაც ხელებიდან არ უშვებდა.

— Бох мой... бох мой!.. что бунит?.—ჩიფჩიფებდა ვლასი და პირჯვარს იწერდა.

შალვა ჩაფიქრებული იჯდა თავის ბალიშზე და მუხლებზე დაბჯენილ ხელებში თავის შავ წელთა თანამგზავრი—ძველის ძველი ბორკილები დაეჭირა.

დუმდა შალვა, მაგრამ სიხარულის ნაკადი ჩანჩქერად სცემდა მის არსებაში და სასიამოვნო ჟრუანტელად ქცეული, ნელის ტალღებით დაუცურავდა მთელ სხეულში; ხან წყნარი და შეუმჩნეველი იყო ამ ნაკადის ტბორა, ხან კი საშინელის სიმძაფრით ეხეთქებოდა იგი მის მოლღილ სხეულს.

შალვა, სიმონიკა, და ვლასი წელიწადზე მეტი იყო, რაც ერთ საკანში ისხდენ და ძალიანაც დამეგობრდენ. განსაკუთრებული პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული შალვას, რომელსაც სიმონიკა და ვლასი თითქმის ალმერთებდენ. იატაკის დაგვა, ჩაის შემოტანა, უსუფთაობის გატანა და სხვა ამგვარებს შალვას მაგიერ ისინი აკეთებდენ. სიმონიკა ხომ პირდაპირ თვალში უვარდებოდა „უფროს ამხანაგს“.

შალვას სხვა საკნების ტუსაღებიც დიდის პატივისცემით ეპყრობოდენ: სეირნობის დროს თუ სხვა შემთხვევებში, მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ რაიმე გზით ეამებინათ მისთვის.

ამ პატივისცემის მიზეზი ის იყო, რომ შალვა ღრუბელიანი პოლიტიკურ საქმისთვის იყო დასჯილი. ეს გარემოება სისხლის სამართლის ძალით დასჯილ ტუსაღების თვალში ერთი ასად ამაღლებდა მას. რომელიმე ყაჩაღი, თუ კაცის

მკვლელი თავს ბედნიერად ჩათვლიდა, თუ ბედი შალვას ხაკანში ჯდომას არგუნებდა: ჭკვიანი კაცი იქნება და მასთან ყოფნით რამეს შეიძენო.

სიმონიკამ გაიგო თუ არა შალვას მოყვანა, მაშინვე დერეფნის დამგველის ხელით საიდუმლოთ პატარა წერილი მისწერა: მომწერე მრავალ ტანჯულო აფხანაკო, ცხოვრების უსამართლობის მსხვერპლო, ჯალათებისგან წამებულო, ვინა ხარ, საიდან მოხვალო და სხვა ასეთები.

როცა სიმონიკამ შალვას ვინაობა გაიგო, აღტაცებაში მოვიდა და რუსი ტუსაღების გასაგონად იძახდა: ჩემი ძველი პოლიტიკური ამხანაგი მოუყვანიათო. სიმონიკამ რაღაცნაირად მოახერხა შალვას ნახვა საავადმყოფოში. უნდა შეგეხედათ რა ნაირად შეხვდა! გეგონებოდათ ძველის ძველი ნაცნობები და მეგობრები შეეყარნენ ერთმანეთსო, რის წესახებ არ გამოელაპარაკა, რა ამბავი არ გამოკითხა! შემდეგ ჩურჩულით ჩაულაპარაკა:

— როგორ ფიქრობ, აფხანაკო, რევოლიუცია მალე მოხდება? თუ გიყვარდე ნუ დამიმალავ!

მალე სიმონიკამ ზედამხედველის გული მოინადირა და თავი შალვას საკანში გადააყვანინა.

— აწი არაფერი მიჭირს, ციხეში ჯდომა ტყვილა არ ჩამივლის, სულ ლექციები უნდა მიკითხო და გამავითარო,—ეუბნებოდა შალვას.

სიმონიკა სისხლის სამართლის საქმის გამო იყო დასჯილი, მაგრამ თავი პოლიტიკურ დამნაშავეთ მოჰქონდა. ის მოხერხებულად მალავდა თავის „ნაკაიკაცევს“ და მუდამ იმის ბაასში იყო, თუ რა გაუკეთებია „პარტიაში ყოფნის დროს“ „პიატი გოდაში“ როგორ მიუღია მონაწილეობა ტერორის მოწყობაში, ექსპროპრიაციაში, ყუმბარების დამზადებაში და სხვ.

— რომ იცოდე, აფხანაკო შალვა, როგორ მაფასებდა პეტრე—ეტყოდა რომელიმე ცნობილი რევოლიუციონერის შესახებ,—შენი მოშორება არ შემიძლიაო მეტყოდა ივანე... იმან ორჯელ მწახა ციხეში, ამან დახმარება გამამიგზავნა, მე და ის ერთხელ ისეთ სახიფათო კრებაზე ვიყავით, რომ...

სიმონიკა სისხლის სამართლით დასჯილ ტუსაღებს ზეიდან დაჰყურებდა:

— ნამდვილი ნაძირალები არიან, ცხოვრების ხორცმეტები, შეუგნებლები, რეაქციონერები, მავნე ელემენტებიო...

იგი ცდილობდა ყოველთვის მაღალ ფარდოვანი სიტყვები ეხმარა ლაპარაკში და მართლაც ამ მხრივ მისი ლექსიკონი საკმაოდ მდიდარი იყო: ცხოვრების გმირი, სიცოცხლისაგან განწირული, ცხოვრების ტალღის მიერ შორს გატყორცნილი, უნამუსო სისხლის მსმელი, მშრომელი ხალხი და მისი ერთად ერთი პარტია... რევოლიუცია, რეაქცია, ტერორი, ყუმბარა, ვინტოვკა...

სულ სხვა იყო მეორე ტუსაღი—ვლასი. ის არ ცდილობდა სიმონიკასავით თავი სხვა მხრივ მოეჩვენებია და პირდაპირ ამობდა—ნამდვილი „დუშეგუბი ვაროო“

მაგრამ განურჩევლად კი არ ღუპავდა ადამიანებს, არა: მისი მსხვერპლნი იყვნენ მხოლოდ ბოროტნი და გაიძვერანი. ასეთებათ კი ვლასი სთვლიდა

ყველა, იმას ვინც ხელს უშლიდა მას, სხვისი ქონების მითვისებაში და ძარცვა-გლეჯაში.

რაც სხვას წვითა და დაგვით შეეძინა, ვლასს თავისად მიაჩნდა და დარწმუნებული იყო, რომ თუ კი მოისურვებდა, კიდეც უნდა წაელო იგი; ხოლო თუ პატრონი გაძალდებოდა, ის ნაჯახის ღირსი იყო.

ვლასი მუდამ გულჩათხრობილი იყო, ზოგჯერ ერთი კვირა ისე გავიდოდა, რომ ხმასაც კი არ ამოიღებდა; იჯდა ტახტზე ფეხებ მოკეცილი და მუდამ ლოცვაში და ღვთის ვედრებაში იყო. მხოლოდ ხანდახან თუ გადაიწევდა ხოლმე პერანგის „საყელოს და მკბენარის საძებრად იღლიაში დაიწყებდა ჭვრეტას.

თავისი ნამოქმედარის მოყოლა არ უყვარდა, მაგრამ თუ მოჰყვებოდა, ყოველთვის საშინელის გულწრფელობით, სინამდვილითა და ცინიზმით გადმოსცემდა. კაცის კვლაზე უფრო ქალების გაუპატიურების ამბავი უყვარდა. დაწვრილებით მოჰყვებოდა, თუ როგორი კავშირი ჰქონდა ქალებთან, როგორ სიამოვნებდა მათთან დაახლოებით, როგორ შესძინა ერთ ქალიშვილს ვაჟი, რომელიც ხრამში გადააგდებინა და სხვა.

ომი რომ დაიწყო, ვლასი უსაზღვრო სიხარულმა აიტანა: უსათუოდ ჩვენი „ღვთით ბოძებული მეფე ბატონი" გაიმარჯვებს და მანიფესტს გამოსცემს ტუსაღებისათვისო.

რევოლიუციის ამბავი რომ გაიგო, ერთობ ჩაფიქრდა:

— მაშ, არა გვყავს მეფე?.. მეფე გაიქცა... როგორ ვიცხოვრებთ უმეფოდ? ფიქრობდა პირჯვრის წერით და თანაც გულში ეპვი ეპარებოდა: ეს ებრაელები არ მატყვილებდენო.

შალვასა და სიმონიკას იგი ებრაელებად სთვლიდა. რამდენი არ უჩიჩინა სიმონიკამ—ჩვენ ქართველები ვართო, ვლასი მაინც თავისაზე იყო და მათ „ჟიდებს" უწოდებდა. ცი'ში და კრძალვა ორივესი დიდი ჰქონდა, მაგრამ სიყვარულით არც ერთი არ უყვარდა.

პირველად ვლასი სიმონიკას ყოყოჩათ შეხვდა, მაგრამ ჩვენმა თანამემამულემ ისეთი შეუბღვირა, რომ „მიწა გაუხეთქა" და სამუდამოთაც გასტეხა წელში.

სიმონიკა ამბობდა: თუ გინდა რუსი დაგიმეგობრდეს, ან უნდა გალახო პირველადვე, ან და ცოლი უნდა მოუიმასქნაო.

ვლასისაც ამ თეორიით მიუდგა იგი და კიდეც გაიმარჯვა.

III

— Значит будит манихвест,—ამბობდა ვლასი,—но ежели царя нету... то как же манихвест будит?.. სიმონიკა ამ დროს გიჟივით დარბოდა და ხელების მტვრევით ყვიროდა:

— ხომ დაუყენე მიხას თვალები! ხომ მივედი კიდევ ცოცხალი სახლში! ვაჩვენებ სეირს თუ კაცი ვყოფილვარ, მაგ ძაღლს მაგას!.. მე ვიცი ეხლა რა

დღესაც დავყენებ! აბა რავა ეკონა! ახალი თაობა მე ციხეში ჩამაღპობდა? შაგ რეაქციონერი, მაგ ხულიგანი მაგა!..

თვითმპყრობელობა და მხო, როგორი უნდა იყოს ახალ პირობებში ჩვენი საქმიანობა? — ფიქრობდა შალვა,—რა ფორმებში უნდა ჩამოაყალიბოს ახალმა სახელმწიფოებრივი ორგანიზმი? რა უნდა იქნეს მისი რაობა, რომელმა კლასმა უნდა დაჰკარგოს, რომელმა უნდა შეიძინოს?

მთელი სიცოცხლე შალვა ღრუბელიანი ამ საკითხების გარშემო მუშაობდა, არა ერთი და ორი სხვილ ტანიანი წიგნი წაუკითხავს მას სხვა და სხვა რევოლიუციების შესახებ, გაუთვალისწინებია რევოლიუციათა გამომწვევი თუ დამამარცხებელი მიზეზები, იცის სახალხო მოძრაობათა მიზნები და მისწრაფება... ამიტომ ძნელი არ იყო მისთვის ამ საკითხებზე შესაფერი პასუხის გაცემა.

ერთად ერთი ძნელად გადასაწყვეტი საქმე ომის საკითხი შეიქნა: რამდენიც არ უტრიალა შალვამ მას, დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ გასცა.

ეხლავე უნდა დასრულდეს იგი, თუ გაგრძელდეს? თუ გაგრძელდეს, რისთვის, რა მიზნების მისაღწევად? თუ არა და რატომ შეჩერდეს, რა მოსაზრებით? და რაც თავი და თავია რა გზით გატარდეს ეს ლოზუნგი ცხოვრებაში?

რამდენათ მეტს უკვირდებოდა შალვა ამ საკითხს, იმდენად უფრო რთულად და ძაფლად გადასაჭრელად ეჩვენებოდა იგი. მაგრამ... მაგარი ის გახლდათ, რომ დამჯდარად და ლოგიკურად მსჯელობა შალვას ამ წუთს არ შეეძლო.

მართალია, იყო წამები, როცა იგი თავს იკავებდა და აფეთქებულ გრძნობებს აჩერებდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც გრძნობების ხელთ რჩებოდა, სასიამოვნო გრძნობების, რომელთა ღელვა უალრეს სიხარბოებად უვლიდა მთელ სხეულში. იმის გათვალისწინება, რომ ახლო მომავალში იგი თავისუფალი იქნება და თავის ნებაზე იმოქმედებს, აუწერელ ჟრუანტელს გვრიდა მას და თავდავიწყებამდის მიჰყავდა იგი.

მაგრამ ამავე დროს სრულიად მოულოდნელად, ნელი-ნელ ამ გამარინდებელი გრძნობების გვერდით გაიზარდა მეორე გრძნობაც, რომელიც არ იყო გარკვეული და მკაფიო, მაგრამ რაღაც შიშისა და კრძალვის წინამორბედი რომ იყო, ეს აშკარად ჩანდა.

როგორ ვიგრძნობ თავს საზოგადოებაში? როგორი იქნება ჩემი ზნე-ჩვეულება, ლაპარაკი, მოქცევა? ვაი თუ ბელამის იმ გმირს დავემსგავსო, რომელმაც ასი წლის ძილის შემდეგ გაიღვიძა და... ჰოი, საკვირველებავ, დაინახა, რომ არც აზრით და არც გრძნობით იგი არა ჰგავს იმ ადამიანებს, რომელთა შორის თავი ამოჰყო!

აი, რა ფიქრები წამოეჭრა მოულოდნელად შალვას.

— ვაი თუ აზრითაც ჩამორჩენილი აღმოვჩნდე,—გაიფიქრა მან და ისარიევით დასთ ეს ნაფიქრი.

მართალია, ის მთელი თავის არსებით, ამ წელთა საშინელი გრეხილის განმავლობაში, სულით და გულით კარში იყო, მისი აზრი და გრძნობა თავისუფლად დანავაღობდა ცის კამარაში, ციხის კედლებს მაღლად მისი სხეუ-

ლი ჰყავდა დატყვევებული; დიახ, შალვას სული მუდამ გაუტეხელი და თავისუფალი იყო, მუდამ ამაყი და ქედმოუხრელი...

მაგრამ... ერთია შორიდან ცხოვრების თვალ-თვალი, წიგნებისა და გაზეთების საშვალებით მისი გაცნობა და სულ სხვაა თვით ამ ცხოვრების შუა გულში ყოფნა და შიგ ტრიალი...

ის მუდამ წიგნებისა და ჟურნალების კითხვაში იყო, ერთი დღე რა არის, უსაქმოდ არ ყოფილა, მაგრამ ყოველივე ეს ნაპირიდან თვალიერება იყო იმ აბობოქრებული და მრავალფეროვანი ზღვისა, რომელსაც ცხოვრება ეწოდება; ეს მუშაობა ბოლოს მაინც ხმელეთზე ცურვის სწავლას უდრიდა.

— ციხეში რომ არ ვყოფილიყავი, მე ვერას დროს ვერ ვიშოვიდი ამდენ დროს თვითგანვითარებისათვისო,—ხუმრობის კილოთი იტყოდა შალვა.

გარეშე ცხოვრებაზე ხელ აღებული, პიანჭველის მსგავსად დაძერებოდა იგი წლიდან წლამდე საკუთარი სულის უთვალავ ხვრელებში და ცოდნის ლამპარით იღვიებდა იმ ღვთაებრივ ცეცხლს, რომლის სითბომ უვნებლად გამოატარებინა ათი წლის სავალი საშინელი გზა.

— რად გიღირს ყოველივე ეს, ეგების მოულოდნელად ჩაკვდე ამ ჯურღმულში სამშობლოდან გადმოკარგული, ცოლ-შვილის დაუტირებელი, მშობლების მიერ ცრემლებ დაუყრელიო,—ჩასჩურჩულებდა ხოლმე ხანდიხან ბორკილების რახუნთან ერთად შავბედითი ყორანი, მაგრამ შალვას არსებობაში ყოველთვის საკმაოდ ძლიერი იყო სიცოცხლის ძალა, რომ წამსვე მოეშორებია ეს სულისა და გულის მღრღნელი ეჭვები.

და დღეს უკვე გამარჯვებული, ყოველ წუთს მოელის, საკანის კარებიდან გამარჯვებულის ნაბიჯებით გამოსვლას.

ათასნაირი სურათი აგონდება შალვას, რომ დინდელი მოგონება არ ტივტივებს მის არსებაში? არეულად, დაულაგებლად... ძნელი იყო ამ ქაოსში გარკვევა და რაიმე მთლიანის წარმოდგენა... აი, განვლილი ცხოვრების მომენტები, პირველი რევოლიუციის სურათები: მიტინგები, კრებები, დროშები...

განსაკუთრებით, ცხოვლად ახსოვს ერთი დიდი მიტინგი, რომელიც მან მოაწყო ნესტორ ნაბადაძის დახმარებით იმ სოფელში, სადაც ის ევას მამის სახლიდან წავიდა და როდესაც მასთან ერთად მუშაობდა მამის სახლ-კარიდან გამოქცეული ევა.

აბორცვებულ ფერდობზე ზღვა ხალხი, წითელი უბრალო დროშები, თითონ ბეგობზე დგას, მეორე მაღლობიდან ევა შემოჰყურებს, და...

ასაფრენ ქანდაკებასავით მიჩერებია, ამაყობს მისი სახელით, დიდებით... ნიჭით რევოლიუციონერის ცეცხლით...

— ეხ, რა კარგი დრო იყო! რა ბედნიერი დრო იყო!.. ოჰ, ევა... ევა!.. სად არის ახლა, ცოცხალია, თუ მკვდარი?..

ამ უნებლიეთ მოფრენილმა აზრმა ერთიანად დასცარა შალვას სული და გული, საშინელ შხამათ ჩაეწვეთა არსებაში და ისე ძლიერად შეარყია მისი ორგანიზმი, რომ რამდენიმე წამის განმავლობაში გაშეშებულივით იდგა.

მაგრამ მის არსებას შვება უნდოდა ამ წამს და რაც უნდა შაგი აზ-

რი სწვეოდა, მისი სულის დაუფლება მაინც არ შეეძლო: შავი ბჭის გამოჩენა უბრალო გაელვება იქნებოდა და მეტი არაფერი.

დიდხანს, დიდხანს იჯდა იგი დაფიქრებული. მუხლებზე [illegible] დაყრდნობილს, ხელში ბორკილი ეჭირა და ათასნაირ ფიქრებში [illegible] ნებდათ იმ სურათს, რომელზედაც ასახულია ხრიოკ უდაბნოს ქვაზე დამჯდარი მარხულობისა და განწმენდის შემდეგ ჩაფიქრებული ქრისტე, რომელმაც განსაცდელს თავი დააღწია და გაკაჟებულის რწმენით შეიარაღებული, უკვე მზად არის აღაღოს ბაგენი თვისნი ჰეშმარიტების საღაღადებლად, მაშვრალთა საბედნიეროდ და ამა ქვეყნის ძლიერთა გულის გასაგმირად...

IV.

უკვე შუა ღამე შეიქნა. ხმაურობა ხან მინელდებოდა და ხანაც გაძლიერდებოდა.

ციხის ადმინისტრაცია გონება დაკარგული მოელოდა რაღაც უბედურობას; იდუმლად ჩურჩულებდენ, თავიანთი ხმების თითონვე ეშინოდათ; სმენად და ნერვებად გადაქცეულნი, აჩრდილებივით დადიოდენ. ირგვლივ მხოლოდ გუგუნი და გაურკვეველობა იყო; თითქო ერთხორცად ქმნილნი ტუსაღები, ერთის ენით გუგუნებდენ რაღაც ყრუ ხმას, რომელშიც შური ძიება და აღტაცება ერთად იყო გადანასკული. ხუნდებიანი ნოხა ბორკილების დასამსხვრევად ემზადებოდა, მის გამწარებულ გამოხედვაში საშინელების ცეცხლი გამოკრთოდა...

— რა ამბავია? მართლაც რევოლიუციაა!.. დავკრათ, ბიჭებო, დავკრათ!.. გაჰკიოდა სიმონია.

— Бох мой, Бох мой! ჩურჩულებდა ვლასი...

— რევოლიუცია, რევოლიუცია! გვეშველა, გავნთავისუფლდებით... დავკრათ, ბიჭებო, დავკრათ! დასცხეთ კარებს მუშტები და პაროშკები, დავსცეთ მტარვალი!.. აი ისვენებს სიმონია.

გუგუნი ძლიერდება, ხმაურობა მატულობს, ირგვლივ საერთო ბორგვაა...

გულები აჩქარებით ფეთქავენ, ყელებს სულის თქმა უჭირსთ, მაჯებს ელვის სისწრაფით ასკდება აქაფებული სისხლის ნაკადულები...

— უუუ... უუუ,—გუგუნებს ციხე.

— კარებს დავკრათ, კარებს! გაჰკივიან ტუსაღები.

უცებ ერთი სართულის დერეფანში ნალებიანი ჩექმების ხმა მოისმა, ნაბიჯები მოახლოვდა, ყველამ სული განაბა...

კიდევ წამი და...

შალვას საკანის კარებს მოადგენ. აცახცახებულმა მეკლიტურმა ძლივს მონახა ბოქლომი, მოისმა კლიტის ხმა და... კარებიც გაიღო...

უბრალოდ ჩაცმული ყმაწვილი: შავი ხალათი, ფიჯაკი, გაცრეცილი პალტო, წავის ქუდი, კეთილზე კეთილი სახე, მოწითალო წვერ-ულვაში. სხვილი ცხვირი...

რუხად მორთული ჯარის კაცები, ფართე სარტყლიანები, ბელში ვინტოვკებით... გაკვირვებულნი...

აცახცახებული ციხის უფროსი... მთრთოლვარე ხელით, სალამისათვის აწეული ხელი... მოჩიფჩიფე ტუჩებიანი წვრილფეხა მოსამსახურენი...

— ეს... გახლავთ... ღრუბელიანი!... თქვენო... კეთილ... თქვენო აღმატებულებავ!..

— ამხანაგო ღრუბელიანო! მახარობელი ვარ: დაემხო ის რეჟიმი, რომელმაც შენ გაწამა!—დაიწყო პატეტიურად ყმაწვილმა, მაგრამ უცებ ხმა აუთრთოლდა, ცრემლებმა უსწრო...

— მომილოც... ნია!... თქვენ თავისუფალი ხართ! მხოლოდ ამის თქმა ღა მოასწრო მან.

— ამხანაგო!.. იყო პასუხი და ეს ორი სრულიად უცნობი, ერთმანეთის უნახავი ადამიანი, სხვა და სხვა ქვეყნის შვილები ღვიძლზე-უღვიძლეს ძმებივით გადაეჭდენ ერთმანეთს.

— ძმაო... ამხანაგო... ძმაო... ამხანაგო... გაისმოდა გულ ამოსკვნილად.

ვლასი პირჯვარს ისახავდა, სიმონიკა ბავშივით ფლიკვინობდა, ჯარის კაცები ცრემლებს ვერ იმაგრებდენ.

შალვამ ეხლად შეამჩნია ჯარის კაცები, წამოხტა და თითეული მათგანი გულში ჩაიკრა.

— მთავრობა დაემხო, სატახტო ქალაქს თან მიყვა პროვინციაც, ამ წუთს მთელი რუსეთის სივრცეზე ფრთას შლის თავისუფლება... ჩვენს ქალაქშიც უდიდესი მიტინგია, ჩვენი პარტიის წევრთა კრება შესდგა, ადმინისტრაცია გადავაყენეთ...

ბორისმა—ასე ეძახდენ იმ ყმაწვილს—აჩქარებულათ უამბო რაც იცოდა.

—ჩვენმა ამხანაგებმა იცოდენ თქვენი ამ ციხეში ყოფნა,—ამბობდა ბორისი,—ამიტომ მყისვე აქეთკენ გამომგზავნეს, თან გამომატანეს სახელდახელოდ არჩეული აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანება.

ჯარის კაცები სულგანაბული იდგნენ, ციხის უფროსს გაფარჩხული ხელი საფეთქელზე ჰქონდა მიქვავებული, მეკლიტური კუზმა გამარჯვებულ ღიმილით უპვრეტდა მომუსაიფეთ, ციხე კი ისე ზუზუნებდა, როგორც აშლილი საფუტკრე.

— უუუ... უუუ... ბანზარებდა ყველაფერი.

— ახლა კი წავიდეთ, ამხანაგო,—უთხრა ბოლოს ბორისმა,—თან წამოიღეთ თუ რამე გაქვთ.

— დიახ... მე... მე... მზადა ვარ...

— ეხლავე გამოგიწყობ ყველაფერს,—წამოიძახა სიმონიკამ, რომელიც ბორისის ლაპარაკის დროს „ოხოხოხოხო“-სა და „Вот, ей Богу хорашо“-ს იძახდა თავის ჭნევითა და ხელების შლით.

— რაკი შენ თავისუფლება გელირსა, ძვირფასო აფხანაგო... ყველაფერს გამოგიწყობ, ყველაფერს.

სიმონიკა ჯარასავით დატრიალდა, აქეთ ეცა, იქით მიკარდა; ცდილობდა ბორისის ყურადღება მიექცია.

— თქვენ, რასაკვირველია, ამხანაგო, არც ჩვენ დაგვივიწყებთ,—უთხრა ბოლოს სიმონიკამ ბორისს.

— დიახ, დიახ, ყველას შეღავათი გექნებათ, ყველას... სისხლის სამართლის ტუსაღებსაც კი...

— არა, მე სისხლის სამართლის როდი ვარ, პოლიტიკური ვარ,.. იმ შალვა გეტყვით ყველაფერს...

— ნუ გეშინია, სიმონიკა, ყოველიფერს მოვაგვარებ,—აიმედებდა შალვა.

— ყველაფერი გამოირკვევა, ამხანაგო, ყველაფერი... თქვენც გაგანთავისუფლებთ, დარდი ნუ გაქვთ,—უთხრა ბორისმა.

— აბა, თქვენ იცით, მეც პოლიტიკური ვარ... პიატი გოდაში... მე... ტერორი... ყუმბარა... პარტია...

შალვამ გადაჭოცნა ვლასი და სიმონიკა და კარებისკენ წავიდა. ჯარისკაცებმა სამხედრო სალამი აუღეს.

— არ არის, ამხანაგო, საჭირო, არა! ღიმილით უთხრა შალვამ.

— შალვა, აფხანაკო, აბა შენ იცი. არ დამივიწყო, გახსოვდეს ჩვენი პარტიის ინტერესი,—აბარებდა სიმონიკა.

— ღმერთო გეიშველე, ღმერთო გეიშველე,—ჩიფჩიფებდა პირჯვრის წერით ვლასი.

— გვაპატიეთ, თქვენო აღმატებულებავ, გვაპატიეთ!.. ეუბნებოდა შალვას ციხის უფროსი, რომელიც ფეხებში ჩაუვარდა და თანაც ხელებს უძენიდა დასაკოცნად.

— არ არის საჭირო, არა,—შეაჩერა შალვამ და ზეზე წამოაყენა.

ციხის მთელი ადმინისტრაცია ლამაზად გადამწკრივებულიყო დახშულ დერეფანში. ჩაყვითლფოლაქებულ შავ პალტოებში ისე იყვნენ გამოსკვნილნი, როგორც ეგვიპტის მუმიები.

შალვა არ მოელოდა ციხის მოსამსახურეთა რაზმის შეხვედრას და პირველად კიდეც შეკრთა. უნდოდა რაღაც ეთქვა, ტუჩებიც შეათამაშა, მაგრამ ამ დროს მწყობრი სამხედრო სალამი მისცეს და შალვაც შეჩერდა.

— მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო ყოფილო დარაჯებო!—ღიმილით უთხრა მათ და თავი დაუკრა; რაზმი კიდევ მიესალმა, ეხლა უფრო გრძლად და ხმა მაღლა.

თავზარ დაცემულნი არიან: ახლა გადაგვიხდის რაც ვაწვალეთო,—დედა-შიწა უსკდებათ.

— რა საჭიროა ესენი, მოდით გადავკოცნოთ ერთმანეთი,—მიმართა მათ აგუღლჩვილებულმა შალვამ, რომელიც უალრესმა ლმობიერებამ და სათნოებამ მოიცვა.

— შეგვიბრალეთ... გვაპატიეთ...—ჩურჩულებდენ კოცნის დროს მოსამსახურენი, რომელნიც კოცნას კი არა, რაღაც საშინელებას მოელოდენ შალვას მხრივ.

— ღმერთმა გიშველოს, უფალმა შეიწყალოს თქვენი სული... არა ყოფილხართ ღვთისაგან განწირული, ღმერთი იყოს შენი შემწე, + ლოცვად მოხუცი მსახური.

ამ წუთს ამათზე გულწრფელი და ლმობიერი ხალხი არ მოიპოვებოდა ქვეყანაზე. დააეიწყდათ წარსული სისაძაგლე, არა ადამიანური მოპყრობა ტუსაღებას მიმართ და ეხლა მათ არსებაში ფეხქავს ყოველივე სიკეთე, სიწმინდე და სათნოება. შალვას კოცნან ისინი ადამიანურ კრძნობებში გახვია და მსწრაფლ ამოიყვანა ტალახიდან.

— მიპატიებია, ძმებო, ყველაფერი მიპატიებია, თქვენი ნებსითი თუ უნებლიე შეცდომები!.. ყველაფერი წყეული თვითმპყრობელობის ბრალი იყო, ის იყო თქვენი გამოყვნილი და შემარცხვენელი... იყავით ბედნიერნი.. კეთილნი, სათნოიანი!.. ახლა კი მშვიდობით!..

— მშვიდობით!.. მშვიდობით!.. იგრიალა მთელმა ბრბომ.

ერთ წუთს შალვა შეჩერდა და იქაურობას დააკვირდა: დამფრთხალ სახეებს, ნამდვილ მონურ გამოშეტყველებას და... მოულოდნელად აქვითინდა.

— ძმებო, საბრალო ძმებო,—ჩურჩულებდა იგი და ცრემლებს ვერ იმაგრებდა,—შესაბრალისნი თქვენა ხართ და არა ისინი, ვისაც თქვენ დარაჯობდით... ისინი ძალით დაიმონეს, თქვენ კი თქვენით ემონეთ აქაურობას...

V

შალვა ანგარიშ მიუცემლად დამორჩილდა ბორისს, რომელმაც თბილი ტანისამოსი ჩააცვა და ეტლში ჩასვა. ჯარისკაცები წინ ჩამოსხდენ. აღელვებული შალვა გრილმა და სუფთა ჰაერმა მალე დააწყნარა, მაგრამ ლაპარაკი მაინც არ შეეძლო.

გზა კარგა ხანს გაგრძელდა. შალვა ქალაქის ადგილისაკენ მიჰყავდათ.

ციოდა. ყველაფერი მიჩუმებული იყო. აქა-იქ მკრთალად ანათებდა სანათური. არსმარეს ნისლში არეული ბნელეთი ჰბურავდა.

ეტლი გამალებული მიქანაობდა, ცის გაყინულ გუმბათში ვარსკვლავები ციმციმებდენ. პოლიცია არ ჩანდა, არც მოქალაქენი მიდი-მოდიოდენ ქუჩებში. მხოლოდ დრო გაბოშვებით თუ დაინახავდით სიჩქარით მიმავალ თიო ორთოლა პირს.

ჯარის კაცები გაკვირვებულნი აცქერდებოდენ შალვას, განსაკუთრებით მაშინ, როცა სინათლეს იხელთებდენ. შალვა და ბორისი რევოლიუციაზე ბაასობდენ.

— მოვუახლოვდით ქალაქის თვითმართველობას, — სთქვა ბოლოს ბორისმა.

თვით მართველობის შენობის გარშემო აუარებელ ხალხს მოეყარა თავი, ელექტრონის ვეებერთელა ლამპარით გაბრწყინვებულ კიბეზე უამრავი ხალხი იორეოდა: ზოგი ღარბაზში შედიოდა, ზოგი იქიდან გამოდიოდა. ყველას სიხარული ემჩნეოდა, ყველას სახე უბრწყინავდა. ელექტრონის კამკამა სინათლეზე

ადამიანთა სახეები სანთლისაგან ჩამოსხმულებს ჰგავდენ. გეგონებოდათ სინემატოგრაფის ლენტს ვხედაო: არც სიტყვები, არც ხმაურობა, მხოლოდ უსიტყვო მოძრაობა და ჩუმი მიმოხვრა.

ფართო მოედანზე, სადაც ერთ ერთი მეფის ძეგლი იყო აღმართული, ბლომად ხალხს მოეყარა თავი; ძეგლის გვერდით ორატორი იდგა და სიტყვას ამბობდა. თუ კარგად არ ჩააკვირდებოდით, მოგეჩვენებოდა, თითქო თითონ ძეგლი ალაპარაკებულაო. ეტყობოდა, რომ ეს არ იყო მთავარი მიტინგი, ხალხი უფრო შენობის დარბაზში შედიოდა.

შალვას გული აუტოკდა, თვალები ცრემლებით აევსო... დაუჯეროს თუ არა თვალებს, სიზმარია თუ ცხადი?

მაშ, ყოველივე სინამდვილეა!.. ვერ ჩაჰკლეს შალვა ციხეში, ვერ მოუსპეს სიცოცხლე... კვლავ ელირსა ცხრაას ხუთისებურ მიტინგების ნახვას...

ეტლის სიარული უკვე შეუძლებელია, მოზღვავებული ხალხი ცხენებს გზას არ აძლევს. ტაშის გრიალი აყრუებს იქაურობას, ცხენები ფრთხებიან. ძველი და ახალი ერთიანად აირია შალვას არსებაში. ის ელვის სისწრაფით გადაჰფრინდა თავის ტკბილად მოსაგონარ წარსულში და ისე ცხოველად მოაგონდა პირველი რევოლიუციის სურათები, თითქოს გუშინ ენახოს ყოველივე, თითქოს მას აქეთ მის ცხოვრებაში არ ჩამოწოლილიყოს საშინელი შავი ხანა, შავი ვეშაპი, რომელიც შთანთქას უქადდა მას. არც ციხე, არც ბორკილები და არც შავად მღრღნელი ფიქრთა ხროვა არ ახსოვს, თითქოს არც სხეულის ტანჯვა უნახავს, არც სულის წუხილი, ეგ წარსული, მხოლოდ სიზმარი იყო, კოშმარებიანი სიზმარი. ის თრთის, გული ბუდეში არ უმაგრდება და უნდა ტრიბუნისკენ გაექანოს, მაგრამ გზას ვერ იგნებს, მიზღვავებულ ხალხში გასვლა შეუძლებელია, თანაც საშინელ სისუსტეს გრძნობს, მუხლები უკანკალებენ...

რამდენიმე ხნის უკან შალვა თვითმართველობის დარბაზშია, იქაურობა ხალხითაა ავსებული, მხოლოდ ტრიბუნიდან მოლაპარაკეს დაინახავთ. ხალხი ისეა გაჭედილი, რომ ცერებზე ამდგარი მხოლოდ ადამიანთა თავებს თუ შეხედავ. ცხელა. დარბაზის შუა ჭერიდან ჩამოკიდული კანდელი აუარებელის სახთლებითა და ბროლის შუშებით დათამაშებს საზეიმოდ თავშეყრილ ხალხს. ტრიბუნამდის მისვლა შეუძლებელია.

— ამხანაგებო, მოქალაქენო,—გაჰკივის ტრიბუნაზე ძლივს აფორთხებული ბორისი, ავასრულე თქვენი დავალება და საპყრობილედან გავაღთაისუფლე ჩვენი ძვირფასი კავკასიელი ამხანაგი—შალვა ღრუბელიანი, რომელიც თერთმეტი წელია, რაც მტარვალთა განაჩენით იტანჯებოდა ჯალათების ხელ...

ვაშა... ვაშა... გვაჩვენეთ! გვაჩვენეთ! გრიალებს ხალხი.—გაუმარჯოს, გაუმარჯოს!..

უცებ ვიღაცებმა შალვა ხელით ასწიეს და თავების დახამხამების ხანს აუარებელ ხალხის თავზე გადავლებით ტრიბუნამდე მიიყვანეს.

ის ჯერ კიდევ ციხის ტანისამოსში იყო; მისმა დანახვამ აუწერელი აღტაცება გამოიწვია, მთელი დარბაზი ავრიალდა, ვაშას ძახილი და გაცხარებული

ტაშის ცემა ზეცას ასდიოდა... დაუსრულებელი ოვაციები, ხვევნა, ჯრცნა, ცრემლები...

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!.. ძირს მტარვალები, ძირს!

ათრთოლებული შალვა დაბნეულია და არ იცის რითი გასცეს პასუხი. ხან დაბნეულის ღიმილით იცქირება აქეთ-იქით, ხან მადლობის ნიშნათ თავს უკრავს.

გრძნობად ქცეული შალვა ერთიანად გარინდდა, აუწერელი ბედნიერების მორევში გადაცურებული მზად არის გულში ჩაიკრას მთელი ხალხი, მაგრამ ერთიანად მოთენთილი და ხალხის აღტაცებით გაბრუებული მხოლოდ იღიმება, მხოლოდ სალამს იძლევა. ბედნიერია, გამოუთქმელად ბედნიერი... კვლავ დაუბრუნდა ცხოვრებას, კვლავ გადასცურდა ადამიანთა ზღვაში, კვლავ გაითქვიფება იმ მასაში, რომლის გულის სიღრმიდან უღვთოდ ამოკლიჯეს იგი, კვლავ აძგერდა მისი გული მთელი ერის გულთან ერთად.

ხალხი თხოულობს რომ, სიტყვა სთქვას შალვამ. ის ადის ტრიბუნაზე, თვალებს გაუსწორებს ხალხს და გაჩირაღდნებულ კანდელს, უნდა პირი გააღოს და სიტყვა სთქვას, მაგრამ... უცებ მუხლები აუკანკალდება, თავბრუ დაეხვევა და გულშეღონებული ძირს ეშვება...

— წყალი!.. წყალი!..

— უუუ, ...უუუ—გუგუნებს ხალხი,—წყეულიმც იყოს! წყეულიმც სამუდამოთ, ვინც ჩვენი ამხანაგი ასე დაასუსტა!..

— ზიზღი! წყევა და კრულვა!... გაუმარჯოს! ვაშაა!

სხვა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები საჩქაროდ შეკრებილიყვნენ ქალაქის თვითმართველობის დარბაზში და გაცხარებული მსჯელობდენ იმის შესახებ, თუ ვინ დაბატრონებოდა ვეებერთელა ქალაქს და გუბერნიას? ყველა თავისებურ გეგმას აყენებდა, შეთანხმება არსად სჩანდა, მსჯელობა საშინელი ნაჩქარევი და დაუშუშებელი იყო. მოქალაქეთა ერთი ჯგუფი აღიარებდა, რომ თვითპყრობელობის შემდეგ ისტორიულად მართვა-გამგეობა მის ხელში უნდა გადავიდეს; მეორენი ამ აზრს ერთიანად ეწინააღმდეგებოდენ და მხოლოდ თავისთვის მოითხოვდენ ხელისუფლებას; ზოგი კიდევ რას ამბობდა და ზოგი რას!

ერთი სიტყვით ეს იყო უფლების ერთგვარი დატაცება და დანაწილება: მოკვდა დიდი ბატონი და დღეს მისი დანაშთი უნდა გაიყონ.

არავის არ უნდა ხელცარიელი დაბრუნდეს შინ, ყველა ჯგუფა უნდა თუნდაც ერთი ფეხით მომაგრდეს იმ ადგილას, საიდანაც ამდენი ხანია ძველი ბატონი ბრძანებლობდა.

— სირცხვილია ამ დროს ბედნიერ წამს რომელიმე ჯგუფის ინტერესებზე ლაპარაკი! ასეთი ბედნიერი დღე გაგვითენდა, ასე აღსრულდა მრავალ თაობათა ოცნება, მტარვალი დაემხო, ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, შვება გველირსა... და თქვენ რაღაც შენ ჩემობაზე ლაპარაკობთ!. დღეს მთელი რუსეთის გული ერთნაირად სცემს, არ არსებობს ცალ-ცალკე პიროვნებანი, ჯგუფები, პარტიები, წოდებანი! ჩვენ ყველანი ერთნი ვართ, ერთის გრძნობით აღ-

ტაცებულნი, ერთის აზრით გამსჭვალულნი! ვინ იქნება ჩვენს უფართოეს სამშობლოში ამ ბედნიერ ჟამს ისეთი, რომ თავის თავზე, პირად ბედნიერებაზე და თავის წრის კეთილ დღეობაზე იფიქროს. განა ჩვენი [illegible] ინტელიგენცია იმისათვის იბრძოდა, რომ ის ეგოისტი იყო და თავისათვის სწყდომოდა ძალა უფლება? არა, თავისუფალნო მოქალაქენო! იყავით სასახელონი, თქვენ თავისუფლებისათვის დაღუპულთა შთამომავალნი ხართ, დიად მომენტში ცხოვრობთ და თქვენი ნაქმედებაც დიადი უნდა იყოს! ნუ ითქმება გამთიშველი სიტყვა, განმცალკევებელი აზრი! ჩვენ ყველანი ერთი ოჯახის შვილები ვართ, ერთნაირად საბინონი, ერთნაირად კეთილნი, ერთნაირად გვიყვარს საწყალი ადამიანი, ტანჯული ძმა!...

ასე მეტყველებდა საშვალო ტანის ექიმი: თანაც ცრემლებს ღვრიდა, სახეზე უალრესი ლმობიერება ეხატებოდა, მიკეთებული უდიდესი კეთილშობილებით სცენდა, მისი თვალები სათნოებით ელვარებდენ.

მაღალი, ჭერა, თხელი წვეროულვაში, პროლა თვალები, მოწამებრივი გამომეტყველება, ლაპარაკში ყველა ბგერები „ო“ სავით გამოუდის.

— ძმებო, მოქალაქენო, რას ეხედავთ, როგორ გავბედნიერდით! რუსის ხალხო, ბედნიერო ერო, განთავისუფლებულო მონავ! ჩურჩულებდა იგი მთელი დღის განმავლობაში და შეუმჩნეველად ტიროდა.

ექიმის სიტყვებმა აღფრთოვანება გამოიწვია და მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს იგი. მაგრამ... მართვა გამგეობის განაწილების დროს მაინც თავისას თხოულობდენ, არავინ არ ფიქრობდა დაიმობაზე.

— თავისუფალნო მოქალაქენო—არ ცხრებოდა ექიმი, რომლის სიტყვას მეორეჯელ გაცილებით ნაკლები ყურადღებით ისმენდენ—თავისუფალნო მოქალაქენო, მე ძველი იდეალისტი ვარ, გაუსწორებელი იდეალისტი... დიახ, მე ერთგვარი სიმეოხ მოხუცი ვარ, რომელმაც ვიხილე მაცხოვარება მისი და გთხოვთ, გემუდარებით, გევედრებით სახელითა თავისუფლებისათა და სხვა და სხვა...

ახლა უფრო ხანგრძლივად ილაპარაკა „ძველმა გაუსწორებელმა იდეალისტმა“, მაგრამ... ჯგუფები მაინც თავიანთი სურვილების მიღწევაზე ოცნებობდენ. ილაპარაკა ღრუბელიანმაც, რომლის ყოველი სიტყვა გულიდან ამონაგლეჯი იყო და დაუსრულებელ ტაშს იწვევდა.

იგი მთელის თავის არსებით შთაინთქო საერთო აღფრთოვანებაში, მისი აზრი და გრძნობა ერთიანად გადაენაკვა საზოგადოებისას. ამდენი ხანია ის მხოლოდ ოცნებობდა ამ მომენტზე; სხვა და სხვა ქვეყნებში მომხდარი რევოლიუციები ოცნებით გადმოქონდა თავის ქვეყანაში და მუდამ იმაზე ფიქრობდა, თუ რა როლს ითამაშებდა და როგორ მოიქცეოდა პირადათ იგი, რომ ასეთი ამბების მოწამე გამხდარიყო.

და ჰოი, ბედნიერებავ, აუსრულდა რასაც შეტრფოდა, აუხდა რაზედაც ამდენი ხანი ოცნებობდა!..

ამაზე მეტ ბედნიერებას განა მოესწრება ადამიანი?

ამ ქალაქში პირადათ შალვა არავის არ იცნობდა, ისე კი კარგად იცოდა

რომ აქ მისი თანამოაზრენი ბლომად ცხოვრობდენ. პოლიტიკურ საქმეზე დატუსაღებულნი ხშირად უამბობდენ ამ ქალაქის რევოლიუციონერი კომიტეტის არსებობაზე. ზოგიერთი რევოლიუციონერების გვარიც კი ეცოდა მას.

და დღეს, როცა მისი ოცნება სინამდვილეთ იქცა, შალვა ცდილობს პირადათ გაეცნოს მათ, დაუახლოვდეს და მათთან ერთად გაიზიაროს საქვეყნო საქმეების გაძღოლის საქმე.

ეს უცნობი ამხანაგები ამ წუთს ისე უყვარდა მას, როგორც საკუთარი ძმები; ყველა ამ პეტროვებს და ივანოვებს, პაველებსა და კუზმებს პირველად ხედავდა შალვა; არც ერთი მათგანი ჯერ თვალით არ ეხილა, მაგრამ მთელის არსებით გრძნობდა, რომ სულითა და გულით მათი უღვიძლესი ნათესავი იყო, მუდამ მათის აზრითა და გრძნობით უცხოვრია.

ხორციელათ ერთმანეთის ჯერ არ მნახველნი, უცხო ხალხთა და ქვეყანათა შვილები, შორეულ დედებისა და ძუძუების აღზრდილნი, სულიერად ერთნი ყოფილან, ერთის მიზნისკენ მიმავალნი, ერთი კერპის მადიდებელნი.

ეს ნათესაობა ისე ძლიერი იყო მათ შორის, რომ ერთი მეორეს ორიოდე სიტყვითაც კი აცნობებდენ თავიანთ გულის ნადებს.

აჭობამდის შეუმჩნეველად და იდუმალათ არსებული ერთობა, დღეს, როცა ჟამი დაუდგა, ერთიანად გამოირკვა. რა მკვიდრი და ძლიერი ყოფილა ეს კავშირი! რაგვარის სიძლიერით შესძლებია ადამიანთა შედუღება და შეწებება!

— ამხანაგო, ამხანაგო,—ესმის შალვას ყოველის მხრივ უგრძნობიერესი სიტყვა და ასე ჰგონია, რომ ამ სიტყვაზე უფრო წრფელი და ღრმა მეორეც კი არ მოიპოვება ქვეყანაზე.

VI

მესამე დღეს, შუა დღის ხანს, აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის დროს, შალვას აცნობეს ვიღაც კაცი გხმობილობთო. შალვამ მაშინვე დასტოვა კომიტეტის სხდომა და დერეფანში გამოვიდა. მიიხედ-მოიხედა და... მის წინაშე იდგა ჩოხა-ახალუხში მორთული, თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩაცსხდარი... სიმონია ებზიანიძე.

— სიმონია!... შალვა!—შესძახეს და ხარხარით გადაჰკოცნეს ერთმანეთი.

— კაცო, ეს რა ამბავია, როგორ მორთულხარ!.. ხა... ხა... ხა!—ვერ იმაგრებდა სიცილს შალვა,—ამ ტანსაცმელში ნამდვილი კუდაბზიკა ხარ, გიორგი წერეთლის კუდაბზიკა!.. ხა... ხა... ხა!..

— მართლაც, მართლაც,—ხარხარითვე უპასუხა სიმონიკამ წელის რხევით: გაიარ-გამოიარა, თავისივე თავს დასცინოდა შალვას გულის მოსაგებად.

— ღმერთმანი, კუდაბზიკა ვარ, სწორედ კუდაბზიკა! რამ მოგაგონა ეს სახელი, შე ეშმაკო, შენა! ხა... ხა... ხა!...

— დიახ, კუდაბზიკა, დიახ,—გულიანათ იცინოდა შალვაც, რომელსაც

სიმონიკასათვის სარტყელში ჩაეკიდნა ხელი და ტანის ქანაობით ელაპარაკებოდა.

სიმონიკამ განსაკუთრებით მაშინ უმატა გრეხას და შალვას ალერსს, როცა დაინახა, რომ ვეებერთელა დერეფანში თავმოყრილი ხალხი ყურადღებად გადაქცეულიყო და გულდასმით უცქეროდა—ერთმანეთის მოალერსე თანამემამულეთ; ზოგ მათგანს სიმონიკას მორთულობა და ქცევა გაკვირვებასთან ერთად ღიმილსაც ჰგვრიდა.

სიმონიკამ მოხდენილად გაუყარა შალვას მკლავში მკლავი და ამაყად გაატარ-გამოატარა, თან წამდაუწუმ გადახედავდა მაყურებლებს,—„ერთი შემოხედეთ, რა დიდკაცთან მაქვს საქმე, არც მე გეგონოთ უბრალო ვინმეო,“ ამბობდა მისი გამომეტყველება. სიმონიკას უნდოდა ყველასთვის ეჩვენებია, რომ ის შალვას უბრალო ნაცნობი კი არ იყო, არამედ ახლობელი ამხანაგი და თანამებრძოლი. ამიტომ სულ „შენობით“ ელაპარაკებოდა და—თანაც წამდაუწუმ აგონებდა ციხეში ერთად ყოფნასა და „თავისუფლებისთვის ერთად ტანჯვის დღეებს.“

Понимаешь, Шалва когда пракляти кандали бросил, падумал торой раз радился... И ти тоже обрадовался, ара?—ეუბნებოდა რუსულად სხვების გასაგონად.

შალვას დაავიწყდა კომიტეტის სხდომაზე შესვლა.

სიმონიკას ნალაპარაკევიდან გამოირკვა შემდეგი: შალვას ციხიდან განთავისუფლების ამბავი მაშინვე გაუგია მთელ ციხეს. ყველა აუწერელ სიხარულს შეუპყრია და მაშინვე მოუთხოვიათ განთავისუფლება, მაგრამ ციხის ადმინისტრაციას რალაც უარისებური გაუბედავს. ამაზე სიმონიკა გაჯავრებულა: როგორ მიბედავთ ამას! მე შალვა ღრუბლიანის ამხანაგი და თანამემამულე ვარ, მეც მასთან ერთად ვიბრძოდი თავისუფლებისათვის! ის თუ გაუშვეს, მე რალა ნაკლები მნახესო!

ეს აზრი სხვა ტუსაღებსაც გაუნაწილებია და კიდეც „დაუცხიათ კარები-სათვის.“ ატეხილა ჯოჯოხეთური ხმაურობა, ისედაც დამფრთხალ ადმინისტრაციას სულ დაბნევია გონება და პატიმრებსაც დრო უხელთებიათ: საკნების კარები გამოუტეხიათ და გათენებისას მთელ ქალაქში მოფენილან.

შალვამ ეს ამბავი გაიგო, როცა სიმონიკას განსათავისუფლებლად დაიწყო ხრუნვა. სახელდახელოდ დანიშნულ ქალაქის მილიციის უფროსს უკვე მოეხსენებინა ახალი მთავრობისათვის ციხეში მომხდარი ამ ები: გაქცეულებში ბევრი საშიში და მავნე პირი ურევია და დავატუსაღო ისინი თუ არაო?

— ოხო-ხოხო, შენი ღმერთისა! რა დავარტყი, რა დავარტყი ციხის კარებს! სულ ხანხარი დავაწყებინე იმოდენა შენობას, ტრაბახობდა სიმონიკა, რომელსაც ერთობ ეამა, როცა გაიგო—გუშინ ნდომებია შალვას ჩემი განთავისუფლება, როგორც პოლიტიკური საქმისათვის დასჯილისაო.

— შენ რომ წამოგიყვანეს, ყველას იმედი მოგვეცა. ტუსაღები ამბობდენ: შალვა ჩვენ აქ უყურადღებოდ არ დაგვტოვებს, ყველას გაგვანთავისუფლებსო'

ამბობდა სიმონიკა,—მაგრამ მე გულმა არ მომითმინა და დავკარი და დავკარი ეს ჩემი ფუთიანი მუშტები! რევოლიუცია ასე უნდა, აბა! ხა-ხა-ხა!

— რომ იცოდე, რა ქნა ჩვენმა საწყალმა ვლასმა! პირველად ძალიან ეძგერა კარებს, ერთი-ორი ბულასავით შებღაგლა, მაგრამ უცებ მეშინდა, რაღაც გაიფიქრა, პირჯვრის წერას შეუდგა და სულ „господи помилуй“-ს ძახილით ტიროდა. ცრემლებს ვერ იმაგრებდა. ძლივს გამოვათრიე კარში, როდი აპირებდა წამოსვლას, სულ ქარჩალ-ქარჩალით წამოვიყვანე, ბაქშივით ზლუქუნებდა. „ბორკილები არ შემხსნათ, თავი დამანებეთ, თორემ დამსჯიანო. უმანიფესტოდ როგორ წამოვალო! ხა-ხა-ხა! ერთხანს ვათრიეთ, მაგრამ მერე სადღაც ბნელეთში მიიმალა. ეგების კიდეც შებრუნდა ციხეში. „სად უნდა წავიდე ამ შუაღამეში, აქ არავის ვიცნობო“—ღრიალებდა...

— საწყალი ვლასი, ის ხომ ციხისთვის არის გაჩენილი და არა თავისუფლებისათვის...

— დიახ, დიახ,—დაემოწმა სიმონიკა,—რევოლიუცია რა საჭიროა მისთვის? რათ უნდა მას რევოლიუცია, ის რას მოიხმარს რევოლიუციას, რა ესმის სოციალიზმის!...

სიმონიკამ სიტყვები „რევოლიუცია“ და „სოციალიზმი“ განგებ ხმა მაღლა წარმოსთქვა: დეე, ყველამ გაიგონოს, რომ უბრალო ვინმე არა ვარო.

— არა, ძმაო, არა! რუსი თუ შეშინდა, მის სიგლახე არაფერია—არ ჩერდებოდა სიმონიკა,—სულ სხვაა ქართველი: სადაც უნდა იყოს, ყველგან ყოჩალია, ბუნებით რევოლიუციონერია! აბა! ისეთ-ისეთი დავკარი, რომ თავზარი დაეცა მთელ ციხეს! ის ჩვენი ციხის უფროსი ისე გაშმა, როგორც დადუღრული ძაღლი!.. ნაძრატლების ღრიალიც ეცას ადიოდა. ნამდვილი ატამანი ვიყავი, ნამდვილი! რო ვუკამანდრე—აბა, დაკათ ბიჭებო თქვა. ჰო-ჰო-ჰო!..

— ხა-ხა-ხა... ჩემო კუდაბზიკავ, ასახელე საქართველო? ყოჩაღ, ყოჩაღ!

— მაშ! მაშ, კუდაბზიკამ ვასახელე საქართველო,—ეთანხმებოდა სიცილით,— როგორც კი გამოველი, მაშინვე ამიჩნდენ ჩვენებური ბიჭები. ზოგს სამწვადე ქონებია აქ, ზოგს საჩაიე. ხელად გამომაწყვეს. ნაცნობებიც ვნახე, ქართველი კაცი ყველგან ქართველია, მისი ჭირიმე, შენი გულისთვის ცეცხლში ჩადგება.

— მერე და ეგ კუდაბზიკური ტანსაცმელიც მათ მოგცეს?

— მაშა, მაშა! მაგრამ შენც ხომ გისახელებია საქართველო და ისხა ძმაო,—უთხრა სიმონიკამ, —მთელი ქალაქი შენზე ლაპარაკობს, პირდაპირ სათაყვანო გმირი ხარ! Грубелян, Грубелян—იძახის ყველა. ურია არისო, ამბობენ, ვერავინ დავაჯერე, რომ შენ ქართველი ხარ და მეც შენთან ვიჯექი ციხეში. აქაური ქართველები სულ შენ სადღეგრძელოს სმენ, ასჯერ კი დამალევინეს ვებერთელა ყანწები.

— ოო, მაგაში ქართველები მარჯვე ვართ!

— ნეტავი ის მაცოდინა, ჩვენში რა ამბავია ახლა? პა-პა-პა! ერთი იჭ ყოფნა ახლა!

— იქაც ასეთივე ამბები იქნება.

— როდის უნდა წავიდეთ, შალიკო? აქ ხომ არ დავრჩებით სულ, ჩვენიანებიც უნდა გავახაროთ! მე უკვე გაუგზავნე ჩემს ძმას დეპეშა.

ამ სიტყვებზე შალვას სიამოვნებასთან ერთად მწვავე სინანულიც გაურბინა. „მაგაზე ჯერ არ მიფიქრიაო“,—უთხრა.

მართალია, შალვას ციხეში არ გაუნდვია თავისი გულის ნადები სიმონიკასთვის, მაგრამ სიმონიკა მიხვედრილი იყო, რომ შალვა ცოლის მხრივ ბედნიერად არ გრძობდა თავს, ამიტომ მალე დაანება სამშობლოზე ლაპარაკს თავი.

კარგა ხანს ტკბებოდენ ერთმანეთთან მუსაიფით თანამემამულენი. ხალხმა უკვე შეაჩვია თვალი სიმონიკას, ახლა არ ეკვირვებოდათ ამ „კინჟალიანი ქალის“ ფართი-ფურთობა.

— იცი, ჩემო კუდაბზიკავ,—ღიმილით უთხრა ბოლოს შალვამ,—მე ახლა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე უნდა შევიდე და შენ აქ დამიცდი.

— იმე, შე კაცო, კუდაბზიკამაც უყუროს კომიტეტის სხდომას, მეც შემოვალ, შენთან ვიქნები,—სიცილით უთხრა სიმონიკამ.

შალვამ იცოდა, რომ სიმონიკას დასწრება კომიტეტის კრებაზე, როგორც უცხო პირის, უხერხული იყო, მაგრამ ხათრი ვერ გაუტეხა, და ყოყმანის შემდეგ—შემოდიო, უთხრა. როცა ორივე კარებისაკენ მიდიოდენ, სიმონიკამ უცებ შეაჩერა იგი და სახეში ჩაჩერებით ჰკითხა:

— მართლა, კიღამ დამავიწყდა: შალვა, ერთი ეს მითხარი: სოციალიზმის განხორციელების საქმე როგორ იქნება? ა? მალე დამყარდება?

შალვამ ძლივს შეიკავა თავი ხარხარისაგან და სიტყვა: მოუჭრა—ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

დარბაზში შესვლისას შალვას უნდოდა თავისი თანამემამულე საერთო მისალმებით გაეცნო კომიტეტის წევრებისათვის, მაგრამ სიმონიკას დარდიმანდობამ ეს იუკადრისა და „здасти товарищ“-ის ძახილით და ხელის გაწვდით ყველას სათითაოდ ჩამოუარა. ვეებერთელა, „ბოხოხის“ ქუდი მარცხენა ხელში ეჭირა და წელში კოხტად მოხრილი უხმაუროდ დაასრიალებდა ფეხებს გალაქულ იატაკზე.

კომიტეტის წევრები გართული იყვნენ ლაპარაკში და სრულებითაც არ ეპიტნავებოდათ ხელის ჩამორთმევაზე დროს დაკარგვა, მაგრამ სიმონიკა როდი ეშვებოდა—ყველას უშვერდა ხელს.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი შალვა ირონიულად აღევნებდა თვალს სიმონიკას ტანის რხევას და ღიმილით ამბობდა გულში: თავი მომჭრა ამ მართლაც კუდაბზიკამაო.

VII

სამი კვირა გადის, რაც შალვა ციხიდან გამოვიდა. ფიქრისა და მოსვენებისთვის ერთი წამიც არა აქვს: სულ საქმეებშია გართული, მუდამ აზვირთებული ცხოვრების ტალღებში დასცურავს და მთელის თავისი ენერგიით ემსახურება იმ საქმეს, რომელმაც ბედნიერება უნდა მიუტანოს ტანჯულ ხალხს.

ამ სამი კვირის განმავლობაში მას ერთხელაც არ მოუხედნია უკან, უბრალო თვალის გადავლებითაც კი არ მოუგონებია თავისი წარსული და ანგარიშმიუცემლად მიექანებოდა ბრწყინვალე მომავლისაკენ.

წარსულს ის იგონებს, ვისაც აწმყო, ან მომავალი არა აქვს. შალვა კი ასეთებს არ ეკუთვნოდა, მთელი მისი არსება აწმყო ცხოვრების ტალღათა ტლაშანს და მომავლის მოკიაფე ვარსკვლავს შთაენთქო. „წინ, წინ"—ესმოდა გამაყრუებელი დაძახილი და თავდავიწყებით მიასრიალებდა იალქნებ გაშლილ გემს აჭაფებულ ზღვაში.

მაგრამ ახალმა ცხოვრებამ ცოტა ხნით მაინც ერთფეროვანი სახე მიიღო და თითქოს კალაპოტში ჩადგაო; დროებით შეჩერდა ნერვების ამაფორიაქებელი ახალ ახალი ამბები, ერთი მეორეზე უფრო საკვირველი, უფრო ამაღელვებელი. საზოგადოებამაც თითქოს მოისვენა, ნერვებს იწყნარებს, თავის მდგომარეობას ითვალისწინებს, შეცვლილ ცხოვრებას აკვირდება. და შალვას სულმა და გულმაც რალაც მოწყენა იგრძნო და სევდა შეეპარა...

ცხოვრების სინამდვილეს თითქოს ნელ-ნელა შემოეცრიცა პოეტური ლეჩაქი და პროზაულმა ელფერმა გადაჰკრა. შალვას გრძნობიარე გულმა მყისვე იგრძნო ეს და ობლური სიმებიც აუთრთოლდენ გულის სიღრმეში. უკვე არ ესმის ცხოვრების გრიალი და აქშინებულ ტალღათა ტლაშანი, დაწყნარდა სმენა, დაამდა ნერვები... და იგიც შეუმჩნევლად, ნელნელა ნახულობს თავის თავს, თავის პირად „მე"-ს, რომელიც აგრე გაითქვიფა მთელი ქვეყნის აბობოქრებაში და ლამის ერთიანად გაილესოს და გამოიკარგოს შიგ. ამ გარემოებას ისიც დაემატა, რომ შალვამ უბრალო გაცივების გამო შეუძლოთ იგრძნო თავი და რამდენიმე დღე იძულებული იყო ლოგინში ჩაწოლილიყო. ავადმყოფობის დროს მას საშუალება ჰქონდა უფრო ღრმად ჩაკვირვებოდა დატრიალებულ ამბებს და შესაფერი ანალიზი გაეკეთებია მათთვის.

საზოგადო საქმეებს გარდა პირადიც ბლომად მოეპოვებოდა, საფიქრალი და საგონებელი ბევრი, ძალიან ბევრი ჰქონდა.

ამდენი ხანი მან ციხეში გაატარა და ერთი რა არის, თავი არ წამოტკენია; მართალია, დიდად ჯანსაღი არ ყოფილა, მაგრამ თავს რიგიანად უვლიდა, ავადმყოფობა მისთვის უცნობი იყო. ახლა კი, ამ პატარა გაცივებამ, რალაც ზიზისებური აგრძნობინა.

და უცებ, სრულიად მოულოდნელად, რალაც ობლობა და სხეულის ამბრზენი მარტოობა იგრძნო. ავადმყოფმა სხეულმა ძალუმად მოითხოვა შალვას ყურადღება და საკუთარ „მე"-ში ჩ.ხედვა.

ის მარტო წევს ამხანაგის ოთახში, ირგვლივ სიწყნარეა. არ ესმის ქუჩის ქრიამული, ხმაურობა; არავინ არის მის წინაშე, არავინ ელაპარაკება. დაუამდა სხეული, დაუწყნარდა ნერვები, მშვიდათ უცემს გული, უშფოთველად აზროვნებს, ნელა ფიქრობს.

რამდენი ნეტარებაა ამ წამებში და თანაც რამდენი შიში და თრთოლვა! გაურკვეველი შიში, რომელიც თან და თან ჰბოჭავს შალვას გამახვილებულ ნერვებს.

სად არის იგი? ვინ არის მის გარშემო? რა უნდა ამ ოთახში? ნუ თუ, იგი შალვა, რომელიც ამდენი ხანია ცოცხლად იყო დასამარებული და მოწყვეტილი იყო ყოველგვარ ბედნიერებას, ნუ თუ თავისუფალია, ციხეში კი არ არის. არ სდარაჯობენ, არ უბრძანებენ და თითონ არის თავისი თავის ბატონი?

აი, მყუდრო საკანები, ბორკილების რაჭხუნი, მრხჩოლავი სანთელი, ტყვიასავით მძიმე ჰაერი, დაღვრემილი კედლები, მიძინებული ამხანაგების ტანჯვის ძილი, ძველის ძველ, მრავალ ვაების მნახველ მაგიდაზე გადაშლილი წიგნი და მისი ქურდულად კითხვა, გაგულქვავებული მეკლიტურის გულის მომკლავი ფეხის ბიჯები და ფიქრებით აღსავსე დასერილი გული, მუდამ ერთის გარშემო მფეთქავი, ერთის აზრით დაცარული და დასნეულებული.

ოხ, რა ტკბილად მოსაგონია ყოველივე ეს და თანაც რა საშიში, რა საზარელი! როგორ?! ნუ თუ შალვასათვის ტკბილად მოსაგონია ციხის ჯურღმულებში ცხოვრება? ხომ არ შეშლილა?!

მერე რა დროსია ამის მოგონება? რამ გამოიწვია მასში ასეთი გრძნობები? განა ამ საერთო ბედნიერების დროს შეიძლება საკუთარ თავზე ფიქრი?

ამაოდ ფიქრობს იგი მოიშოროს თავიდან ეს მოგონებანი, ძველი მირაჟები ერთიანად დაეუფლენ მას და მოსვენებას არ აძლევენ.

განა იქ, იმ ცოცხალთა სამარეში, არ ჩამარხა მან თავისივე ხელით თავისი ახალგაზრდობა? ჯანღონით სავსე სიცოცხლე, ყმაწვილ-კაცობის საუკეთესო დღენი? და განა ეს ადგილი ტკბილად არ უნდა ავონდებოდეს მას?

ვეებერთელა სულის შემხუთავი შენობა მძიმე ლოდათ აწვა მის სულსა და გულს ამდენი ხანია: საშინელის დაუნდობლობით ჩაეკედათ იგი ბოროტთა ხელებს ოთხ კედელში და ეს ვეებერთელა ქვეყანა, დაუსრულებელის ცის ტანობით ქვეყნიერების გვირგვინად წოდებულ არსებისათვის ოკინის ბადიან სარკმელით მოეხომათ.

რავდენი შხამი, რავდენი სამსალა იგემა ამ საშინელ ადგილს შალვამ! და ჰოი, საშინელებავ! დღეს როცა თავისუფალია და მძლავრად გაუშლია ალწევის ფრთები, აი ამ დროს ის საშინელი ადგილი ტკბილად მოსაგონად გადაჰქცევია! ამაზე მეტი შეუსაბამობა, ამაზე მეტი შეუფერებლობა შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა? რა ემართება შალვას, ჰკუაზე ხომ არ შემცდარა? იქნებ ამ ჰატარა ავადმყოფობამ ძირიანად შეარყია მისი არსება და დაღუპვისაკენ მიაქანებს?

არა, აგრე არ არის!

რა ვუყოთ რომ ციხე იყო: რამდენათ უფრო ბნელა, იმდენათ უფრო კიაფობენ ვარსკვლავები!

შალვას ცხოვრებას აძულებდენ, მაგრამ... მთელის თავის გრძნობითა და გონებით შეიყვარა იგი! ბრძოლის ცეცხლი უნდოდათ ჩაექროთ მის არსებაში, მაგრამ მის ნაცვლად ერთი ასად გაუღვივეს იგი! ტანჯულ მოძმეთა თავდადებისთვის სდევნიდენ მას, მაგრამ უფრო მეტად თავდადებული გახადეს იგი!

იქ, ციხის ზღუდეთა შორის, მთელის სიღრმით იგრძნო, თუ რა არის სი-

მართლისათვის ტანჯვა, ჰეშმარიტებისათვის ბრძოლა, რწმენისათვის თავდადება!..

და განა მარტო ამისათვის არ უნდა უყვარდეს შალვას ციხე? თაყვანს არ უნდა სცემდეს მის ხატებას, ყოველ წამს არ უნდა იგონებდეს მის სიღრმეში გატარებულ ცხოვრებას?.

ოოხ, რა ტკბილად მოსაგონია იქაურობა და თან რა საშინელი! ვის შეუძლიან შეადუღოს ეს ორი გრძნობა, ერთმანეთის მოწინააღმდეგე, ერთმანეთის მომსპობი? საშინელი ქარტეხილია შალვას არსებაში, საშინელი ორომტრიალი: ერთის მხრივ ბრწყინვალე აწმყო და სამშვიდობოს გამოცურებული ნავი, მეორე მხრივ—საშინელი წარსული, ხან ტკბილად და ხან შხამად მოსაგონი.

ბნელა. შალვა მარტოა ვეებერთელა ოთახში, სანთელი ძლივს ბუჟუტავს, ტანში აჟრჟოლებს, ყელში რალაც ებჯინება, შუბლი უხურს. კუთხეები მიბნელებულია, თითქოს რალაც ჯადოქრულ სულებს დაუსადგურებიათ იქ და არსების შემარყეველი ჩურჩულით უნდათ შემოეხვიონ შალვას ლოგინს...

სუ... მგონი მისი ჩურჩულიც კი ისმის, ნელი შრიალი, გულჩათხრობილი ახმაურება... სუუუ... ჩურჩულია, ჩურჩული. ციხე, დარაჯები, ბორკილები, ვლასი, სიმონიკა... ბნელეთი... რა ამბავია?

შალვა უცებ წამოდგა, შეშინებულის თვალებით მიიხედ-მოიხედა, გულზე ხელები მიიჭირა და რალაც საშინელი ხმა გამოსცა.

— რა მოგდისთ, ამხანაგო, გული ხომ არ შეგიღონდათ? მიაძახა ამხანაგის მეუღლემ და იმ წუთსვე წყალი აპკურა.

ცოტა ხნის შემდეგ შალვა მოსულიერდა და გამოერკვა. ბოდიში მოიხადა და შუბლზე ცივი ტილო დაიდო.

— არაფერია, ისე... რალაც ულონოთ შევიქენი! უკაცრავად, ამხანაგურად!

— დაწყნარდით, ამხანაგო, საბოდიშო არაფერი გაქვსთ. რასაკვირველია, ულონოდ შეიქნებოდით! მიკვირს, როგორ აიტანეთ ამდენი ხანი ციხეში ჯდომა! მერე კიდევ, იქაურ მყუდრო ცხოვრების შემდეგ ასეთი აფორიაქებული დღეები! ნერვები აგეშლებოდათ. მაგრამ არა უშავს, ყველაფერი გაივლის.

— დიახ, დიახ... მე ასე მგონია... დიახ, გაივლის, გაივლის..

მართლაც, შალვამ მალე თავი უკეთ იგრძნო და დიასახლისს სთხოვა, რომ მასთან დარჩენით არ შეწუხებულიყო. კარგა ხნის რწმუნების შემდეგ დიასახლისი მოშორდა, მაგრამ თვალი მაინც ავადმყოფისკენ ჰქონდა.

შალვამ მოიკრიბა ენერგია და ლოგინზე ჩამოჯდა, სანთელი ახლო დაიდგა და საბან მოხვეული კედელს მიეყრდნო. ნელ-ნელ მოიშორა წელანდელი სანახაობა, გულის ცემაც დაუწყნარდა და დამშვიდებით გადახედა იქაურობას. გაზეთი აიღო, მაგრამ ერთი აზრი მეორეს ვერ გადააბა: აწლილი ფიქრები მოსვენებას არ აძლევდენ, სხვისი ნაფიქრის მათში ჩარევა შეუძლებელი იყო: მის არსებაში საკუთარი ფიქრები ალაპარაკდენ და სხვისი ნააზრევის სიახლოვეს წაკარებაც კი არ უნდოდათ.

შალვა ისევ მიეცა საკუთარ თავზე ფიქრს და... ჰოი... ტკბილო ფიქრო, სანუკვარო გრძნობავ! იგრძნო, სხეულის ყოველის წერტილით იგრძნო, რომ ამ წუთს მან სრულიად მოულოდნელად იპოვა თავისი თავი, თავისი პირადი „მე", რომელიც ციხიდან გამოსვლის შემდეგ თითქოს სადღაც დაეკარგაო.

იმ ბედნიერ წამების აქეთ შალვას თავისი თავი ერთხელაც კი არ მოჰგონებია. განთავისუფლების დღიდანვე მისი პირადობა ერთიანად გაითქვიფა დატრიალებულ ამბებში და რევოლიუციის ტალღათა ტლაშუნმა ლამის ერთიანად დააკრუა მისი პირადი მსმენელობა. კრებები, მიტინგები, მოხსენება, კამათი, კიდევ მიტინგი, კიდევ კრება... პეტროგრადი, ფრონტი, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი!.. შალვა არ ეკუთვნოდა თავის თავს, ის ქვეყანამ მიითვისა და თავისად აღიარა. შალვაც ბედნიერია და, ტუჩებზე მოთამაშე ღიმილით გარინდული, მისდევს ტალღათა დენას.

ციხეში ყოფნისას, როცა ფიქრებს მიეცემოდა ხოლმე, თვალ წინ ედგა თავისი სამშობლო, ამხანაგები, მშობლები, ცოლშვილი. მისი აზრი ამათ გარშემო ტრიალებდა. მაგრამ, საკვირველია, ციხიდან გამოსვლის შემდეგ არც ერთი მათგანი არ მოჰგონებია, თითქოს ციხის საკანში დასტოვა ძათზე ფიქრი და ზრუნვაო. მაგრამ განა ეს სინამდვილეს შეეფერებოდა? განა შალვას თან არ წამოუღია თავისი დასერილი გული? მაშ რამ დაავიწყა ამდენ წელთა განმავლობაში მისი ფიქრების საგანი? მართალია, სიმონიკამ ორხელ მოაგონა სამშობლო და იქ წასვლა, მაგრამ შალვამ მაშინვე თავიდან მოიშორა ეს აზრები. ახლა კი, ამ ავადმყოფობისა და მარტო დარჩენის დროს, როცა იგი პირისპირ დაუდგა საკუთარ თავს, შეუჩნეველად წამოეშალენ მიჩქმალული ფიქრები. რამდენად უფრო უკვირდებოდა თავის თავს, იმდენად უფრო ნაბულობდა პირად „მე"-ს, ვით მიწაში ხელოვნურად ჩამარხულ განძეულობას, მიწა-მიყრილ მარგალიტებს. და შალვას არსებაც შეძრა, შეირყა. უცებ რაღაც საშინელი გამოურკვეველობის გრძნობა განიცადა...

ბედნიერია თუ უბედური? გადარჩა განსაცდელს, თუ კიდევ მის ხელთ არის? უკან მოიხედა და ციხეებში გატარებული ცხოვრება დაესახა იმ ადამიანის მოგზაურობად, რომელიც დიდ ხანს, ძალიან დიდხანს ბნელ გვირაბში მიდიოდა და ვერას ხედავდა, ირგვლივ კი ბნელოდა და მხოლოდ აგერ-აგერ ჭრაქები ბჟუტავდენ მშვარტლიანი სიწითლით. მძიმე ჰაერი, შეხუთული ჰარიზონტი, საშინელი სინესტე, დახშული ზეცა, შეკრული თაღები... მგზავრი კი მიდის და მიდის იმ უკვდავის ნაწმენით, რომ ოდესმე, სადმე ამ საშინელ ხვრელსაც დასასრული ექნება და, როცა იქნება, ცის სინათლეც გამოჩნდება.

შალვა შეაკრთო ამ სურათმა, თავიდან მოიშორა ჯურღმულებთან შეკავშირებული მოგონება და აწმყოში გადმოფრინდა.

მაგრამ... გუშინდელ დღეს მოგონება არ სჭირდება, ის თითონ აგონებს თავის თავს. აწმყო გააფთრებულ ტალღებად სცემს, ყვირის, ხმაურობს, ყველაფერს აყრუებს...

ხოლო ამ წუთს ეს არ უნდა შალვას სულსა და გულს, ხმაურობა ეჯავრება, ყვირილი სულის სანაზეს უსპობს... არა, შორს ყოველივე! ეხლა სიჩუმე უნ-

და, სიჩუმე... გულის უნაზესი სიმები შეირხენ, ათრთოლდენ სათუთი გრძნობები, ნარნარად გაარხია ისინი წყნარ მოგონების კდემამოსილ შთაბეჭდილების ჰაერო-, ვანმა ფრთამ... და ბალიშზე გადასვენებულ შალვას აგონდება დედა, შამა, ევა სოფო, ბიჭიკო.

სად არიან ამ წუთს ესენი? ცოცხალნი არიან, თუ დაიხოცნენ, შალვას ერთგულნი არიან, თუ ულალატეს? რას შვება ევა—ცოცხალია? უმწიკვლოდ შეინახა გვირგვინი, თუ შეუბღალა? გაჭრა თუ არსებობს მათი სიყვარული?

ეჰ, რა ძნელია ყველა ამის მოგონება, რა საშინელებაა! მაგრამ... მაგრამ მიუცილებელია. სხვა გზა არ არის, არ შეიძლება გვერდი შეევლოს.

— დედა, საყვარელო დედა, სადა ხარ ამ დროს? სად?.. მოდი შენს ავადმყოფ შვილთან, ის უკვე თავისუფალი გყავს!.. მოუარე შენებურად, მოუარე... თავს შემოევლე, შუბლზე ხელი გადაუსვი, ნანა უთხარი... დედა, დედა ჩემო, დედიკო! მოდი ნახე შენი შალიკო, თუ ცოცხალი ხარ, თუ პირში სული გიდგას!—ჩიფჩიფებს თვალცრემლიანი შალვა.

რა ტკბილი ხელი ჰქონდა შალვას დედას! რა მხრუნველობით იცოდა შეილების მოვლა!

ათასნაირი ფიქრები ირევა შალვას არსებაში, ათასნაირი ცეცლი ტრიალებს მის სულსა და გულში! რას უქადის მომავალი, რას მოუტანს ხვალინდელი დღე? ეგების ციხეში ჯდომა სჯობდა: მაშინ იმით მაინც ინუგეშებდა თავს, რომ არ შემ-ძლია ვნახო ჩემიანებიო. მაგრამ ახლა ხომ თავისუფალია და ადვილად შეუძლია ყველანი ნახოს! რად ემალება სინამდვილეს, რად იტყვილებს თავს?

შალვა ისევ წამოიჭრა ზეზე, სული ეხუთება, უნდა დაიყვიროს, მაგრამ თავს იკავებს და ბოლთის ცემას შეუდგება.

ირგვლივ სიჩუმეა, ფართო ოთახის კუთხეები საიდუმლოებით გამოიყურებიან, სანთელი ულონოდ ციმციმებს. შალვა თრთის, სხეული უსუსტდება, გრძნობს, რომ რაღაც უჩვეულობას განიცდის მისი არსება, ასეთი ერთლოლვა, ასეთი მისუსტება ჯერ არ უგვრძნია. რა ემართება, რა მოსდის? გული ულონდება... წყალი, წყალი!

— დედა, დედიკო, დედა!.. საყვარელო დედა!..

— ნუ გეშინიათ, ამხანაგო, დაწყნარდით, მე თქვენთანა ვარ, დაწყნარდით,—ეუბნებოდა შალვას ამხანაგი, რომელიც წყალს აპკურებდა.

— აა, შენა, ვალოდია? რაღაც გული შემიღონდა, შეუძლოდ ვარ. მაგრამ მალე გაივლის, მალე...

— არა უშავს, ამხანაგო, სწორედ რომ მალე გაივლის, ეხლავე ექიმი მოგა,—ანუგეშებდა ამხანაგი.

— განა დაუძახეთ ექიმს? რა საჭირო იყო, მე ისე ავად როდი ვარ! თავს მშვენივრად ვგრძნობ, მხოლოდ ისე, რაღაც... გული...

შალვა თუმც ლაპარაკობდა, მაგრამ თავისი თავის ძალდატანებითი დაიშედება გამოუდიოდა. უნდოდა მშიშარად არ მოჩვენებოდა ამხანაგს. თავს ძალას ატანდა, გონებას იკრებდა, გრძნობებს თავს უკავებდა და ცდილობდა

თითონვე გაემაგრებია ამხანაგის წინაშე თავისი თაეი. მაგრამ ცოტას შეჩერდებოდა თუ არა, მაშინვე საშინელი გრძნობა იპყრობდა მას: კიდევ წამი, კიდევ ერთი შერხევა სხეულისა და... სულ ადვილად შესაძლებელია... მოულოდნელად გაწყდეს მისი სიცოცხლის ძაფიც. რა ადვილი ყოფილა სიკვდილი, რა უბრალო რამე!.. მხოლოდ ეხლა იგრძნო შალვამ მისი უბრალოება და საშინელება...

წარმოიდგინეთ იმ კაცის თრთოლვა, რომელიც სრულიად დამშვიდებული მოდიოდა, არსაიდან არაფერ ხიფათს არ მოელოდა და... უცებ საშინელ ნაპრალს წააწყდა, უბსკეროს, უძიროს...

ერთი ზედმეტი ნაბიჯი, ოდნავად ფეხის გადაშორება და ისიც ქვესკნელში შთაინთქებოდა, სამუდამოდ დაიღუპებოდა...

დგას შემთხვევით გადარჩენილი ნაპრალის ეაპირად, ოდნავად უკან დახეული და მხოლოდ ეხლა ითვალისწინებს იმ უბედურებას, რომელსაც იგი შემთხვევით აცდა. ტანში ჟრუანტელი უვლის. გაურკველი შიში იპყრობს.

ასეთ მდგომარეობაში იყო შალვაც: ასე ღრმად და ცხოვლად არას დროს არ უგრძნია სიკვდილის საშიშროება.

VIII

რამოდენიმე წამის შემდეგ შალვას თავს ადგა ჩვენი ნაცნობი მოხუცი ექიმი, „ძველი, გაუსწორებელი იდეალისტი“ და მამობრივის მზრუნველობით სინჯავდა.

— ბედნიერი ვარ, რომ თავისუფლებისათვის წამებულ ადამიანს ვექიმობ, ჩემს სიცოცხლეში, აგერ ჰაღარა გამერია და თქვენისთანა ავადმყოფი მე არ გამისინჯავს, თქვენისთანა ძვირფასი, სათაყვანო... დიახ, დიახ! მე ამას პირდაპირ ვლაპარაკობ... ხალხისათვის წამება, ხალხისათვის გოლგოთაზე ასვლა, ჯვარის ატანა... ეს მხოლოდ ქრისტემ შესძლო, მხოლოდ ქრისტემ... და მიტომაც იხრის ქედს მრავალი ერი მის წინაშე... დიახ... დიახ...

ლაპარაკობდა განუწყვეტლივ მოხუცი ექიმი და თან ღიმილით ჩაჩერებოდა სნეულს თვალებში.

— არა გიშავსთ რა, ჩემო ძვირფასო, შვილო!.. უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი... ნება მომეცით ასე გიწოდოთ... მე აგერ სამოცდა ათი წლის ვიქნები... დიახ... ჰხე... ჰხე... ჰხე!.. მე ბევრის მომსწრე ვარ...

— რაც გენებოსთ ის მიწოდეთ, რაც გენებოსთ... მეც მომეცით ნება მამა გიწოდოთ...

— ჰხე... ჰხე... ჰხე!.. კი ბატონო, დიდათ ბედნიერი ვიქნები, დიდად... ჩემო შვილო, თავისუფლებისათვის წამებულო და ტანჯულო!.. დიახ მე, ბედნიერი ვარ!.. მე ბევრი რამის მომსწრე გახლავართ!.. ვიცნობდი მიხაილოვსკის, ლავროვს, პირადი მეგობარი ვარ კარეევის, მიცნობს ჩერნოვი, მიწერ-მოწერა მქონდა ტოლსტოისთან... დიახ... ტოლსტოისთან... ის მოგეხსენებათ რევოლიუციონერთა რევოლიუციონერი იყო, რასაკვირველია, თავისებურად... დიახ, ანტონ ჩეხოვიც ჩემი დიდი მეგობარი იყო, ერთად გვიმსახურნია. დიახ, კარგი ადამიანი იყო განსვენებული. ჰხე... ჰხე... ჰხე!.. სულ იმას მეუბნებოდა: მოთხრო-

ბის ტიპად უნდა გამოგიყვანოო... ხა... ხა, ხა... დიახ, კეთილი ადამიანი იყო მიხაილოვსკი, აი ნამდვილი რევოლიუციონერი ის იყო. ალექსანდრე მეორე რომ მოჰკლეს, მაშინ ახალ-გაზრდა ვიყავი და ბედს ვწყევლიდი, რადგან მე არ მარგუნა მისი მოკვლა თქო... დიახ... დიახ... ბევრი რამ მინახავს ჩემს მხსოვრობაში და რომ პირადი ცხოვრების უკუღმა შეტრიალება არა. შეიძლება მეც დღეს ერთი იმ პირთაგანი ვყოფილიყავი, რომელნიც თავისუფლებისათვის იბრძვიან... მართალია, მეც ვიბრძოდი მაგრამ... ეხ... ჩემი ბრძოლა, რა ბრძოლა იყო! მხოლოდ სიტყვები და ლირიკური განცდანი. მეც შემეძლო რაიმე გამეკეთებინა, მაგრამ... „არა ყოველთა დაიტიონ სიტყვა ეგე, არამედ რომელთა მიცემულ არს". ასე სწორია სახარებაში, ალბად მე არ ვიყავ ამისი ღირსი... თქვენ კი... დიდებულო ადამიანო... „ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტვირთა შენ, და ძუძუნი, რომელთა სწოვდი"...

— ივანე ივანეს ძევ, თქვენ ჩინებული მეხსიერება გქონიათ, რო ასე გახსოვთ სახარების ტექსტები,—ღიმილით შენიშნა შალვას აშხანაგებმა.

— ეხ, ჩემო კეთილო, ჩემი არაფერი არ არის მოსაწონი! მე რომ რაიმე ღირებულების მქონე ვყოფილიყავი, დღეს ასე გარიყულიც არ ვიქნებოდი... დიახ... აბა, ვნახოთ ახლა ტერომეტრი, მომეცით გეთაყვათ!..

ექიმი სანთლისაკენ მიბრუნდა და ტერმომეტრს დახედა.

— სიცხე გაქვთ... მაგრამ არა გიშავთ რა, ეს ყოველივე ციხის შედეგია. ხუმრობა საქმეა ამდენი ხანი იმ საშინელებაში ყოფნა! ნუ შეშინდებით, შეიძლება კიდევ იავადმყოფოთ, დაგცადოს, მაგრამ ეგ არაფერია, აგრე იცის ხოლმე... აქ დაჭიმული ნერვები, ეხლა რო თავისუფლებას იგრძნობენ, სხვა პირობებში რომ ჩავარდებიან, რასაკვირველია, ერთგვარ ცვლილებას განიცდიან.... სხვა ფრივ არა გიშავთ რა... თქვენი ძვირფასი სიცოცხლე ეგრე ჭირდება ახლა ჩვენს განთავისუფლებულ სამშობლოს!.. რუსეთს სწორედ ახლა ჭირდება გამოცდილი ადამიანები, თქვენისთანა თავდადებულნი, ბრძოლაში ნაწრთობნი... მაგრამ უკაცრავად... მე, გამოჩერჩეტებული მოხუცი, ძალიან ბევრს ვლაპარაკობ, თქვენ კი ახლა სეჩუმე და სიწყნარე გინდათ... ასე დაჰყავით რამოდენიმე დღე და მერე უკეთ იქნებით. იცით, ვალოდია,—მიუბრუნდა ექიმი შალვას აშხანაგს,—მე ცოტა წამლებს გამოვწერ, თითონ წავალ აფთიაქში და მოვიტან. თქვენ კი ეცადეთ, რომ აქ სრული სიწყნარე და სუფთა ჰაერი იყოს... დიახ, მეტი არაფერი... მე ეხლავე წამლებს მოვიტან.

ბევრი ეხვეწეს ექიმს, რომ თითონ იგი არ წასულიყო წამლებისათვის, მაგრამ არაფრის გულისათვის არ დათანხმდა. ნახევარი საათის უკან მართლაც, წამლებით გაჩნდა იგი. ამის შემდეგ შალვას ჩუმად მეორე ოთახში მოთავსდა—შინ არას გზით არ წავიდა—პირადად უნდა ვადევნო თვალ ყური ავადმყოფობის მიმდინარეობასო. მთელი ღამე ძილი არ მიჰკარებია, თავს უაღრესად ბედნიერად გრძნობდა და სულ იმას ეხვეწებოდა დიასახლისს—შალვამ არ გაიგოს, რომ აქ ვარ, თორემ შეწუხდება, აღელდება და ავნებსო.

შალვას აგონდებოდა ის წამი, როდესაც ამ ათის წლის წინეთ სამშობლოში, რკინის გზის სადგურზე, სვეტზე მიყრდნობილი ევა მისჩერებოდა და ცხა-

რე ცრემლებს ღვრიდა. იქავ იყვნენ მისი ბავშვები: სოფო და ვაკე. ცას გვერდით სტიროდენ შალვას მშობლები.

შალვას სხვა ტუსაღებთან ერთად ამ დღეს რუსეთში გადასახლებდნენ ერთ-ერთ საკატორღო ციხეში. ტუსაღებს ჯარის კაცები იცავდენენ [illegible] აკარებდენ. მაშინ შალვა ჯერ ცოცხალი იყო, ეხლა კი...

ეხ, მგონი კიდეც მოუსპია ციხეს მისი ჯანმრთელობა! რამდენიმე წამის უკან ისეთი სისუსტე იგრძნო, რომ კინაღამ... კინაღამ..

დიდხანს გაგრძელდა გულისმომკვლელი სურათი: ტუსაღები კარგა ხანს იყვნენ მცველების მიერ გარშემორტყმული. სადგურზე აუარებელი ხალხი იყო: ზოგი უდარდელად ათვალიერებდა ტუსაღებს, ზოგი გულმტკივნეულად უცქერდა, ზოგიც გულ-ამოსკვნილი ტიროდა. ტუსაღები დაფეხებულივით იცქირებოდენ, ბევრი მათგანი თვალ ცრემლიანი მისჩერებოდა სამშობლო კარ-მიდამოს, რომელსაც, შეიძლება, უკანასკნელად ხედავდა და სამუდამოთ ეთხოვებოდა... ვინ იცის, როგორ უმასპინძლებდა ცივი რუსეთი—ისიც ციხის კედლებით—ნაზი საქართველოს წიაღში აღზრდილ ადამიანს.

შალვას დედა ქვითინით სთხოვდა ყველას—მბეშვათ ახლო თავის საყვარელ შვილთან, რათა უკანასკნელად გამოსთხოვებოდა და თანაც „ორიოდე გროშში“ ესაგზლებია შვილისათვის.

— ვიცი, რომ ცოცხალს ვეღარ განახავ, შვილო, ჩემო სისხლო და ხორცო, მწუხარებაში და სიღარიბეში გამოზრდილო, სინათლით გამოჩიჩქნილო, უღვთოდ დალუპულო, შვილო,—ჩიფჩიფებდა იგი და თან ღაპა-ღუპით ცრემლები ჩამოსდიოდა. ცრემლის წვეთები მიწაზე ეწვეთებოდა, ზოგსაც თითონ ჰყლაპავდა.

— მოშორდი, ბებრუხუნა, მოშორდი! არ მეიძლება მეთქი, მოშწყდი თავიდან!—უწყრებოდა ჯარის კაცი.

— ეს მაინც გადაეცით, მიქენით სიკეთე... შემიბრალეთ, ადამიანები ხართ, შვილი მეკარგება, პირმშო შვილი, წვითა და დაგვით დავაქკაცებული შვილი.— ამ სიტყვებთან ერთად დედას ხელში ეპირა ხუთმანეთიანი ოქრო, რომელიც, ვინ იცის, რის ვაი-ვაგლახით შეენახა ამ შაჲი დღისათვის.

— ეხლა არ შეიძლება, ციხეში უნდა მიგეტანა,—შეაწვეტინა მცველმა.

ბორკილებიანი შალვა შუბლ-დანაოჭებული იდგა, ხან მშობლებს მიაშტერებდა თვალებს და ხან მტირალ ცოლ-შვილს. დედის სევდით დაყურსული პატარა სოფო ცრემლათ იღვენთებოდა, ხოლო წლი ნახევრის ვაჟს ვერ გაეგო, რაში იყო საქმე, და ნაცვლად იმისა, რომ სხვებთან ერთად მასაც ებწუხმრნა მამის უბედურობა, უდარდელად მიმოდიოდა ხალხში და ხან ერთ მგზავრს წაებოტინებოდა კალთაზე და ხან მეორეს. ერთხელ ტუსაღების გარშემო მდგომ ჯარისკაცებსაც კი მიუახლოვდა და თოფზე დაუბირა ხელის მოვლება.

— Ухади малый, ухади,—რბილის ხმით უთხრა რუსის ჯარისკაცმა, რომელსაც ბალღის გულ უბრყვილო საქციელმა ღიმილი მოჰგვარა; ხოლო როცა ბავშვმა პირი მიიბრუნა და იქავ წამოცუცქნულ ძაღლს ხელის ცაცუნი დაუწყო,

ჯარის კაცს კიდეც გაეცინა და „ишь, ты"! ჩაილაპარაკა. ვინ იცის, ეგების თითონაც ყავდა სამშობლოში დატოვებული ასეთი ბავშო და ის მოაგონდა!

— შვილო, შვილო! ჩემი სიმართლე არ დაგღუპავს შენ, ჩემი სიმართლე დაგიფარავს შენ,—ამბობდა ნახევრად გასაგონად შალვა მტვრიანი წამწამებიდან წამოსულ ცრემლებს იმშრალებდა.

შალვა განსაკუთრებით მაცის წინაშე გრძნობდა შეცოდებას და გამოურკვეველ დანაშაულს: მთელ თავის იმედებს ჩემზე ამყარებდა და მე ასე ეულალატე. დედის ცრემლებს და გლოვას ისე არ უმოქმედია შალვაზე, როგორც მამის ქვითინმა. „ვაჟკაცის გულიც შედრეკილა, ალბად მართლაც გავაუბედურე საწყალიო",—ფიქრობდა გულ განგმირული.

მწყობლებს განსაკუთრებით ის გარემოება უკლავდათ გულს, რომ მათ სასოება შვილს, სასახელოდ გამოზრდილ ვაჟს—ხელ-ფეხზე ბორკილები ედო და ტუსაღის ტანისაცმელში იყო.

— შვილო, კაცის მკვლელი ხომ არა მყავხარ, ან ყაჩაღი,— ქვითინით ამბობდა დედა,—ჩემო ნასწავლო ბიჭო, ჩემო სტუდენტო ბიჭო, ჩემო სიდარიბეში გამოზდილო ბიჭო! ვინ გამილანძღა შენი თავი, ვინ გამიძახა? ყაჩაღიეით ბორკილები ვინ გაკადრა? განა ამიტომ გზრდიდი და გაკვდებოდი! ვის რა წაართვი, ვის რა მოჰპარე?

ვისთვის რა უნდა ეთქვა შალვას, ვინ რითი უნდა ენუგეშებინა? განა რაიმე საიმედო სიტყვა იმოქმედებდა აქ? რითი დაეშოშმინებია მშობლები? რა დაებარებია ცოლ-შვილისათვის? რა ეთქვა ევასათვის—რითი არჩინე შვილები, რითი გამომიზარდეო? რა ჰქენ, როგორ მოიქეც უჩებოთაო?

IX

სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე ის ყველას ანუგეშებდა, ყველას პირდებოდა, რომ მალე ცის სინათლეს იხილავდა და რაც ოჯახს ტანჯვა აჩვენა, ყველაფერს გაასკეცებულ სიხარულად მიაგებდა. დიახ, ბევრი ანუგეშა ცოლ-შვილი და დედ-მამა სამხედრო სასამართლოს მოლოდინში, მაგრამ... ცცებ ყოველივე უკუღმა შეტრიალდა და დღეს უკვე ბორკილებში ჩაჭედილი, ოჯახად მორთული, ცივი რუსეთისაკენ მიემგზავრება ოცი წლის კატორღა-წამოკიდებული.

რისი იმედი იქონიოს, ან თავისათვის, ან თავისიანებისათვის? განა ასეთ პირობებში საიმედო სიტყვა გამოინახება?

მართალია, შალვას გული მტკიცეა, მას ერთხელაც კი არ უგრძვნია რაიმე შიში და შეკრთომა, ერთის წუთითაც კი არ დაუგმია ის გზა, რომელმაც ამ დღეში ჩააგდო იგი; მას ღრმად სწამს ბრწყინვალე მომავალი, იცის, რომ ცხოვრების გარდუვალი კანონები მისკენ არის, მაგრამ.. ვაი, რომ ასეთი რწმენა სხვებზე ვერ გადაუცია, ის მოკლებულია ამ ბედნიერებას, ცხრაკლიტულშია გამომწყვდეული, მისსა და მის ნათესავებ შორის შავი კედელია აღმართული, გარდუვალი კედელი, რომელიც იქეთაც უბედურებას სთესავს და აქითაც.

შალვას სწამს, მთელი თავისი არსებით სწამს, რომ დედა, მისი მშობელი

დედა, არას დროს არ იტირებდა და უიმედოდ არ იკვნესებდა, რომ მას შეე-ძლოს მისი ღვიძლი შვილის გულის ნადების სისწორით გაგება...

ევა... ის ხომ შალვას ხორცი ხორცთაგანია და სისხლი სისხლთაგანი! ის ის ხომ მისი სათაყვანო მეგობარი და მთელი თავის არსებით თანამგრძნობია! ყოველ წუთს მზად არის შეუმსუბუქოს გოლგოთაზე ჯვარის ატანა, გაიზიაროს მისი ხვედრი და მასთან ერთად ჯვარს გაეკრას...

პატარა სოფიო... ის ხომ არასოდეს არ იტირებდა, რომ ახლო ჰყავდეს თავისი მამიკო! მიუშვით მამა და შვილი ერთმანეთთან, მიეცით შალვას მისი ვაჟი, რომლის დაბადება უდიდესი დღესასწაული იყო მთელ ოჯახში, განსა-კუთრებით შალვას მშობლებისათვის, რომელთაც ცას უწვდებოდათ ხელი „სა-მოძიროს შეძენის“ გამო... მიუშვით მამა და შვილი ერთმანეთთან და თქვენ ნიხავთ რა იმედიანობა დაეუფლოს იქაურობას.

შალვამ მწარეთ ამოიხვნეშა, უსიამოვნოდ გაიქნია თავი და თვალებზე თითქოს რაღაც ჩამოეფარა—სინათლე დააკლდა—ცრემლებს გამოეყონა.

— კი, ყველაფერი კარგი, უიმედობით გულს არ ვიტეხ, მომავალი მრწამს, მაგრამ ეს საბრალო ბავშები რითი ვანუგეშო ამ წუთს?.. მომავალზე ხომ არა აქვთ მათ წარმოდგენა, მათთვის არსებობს მხოლოდ დღევანდელი დღე, აწმყო! ვინ იქნება მათი იმედი, ჩამცმელი, დამხურავი, თავზე ხელის დამსვეფი? ვინ უპატრონებს ობლებს? რა უნდა ჰქნას საწყალმა ევამ, რითი უნდა არჩინოს ესენი,—ფიქრობს შალვა და კიდევ უფრო აკლდება თვალებში სინათლე.

— სოფელში რომ შეეძლოს წასვლა ჩემ მშობლებთან, კიდევ ჰო... ევების მჭადის მხრივ მაინც არ მოშივდებოდათ... რაღაც ორიოდე ქცევა მიწა აქვს მამაჩემს და, სანამ ძალ-ღონე ექნებოდა, ეგების ლუკმა არ შეეწყვიტა ბავშები-სათვის! მაგრამ ევა სოფელში ჩემს მშობლებთან ვერ იცხოვრებს. ეჰ, ხეტავი არ მაფიქრებია... ისე მაინც ჩამომეტოვებია საქმე, რომ ჩემი ცოლი და მშო-ბლები ერთმანეთში შეთანხმებული ყოფილიყვნენ!.. ვინ იცის, რა პირობებში ჩავარდება მარტოდ-მარტო დარჩენილი ევა?..

შალვას გარდა ეტაპში ორმოცზე მეტი ტუსაღი იყო. ზოგი მათგანი შალვასთან ერთად მიდიოდა საკატორღო ციხეში, ზოგი კი ადმინისტრატიუ-ლი წესით იყო ციმბირში გადასაგზავნად განწესებული. მათი ნათესავებიც სადგურზე იყვნენ.

არავინ არ დაალაპარაკეს ბარგ-ბარხანა აკრულ ტუსაღებს, რომელ-თაც ოინ მიჰქონდათ შაქარი, ჩაი და თეთრეული. საცვლის წაღების ნება კატორღელებს არ ჰქონდათ—მათთვის ყველაფერი სახაზინო იყო: რუხი ტანისამოსი, პირაკრილი, სრულის მომხეხავი, გამძლე საცვლები.—ტუსაღები ოთხ-ოთხნი იდგნენ, ყოველი ორი ხელის ბორკილებით იყო ერთმანეთზე მიჯა-ჭული.

ნათესავების ტირილმა და სლოკინმა მთელი სადგური აატირა. განსა-კუთრებით მაშინ აზლუქუნდნენ, როცა მეორე ზარი შემოჰკრეს, ხოლო მესამე ზარმა ხომ სულ ჯოჯოხეთად აქცია იქაურობა: საშინელმა ტირილმა და ხმაუ-რობამ მოიცო ყოველივე. გამწარებული ჟანდარმები ლეკურებ მომარავებუ-

ლნი ტრიალებდენ, დარაჯები მომზადებულის თოფებით იდგნენ თავიანთ ადგილებზე. ამგზავრებული მატარებელი გულის მომაკვდავმა ამოკვნესამ და გლოვის ხარმა გაისტუმრა.

— კმარა, კმარა!.. წადით აქედან!—დაიძახეს მაშინვე ჟანდარმებმა და ატირებულ ნათესავებს ჯოგივით დაუწყეს გარეკვა.

— დაიკარგეთ აქედან, გასწიეთ მეთქი! არ გესმით?!—გაისმოდა წამ და უწუმ.

რკინის სვეტზე მიყრდნობილი ევა დიდხანს იყო გარინდებული, მწუხარებად ქცეული. შეუმჩნევლად იცრემლებოდა და თავი ერთხელაც არ დაუხრია. ძირს მხოლოდ მაშინ დაუკრა შალვას თავი და ისიც ერთხელ, როდესაც მატარებელი დაიძრა. ამის მეტი მოძრაობა ევასი არავის შეუმჩნევია.

შალვა წარბ-შეკრული იყურებოდა სადგურისკენ, მხოლოდ დრო გამოშვებით ულვაშები უთრთოდა და ერთი თვალის ქუთუთო უთამაშებდა. გულგანგმირული მისჩერებოდა სამშობლოს კარ-მიდამოს და ათასნაირი ფიქრები უტრიალებდა თავში.

— იმედი კარგი საქონელია და სასოების წარკვეთაც სულ მოკლეობის შედეგია, მაგრამ ამასაც საზღვარი აქვს, ამასაც დატევნა უნდა. ადამიანი, რომ უსულ-უგულო ფორმულა და აბსტრაქცია იყოს, მაშინ იმედიანი გული საათის მექანიზმივით დარში-ც და ავდარშიაც ერთნაირად ამუშაებდა მას,—ფიქრობდა იგი.

— მრწამს, რომ მომავალი ჩემი და ჩემი იდეის არის, მაგრამ, ვაი თუ ციხის ჯურღმულებმა მალე მომიღონ ბოლო და უკვალოდ დავიღუპო, როგორც სხვისთვის, ისე ჩემთვის! ვერ ვიქცე ნუგეშად ჩემის შვილების, ცოლის, მშობლების! უკვდავია იდეა და იმედი, მაგრამ... ჩემი ოჯახისთვის ამ წუთას უფრო კონკრეტიული რამ არის საჭირო, ვიდრე ყოველივე ეს...

მიდის, მაგრამ სად? სტოვებს, მაგრამ ვის?

ეს ამბავი ათი წლის უკან მოხდა, ეს ფიქრი და გრძნობა დიდი ხნის უკან განიცადა შალვამ. ერთ ხანს თითქოს დაჰკარგეს მათ სიცოცხლე, მაგრამ დღეს სრულიად მოულოდნელად გაცხოველდა მთელი განცდა... ვიღაცის შეუმჩნეველმა ხელმა დროთა ვითარების გამო ფერფლით დაფარულ ძველის ძველ ეტრატს მ[illegible]ერი ჩამოაშორა და ნისლის ლეჩაქი გადააფხრიწა...

კვლავ განახლდა ძველად ნაგრძნობი, ისევ გაიხსნა ძველი ჭრილობა—პერეელზე გაცილებით უფრო ღრმად, ათასჯერ უფრო მწვავედ!

ევა, ევა! რამდენი იმედი გაუმტყუნე შალვას!

როცა შალვას კატორღა მიუსაჯეს, ევა პირველად სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, მაგრამ მალე იმედი მიეცა, რევოლიუციონურად წელში გასწორდა და ქმარს უთხრა:

— მე შენ არ დაგშორდები და თან გამოგყვები კატორღაში, უკან გდევით დეკაბრისტებს მათი ცოლებიო!

შალვას ძალიან ეამა ეს შედარება,—მოეწონა ევას გმირული გრძნობა,

თანვე ურჩია ამ გზას არ დასდგომოდა, ვინაიდან ბავშები ჰყავდა საპატრონო და მისგანაც ეს ნაბიჯი დიდ მსხვერპლს მოიხოვდა.

ევა უარზე იდგა, თავს იკლავდა, უთუოდ ასე უნდა მოვიქცეო. შალვა მაინც სთხოვდა, რომ ევას თავი შეეკავებინა, თუმცა გულში კი სრულიად ეთანხმებოდა ევას მხრივ ეს დაჟინება.

მაგრამ... ჰი, უკვე გაგზავნეს შალვა, გადის კვირეები, თვეები და ბოლოს წლებიც... კი ევა აოსად სჩანს... არ აასრულა დანაპირები, ვერ გამოიჩინა რევოლიუციონეროზა, არ გაიზიარა ქმრის ბედი!

პირველ ხანებში, მართალია, წერილებს უგზავნიდა, მაგრამ აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც ერთი სტრიქონიც კი არ მოუწერია, არც თავისი მდგომარეობისა და არც ბავშების შესახებ. რაშია საქმე, რა მოხდა? ცოცხალია თუ გარდაიცვალა? სად არიან ბავშები?.. რა მოუვიდათ შალვას მშობლებს?

— ვიცოდე მაინც' რა აჩის ჩემს თავზე,—ათასჯერ უფიქრია შალვას,— მიღალატა ევამ, თუ ისევ ჩემი ერთგულია?

როცა შალვა ამ მოგონებებში იყო, „ძველი, გაუსწორებელი იდეალისტი" მეორე ოთახიდან გულმოდგინეთ ადევნებდა თვალ-ყურს მას და თანაც ჩურჩულით ეუბნებოდა დიასახლისს:

— თქვენა ბრძანეთ, რომ შალვა ღრუბლიანი ქართველია? მერე რა ვუყოთ! მით უკეთესი! რა გარჩევაა ჩვენ და მის შორის? სრულებით არაფერი, ქართველი იგივე რუსია: ჩვენსავით აცვიათ, ახურავთ, ჩვენსავით რუსულად ლაპარაკობენ... მათი ქვეყანაც მგონი კავკასიის მთებშია. დიახ, მე ყველანი მიყვარს: რუსი, ქართველი' თათარი, და ასე წარმოიდგინეთ ნემეციც კი... დიახ, ნემეციც, ვინაიდან მე ღრმად მრწამს, რომ ჩვენ გვეომება არა ნამდვილი ნემეცი, მიწის მუშა ნემეცი, არამედ მუქთა ხორა იუნკერი. მაგრამ იქაც მოხდება რევოლიუცია და მაშინვე დამყარდება ქვეყნად მშვიდობა და კაცთა შორის სათხოება. დიახ, დიახ! საკმარისია, რომ მშრომელებმა თავიდან მოიშორონ მეფეები და ყველაფერი რიგზე დადგება და მოეწყობა. მე წინასწარმეტყველი არა ვარ, მაგრამ მაინც მრწამს. რომ ორ—სამ წელიწადში მთელ ქვეყანაზე სამოთხე გამეფდება... აი, ნახავთ თქვენ რა დიდებულად მოეწყოს ჩვენი ცხოვრება! რუსის ხალხი გენიოსია... დიახ, გენიოსი: შრომის მოყვარე, ნიჭიერი! ნუ დაგავიწყდებათ, რომ მისი შვილებია ტოლსტოი, ჩიხაილოვსკი, ლავროვი... დიახ, მიხაილოვსკი... ოო, რა დიდებული ადამიანი იყო, რომ იცოდეთ! ეს რევოლიუცია მან დიდი ხნის უკან იწინასწარმეტყველა... დიახ. დიახ! დიდი კაცები ასეთები არიან, ჩემო ბატონო, დიახ!..

ექიმის ლაპარაკში კარგა ხანმა გაიარა, დაღლილი დიასახლისი გულმოდგინეთ ამთქნარებდა და ხშირად ყურსაც არ უგდებდა „ძველ, გაუსწორებელ იდიალისტს".

— ო, ქართველები! ქართველები!—განაგრძობდა მაინც ექიმი,—თურმე ხანჯლის ხმარება ძალიან იციან, სულ ყველა რევოლიუციონერია! მე ვიცნობდი ერთ კავკასიელ თავადს—ალბათ ქართველი იქნებოდა,—აი ამ ქართველ თავადს, თურმე, ოცდა სამი კაცი ყავდა თავის სიცოცხლეში მოკლული... დიახ,

ოცდა სამი! ის ჯერ კიდევ შუა ხნის არ იყო და ღრმა მოხუცებულობამდის ალბად ოცდა სამს კიდევ მოკლავდა... დიახ, ოცდა სამს!.. ესეც შენი ორმოცდა ექვსი კაცი, ხუმრობაა! ეტყობა ერთობ თავდადებული მებრძოლია ჩვენი ღრუბელიანიც... მე პირდაპირ ვაღმერთებ ასეთ ადამიანებს. მე [illegible] არავის არ დავიშურავ, თვით ჩემ სიცოცხლესაც კი...

შალვა ისევ ფიქრებში იყო გართული. მან წარმოიდგინა ოჯახური ცხოვრება იმ ამბანაგისა, რომლის ოთახშიც იგი ამ დროს იწვა და პირდაპირ შურმა შეიპყრო იგი.

— მეც მყოლოდა ოჯახი, მქონოდა თბილი თავშესაფარი, გულით მომკითხავი, შუბლზე ხელის დამსვები!..

დიდხანს იჯდა გულაჩვილებული. არას დროს ასე არ დაწყვეტია გული ოჯახურ ბედნიერებაზე. რა სატანჯველი არ იგემა ციხის ჯურღმულებში, რა უბედურება არ გადიტანა, მაგრამ ასე გულ დათუთქული იგი არასოდეს არ ყოფილა!

მთელი ქალაქი დღეს მის სახელს ახსენებდა, დიდი თუ პატარა მას აღმერთებდა, ქალი და კაცი ხელით ატარებდა... სათაყვანო იდეალები აუსრულდა, გამარჯვება მას დარჩა და უცებ საშინელი ბრძოლის გადახდის შემდეგ, წარბებ შეკრული წამომჯდარა ოთახის ერთ კუნჭულში და გულდათუთქული დასჩერებია თავის პირად ცხოვრებას...

X

შალვა ღრუბელიანი უბრალო გლეხის შვილი იყო. მამა მისს—ტარასი ღრუბელიანს—ორიოდე ქცევა სახნავ-სათესი ადგილი თუ ექნებოდა.

დედა შალვასი, ბარბარე, სამაგალითო მუშაკი და მხნე ადამიანი იყო. მამამთილმა თითქმის ცარიელ-ტარიელი გამოისტუმრა ის და მისი ქმარი. უსახლკაროდ დარჩენილებმა მაშინვე პატარა ქოხის აგება განიზრახეს. ბარბარეს ხელმომთბარი ნათესაეები ჰყავდა და მათი იმედით ვალის აღებასაც არ შეუშინდა.

„ცუდი საქმისათვის ხომ არ ვიღებთ ვალს, სახლ-კარს ვიდგამთო“ ეუბნებოდენ ერთმანეთს ცოლი და ქმარი. ბარბარეს განსაკუთრებით აიმედებდა და მხარში უდგა მოხუცი დედა, რომელსაც მხოლოდ ბარბარე მისცა უფალმა „დამტირებლად და მის საფლავზე თმის გასაწეწად“.

— უბედური ტარასია ქალის ჭკუას აჰყვა და ნასესხევი ფულით წამოჭიმა სახლიო,—დასცინოდენ მეზობლები.

— ვნახავთ, რომ მაგ სახლი მოვალეებს ფიცარ-ფიცარ მიჰქონდესთ მარტო სარგებელში და თავნი კიდევ თავნად იქნებაო.

მშრომელმა ცოლ-ქმარმა ორის წლის განმავლობაში სრულიად გადაიხადა ვალები და მერე იქვე ეზოზე მიკრული ადგილის შეძენას მოჰკიდეს ხელი. აქაც ბევრი დაცინვა იგემეს, მაგრამ მეზობლების გულის მოსაკლავად გამარჯვება მაინც მათ დარჩათ. ტარასი ხშირად ოჯახს სტოვებდა და ქალაქში მი-

დიოდა სამუშაოდ: ხან თვიურ მოჯამაგირედ, ხან დღიურად; ხან მეურმე იყო, ხან ჩალვადარი და, ამნაირად, წვითა და დაგვით იხდიდა ვალებს.

შინ დარჩენილი ბარბარე დღე და ღამე შრომაში იყო: ქათმების გამოზრდით, საქონლის მოშენებით და საჩოხე შალების ქსოვით ქმარზე ნაკლებად არც ის შოულობდა ფულებს.

შალვა პირმშო იყო. დედ-მამის განუწყვეტელმა შრომამ მისი თვალების წინაშე გაიარა,

ბარბარეს დედა თითქმის ყოველ დღე თავის ქალთან იყო და დაუღალავად ეხმარებოდა.

— ღარიბი კაცის ხელში შემექნა შვილი და რო ასე არ დავეხმარო, დამელუპებაო,—ამბობდა მოხუცი. მისი სახლი იმავ სოფელში იყო და თითქმის ყოველ დღე ჩუმად ქალიშვილისათვის ხან ფქვილი მიჰქონდა ხან და ხან კიდევ გამომცხვარი.

ოცა შალვამ კარგად სიარული შესძლო, ის ხშირად აეკვიატებოდა ბებიას და „დედულეთს" გასდევდა. ბიძები დიდის ამბით შეეგებებოდენ პატარა დისწულს. შალვას მისელა დღესასწაული იყო: რაც უნდა მოწყენილნი ყოფილიყვნენ და მუშაობით დაღლილნი, ყოველივე დაავიწყდებოდათ და ბავშებივით აჭყლიპინდებოდენ.

ერთხელ, როდესაც საღამოზე ბებიამ ბარბარესთან წამოსვლა დააპირა, შალვას ხელი ჩაჰკიდა და მარცხენა იღლიაში ფუთა ამოღებულმა, ვენახს მიაშურა. შეღამებული იყო. ეზო—გარემოში არავინ სჩანდა. ბებია მივიდა წელმით თავგადაგირგლულ ვენახის მესერთან და ფრთხილად გადაიღო წელმებში ჩამალული რაღაც ფუთა, რომელიც ფქვილი იყო. შალვა მაშინვე მიხვდა, რომ ეს ფქვილი ბებიას მათთვის უნდოდა და უაღრესმა სიყვარულმა აავსო ბებიას მიმართ მისი გული. „შეხეთ, რა ღვთისნიერია ბებია, როგორ გვიბრალებს, ღარიბები ვართ და ვეცოდებითო",—ინსტიკტიურად ფიქრობდა შალვა; ბებიაზე უკეთესი ადამიანი მისთვის ამ წუთას არ არსებობდა ქვეყანაზე.

ეს სურათი შალვას ისე ღრმად ჩაებეჭდა, რომ ახლაც ნათლად ახსოვს და სიამოვნებით იგონებს მას.

შალვას მამამ, ტარასიმ, წერა-კითხვა არ იცოდა, რის გამო ბევრჯელ ამოხვნეშით უთქვამს: მე რომ უბრალო წერა-კითხვა და დავთარში ციფრების ჩაწერა შემძლებოდა, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო. შალვას დედა კი საქმაოდ იყო ამაში დახელოვნებული,—ნათლიამ—სასულიერო პირი იყო სამაღლოდ ასწავლა.

იმ ქუჩაში მარტო ბარბარემ იცოდა კითხვა; მათ უბანში არც ერთი მოკითხვის ქაღალდი უმისოდ არც წაიკითხებოდა და არც დაიწერებოდა. თამასუქისა და პირობის ქაღალდის შედგენაზე კი არავინ აწუხებდა—ქალია და მის ნაწერს რა ძალა ექნებაო!

ბარბარემ ყველა ლოცვები იცოდა ზეპირად, აგრეთვე აუარებელი სახალხო ლექსი და გამოცანები. ათი მცნების კარგად თქმისათვის ერთხელ ბარბარესათვის ეფისკოპოზს ვარდის ფერი ქვის თვალებიანი ბრინჯაოს პატარა ჯვარიც კი

ეჩუქებია. ეს ჯვარი მზითვებთან ერთად მოიტანა ბარბარემ და დიდხანს ინახავდა თავის საყვარელ სკივრში, რომლიდანაც სხვა და სხვა ხელსაქმეების მშვენიერი სურნელება ამოდიოდა.

როცა შემთხვევა მიეცემოდა, ბარბარე ღიმილით ამოიღებდა ამ ჯვარს და სიამოვნებასთან შეზავებულის თავმოყვარეობით იტყოდა:

— წყალიევით ვუთხარი იმ კურთხეულს „ათი მცნება“ და „მიწყალე ღმერთო ახლა რო გაადვილებულია ყველაფერი, უწინ ასე კი არ იყო უწინ, ათი მცნება რო არ გეთქვა ზეპირად, მღვდელი ჯვარს არ დაგწერდა, აპა!

ბარბარე თავმდაბალი და მშრომელი ადამიანი იყო. მისი პატიოსნება, ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი და ოჯახიშვილისებური ყოფა-ქცევა ყველასათვის სამაგალითო იყო. მთელი მისი ყურადღება და ენერგია იქითკენ იყო მიქცეული რომ სიღარიბიდან ფეხი ამოედგა და შვილები ისე აღეზარდა, როგორც მას საუკეთესოდ მიაჩნდა. მისი აზრით მისი შვილი უნდა ყოფილიყო თავაზიანი, კარგი სიტყვა-პასუხის, გულ-მართალი, ადამიანის გამტანი და შემბრალე, მშრომელი და ღვთის მოყვარე.

შალვას არ ახსოვს რომ ოდესმე დედა მისი ყალბად მოქცეულიყოს: ერთი ეთქვას და მეორე გაეკეთებინოს.

ერთხელ სოფლის „ბორჩიკმა“ ივანე ელაძემ, ბარბარესაგან სახაზინო გადასახადი წაიღო და ხურდა ფული დაუბრუნა. აღმოჩნდა, რომ ხარკის ამკრეფს შეცდომით ერთი მანეთი მეტი დაებრუნებია მისთვის. დედამ მაშინვე უთხრა შალვას რაშიც იყო საქმე და თან გააფრთხილა: ხვალ დილით სასწავლებელში რომ წახვალ, ეს ფულიც თან წაუღე ივანესო.

დილაზე შალვამ სიამოვნებით ჩაიბღუჯა ვერცხლის მანეთიანი და იმ ფიქრით, რომ ერთობ აამებდა ივანე ელაძეს, ისარივით გაექანა მისკენ, მაგრამ შინ ვერ ნახა და პირდაპირ ყანაში მიაკითხა.

ივანე სიმინდს მარგლიდა.

— ივანე, გამარჯობა შენი! შენ გუშინ ჩვენსას რო იყავი ფული გადმოგყოლია და დედამ გამომატანა. აა, წაიღე შენი ფული. ჩვენ არ გვინდა, შენ შეგშლია.

ივანემ ორჯელ გადაითვალა ფულები და მართლაც დარწმუნდა, რომ გუშინ ფული გადაეყოლებია.

— შენ გაგზარდოს, შვილო, ღმერთმა დიდი კაცი,—მხიარულად უთხრა შალვას,—ღმერთმა აკურთხოს შენი მშობელი დედა! რა პატიოსანი ის ყოფილა! ღმერთი უწინამძღვრებს შენი დედ-მამის მარჯვენს, შენ გაიზარდე სახელოვანი კაცი, სასახელო კაცი!..

ივანე კარგა ხანს ილოცებოდა, ყურებამდის გაწითლებული შალიკო კი ნასიამოვნები მიდიოდა სკოლისკენ.

შალვას მეზობლად სცხოვრობდა ერთი გლეხი—ანდრია, რომელსაც ბაზრობის დღეს მახლობელ ქალაქში ენახა დაკარგული მოსასხამი შალი. ბევრი

ეკითხა, მაგრამ პატრონი არ აღმოჩენილიყო. ბოლოს პატრონი მართლაც აღმოჩენილიყო. ამ ნამდვილ ამბავს, რომელიც მთელმა სოფელმა იცოდა და რომლისთვისაც ბევრი ანდრიას კიდეც დასცინოდა, ბარბარე [illegible] ფერებით შეამკობდა და ისე უამბობდა ხოლმე შვილს.

შალვას მამა არ ყოფილა ბარბარესავით განვითარებული. ის უფრო გულუბრყვილო ადამიანი იყო: ბუნების უშუალო შვილი, გაურყვნელი, დამნდობი და დაუღალავი მუშაკი. მისი ქეთილი არსება ერთიანად ემორჩილებოდა ცოლის ნებისყოფას და გამჭრიახობას; ძვირათ თუ რამეში დაჰპირდაპირებია ცოლქმარი ერთმანეთს, ხოლო თუ ეს როდისმე მომხდარა, საქმე მაინც ისე მოგვარებულა, როგორც ბარბარეს ერჩია.

პეტრე გელეიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ ახალი ავტოგრაფი

ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ ეს ავტოგრაფი წარმოადგენს დასახელებულ თხუზულების მეორე ვარიანტს, რომელიც დათარიღებულია 1860 წლით. დღემდე ცნობილი იყო „აჩრდილის“ მხოლოდ ორი ვარიანტი: პირველი დათარიღებული 1859 წლით და მეორე—ის, რომელიც თვითონ ავტორმა დაბეჭდა 1881 წელს და რომელსაც საზოგადოება იცნობს.

ეს ჩვენი ვარიანტი ჯერ არავინ იცოდა და იბეჭდება პირველად. მეორე ვარიანტს არავითარი მეცნიერული მნიშვნელობა არ შეიძლება მივაკუთვნოთ, რადგანაც ის უკვე დაბეჭდილია უცვლელად, იტყვა-სიტყვით. სამაგიეროთ ორი პირველი ვარიანტი დიდ ინტერესს წარმოადგენა, რადგანაც მხოლოდ აქედან შეიძლება გაეიგოთ პოეტის ნიჭის ზრდა, მისი წერის მანერა და სხვა.

ამ ვარიანტის მეცნიერულად განხილვა ჩვენს დღევანდელ მიზანს არ შეადგენს. ეს სპეციალური გამოკვლევის საქმეა. ჩვენ აქ საჭიროდ მიგვაჩნია ამ ჩვენი, რიცხვით მეორე, ვარიანტის მხოლოდ უფრო გარეგნულ მხარეს მივაქციოთ მკითხველის ყურადღება და მხოლოდ ერთი დასკვნა გავაკეთოთ ილია ჭავჭავაძის წერის მანერის შესახებ.

„აჩრდილის“ ეს ჩვენი ვარიანტი ავტორს დაუწერია უბრალო პატარა რვეულად შეკრულ ქაღალდზე (4×2½ ვერშოკი). თვით პოემის ტექსტი დაყოფილია ოცდა თოთხმეტ თავად და თავების აღსანიშნავად ნახმარია არაბული ციფრები; დღემდე ლიტერატურაში ცნობილი ვარიანტი კი დაყოფილია XXVII თავად, რომლიდანაც გამოტოვებულია, ალბათ, ცენზურული პირობების გამო, მე XXII და XXIII თავები და მის ადგილზე პუნქტირებია დასმული. ამ ვარიანტში თავების აღსანიშნავად ნახმარია რომაული ციფრები.

ეს მეორე ვარიანტი 1881 წელს დაბეჭდილ „აჩრდილიდან“ სიდიდითაც ძალიან განსხვავდება. აქ პოემას დართული აქვს „ძღვნა“ ივანე პოლტარაცკის და ილია წინამძღვარიშვილისადმი, აგრეთვე რუსთველის ლექსს გარდა ამ ვარიანტში პირველ ეპიგრაფად არის ნახმარი დავითის ფსალმუნი და პოემის ბოლოს დამატებულია: „ქართველთადმი (დამატება)“. სულ ეს ჩვენი ვარიანტი

უდრის 802 სტრიქონს (თვით ტექსტი პოემისა 772, ეპიგრაფები—6 სტრიქონი, ძღვნა— 8 სტრიქონი და „ქართველთადმი"—16 სტრიქონი). „აჩრდილის" 1881 წლის დაბეჭდილი ტექსტი უდრის 549 სტრიქონს. შეჯამებაში ეს ჩვენი ვარიანტი დღემდე ლიტერატურაში ცნობილ „აჩრდილის" ვარიანტზე მეტია 253 სტრიქონით.

ეს ჩვენი ვარიანტი პირველ ვარიანტთან შედარებით იმდენათ დამუშავებული და დამთავრებულია, რომ ავტორს შესაძლებლათ დაუნახავს მისი თეთრათ გადაწერა და დასაბეჭდათ მომზადება.

ასეთია გარეგნული განსხვავება „აჩრდილის" დღემდე ლიტერატურაში ცნობილ ვარიანტსა და ამ ჩვენს ვარიანტს შორის.

ვიმეორებთ, ამ ახალი ვარიანტის გამოქვეყნება ბევრი მხრით არის საყურადღებო, რადგანაც ის ყოველს მხრიდან აშუქებს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების გაგების საქმეს. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ შემდეგ გარემოებას.

ილია ჭავჭავაძემ თავისი „აჩრდილი" გამოაქვეყნა 1881 წელს, როგორც მკითხველი ჩვენი ვარიანტიდან დაინახავს, პოემას იგი დაუმთავრებია და დასაბეჭდათ მოუზადებია 1860 წელს. სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ილიას ეს მოუმოქმედებია 1859 წლის მიწურულში, ან 1860 წლის იანვრის თვეში, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს თებერვლისა, რადგანაც დღეს თითქმის აღდგენილად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ილია 1859 წელს დაბრუნდა პეტერბურგიდან ტფილისში და 1860 წლის გაზაფხულზე კი იგი გამოცდებს აბარებს პეტერბურგის უნივერსიტეტში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დროინდელ მიმოსვლის სიძნელეს, უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტი იანვარში მაინც უნდა წასულიყო ტფილისიდან, რომ გაზაფხულზე პეტერბურგში ყოფილიყო.

აქედან ცხადია, რომ დასახელებულ პოემის დასაბეჭდათ მომზადებიდან მის დაბეჭდამდე გასულა სრული 22 წელი. ასევე იქცეოდა ილია ჭავჭავაძე თავისი საუკეთესო თხზულებების უმეტესობის გამოცემის დროსაც. ის სწერდა, დასაბეჭდათ ამზადებდა და დაბეჭდას კი ერთობ აგვიანებდა.

ეს გარემოება პოეტის იდეიურ მოწინააღმდეგეებს საბუთს აძლევდა პოლემიკის დროს მისთვის ესაყვედურათ:

— შენ შენი საუკეთესო თხზულებები, ბატონ-ყმობის წინააღმდეგ დაწერილი, დაბეჭდე ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ, ესე-იგი იმ დროს, როცა მათ არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა ქონდათ. შენ როგორც პოეტი, სწერდი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, რადგანაც არ შეგეძლო ამ უდიდეს ბოროტების წინააღმდეგ არ დაგეწერა, მაგრამ როგორც პუბლიცისტი, გაუბედაო იყავი და ასეთ თხზულებებს თავის დროზე არ ბეჭდავდი და „ბრძოლას ბრძოლის შემდეგ აწარმოებდიო."

ნოე ჟორდანია „ქართულ პრესაში" ილია ჭავჭავაძეზე სწერს:

„...არც ერთი მისი საყურადღებო თხზულება, გარდა „კაცია ადამიანისა" არ დაბეჭდილა მაშინ, როცა მისი დაბეჭდვა საჭირო იყო. ავტორი ყოველ-

თვის უცდიდა დროს და როცა ის უიმისოთაც შეიცვლებოდა, ძმამან გაილაშქრებდა დაძველებულ და უკვე ცხოვრებიდან გასულ წყობილების წინააღმდეგ. ამას ეწოდება ბრძოლა ბრძოლის შემდეგ.“ (იხ. „ქართული პრესა. გუშინ და დღეს.“ ტფილისი. 1900 წ., გვ. 16).

ჩვენ, ილიას იდეური მოწინააღმდეგეები, ილიასთან პოლემიკის დროს ამ გარემოებას ვიყენებდით იმ მიზნით, რომ ილიასათვის მოქალაქობრივი „გაუბედაობა“ გვესაყვედურებია. იგივე ნოე ჟორდანია იმავე წიგნში ერთგვარ ნოტაციასაც უკითხავს ილია ჭავჭავაძეს: „ჟურნალისტი უნდა იყოს მებრძოლი, პირდაპირი“... და სხვა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, პირადი გამოცდილებითაც კარგათ ვიცოდით, რომ ილია მხდალი და გაუბედაეი არ იყო. ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ ვისაც ის ხელში ჩაიგდებდა, დათვზე უფრო ძლიერათ დაბეგვავდა. მაგრამ ილიას ჩვეულებათ ქონდა თავისი საუკეთესო თხზულებები გვიან გამოექვეყნებია და ზედ დაწერის დროინდელი თარიღი დაესვა. ეს ჩვენ სრულ უფლებას გვაძლევდა პოეტისთვის გვესაყვედურებია ის, რასაც ვუსაყვედურებდით.

დღეს კი, ამ ჩვენი ვარიანტის გამოქვეყნების შემდეგ, ილიას მიერ მისი საუკეთესო თხზულების დაგვიანებით გამოცემის მიზეზად პოეტის „გაუბედაობისა“ და მოქალაქეობრივ უნარის შოკლებულობის დასახელებას ნიადაგი ეცლება. ასეთი საყვედური მხოლოდ მაშინ იქნება სამართლიანი, რომ ილიას 1860 წლის დაწერილი თხზულება, ამ შემთხვევაში „აჩრდილი“, ისეთივე იყოს, როგორც 1881 წელს გამოქვეყნებული „აჩრდილია“.

მეუდარეთ ერთმანეთს ეს ორი ვარიანტი და თქვენ დარწმუნდებით, რომ ამ დაგვიანების მიზეზი სულ სხვა ყოფილა. „აჩრდილის“ ვარიანტი, რომელიც თვით პოეტმა დაბეჭდა დაწერილია სამაგალითო, წმინდა ფოლადისაგან ნაწდობი ლექსით; ის მდიდარია მაღალ პოეტური, წმინდა ილიასებური მეტაფორებითა და შედარებებით. ამ ბრივ ჩვენი ვარიანტი ისე შეედრება ილიას მიერ გამოქვეყნებულ „აჩრდილის“ ვარიანტს, როგორც ბავშვის სუსტი ნაწარმოები დავაქკაცებულ, გონება დამჯდარი მწერლისას.

ჩვენ აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია ამ ორივე ნაწერიდან მაგალითების მოყვანა ჩვენი ასეთი დასკვნის დასასაბუთებლათ. ილიას „აჩრდილი“ ყველა წეოაკითხვის მცოდნე ქართველმა იცის. ამ ჩვენს ვარიანტსაც ყველა წაიკითხავს, რადგანაც ილიას კალამს ეკუთვნის და ესეც არ იყოს იგი თავისთავადაც საყურადღებოა..,

რას გვასწავლის ამ ჩვენი ვარიანტის შესწავლა? რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ აქედან?

ერთად-ერთი: ილიას მართალია თავისი „აჩრდილი“ დასაბეჭდავათ მოუმზადებია, მაგრამ შემდეგ როცა კარგათ აუწონ--დაუწონია საქმე, თვითონ დაუწუნებია იგი. ბეჭდვა გადაუდვია და ყოველი მისი ლექსის ფოლადათ წდობას და აზრების ჩამოყალიბებას წესდგომია. ამით მის ნაწარმოებს ლიტერატურულ მხრით ერთი ასათ მოუგია, მხოლოდ დაგვიანებით კი მეტისმეტად დაგვიანებია.

ილიას რომ თავისი „აჩრდილი“ დაწერის დღიდან 22 წლის შემდეგ იმავე რედაქციით გამოექვეყნებია, როგორც დაწერილი და დასაბეჭდათ დამზადებული ქონდა, მაშინ ჩვენ სრული უფლება გვექნებოდა ასეგ ძველს აზრს დავდგომოდით და პოეტისთვის გვესაყვედურებია: „ბრძოლას ბრძოლას შემდეგ აწარმოებდიო.“ მაგრამ ჩვენი ვარიანტის შესწავლა იმას ამტკიცებს, რომ პოეტს ვისიმე შიშით ან მორიდებით კი არ შეუჩერებია თავისი პოემის გამოქვეყნება, არამედ იმიტომ, რომ მას იგი არ უცვნია ლიტერატურული მხრით დამუშავებულათ და დაბეჭდვის ღირსათ...

რამდენ ხანს უნდა ემუშავა პოეტს, რომ ამ ჩვენი ვარიანტიდან შეექმნა ლიტერატურის ისეთი შედევრი, როგორიც არის თვით მის მიერ გამოქვეყნებული „აჩრდილი“? სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით „აჩრდილი“-ს ზემოთ დასახელებული სამი ვარიანტის მეტი, არ მოიპოება შეიძლება ბწი არა ერთი და ვარიანტი ორი გამოჩნდეს, როგორც დასახელებულ პოემისა, ისე ილიას სხვა თხზულებებისაც. პირდაპირ წარმოუდგენელია, რომ ავტორს ამ ჩვენი ვარიანტის გადაკეთებაზე დიდ ხანს არ ემუშაოს, რომ ჩვენი ვარიანტიდან ისე ადვილათ ჩამოესხას მის მიერ გამოქვეყნებული „აჩრდილი“-ს ფოლადისებური ლექსებით დაწერილი პოემა.

ის გარემოება, რომ ილია 1881 წელს გამოქვეყნებულ პოემას ათარიღებს 1860 წლით, არაფერს არ ნიშნავს. ეტყობა ავტორს უნდოდა ლიტერატურისთვის შეენახა ის დატა, როდესაც მან ეს პოემა ჩამოაყალიბა, ჩამოასხა და იმდენათ დაასრულა, რომ მისი დაბეჭდვაც კი მოინდომა. ამის უფლება მას, რა თქმა, უნდა ჰქონდა. მაგრამ ამ გარემოებას ჩვენ შევყავდით შეცდომაში და ამიტომაც ვეუბნებოდით ზემოთ მოყვანილ საყვედურებს.

ვინც ყოველიფერში დინჯსა და აუჩქარებელ ილია ჭავჭავაძეს და მის წერის მანერას იცნობდა, უეჭველათ დაგვეთანხმება, რომ ილია არა თუ პოემას, არა თუ ლექსს, უბრალო პუბლიცისტური ნაწერის ერთ სტრიქონსაც არ გაუშვებდა თვისი კაბინეტიდან ისე, რომ იგი არ გაერანდა, რამდენიმეჯერ არ გაესწორებია და არ გადაეწერა.

მე არ მიმააჩნია მაინცა და მაინც მოხერხებულათ, რომ თვისი აზრის დასამტკიცებლათ მწერალმა თვისი თავი იმოწმოს, მაგრამ რადგანაც ჯერ კიდევ ცოცხლები არიან ილია ჭავჭავაძის ყოფილი თანამშრომლები, რომლებსაც შეუძლიათ ჩემი ნათქვამი დამიმოწმონ ან უარყონ, ნებას ვაძლევ ჩემ თავს ილიას შემოქმედების ამ მხარის გასაშუქებლათ ჩემი პირადი დაკვირვება ვიმოწმო.

როცა ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ მთავრობის მიერ ექვსი თუ რვა თვით შეჩერების შემდეგ ხელახლა განახლდა 1896 წლის იანვრის შუა რიცხვებიდან, მეც ვიყავი რედაქციაში მიწვეული გიორგი ლასხიშვილის მიერ...

ამ დროს ილია „ივერიაში“ თითქმის არაფერს არ სწერდა. მის საკუთარ გაზეთში მისი თანამშრომლობა იმაში გამოიხატებოდა, რომ თითქმის ყოველ ნომრისთვის პოეტი ამზადებდა აფორიზმებს, რომლებიც გაზეთში „დამაკვირდის“ სათაურით იბეჭდებოდა. ამ აფორიზმებს ილია უფრო ხშირათ თარგმნიდა

სხვადასხვა ფილოსოფოსებისა და გამოჩენილ მწერლების წიგნებიდან. ხანდახან თავის საკუთარ აფორიზმებსაც ბეჭდავდა.

ილია ამ დროს თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარე იყო და ყოველ დღე დილის ათის ნახევრიდან იქ მიდიოდა. მისი ბინა იქვე, რედაქციის გვერდით იყო და ჩვეულებრივათ მე შევდიოდი მის კაბინეტში მოწონებულ და დასაბეჭდათ გამზადებულ მასალების გამოსატანათ. ჩემი ყურადღება ბევრჯელ მიუქცევია იმ გარემოებას, რომ ილიას მიერ ნათარგმნი აფორიზმები ყოველთვის მეტის მეტად ლამაზი ხელით იყო დაწერილი. ბევრჯერ დავინტერესებულვარ ამ გარემოებით და დამითვალიერებია იქვე საწერ მაგიდასთან დაგდებულ ნახევრათ გაფხრეწილი ქაღალდის ნაჭრები. და როგორი უნდა ყოფილიყო ჩემი გაკვირვება, როცა აღმომიჩენია რამდენიმე ვარიანტი იმ პატარ-პატარა აფორიზმებისა, რომლებსაც პოეტი დასაბეჭდავათ მიტოვებდა. ეს აფორიზმები სულ პატარ-პატარა იყო, სამიდან რვა სტრიქონს არ აღემატებოდა და აბა როგორ არ უნდა გამკვირებოდა, როცა ასე ერთი ციცქნა აფორმიზების ხშირათ ხუთი-ექვსი ვარიანტი დამითვლია!..

ასე სწერდა ილია, ასე სერიოზულათ ეპყრობოდა იგი სულ უბრალო რამდენიმე სტრიქონიან, უფრო ხშირათ პროზათ დაწერილი აფორიზმების თარგმანსაც კი. როგორ უნდა მოპყრობოდა იგი „თვის საკუთარ ლექსებს, პოემებს, რომანებსა და მოთხრობებს?

ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, ილია ერთხელ დაწერილს და ხშირათ დასაბეჭდათ გამზადებულ თხუზულებას განზე გადადებდა, რამდენიმე ხნის ფიქრის შემდეგ ხელ-ახლათ უბრუნდებოდა მას, ასწორებდა, აწდომბდა. ამაში, რა თქმა უნდა, დიდი დრო გადიოდა... და სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ზოგი მისი ჩინებული ნაწარმოები დაგვიანებით იბეჭდებოდა.

აქედან ცხადია, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პოეტის წერის მანერასთან და არა მის მებრძოლი ტემპერამენტის უქონლობასთან ან მის „გაუბედაობასთან“.

შემოქმედების ამ მხრით ილია არა გავდა აკაკის, რომლის ლექსებიც ისე მზა-მზარეულათ გამოდიოდა პოეტის თავიდან. ამბობენ და მეც ეს მჯერა, რომ აკაკი ჩვეულებრივათ თავის ერთხელ დაწერილ ლექსს შემდეგ არ მიუბრუნდებოდა და თუ მიუბრუნდებოდა გაუმჯობესების მაგიერათ კიდეც გააფუჭებდაო. აკაკის ყველა ლექსებს, ყველა მის პოემებსა და მოთხრობებს ზედვე ანის ასეთი შემოქმედების დაღი. ისინი ისე ნაზი, ნარნარი და ცქრიალა, როგორც მოჩუხჩუხე ნაკადული... სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს ილიას ლექსი ის დინჯი, ღრმა, ფოლადისაგან ჩამოსხმული ბეჭედია. მაგრამ მას ზედვე ეტყობა, რომ იგი დიდი შრომის ნაყოფია... ვიღაცამ სთქვა: ილიას ლექსებს ოფლის სუნი უდისო და მართალიც სთქვა...

ჩვენი დროის მწერლისა და მკითხველის თვალში ასეთი შემოქმედება ბევრსა კარგავს. ჩვენს დროში, სინემატოგრაფისა და ჰაერში ფრენის ხანაში როცა ყველაფერი ჩქარა, თვალის დახამხამებაში ხდება, როცა სიცოცხლე ასე აჩქარებულის ტემპით მიდის წინ, აბა ვის მოეწონება ასე ხანტათ წერა?

მაგრამ სულ სხვა დროის მწერალი იყო ილია. როცა ის საწერლად ასპარეზზე გამოვიდა, არა თუ საქართველოში, თითქმის მთელი რუსეთის ტერიტორიაზეც არ იცოდენ თუ რა იყო რკინის გზა. იმ დროს ლეონტის ცხოვრება ისე მიდუნებული იყო, რომ მისი წინ სვლის ტემპს გოგოლი უღალებდა რუსული „ტროიკის“ გამალებულ სრბოლას, მეტის მეტათ მიაჩნდა იგი და ჩვეულებრივის პათოსით ამბობდა:

„Не так ли и ты, Русь, что бойкая, необгоняемая тройка, несешься?..

Эх, кони, кони,—что за кони! Вихри ли сидят в ваших гривах?“.

და არა თუ გოგოლს და მის თაობას, ჩვენს თაობასაც ეს მიაჩნდა ხალხის წინ სვლის ტემპის იდეალათ.

როცა ცხოვრება ასე ერთ დონეზე იყო შეჩერებული, როგორი უნდა ყოფილიყო ასეთი ცხოვრების სარკე—მწერლობა? იმ დროს მწერლობაცა და აზროვნებაც მდორე და წყნარი იყო. მწერალი დინჯათ, აუჩქარებლათ, მოფიქრებულათ სწერდა. ერთხელ ნაფიქრსა და დაწერილს ასჯერ გადაწერდა, გააშალაშინებდა, აწდომდა, აყალიბებდა... ან კი რა ეჩქარებოდა?..

ცნობილია, რომ ისეთი ლექსის მეუფე და უალრესათ ტემპერამენტიანი მწერალი, როგორც იყო ლერმონტოვი, მთელი ცხრა წლის განმავლობაში სწერდა „დემონს“. ცნობილი რუსი მხატვარი ივანოვი მთელ ოცი წლის განმავლობაში ხატავდა თავის საუკეთესო სურათს: იორდანეს პირათ ხალხისთვის ქრისტეს გამოცხადებას. თვით დიდი გიოტე, რომელსაც ილია თავის „მგზავრის წერილებში“ ცივსა და მიუკარებელ მყინვარს ადარებს, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში სწერდა „ფაუსტს“.

მაშინდელი ცხოვრება დინჯათ, აუჩქარებლათ, ლოდიალით მიიზლაზნებოდა წინ. მწერლებიც თვისი დროის შვილები იყვენ.

ილიას თავისი საკუთარი ავტორიზმი ქონდა:

„არც ერთი პატიოსანი დედა შვილს ცხრა თვეზე ადრე არ დაბადებსო“.

ეს ავტორიზმი, რომელიც მე ჩემის საკუთარის ყურებით გამიგონია პოეტისაგან, ყველაზე უფრო ახასიათებს მის შეხედულობას მწერლის შემოქმედებაზე. ამ ავტორიზმს გაშლა არ ესაჭიროება. მისი აზრი უმისოთაც ყველასათვის აშკარაა...

ასეთი სიდინჯე დაწინაურებულმა ევროპამ ჩამორჩენილ აზიიდან მიიღო მემკვიდრეობით. აზიაში ყველაფერი, როგორც ადამიანი ისე მისი აზროვნებისა და შემოქმედების ნამყოფი ჯერ უნდა მოხუცებულ იყო და ისე გამოსულიყო ასპარეზზე. უამისოთ ვერც ერთი მწერალი. ვერც ერთი მოაზროვნე, რელიგიოზური რეფორმატორი იყო იგი თუ პოეტი, ხალხის ყურადღებას ვერ დაიმსახურებდა. დღესაც ზოგი რამ ისეთი, რაც ჩვენთვის წეღარაცხყოფილთ აზის მიჩნეული, აღმოსავლეთში ქებათ ითვლება. ჩვენში თუ ადამიანისთვის წეღარაცხყოფის მიყენება გინდათ, უთხარით: სამოცდა ათი წლის მოხუცს გევხართქო. აღმოსავლეთში ამაზე დიდი ქება შეუძლებელია ახალგაზრდა კაცისთვის. იქ

ასეთი თქმა ქებათ მიაჩნიათ, რადგანაც იქ ღრმა მოხუცებულობა ჭკუისა და სიბრძნის სიმბოლოთ არის მიღებული.

ჩინელი მწერალი ხო-უნი „სულებსა და უკვდავებზე“ [illegible] ტრაკტატში მოგვითხრობს, რომ ლაო-ცზი დედამ ცხრა თვეს კი არ ატარა მუცლით, არამედ 62 წელი (სხვა ვერსიებით კი 72 ან 81 წელი), რომ ის დაიბადა ისეთი თეთრი თმებით, როგორც ჩვეულებრივათ სამოცი წლის მოხუცს აქვს ხოლმე. ამიტომ ხალხმა მას უწოდა ლაო-ცზი, ესე-იგი **მოხუცი ბავშვი.**

დღეს ცხოვრება სინემატოგრაფის ლენტის სისწრაფით იცვლება. დღეს მწერალმა, თუ მას ცხოვრებისთვის ანგარიშის გაწევა უნდა, ასევე ჩქარა უნდა იაზროვნოს, წეროს. და დღეს მწერლებიც ასე იქცევიან. ამის მაგალითები ჩვენშიც შეგვიძლია დავასახელოთ. ჩვენ ვიცით მწერლები, რომელიც ერთხელ დაწერილის არა თუ გადაწერას, გადაკითხვასაც ვერ ასწრებენ, ისე აძლევენ დასაბეჭდათ...

ყოველ დროს თავისი შესაფერი ტემპი აქვს.

ნეტია მაზე ლაპარაკი, რომ აჩრდილის ამ ვარიანტის დაბეჭდვის დროს ჩვენ ვეცადეთ დაგვეცა ავტოგრაფის მხრით წერა; აქ ერთი მძიმეც კი არ ჩაგვიმატებია, არც გამოგვიკლია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა ჩ რ დ ი ლ ი

ტფილისი
60 ვ.



ქართული
ბიბლიოთეკა

ა ჩ რ დ ი ლ ი.

(ივანე პოლტარაცკის და
ილია წინამძღვრისშვილს).

ძ ღ ვ ნ ა.

მიიღეთ, ჩემო მეგობრებო, პირმწო ძე ჩემი,
ახლათ შობილი ნუგეშის და იმედთ მომცემი!
იგი მოგითხრობსთ ჩემსა ტანჯვასა და ჩემსა ფიქრსა,
რა მამის ცრემლი, ზედ ატყვია ლოყებზედ შვილსა.

მიიღეთ ძღვნათა თქვენ მეგობრის ლაღი ტირიფი,
თამამათ მოთქმა მის, რომელიც აშინებს სხვასა;
მიითვისეთ და შეიყვარეთ ჩემი „აჩრდილი“
ეგ მოგაგონებსთ, მეგობრებო, ჩემ გულის წვასა.

ილია ჭავჭავაძე.

„აღსდეგ, უფალო ღმერთო ჩემო!
ალმართე ხელი შენი და ნუ დაივიწყებ გლახაკთა შენთა სრულიად!..
(ფსალ. დავითისი).

რა ვარდმან თვისი ყვავილი გაახმოს
დაამჭკნაროსა
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა
საბალნაროსა.

როუსთაველი.

1.

მზე დაჰყურებდა კაეკაზსს მღვიმარე,
განაბრწყინებდა მას თეთრ თმოსანსა,
და მთა ურყევი, მძლავრი, მყინვარე
ხევდა ჰაერსა ლაჟვარდოსანსა.
ტახტი ნაკვეთი ედგა მთას მთაზედ,
ყინვის გვირგვინი ეფარა თავზედ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფებრ სიმძლავრით, ამაყობითა,
მთელ სიდიადის მშვენიერობითა
ვარსკვლავთა შორის მთა აღზიდული,
იყო უძრავი, გაჩუმებული;
ზვავი მძლავრ მხრებზედ მას შეჰკრებია,
დაცემის წამსვე შეჰყენებია,
თითქო ელისო განწირულ სხვერპლსა,
რომ იგრიალოს, წარმოიქუხოს,
მეხათ დაეცეს, მერეთ ქვესკნელსა
თვითც დაიღუპოს, ისიც დაღუპოს

2.

და უფრო მაღლა ყაზბეგი თეთრათ
აღსულა ზემოთ, გამეფებულა,
და მის თამამი სრბოლა უეცრათ
იქ ძლიერ სიტყვით შეყენებულა.
იქ ვერ ჰბედავენ ღრუბელნიც სრბოლას,
სადაც ყაზბეგი მძლავრი მდუმარებს
ის გრიგლის ბღავილს, ჭარიშხალთ ჭროლას
ქუხილთ და მეხთა ხოლოთ აუფლებს...
მისი ყინვისა დიად გვირგვინი
იქ... შორს... შორს, ზემოთ აღინთებოდა,
ქვეყნის ყაყანი, არწივთ ყრიყინი
მის სიჩუმეს ვერ შეეხებოდა,
იმ მორჭმულს მოხუცს თვით მთიებთ კრება
თითქოო კრძალვით ეალერსება!..
მის განრისხება ქუხილთ შობს სრბოლას,
მის აღმოსუნთქვა—გრიგლისა ქროლას,
მისი ღიმილი—ელვის კლაკვნასა
და მისი ცრემლი—სეტყვასა მძაფრსა.

3.

ყაზბეგზედ ვნახე კაცი მდგომარე,
დიდი, მორჭმული, მოხუცებული,
შვენოდა იგი მთაზედ ელვარე,
უძრავი, უხმო, ჩაფიქრებული.
თეთრ სამოსელი ესხა მას ტანსა,
ღვთიურ სხივებში გაბრწყინვებული,
მის დიდებასა, მის ძლიერ თვალსა
თვით მთა მოჰნებდა განცვიფრებული,
და თვით მზის სხივიც თითქო ძრწოლითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანკალით მის ტანს შეეხებოდა.
ან მის ფეხ-ქვეშა იმავ თრთოლითა
თოვლზედ უვნებლად აღენთებოდა.
თავ-ღია იდგა. მის დიდი შუბლი,
საუკუნებით მთლათ გადახნული,
ჰფარავდა ნიშნებს ღრმასა ჭკვისასა,
ვით მწუხრის ჟამი შუქსა დღისასა;
და თეთრნი თმანი მის ძლიერ მხრებზედ
სქლათ ჩამოყრილნი ბრწყინავდნენ მზეზედ.
უმანკო თოვლი ხოლოთ იმ მთების
მის თმის სითეთრეს თუ შეედარების.

4.

შევყურებდი იმ საკვირველ კაცსა!..
არც ცოცხალს ჰგვანდა და არცა მკვდარსა,
ძალა არ ჰქონდა მასზედ სიკვდილსა
და არც თვით ჰგვანდა სიკვდილის შვილსა!
საიდამა ხარ? რამ მოგავლინა?
ჭ, საკვირველო კაცო, მითხარი!
რათ დაგიგდია შენ შენი ბინა,
და ამ მთაზედა რათა ხარ მდგარი?
კაცი ხარ ჩემებრ, თუ ხოლოთ სული?
ნუ თუ იმ ქვეყნით ხარ ჩამოსული,
სადაც მშვიდობა, ნუგეში ცხოვრობს
ანგელოზთ დასი ღვთაებას ჰგალობს?
ნუ თუ მუნით ხარ წარმოგზავნილი,
რომ ჩემი ხალხი ბედით დასჯილი
გამოაღვიძო ღვთიურის სიტყვით
და შეჰქმნა შვილი მამაპაპივით?
და საქართველოს ჩემს მამულს ტკბილსა
იმედთ ქვეყნიდამ იმედი ჰბერო,
მამათ ამბავი ქართველისა შვილსა
გასამხნეველათ მთიდამ უმღერო?
და მერეთ ისევ იქავ ახვიდე,
სად არს ნუგეში, სად არს სიმშვიდე?

5.

მარჯვენა ხელით ეჩრდილნა თვალნი
ყურადღებითა შორს გაჰყურებდა;
მის გარეშემო შვენოდნენ მთანი,
ძის ფეხთა ქვეშ კი თერგი გაჰყეფდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერგი მრისხანე, თერგი ბღვინვარე
რა აღქაფებულ ზვირთ მაქანებს,
ვით შმაგი ლომი დაჭრილი, მწარე
მორბის, მობღავის, ყვირის, ღრიალებს;
მორბის და მოქუხს; კლდენი და მთანი
თვის ღვიძლსა შვილსა ამაყათ სჭვრეტენ
და მის ბღავილთან მათთ ყრუ ხმანი
ხეობაშია მგზავრს აშინებენ.
იქით, შორს ჩანდნენ მინდვრები, ტყენი
მათ შორის მსხლტომი არაგვიც ჩვენი! .

6.

ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ!..
ქართვლის ცხოვრებას შენ მოწამე ხარ!..
შენს კიდეებზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა გამშვენებული;
ჩემის ქვეყნისა დიდება ძველი
შენ მღვრიე თვალწინ აღყვავებულა;
მიყვარხარ მისთვის, რომე, ქართველი
აქ შენს კიდეზედ დაბადებულა;
შენ ზვირთებ შორის ჩემის ქვეყნისა
გძელი მოთხრობა დამარხულია,
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდეებზედ გადასხმულია.
იქ სადაც შენსა მღვრიესა წყალსა
შეურევ ხმოვან, შფოთიან მტკვარსა
იქ ერთხელ ქართვლის სიცოცხლე დუღდა,
იქ მამულისთვის ქართვლის ხმა ქუხდა!..
შენ ზვირთებს გაჰყვნენ საუკუნენი
და საუკუნეთ—იგი ქართველნი!!!..
გულ-ხელ დაკრეფილ შენსა მღვრიე წყალსა
რამთენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს!
რას ვეძებდი მე? ჩემ ქვეყნის წარსულს,
შენ წინ დაღუპულს ჩემ ძველსა მამულს
და მარტო სისხლი ჩემ თვალს დაღალულს
აძლევდა ხოლმე გულ საკვდავად პასუხს!!!..

7.

მაგრამ არც თერგმა და არც არაგვმა,
არც ტყემ საკუთრათ და არცა მთამა
არ მიიზიდეს მოხუცის თვალი,

შორი მხედველი, ძლიერი მალი,
სრულ საჭართველო მოჩანდა შორსა...
და ის მოხუცი, როგორც სატრფოსა,
თვალითა სჭამდა, თრთოლით უმზერდა
და უფრო, უფრო გული უძგერდა.
საქართველოცა თვის უხვ სიწდიდრით
მთელ მშვენიერობით გარდიშლებოდა
და მას ტრფიალსა ზღვანი ორივ მხრით,
როგორც საყვარელს, გარდახვეოდა;
და იმა ზღვებში მთის მძლავრნი მკლავნი
აქეთ და იქით ჩაშვებულ იყვნენ,
და იგი ზღვანი, როგორცა ფრთანი
ზლაბრულ დევისა, დუმილით იწყვნენ.

8.

უყურებს; გულმა დაუწყო ღელვა,
თვალში ღვთის ცეცხლმა გამოუელვა,
და რაღაც ფიქრით აღტაცებულმა,
ჩანგს ხელი მიჰყო მოხუცებულმა;
და მის ძლიერნი თითნი უერ მკრთალნი
სიმებთა შორის მარდათ იძროდნენ,
ხმა ხმაზედ, თითქო ზენით ნასწავლნი,
ვით ცრემლი ცრემლზედ მომდინარებდნენ.
გარმონიული ხმა მოსაწონი
ისე ციურათ მთათა დაჰპერავდა,
რომ ანგელოზი, იმ ხმის გამგონი,
იმ მოხუცს შურით გარდმოხედავდა.
მთანიცა მაშინ დუმილით იყვნენ,
ღრუბელნიც მაშინ ჯერავათ იწვნენ!..
იმ სასოებით როგორც ლოცვასა
განცვიფრებული ვუსმენდი ჩანგსა
გული ხარბათა იმ ხმებსა სთნქავდა...
მოხუციც მღერით ამას მოსთქვამდა:

9.

„მარად და ყველგან შენთან ვიყავ, ტკბილო ქვეყანა!
დასაბამითვე შენი დამყვა მე სიყვარული!
შენ შვილთა სისხლით ჩემი გული გარდაიბანა,
ამ გულში მეპყრა შენი აწმყო, შენი წარსული.
გამომიცდია, მიცხოვრია შენის ტანჯვითა,
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,

მთელი სიმწარე შენ წარსულ დღის მისვავს თასით,
და შენ აწმყოთი სული, გული დამწყლულებია;
შენ წარსულ დროთა მოგონებით ჩემ დასაწყვეტად
მთელი არსება სისხლის ცრემლით აღმევსებოდა;
მისგან ტანჯულის ჩემ გულისა გოდება წყნარით
იმ ალგვილ დროთა გაუგებრათ მიერთმევოდა;
თუ სადმე შენს შვილს, თვის ულონო მწუხარებაში,
შენს აწმყოზედა მწარე ცრემლი უსხამს, ულვრია,
მეც მისებრ სუსტსა სრულიად ფუჭ განძვინებაში
მეც მის პასუხათ მის უცნობლათ ცრემლნი მიღვრია.
ვიდრე ძე შენი არ დადგება იმ სიმაღლეზედ,
სიდამც მშვიდათ სჭვრეტს კაცი ღვთიურს უცვლელ განგებას
და ღრმა შეხედვით ყოველ ხალხთა მთელ ცხოვრებაზედ
ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადოს ცხოვრების დენას,
იმ დრომდინ იგი დაარწმუნებს წყევლით თვის თავსა,
რომ მომავალი არ ექნება მის ლვიძლსა ხალხსა!..
და ცრემლი მისი ამ მტანჯველის წყეულ წუთისა
იქნება ბოლოთ ცრემლი მისვე სიუძლურისა.“

10.

„ქართვლის ქვეყანავ!... აქა ბუნებას
შეუკრეფნია ყოველი ფერი...
აქაც ალაგი არ აქვს რწმუნებას,
აქაც კი კაცი არს თავის მტერი!
რაც გინდა არის: აგერ დიდ ველნი,
ჯერ აუშლელნი, ხელუხლებელნი,
აგერ მინდორთა აღმოცენება,
აგერ მთებისა ცას ელვარება,
აგერ ტყენიცა აღყვავებულნი
და აგერ წყალნიც გაბრწყინვებულნი!
მაშ, საქართველოვ, რაღათ ხარ ურვით?
რათ ხარ აქამდის მოცული ღრუბლით?
არა ამაოთ ორ ზღვათა შუა,
ევროპიის და აზიის შუა
ცამ დაგინიშნა აღმოცენება!..
შენ გულში ბევრი რამ იფარება
და კაცსა ბოროტს ჯერ ემალება!“..

11.

„ყოველი ფოთოლი შენ გაზდილ ხისა,
ყოველი სხივი მასზედა მზისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი სცოცხლობს, ყოველი სცხოვრებს,
და სძინავთ, სძინავთ მარტოკა კაცებს.
აგერ ის კაცნი აჭა მცხოვრებნი
რა რიგ უძლურათ მიმოიძვრიან,
სხეულსა ზდიან ვითა ცხოველნი,
მაშინ როდესაც მათ სულსა შიან;
აჭა ყოველი თავისთვის სცხოვრობს,
ურთი ერთისთვის არავინ ფიქრობს,
მოყვასი მოყვასს და ძმა ძმასა მტრობს
საკუთარს მამულს როგორც მტერი ჰგმობს.
აქ კაცს სიკეთე რათ უძვირდება
და ან სიცოცხლე რათ უმძიმდება?
კაცი რათა ფშვენს მძიმეთ და ძნელათ
ამ თავის უფალ პუნებაშია
და ღვთიურს ნიჭსა რათ ჰფარავს ბნელათ
ვით ზანტი მონა შავ მიწაშია?
ვაი, რა იქმნა გმირული ძმობა,
მამულისთვისა მტკიცე ერთობა,
მამულისთვისა თრთოლა და ძრწოლა
და მის საწველათ საომრათ სრბოლა?“

12.

„ტფილისიც ვნახე: ყრმასაც და ბერსაც,
ქალსა მახინჯსაც და მშვენიერსაც,
თავადსა, გლეხსა, მთავარს, მმართებელს,
იქაურსა ბრძენს, იქაურს სულელს
მე უხილავი ყურსა უგდებდი,
მაგრამ კი ვფიცავ ქართვლის სახელსა
მათ აზრში აზრსა მე ვერ ვპოვებდი,
რა რიგ დაეცა ეს ხალხი დღესა!..
ერთ მხრივ შეხედავ და იქ ცხოვრება
მართალ ცხოვრებად მოგეჩვენება!
ლხინობენ კიდეც, კიდეც ხარობენ,
ფიქრობენ, გრძნობენ და მოქმედობენ,
ხედავ ფაციფუცს და ყველგან ჟღივილს
უბედურ ცრემლთან ბედნიერ ღიმილს,
მაგრამ მათ ღიმილს და იმათ გრძნობას,
სიხარულს, თუ ფიქრს, თუ მოქმედობას
ფრჩხილის ოდენიც აზრი არა აქვს!
ისე ფუჭია იგი ცხოვრება,
უფერულია და ცარიელი!..

ქართული ბიბლიოთეკა

არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
არც საგანი გამცოცხლებელი!..
ყალბ ბუზმენტსავით ყალბობს იქ გრძნობა,
ძმის მოხვევნაში დაგშხაპავს გმობა,
ვინც გუშინ ძმათ გჩნდა დღეს გახდა მტერი,
რაც გუშინ გწამდა დღეს არის მტერი!
იქ დღე რბის დღესა ვით სრბოლა გუშინ
ერთნაირათ და უფერულათა,
რასაც მამანი ილოცვდნენ უწინ
დღეს შვილთ არ ულირსთ არც ერთ ფლურათა!
გრძნობას ოქროსა ფასათ ჰყიდიან,
მთვრის ლიმილზედ პატიოსნებას!..
და დაჟანგებულ ბორკილზედ სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას!"...

13.

„ბნელო ეშმაკო! აღავსე გესლით
ამ დაღლილ ხალხის სუსტი არსება
და ბოროტების ძლიერ მაჯვენით
უგრძნოთა ჩაგე აქ ბოროტება,
მაცდურის ხელით მაცდური თასი
ცვარძლითა საცსე შენ ამ ხალხს ასვი,
და იმა თასის გრძნეულსა სიტკბოს
სად უძლო კაცმა, რომ აქ გაიძლოს?!
და რა საზარელს ბოროტებასა
მიიც მშვენიერ გარესაცმელი,
ვერ გიცნო ხალხმა და იმავ წამსა
შეიქმნა ბრმათა შენი მლოცველი,
და ის, ვინც გუშინ მწარეთ გწყევლიდა
დღეს თვის დამსხნელათ ხოლოთ შენ გზდიდა!
ბრმათა მოგანდო მან თვისი გული,
გული დაღლილი, მაგრამ ერთგული!..
ბნელზედ გაცვალა ხალხმა ნათელი
და მონებაზედ სასუფეველი...
მას აქეთ წინ გზა დამონებისა
და უკან კვალი უმეცრებისა
ხალხს დაულოცე და დაუნიშნე,
ყოველი აზრი შენ მას მოუკალ
და იმ იმედით დღეს დააძინე,
რომ დაიძინებს იგი კიდევ ხვალ".

14.

„აქ სძინავს მძიმე ძილითა კაცსა,
მას ულონდება სული და გული,
მას აღარ ახსოვს, რომ ქვეყნად ცასა
ღვთათ მოუცია მარტო მამული...
სამღთო, საზეო არის ცხოვრება,
რომელიც მამულს შეეწირება!..
ბედნიერია ვისაც ელირსა
მამულისთვისა თავის დადება!
ნეტა მას ქველსა, ნეტა მას გმირსა!..
ის თავის ხალხში აღარ მოკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს,
და არა ერთხელ ჰაბუკთა ყრმათა
ხლმის ტარზედ ძლიერსა უთრთოლებს კელს;
იმ სიმღერას ოა.ისმენს მხცოვანი
წარსულ დროებზედ გულს დაიღონებს,
გმირის სიკვდილი სახელოვანი
ახლათ ცხოვრებას მას მოანდომებს;
აკვანზედ დედა უმღერებს შვილსა
მწუხარე ხმითა იმ სიმღერასა
და თუ ინატრებს რასმე მისთვისა,
უთუოდ გმირის მის დიდებასა;
და უფრო ხშირათ იმღერს ქალწული
გმირს მოიგონებს, შეებრალება.
ყოველი იმღერს; და სხვა მორჭმული
გმირი იმ მღერით დაიბადება."

15.

„მაგრამ, ეჰ, ველო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძე , რომლისთვისც ვსტირი!
იგი აღარ გყავს; მის მოედანი
ჯავით აღვსილა, გაუმებულა
და შენის ხალხის ფიქრნი, ზრახვანი
მამულისთვისა დაძინებულა.
აგერ ორ კაცსა რაღაც უკრძვნიათ,
გაცოცხლებულან, გაუღვიძნიათ,
ძმათა საშველათ ერთათ მოდიან,
მაგრამ ურთიერთს არ ენდობიან.
ის ორი კაცი წინ წამოსული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას იქმს, როს სული, როს მათი გული
ურთიერთისთვის მკერდში არ იძვრის?
როს იმათ გულსა შური ძნელი სთხრის?
ორ კლდეთ შუა გზა ვიწრო შეკრულა,
კლდიდამ ქვა თუ ხე გადმოქცეულა;
გზის გასახსნელათ კიდეც მივიდნენ,
ვერ შესძლეს, ვერა! ბევრი ეჭიდნენ
მისთვის, რომ ერთი აქეთ ეწევა,
მეორე იქით, არ რა ინძრევა,
წინ და უკლმა დიდხანს ეჭიდნენ
ვერა რა ქნეს რა, უკან დაბრუნდნენ."

16.

„ვხედავ, მიადგნენ საშინელ კლდესა;
წინა შედგა და შთახედა ხევსა,
და, რა იხილა საშინელება,
ისურვა მსწრაფლვე გამობრუნება;
მაგრამ უკანამ შურით კალი ჰკრა,
და წინა კაცი თვალთაგან განჰქრა...
მას ძმის დამლუპველს შემდგარს იმ ქამათ
წამოსწვდა შოროით სხვა კაცი მარდათ,
შურმა აღუნთო ამასაც გული,
და, როგორც ლომი დამშიებული,
თვის ძმას ეცა და ორნივ ერთათ,
მაგრათ ჩაკრულნი, იმ საშინელს ხევს,
შურის გამო, მიეცნენ სხვერპლათ!..
აი რა ბოლო ჰქონდა მას საქმეს!...
წინა კაცობა, რომ ეგრეთ წარხდეს,
საშწუხაროა, საშინელია!
შური, რომ ძმათა საფლავს უთხრიდეს
სავაგლახო და სატირელია!!"..

17.

„აგერ უფალი და მისი მინა
თრთოლით სასწორზედ უწონს ხარჯს ძნელსა,
და რა დასწორდა პინებზედ წონა,
უფალი პინსა ზედ ადგამს ფეხსა
და მით გირვანქას ერთ ათათა ხდის.
მონამ წუხილით გულს განიღიმა,
ცდილობს სისწორეს და თვის ხარჯსა ხდის,
და საწყლის თვალში ცრემლმა იწვიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ქვა არის ბატონის გული,
არ შეჰბრალდება მას მონის წყლული!
განა ბატონის მის შებრალება
ამ გვარ კაცზედა დაიხარჯება?!
მონა საწყალი, მონა გამშრალი
დგას, ევედრება შვებას მის თვალი
და გულში ფიქრობს: „ხვალ ჩემ ცოლშვილსა
„შიმშილი უძღვნის მწარე სიკვდილსა!
„ვაჲ, ჩემი ოფლი მათთვის დაღვრილი,
„ნაყოფი იმა ოფლით გაზდილი,
„დღე და ღამ ჩემი ტანჯვა და შრომა,
„დარში, ავდარში ცის ქვეშე გდომა,
„ვაჲ, ვაგლახი ჰირნახულობა,
„თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა,
„ვაჲ, ცოლ-შვილო! თქვენ არას გარგებს,
„მარტო ბატონის თვალს გაახარებს!..
„ვაჲ, ცოლშვილო! ხვალ რა გექნება?
„ღმერთო! სად არის აჭ სამართალი?
„ვინა შრომობდა და ვინა ტკბება!..
„ვაჲ, ცოლშვილო! უხ! შენი ბრალი!..

18.

„ყმაო! შენში კაცის გრძნობას არ ხედვენ,
დედის ძუძუდამ შვილსა აჰგლეჯენ
და, ვინ უწყს, სად გაჰყიდიან....
შეუბრალებელ ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთესს გრძნობას,
ცოდვათ უთვლიან შვილისა ტრფობას.
თუ ღმერთმან მისცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება,
საბრალო მონავ! ვითომ შენს გულსა
სასიხარულოთ ეგე ექმნება?!
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლათ,
უმანკო სულში ღვარძლს ჩაასხმიან,
გაზდიან ყვავილს ფეხ ქვეშ სათრევლათ.
უმანკო პირზედ შენ სატრფო ქალსა
გარყვნა დაასვავს საზარო დალსა;
მას, რაც გიყვარდა, ნახამ დაცემულს,
ნამუს წართმეულს და შეგინებულს!...
პირს უკუ იქცევ, თვით შეშინდები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლს მოინდომებ და არ გექმნება,
წყევლით, ვაებით გამობრუნდები,
შენ შენი ქალი თვით შეგზარდება...
და მაშინ იტყვი:„ ნეტავი გველათ
„გველის წიწილათ გამჩენოდი მე
„და არ გამხდოდი ქვეყნის სათრევლათ.
„ვაჲ მე, შვილო! ვაჲ, ვაიმე!“

19.

„საბრალო მონავ! მძიმე უღელი
შენ ერთგულ ხართან სწიევი მედგრათ
და დალოცვილი ეგ მარჯვე ხელი
აშრომე: შრომა შენია მხვედრათ.
მხნე იყავ მუდამ, ნუ დაეცემი,
ძნელ ტანჯვებშია გამოიკალე,
მომავალია ნუგეშ მომცემი,
რაც ვერ ჰპოვე დღეს, იპოვი ხვალე.
მოვა დრო, როცა მაგ შენს უფალსა,
შეუბრალებელს ხარბსა, გულქვასა,
ფუჭი, ამაო, თვისი დიდება
ამპარტავნობა დაავიწყდება,
მაშინ გიხილავს უბრალოთ დასჯილს,
სინანულითა გარდგეხვევა ძმას,
შენს მტკიცე გულზედ ცხარე ცრემლ დაღვრის,
და შენც, კეთილო, მიუტევე მას!
მაშინ ეგ შენი წურვა ოფლისა
შენ გეკუთნება და შენ ცოლშვილსა
დღეს მხიარულათ ღამით შინ მოხვალ,
ხვალ ისევ მინდვრათ საშრომოთ გახვალ,
ეგ წყნარე ბმა შენ სიმღერისა,
დაბლათ გუგუნი დაღონებული,
მღერა ვით კვნესა საწყალ მებრისა,
შორი ხმა მწყემსის დაობლებული
მხიარულ ხმებათ გარდაგეცვლების;
და შენ გუთანზედ, გულ მოლბობილი
იტყვი სიმღერას თავისუფლების,
ეგ სიმღერაა ლოცვებზედ ტკბილი!
მინდორნი, ტყენი, ნახნავნი, ველნი
შენ სიხარულით განიხარებენ;
უსულო ქვანი და უგრძნო კლდენი
შენს ტკბილს სიმღერას ხმას გამოსცემენ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

20.

„აგერ ვიღაცა ჰატივ მოყვარე,
მოდის ამაყათ ოქროთ მღვიმარე,
გლახა მშიერი ხელს უწვდის მასსა
და იგი მოყვასს არიდებს თვალსა;
აგერ მსაჯულიც თვის სამართალსა
სწორნაეს და ჰყიდის ვერცხლისა ფასათ,
მდიდრისა სხვერპლათ ხდის ის მართალსა
და ღარიბს ღუპავს მარად და მარად;
აგერ ვაჭარიც მცბიერ ღიმილით
კაცსა ატყუებს, რა ჰყიდის ნივთსა,
და კაცი მოკვდეს თუნდა შიმშილით
უნალელოთ განვლის ცხოვრების ხიდსა;
და აგერ მღვდელნი, ხალხთა მამანი,
რომელთ ღვთისაგან შთაჰბარებიათ
ამა ხალხისა სუ თა აღზდანი,
რა რიგ გულხელი დაუკრებიათ!
სად არის სიტყვა მაღალ სწავლისა
სიყვარულის და სამართალისა,
რომ მათ ბაგიდგან არ მომდინარებს,
რომ ხალხს დაცემულს არ აღამაღლებს,
რომ ბოროტებას, ბიწსა, ცოდვასა
შესაზარელსა არ ასვავს დალსა?
სად არის იგი ჭეშმარიტება,
ის წმინდა ძმობის მაღალი მცნება,
რომელიც ჯვარზედ გაცხულმა მოგვცა,
და მით გვაჩვენა, რა ახლოა ცა?“
და მის ძლიერნი თითნი ფერ მკრთალნი
განრისხებითა ჩანგზედ იძროდნენ
და გაყინულნი მისნი შავ თვალნი
ცხარეს ცრემლითა აივსებოდნენ.

21.

დიდ ხანს უგდებდი ყურსა იმ ჩანგსა,
თრთოლით შევხედე ყაზბეგსა მძლავრსა
და ღვთიურ სხივით გარე მოცული
ქვლავ დავინახე მოხუცებული.
ცისკენ აღელო მას თრთოლით ხელი
და მოედრიკნა მუხლნი ძლიერნი....
თუმე მოხუცი ის ლოცულობდა
და ღმერთსა ესრეთ ევედრებოდა:

ლოცვა აჩრდილისა.

„დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი მხვედრია!
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ საწყალ ხალხსა,
სამლთოთ მიიღე სისხლი, რაიც ამ ხალხს ულერია.
ღმერთო ძლიერო! ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!

„რაც უტანჯნია ამა ხალხსა ტანჯვათ ეყოფა!
მოეცი ძალა დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა.
მამაპაპური ძალა, სული შთაჰბერე შვილსა!

„ძლიერო ღმერთო! შენთვის ბრძოდნენ ქართველთა ძენი!
დასაბამითვე არ იციან რა არს მშვიდობა!...
იმყოფე სამლთოთ მათ პატრონი და სისხლთა ძღვენი
თუ რამ შეგცოდეს, მათ ისყიდეს ტანჯვით შენდობა!

„მოეც ქართველსა ქართველისა მტკიც სიყვარული,
მას განულმერთე, შეაყვარე თვისი მამული!
სახიერო! ცისარტყელა განაელე ცასა,
რალა წარღვნის მოლოდინი დაუფრთხო ხალხსა!*

მსწრაფლ გარდმოეშო ცისა ლაჟვარდსა
შვიდ ფეროვანი სარტყელი ცისა
და მოეფინა ჩემ ქვეყანასა
მახარობელათ ტკბილ იმედისა....
აღმენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,
ერთ ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა,
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ
ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა!....

22.

ამ დროს მოლურჯო ციაგსა ცასა
შავნი ღრუბელნი მიმოიძროდნენ,
მლვიმარესა მზეს ჯერეთ არ მცხრალსა
იგინი მძიმეთ ეპარებოდნენ;
ასტყდა ნიავი და თან და თანა
იგი ქარათა აღიზდებოდა;
სიჩუმეც გაქრა იმ ნიავთანა,
ბუნებაც ნელ ნელ აღელდებოდა.
გარნა მოხუცი ის უშიშრათა
იდგა უძრავათ კვლავ იმა მთაზედ,
ჩანგს მარჯვეთ ჰსცემდა ისევ ძველფრათა,
და თვალს აშტერდა ივერიაზედ.
დიდხანს უყურა, და ერთი კვნესა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულ მოსაკვდავი მოედო მთებსა
და ორი ცრემლი ძირს დაცემული
შობა საშინელ იმ კვნესამა
და თვით ის კვნესა შეწუხებული
დაჰბადა ძველ დროთ მოგონებამა.

23.

და ესრეთ მოსთქვა: „მრავალთ მრავალი,
ველო! შენს თავზედ იყო მავალი,
ქუხილი, ტეხა, ბედისა გმობა,
მაგრამ მათ უწინ ებრძოდა ძმობა.
ველო! გქონია შენც დრო კეთილი!...
თუმცა ფურცელნი ისტორიისა
შენ შვილთა სისხლით არს აღწერილი,
მაგრამ გაქვს ძეგლნი ბევრ კეთილ დღისა.
აქა ფაზისმა ნახა გათქმული
ხომალდი „არლო“ იაზონისა,
აქაც მოსთქვამდა ძველათ ქებული
ჩანგი ორფეის მოსაწონისა...
ველო! ბერძენთა რა წამს გიხილეს,
წინ მხედველ ჰკვითა მაშინვე იგრძნეს,
რომ შენ ბდინარეთ, ცივ ზვირთებშია,
ცამდინ მილწეულ ამაყ მთებშია
საუნჯე ბევრი კაცს ემალება!..
მათ ზღაპრათ გათქვეს შენი დიდება!
და შავ ზღვის პირზედ ქალაქნი წყნარნი
მათ მარჯვე ხელით იყვნენ აღმდგარნი.
აგერ ეხლაც ჩანს „ეას“ ნანგრევი,
დიდების ნაშთსა კვლავ აქვს დიდება!
და ის მშვენიერ ნაქალაქევი
აწ კაცსა ახალს გაუკვირდება;
აგერ იქ მოჩანს „დიოსკურია!“..
ნახე, აწც როგორ მედიდურია
იგი ნაქცევი, რომელიც ძველათ
კოლხიდაშია ყვავოდა ღმერთათ;
აიქ „ბიჭვინდა“ ქალაქი წყნარი
თვის სიმდიდრითა ძველთ აკვირვებდა
და ვითა ქორი ლაღი, წყაზარი
შავ ზღვას ამაყათ გარდაჰყურებდა.“

24.

„ქართველის ქვეყანავ! რა არ გინახავს!
აგერ ვხედავ იმ მოღოჟბლულსა მთას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიდამც ფარნავაზ დალონებული
ჩაბოდიოდა ჩაფიქრებული.
რაზედ ფიქრობდა? თვის მამულზედა
და თვის დაჩაგრულ ობოლ ხალხზედა,
მიენდობოდა რა თვის მშვილდს, მკლავსა
გულში იზდიდა სამღრთოსა აზრსა!..
ქართველისთვის სურდა ბედნიერება!
მამულისთვისა და ხალხისთვისა
სურდა მიეცა თავისუფლება
და აღასრულა მარტო მან ისა.
მას აქეთ, ველო, მრავალ ველურ ხალხს
შენს გმირულს მკერდსა ზედ შეალეწდი,
მამაცურათა რა ხმარობდი ხალხს,
მათ მთების იქით მყის გარდახვეწდი;
შენგან ის ხალხნი დამარცხებულნი,
ვით ზღვა, სხვა ქვეყნებს მოედებოდნენ
და ის ქვეყნები, მათგან ძლეულნი,
შენგან ნალეწ ხალხს ემონებოდნენ."

25.

„ოჰ, საქართველოვ! მახსოვან წამნი,
როს მხიარულათ ჭაბუკნი ყრმანი
შენს ძახილზედა მოგროვდებოდნენ
და მამულისთვის გმირულათ თრთოდნენ.
მამულის დროშა წინ მიუძღოდათ,
გული ბრძოლისთვის მკერდში უხტოდათ!..
და იმ ჭაბუკთა მკერდთა კედელი
იყო მტერთაგან შეულეწელი;
და თუ შელეწდნენ, დაამარცხებდნენ
იმ მამულისთვის შეწირულ ხალხსა,
მაგრამ მაინც კი გაადიდებდნენ
დამარცხებითაც ქართლოსის ხმალსა.
ეხლა რად არს? წარვიდნენ ყრმანი,
მამულისთვისა სასხვერპლოთ მზანი!
და საკვირველნი მათი ქმნულება
ეხლანდელ შენ შვილს არც ესიზმრება."

26.

„სისხლი, სულ სისხლი ჰფარავს და ჰფარავს
შენს წარსულს ჟამსა, შენს ბედის ვარსკვლავს;
თვით მეფენიც კი თვის ცხებულს თავსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვერპლათ აძლევდნენ მშობლიურ ხალხსა!
განა დიმიტრი თავდადებული
იქნება როსმე დავიწყებული?!
და იმ შფოთ ზორის თუ შეგხვდებოდა
წუთნი მშვიდობის და მოსვენების
დალლილი სული მსწრაფლ მაღლდებოდა
შენ დამშვიდებულ ვაჟკაც ზვილების.
ველურ ალაგზედ მაშინ ქალაქნი
თითქო მიწიდგან ამოხდებოდნენ
სადაც ტყე იყო უწინ, იქ ხალხნი
მთელის ცხოვრებით აღელდებოდნენ;
და თლილის ქვისა წმიდა ტაძარნი
ტყეში ან კლდეზედ გამოჰკრთებოდნენ.
იქ წმიდა მამათ წმიდა ლოცვანი
შეწირულ ჭაბუკთ ღმერთს ავედრებდნენ.
ყმაწვილ კაცობა იმ ნათელ წამნი
განზორდებოდა საყვარელს მამულს,
და განათლებულ დიდ ათინაში
ჰეშმარიტებით აინთებდა გულს;
დაბრუნდებოდნენ და თავის ხალხსა
უმსახურებდნენ თავიანთ თაესა,
სთესდნენ სიკეთეს, მშობლიურს ენას
მისცემდნენ სიღრმეს და აღმაფრენას.“

27.

„ვაჲმე, ველო... შენზედ გაზდილს ხალხს
სად წაულია, სად დაუმარხავს
იგი სიკეთე, იგი დიდება,
მხნეობა, ბედი და ძლიერება?..
იყო დრო როცა ჭკუით ნათელი
მეფე დავითი აღმშენებელი
მართალის ხელით მართავდა ხალხსა
და თვის გვირგვინსა სახელოვანსა,
თვის ამაყ შუბლზედ არ შეინძრევდა,
ორ მტრის სამეფოს ვით ხეს არხევდა!..
და მის პორფირის მშვიდსა ჩრდილშია
ხალხი თვის ბედსა და ხვედრს ლოცავდა,
და თავის მეფის მშვიდ ღიმილშია
თვის დამსხნელს ვარსკვლავს დაინახავდა.
მის შემდეგ, მერე იშვა თამარი,
ზედ დაჰყვა რუსთველის უებრო ქნარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველთ თამარი, ქართველთ დიდება,
ქართველთ სახელი, ამპარტავნება!.
მას აქეთ განჰქრენ საუკუნენი
სამეფოებიც ბევრნი დაეცნენ
ბევრ ხალხთ ცხოვრება, ბევრ ხალხთ საქმენი.
ვით მეტეორნი ცაშია, ჩაქრნენ;
გარნა თამარის დიდმა სახელმა
განჰფანტა მტვერი საუკუნების
და აწ ექვსას წლის შემდეგ ქართველმა
იცის სახელი თავის დიდების.
დიდო თამარო! შენი სახელი
იცოცხლებს ვიდრე სცხოვრებს ქართველი,
ეგეა ჯილდო დიდ ცხოვრებისა!
ესეა წესი ამა ქვეყნისა!"...

. . . . . .

28.

„მახსოვს, კომნენნი გადმოგდებულნი
თამარს ხადოდენ თავის იმედათ
და მის დიდებით გაკვირვებულნი
მის კარზედ იდგნენ შვილის სახვეწნათ.
კომნენის ტახტის ბძანა თამარძა
აღდგენა და მის მორჭმულმა ჯარმა
საიმპერიო ტოაპიზონისა
წამოაყენა ძირს დაცემული
და კომნენისა უბედურ შვილსა
მისცა გვირგვინი გამთელებული.
მითხარი, ველო! სად არს ის ხალხი,
რომელთ მთელ ქვეყნის ბედისა ჩარხი
ეგრე მამაცათ დაატრიალეს?
მითხარ, რა იქმნა იგი ხალხი დღეს?
აგერ ჩანს იგი შანქორის ველი,
სადაც ის ომი ის საკვირველი
იმ ძლიერ ხალხსა მოუხდენია
და თვისი ძეგლი აღუდგენია..
მაშინ კავკასით ჩრდილეთის ველზედ
გაიხმაურა ქართვლის სახელმა
და კაზანისა მაგარ კედლებზედ
იოანემა რუსთ კელმწიფემა
თვისი ლაშქარი დასუსტებული
იმ ომის ამბით გააამაცა

და მსწრაფლ კაზანი გამაგრებული
თათრებს ხელიდამ მან გამოსტაცა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

29.

„მას შემდეგ იყვნენ ის ტკბილნი წამნი,
როს მხიარულნი ჰაბუკნი, ყრმანი
საყვარელს თამარს კარს უმშვენიბდნენ
და შენ დიდებით განიხარებდნენ.
და იმ მშვენიერ ჰაბუკთ კრებაში,
იმ თავისუფალ ბედნიერ ხალხში
დიდი რუსთველი ნაზათ დამღერდა
მას, ვისთვისაც ხალხს გული უძგერდა.
იგი აძლევდა რუსთველისა ქნარსა
იმ მშვენიერსა ალმაფრენასა,
რომელიც ეხლა ქართველსა ლკვიარს,
და რომელზედაც ხან ხარობს, ხან სტირის
როგორცა გამჭრალ თვის ვარსკვლავზედა
და მიფარებულ დიდებაზედა.
დიდო რუსთველო! დადუმდა ქნარი
ღონის და ძალის აღმათრთოლარი!
იგი ოდესღაც ტკბილათ გალობდა,
ეხლა აღარ არს, ხალხი დაობლდა!..

30.

„დიდო თამარო! ველურ ხალხშია,
ჩემ წინ გადაშლილ ხეობაშია
პირველ დათესე ქრისტისა მცნება
წმიდა, ღვთიური ჭეშმარიტება;
იქ სადაც ხოლოთ ღრუბელი სრბოდა
ჰფრენდა არწივი, ქურციკი ხტოდა,
იქ სადაცა ძმა ძმასა ებრძოდა,
შენს მეოხებით ლოცვა ისმოდა,
და იმ ლოცვასა ან სიტყვა: „მშვიდობა,
სიყვარული და ერთობა, ძმობა.“
შენს შემდეგ, დიდო, კვლავ ბევრი ხანი
მთებში ისმოდნენ ეგე სიტყვანი!..

31.

„წამხდარა ყველა ის დიდება, ის ძლიერება,
მტვრათ შექმნილა ახოვანი იგი ცხოვრება!...
აწ ის ცხოვრება შვის დენაში შეყენებულა!...
იგი ოდესღაც მოდენილა თვის ფაროთ გზაზედ,

ბევრჯელ უსაგნოთ, ბევრჯელ აზრით აღელებულა,
ქართველის ბექედი ყოველთვის კი სჩნევია მაჯაზედანული
დენილა იგი ტანჯვით შორის და სიამეთა
ხან დაცემულა და გამქრალა, ხან აღდგომილა,
ხან შური, მტრობა და წადილი სთხრიდა კიდეთა,
რომელთაც შორის ის ცხოვრება მძლავრი შობილა;
მაშინ გათხრილნი ის კიდენი მთლათ დარღვეულან,
ძლიერნი ზვირთნი იმ ცხოვრების აღჰაფებულნი
სხვა და სხვა ტოტათ გადმოსულან, გადმოგდებულან
დაუნთქამთ შრომა წინაპართა ოფლით მორწყულნი."

32.

„როსღა ვიხილავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
თვისსა დიდების ნაშთსა ზედა კვლავცა აღმდგარსა,
დროსთან დანთქმულსა სხვა და სხვათა კავშირთა ბრძოლას
ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას!
როს, ეს ტოტები ერთ ცხოვრების, ერთის საგნისა
ეხლა გაყრილნი ერთ მდინარეთ შეერთდებიან!
როს ეს ტოტნი ცათ მიღწეულ მძლავრ კავკასისა
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით აღელდებიან!
თავისუფლების მშვენიერის სხივთ ბზინვარება
როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდხნის ბორკილსა
და ქართველობა საკვეხარათ როდის ექმნება
ქვეყნის წინაშე ყოველ ქართვლის ერთგულსა შვილსა!"

33.

„ნუ თუ ეს ხალხი, რომელთ დაჰბადეს
დავით, დიმიტრი, დიდი თამარი
რუსთველი და მის ძლიერი ჭნარი,
ნუ თუ ეს ხალხი აღარა აღსდგეს!
ნუ შიშობ, ველო! შენს მშვენიერს ხალხს
წარუვლენ წელნი ძილის ჟამისა,
ხალხი აღინთებს კიდევ თვის ვარსკვლავს
სისხლი* მამათა დაიხსნის შვილსა!..
შვილი აღსდგება, შეიკრებს ძალსა
და ბედნიერსა შეიქმს მყობადსა
ეხლა გზა კაცის არს გაკვალული
და უნდა ნდომა და მხნეი გული
რომე მიხვდეს ის ბედნიერ ჟამსა
და შეეყაროს ტკბილს მომავალსა.

* შრომა

წარვლენ ეს წელნი ძილის ჟამისა
და გაბრწყინდება მზე მომავლისა!...
ოჰ, ღმერთო! ამა ხალხთ გალვიძება
დიდ ძილის შემდეგ რა ტკბილ იქმნება!"..
და მის ძლიერნი თითნი ფერ მკრთალნი
სიხარულითა ჩანგზედ იძროდნენ,
იმედით სავსე მისნი შავ თვალნი
რალაც ღიმილით ეელს დაჰყურებდნენ.

34.

ამ დროს ქუხილმა დაიგრიალა,
გრგვინვა დაიწყო იმ ხმამა მთებში
ცაზედ ელვამა გაიპკრიალა
და განანათლა მდინარე ხევში;
ცას გადაედვნენ შავნი ღრუბელნი,
ნისლში შთაცვივდნენ მთანი და კლდენი,
ქარმა დაჰლმუვა სასტიკათ მთებსა,
ბუქი სვეტსავით აატრიალა,
რისხვითა ჰგლეჯდა საშინელ კლდესა,
ზვავმაც მთებიდამ დაიგრიალა.
მარამ იმ მთების ვაგლახებშია
კვლავ მოვისმენდი გრძნეულ სიტყვათა
(ჩემი სიცოცხლე იმ სიტყვებშია
ისინი ჩემს გულს აქვს იმედათა):
„წარვლენ ეს წელნი ძილის ჟამისა
„და გაბრწყინდება მზე მომავლისა!
„ოჰ! ღმერთო! ამა ხალხთ გალვიძება
„დიდ ძილის შემდეგ რა ტკბილ იქმნება!"
ამ სიტყვებს დაბლა კლდენი და მთანი,
მალლა ქუხილნი, ცაში მგრგვინავნი,
ჩემთან, ჰე, ძმანო, იმეორებდნენ
თითქო ჩემსავით თვითონც ხარობდნენ.
მცირეს ხანს შემდეგ გამოჰკრთა ელვა,
უფრო დაიწყო ბუნებამ ღელვა,
მეხიც დაეცა ახლო მთებშია,
მოხუციც გაქრა მსწრაფლ ღრუბლებშია:

——

დასასრული

ქართველ ხალხი (დამატება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჰა გათავდა!... ქართველნო მიცნობთ
ამ ლექსში მწუხარს და მტირალს ქართველს
შორით, რუსეთით ძმა ძმებს მოგითხრობთ
მას, რაც არ უშრობს ნამდვილს შვილსა ცრემლს.
ჩვენი მშობელი ტკბილი მამული
ცხადათ წინ მედგა ბედით მოკლული,
და ბნელ ღამეში ჩვენს დამხსნელს ვარსკვლავს
ჩვენს მამულზედა ვხედავდი შემდგარს.
გულში ვფარავდი რა ტკბილსა იმედს,
მის ალსრულებას ვაეედრებდი ღმერთს;
მე შევსტიროდი ჩემ ქვეყნის ბედსა
და მშიშარს კალამს ვანდობდი ცრემლსა.
თუ ჩემს ცრემლს ეხლა ფურცლებზედ შემშრალს
თქვენი ცრემლიცა მოემატება,
მაშინ, ვფიცავ იმ ჩვენს დამსხნელს ვარსკვლავს;
იგი, რაც გვინდა, აღგვისრულდება!...

უპტონ სინკლერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფე ნახშირი

რომანი

წიგნი მესამე

მეფე ნახშირის ვასსალები

გაგრძელება*)

§ 1

ხოლმა გადასწყვიტა გამგზავრებულიყო რაც შეიძლება მალე უესტერნ-სიტიში იქაური რედაქტორების მოსანახად. მაგრამ ამისათვის მას უწინარეს ყოვლისა გზის ფული ესაჭიროებოდა; ყველაზე უკეთესი იქნებოდა ჯონ ედსტრომისთვის მიემართნა. ის გამოვიდა მატარებლიდან, მონახა მეკუბოე, რომელმაც ედსტრომის ცოლი დამარხა, და მან უთხრა მას, რომ მოხუცი, შვედი იქვე ახლოს სცხოვრობს ერთი მუშის სახლში. პიტ ხენემი სულ უკან დაჰყვებოდა ხოლს.

ედსტრომმა მიაყარა კითხვები: „ვინ დაიღუპა? როგორ იყო საქმე იქ, ზემოთ?“ ხოლმა უამბო მოკლედ ყველაფერი, რაც მოხდა. როდესაც მან ჩამოაგდო სიტყვა ფულის საჭიროებაზე, ედსტრომმა უპასუხა, რომ მას აქვს ცოტაოდენი თანხა და სიამოვნებით უზიარებს ხოლს, მხოლოდ ძნელად რომ ეყოს ბილეთს უესტერნ-სიტიმდე.

ხოლმა ჰკითხა 25 დოლარის შესახებ, რომელიც მას მერი ბარკმა გამოუგზავნა დაზღვეული წერილით; მოხუცმა არაფერი არ იცოდა იმის შესახებ და არც კი ყოფილა ფოსტაში. „წავიდეთ ფოსტაში“—უთხრა ხოლმა; მაგრამ, როდესაც ისინი კიბეზე ჩამოდიოდენ მათ კიდევ ერთი დაბრკოლება გაახსენდათ: გარედ იდგა პიტ ხენემი, რომელსაც ალბად გაგებული ჰქონდა ჯეფ კოტონისაგან ფულების ამბავი; შესაძლებელია ის დაიჭერდა ედსტრომს და ჩამოართმევდა ფულებს.

— მე მინდა ცოტა რამ გირჩიოთ,—უთხრა მოხუცმა,—შეიარეთ ჩემს მე-

*) იხ. ჟურნალი მნათობი № 2 (22).

მეგობარ ედ მაკ კელერთან. შეიძლება მან გვირჩიოს რამე, შეიძლება გვითხრას კიდეც, თუ რა უნდა ვქნათ, რომ მალარო გააღონ.

ედსტრომმა უამბო, რომ მაკ კელერი, მოხუცი შოტლანდიელი, წინად მალაროს მუშა იყო, მაგრამ ეხლა ის ინვალიდია და რაღაც პატარა ხანმაძღებობა უჭირავს პედროში. ის გაუტეხელი მოწინააღმდეგე იყო რალფ რეიმონდის მახინაციებისა, და ერთხელ მტრებმა კინაღამ მოჰკლეს იგი.

ის ახლოს სცხოვრობს და მასთან მოლაპარაკება სულ მოკლე ხანში შეიძლება.

— კარგი—სთქვა ხოლმა, და ისინი მაშინავე გაუდგენ გზას. პიტ ხენემი მიჰყვებოდა მათ უკან თორმეტიოდე ნაბიჯზე, მაგრამ მაინც მისცათ პატარა ქოხამდე დაუბრკოლებლად მისვლის საშუალება. ვიღაც ქალმა გაუღოთ კარი და შეიყვანა ისინი სასადილო ოთახში, სადაც მათ ნახეს მაკ კელერი, გათეთრებული მოხუცი, სრულიად დასახიჩრებული რევმატიზმებისაგან, ის ძლივს მოძრაობდა ჯოხების საშუალებით.

ხოლმა უამბო რაც ხათაბალა გადახდა მას თავზე. ვინაიდან შოტლანდელი ალაროებზე იყო აღზრდილი, ამიტომ მისთვის მომხდარი ამბების დეტალების ახსნა საჭირო არ იყო. როდესაც ხოლი შეეხო თავის გეგმას—გაზეთების გამოყენებას—მოხუცმა საჩქაროდ უთხრა: მაშინ თქვენ არ დაგჭირდებათ ამისათვის უესტერნ-სიტიში გაწვალება. აქ არის სწორედ ისეთი კაცი, რომელიც უეჭველად მაიღებს ამ საქმეში მონაწილეობას, კიტინგი, „გაზეთის" თანამშრომელი.

— „დასავლეთის გაზეთის"?—წამოიძახა ხოლმა. მან იცოდა ეს გაზეთი—ეს იყო სალამოს ფურცელი, რომელიც ღირს ერთი ცენტი და ძალიან გავრცელებული იყო მუშებში; განათლებული ხალხი მას ჩვეულებრივ „ყვითელ გაზეთს" უწოდებდა:

— ვიცი,—სთქვა მაკ კელერმა, რომელიც მიბვდა ხოლის ტონს,—მაგრამ მაინც ეს ერთადერთი გაზეთია, რომელიც თქვენს ამბებს გამოაქვეყნებს.

— სად არი ეგ კიტინგი?

— ის იქ იყო, მალაროებზე, კარგი იქნებოდა, რომ იქვე შეხვედროდით.

— ეგებ ეხლა შეიძლებოდეს მასთან მოლაპარაკება?

— შესაძლებელია ის პედროში იყოს უკვე. იკითხეთ ოტელ „ამერიკენში".

ხოლი მივიდა ტელეფონთან; ერთი წუთის შემდეგ მან გაიგონა ცოცხალი და მხიარული ხმა თავისი მომავალი მეგობრისა და თანაშემწის ბილლი კიტინნის. არ გასულა რამდენიმე წუთი და ამ ხმის პატრონიც გაჩნდა მაკ კელერთან შუბლზე და პატარა მელოტზე ოფლის წვეთებით. ის მრგვალსახიანი იყო სავსე მთვარესავით და მხიარული, როგორც ფალსტაფი; ახლო გაცნობის შემდეგ შეიძლებოდა დარწმუნებულიყო მასში რომ ის ერთგული იყო, როგორც ნიუ-ფაუნდლენდი.

მიუხედავად თავისი გარეგნობისა, კიტინგი ნამდვილი ჟურნალისტი იყო, ის მთელი თავისი სულით და გულით მისცემოდა ამ საქმეს.

როგორც კი გაიცნო მან ხოლი, მაშინვე დაუწყო გამოკითხვა, და ხოლმა მალე გაიგო, რომ მასში მან შესაფერი ადამიანი მონახა. კიტინგმა მშვენივრად

იცოდა თუ რა კითხვები უნდა მიეცა, რამდენიმე წუთში მისთვის ყველაფერი ნათელი შეიქნა:—დასწყევლოს ღმერთმა, წამოიძახა მან.—ჩემი უცანასკნელი გამოშვება მან დახედა საათს და ეცა ტელეფონს—„ქალაქთაშორისო—მომეცით „დასავლეთის გაზეთის" რედაქტორი! შეუერთეთ მალე, ამასწინად მთელი ნახევარი საათი ველოდე!

მან ხელახლა მიმართა ხოლს, აძლევდა ახალ კითხვებს და ინიშნავდა წიგნაკში. მან ჩაიწერა ხოლის ჩვენება იმის შესახებ, რომ არ იყო მოყრილი მაღაროში აგური, არ იყო საითადარიგო ამოსასვლელების საქმაო რიცხვი, რომ ვენტილიაციის მოწესრიგებაზე უარი იყო ნათქვამი, რომ დაფარული იყო მაღაროში დაღუპული მუშების ხამდვილი რიცხვი.

— ჰო, მე ვიცოდი, რომ იქ, ზემოთ, რაღაც არ იყო ყველაფერი თავის რიგზე, მაგრამ ვერაფერი ვერ გავიგე დანამდვილებით. სულ ვიღაც კაცი დამყვებოდა უკან. თქვენ იცით ის ტიპი, მისი გვარი პრედოვიჩია?

— ჰო, უპასუხა ხოლმა, ის არის ქარხნის დუქნის გამგე: ერთხელ როგორღაც ის სჩხრეკდა ჩემს ჯიბეებს.

კიტინგი ხიხლით შეიჭმუხვნა:

— აი სწორედ ის იყო ჩემი დარაჯი. აბა როგორ უნდა მელაპარაკნა მაღაროს მუშებთან, როდესაც ეს შპიკი სულ უკან დამდევდა? მე უთხარი უფროსს ზედამხედველს—„არა მჭირდება მე დარაჯები მეთქი". ხოლო მან საზიზღრად გაიღიმა და მიპასუხა: „ჩვენ არ გვინდა, რომ თქვენ რაიმე შეგემთხვეთ, მისტერ კიტინგ".

— სხვა რეპორტიორების სიცოცხლეზე თქვენ ვგონებ ნაკლებად ზრუნავთ შევნიშნე მე.

— ჰო, მაგრამ „გაზეთმა" ბევრი მტრები გაიჩინა, ეს თქვენ კარგად მოგეხსენებათ!

— გაანებეთ თავი ჩემს გასულელებას, მისტერ კარტ-რაიტ. თქვენ ალბად გინდათ, რომ მე მუდამ თვალი მადევნონ?

— შეგიძლიათ ეგრეც გაიგოთ, თუ თქვენ ამით „გაზეთის" მკითხველებს ასიამოვნებთ.

— რა სიგლახე მოგვივიდა, რომ ჩვენ ვერ შეგხვდით, სთქვა ხოლმა—ან თქვენ რომ ვერ წააწყდით, საკონტროლო ჯგუფის რომელიმე წევრს.

— ა, მაშ თქვენ გცოდნიათ ეს საქმე!—წამოიძახა რეპორტიორმა.—მე მოვკარი ყური მაგ ამბავს და სწორედ ამიტომ ვარ დღეს აქ. მე მითხრეს, რომ პედრო'ში იმყოფება ერთი კაცი, სახელად ედსტრომი, რომელიც ამის გამო საჭუშაოდან იქნა დათხოვილი: ის კაცი, რომ მომიძებნინა ბევრ რაშეს გავიგებდი.

ხოლმა და მაკ კელერმა შეხედეს მოხუცს შვედს, და სამივემ გაიცინეს.

— აი ის კაცი,—შენიშნა მაკ კელერმა.

— აი სასწორის კონტროლიორიც,—დაუმატა ედსტრომმა და მიუთითა ხოლზე.

როგორც კი წააწყდა რეპორტიორი აბ კვალს, მან მიაყარა და მიაყარა

მათ კითხვები. სასწორის კონტროლიორის ამბავი ხვალ „გაგრძელებისავით“ იქნება. და ამგვარად ნორტ-ვალის საქმე არ მიყრუვდება. გარდა ამისა, ეს მჭიდროდ დაკავშირებული იყო კატასტროფასთან, ეს იმის დასაწყისი საბუთი იყო, თუ, საშიშროების წინააღმდეგ ზრუნვის მაგიერ, რას უკეთებდნენ ნორტ-ვალის ვაჟბატონები.

— მე ამას დღეს საღამოსავე დავწერ და მაშინავე გადავგზავნი—სთქვა კატინგმა და შემდეგ ღიმილით დაუმატა: — აი უპირატესობა, როდესაც აწვდი ისეთ ცნობებს, რომლის გამოკიდება სხვა გაზეთებს არა სურს: არ გეშინია, რომ სენსაცია სხვამ არავინ გამოგტაცოს ხელიდან!

§ 2

კიტინგი ისევ მივიდა ტელეფონთან, თან ბუზღუნით სჩიოდა ცუდ ქალაქთაშორისო კავშირზე, თავის „უკანასკნელ გამოშვებაზე“ და იმავე დროს ხოლსაც აძლევდა კითხვებს.

მალე მისთვის ცნობილი გახდა მთელი ის დავიდარაბა, რომელიც ყმაწვილ კაცს თავზე გადახდა საზოგადოებრივი როლის შესრულების ცდისათვის: ის მიაწვა სავარძელის ზურგსა და ხარხარებდა მანამდე, ვიდრე, როგორც ამბობენ საბავშვო წიგნაკებში, არ ათრთოლდა ბოლოს ჟელესავით თეფშზე.

— გრეხემი! — წამოიძახა მან, — თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მაკ კელერ! ამ ამბავით ეს კაცი მიდის გრეხემთან!

შოტლანდიელსაც ძალიან სასაცილოდ მიაჩნდა ეს ამბავი; ორივემ აუხსნეს ხოლს, რომ გრეხემი პოლიტიკური რეპორტიორი იყო „არწივის“ („Eagle“), ადგილობრივი გაზეთის, რომელიც შერიფების მეფეს ეკუთვნოდა. მას შეიძლება ეწოდოს რალფ რეიმონდის საგაზეთო ტურა, არავითარ საქმეს არა სთვლიდა იგი ბინძურად თავისთვის.

— მაგრამ ის მე გამეცნო, როგორც „დასავლეთის პრესის“ ასოციაციის კორესპონდენტი,—სთქვა ხოლმა.

— ეგ აგრეც არის,—უპასუხა ბილლიმ.

— და მერე პრესის ასოციაციამ ჯაშუში მისცა საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიას?

რეპორტიორმა მშრალად უპასუხა:

—როდესაც თქვენ უკეთ გაეცნობით საქმეს, მაშინ თქვენთვის ნათელი გახდება, რომ პრესის ასოციაცია ერთს მოითხოვს თავის რეპორტიორებისაგან: კეთილ საკუთრების პატივისცემას. ეს თვისება თუ მას ძვალ-რბილში გაუჯდება, მაშინ ის მოახერხებს ყოველივე ცნობის იმგვარად გადაცემას, როგორც ეს სასურველია მათთვის.

კიტინგი მიუბრუნდა შოტლანდიელს:

— საწერი მანქანა ხომ არ გექნებათ სახლში, მისტერ მაკ კელერ?

— ძველი, და ისეთივე კოჭლი, როგორც მე.

— არაფერია, როგორმე გამოვიყენებ. მე სიამოვნებით წავიყვანდი ჩემ-

თან ამ ყმაწვილ კაცს, მაგრამ ის რაც შეიძლება იშვიათად უნდა გამოჩნდეს ქუჩაში.

— თქვენ მართალი ხართ. მაგრამ ნება მომეცით გეთხოვოთ, რომ მანქანა ქვედა სართულში ჩაიტანოთ, სადაც ფანჯრიდან სროლის შესაძლებლობა...

ღმერთო ჩემო! —გააწყვეტინა ხოლმა, —როგორ, ჩვენ ამერიკაში ვცხოვრობთ თუ საშუალო საუკუნეების იტალიაში?

— ჩვენ ვიმყოფებით რეიმონდის სამეფოში, —უპასუხა მაკ კელერმა.

— ჩემი მეგობარი ტომ ბურტონი თავისი სახლის ზღურბლთან მოჰკლეს. ის უსასტიკესი მტერი იყო მათი მახინაციების. მას ჰქონდა საარჩევნო სიების მიცემის დროს ჩადენილი თაღლითობის დასამტკიცებელი საბუთები, რომლებსაც ის სასამართლოში უპირებდა წარდგენას.

ვიდრე კიტინგი ქალაქთაშორისო ტელეფონთან ილანძღებოდა, მოხუცი შოტლანდიელი ცდილობდა აეხსნა ხოლისათვის, თუ რა საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი. აგერ ამას წინად მუშათა კავშირის ერთ ორგანიზატორს დღისით დაესხენ თავზე და იქამდე სცემეს, ვიდრე გული არ შეუღონდა.

მაკ კელერი დაესწრო სასამართლოს პროცესს, რომელმაც ორივე დაქირავებული მკვლელი გაამართლა—ნაფიც მსაჯულთა თავმჯდომარედ სამიკიტნოს პატრონი იყო, რეიმონდის მომხრე, სხვათა ნაფიცი მსაჯულები მეწისქვილეები იყვნენ, რომლებსაც ერთი სიტყვაც კი არ გაეგებოდათ სასამართლოს პროცესში.

— სწორედ მაგგვარ სასამართლოს მპირდებოდა მეც ჯეფ კოტონი, —სთქვა ხოლმა ოდნავ გაღიმებით.

— ჰო, —შენიშნა შოტლანდიელმა, —ამის შესახებ სწორე წარმოდგენა უნდა იქონიოთ; თუ მოინდომეს თქვენი მოშორება, მოგიშორებენ კიდევაც. მთელი აპარატი მათ ხელში იმყოფება. მე ეს მშვენივრად ვიცი, მე მათთან მოხელის თანამდებობა მეჭირა, სანამ არ მიხვდენ, რომ საიმათო კაცი არ ვიყავი.

შემდეგ მოხუცმა შოტლანდიელმა უამბო, თუ როგორ ცდილობდა იგი, როდესაც ის მომრიგებელი მოსამართლე იყო, რომ არავითარი უწესოება არ დაეშვა, რომ პოლისმენებს ჭრთამები არ აეღოთ ქალებისაგან, მაგრამ ის იძულებული შეიქნა დაეტოვებია სასამართლო: მტრებმა აუტანელ ტანჯვად აქციეს მისი სიცოცხლე. ამას წინად ის იყო პროგრესიული პარტიის კანდიდატად საოლქო სასამართლო პოსტზე, მან უამბო ხოლს, თუ რამდენს ეცადა იგი, რომ ნახშირის რაიონებში საარჩევნო კამპანია ჩაეტარებია—მის ცირკულიარებს კონფისკაცია უყვეს, განცხადებები ჩამოგლიჯეს, მიმდევრებს მისას სდევნიდენ. ზოგიერთ რაიონებში ბინები კრებებისათვის კომპანიას ეკუთვნოდა. ზოგი—სამიკიტნოების პატრონებს, რომელთა კრედიტი რალფ რეიმონდზე იყო დამოკიდებული. ხოლო იმ მცირე ადგილებში, სადაც ბინის დაჭერა შესაძლებელი იყო, კომპანიამ გასართობები მოაწყო, მუსიკა და უფასოდ ლუდიც კი გაიღო, ოღონ ხალხის ყურადღება მაკ კელერისათვის ჩამოეშორებია.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ბიღლი კიტინგი იგინებოდა და ბუზღუნებდა ტელეფონთან. ბოლოს ის შეაერთეს, და ყველა გაჩუმდა. „ალლო! ეს თქვენა

ხართ. პრინგლ? მე კიტინგი ვარ. სერიოზული საქმეა ნორტ-ვალის კატასტროფის შესახებ. უკანასკნელი გამოშვება უკვე მანქანაშია? დაიძახეთ ჯიმს. ალლო, ჯიმ! ბლოკ-ნოტი თანა გაქვთ?“ აიბილლმა, რომელიც ალბად [illegible] ელაპარაკებოდა, დაუწყო ხოლის ამბავის მოთხრობა. ხანდახან ის უსწორებდა ან თითო ასოობით უკარნახებდა რომელიმე სიტყვას, იმ დროს, როდესაც ხოლს შესწორებები შეჰქონდა ზოგიერთ დეტალებში. რაღაც ხუთმეტიოდე წუთში ყველაფერი მზად იყო. კიტინგმა მიმართა ხოლს:

მაშ ასე, ჩემო ძვირფასო, ერთი საათის შემდეგ თქვენს ნაამბობს უესტერინსიტის ეუჩებზე დაუწყებენ გაყიდვას, ის აქაც ცნობილი გახდება, როგორც კი გადმოსცემენ ტელეფონით. თუ გინდათ გაუფრთხილდეთ თქვენს ტყავს, დაიჯერეთ ჩემი რჩევა—თქვენი ჰაჰანიც კი აღარ უნდა იყოს პედროში, როდესაც ყოველივე ეს მოხდება.

§ 3

ხოლის პასუხს არაფერი არ ჰქონდა საერთო კიტინგის უკანასკნელ შენიშვნასთან. ტელეფონთან მან ერთხელ კიდევ განიცადა ნორტ-ვალის კატასტროფა, ის თავის თავზე კი არა, მალაოოში დამარხულ იმ ას შვიდი მუშისა და მოზარდის შესახებ ფიქრობდა.

— მისტერ კიტინგ—ჰკითხა ხოლმა: —„გაზეთი“ უთუოდ გამოაქვეყნებს ამ ისტორიას?

— ღმერთო დიდებულო! აბა მე რისთვისა ვარ აქ?

— მაგრამ ხომ, იცით, მე ერთხელ უკვე მოგატყუეს.

— ჰო, მაგრამ მაშინ თქვენ მტრულ ბანაკში მოხვდით. ჩვენ კი ლატაკთა ორგანო ვართ, ჩვენ ასეთი ცნობებით ვცხოვრობთ.

— არც „შერბილებული“ იქნება რამე?

— რა თქმა უნდა, არა.

— მერმე პიტერ ხარიგანი არ მიაკეტავს მას?

— პიტერ ხარიგანი მაგგვარ ცდებს აღარ აკეთებს „გაზეთზე“.

— კარგი,—სთქვა ხოლმა,—ეხლა ეს მითხარით, იქონიებს ეს რაიმე გავლენას თუ არა?.

— რა მხრით?

— მე მინდა ვსთქვა, იძულებული იქნებიან ამის შემდეგ გააღონ მაღარო თუ არა?

კიტინგი ჩაფიქრდა ერთი წუთით:

— ვშიშობ, რომ ამ მხრივ გაზეთს ძალიან მცირე დახმარების გაწევა შეუძლია.

ხოლმა გაოცებით შეხედა მას; იმას უეჭველად ეგონა, რომ ფაქტების გამომჟღავნება აიძულებდა კომპანიას მაღაროს ასე თუ ისე გაღებას. მაგრამ კიტინგმა აუხსნა, რომ „გაზეთს“ განსაკუთრებით მუშები კითხულობენ და ამიტომ მას არა აქვს დიდი გავლენა. ჩვენ საღამოს გაზეთი ვართ—შენიშნა მან—მას

შემდეგ რაც მთელი დილის განმავლობაში სიცრუეს იკითხავენ, არც თუ ისე ადვილია საღამოხე მათთვის სიმართლის მიწოდება.

— ნუ თუ ეს ცნობა გადაბეჭდილი არ იქნება სხვა გაზეთების მიერ და არ გავრცელდება მთელს ჩვენს ქვეყანაში?

— კი, ჩვენ გვაქვს რამოდენიმედ კავშირი პრესასთან, მაგრამ ეს სულ ღარიბ-ღატაკთა პრესა არის. თუ მოხდება განსაკუთრებული ძლიერი რამ და ჩვენ ჩავაჯინდებით მას ყოველ დღე, მაშინ ვახერხებთ ერთგვარი შთაბეჭდილების მოხდენას; ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვაღწევთ იმას, რომ ასეთ წერილებს გადაბეჭდავს ხოლმე უესტერნის პრესის ასოციაცია. მაგრამ თუ საქმე ისეთ „წვრილმან“ რამეს შეეხება, როგორიც არის, მაგალითად, ასეული მუშის დაღუპვა, მაშინ ჩვენ შეგვიძლიან უკეთეს შემთხვევაში, საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიას ცოტათი მაინც გაუმწაროთ სიცოცხლე.

ამგვარად ხოლი ისევ ის მოექცა, საიდანაც დაიწყო.

— მაშინ სხვა გეგმა უნდა გამოინახოს!

— მე, მართალი გითხრათ, კარგათ არა მაქვს წარმოდგენილი, რა შეგიძლიათ თქვენ რომ გააკეთოთ?—შეეკითხა კიტინგი.

ჩამოვარდა მცირეოდენი სიჩუმე; ახალგაზდა მაღაროს მუშა ღრმა ფიქრში წავიდა.

— ვფიქრობ უესტერნ-სიტში წავიდე და მივმართო იქაურ რედაქტორებს,—სთქვა მან ბოლოს მცირედი მოკრძალებით.

— თქვენ თამამად შეგიძლიათ არ გასწიოთ ამისათვის გზის ხარჯი: ისინი არავითარ ყურადღებას არ მიაქცევენ თქვენ საქმეს.

— გუბერნატორს რომ მივმართო?

— ჯერ ერთი, რომ თქვენ ის არ მიგიღებთ, ხოლო თუნდ კიდეც მიგიღოთ, ის ვერაფერს ვერ გააკეთებს. არსებითად ის ხომ გუბერნატორი კი არა, მარიონეტია და ინძრევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხარიგანი თოკს გამოჰკრავს ხელს.

— რა თქმა უნდა მე ვიცოდი, რომ ის მობუცი პიტერის კრეატურა არის,—სთქვა ხოლმა,—მაგრამ აბა სხვა რა უნდა ვქნა?

რეპორტიორის სახეზე თანაგრძნობის ღიმილი გამოჩნდა.

— გეტყობათ, რომ თქვენ პირველად განიცდით ასეთ რამეს.—შემდეგ მან დაუმატა: თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ, როდესაც მეტი გამოცდილება გეცნებათ, თქვენ ამ პრობლემების გადაწყვეტას უფრო ხნიერ ხალხს მიანდობთ.

ხოლს არ შეუმჩნევია ირონია რეპორტიორის ტონში; რა ხშირად სმენია მას ეს სიტყვები თავისი ძმისაგან! გარდა ამისა ის ეს-ეს არის ეხლა მოვიდა იქიდან, სადაც ადგილი ჰქონდა ყველა ამ საშინელებებს.

განა თქვენ არ გესმით, მისტერ კიტინგ, რომ მე არ შემიძლია დამშვიდებული დავრჩე იმ დროს, როდესაც ეს ხალხი იღუპება?

— არ ვიცი, შეგიძლიათ თუ არა დამშვიდებული იყოთ; მაგრამ ყოველ შემთხვევაში თქვენი აღელვება ბევრ სარგებლობას ვერ მოიტანს.

ხოლმა მიმართა ედსტრომს და მაკ კელერს:

— თუ შეიძლება, მცირეოდენი ყურადღება!—მისი ხმა ვედრებით აბგერდა, თითქოს ის ფიქრობდა, რომ იმათ არა **ხურთ** დახმარება გაუწიონ მას.—ჩვენ უთუოდ უნდა მოვიგონოთ რამე! **უნდა** მოვიგონოთ! ეს ჩეხოვის ახალი თამაშია, როგორც მისტერ კიტინგი ამბობს, მაგრამ თქვენთვის ხომ ცნობილია ეს უკვე. მოიფიქრეთ კარგად, დამეხმარეთ, რომ რაიმე გეგმა მოვიგონო.

ჩამოვარდა ღრმა სიჩუმე.

— ღმერთმა იცის,—სთქვა ბოლოს ედსტრომმა,—მე გირჩევდით რამეს, რომ ვიცოდე თუ რა გირჩიოთ!

— მეც,—შენიშნა მაკ კელერმა;—ჩემო საყვარელო, თქვენ ქვის კედელზე ხართ მიმდგარი, ადგილობრივი ხელისუფლება უბრალო განყოფილება არის საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის.

— მომითმინეთ,—სთქვა ხოლმა,—ნამდვილი მთავრობა რომ გვყავდეს, რა ზომებს მივმართავდით ჩვენ მაშინ? ასეთი წემთხვევის განხილვა საოლქო პროკურორს ევალება, არა?

— უეჭველად,—უპასუხა მაკ კელერმა.

— თქვენ უკვე მოიხსენიეთ ერთხელ ეს კაცი; ის ემუქრებოდა ზედამხედველებს სასამართლოთი ბოროტმოქმედების ჩადენის გამო საარჩევნო სიების შედგენის დროს?

— როდესაც ის კანდიდატი იყო,—მოუჭრა მაკ კელერმა.

— მაგონდება. ჯეფ კოტონი მეუბნებოდა, რომ ის სიტყვით მუშების მხარეზე იმყოფება, საქმით კი კომპანიისაკენ ეწევა.

— სწორედ ეგრეც არის,—მშრალად უთხრა მან.

— ხომ არ მივმართო ისევ იმას? შეიძლება მას კიდევ შერჩენია გული.

— გული მას სრულებით არ სჭირდება,—შენიშნა მაკ კელერმა,—თუ ესაჭიროება—ისევ ხერხემალი.

— მე მაინც წავიდოდი მასთან, არ ისურვებს არაფრის გაკეთებას—ჩაიწეროთ ასე, თქვენთვის კი ეს ახალი თემა იქნება, კიტინგ.

— მართალია,—დაემოწმა რეპორტიორი.—მაგრამ რა უნდა მოსთხოვოთ თქვენ მას?

— გადასცეს ეს საქმე სასამართლოს, მისცეს სამართალში ნორტ-ვალის ზედამხედველები.

— ეს დიდ დროს მოითხოვს და ვერ გადაარჩენთ ხალხს მალარიაში.

მარტო მუქარა იკმარებს მათ გადასარჩენად.

— არა მგონია,—ჩაურთო მაკ კელერმა,— რომ დიკ პარკერსის მუქარამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინოს. ამ ვაჭბატონებმა იციან როგორ ჩააჩუმონ იგი.

—ნუ თუ სხვა არაფერია? სასამართლო ძალაუფლება?

— რომელი სასამართლო ძალაუფლება?

— არ ვიცი, ეს მე თქვენ უნდა ამიხსნათ.

— კარგი,—უთხრა შოტლანდიელმა—დავიწყოთ ქვემოდან: მომრიგებელი მოსამართლე.

— ვინ არის ეგ?

— ჯიმ ენდერსონი, ბეითალი, სცხოვრობს, როგორც ყოველი მოსამართლე, წვრილმანი ქრთამებით.

— მაღალი ხარისხიდან?

— საოლქო მოსამართლე—დენტონი; ის არის საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის წევრის ვეგლმანის კომპანიონი. თქვენ ფიქრობთ, რომ ის ბევრს გააკეთებს?

მე ვეჭიდები ხავსს,—გაიმარტა ხოლმა.—თუმცა ამას ყოველი წყალწაღებული სჩადის. ყოველ შემთხვევაში, მე ვინახულებ ყველა ამ ხალხს, შეიძლება ერთი მაინც აღმოჩნდეს ვინმე მათ შორის ისეთი, რომელიც გააკეთებს რამეს. ყოველ შემთხვევაში, ეს არაფერს ავნებს საქმეს.

მაგრამ სამი დანარჩენი იმ აზრისა იყო, რომ ამას ვნების მოტანა მაინც შეუძლია, და ისინი ცდილობდენ აეხსნათ ხოლისათვის, რომ ის უზრუნველყოფილი არ არის ბნელ ღამეში თავდასხმისაგან, და რომ შეიძლება კიდევაც მოჰკლან იგი. ისინი ჩაიდენენ ამას,—სთქვა მაკ კელერმა,—და ეს მათ არავითარ უსიამოვნებას არ მიაყენებს, იტყვიან ღმრალოდ, რომ თქვენ ყელი გამოგჭრათ მთვრალმა „დაგომ“ ჩხუბის დროს ქალის გამო.

მაგრამ ხოლმა ჩააგონა თავის თავს, რომ ის მოასწრებს ყველაფრის გაკეთებას, ვიდრე მისი მტრები სისრულეში მოიყვანენ თავის გეგმას; ედსტრომისა და კიტინგისათვის ფრიად მნიშვნელოვანი დავალებები აღმოჩნდა, ხოლო მაკ კელერი თავისი სნეული ფეხებით მხოლოდ ხელს შეუშლიდათ. ედსტრომი უნდა წავიდეს ფოსტაში, მოიტანოს დაზღვეული წერილი და მაშინვე დაახურავოს ფული.

ხოლს ღნდოდა შემოწმებული ჩვენების შეკრება და იმ შემთხვევაში, თუ მოხელეები უარს იტყოდენ რაიმე ზომების მიღებაზე, გუბერნატორისათვის მათი წარდგენა; მაგრამ ამისათვის მას ესაჭიროებოდა ფული. იმავე დროს ბილლი კიტინგმა უნდა შეამზადოს დასაბეჭდათ სასწორის კონტროლიორის ამბავი: ხოლი კი რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდება ოტელ „ამერიკენში“ და მოუტანს მას შემოწმებულ ჩვენებებს „გაზეთისათვის“.

ახალგაზდა კაცი ჯერ ისევ მუშის ბლუზაში იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა მან უარი განაცხადა მაკ კელერის წინადადებაზე, რომ მას ტანსაცმელი გამოეცვალა.

სჯობს ნამდვილი მაღაროს მუშის სახით მისვლა, ვიდრე ცუდად ჩაცმული ჯენტლმენის სახით.

როდესაც შეთანხმდენ ყველაფერში, ხოლი გამოვიდა სახლიდან. პიტ ხენემი, როგორც კბილებდაკრეჭილი ბულდოგი, გაედევნა მას უკან. ახალგაზდა მაღაროს მუშა გაიქცა, მანაც მიმართა მის მაგალითს, და ორივე გარბოდა ქუჩაში, რითაც ძალიან გაოცებული რჩებოდა გამვლელები.. ვინაიდან ხოლს ბევრჯერ ჰქონია შეჯიბრება რბენაში, პიტი უეჭველად მოხარული იყო, რომ საოლქო პროკურორის კონტორა შორს არ იყო.

§ 4.

პირველ ოთახში წყდომამა მოხელემ აუხსნა მას, რომ მისტერ ჯილბერტ პარკერს არა სცალიან, და ხოლს გაეხარა, რომ შესაძლებელი იყო ცოტაოდენი სულის მობრუნება. მოხელე გაკვირვებით უცქეროდა ძმიმედ მსუნთქავ და გაწითლებულ ახალგაზდა კაცს; მაგრამ ხოლმა არ მისცა მას არავითარი განმარტება, ქუჩაში მას პიტი უცდიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ის მიიღო მისტერ პარკერმა.

ეს იყო კარგად ჩასუქებული კაცი, მაგარი კისერით და ორმაგი ნიკაპით, ახლად გაპარსული და შეპუდრული.

კოსტიუმი კარგი შეკერილი ჰქონდა, თეთრეული—თვალსა სჭრიდა სითეთრით; ის ახდენდა ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებას, რომელთანაც შეიძლებოდა შეთანხმება. მის მაგიდაზე საქმეები ელაგა, ის ჩაფიქრებულსა გვანდა.

— ,აბა?—სთქვა მან და სწრაფად ახედა მაღაროს მუშას.

— მე ვლაპარაკობ პედროს საოლქო პროკუროორთან?

— დიახ.

— მიაქციეთ თქვენი ყურადღება ნორტ-ვალის კატასტროფის დეტალებს, მისტერ პარკერ?

— არა,—უპასუხა პარკერმა,—რისთვის?

— მე ესეც არის ნორტ-ვალიდან მოვედი, და მინდოდა მომეცა თქვენთვის ცნობები, რომელმაც თქვენ უნდა დაგაინტერესოთ. ეს შვიდი კაცი დამარხულია მაღაროში; კომპანიის მოხელეებმა დახურეს მაღარო და ამით მსხვერპლად სწირავენ ადამიანების სიცოცხლეს.

საოლქო პროკურორმა დააწყო ქაღალდები მაგიდაზე და მძიმე ქუთუთოების ქვემოდან შეხედა მნახველს.

— საიდან იცით ეგ თქვენ?

— მე დავსტოვე მაღარო სულ რამდენიმე საათის წინ; ის, რაც მე თქვენ გეუბნებით, ყველა მაღაროს მუშებმა იციან.

— თქვენ ლაპარაკობთ ხმების მიხედვით.

მე ვამბობ იმას, რაც პირველ წყაროდან ვიცი. მე ვიყავი კატასტროფის მოწმე და ვნახე როგორ დახურეს ბრეზენტით მაღაროში ჩასასვლელი ადგილი. მე ვიცი აგრეთვე ერთი ადამიანი, რომელიც გააგდეს სამუშაოდან იმიტომ, რომ მან იჩივლა სავენტილიაციო მანჭანის დადგმის საქმეში დაგვიანების გამო. უკვე სამი დღე გავიდა აფეთქების შემდეგ და ჯერაც კიდევ არაფერია გაკეთებული ხალხის გადასარჩენად.

მისტერ პარკერმა საჩქაროდ მისცა ერთი მეორეზე რამდენიმე კითხვა, მკვეთრი, უნდობარი ტონით, რომელიც ბრალდებლებს სჩვევივიათ. მაგრამ ხოლი დამშვიდებული შეხვდა ამას,—ამ კაცის მოვალეობას ხომ სინამდვილის გამორკვევა შეადგენს.

შემდეგ მან ჰკითხა თუ რა საბუთები არსებობს იმისთვის, რომ ყოველივე ნამდვილად ეს ასეა:

— წაბძანდით თვითონ ნორტ-ვალში, იყო პასუხი.

— თქვენ სთქვით, რომ ეს ფაქტი იცის მაღაროს [illegible] მუშებმა; დაასახელეთ რამდენიმე მათგანი.

— მე არა მაქვს სამაგისო რწმუნებულება, მისტერ პარკერ.

— რა საჭიროა რწმუნებულება? ხალხი მე მაგას თვითონაც მეტყვის.

— შეიძლება კი, შეიძლება არა. ერთმა უკვე დაჰკარგა ამის გამო სამუშაო: ყველა ვერ წავა ამაზე.

— და თქვენ მოითხოვთ, რომ მე მხოლოდ ხმებზე დამყარებით გავყვე ხალხს იქ?

— მე გაძლევთ თქვენ მეტს, ვიდრე ხმებია, მე შემიძლია წარმოგიდგინოთ თქვენ შემოწმებული ჩვენებები.

— კი, მაგრამ რა ვიცი მე პირადად თქვენს შესახებ?

— თქვენ იცით, რომ მე ვმუშაობდი ნორტ-ვალში, ამაში თქვენ შეგიძლიათ დარწმუნდეთ ტელეფონით. მე მქვიან ჯო სმიტი, მე ვიყავი მაღაროს მუშის თანაშემწე მაღაროში № 2.

— ეს არა კმარა—იყო პარკერის პასუხი.—დრო მეტად ძვირია, და ვიდრე ნორტ-ვალში წავიდოდე, საჭიროა ვიცოდე იმ მოწმეების გვარები, რომლებიც დაამოწმებენ ჩვენებას.

— მე გაძლევთ თქვენ შემოწმებულ ჩვენებას! წამოიძახა ხოლმა,—გეუბნებით, მე ვიცი, რომ ბოროტმოქმედება ხდება, მისი მსხვერპლი ას შვიდი ადამიანის სიცოცხლეა. განა მარტო ეს არა კმარა იმისათვის, რომ ცნობები მაინც მოკრიბოთ?

პროკურორმა უპასუხა, რომ ის, რა თქმა უნდა, შეასრულებს თავის მოვალეობას,—მუშათა უფლებების დაცვას,—მაგრამ მას არ შეუძლია უბრალო ენებიდან გამოვიდეს, მან უნდა იცოდეს მოწმეთა გვარები.

ხოლმა არ იცოდა რა ეფიქრა. ებლაუქებოდა ის პირველ შესაფერ შემთხვევას, რომ საქმეში არ ჩარეულიყოს? ან, შეიძლება, ეს სახელმწიფო მოხელეც კი იმდენად მხარს უჭერს კომპანიას, რომ ის ხრიკებს მიმართავს, რათა არ დაარღვიოს მისი სიმშვიდე?

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხოლს ყოველ მიზეზის გარეშე სურდა მიეცა პროკურორისათვის ყველა საჭირო ცნობები. მან კეთილ სინდისიერად აღწერა კატასტროფა, ცდილობდა გადაეცა პროკურორისათვის ის ატმოსფერა, რომელიც ნახშირის ბასეინშია გამეფებული, აუწერა მას, თუ მწუხარებით გაგიჟებული ქალები, შეშინებული ბავშვები როგორ შეჯგუფებულიყვნენ მაღაროში ჩასასვლელთან და როგორ ერეკებოდენ მათ კეტებით და რევოლვერებით. ის ერთიმეორეზე უსახელებდა გაუბედურებულ ოჯახებს, დედებს, ობლებს, უამბობდა მუშების შესახებ, რომლებიც მხოლოდ ერთს ითხოვდენ: ნება მიეცათ თავისი ამხანაგების გადასარჩენად გაეწიათ რისკი საკუთარი სიცოცხლით. ის სთხოვდა, ევედრებოდა, რომ მიშველებოდა იგი მის ტანჯულ ამხანაგებს.

— რამდენი ხანი მუშაობდით თქვენ ნორტ-ვალში?—გააწყვეტინა ხოლს სიტყვა პროკურორმა.

— დაახლოვებით ათი კვირა.

— რამდენი ხანი ხართ მაღაროებზე საერთოდ?

— პირველად ჩემს სიცოცხლეში.

— და თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ათი კვირის განმავლობაში ისეთი გამოცდილება მიიღეთ, რომ უფლებას აძლევთ თქვენს თავს ბრალი დასდოთ კომპანიას ადამიანების მკვლელობაში?

— მე ხომ გითხარით, რომ ეს მარტო ჩემი აზრი კი არ არის, ასე ფიქრობენ ძველი, მეტად გამოცდილი მაღაროს მუშებიც. მე გეუბნებით თქვენ, რომ არაფერი არ კეთდება ამ ხალხის გადასარჩენად! მუშების სიცოცხლე ზედამხედველებისათვის სრულებით არაფერს წარმოადგენს; ერთმა მათგანმა, ალეკ სტონმა, მოწმეებთან განაცხადა: „ჯანდაბას ხალხი, უშველეთ ჯორებსო!“.

— ეხლა იქ ყველა მეტისმეტად აღელვებულია, არავის დაშშვიდებული მსჯელობა არ შეუძლია—თქვენაც აგრეთვე. თუ ნამდვილად მაღაროში ხანძარია და ხანძარი ამგვარად ვრცელდება...

— მაგრამ, მისტერ პარკერ, საიდან შეგიძლიათ თქვენ იცოდეთ, რომ ის სწორედ ამგვარად ვრცელდება?

— თქვენ საიდან შეგიძლიათ იცოდეთ, რომ ეს ასე არ არის?

ჩამოვარდა სიჩუმე. უცებ პროკურორმა წარმოსთქვა:

— მე ყური მოვკარი, რომ ამ ჟამად ნორტ-ვალში სამადნო ინსპექტორის თანაშემწე იმყოფება. რა გვარია?

— კარმიკელი.

— ის რა აზრის არის?

— მაღაროს მუშა ხუმრობით სამუშაოდან გააგდებს იმის გამო, რომ იმან კარმიკელს მიმართა.

— იცით რა,—სთქვა მისტერ პარკერმა, და ხოლმა იგრძნო მისი ხმის ტონით, რომ მან ნახა სასურველი მიზეზი,—ეს საქმე კარმიკელს შეეხება, მე არა მაქვს არავითარი უფლება შიგ ჩავერიო. თუ ის მოვიდა ჩემთან საჩივრით,—მე დავიწყებ საქმეს, წინააღმდეგ შემთხვევაში—არა. მაშ ასე, მე გითხარით ყველაფერი, რის თქმაც შემეძლო.

ხოლი წამოდგა.

— კარგი, მისტერ პარკერ, მე აგიხსენით თქვენ საქმის მდგომარეობა. თუმცა მე გამაფრთხილეს, რომ თქვენ არაფერს გააკეთებდით ამ მიმართულებით, მაგრამ მე მაინც არ მინდოდა წაგერთმია თქვენთვის რაიმეს გაკეთების შესაძლებლობა. ეხლა მე წავალ გუბერნატორთან და მოვსთხოვ თქვენს დათხოვას!

ამ სიტყვებით მან დასტოვა პროკურორის კაბინეტი.

§ 5

ხოლი გაემართა „ამერიკენ ოტელისაკენ", სადაც მას უკვე მისული დახვდა მანჭანაზე მბეჭდავი ქალი. როდესაც ახალგაზდა ქალმა გაიგონა მისთვის ნაკარნახევი პირველი სიტყვები, იმისი ხელები შესამჩნევად ათრთოლდენ, მაგრამ მან არ შესწყვიტა მუშაობა, და ხოლმა გადიტანა ქაღალდზე მალარო № 1-ში ჩასავალის დახურვის დეტალები და აგრეთვე თხოვნა ინოხ კარტრაიტისა და ალეკ სტონის დაპატიმრების შესახებ.

შემდეგ მიდიოდა მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ აირჩიეს იგი სასწორის კონტროლიორად და როგორ აუკრძალეს მას სასწორთან მისვლა. მან დაიხმარა მთელი იურიდიული ფრაზეოლოგია, რაც კი მის განკარგულებაში იყო, ის ითხოვდა მთავარი ზედამხედველის ინოხ კარტრაიტისა და მწონავ ჯემს პიტერის დაპატიმრებას. შემდეგ ის აცხადებდა შემოწმებულ ჩვენებაში იმას, თუ სამთო მრეწველობის უფროსმა, ჯეფ კოტონმა, როგორ გასცა ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ, როგორ დასცინოდა მას და, ყოველგვარ ორდერს ან განცხადებას მოკლებულმა, როგორ გააჩერა იგი საკუსალობი ოცდათექვსმეტი საათი; იმის შესახებ, თუ როგორ უკანონოდ და მუქარით გამოაგდეს იგი ნორტ-ვალიდან კოტონმა, პიტ ხენემმა და ორმა უცნობმა და ამიტომ ის ითხოვდა ჯეფ კოტონის, პიტ ხენემის და იმ ორი უცნობის დაპატიმრებას.

ვერც კი მოასწრეს ბეჭდის გათავება, რომ ბილლი კიტინგიც მოვიდა ოცდა ხუთი დოლარით, რომელიც ედსტრომმა ფოსტიდან მოიტანა. მათ მოინახეს ნოტარიუსი, ხოლმა დაადასტურა მის წინაშე ყველა თავისი წერილობითი ჩვენებები. შემოწმების შემდეგ ხოლმა გადასცა ასლები კიტინგს, რომელიც საფოსტო მატარებლისაკენ გაეშურა.

— ადგილობრივ ფოსტას არ მინდა ასეთი საქმეები მივანდო,—სთქვა ბოლლიმ,—პედრო „ეშმაკზე უფრო საშიში ქალაქია."

როდესაც ისინი გარეთ გამოვიდენ, ნახეს, რომ მათი მცველების რიცხვი ორამდე გაზრდილა; ამასთანავე მეორეს მეტად მხიარული სახე ჰქონდა, ეტყობოდა, რომ ეს ხელობა მას ძალიან მოსწონდა.

ხოლმა მოუხვია კუთხეში და გასწია კონტორის შესავალისაკენ, სადაც ეწერა: „ჯ. ვ. ენდერსონი, მომრიგებელი მოსამართლე."

ჯიმ ენდერსონი, ბეითალი, თავის საწერ მაგიდას უჯდა. მანამდე, ვიდრე თავის ყარყუმის მანტიით შეიმოსებოდა, ის ღეჭავდა თუთუნს. მისი კვალი კიდევ მოსჩანდა მის ქერა ულვაშებზე. ხოლი ზედმიწევნით სწონიდა გამარჯვების ყველა შანსებს და ამიტომ არც ერთი წვრილმანი მის ყურადღებას შეუმჩნეველი არა რჩებოდა. მან გადასცა შემოწმებული ჩვენება, რომელშიაც აღწერილი იყო მთელი მისი თავგადასავალი ნორტ-ვალში, და უცდიდა, ვიდრე მისი მოწყალება მომრიგებელი მოსამართლე აუტანელი სიდინჯით კითხულობდა საბუთს.

— კეთილი,—სთქვა მან ბოლოს,—მაინც რაში გამოიხატება თქვენი სურვილი?

— მე მინდა ბრძანება ჯეფ კოტონის დაპატიმრების შესახებ.

ჯიმ ენდერსონი გამომცდელი თვალით მიაჩერდა მას.

— თქვენ მას ჩემთან ვერ მიიღებთ.

— რატომ?

— იმიტომ რომ კოტონი შერიფის მოადგილეა და უფლება ჰქონდა თქვენი დაპატიმრების.

— უფლება ჰქონდა ჩემი დაპატიმრების უორდეროდ?

— საიდან იცით თქვენ, რომ მას არა ჰქონდა ორდერი?

— იქედან ვიცი, რომ მან თავის ნებით გასცა ეს ბრძანება.

— მის მოვალეობას შეადგენს მაღაროებზე წესრიგის დაცვა.

— თქვენ გინდათ სთქვათ, რომ მაღაროებზე მას შეუძლია იმოქმედოს იაე, როგორც თვითონ მოეპრიანება?

— მე მინდა ვსთქვა, რომ მე არა მაქვს უფლება ჩავერიო მის მოქმედებაში. რად არ მიმართეთ ნორტ-ვალში სი ედამსს?

— შემთხვევა არა მქონდა მენახა იგი.

— მაგრამ მე თქვენ ვერაფრით ვერ დაგეხმარებით,—უპასუხა მოსამართლემ.—ეს თქვენ თვითონ უნდა გაიგოთ. როგორ შეიძლება დისციპლინის არსებობა მაღაროებზე, თუ ყოველი დათხოვილი მოვა ჩემთან და მიიღებს სამთო ინსპექტორის დაპატიმრების ორდერს?

— მაშ ინსპექტორს შეუძლია სრულებით არ გაუწიროს კანონებს ანგარიში?

— მაგას მე არ ვამბობ.

— მაგალითად, მკვლელობა რომ ჩაიდინოს, გასცემდით თუ არა განკარგულებას მისი დაპატიმრების შესახებ?

— ცხადია, თუ კი საქმე ნამდვილად მკვლელობას შეეხება.

— რომ იცოდეთ, რომ მას განზრახული აქვს მკვლელობის ჩადენა მაღაროში, შეეცდებოდით თუ არა თქვენ იმის შეჩერებას?

— რა თქმა უნდა.

— აი კიდევ ერთი შემოწმებული ჩვენება,—და ხოლმა მიუთითა იმაზე, რომელშიაც მაღაროს დახურვის წესახებ იყო ლაპარაკი.

მეფობდა ღრმა სიჩუმე, ვიდრე მომრიგებელი მოსამართლე ქაღალდს კითხულობდა.

ბოლოს მან სთქვა თავის გადაქნევით:

— არა, ჩემთან ვერ მიიღებთ ბრძანებას დაპატიმრების შესახებ.

— რატომ?

იმიტომ რომ მე არაფერი საერთო არა მაქვს სამადნო სამმართველოსთან. არაფერი ამ საქმის არ გაბედება და სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდები მხოლოდ, თუ ეხლა მე თავიანთი საქმეების წარმოების სწავლებას დაუწყებ იქ ხალხს.

ხოლმა დაუწყო ჩურჩულება მოსამართლეს. განა დასაშვებია, რომ სამადნო ხელისუფლება ათასგვარ უსამართლობას სჩადიოდეს თავის მუშების მიმართ,

განა ამას „საქმის წარმოება“ ეწოდება? მათ ხელშია ეხლა ას ათიოდე ადამიანის სიცოცხლე ან სიკვდილი; ნუ თუ კანონი აქაც გაჩუმდება?

მაგრამ მისტერ ენდერსონი მხოლოდ თავს აქნევდა: ჭკუაში არ შეეხება; ხოლს შეუძლია მიმართოს მოსამართლე დეტონს. ხოლმა სთხოვა თავისი ქაღალდები და წავიდა. ქუჩაში მას უკვე სამი სუბიექტი უცდიდა, რომლებიც მთელი მისი შემდეგი მოგზაურობის განმავლობაში სულ უკან დაჰყვებოდენ მას.

§ 6.

საოლქო სასამართლოში ამ დროს სწორედ სხდომა სწარმოებდა.

ხოლმა შეიცადა რამდენიმე ხანს სასამართლოს დარბაზში, თან მოსამართლე დენტონს ათვალიერებდა.

ეს იყო საკმაოდ ჩასკვნილი და გვარიანი გარეგნობის კაცი; მანტიის შავ ფონზე მრგვალი ვარდისფერი სახე მოსჩანდა.

ახალგაზდა მუშა უნდობლობით უცქეროდა ამ სახეს და მანტიას; ხოლს თანდათან ეკარგებოდა რწმენა ხალხში. მოსამართლის გარეგნობა აფიქრებინებდა მას, რომ სასამართლოს სავარძელში შეიძლება რიგიანი შემოსავალი გექნეს იმ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, თუ კომპანიონი კომპანიის კონსულტანტად გამოდის.

სხდომის შეწყვეტის დროს ხოლმა მიმართა სასამართლოს ერთერთ დიამბეგს და შეიტყო, რომ მოსამართლესთან 4 ს. 30 წ. შეიძლება მოლაპარაკება. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოჩნდა პიტ ხენემი და რაღაც წასჩურჩულა დიამბეგს; უკანასკნელმა შეხედა ხოლს და თავის მხრით მოსამართლეს გადულაპარაკა.

როდესაც 4 ს. 30 წუთზე სხდომა დაიხურა, მოსამართლე თავის საკუთარ კაბინეტში განმარტოვდა. ხოლს გამოუცხადეს, რომ მოსამართლეს არა აქვს დრო, რომ მიიღოს იგი.

მაგრამ ხოლს არა სურდა ამგვარად თავის ყინულზე გაცურება. სასამართლოს დარბაზიდან გვერდითი კარი კორიდორში გადიოდა. დიამბეგთან საუბრის დროს ხოლმა შენიშნა იქ სწრაფად გაელვებული მოსამართლის ფიგურა.

ხოლმა მიაშურა მისკენ. როდესაც ის დაეწია თავის მსხვერპლს, მან სრულიად დამშვიდებით უთხრა მას:

— მოსამართლე დენტონ, მე ვითხოვ მათრლმსაჯულებას.

მოსამართლემ მიიბრუნა მისკენ თავისი გაჯავრებული სახე:

— რა გნებავთ?

მომენტი საშიში იყო. პიტ ხენემი მას კვალ და კვალ მიჰყვებოდა უკან, მოსამართლის ერთი ნიშანი კმაროდა, რომ ის მაშინვე სტაკებოდა ხოლს. მაგრამ მოსამართლე იმდენად გააოცა მოულოდნელობამ, რომ ხოლს ლაპარაკი დაუწყო.

მაძიებელი ერთი წამით შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ ორი ნაბიჯით უკან დაიხია.

ხოლმა გაიმეორა თავისი თხოვნა.

— თქვენო მოწყალებავ, იქ, ნორტ-ვალში იხოცებიან ას შვიდი კაცი — მუშები და მოზარდები; მათ ჰკლავენ, მე მინდა მათი გადარჩენა.

— მე მივიჩქარი, ყმაწვილო, ძალიან მნიშვნელოვან დაკითხვაზე.

— კარგი,—უპასუხა ხოლმა,—მე გაგაცილებთ თქვენ და გზაში ყველაფერს გიამბობთ.

მან არ მისცა მის მოწყალებას პასუხის გაცემის საშუალება, საამურია ეს მისთვის თუ არა, და გაჰყვა მას გვერდით. პიტ ხენემი და ორი კიდევ სხვა თავაზიან მანძილზე გაჰყვენ მათ უკან.

ხოლმა უამბო მოსამართლეს იგივე, რაც რიჩარდ პარკერს, და იგივე პასუხი მიიღო. ასეთ საქმეებში ძეტად ძნელია გარკვევა, და ისინი არც შეეხებიან სრულებით მოსამართლეს. ნორტ-ვალში არის სახელმწიფო მოხელე, მან უნდა გამოარკვიოს ჰქონდა თუ არა ადგილი კანონის დარღვევას.

ხოლმა გაიმეორა თავისი ჩვენება, რომ ადამიანი, რომელმაც მიმართა იმ სახელმწიფო მოხელეს, მაშინავე იქნა დათხოვილი.

— მე დამითხოვეს, სერ.

— რისთვის?

— ეგ არ უთქვამთ მათ ჩემთვის.

— სისულელეა, ყმაწვილო, ისე არავინ დაითხოვს ვინმეს, რომ დათხოვის მიზეზი არ აუხსნას.

— მაგრამ, სერ, ეს მაინც ხდება ასე უეჭველად. წინასწარ მე დამამწყვდიეს სატუსალოში და გამაჩერეს შიგ ოცდათექვსმეტი საათი.

— ალბად დააშავებდით რამეს.

— მე ვიყავი არჩეული მაღაროს მუშების კომიტეტისაგან სასწორის კონტროლიორად.

— სასწორის კონტროლიორად?

— დიახ, სერ; მე გამიგონია, რომ კანონის მიერ ასეთი კონტროლიორი დაშვებულია. თუ მუშები მოითხოვენ ამას და თვითონ აძლევენ კონტროლიორს ჯამაგირს, კომპანია ვალდებულია ნება დართოს სასწორისათვის კონტროლის გაწევა. ხომ მართალია?

— ვგონებ, კი.

— აკრძალვის გამო ხომ ჯარიმა არის დაწესებული?

— კანონს ყოველთვის აქვს, ყმაწვილო, საჯარიმო სისტემა. მე გამიგონია, რომ ეს კანონი დაახლოვებით ხუთმეტი წლის წინად დაყოფილი იყო პარაგრაფებად, რომლებიც არკვევენ ჯარიმას 25-დან 500 დოლარამდე.

— სერ, ყველაფერი, რასაც მე გეუბნებით სრული სიმართლეა. მაღაროს მუშებმა აუწყეს ინსპექტორს, რომ მათ ამჩნიეს მე ამ თანამდებობაზე, მაგრამ, როდესაც გამოვცხადდი მიმღებ პუნქტზე, მათ არ შემიშვეს მე შიგ. შემდეგ დამიჭირეს, ჩამსვეს სატუსალოში და ბოლოს დამითხოვეს.

— შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი ჩვენების დამდასტურებული მოწმეები?

— დიახ, სერ. კომიტეტის ერთი წევრთაგანი, ჯო ედსტრომი, ბევრ ჟამად პეტროში იმყოფება; მას აკრძალული აქვს თავის ქოხში ცხოვრება ნორტ-ვალში, რომლის საიჯარო გადასახადი მან უკვე შეიტანა. მეორე წევრი მიკე სიკორიაც დათხოვილია. მათ გარდა ბევრმა იცის კიდევ ნორტ-ვალში ეს ამბავი.

ჩამოვარდა სიჩუმე. მოსამართლე დენტონმა დაკვირვებით შეხედა ახალგაზდა მუშას, შემდეგ ღრმააზროვანად შეკმუხვნა შუბლი და უთხრა:

— მე განვიხილავ მაგ საქმეს. რა გვარი ხართ და სად სცხოვრობთ?

— ჯო სმიტი, ვცხოვრობ ედუარდ მაკ კელერთან, მაგრამ არ ვიცი რამდენ ხანს დავრჩები იქ. კომპანიის მაძიებლები სულ მუდამ თვალს ადევნებენ სახლს.

— ეგ უაზრო ლაყბობა არის! — მოუთმენლად წარმოსთქვა მოსამართლემ.

— აი სწორედ სამი მათგანი ეხლაც მოგვყვებიან უკან. ერთი მათ შორის არის პიტ ხენემი, რომელიც ეხმარებოდათ ჩემი გამოგდების დროს ნორტ-ვალიდან. თუ მიბრუნდებით, თქვენ დაინახავთ მათ.

ამაგრამ მსუქანმა მოსამართლემ არ შეიწუხა თავი მიბრუნებით.

— მე მეუბნებოდენ, რომ მაღაროს მუშების გამოსარჩლებით საფრთხეში ვაგდებ ჩემს სიცოცხლეს. მე ვფიქრობ, რომ მართალი ვარ, როდესაც თქვენს მფარველობას ვთხოულობ.

— მაინც რა გინდათ ჩემგან?

— უწინარეს ყოვლისა მათი დატუსაღება, ვინც მე უკან. დამდევენ მტრული განზრახვით.

— მაგვარი დატუსაღება მე არ შემეხება, მიმართეთ პოლიციმენს.

— მე ვერ ვხედავ ვერცერთ პოლიციმენს; მიყავით სიკეთე, მიმითითეთ, სად ვნახო?

მის მოწყალებას თანდათან გაბრაზება შეეტყო.

— თქვენ ბლომად გიკითხავთ ბულვარული ლიტერატურა, ყმაწვილო, და ამიტომ ნერვები აგშლიათ.

— აი ისინი თითქმის ჩვენს გვერდით მოდიან; შეხედეთ მათ, სერ.

— მე თქვენ გითხარით, რომ ეს ჩემი საქმე არ არის.

— მაგრამ, სერ, ვიდრე მე პოლიციმენს ვნახავდე, შეიძლება უკვე საიქიოს ვიქნე.

ამ სიტყვებმა, როგორც ეტყობოდა მოსამართლეზე ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ იქონიეს.

— სანამ თქვენ საქმეს შეისწავლიდეთ, სერ, მაღაროში შეიძლება ხალხი დაიხოცოს!

პასუხი არ იყო.

— მე მაქვს რამდენიმე შემოწმებული ჩვენება,— შენიშნა ხოლმა.—გადმოგცეთ?

— შეგიძლიათ გადმომცეთ, თუ გინდათ.

— მაგრამ თქვენ გჭირდებათ ისინი?

— მე ჯერ არ მითხოვია ისინი თქვენოვის.

— კიდევ ერთი კითხვა, თუ ნებას მომცემთ. მითხარით, მოიწახება თუ არა ამ ქალაქში ისეთი პატიოსანი ვექილი, რომელიც იკისრებს პროცესის დაწყებას საყოველთაო საობობი მასალის კომპანიის წინააღმდეგ?

სიჩუმე, ხანგრძლივი სიჩუმე.

მოსამართლე დენტონი ფირმიდან „დენტონი და ვეგლმენი" მიდიოდა და თვალები დაკვირვებით მიეპყრო შორი სივრცისათვის. მაგრამ თუ რა იდება მის სულში,—ეს იყო ბნელი, გამოუკვეველი საიდუმლო.

არა, ყმაწვილო,—სთქვა მან ბოლოს,—ეს ჩემი საქმე არ არის, ვექილების შესახებ ცნობების მოწოდება.

ამ სიტყვებთან ერთად მოსამართლე შეტრიალდა და გაემართა კლუბისაკენ.

§ 7.

ხოლმა გააყოლა თვალი მოსამართლის მიმავალ მსუქან ფიგურას, სანამ არ მიიმალა იგი, შემდეგ მან მიუხვია კუთხისაკენ და გაუარა გვერდით შპიკებს, რომლებიც ამ დროს შეჩერდენ. ის ჩუმად უცქეროდა მათ, ისინიც ხოლს მისჩერებოდენ. როდესაც ხოლმა გაიარა ოციოდე ნაბიჯი, შპიკები კვლავ გამოუდგენ მას უკან.

მოსამართლე დენტონი ურჩევდა, რომ ხოლს პოლისმენისათვის მიემართნა. უცებ ხოლმა შენიშნა, რომ ისინი რატუშის გვერდით მიდიან, და მას აზრად მოუვიდა მაგისტრატისადმი მიმართვა საჩივრით მათზე.

ხოლს ეინტერესებოდა გაეგო, თუ როგორი იქნებოდა ამ „ეშმაკზე უფრო საშიში ქალაქის" პურგომისტრი. მცირე გამოკითხვის შემდეგ, ის შეეიდა მისტერ ეზრი პერკინსის კაბინეტში; ეს იყო წყნარი, პატარა კაცი, წინად ის ყოფილიყო მეკუბოე, ეიდრე ის დასასრულ ეგრედ წოდებული „დემოკრატიული" სისტემის ფუძედ არ გადაიქცა.

ის იჯდა ხოლის წინ და ნერვიულად უსვამდა ხელს თავის მუქ წვერებს, ეტყობოდა ძალას ატანდა თავს, რომ გადაეწყვიტა მის წინაშე დასმული დილემა. ადვილი შესაძლებელია, რომ ახალგაზდა მაღაროს მუშას დასდევენ ქუჩაში, მაგრამ იმის გადასაწრელად არაკანონიერია ეს თუ არა, საჭიროა საქმის ვითარების დაწვრილებით ცოდნა.

თუ ახალგაზდა კაცმა ნორტ-ვალში არეულობა მოაწყო, და თუ ვიფიქრებთ, რომ მომავალშიაც იმასვე ეცდება იგი, მაშინ ძალიან მოსალოდნელია, რომ კომპანია მას თვალ-ყურს ადევნებს. მაგრამ პედრო მაინც ქალაქია, რომელიც სდარაჯობს კანონებს, და მანამდე, ვიდრე მას წყნარად ეძნება დაქერილი თავი, მისი უფლებებიც დაცული იქნება.

ხოლმა უამბო მაკ კელერის ნაიქვამი დღისით თავდასხმის შესახებ. მისტერ პერკინსმა უპასუხა, რომ ნამდვილი გარემოება ვერ იქნა გამორკვეული, გარდა ამისა, ის მაშინ არ იყო კიდევ ბურგომისტრი. ის დიდი მომხრე იყო რეფორმების და განკარგულება მისცა პოლიციის უფროსს, რომ [illegible] აღარ განმეორდეს.

— ხომ არ გნებავთ წამოხვიდეთ ჩემთან ერთად პოლიციის უფროსთან და მისცეთ მას შესაფერი განკარგულება?

— მე არ მიმაჩნია საჭიროდ ეგ,—უპასუხა პერკინსმა.

გარდა ამისა, ის ეხლა სახლში წასასვლელად ემზადება. ეს ისეთი პატარა, საცოდავი ქენილება იყო, რომ სიმკაცრედ გეჩვენებოდათ მისი წვალება; მიუხედავად ამისა, ხოლმა მაინც გააჩერა იგი კიდევ ოციოდე წუთი, ედავა, ექამათა მანამდე, სანამ ეს საშრალო არსება არ ეცა გასავალ კარს და არ ჩაჯდა ავტომობილში.

— თქვენ შეგიძლიათ თვითონ წახვიდეთ პოლიციის უფროსთან,—იყო მისი უკანასკნელი სიტყვები, როდესაც ავტომობილი უკვე დაიძრა. ხოლმა გადასწყვიტა მიემართა მისი რჩევისათვის იმიტომ კი არა, რომ მას რაიმეს იმედი ჰქონდა; არა, ის რაღაც ჯიუტმა გაზრახვებმა შეიპყრო, რომელიც მას კიდევ და კიდევ მიაქანებდა წინ. ხოლს არ უხდოდა მოეკაკვა თითი.

ვიღაც გამვლელმა უთხრა მას, რომ პოლიციის სამმართველო ამავე შენობაში იმყოფებოდა მეორე კუთხით. ის შევიდა. კაცმა, რომელიც კონტორის მაგიდას უჯდა და სწერდა, აცნობა ხოლს, რომ პოლიციის უფროსი ესეც არის ქუჩაში გავიდა.

ხოლი მიჯდა ფანჯარასთან და დაუწყო ცდა; ამ ფანჯრიდან მას შეეძლო თვალი ედევნებინა თავის მტრებისათვის გარედ.

კონტორის მაგიდასთან მჯდომი კაცი განაგრძობდა წერას; დრო გამოშვებ ის გადახედავდა ახალგაზდა მალორის მუშას იმ რამდენიმედ მტრული განწყობილებით მისდამი, რომელიც ახასიათებს ყოველ ამერიკელ პოლისმენს იმის დამოკიდებულებაში მდაბალ კლასებთან. ეს ახალი რამ იყო ხოლისათვის და ის უკვე ნანობდა, რომ მან არ ჩაიცვა მაკ კელერის ტანსაცმელი. შეიძლება პოლისმენი ვერც კი შეამჩნევდა, რომ ის ცუდად ეჩვენბოდა მას ტანზე.

ბოლოს პოლიციის უფროსიც მოვიდა. ლურჯი ფორმა მჭიდროდ შემოსდგომოდა სხეულზე. ულვაშებზე ემჩნეოდა, რომ მის გასეირნებას ქუჩაში რაღაც საერთო უნდა ჰქონოდა ლუდთან.

— აბა, რაშია საქმე, ყმაწვილო?—მიმართა მან ხოლს.

ხოლმა აუხსნა თავისი მოსვლის მიზეზი.

— მერე ჩვენგან რა გინდათ?—უგემური კილოთი ჰკითხა მას პოლიციის უფროსმა.

— თქვენ უნდა აუკრძალოთ ამ ხალხს ჩემი დევნის საშუალება.

— რაგვარად შემიძლია მოვიქმედო მე ეგ?

— თქვენ შეგიძლიათ დააპატიმროთ ისინი, თუ საჭირო იქნება. თუ გნებავთ მობძანდით ფანჯარასთან და მე დაგანახვებთ თქვენ იმათ.

მაგრამ პოლიციის უფროსი არ დაიძრა ადგილიდან.

— თუ ეს ხალხი გდევნით თქვენ, მე უნდა ვიფიქრო, რომ მათ ექნებათ საამისო მიზეზი. ეგეც მაღაროებზე თქვენ მუშებს აღელვებდით, ჰკითხა მან მოულოდნელი ენერგიით, თითქოს მას ეს არის ეხლა მოუვიდა [illegible] აზრი, რომ შეიძლება სწორედ თვითონ ხოლი უნდა ჩასვას მან სატუსაღოში.

— არა,—უპასუხა ხოლმა, რაც შეიძლება თამამად.—მე მუშებს კი არ ვაღელვებდი, მე მოვითხოვდი ჩემი უფლების აღდგენას.

— მე რა ვიცი რა ჩაიდინეთ იქ.

ახალგაზდა მუშა მზათ იყო მიეცა მისთვის განმარტება, მაგრამ პოლიციის უფროსმა დაწყებისთანავე გააწყვეტინა მას სიტყვა: დაიჭირეთ თავი ქალაქში წესიერად და მაშინ თქვენ არავინ ხელს არ გახლებთ.

— მე უკვე გამაფრთხილეს—უთხრა ხოლმა.

— რაო, რა გითხრეს?

— რომ ბნელ ღამეში მე ადვილად შემემთხვა რამე.

— ეგ მართლაც შეიძლება რომ მოხდეს. თქვენ შეგიძლიათ დაეცეთ და ცხვირი გაიტეხოთ.

პოლიციის უფროსს გაეცინა თავის საკუთარ გონებამახვილობაზე, მაგრამ მაშინავე ისევ სერიოზული ტონი აიღო.

— შეიგნეთ, ყმაწვილო, რომ ამ ქალაქში თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ ყოველგვარი უფლებებით, მაგრამ ჩვენ არავითარ სიყვარულს არა ვგრძნობთ აგიტატორებისადმი და არც უარვყობთ ამას. გესმით?

— ნუ თუ თქვენ აგიტატორს ეძახით ადამიანს, რომელიც თავის კანონიერ უფლებებს მოითხოვს?

— მე დრო არა მაქვს, ყმაწვილო, თქვენთან კამათისათვის. არც ისე ადვილია მაღაროებზე წესრიგის დაცვა, და ამ საქმეში მე არ ჩავერევი. გარდა ამისა კომპანიის მაძიებლებს ისეთივე უფლება აქვთ იყვნენ აქ, როგორიც თქვენ.

პაუზა. ხოლმა დაინახა, რომ პოლიციის უფროსთან საუბარის გაგრძელება მას არავითარ სარგებლობას არ მოუტანს. პირველად შეხედა მან ამერიკელ პოლისმენებს გაბრაზებული მუშის თვალებით—და ეს ერთგვარი ახალი აღმოჩენა იყო მისთვის.

მის გულში დინამიტი იდო, როდესაც ის მიტრიალდა და გავიდა ქუჩაში, და ამ ასაფეთქებელი ნივთიერების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა, როდესაც მან დაინახა დამცინავი გამომეტყველება პიტ ხენემის და მის თანაშემწეების სახეზე.

§ 8.

ხოლი გრძნობდა, რომ მან უკვე ამოსწურა ყველა ლეგალური შესაძლებლობანი პედროში. პოლიციის უფროსს არ დაუსახელებია არავინ, ვისი მიმართვაც მას შეეძლო კიდევ, და სხვა აღარაფერი დარჩენოდა. გარდა მაკ კელერთან გამგზავრებისა და უესტერნ-სიტის ღამის მატარებელის ლოდინისა. მან

გადასწყვიტა კიდევ გამოეცადა სირბილში თავისი მცველები; ჩქარი სირბილით მას უნდოდა რამდენიმეთ მაინც შეენელებინა თავისი გაბერაზება, ისინი ალბად წინასწარ მოელოდენ სიძნელეს და ჩასხდენ გვერდით მიმავალ ავტომობილში. ხოლიც ჩაჯდა ეტლში, და ამგვარად, ეს კორტეჟი ერთგვარი ზეიმით მიადგა მაკ კელერის სახლს.

ხოლმა ინვალიდი მეტად აღელვებული ნახა სახლში. მთელი საღამო გაუწყვეტლივ რეკავდა ტელეფონი; ისინი აფრთხილებდენ მას, სთხოვდენ; სხვები აგინებდენ. აშკარა იყო, რომ დაძრეკავთა შორის იყვნენ ისეთები, რომლებსაც მოხუცი ხელში ჰყავდათ ჩაჭერილი; მაგრამ მას მაგრად ეჭირა თავი და ნება არ მისცა ხოლს, რომ მატარებლის წასვლამდე სასტუმროში წასულიყო.

შემდეგ მოვიდა კიტინგიც ახალი მეტად ამაღელვებელი ამბებით: საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის მთავარმა დირექტორმა დაგზავნა ყოველი მხრით მდევრები ბილლის მოსაძებნათ; ბოლოს მათ შესძლეს რეპორტიორის შეტყუება შულმანის კონტორაში, სადაც მას ხან სთხოვდენ, ხან ემუქრებოდენ. კარტრაიტი ურეკავდა ნორტ-ვალიდან ტელეფონით, ცდილობდა დაერწმუნებია კიტინგი, რომ ის უსამართლოდ ექცევა კომპანიას, მან მოიხსენია აგრეთვე, რომ ხოლი ცდილობდა საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიისაგან ჭრთამის მიღებას და რომ, გარდა ამისა, მან ნორტ-ვალში ერთი ახალგაზდა ქალი შეაცდინა.

ხოლი მიაშტერდა თავის მეგობარს.—ახალგაზდა ქალი შეაცდინაო?—წამოიძახა მან.

— ჰო, ასე სთქვა: ქერათმებიანი ირლანდიელიო.

— წყეულიმც იყოს მაგ კარტრაიტის სახელი!

ჩამოვარდა სიჩუმე, რომელიც შემდეგ ბილლის სიცილმა დაარღვია:

— რას მომჩერებიხართ ეგრე განრისხებული! მე ხომ არ მითქვამს, იმან დამირეკა.

მაგრამ ხოლი განაგრძობდა დაკვირვებით ყურებას.

— ბინძური, წვრილფეხა წუნკალები!

— ჩემო კეთილო, ნუ აქცევთ ასე დიდ ყურადღებას ამ ამბავს,—უთხრა მას დამამშვიდებელი ტონით კიტინგმა.

— ეს სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა არის ქალის სახელის ჩარევა ასეთ საქმეში. თავის თავად ცხადია, რომ ქალის გარევა ყველგან და ყოველთვის შეიძლება. ხომ ამ შემთხვევაშიაც ასეა? არა?

— ის სავსებით პატიოსანი ქალიშვილია.

— მაგრამ თქვენ მასთან მეგობრულ განწყობილებაში იყავით, ერთად გამოდიოდით, და თქვენ შეგნიშნავდენ ალბად სხვები?

— კი.

— რა თქმა უნდა, ეს ხმებიც აქედან გამოდის. და თქვენ არაფერი არ შეგიძლიათ მოიმოქმედოთ ამის წინააღმდეგ.

— ამას ჩვენ ვნახავთ!—წამოიძახა ხოლმა.

კიტინგმა ცნობისმოყვარეობით შეხედა გააფთრებულ ახალგაზდა მუშას.

— რა გინდათ, რომ ჰქნათ? კეტით ხომ არ გინდათ მრბეგვოთ ისლამით?

ახალგაზდა მაღაროს მუშამ ყურადღება არ მიაქცია [illegible] განაგრძო:—თქვენ ამბობთ, რომ მან აგიწერათ მისი ნიშნები?

— ის იმდენად თავაზიანი აღმოჩნდა რომ მითხრა, ეს ქერათმიანი ლამაზი ქალია, რომლის ერთადერთი მფარველი ლოთი ბებერი მამა არისო, მე მგონია, რომ მისი ცხოვრება არ იქნება ნორტ-ვალში მაინც და მაინც სახარბიელო.

ის გაჩუმდა ერთი წუთით.

— თქვენ მხოლოდ ავნებთ ახალგაზდა ქალს. თუ რამე ნაბიჯი გადასდგით ამ მხრით. არავის არა სწამს მაღაროებზე მცხოვრები ქალების დიდი ნამუსიანობა. ღმერთმა იცის, თუ როგორ უნდა დარჩენ ეს საბრალონი პატიოსნები, როდესაც მაღაროებს ისეთი ადამიანები განაგებენ, რომლებსაც მთელი ძალაუფლება ხელთ უპყრიათ.

— მისტერ კიტინგ,—ჰკითხა ხოლმა,—თქვენ თვითონ გჯერათ ის, რაც კარტრაიტმა გითხრათ?

კიტინგმა ის იყო სიგარას მოუკიდა,—მას ხელში ანთებული წუმწუმა ეჭირა და იგრძნო ხოლის შემოხედვა.

—ჩემო საყვარელო, ამ შემთხვევაში მე არ შემიძლია ჩემი აზრი ვიქონიო.

— კარტრაიტს რა უპასუხეთ?

— ეს სულ სხვა საქმეა. მე უთხარი მას, რომ დიდი ხანია ჟურნალისტად ვმუშაობ და ასეთ ხრიკებს კარგად ვიცნობ-მეთქი.

— გმადლობთ,—უთხრა ხოლმა,—მე ვფიქრობ, თქვენთვის საინტერესო იქნება გაიგოთ, რომ მთელ მაგ ამბავში ერთი სიტყვა არ არის მართალი.

— ეს გასახარელია ჩემთვის. მე მჯერა თქვენი.

— მე არ მოვისვენებ მანამდე, ვიდრე კარტრაიტი არ უარჰყოფს თავის ცილისწამებას.

— ძალიან თავგამოდებული კაცი ყოფილხართ!—გაიცინა ამაზე რეპორტიორმა.—განა თქვენ მაღაროდან ხალხის განთავისუფლებასთან დაკავშირებული დავიდარაბა არ გეყოფათ?

§ 9.

ბილლი კიტინგმა უთხრა, რომ ის იცნობს ერთ კაცს, რომელსაც სურს მასთან ცალკე მოლაპარაკება და განდობა იმისი, თუ რა განზრახვა აქვთ ხოლის წინააღმდეგ. როდესაც ხოლი და ედსტრომი დაჯდენ მაკ კელერთან ერთად სავახშმოდ, ბილლი წავიდა. მაკ კელერის ოჯახობას ეშინოდა სასადილო ოთახში დარჩენა, და პატარა სუფრა ზევით ოთახში გააწყვეს. ეტყობოდა, რომ მაკ კელერის ცოლი და ქალიშვილი ძალიან შეწუხებული იყვნენ; ხოლმა ერთხელ კიდევ შეიტყო, თუ რა ტერორი მეფობდა მაღაროს მუშათა ცხოვრებაში. აქ, ამერიკულ ოჯახში, ამერიკელი ქალები იყვნენ, რომელთათვისაც არც კულ-

ტურა, არც გახათლება უცხო ხილი არ იყო, და მაინც ისე გრძნობდენ თავს და ისე იქცეოდენ, თითქოს ისინი რუსი შეთქმულები ყოფილიყვნენ, რომლებსაც ციმბირი და მათრახი უქადის.

რამდენიმე საათის შემდეგ რეპორტიორი დაბრუნდა და ახალი ცნობები მოიტანა.

— მოემზადეთ ყველაზე უფრო ცუდისათვის, ყმაწვილო.

— რატომ?

— ჯეფ კოტონი ქალაქში იმყოფება.

— საიდან იცით თქვენ ეს?

— მე დავინახე ის ავტომობილში. თუ ასეთ დროს ის ნორტ-ვალსა სტოვებს, საქმე ალბად მეტად სერიოზულ რამეს შეეხება, დარწმუნებული იყავით.

— მითომ რა უნდა რომ ჰქნას?

— ამის ცოდნა არ შეიძლება. მას შეუძლია თავს დაგესხათ, შეუძლია გაგაძევოთ ქალაქიდან, ან შეიძლება უბრალოდ დაგაპატიმროთ.

ხოლი ჩაფიქრდა წუთით.

— ცილისწამებისათვის ხომ არა?

— ან მოხეტეობისათვის, ან ეკვით ბანკის გაძარცვაში ტეხასში, ან დედითქვენის ბებიის მოკვლაში ტასმანიაში. ასე თუ ისე თქვენ დაკეტილში გაგაჩერებენ, ვიდრე ყოველივე არ მიწყნარდება.

— არა, შენიშნა ხოლმა,—დაკეტილში ჯდომა არაფრად მეჭაშნიკება, მე მინდა უესტერნ-სიტიში წავიდე. მე მატარებელს ვუცდი.

— მაგ შემთხვევაში დილამდე მოგიხდებათ ცდა,—უპასუხა კიტინგმა;—ამ უბანზე კატასტროფა მოხდა, საბარგო ვაგონი ლიანდაგიდან გადავარდა და გზა გააფუჭა; რამდენიმე ხანი გაივლის, ვიდრე შეაკეთებენ დაზიანებულ ადგილს.

ამ ახალი დაბრკოლების შესახებ ბევრი ილაპარაკეს. მაკ კელერს უნდოდა ექვსიოდე ამხანაგისათვის დაეძახნა, რომ ღამით ხოლისათვის ედარაჯნათ. ხოლი თანაუგრძნობდა ამ წინადადებას. კიტინგის ერთმა შემთხვევითმა შენიშვნამ ახალი მიმართულება მისცა საუბარს.

რკინის გზის კატასტროფა ერთ ვინმეს სხვასაც აკავებს აქ,—ნახშირის მეფის ვაჟს.

— ნახშირის მეფის ვაჟს?—გაიმეორა ხოლმა.

— ახალგაზდა პერსი ხარიგანს. იმას აქ სპეციალური ვაგონი აქვს, უკეთ რომ ვსთქვათ, მთელი მატარებელი. წარმოიდგინეთ: ვაგონ-რესტორანი, სალონ-ვაგონი და ორი საწოლი ვაგონი. თქვენ არ ისურვებდით, თვითონ რომ ყოფილიყოთ ნახშირის მეფის ვაჟი?

— ის ნორტ-ვალში მომხდარი კატასტროფის გამო მოვიდა?

— ნორტ-ვალში მომხდარი კატასტროფის გამო? საეჭვოა, რომ მან ამის შესახებ იცოდეს რამე. მან იმოგზაურა დიდი კანიონით, მას თან ახლავს ოთხი ავტომობილი.

— მოხუცი პიტერიც მასთან არის?

— არა, ის ნიუ-იორკში იმყოფება. მე ვნახე პერსი ქალაქში ავტომობილში, ორ ახალგაზდა კაცთან და რამდენიმე დამასთან.

— ვისგან შესდგება ეს კამპანია?

— მაგის გაგება ვერ მოვახერხე. აი საუცხოვო წერილი იქნებოდა, მაგალითად, „გაზეთისათვის," შემთხვევით ჩამოდის ნახშირის მეფის შვილი სწორედ იმ დროს, როდესაც ას ზვიდი კაცი მის მსახურთა შორის იღუპებიან მაღაროში.—გამოსტყუო უნდა მას თუნდ ერთი სიტყვა კატასტროფის შესახებ, თუნდ ის, რომ მან არაფერი არ იცის იმის შესახებ.

— ხომ არა სცადეთ?

— წინააღმდეგ შემთხვევაში მე რეპორტიორი არ ვიქნებოდი.

— მერე რა გამოვიდა?

— არაფერიც არ გამოვიდა; ისე შემომხედა, თითქოს ერთი ქვაბი ცივი წყალი გადამასხა.

— სად მოხდა ეგ ამბავი?

— ქუჩაში. აფთიაქთან, გაჩერდენ, მეც მივევარდი მათთან იმ წამშივე.— თქვენ მისტერ პერსი ხარიგანი ბრძანდებით? მან გაიხედა ჩემ თავის ზემოთ ავტომობილის ფანჯრიდან.

— მე რეპორტიორი გახლავართ,—უთხარი მე,—მე მინდოდა ინტერვიუ გამეკეთებინა თქვენთვის ნორტ-ვალში მომხდარი კატასტროფის შესახებ.—

უკაცრავად,—სთქვა მან, მაგრამ როგორი ტონით! მისი ერთი მოგონება სისხლს მიყინავს.—მხოლოდ ერთი სიტყვა, ვთხოვდი მე.—მე არავითარ ინტერვიუს არ ვიძლევი,—მიპასუხა მან. ის ჯერაც ისევ ჩემი თავის ზემოთ იცქირებოდა, სხვები პირდაპირ თავის წინ იყურებოდენ. პირველმავე ჩემმა სიტყვამ ისინი ყინულად აქცია, მე ჩემი თავი გაყინულ ჭიქად ვიგრძენი.

ჩამოვარდა სიჩუმე ცოტა ხნით.

აბა ნუ თუ ეს საკვირველი არ არის,—გადავარდა ფილოსოფიაში ბილლი.— რა მალე შეიძლება არისტოკრატიის შექმნა. რომ დაგენახათ ეს ავტომობილი ეს ხალხი, მათი თავის დაჭერის, მანერა, იფიქრებდით რომ ისინი ვილჰელმ-დამპყრობელის დროიდან მართავენ ქვეყანას. ნამდვილად კი მოხუცი პიტერი აქ ხომ ქუჩის მეწვრილმანის სახით მოვიდა!

— ეს მალე ხდება,—ჩაურთო მაკ კელერმა.

— მასთან ვიღაც ქალიშვილი იყო, მართლაც შესანიშნავი—თითქმის მომეწონა კიდეც. მას ტანთ ეცვა რაღაც ჰაეროვანი და სურნელოვანი, წარმოგიდგენიათ, როგორც ხილის ბაღში გაზაფხულზე. და თვითონაც ვარდისფერი იყო, როგორც აყვავილებული ვაშლის ხე.

— თქვენ ძალიან ადვილად ემორჩილებით ქალების ჯადოსნობას?—რბილად ჰკითხა ხოლმა.

— ჰო,—უპასუხა მან.—მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ყველაფერი ეს მოტყუება არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემი გული უფრო ჩქარა სცემს. მე

ყოველთვის მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ ისინი მართლაც ძვირფასი მშვენიერებები არიან, როგორიც გვეჩვენებიან.

ხოლის გალიმება სავსე იყო მოგონებით, მან მოიყვანა ციტატა:

„ო, ლიზა-ანა,—აქ მოდი მალე,
ბაობაბის ქვეშ შუქია მთვარის"

და გაიცინა.

— სახელოთი ნუ დაატარებთ თქვენს გულს, მისტერ კიტინგ; ის ქალი, მიუხედავად ყველაფრისა, ხელს წაატანს მას გავლის დროს.

— მე, გაზეთის ჰიას რეპორტიორს?

თქვენ—მამაკაცს. მე არ მინდა იმ ქალს კოკეტობაში დავსდო ბრალი; მაგრამ ქალის ხვედრი ხომ მამაკაცების ლაყბობაში გამოიხატება, მან უნდა იეარჯიშოს ამ საქმეში.

ხოლი გაჩუმდა. რეპორტიორმა ცნობისმოყვარეობით შეხედა მას.

მითხარით, თუ ღმერთი გწამთ,—მე ბევრი ვიტეხე თავი:—საიდან იცნობთ თქვენ ეგრე კარგად უქმი ხალხის ფსიქოლოგიას?

— მე მქონდა ოდესღაც ქონება,—უპასუხა ხოლმა.—ჩემი ოჯახი ისეთივე სისწრაფით დაქანდა ძირს, როგორითაც ხარიგანი მაღლა წავიდა.

§ 10

ხოლმა უფრო დაწვრილებით დაუწყო გამოკითხვა აყვავილებული ვაშლის ხის ფერი ქალიშვილის შესახებ.

— შეიძლება გამოვიცნო ვინ არის. თმები რა ფერისა აქვს?

— დამწვარი შაქრის ფერი,—უთხრა ბილლიმ,—თანაც ოდნავ ხუჭუჭი და ვარსკვლავებით საოცნებოდ მოფენილი. თვალები წაბლისფერი, ღაწვები ოქსავით თეთრი, ვარდის ელფერით.

— მარგალიტის კბილების ორმა მწკრივმა ხომ გაიელვა, როდესაც მან გაგიღიმათ თქვენ?

— სამწუხაროდ მას არ გაუღიმნია.

— თავზე ხომ რბილი თეთრი ჩალის ქუდი ეხურა, მწვანე და თეთრი ყვავილებით, ოლივის ფერი ვუალი და კრემისფერი ლენტები?

თქვენ გინახავთ ის!—წამოიძახა რეპორტიორმა.

— შეიძლება ეგრეც იყოს, შეიძლება მე მხოლოდ მიხატავდეთ ახალგაზდა ქალიშვილს რომელიმე ჟურნალის პირველი გვერდიდან.—ხოლმა გაიღიმა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა რომ შეამჩნია რეპორტიორს, დაუმატა:—ბართლა მე მგონია ვიცნობ მაგ ახალგაზდა დაწას. თუ იტყვით, რომ იგი მისს ჯესსი არტურია— ხარიგანის კომპანიის წევრი, თქვენ ძალიან არ შესცდებით.

— საერთოდ მე არა მაქვს შეცდომის უფლება: თქვენ რობერტ არტურის ქალი ხომ არა გყავთ მხედველობაში?

— ბანკირთა სახლის „არტური და შვილები"ს მემკვიდრე, მე შემთხვევით ვიცნობ მას გარეგნულად.

— რანაირად?

მე ვმუშაობდი ერთ საწვრილმანო საწყობში; ის ხანდახან შემოდიოდა იქ.

— სად იყო ეგ ამბავი?

— „პეტერსონი და კო-“, უესტერნ-სიტი.

— აჰა! და თქვენ ლედენცებს ჰყიდიდით მას?

— ფინიკებს.

— და თქვენი გული ისე სცემდა, რომ ფულებს ძლივს ითვლიდით?

— ხანდახან მე მას ხურდას გადავაყოლებდი.

— მაგრამ არ ჩაფიქრებულხართ არასოდეს იმის შესახებ, თუ ნეტა იგი იმდენადვე კეთილია, რამდენადაც მშვენიერი? ერთ დღეს თქვენ იმედი ფრთებს გასხამდათ, მეორე დღეს ციხიუ-ი სიმწარე გიესებდათ გულს, ვიდრე, დასასრულ, არ ჩავარდით სასოწარკვეთილებაში და არ გაიქეცით მაღაროებზე.

ორივემ გაიცინა, ედსტრომმა და მაკ კელერმაც; მაგრამ კიტინგმა ისევ მიიღო სერიოზული სახე.

— მაინც მე უნდა ვიფიქრო ჩემს მუშაობაზე, უნდა დავსტყუო რამე ამ ხალხს კატასტროფის შესახებ; „გაზეთისათვის“ წერილის დაწერაზე უნდა ვიზრუნო!

— როგორ მოახერხებთ მერე თქვენ ამას?

— არ ვიცი; ვიცი მხოლოდ, რომ ცდა საჭიროა. მატარებლის ახლომახლო ვიხეტიალებ, შეიძლება მოვახერხო და რომელიმე მოსამსახურე ავალაპარაკო.

— ინტერვიუ ნახშირის მეფისწულის მოსამსახურესთან!—გაიცინა ხოლმა,—შთაბეჭდილებანი მილიონერის ლოგინის მილაგების დროს!

— შთაბეჭდილებანი ბანკირის ქალისათვის ფინიკების მიყიდვის დროს—მოუჭრა რეპორტიორმა.

ხოლმა უცებ სერიოზული სახე მიიღო.

— იცით რა, მისტერ კიტინგ: რისთვის არ უნდა მომანდოთ, მაგალითად, თქვენ, რომ მე გაუკეთო ინტერვიუ ახალგაზდა ხარიგანს?

— თქვენ?

— ჰო, მე სწორედ შესაფერი კაცი ვარ ამ შემთხვევაში—ერთი მისი მაღაროს მუშათაგანი, მე ფულებს ვშოულობ მისთვის ხომ მართალია? უნდა ვუამბო კიდევაც ნორტ-ვალის ამბები, არა?

ხოლმა შენიშნა, რომ რეპორტიორმა უეცარი გამოცოცხლებით შეხედა მას, და განაგრძო:

— მე ვინახულე ოლქის პროკურორი, მომრიგებელი მოსამართლე, ოლქის მოსამართლე, ქალაქის თავი, პოლიციის უფროსი; რატომ არ უნდა მივიდე მაღაროების მეპატრონესთანაც?

— დასწყევლოს ღმერთმა!—წამოიძახა ბილლიმ:—აგერ ნახე თუ მაგისთვისაც არ გეყოთ თქვენ გამბედაობა!

— მე მგონია,—მშვიდად უპასუხა ხოლმა.

— აღტაცებული კიტინგი წამოვარდა სკამიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დავნაძლავდეთ?

— მზად ვარ,—უპასუხა ხოლმა.

— თქვენ სერიოზულად ამბობთ მაგას?

— რა თქმა უნდა, სერიოზულად.

— ამ კოსტიუმში?

— რა თქმა უნდა; მე ხომ ერთი მისი მალაროს მუშათაგანი ვარ.

— არა ეგრე არაფერი არ გამოვა,—წამოიძახა რეპორტიორმა.—თქვენ მას ახლოსაც ვერ გაეკარებით, თუ კარგათ არ იქნებით ჩაცმული.

— ამ კოსტიუმში მე ჩამთვლიან შეძკეთებელ ოსტატად. უცებ ვაგონში მოშლილია რამე, მილეკი, მაგალითად?

— თქვენ ვერ გაასულელებთ ეგრე კონდუქტორსა და გამყოლებს.

— ვინ იცის! ვსცადოთ.

კიტინგი ჩუმად სწონიდა საქმეს.

— მართალი რომ გითხრათ,—სთქვა მან ბოლოს,—სულერთია შესძლებთ ამას, თუ ვერა; უკვე ერთი ასეთი ცდა დიდებული მასალა იქნება წერილისათვის. ნახშირის მეფის ერთი მსახურთაგანი მიმართავს მას თხოვნით! „პლუტოკრატიის ქვა-გულს არ ეკარება ახლოს მუშის კვნესა“.

— ჰო,—სთქვა ხოლმა,—მაგრამ ბე მართლა ბინდა მივაღწიო მასთან როგორმე. როგორ ფიქრობთ, დაბრუნდებოდა თუ არა უკვე მთელი ეს კამპანია მატარებელში?

— როდესაც მე ვშორდებოდი იმათ, ისინი სწორედ მაშინ ბრუნდებოდნენ იქედან.

— მატარებელი სადა სდგას?

— ამბობენ ორას ან სამას მეტრზე სადგურის ალმოსავლეთით.

მაკ კელერი და ედსტრომი დიდის ყურადღებით უსმენდენ მათთვის მეტად ამაღელვებელ საუბარს.

— მაშინ ეგ ჩემი სახლის ახლოს ყოფილა,—შენიშნა პირველმა.

— ეს პატარა მატარებელია—ოთხი სალონ-ვაგონი და ერთიც საბარგო,—დაუმატა კიტინგმა,—ის ადვილი საცნობია.

მაგრამ მოხუც შოტლანდიელს ჰქონდა ზოგი რამ ხოლის გეგმის წინააღმდეგ.

— მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობს, თუ როგორ უნდა გახვიდეთ თქვენ სახლიდან. არა მგონია რომ ამაღამ აქედან გაგიშვან.

ეს მართალია, ღმერთმანი, მართალია! ჩვენ ძალიან ბევრსა ვლაყბობთ, აბა ეხლა საქმე! როგორ ფიქრობთ, უკანა კარსაც სდარაჯობენ?

— იმას მთელი დღე უდარაჯებენ,—უპასუხა მაკ კელერმა.

— ყური დამიგდეთ,—სთქვა ხოლმა,—მე ერთი აზრი მომივიდა თავში, თქვენ ხომ აქამდე დაუყოვნებლივ შეგეძლოთ შემოსვლა და გასვლა აქედან?

— ჰო.

— თქვენც, არა, მისტერ მაკ კელერ?

— კი.

— რა იქნება, რომ მომცეთ თქვენი კოსტიუმი?

კიტინგმა სიხარულით წამოიყვირა:

— რა თქმა უნდა! ეს ერთადერთი სწორი გამოსავალია!

— მე ავიღებ თქვენს ქუდსა და პალტოს,—დაუმატა ხოლმამ.—მე ვნახე თქვენი სიარული და ვფიქრობ, რომ მოვახერხებ მის გადალებას. მისტერ კიტინგი კი, პირიქით, არ შეიძლება სხვაში აურიო კაცმა.

— ბილლი, შე მუთაქავ, გაიცინა მაკ კელერმა.

აბა შეუდგეთ საქმეს!

— მე კი იმავე წამს სადარბაზო შემოსავლით გავალ,—სთქვა ედსტრომმა, და მისი სიბერით დაუძლურებული ხმა აღელვებისაგან ათრთოლდა.—შეიძლება ამან ცოტა დავთარი დაუბნიოს მათ.

§ 11.

ადგენ და კიბისაკენ გაემართენ. სწორედ ამ დროს გაისმა ხარის ხმა სადარბაზო კარით. ისინი გაჩერდენ და ერთმანეთს გადახედეს.

— ეს უთუოდ ისინი არიან,—წაიჩურჩულა კიტინგმა.

მაკ კელერი დაეშვა სკამზე და გადასცა ხოლს თავისი ჯოხები.

— ქუდი და პალტო შემოსავალში ჰკიდია-ო სთქვა მან აჩქარებით.—ცდა ბედის მონახევრეა!

მისი სიტყვები ენერგიით ბგერდენ, მაგრამ ხმა კი უთრთოდა ისე, როგორც ედსტრომს. ის აღარც იმე ახალგაზდა იყო, რომ ამ ამბისათვის იუმორსტული თვალსაზრისით შეეხედნა.

ხოლმა და კიტინგმა ჩაირბინეს კიბე, ედსტრომი უკან გაჰყვათ. ხოლმა აიღო ქუდი და პალტო, და, როდესაც მათ მიაღწიეს უკანა კარს, ედსტრომმა სადარბაზო კარი გააღო.

უკანა კარი ეზოში გადიოდა, ეზოდან კი გზა გვერდითი ჰისკრით ხეივანში უხვევდა. ხოლის გული მაგრად სცემდა, როდესაც ის ჯოხებზე ხტებოდა. მას უნდა ევლო ნელა, ისე როგორც მაკ კელერი დადიოდა. კიტინგმა, რომელიც მის გვერდით მიდიოდა, ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი; ის უყვებოდა „მისტერ მაკ კელერს," რომ „გაზეთი" ისეთი ორგანოა, რომელსაც სწამს სახალხო საქმე და თავის თავს მოვალედ სთვლის ყოველ შესაფერ შემთხვევაში ხალხის მხარი დაიჭიროს. ასეთი საუბრით ისინი გავიდენ ჰისკარით ხეივანში. ჩრდილიდან ვიღაც კაცი გამოცურდა და გაჰყვა მათ უკან. ის უკვე სამი ნაბიჯის მანძილზე იყო ხოლისაგან და ათვალიერებდა მას.

მაგრამ საბედნიეროდ უმთვარო ღამე იყო; ხოლმა ვერ გაარჩია სახეები და იმედი ჰქონდა, რომ ვერც ისინი გაარჩევდენ.

იმავე დროს კიტინგი შეუწყვეტლივ განაგრძობდა ლაპარაკს:

— თქვენ გესმით, რა თქმა უნდა, მისტერ მაკ კელერ, რომ საქმის ასეთი ვითარების დროს ძნელია სიმართლის გამორკვევა. როდესაც სხვა გაზეთები სავსეა სიცრუითა და გაზვიადებით, ჩვენ ძალიან ახლოს ვდგევართ მათთვის ნიღაბის ჩამოხდის ცდუნებასთან. მაგრამ ყველაზე უფრო კარგია სიმართლის

გზით სიარული, მაშინ კაცს შეეძლება თავის ჩვენებებზე დაყრდნობა და საჭირო ალარ იქნება საკუთარი სიტყვების უარყოფა.

ალბად ხოლი ძალიან მცირე ყურადღებას აქცევდა ან ქალის დამრიგებელ სიტყვებს, ის იყურებოდა პირდაპირ წინ, სადაც ხეივანი ქუჩაში გადიოდა. ეს ქუჩა სულ ახლო უვლიდა რკინის გზას, მაკ კელერის სახლის გვარდით.

ის ვერ ბედავდა მობრუნებას, მაგრამ ყურს კი ძალიან უგდებდა. უცებ გაისმა ძახილი—ედსტრომის ხმა—გაიქეცით! გაიქეცით!

ხოლმა გაუშვა ხელიდან ჯოხები და მოჰკურცხლა. კიტინგიც უკან დაედევნა. მათ შეესმათ ყვირილი, და მალე, სულ ახლოს მბრძანებელი ხმა:

— შეჩერდით!

ის იყო ხეივანიდან ქუჩაში უნდა გაეხვიათ, რომ გაეარდა რევოლვერი და გაისმა გატეხილი მინის ჩხრიალი პირდაპირ სახლში.

ცოტა მოშორებით რაღაც შენობა იყო, გზა მის გვერდით გადიოდა. მათ მიირბინეს შენობამდე და ფარდულის ამოფარებით, გაიქცნენ მეორე ქუჩაში—რკინის გზაზე. მათ წინ საბარგო ვაგონების გრძელი რიგი გაჭიმულიყო. ისინი გაძვრენ ორი მათგანის ქვეშ, გადავიდენ ბუფერებზე და აღმოჩნდენ ერთ უზარმაზარ ვაგონის წინაშე, რომლის ფარდანთა მკვეთრმა შუქმა მათ თვალი მოსჭრა. შემდეგ მათ გაირბინეს ტენდერის, საბარგო ვაგონის და სალონ-ვაგონის გვერდით.

— აქ არის,—სთქვა კიტინგმა, რომელიც ისე ჭშინავდა, როგორც საბერველი. ხოლმა დაინახა, რომ მატარებელი სამი ვაგონისგან შესდგებოდა, შენიშნა აგრეთვე ლურჯ წინსაფარიანი კაცი, რომელიც ერთ-ერთ ვაგონის საფეხურზე იდგა. ის მივიდა მასთან:

— ჰეი, თქვენ! თქვენს ვაგონს ცეცხლი უკიდია!

— როგორ?—დაიყვირა კაცმა,—სად?

— აქ!—უპასუხა ხოლმა და შეირბინა მის გვერდით საფეხურზე ვაგონში.

გრძელი ვიწრო კორიდორი გადიოდა ვაგონ-რესტორანში, ხოლო მეორე მხრით კი ავტომატიურად დასახურავი კარი იყო.

მან არ მიაქცია ყურადღება კონდუქტორის ძახილს, მივარდა კარებთან, გაიძრო პალტო, გადააგდო ქუდი, ჰკრა ხელი კარს და წარსდგა ბრწყინვალედ განათებულ კუპეში— პირდაპირ ნახშირის მეფის შვილის წინაშე.

§ 12

თეთრი ხავერდი და თხელი მინა ვარდისფერი აბაჟურით შერბილებულ ელექტრონის შუქში ბრწყინავდენ. მაგიდას უსხდენ ექვსიოდე ახალგაზდა კაცი, ქალიშვილები და რამდენიმე ხანში შესული ქალი, ყველანი შავ ტუალეტში. მათ ის იყო გაათავეს პირველი თავი და მხიარულად საუბრობდენ, რომ უეცრად მათ წინ აიბართა ეს მოულოდნელი სტუმარი მაღაროს მუშის ბინძურ კურტკაში. თუმცა ის თავისთავად შიშს არ იწვევდა, მაგრამ მას თან მოჰყვა მსხვილი, გაოფლილი კაცი, ველურის სახის, ძველი ორთქლმავალივით მჭმინავი, ხოლო იმის შემდეგ—კიდევ არა ნაკლებ აფორიაქებული კონდუქტო-

რი. საუბარი შეწყდა, ქალებმა მოიხედეს, ზოგიერთი ახალგაზდა ვაჟები ზეზე წამოხტენ.

ერთი წუთით ღრმა სიჩუმე დამყარდა. შემდეგ გამოვიდა ერთი ახალგაზდა ვაჟთაგანი,—რას ნიშნავს ეს?—იკითხა მან ისეთი კაცის ტონით, რომელსაც აქვს ასეთი კითხვის მიცემის უფლება.

ხოლი მივიდა მასთან. ეს იყო კარგი ტანადი, ზრდილობიანი, მაგრამ მაინც არა არისტოკრატიული სახის ახალგაზდა კაცი.

— ალლო, პერსი!—უთხრა მას ხოლმა.

ახალგაზდა ვაჟის სახეზე უკიდურესი გაოცება გამოიხატა.

ოდნავ გასაგონი ხმა აღმოხდა ერთ-ერთ ახალგაზდა დამას, იმას, რომელსაც დამწვარი შაქრის ფერი თმები ჰქონდა, ვარსკვლავების მაგვარი ბრჭყვიალებით მოფენილი. მისი ღაწვები რძესავით თეთრი იყო ვარდის ელფერით, ხოლო წაბლისფერი, ფართოდ გახსნილი თვალები უკიდურეს გაოცებას გამოხატავდენ. მასზე რბილი ოლივის ფერი საღამოს ტუალეტი იყო, შიშველ ბეჭებს გამჭვირვალე შარფი უფარავდა.

ქალი წამოიწია.

— ეს ხომ ხოლია!—წამოიძახა მან.

— ხოლ უორნერი, გაიმეორა ახალგაზდა ხარიგანმა.—საიდან, როგორ? კარებს უკან ატეხილმა ხმაურმა გააწყვეტინა მას სიტყვა.

— დაიცადე,— დამშვიდებით სთქვა ხოლმა,—ვგონებ ვილაც მოდის კიდევ.

კარები სწრაფად გაიღო, ისე სწრაფად, რომ ბილლი კიტინგი და კონდუქტორი გვერდზე იქნენ გასროლილი, და შემოსავალში ჯეფ კოტონი გამოჩნდა. სამთო ინსპექტორი ძლიერად სუნთქავდა, მისი სახე მონადირის აზარტს გამოხატავდა, მარჯვენა ხელში კი რევოლვერი ეჭირა. მან მიიხედ-მოიხედა, დაინახა ორი კაცი, რომელებსაც ის დაეძებდა, დაინახა აგრეთვე ნახშირის მეფის შვილი და დანარჩენი განცვიფრებული საზოგადოება და გაშეშდა როგორც სარი.

კარი ისევ გაიღო და მიაგდო გვერდზე კოტონი; შემოვარდა კიდევ ორი კაცი, ორივე რევოლვერებით ხელში; პირველი პიტ ხენემი იყო; ისიც ისე გაშეშებული გაჩერდა. ამ თვითონ „კბილების ჩამლეწავს“ ორი კბილი აკლდა, ეს შესამჩნევი ხდებოდა როდესაც მისი ყბა ძირს ეშვებოდა. ეს უეჭველად მისი პირველად შეხვედრა იყო მაღალ საზოგადოებასთან; ის ისე ჰგრძნობდა თავს, როგორც შაქრის მოპარვის დროს დაჭერილი პატარა ბიჭი.

პერსი ხარიგანის ხმას კიდევ უფრო მეტი მბრძანებლობა დაეტყო.

— რას ნიშნავს ეს?—იკითხა მან.

ხოლმა უპასუხა:—მე დავეძებ დამნაშავეს, პერსი.

— როგორ?

ქალებმა შეშინებით წამოიკვნესეს.

— დიახ დამნაშავეს: კაცს, რომელმაც მაღარო დახურა.

— მაღარო დახურა?—გაიმეორა ხარიგანმა;—რის თქმა გინდა შენ მაგით

— ნება მომეცი აგიხსნა, მაგრამ უწინარეს ყოვლისა მე მინდა წარმოგიდგინო ჩემი მეგობრები: ხარიგან, ჩემი მეგობარი კიტინგი.

ბილლის უცებ გაახსენდა, რომ მას ქუდი ახურავს; მან უცებ მოიხადა იგი, მაგრამ სხვა ზრდილი მანერები ჯერ კიდევ არ დაემუშავებინა. მას შეეძლო მხოლოდ თავის წინ ყურება; ის კიდევ მძიმედ ქშინავდა.

— ბილლი რეპორტიორია,—სთქვა ხოლმა,—მაგრამ ამან შენ არ უნდა შეგაფიქრიანოს—ის ჯენტლმენია და შენს ნდობას ბოროტად არ გამოიყენებს. ხომ ასეა, ბილლი?

— დ-დიახ,— ჩუმად წაიბუტბუტა მან.

— ეს კი—ჯეფ კოტონია, სამთო ინსპექტორი ნორტ-ვალში. შენ ხომ იცი, პერსი, რომ ნორტ-ვალის მაღაროები საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიას ეკუთვნის. კოტონ,—ეს მისტერ ხარიგანია.

კოტონსაც გაახსენდა თავის მბრით ქუდი და რევოლვერი, რომლის დამალვასაც ის ზურგს უკან სცდილობდა.

— ეს კი,—განაგრძობდა ხოლი,—პიტ ხენემია, პროფესიით „კბილების ჩამლეწავი“; მეორე, რომელსაც მე არ ვიცნობ, ალბად მისი თანაშემწე იქნება.

ხოლი განაგრძობდა ლაპარაკს და თან ზრდილ მანერებს იცავდა, რომ საშუალება მიეცა თავისათვის შემდეგი მოქმედების გეგმა გამოემუშავებინა. ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ ტაქტიკას მიიღებდა იგი. გაიწვიოს გვერდზე პერსი და მისი კაცთმოყვარეობით დაიმედებულმა—გადასცეს მთელი ამბავი დაწვრილებით? არა ასეთი გზით ხარიგანებისაგან ვერაფერს გაიტან! ძალდატანებით ამაღლდენ ისინი და ძალდატანებით შეიძლება მხოლოდ მათზე იმოქმედოს კაცმა! პერსიზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა გავლენის მოხდენა, თუ მას მიმართავდა იგი ყველა სტუმრების თანდასწრებით, აუხსნიდა მდგომარეობას და გამოიყენებდა მათ თანაგრძნობას, და ამრიგად ძალას დაატანდა მას.

ნახშირის მეფის შვილი სულ ახალ-ახალ კითხვებს იძლეოდა. რას ნიშნავს ეს? ხოლმი უამბო ხალხის მდგომარეობა მაღაროში.

— მათ არა აქვთ არც საჭმელი, არც ტანისამოსი, გარდა იმისა, რაც სადილისთვის არ წაიღეს. ხოლო აფეთქებიდან კი უკვე სამ დღე ნახევარი გავიდა! ისინი სულის შემხუთავი ჰაერით სუნთქავენ; თავი სტკივათ, ენა უხმებათ, ისინი ჰკოიან მიწაზე და ჰკვნესიან! ისინი ელოდებიან.—ერთად ერთი იმედი, რომელიც კიდევ ასულდგმულებს იმათ, დამყარებულია მათ მეგობრებზე, რომლებიც უნდა მივიდენ და მიეშველონ მათ. ისინი ვერ ბედავენ მათ მიერვე აშენებული ბარიკადების დანგრევას, ვინაიდან შხამიანი გაზები მაშინვე მოსწამლავს იმათ. მაგრამ მათ იციან, რომ მხსნელები მოვლიან, ყურს უგდებენ, ხომ არსად ისმის ნაჯახის ხმა... ან წერაქვის... აი რა მდგომარეობაშია საქმე.

ხოლი გაჩუმდა და ელოდა, გამოჩნდება თუ არა ახალგაზრდა ხარიგანის სახეზე აღელვების ნიშნები; მაგრამ ეს არ მოხდა, და ხოლმა განაგრძო:

წარმოიდგინე მხოლოდ, პერსი, მაღაროში მოექცა მოხუცი ირლანდიელი, მისი ცოლი და შვიდი შვილი ამაოდ ელოდებიან ცნობას—ცოცხალია

იგი თუ მკვდარი. მე ვიცი ერთი ქალი, რომელსაც მაღაროში ქმარი და სამი შვილი დარჩა. უკვე სამ-დღე ნახევარი სდგანან ქალები და ბავშვები მაღაროში ჩასასვლელ ადგილთან; მე ვნახე, როგორ სხედან იმ ხრიოკ მიწაზე თავებ დახრილი, ზოგიც მაღლა ამართული მუშტებით სწყევლიან დამხმარეებს, რომლის ბრალიც ეს არის.

პაუზა.

— დამხმარეებს? —გაიმეორა ახალგაზდა ხარიგანმა. მე როგორღაც არ მესმის.

— შენ არ დაიჯერებ, რომ ეს ნამდვილად ასეა: არაფერი არ იყო გაკეთებული ხალხის გადასარჩენად. დამნაშავემ გასცა ბრძანება ფიცრებით და ბრეზენტით დაეხურათ მაღაროში ჩასასვლელი ადგილი.

მაგიდის გარშემო მსხდომ სტუმრებში საშინელების გამომხატველი ჩურჩული გაისმა.

— შენ ეგებ ვერც კი გაიგო ეს; მიზეზი არის ხანძარი მაღაროში. საევნტილიაციო მანქანა, თუ იქნა ამუშავებული, დაიწვის ნახშირი, მაგრამ სამაგიეროდ, ქვამლისაგან გზების გაწმენდის შემდეგ, რამდენიმე კაცის გადარჩენა მაინც შეიძლება. საჭირო იყო არჩევანი ქონებისა და სიცოცხლის შორის, და დამნაშავემ საკითხი ქონების სასარგებლოდ გადასწყვიტა. ის ფიქრობს ერთი ორი კვირა შეიცადოს, ვიდრე ხანძარი შესწყდება; მაგრამ იმ დროს უკვე, რა თქმა უნდა, არც ერთი მუშა და მოხარდი ცოცხალი აღარ იქნება.

ჩამოვარდნილი სიჩუმე ახალგაზდა ხარიგანმა დაარღვია.

— ვინ ჩაიდინა ეგ?

— ინოხ კარტრაიტმა.

— ვინ არის იგი?

როდესაც გითხარი წელან, რომ მე დამნაშავეს დაეეძებ მეთქი, ცოტა შეცდომაში შეგიყვანე, პერსი, მაგრამ მე გონება უნდა მომეკრიბა.—ხოლმა ღრმად ამოისუნთქა, მისი ხმა ეხლა უფრო მკვეთრად ბგერდა, ფრაზებს შოლტივით გაჰქონდა ტლაშუნი.

— დამნაშავე, რომლის შესახებაც მე გითხარი, ეს მაღაროს მთავარი ზედამხედველია. კაცი, დაყენებული საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის მიერ, და ეს კომპანია ხელს უწყობს მის ავტორიტეტს. მაგრამ სდევნიან არა იმ დამნაშავეს, რომელმაც დახურა მაღარო, არამედ იმ ადამიანს, რომელიც ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა იმის გასაღებად. სწორედ იმასა სთვლიან დამნაშავედ, ვინაიდან, არც სახელმწიფოებრივისა და არც ადამიანურ კანონებს საყოველთაო სათბობი მასალის კომპანია არ ასრულებს. მას თავშესაფერი უნდა მოეძებნა შენს ვაგონში, რომ თავისი სიცოცხლე გადაერჩინა დაჭირავებული მკვლელებისაგან, რომლებიც კომპანიას სამსახურში ჰყავს აყვანილი.

§ 13

ხოლი კარგად იცნობდა ამ ხალხს, იცოდა ამ მჭუხარე მეხის მოქმედება, რომლითაც მან გააყრუა ისინი. ამ ხალხისათვის კარგი ტონი ყოველგვარ სი-

კეთეზე მაღლა სდგას. მან იცოდა, თუ რამდენად შეუფერებელი ის ეხლა მათთვის. თუ მას მათი თანაგრძნობის მოპოება უნდოდა, მას უნდა აეხსნა რა მიზეზითაც გაჩნდა იგი ხარიგანის ტერიტორიაზე.

— პერსი,—განაგრძობდა ხოლი,—გახსოვს, მარშან უნივერსიტეტში რა ხშირად მლანძღავდი შენ იმის გამო, რომ მე ვითომც ძალიან გულმოდგინედ ვუგდებდი ყურს „მეამბოხეებს." შენ ამას პირად შეურაცყოფად სთვლიდი, დარწმუნებული იყავი, რომ მთელი იმათი ამბები სიცრუეა მხოლოდ, მაგრამ მე პირადად მინდოდა დავრწმუნებულიყო ამაში და ამისთვის წავედი მაღაროებზე სამუშაოდ. მე ვნახე აფეთქება, ვნახე თუ როგორი გინებით და მუშტებით ერეკებოდა აი ეს ჯეფ კოტონი ქალებს და ბავშვებს მაღაროში ჩასასვლელიდან. მე გამოვიდევი თავი, მინდოდა მივშველებოდი მათ, ხოლო სამთო ინსპექტორმა კი მაღაროებიდან გამომაგდო. გარდა ამისა მან მითხრა მე კიდევ, რომ, თუ დროზე არ წავეთრევი აქედან, შეიძლება ერთ ბნელ ღამეს რაღაც შეემთხვეს. დღეს კი, როგორც ხედავ, ღამე საკმაოდ ბნელია.

ხოლი შეჩერდა, რომ საშუალება მიეცა ახალგაზდა ხარიგანისათვის რაც შეიძლება ნათლად წარმოედგინა მთელი ეს საქმე; მაგრამ ის თითქოს სრულებით არ ამჩნევდა სამთო ინსპექტორსა და მის რევოლვერს.

ხოლმა სცადა კიდევ.

— ამ ხალხს სრულიად გულგრილად შეეძლო მოვეკალი; რამდენიმე წუთის წინად მან მე რევოლვერი მესროლა; ინსპექტორს რევოლვერი ხელში უჭირავს და მასში კიდევ არის წამლის სუნი. ამიტომ მიველი მე ნება ჩემს თავს, რომ შენს ვაგონში შემოვარდნილ იყავ, პერსი. საქმე ჩემი სიცოცხლის გადარჩენას შეეხებოდა, და უნდა მაპატიო.

ნახშირის მეფის შვილმა ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით, რომ თავისი სულგრძელობა გამოეშკარავებინა.

— რა თქმა უნდა, ხოლ, შენ კარგად მოიქეცი, რომ მოხვედი აქ. თუ ჩვენი მოსამსახურეები ევრე იქცეოდენ, ეს არ არის ღირსი არავითარი გამართლების, და ისინი დაისჯებიან ამის გულისათვის.

ის ლაპარაკობდა მშვიდი, დაჯერებული კილოთი, როგორც საერთოდ ხარიგანებს სჩვეოდათ. ჯეფ კოტონმა და მაღაროს პოლისმენებმა დაიხიეს უკან, ისინი მკვდრებივით იქვნენ.

— გმადლობ, პერსი,—უთხრა ხოლმა.—მე ვიცოდი, რომ შენ ამას სწორედ იგრეც შეხედავდი. ძალიან ვნანობ, რომ სადილი შეგაწყვეტინეთ.

— ეს არაფერია, ხოლ, აქ ხომ ყველანი ჩვენები არიან.

— იცი რა, პერსი, საქმე მარტო ჩემში კი არ არის, არამედ იმ ხალხშიც, რომელიც ეხლა მაღაროში იმყოფება. ისინი კვდებიან, ძვირფასია ყოველი წუთი. საჭირო იქნება, სულ მცირე, ერთი დღე მაინც, რომ მათთან მისვლა შესაძლებელი გახდეს, იმ ხანამდე ისინი უაღრესად დაუძლურდებიან!

ხოლი ისევ უცდიდა სიჩუმე მეტად სამძიმო ხდებოდა. აქამდე სტუმრები მას შეჰყურებდენ, ეხლა კი ახალგაზდა ხარიგანს დაუწყეს ყურება, და იმანაც იგრძნო ეს.

— მე, მართალი გითხრა, არ ვიცი, რა გსურს ჩემგან. მამაჩემის მოსამსახურენი კომპეტენტური ხალხია, მე კი მეტად გამოუცდელი და უმეცარი ვარ ამ საქმეში იმისათვის, რომ მათ განკარგულება ვაძლიო.— ეს ყველაფერი ისევ ქრისტიანულად გაისმოდა, მაგრამ ხოლი ისე დაკვირვებით შესცქეროდა პერსის, რომ მან მაინც უხერხულად იგრძნო თავი.— რა შემიძლია, რომ გავაკეთო?

— შენ შეგიძლია გასცე განკარგულება, რომ მაღარო გააღონ, რომ მოატრიალონ და აამუშაონ სავენტილაციო მანქანა. შესაძლებელი გახდება ხალხის გადარჩენა, თუ მაღაროს გაზისა და კვამლისაგან გასწმენდენ.

— გარწმუნებ, ხოლ, რომ მე არა მაქვს მაგის უფლება.

— მაშ მიითვისე ეგ უფლება! მამაშენი ნიუ-იორკშია, კომპანიის მოსამსახურენი დამშვიდებით განისვენებენ საწოლებში, მაგრამ შენ პოსტზე იმყოფები!

— მაგრამ მე ხომ არაფერი გამეგება ამ საქმის, ხოლ! საქმის მდგომარეობის შესახებ ვიცი ის, რაც შენ მიამბე. ის კი არა, რომ მე ვითომც საეჭვოდ მიმაჩნდეს შენი სიტყვები, მაგრამ ხომ ყოველ ადამიანს შეუძლია შესცდეს.

— აბა წადი და ნახე თვითონ, პერსი. მეტს მე არაფერს არ ვითხოვ შენგან. ეს ხომ ისევ ადვილია: შენი ორთქმავალი მუშაობს, უბრძანე, რომ მატარებელი ნორტ-ვალის ხაზზე გადაიყვანონ—ნახევარი საათის შემდეგ იქ ვიქნებით. შემდეგ ნება მომეცი წაგიყვანო მე შენ იმ პირებთან, რომლებმაც კარგად იციან ეს საქმე. ისეთ პირებთან, რომლებსაც მთელი თავისი სიცოცხლე მაღაროებში უმუშავნიათ და ბევრი მსგავსი კატასტროფა გადაუტანიათ, ისინი გეტყვიან თქვენ სიმართლეს, რომ ჯერ კიდევ არსებობს ხალხის გადარჩენის შესაძლებლობა და რომ ამ შესაძლებლობას არ იყენებენ მხოლოდ იმისათვის, რომ გადაარჩინონ ნახშირი და მარწუხები, სულ რამდენიმე ათას დოლარად ღირებული.

— თუნდ ეს ეგრეც იყოს, მე უძლური ვარ, ხოლ.

— შენ თუ ზევით, ნორტ-ვალში, იქნები, ერთ წუთში შეგეძლია მოაწესრიგო ყოველივე. ის, რასაც იქ ზედამხედველები სჩადიან, მხოლოდ სიბნელის ქვეშ თუ შეიძლება რომ ხდებოდეს.

ხარიგაბუჭლმა ხასიათმა დაიწყო შერბილება ხოლის მხურვალე დაჟინების ზეგავლენით, და ნახშირის მეფის შვილი ჩვეულებრივ დარცხვენილ ყმაწვილ კაცად გადაიქცა. მაგრამ მისკენ მაინც მეტი ძალა იყო, ვიდრე ხოლის მხარეზე. პერსიმ გაიქნია თავი.— ეგ მოხუცის საქმეა, ხოლ, მე არა მაქვს ჩარევის უფლება.

როდესაც ხოლმა დაინახა, რომ ის მარცხობს, მან მიმართა სხვებს. მისი თვალთახედვა გადადიოდა ერთი სახიდან მეორეზე და ბოლოს შეაჩერდა ჟურნალის კაციდან გადმოღებულ თავზე, ფერით, გაოცებულ, წაბლისფერ თვალებზე.

ქალიშვილი შეკრთა, მის სახეზე შიში გამოიხატა.

— რა გინდა, ხოლ?

— უთხარი მას, რომ მან უნდა გადააჩინოს ისინი.

წუთები, რომლის განმავლობაში ის პასუხს ელოდა, საუკუნეებად გადაიქცენ. წაბლისფერი თვალები ძირს დაიხარა.

— მე არაფერი გამეგება ამ საქმის, ხოლ.

— ჯესი! მე ხომ ყველაფერი აგიხსენით! მუშები და მოზარდები სიკვდილის ჰირში არიან მიცემული, და ეს იმისათვის, რომ მცირეოდენი ფულები გადააჩინონ. ნუ თუ ეს საკმაოდ ნათელი არ არის?

— მე საიდან უნდა ვ ი ც ო დ ე, რომ ეგ ეგრეა, ხოლ?

— მე მოგეცი სიტყვა, რომ ეს ასეა, ჯესი. მე არ მოგმართავდი შენ, თუ დარწმუნებული არ ვიყო, რომ ეს ნამდვილად ასეა.

ქალი კიდევ მერყეობდა. ხოლის ხმაში ნაზი ტონი გაისმა:

— ჯესი ძვირფასო!

როგორც მოჯადოებულმა ისე ამართა მან თვალები ვაჭზე; ხოლი ხედავდა, რომ წითელმა ელფერმა დაჰფარა ჯესის სახე და ყელი.

— ჯესი, ვიცი, რომ ბევრს მოვითხოვ მე შენგან; შენ არასოდეს უხრდელი არა ყოფილხარ მეგობრების მიმართ მაგრამ, მე მაინც მახსოვს, თუ როგორ დაიწყე შენ ერთხელ ყველა შენი ქარგი მანერები, როდესაც ჭუჭაში ვილაც ბებერ ცხენსა სჯიდა. განა არ გახსოვს, რომ ველურივით ეტაკე შენ მას? აქ კი—იფიქრე, ჩემო ჯესი, ამაზე—აქაც სასიკვდილოდ იმეტებენ ბებერს, ტვირთის მზიდავ ცხოველებს, მაგრამ ცხენებს კი არა, მუშებს, ადამიანებს!

ქალი ისევ შესცქეროდა მას, ხოლმა შენიშნა ნაღველი, დაფახტულობა მის თვალებში, მის ლოყებზე ცრემლები ჩამორბოდენ.

— ახ, მე არ ვიცი, ა რ ვ ი ც ი!—სლოკინებდა იგი, ბოლოს სულ ატირდა და სახეზე ხელები მიიფარა.

§ 14

მომაკვდინებელი სიჩუმე. უცებ ხოლის ყურადღება შეჩერდა ერთი ჭალარა დამაზე შაე ტუალეტში, მარგალიტის მძივებით ყელზე.

— მ ისსის კერტის! ურჩიეთ თქვენ მას იქ წასვლა!

ჭალარა დამამ ყურები აცქვიტა. ნუ თუ ამ ახალგაზრდა კაცის უტიფრობას საზღვარი არა აქვს?

ის ხედავდა, თუ როგორ სტანჯავდა იგი ჯესის, მაგრამ ჯესი მისი საცოლეა, ხოლო მისისის კერტისისადმი კი მას არავითარი საქმე არა აქვს.

— მე ცერ ვიკისრებ გამბედაობას, დარიგება ვაძლიო ჩემს სტუმართმოყვარე მასპინძელს.

— მისისის კერტის! და თქვენ კიდევ უპატრონო ძაღლებისა და კატების თავშესაფარი დაარსეთ;—კინალამ არ წამოსცდა ხოლს, მაგრამ მან შეიკავა თავი და განაგრძო თვალებით ძებნა ისეთი დ მსწრის, რომელიც დაარწმუნებდა ხარიგანს, რომ გამგზავრებულიყო იგი ნორტ-ვალში.

მისსის კერტისის გვერდით რეჯი პორტერი იჯდა. ხმოკინგში დაბნეული ვარდით. ხოლმა იცოდა, თუ როგორი იყო მისი როლი აქ: მაცხონებლის დასაყრდენი, მდიდართა თაყვანის მცემელი, მოწყენილთა შემქცევი. საწყალი რეჯი მხოლოდ და მხოლოდ სხვისი სიცოცხლით სცოცხლობდა; მისი სული ყოველთვის სხვისი აღტაცებით იწოდა; ის სულდგმულობდა მათი რაუტებისათვის მომზადებით და ჩატარებული ზეიმების ქება-დიდებით. მისი სული ანგარიშით ათსებობდა, ეძებდა სხვადასხვა შესაძლებლობას, ტაქტით და ელეგანტობით ანაზღაურებდა ფულის სიმცირეს. ხოლისთვის საკმაო იყო ერთი შეხედვა; წვეტიანი პატარა შავი წვერი თითქოს არწია მაღლა, და ხოლმა ზიზღით შეამჩნია, რომ რეჯი მხოლოდ იმას ელის, რომ მასაც შეეკითხონ. მაშინ ის თავისი პასუხებით კიდევ უფრო ასწევს თავის აქციებს ხარიგანის ბანკში.

რეჯის პირდაპირ ევნევიევა ხოლსეი იჯდა, დიდი თიოქმის მონუმენტალური ქალი. ის წააგავდა ხარის თვალებიან გერას, მისგან მოსალოდნელი იყო ამაღლებული გრძნობები; მაგრამ უფრო დაახლოებით გაცნობის შემდეგ აშკარა ხდებოდა, რომ მისი სული მაღლა არ მიფრინავს და მხოლოდ საკუთარი თავი ახსოვს. მის გვერდით ბობ კრესტონი, ახლად გაპარსული, ვარდისფერი, კარგი უმაწვილი გატაცებული ჯანსაღი ვნებით—მოვაჭრეშეთა კლუბებში პრიზების მიღებით და სახელმწიფო მილიციაში ერთი საუკეთესო მსროლელთაგანის სახელის მოხვეჭით.

ეს მხიარული ბობი, რა თქმა უნდა მონახავდა თავის კეთილ გულში საპირო სიტყვას, მაგრამ ის ყურებამდე ჩაფლული იყო პერსის ნაოესავის, ბეტი ხენისონისადმი სიყვარულში, რომელიც მის პირდაპირ უჯდა მაგიდას. ხოლი ნათლად ხედავდა როგორ გაანათეს ბეტის შავმა თვალებმა, როგორ შეიკუმშენ მისი პატარა მუშტები, როგორ იჭამდა იგი ჩარბებს ისე, რომ ისინი სულ გათეთრდენ.

ხოლს ესმოდა ბეტის ბუნება—ის იმ ხარიგანების ოჯახს ეკუთვნოდა, რომლებიც ცდილობდენ, რაც კი შეეძლოთ, რომ მეწვრილმანის შვილები უმაღლესი „ათი ათასის“ წინამძღოლები გამხდარიყვნენ.

ბეტის გვერდით ვივი კესი იჯდა, რომელიც სულ მუდამ ცხენებზე, ძაღლებზე და სხვა არა ქალურ საგნებზე ლაპარაკობდა; ერთხელ ხოლმა სიტყვა ჩამოაგდო მისი თანადასწრებით სოციალურ თემებზე. მან გამოსთქვა თავისი შეხედულება ერთადერთ გაკერითი ფრაზაში:—თუ ადამიანი დანიდან სჭამს, მე მას ისე ვუცქერი, როგორც ჩემს პირად მტერს.

ვივის მხარს იქით მოსჩანდა ფიზიონომია გაწყალებული თვალებით და ყვითელი ულვაშებით—ეს იყო ბერტ ეტკინსი, ცინიკური და ყველაფერში გულგატეხილი, რომელსაც გაზეთები, კლუბმენს უწოდებდენ, ხოლო ხოლის ძმა კი „შინაური კატას“ ეძახდა. შემდეგ ისხდენ—დიკი ეკერსონი, რომელიც, ისე როგორც ხოლი, ქალების გულის დამპყრობლად ითვლებოდა და მეტი არაფერი; ბილლი გარისი—ნახშირის მეორე მაგნატის შვილი, მისი და დეზი და ბლანშ ვეგლმენი, რომლის მამა მოხუცი პიტერის პირველი ვექილი იყო, ხოლო ძმა—ქალაქის საბჭოს ხმოსანი და პედროს „ვარსკვლავის“ გამომცემელი.

ასე დაეხეტებოდენ ხოლის თვალები ერთი სახიდან მეორეზე და აზრები— ერთი პიროვნებიდან მეორე პიროვნებაზე, მას ეკონა, თითქოს იგი ხსნიდა ხვეულს, მის მიერ ნახევრად დავიწყებული ქვეყნის პანორამას, მსგავსება ჰქონდა ფიქრის დრო, მხოლოდ სურაფმა ყოვლის დამფარავმა შთაბეჭდილებამ მოიცვა იგი. ისიც ამ სამყაროში სკხოვრობდა წინად, იღებდა მას, როგორც სავალდებულო რამეს. ის იცნობდა ამ ხალხს, ატარებდა დროს მათთან, ისინი მისი მეგობრები იყვნენ, სიამოვნობდა ისინი მას და საერთოდ გულკეთილ ხალხად ეჩვენებოდა. და აი როგორი ცვლილება არის ეხლა! ისინი უკვე მეგობრებად აღარ ეჩვენებოდნ მას! ეს ხალხი შეიცვალა თუ ხოლი გახდა იმდენად სხვანაირი, რომ დაინახა მათი ეს ახალი, საშინელი სახე—ცივი, თანაგრძნობას მოკლებული, გულგრილი, როგორც ვარაკვლავები, იმათი ბედის მიმართ, ვინც იქ, მალაროების სიღრმეში იხოცებოდენ!

ხოლის თვალები ისევ პერსის სახეზე შეჩერდენ, და მან დაინახა რომ ნახშირის მეფის შვილი გაფითრებული იყო სიბრაზისაგან.

— გარწმუნებ, ხოლ, რომ მთელი ეს ამბავი უაზრობა არის. მე არა ვარ განწყობილი საიმისოდ, რომ ჩემზე ასეთი ძალადობის მოტანა მოვითმინო.

და პერსიმ უცებ მიმართა სამთო ინსპექტორს;

— კოტონ, როგორია თქვენი აზრი? ისეთია მდგომარეობა, როგორც მისტერ უორნერმა დაგვიხატა?

— შენც იცი, თუ რას გიპასუხებს ეს კაცი,—ჩაურთო ხოლმა.

— მე არ ვიცი ეს—გაისმა პასუხად,—მაგრამ მინდა გავიგო. აბა კოტონ — ის სცდება, მისტერ ხარიგან.

სამთო ინსპექტორის ხმა მკვეთრი იყო და ტონით ჯიუტი.

— რა მხრით?

— კომპანია ყოველ ღონისძიებას ხმაროპს, რომ გააღოს მაღარო, და ასე იქცეოდა თავიდანვე.

— ო!—საზეიმო ტონით წარმოსთქვა პერსიმ.

— მაშ რა მიზეზია დაგვიანების?

— საევენტრილიაციო მანქანა სულ დაილეწა აფეთქების დროს, იძულებული ვიყავით დაგვედგა ახალი. მის მოსაწყობად კი დრო იყო საჭირო.

პერსიმ მიმართა ხოლს.

— ხედავ? სხვა და სავანაირად შეიძლებოდა ამ საქმის შეხედვა.

— რა თქმა უნდა!—წამოიძახა ბეტი ხენისონმა, და შავი თვალები მრისხანედ შეანათა ხოლს; მას აიდევ რალაც უნდა ეთქვა მისთვის, მაგრამ ხოლმა გააწყვეტინა. ხოლი სულ ახლოს მივიდა ხარიგანთან.

— პერსი,—უთხრა მან ჩუმად,—წამოდი წავიდეთ იქით. მე მინდა ცალკე გითხრა ცოტა რამ.

ხოლის ხმაში რალაც დაფარული მუქარის მაგვარი ისმოდა; მან თაეის გადაქნევით უჩვენა ვაგონის შორეული კუთხე, სადაც ორი ფარეში-ზანგი იდგა მხოლოდ. როდესაც ახალგაზდა ვაქეები მიეიდენ, ისინი საჩქაროდ წავიდენ იქიდან. ხოლი შეება ნახშირის მეფის შვილს.

§ 15

ხოლი იცნობდა პერსი ხარიგანს იმდენად, რამდენადაც სტუდენტები საერთოდ იცნობენ ერთი მეორეს. ის არ იყო გულქვა, როგორც მისი მოხუცი მკაცრი მამა, ის მხოლოდ სიცოცხლით სტკბებოდა როგორც ადამიანი, რომელსაც არაფერი არ აკლია; იყო სუსტი, როგორც ისეთი ადამიანი, ვისაც არასოდეს არა ჰქონია შემთხვევა მიეღოს გაბედული გადაწყვეტილება. მისი ოჯახის ქალებმა ისე აღზარდეს იგი, რომ მას „მაღალი საზოგადოების" წევრად ყოფნა შესძლებოდა. ყოველთვის შთაგონებული ჰქონდა მას საკუთარი აღმატების შეგნება. ხარიგანების ცხოვრებაში იყო ერთი მტანჯველი მოგონება მეწვრილმანის ყუთი, და ხოლმა იცოდა რომ პერსის უმაღლეს მისწრაფებას შეადგენდა ის, რომ მას ნამდვილი, ჭეშმარიტი ხელგაშლილი არისტოკრატის სახელი დაემსახურებინა. სწორედ ამით ისარგებლა ხოლმა, როდესაც ის შეტევაზე გადავიდა.

მან დაიწყო ბოდიშის მოხდით, რომ ახალგაზდა ხარიგანში შეურიგებელი განწყობილება შექმნა; ის არასოდეს ასეთ სცენას არ მოაწყობდა, მაგრამ დაქირავებულმა მკვლელებმა, რომლებიც მის სიცოცხლეს უქადდენ აიძულეს იგი ასე მოქცეულიყო. ღმერთმა დასწყევლოს, რა საძაგლობა ყოფილა, როდესაც ღამე მოგდევენ და თან რევოლვერს გესვრიან. მან სავსებით დაჰკარგა თავდაჭერილობა, ისე როგორც ის ზოგიერთი მანერები, რომლებიც მან მაღაროს მუშის თანაშემწედ ყოფნის დროს შეირჩინა კიდევ. ის კარგად ჰგრძნობს რომ სასაცილო იყო, იცის, თუ, როგორი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ყველაზე. ამ სიტყვებთან ერთად ხოლმა დახედა თავის ჭუჭყიან სამუშაო კურტკას, შემდეგ პერსის შეხედა. მან შენიშნა, რომ აქამდე ახალგაზდა ხარიგანი ეთანხმება მას,—რა თქმა უნდა ის სასაცილო იყო და თან პერსიც სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა. უკანასკნელ გარემოებას ძალიან ნანობს ხოლი; ეს მეტად სამწუხაროა, მაგრამ უკვე ძნელია მისი გამოსწორება, ეხლა საქმე გახმაურებულია და მისი მიჩქმალვა აღარ შეიძლება. ხოლი, რა თქმა უნდა, შესძლებდა, რომ ჩაეჩუმებია მეგობარი რეპორტიორი, სამთო ინსპექტორი და მისი თანამგზავრები,—მაგრამ ნაცნობების გაჩუმება კი შეუძლებელი იყო. ერთ მშვენიერ დღეს ეს ამბავი მოეფინება მთელ უესტერნ სიტის—გასაოცარი, მელოდრამატიული ამბავი მაღაროს მუშის თანაშემწის შესახებ ნახშირის მეფის შვილის საკუთარ მატარებელში!

— შენ უნდა მიიღო მხედველობაში, პერსი, რომ ეს ამბავი სამუდამოდ დაუკავშირდება შენს სახელს, შენი დღევანდელი მოქცევის მიხედვით იმსჯელებენ შენს შესახებ მანამდე, ვიდრე ცოცხალი იქნები.

— მე ვბედავ ვიფიქრო, რომ გავუძლებ ჩემი მეგობრების კრიტიკას.— უპასუხა პერსიმ, რაც შეიძლებოდა ხარიგანული ტონით.

— შენ კიდევ შეგიძლია შეატრიალო საქმე ისე, როგორც მოისურვებ,— შეუბრალებლად განაგრძობდა ხოლი.—ქვეყანა იტყვის: ის დოლარების მხარეზე იდგა, თუ ის იდგა ადამიანთა სიცოცხლის დაცვის მხარეზე. პერსი, შენს

ოჯახს, რა თქმა უნდა, არც ისე უჭირს ფული! ამ მოგზაურობაზე შენ ხომ გაცილებით მეტი ფული დაგეხარჯა.

ხოლი გაჩუმდა, მან დაფიქრების დრო მისცა თავის მსხვერპლს.

მას შედეგად მოჰყვა ისეთი ფრაზა, რომელიც მოხუცი პიტერის ღირსი იყო: კი, მაგრამ შენ რა სარგებელს ელი აქედან?

— პერსი,—უპასუხა ხოლმა,—შენ მშვენივრად იცი, რომ არავითარს. თუ შენ არ შეგიძლია ამის გაგება, წარმოიდგინე, რომ ჰკუაზე შეშლილ ადამიანთან გაქვს საქმე. მე იმდენი საშინელება ვნახე, ისე ამაღელვა ამ დღემ, კოტონს ექვს ტყვიანი რევოლვერი აქვს პერსი! მე შეშლილსა ვგავარ!—ახალგაზდა მაღაროს მუშის წაბლისფერმა თვალებმა ისეთი ველური გამომეტყველება მიიღო, რომ ის უფრო ძლიერ ადამიანს დააორწმუნებდა, ვიდრე პერსი ხარიგანი იყო,—მე მხოლოდ ერთი ფიქრი მიტრიალებს თავში,—პერსი,—მაღაროს მუშების გადარჩენა! შენ ძალიან სცდები, თუ ვერ ამჩნევ ჩემს სასოწარკვეთილებას. აქამდე მე ვინახავდი ინკოგნიტოს, ვიყავი მხოლოდ ჯო სმიტი, მაღაროს მუშის თანაშემწე!.. რომ ნება მიმეცა გაეგოთ, თუ ვინა ვარ მე, რომ გამომეცხადებინა ჩემი ნამდვილი სახელი—ისინი ალბად მაინც არ გააღებდენ მაღაროს, მაგრამ მე ბევრი უსიამოვნების მიყენება შემეძლო საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიისათვის. მე ეს არა ვქენი, რადგან ვიცოდი, რაც სკანდალი მოჰყვებოდა ამას და რითაც ვარ დავალებული მე მამაჩემისაგან, მაგრამ, როდესაც მე ვიფიქრებ, რომ სხვა გზა არ არის, როდესაც საქმე შეეხება კითხვას—დაიღუპოს ის ხალხი თუ არა, მაშინ ფეხებზე მკიდია ყველაფერი! ეს შეგიძლია შენ უთხრა მამაშენს: უთხარი აგრეთვე, რომ მე ვიმუშრებოდი კიტინგის ამხედრებით ამ საქმის გასახმაურებლად,—კომპანიაზე საჩივრის შეტანით, გუბერნატორთან წასვლით, თუ საჭირო იქნებოდა, რომ მშვიდობიანობის დარღვევით და ქუჩაში თავის დაპატიმრების ნების მიცემით, რომ ამით კიდევ მეტი ალიაქოთი გამომეწვია.

ხარიგანი პასუხს არ აძლევდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ მას ესმოდა ყველაფერი.

— მეორე, მხრით, თუ შენ მოინდომებ ამას, კიდევ შეგიძლია საქმე უკეთ შეატრიალო. მოგზაურობის დროს შენ ყური მოჰკარი მომხდარ უბედურებას, გაეშურე ნორტ-ვალში. უბრძანე მაღაროს გაღება და გადაარჩინე შენი მუშების სიცოცხლე. აი როგორ დაიწერება გაზეთებში ეს ამბავი.

ხოლმა, რომელიც დაკვირვებით ადევნებდა თვალს თავის მსხვერპლს, ეძებდა, თუ როგორ მისდგომოდა მას, შენიშნა რომ შემცდარი გზით ცდილობდა ემოქმედნა მასზე: რაც არ უნდა პრიმიტიული ყოფილიყვნენ ხარიგანები. მათ მაინც იცოდენ, რომ არისტოკრატიული არ არის საკუთარი თავის წინ წამოყენება მთელი ქვეყნის დასანახავად.

— კარგი, სთქვა ხოლმა აჩქარებით,—თუ შენთვის უფრო სასიამოვნო იქნება, შენს სახელს სრულებით არ მოიხსენებენ. მაღაროების ზედამხედველებს ხელში ჰყავთ ჩაწერილი რეპორტიორები, ეს ამბავი ისე იქნება ჩაწერილი,

როგორც შენ მოისურვებ. ერთად ერთი, რასაც მე შენა გთხოვ, ის არის რომ წახვიდე ნორტ-ვალში და უბრძანო მაღაროს გაღება. იზამ, პერსი, შენ ამას?

ხოლი ჩააცქერდა ხარიგანს თვალებში, მან იცოდა, რომ მისი ერთ-ერთ თავის დაქნევაზე იყო დამოკიდებული მუშების სიცოცხლე ან სიკვდილი. [illegible] მეტყვი შენ მე ამის საპასუხოდ?

— ხოლ! —შეჰყვირა ხერსიმ, —მამაჩემი მთელ ჯოჯოხეთს დამატეხს თავზე მე ამის გამო.

— კარგი, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში მე მოგიმზადებ შენ ამ ჯოჯოხეთს. როგორ ფიქრობ, რომელი უარესი იქნება?

ღრმა სიჩუმე.

— გაემგზავრე, პერსი, თუ ღმერთი გწამს. გაემგზავრე ნორტ-ვალში! — ხოლის ხმაში სასოწარკვეთილება, მუქარა ისმოდა.

და უცებ პერსი დანებდა. —კარგი!

ხოლმა თავისუფლად ამოისუნთქა.—მაგრამ ის კი აი შეიძლება, რომ იქ მისვლის შემდეგ თავი გაასულელებიო ვინმეს. ისინი ეცდებიან შენს მოტყუებას შეიძლება მათ არც კი შეასრულონ შენი განკარგულებანი. მაგრამ შენ მტკიცედ უნდა მოითხოვო,—მე წამოვალ შენთან ერთად მე **მინდა** დავინახო თუ როგორ ახდიან თავს მაღაროს, არ დავმშვიდდები მანამდე, სანამ მაღაროში მშველელი რაზმი არ ჩაეშვება!

—ისინი თანახმა იქნებიან ჩასვლაზე ხოლ?

— თანახმაო? ღმერთო ჩემო იმათ მხოლოდ ესა სწყურიათ, კინაღამ აჯანყდენ ამის გამო. მე ჩავეშვები მათთან ერთად, და შენაც, პერსი, —ჩვენ უკმი ხალხი, ჩვეხც მიეშველებით. ხოლო, როდესაც მაღაროდან ამოვალთ, ჩვენ ცოტა რამ გვეცოდინება მაღაროში მუშაობის შესახებ.

— კარგი, მოვიქცევი ისე, როგორც შენ გინდა! —სთქვა ნახშირის მეფის შვილმა.

§ 16.

ხოლს არასოდეს არ გაუგია, თუ რა ელაპარაკა პერსი კარტრაიტს იმ ღამით; მან იცოდა მხოლოდ, რომ მოსვლისთანავე პერსიმ გამოიწვია იგი და ნახევარი საათის შემდეგ ახალგაზდა ხარიგანი გამოვიდა მიმზიდველი ღიმილით და აცნობათ, რომ მაღაროს ხელისუფლება ყოველ ღონისძიებას ხმარობდა საევენტილიაციო მანქანის დადგმისა და მაღაროს რაც შეიძლება, მალე გაღებისათვის. ეხლა მანქანა მზად არის და ერთი-ორი საათის შემდეგ აამუშავებენ; დილით მშველელი რაზმი შესძლებს მაღაროში ჩასვლას. პერსი ამას ისე გულწრფელად ჰყვებოდა, რომ ხოლმა იფიქრა—შეიძლება მას ყოველივე ეს მართლა სწერა როგორც სტუმარს, ხოლსაც, რა თქმა უნდა ისეთი სახე უნდა მიეღო, რომ ისიც დარწმუნებულია ვითომც ამაში და ამგვარად სხვების თვალში გამოსულიყოს თავქარიანი და მეტიჩარა.

პერსიმ სთხოვათ ხოლსა და ბილლი კიტინგს ვაგონში ღამის გათევა,

მაგრამ ხოლმა მაღლობა გადაუხადა და უარი განუცხადა. ის მეტად ჭუჭყიანია, სთქვა მან, გარდა ამისა, ის დილით ალიონზე ადგება, რომ გრძელ პირველთაგანი ჩავიდეს მაღაროში. პერსიმ უპასუხა, რომ მთავარმა ზედამხედველმა თავისი ღვთი დაადო ამ გეგმას: მხოლოდ გამოცდილ პირებს [illegible] ძალუძთ საშიშროებისაგან თავის დაცვა, შეუძლიათ ჩავიდენ მაღაროში. არ არის საჭირო, რომ საშიშროებაში ჩააგდონ თავისი სიცოცხლე დილეტანტებმა იქ, სადაც ამდენი მსურველია.

ხოლმა გაბედა და უღალატა თავაზიანობას, მან აუხსნა, რომ მიუხედავად ამისა, მას მაინც სურვილი აქვს „მიიარ-მოიაროს“ იქით-აქეთ და ნახოს თუ როგორ გააღებენ მაღაროს. ზოგიერთ ქოხებში, რა თქმა უნდა, ქალები შეგროვდენ, რომლებსაც ძილისთვის არა სცხელოდათ; კარგი იქნებოდა ეცნობებინა მათთვის ასეთი გასახარელი ამბავი.

ხოლი და კიტინგი გაუდგენ გზას, ჯერ რაფეტისთან შეიარეს მათ დანახვაზე მისის რაფეტი შეშინებული წამოვარდა ხეზე და ხმამაღლა დაუწყო ხვთისმშობელს ევედრება, რამაც გამოაფხიზლა და შიშისაგან აატირა ყველა პატარა რაფეტები. მაგრამ როდესაც ქალმა გაიგო, თუ რაშია საქმე, მან საჩქაროდ უამბო იგი სხვებს. მალე ქუჩები აღელვებული ხალხით გაივსო; და მაღაროში ჩასასვლელთან მთელმა ბრბომ მოიყარა თავი.

შემდეგ ხოლი და კიტინგი ჯერარი მინეტტისთან წავიდენ. პერსისადმი ლოიალობის დასაცავად ხოლი იმეორებდა მის განმარტებას. კარტრაიტს ყოველთვის მხედველობაში ჰქონდა მაღაროს გაღება. ამ მტკიცების მოქმედება სასაცილოდ ეჩვენებოდათ, იმგვარადვე სასაცილო იყო სახის გამომეტყველება, რომლითაც ჯერარი მინეტტიმ ხოლს შეხედა. მაგრამ ისინი არა ჰკარგავდენ დროს ლაპარაკისათვის, ჯერარიმ ჩაიცვა საჩქაროდ და გაემართა მათთან ერთად მაღაროს სათაიესკენ.

და მართლაც მუშები უკვე ხსნიდენ ფიცრებს და ბრეზენტს. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ხოლი ნორტ-ვალში იყო, მას არასოდეს არ უნახავს რომ ხალხს ასე მუყაითად ემუშავნა.

მალე უზარმაზარი საველტილიაციო მანქანა ამუშავდა, შემდეგ ის ახმაურდა და ამღერდა და მასთან ერთად ახმაურდა და ამღერდა აუარებელი ხალხიც.

კიდევ რამდენიმე საათი გაივლის, ვიდრე შესაძლებელი გახდება რაიმეს გაკეთება. ხოლმა უკვე შენიშნა, რომ მას სრულიად გამოლეოდა ჯან-ლონე. ის წავიდა კიტინგთან ერთად უკანვე მინეტტისთან, მათ გაფინეს იატაკზე საბანი, დაწვნენ და ამოისუნთქეს თავისუფლად.

ბილლიმ მალე ამოუშვა ხვრინვა, ხოლმა კი უეცარი რეაქცია იგრძნო ამდენი მღელვარების შემდეგ. მან ვერაფრის გზით ვერ მოახერხა დაძინება.

მის თავში აზრების მთელი ზღვა ბობოქრობდა; გარეშე ქვეყანა, თავისი ქვეყანა, რომელიც მან სულ რამდენიმე თვის წინად გააძევა საკუთარი სულიერი ცხოვრებიდან, და რომელიც მას ეხლა იძულებით უნდა მოეგონებია. ის, რაც მან ამ ზაფხულზე აიკვიატა, თითქოს სულ უბრალო რამ იყო: სხვა სახელის დარქმევა, სხვა კლასის წევრად გახდომა, მისი ცხოვრებით ცხოვრება,

მისი ფიქრით აზროვნობა—და ასეთი იშვიათი წარმტაცი თავგადასავლით გამდიდრების შემდეგ საკუთარ წრეში დაბრუნება! ის აზრი, რომ მისი საკუთარი ქვეყანა, ხოლ უორნერის ქვეყანა, შესძლებდა იმის [illegible] სმიტის, ილმოჩენას,—არასოდეს თავში არ მოსვლია მას, ის ჰგავდა [illegible], რომელიც სულ მუდამ სიბნელეში მუშაობდა—და უცებ თვალის მომჭრელმა შუქმა დააბრმავა.

ის წავიდა ამ ავანტიურაზე, მოემზადა ყოველგვარი საშინელების ასატანად, იმ ბუნდოვანი წინადგრძნობით, რომ მას „სისტემასთან" მოუხდება ბრძოლა. მაგრამ ის მაინც არ მოელოდა კლასობრივი ბრძოლის შიგ ცენტრში მოხვედრას, თავისიანებისავე თხრილებზე მიტანილ იერიში თავის ამოყოფას და ისიც ბელადის როლში.

და ის ჰგრძნობდა, რომ ეს კიდევ არ არის დასასრული! ომი არ გათავდება იმით, რომ ერთი თხრილი აღებულია! ოთახის სიჩუმეში მან ნათლად წარმოიდგინა, თუ რა მდგომარეობაში მოექცა იგი. მისი შედარება შეიძლებოდა ისეთი კაცის მდგომარეობასთან, რომელმაც ქუჩაში მსუბუქი ფლირტი დაიწყო და მეორე დილას კი ცოლიანმა გაიღვიძა.

ის კი არა, რომ ხოლი ნანობდა თავის მოქცევას პერსისადმი. სხვაგვარ მოქმედება მას არ შეეძლო. მაგრამ მაინც ხორტ-ვალელი ხალხი მან სულ ათი კვირის წინად გაიცნო, ხოლო იმათ კი, ვინც მატარებელში ისხდენ, ის მრავალი წლების განმავლობაში იცნობდა. ამიტომ ისინი მთელი თავიანთი სიმაღლით აიმართენ მის წარმოდგენაში, და მათმა მტრულმა ზრახვებმა ალყა შემოარტყეს მას.

განსაკუთრებით ძნელი იყო ჯესი არტურთან ბრძოლა. მისი სახე მას ეჩვენებოდა, როგორც მლოცველი და სევდით ავსილი. მას ჰქონდა ერთი იმ მშვენიერ სახეთაგანი, რომლებიც სამუდამოდ იმორჩილებენ მამაკაცის გონებას. მისი წაბლისფერი, რბილი და მოკამკამე თვალები სინაზით იყო ავსებული; იმისი ტუჩები ყოველთვის მზად იყო შესაკრთომად; მისი ხორცის კანი ნაზი იყო, როგორც ვაშლის ხის ფერი; მის თმებს თითქოს ვარსკვლავების მტვერი გადაჰყროდა!

მაღნების მეპატრონეთა და პოლისმენების მიმართ ხოლი საკმაოდ ცინიკური იყო, მაგრამ მას არასოდეს არ მოსვლია თავში ის აზრი, რომ ჯესის სული შეიძლება არ შეეფერებოდეს მის გარეგნულ სილამაზეს. ხოლს უყვარდა იგი, მეტად ყმაწვილი და სიყვარულში გამოუცდელი იყო ის იმისათვის, რომ შეენიშნა, თუ ჯესის ქალწულებრივი სილამაზის ქვეშ შეიძლებოდა ყოფილიყო დაფარული ღრმა და შეუგნებელი სიმკაცრე, სიმკაცრე ჩამომავლობითი, კასტური სიმკაცრე. კაცმა უნდა მიაღწიოს საშუალო წლებს და ბევრი გამოსცადოს იმის შესაგნებად, რომ ქალის სილამაზე, იშვიათი, მომხიბლავი სრულყოფა თვალების, კბილებისა და თმების, ხავერდოვანობა კანისა და სახის მოხაზულობათა სინაზე—პროდუქცია მხოლოდ მრავალ თაობათა შრომისა და ზრუნვის და შეუბრალებლად გვაგონებს იმას, რომ ცხოვრება ველური ბრძოლა იყო, რომ ხასიათი და ზნე-ჩვეულება სასტიკი იყო და დაუნდობარი.

ჯესიმ მიატოვა ხოლი უმძაფრესი დაექვების დროს. მაგრამ მაინც ეხლა, როდესაც ხოლი ხელახლა წარმოიდგენდა ამ სცენას, ის ამბობდა გულში, რომ გამოცდა უსამართლო იყო. ის იცნობდა მას და უყვარდა ბავშვობიდანვე, არასოდეს არ შეუნიშნავს მისთვის რაიმე ისეთი ქცევა, არ გაუგონია ისეთი მისი სიტყვა, რომელიც კეთილი და წყნარი არა ყოფილიყოს. მაგრამ, ამბობდა იგი გულში,—ის აჯილდოებდა თავისი თანაგრძნობით მხოლოდ მათ, ვისაც იცნობდა, და განა ჰქონია ოდესმე ისეთი შემთხვევა მას, რომ მუშებს გასცნობოდა? თვითონ ხოლს უნდა მიეცა ჯესისათვის ეს შესაძლებლობა, თუნდაც მისივე სურვილის წინააღმდეგ, უნდა იძულებით გაეფართოებინა მას მისი თვალთახედვა. ეს საძნელო იქნება მისთვის, ამან შეიძლება დაარღვიოს ჯესის თვისებების სინაზე, მაგრამ მაინც ეს სარგებლობას მოუტანს მას.

ამგვარად ესაუბრებოდა თავის საცოლეს სიჩუმეში და სიბნელეში მწოლარე ხოლი. ის დაატარებდა მას მაღაროებზე, უხსნიდა ყველაფერს, აცნობდა სხვადასხვა ხალხს. სწრაფ მატარებელში მყოფ სხვა თავის მეგობრებსაც აცნობდა იგი ნორტ-ვალში შეძენილ მეგობრებს. მათ რამდენიმედ ერთნაირი გემოვნება ჰქონდათ და ამიტომ ერთმანეთიც უნდა გაეგოთ.

აი მაგალითად, ბობ კრესსტონს, რომელსაც ესმოდა „სიმღერისა და ცეკვის," უეჭველად დაინტერესებდა „ბლინკი," პირველი მოცეკვავე მაღაროებზე. მისსის კერტისი მოიპოვებდა თანაგრძნობას თავის საყვარულში კატები სადმი მოხუც ნაილში, რომელიც მინეტტის გვერდით სცხოვრობდა და ხუთ კატას ინახავდა. და, წარმოიდგინეთ, ჯესიც კი, რომელსაც ჰქონდა ეს უცნაური ახირება—ისეთი ადამიანები, რომლებიც დანით სჭამდენ, და რომელსაც რემინიცკის მდგმურები თავიანთი მანერებით მკვლელების მსგავს რამედ მოეჩვენებოდა, ვიცი კი იგრძნობდა სიამოვნებას თამბაქოს მღეჭავი „დაგო-ჩარლის" გაცნობით, რომელმაც ხოლს ერთ დროს ძალიან შეაყვარა თავი. და ხოლი ძლივს ითმენდა გათენების ლოდინს, რომ დილით თავისი სოციალური შედუღება მოეხდინა.

§ 17.

ხოლს დაეძინა ალიონზე. ის გააღვიძა ბილლი კიტინგმა, რომელიც უკვე წამოდგა მთქნარებით და, არა თუ მთქნარებით მარტო,—ბუზღუნით და ჩივილითაც.

ხოლმა შეიტყო, რომ ბილლისაც საკმაო ტანჯვა გამოუვლია ამ ღამით მთელი მისი საჟურნალო მოღვაწეობის განმავლობაში ის ასეთ ამბავს არ მოსწრებია. საცხვოა, რომ ან სხვა ვინმე მოსწრებოდა, და აი ეხლა მას უბრძანეს, რომ გაჩუმდეს!

გვიან გუშინ ღამით კარტრაიტმა შეკრიბა ყველა რეპორტიორები და აცნობა მათ, რომ კომპანიამ მიაღწია დახასრულ მაღაროს გაღების შესაძლებლობას; გარდა ამისა, სასწრაფო მატარებლით მოვიდა დამარხული მუშების ბედით შეშფოთებული ახალგაზდა მისტერ ხარიგანი. რეპორტიორები, რა თქმა უნდა, მოიხსენებენ მის აქ ყოფნას, მაგრამ მათ სთხოვენ, რომ არ გაბერონ ეს

ამბავი და არ დაასახელონ მისი სტუმრები. თავის თავად ცხადია, მათთვის არ გაუმხელიათ, რომ მათ მიერ მაღაროებიდან გაგდებული მაღაროს მუშის თანაშემწე, ნახშირის მეფის ედუარდ უორნერის შვილი აღმოჩნდა.

სცრიდა წვრილი და ცივი წვიმა; ხოლმა გამოართვა ჯერრის ძველი პალტო და გამოვიდა გარედ. პატარა ჯერრი სთხოვდათ, რომ ისიც წაეყვანათ; ბევრი კამათის შემდეგ, ხოლმა ბოლოს გაახვია იგი ხელსახოცში და შეისვა მხარზე.

ირიქრაჟა თუ არა, ნორტ-ვილის მთელი მოსახლეობა მაღაროსთან შეიკრიბა. „მუხარადიანი კაკები“ უკვე ეშვებოდენ, დგებოდა გადამწყვეტი საათი.

ქალები დაღვრემილები იდგენ, მხრებზე სველი ხელსახოცები გადაეფარებიათ, გაფითრებული, დაღლილი სახეებით; მათი მღელვარება მეტად დიდი იყო იმისთვის, რომ ის სიტყვებით გამოეთქვას. საშინელება იყო იმაზე ფიქრი რომ ისინი აქ სინესტისაგან ცივდებიან იმ დროს, როდესაც იქ, მიწის სიღრმეში, მათი ქმარები შეიძლება იხოცებიან წვეთ წყალს მოკლებულნი.

პირველი მშველელი რაზმის მოხალისენი უკვე მოემზადენ ჩასასვლელად. მთელი ღამე სიჩუმეს არღვევდა ჩაქუჩების ცემა ახალი ბადიის გასაკეთებლად. უხლა ის მზად იყო ჩასაშვებად და ხალხმა დაიჭირა შიგ ადგილი. როდესაც. დასასრულ, ბადია დაეშვა ძირს და გაქრა, თითქოს ერთი საერთო სუნთქვა აღმოხდა აუარებელ მკერდებს, როგორც ქარის კვნესა ფიჭვნარში. იმათ, ვინც ჩაეშვენ, ცოლები და ბავშვები დასტოვეს; მაგრამ არ იყო არც ერთი ისეთი ქალი, რომელსაც დაეშალა ჩასვლა ქმარისათვის, იმდენად ძლიერი იყო შეუგნებელი ძალა კლასობრივი სოლიდარობისა, რომელიც აქცევდა ამ ოცი სხვა და სხვა ეროვნების მაშვრალებს ერთ ერად.

ბადიის ჩაშვება მხოლოდ ნელინელ შეიწყლებოდა, —გაზების აფეთქების შიშის გამო და აგრეთვე იმ მიზეზით, რომ ეს ბადია ჯერ კიდევ არ იყო ნაცადი; მას უშვებდენ სულ რამდენიმე ფუტზე და შემდეგ ელოდენ სიგნალს, რომ ყველაფერი რიგზეა. მშველელ რაზმში მომუშავეთა ცნობით მაღაროს ქვედა შესავალთან გვამები ეყარენ; მაგრამ საჭირო არ იყო მათთან გაჩერება, ვინაიდან ეს რამდენიმე დღით ადრე დახოცილების გვამები იყო. ხოლი ხედავდა, როგორ ეხვეოდენ ზოგიერთი ქალები გარშემო მშველელ რაზმში მომუშავეებს, რომ ეკითხნათ, ხომ არ გამოიცვნეს მათ რომელიმე დაღუპულთაგანი. ის ხედავდა აგრეთვე ჯეფ ქოტონს და ბუდ ედამსს. რომლებიც თავის ჩვეულებრივ მოვალეობას ასრულებდენ—ერეკებოდენ იქით-აქეთ ქალებს.

გამოჩნდა ბადია მეორე პარტიის ჩასაყვანად. ეხლა უკვე აღარ იყო საჭირო ისეთი სიფრთხილე. ბადია წესიერად მოძრაობდა და პარტია პარტიაზე ეშვებოდა მაღაროში; შამაკაცებს მშვიდი, ცოტა მკაცრი სახეები ჰქონდათ და ხელში ნიჩფები, ნაჯახები და წერაქვები ეჭირათ: იქ ქვევით ისინი გაძვრებ-გამოძვრებიან, მოსძებნიან საპციალური ლამფებით ადგილებს, სადაც გაზები დაგროვილან და აგრეთვე დამარხულების მიერ გაზებისაგან თავის დასაცავად აშენებულ ბარიკადებს. როდესაც წერაქვებით მსხვრევას დაუწყებენ ამ ბარიკადებს. შეიძლება იმათ გადაღმა როგორმე სიცოცხლის ნიშნები შეამჩნიონ; ან

ეგებ წინ გზების გაკაფვის დროს მათ ნახონ ადამიანები, რომლებიც მეტად დასუსტებული იქნებიან იმისათვის, რომ რაიმე ნიშანის მიცემა შესძლონ, მაგრამ რომლებშიაც ჯერ ისევ ბუუტავს სიცოცხლის ნაპერწკალი.

ხოლის მეგობრები ერთი მეორეზე ეშვებოდენ მალაროებში. ხსნილი ჯეკ დევიდი, ბულგარელი ვრესმაკი, პოლონელი კლოვოსკი, დასასრულ, ჯერრი მინეტტი. პატარა ჯერრი უქნევდა თავს მამას ხოლის მხრებიდან, ხოლო როზა კი ეკვროდა მის ხელს და იხედებოდა მალაროში, თითქოს მისი სული ბადიასნათ ერთად იძირებოდა შიგ.

შემდეგ მიჰყვებოდათ ცისფერ თვალება ტიმ რაფერტი, რომელიც თავის მამას ეძებდა, შავთვალა პატარა ბიჭი ბერძენი ანდი, რომლის მამა ამას წინად ამგვარივე კატასტროფის დროს დაიღუპა, როვენტა და ჯერრის ბიძაშვილი, მალაროს ზედამხედველი კარმინო. და ეს სახელები პირიდან პირში გადადიოდა ხალხში, როგორც ომში მიმავალი გმირების სახელები.

§ 18.

უკან მოხედვის დროს ხოლმა შენიშნა პერსის რამდენიმე სტუმარი: ვივი კესი საწვიმარი ქოლგის ქვეშ, ბერტ ეტკინსი, ბობ კრესტინი და დიდი კვერსონი; ორი უკანასკნელი წყალშეუვალ პალტოებში და ქუდებში; ისინი კარტრაიტს ებაასებოდენ და ისეთი მოსული და განებივრებული სჩანდენ ჯან-ღონე გამოლეულ, მზრუნველობით სავსე მუშებთან შედარებით, რომ თითქოს სულ სხვა ქვეყნის არსებანი იყვნენ.

ხოლი როდ შენიშნეს, მივიდენ მასთან.

— საიდანა გყავთ ეგ ბავშვი, ხოლ?—ჰკითხა ბობმა და გაიღიმა მთელი თავისი ვარდისფერი, სუფთად მოპარსული პირისახით.

— ვნახე, უპასუხა ხოლმა, და დასვა პატარა ჯერრი ძირს.

— ალლო, ბიჭიკო,—უთხრა ბობმა.

—„ალლო!“ გაისმა მაშინვე პასუხი; პატარა ჯერიმ იცოდა ამერიკულად ლაპარაკი და ყოველ წარჩინებულ კაცთან შეეძლო საუბარი.

— ჩემი მამა ჩაეშვა ბადიით,—სთქვა მან და მიაჩერდა უცნობს გაბრწყინებული შავი თვალებით.

— მართლა! მერე თვითონ შენ რატომ არ ჩაეშვი?

— მამა ამოიყვანს იმათ ზევით. ჩემს მამას არაფრის არ ეშინია.

— რა ჰქვიან მამაშენს?

— დიდი ჯერი.

— აჰა! 'შენ რა იქნები, როდესაც გაიზრდები?

— მე ვიქნები „ცეცხლის წამკიდებელი“.

— ამ მალაროში?

— ღმერთმა დაშიფაროს!

— რატომ?

პატარა ჯერიმ საიდუმლოდ ჩაუკრა თვალი:—მე ყველაფერს არ გლაპარაკობ, რაც ვიცი.

ორივე უფროსებმა გაიცინეს; მათ შეეძლოთ აქ ზოგი რამ ესწავლათ.

— შეიძლება შენ დაბრუნდე შენს ძველ სამშობლოში?—ჰკითხა დიკ ევერსონმა.

— არა, მისტერ,—უპასუხა პატარა ჯერრიმ,—მე ამერიკელი ვარ.

— შეიძლება შენ ოდესმე პრეზიდენტი გახდე.

— მე ამას მამაჩემიც მეუბნება,—შენიშნა ბავშვმა,—მაღაროს მუშების კავშირის პრეზიდენტი.

მათ გაიცინეს, მაგრამ როზამ უჩქმიტა ბავშვს ხელზე და რალაც წასჩურჩულა გამაფრთხილებელი. არ შეიძლება მაგისთანა რამეს თქმა უცნობი და შეხედულობით მდიდარი ხალხისათვის.

— ეს მისსის მინიტტია, პატარა ჯერრის დედა, შენიშნა ხოლმა როზას დასამშვიდებლად.

ახალგაზრდა ვაჟებმა ფოანტული თავაზიანობით მოუხადეს ქუდები ქალს.

— ძალიან მოხარული ვართ თქვენი გაცნობის.

ისინი დაკვირვებით მისჩერებოდენ როზას, ვინაიდან ის, დარცხვენისაგან აწითლებული, ძალიან ლამაზი იყო; მან რალაც უპასუხა ნელი ხმით. როზას დავთარი დაებნა—არასოდეს მის სიცოცხლეში ასეთ წარჩინებულ ადამიანებს მის წინაშე ქუდი არ მოუხდიათ. და მერმე ეს ხალხი ჯო სმიტს ისე ელაპარაკებოდენ, როგორც ძველი მეგობრები, და სხვა სახელს ეძახდენ! შავი იტალიანური თვალები კითხვით უცქერდეხ ხოლს, და ხოლიც ჰგრძნობდა, რომ ის ერთიან წითლდება. თითქმის ეროგვარად დასანანებელი და არა სასიამოვნო იყო თავის თავის გაშიფრულად გრძნობა როგორც ნორტ-ვალში, ისე უესტერნ სიტიში.

ახალგაზრდა კაცები საშველ სამუშაოებზე ლაპარაკობდენ და იმაზე აგრეთვე, თუ რა ილაპარაკა კარტრაიტმა. ხანძარი, მისი სიტყვით, ერთ-ერთ მთავარ კორიდორში იყო. ის მოედო ხე-ტყის მასალას და სწრაფად გავრცელდა სავენტილიაციო მანქანის მიერ ამოძრავებული ჰაერის წყალობით. მაღაროს ამ ნაწილში, რა თქმა უნდა, აღარაფრის გაკეთება აღარ შეიძლება, მაგრამ მშვენიერმა რაზვმა შაინც შესძლო აეტანა კვამლი და სიცხე ამ უკვე დახარშირებულ გასასვლელებში. მათ მშვენივრად იცოდენ, თუ რა დიდია ამ ნაწილში ჩამონგრევის საშიშროება, მაგრამ იქ დარჩენილი ხალხი მათი მეგობრები იყვნენ.

— უნდა ალვიაროთ, რომ ძალიან გაბედული ხალხი კი ყოფილა,—შენიშნა დიკმ.

ქალებისა და ბავშვების ჯგუფი მიუახლოვდა მათ, რომ ყური დაეგდოთ მათი ლაპარაკისათვის. მოუსვენრობამ და რაიმე ამბის გაგების წყურვილმა სძლია მათ მორცხვობას. ისინი წააგავდენ ქალებს ომის დროს, რომლებიც ყურს უგდებენ მორეულის სროლის გუგუნს და დაჭრილებს მოელიან.

ხოლმა შენიშნა, თუ დრო გამოშვებით, როგორ ათვალიერებდენ გარშემო მდგომთა სახეებს ბობი და დიკი. საერთო განწყობილება მათაც იბყრობდა; სწორედ ეს უნდოდა ხოლსაც.

— დანარჩენებიც მოვლენ?—იკითხა მან.

— არ ვიცი,—უპასუხა ბობმა.—ისინი ეხლა საუზმობენ ალბად: ჩვენც უნდა წავიდეთ.

— თქვენ კი არ მოდიხართ ჩვენთან ერთად?—ჰკითხა დიკიმ.

— არა, გმადლობთ,—უთხრა ხოლმა,—მე ამ ბავშვთან უნდა დავრჩე.—და მან მოუპირა ხელი პატარა ჯერრის.

— უთხარით სხვებსაც, რომ მოვიდენ; ზოგი რამ მათთვის ალბად საინტერესო იქნება.

— კარგი,— უპასუხეს მათ და წავიდენ.

§ 19.

მის შემდეგ, როცა საუზმისთვის დადებული დრო გავიდა, ხოლი გაემართა სასწრაფო მატარებლისაკენ და ითხოვა მოეხსენებიათ პერსისათვის თავის მოსელის შესახებ. ის იმედოვნებდა ეჩვენებინა პერსისათვის სოფელი ისე, რომ მას თან არ ასდევნებოდენ გამცილებლები და სტუმრები, მაგრამ ძალიან გაოცდა, როდესაც შეიტყო, რომ რამდენიმე საათის შემდეგ ყველა ისინი უკან გამგზავრებას აპირებდენ.

— მაგრამ შენ ხომ სრულებით არაფერი არ გინახავს ჯერ?—სცადა პროტესტის განცხადება ხოლმა.

— მალაროში ჩვენ არ გვიშვებენ, და სხვა რაღა უნდა გავაკეთო აქ?

— მე ძალიან მინდოდა, რომ შენ გამოლაპარაკებოდე მუშებს და გაგეგოს აქაური პირობები. შენ უნდა ისარგებლო ასეთი შესაფერი შემთხვევით პერსი.

— კეთილი, კეთილი, ხოლ, მაგრამ დამეთანხმე, რომ მომენტი სწორედ შესაფერი არ არის. მე სტუმრები მყავს, არ შემიძლია რომ ვალოდინო ისინი აქ.

— მათაც შეუძლიათ ცოტა რამ ისწავლონ, პერსი.

— სწვიმს,—უპასუხა პერსიმ.—გარდა ამისა, ეეჭვობ, რომ დაბებისთვის სასიამოვნო იქნეს ბრბოში დგომა და იმის ყურება, თუ როგორ ამოათრევენ მალაროდან გვამებს.

ხოლმა ხმაამოუღებლივ მიიღო საყვედური. ჰო, მის შემდეგ, რაც ნორტვალში იმყოფება, ის მეტად უხეში შეიქნა, დაჰკარგა გრძნობის სიფაქიზე და ქალური გრძნობიერების ინსტიქტიური გაგების უნარი, როგორც ეს მან აგერ ამას წინად დაამტკიცა. ამ უბედურმა შემთხვევამ ის ისე აალელვა, ისე დასწვა გული. მას გამორჩა მხედველობიდან ის გარემოება, რომ კატასტროფის დეტალები ხარიგანის საზოგადოების დამებისათვის ზიზღის მომგვრელი და ბინძური იქნებოდა. თუ ისინი წვიმაში და ტალახში სოფლად გავიდენ მის დასათვალიერებლად, ყველას ისეთი გრძნობა ექნება, თითქოს ისინი აქ დალუპულებიადმი გულშეატკივრობამ კი არა, უსაქმურმა ცნობის მოყვარეობამ მოიყვანა. მთელი ეს საშინელი სურათი მათ ნერვებს აუშლით მხოლოდ, და გაიდა ამისა, იმათ მოუხდებათ თავის თავის გამოუვნა ქვეყნის თვალში, თანაგრ-

ძნობის გამოცხადება ქვრივებისა და ობლებისათვის. მაგრამ ესრეთ ხომ უმეტეს შემთხვევაში უცხოელები იყვნენ, რომლებსაც მათი ენა არ ესმოდათ, რომლებიც შეიძლება უფროც შეაწუხოს და გაამწაროს, ვიდრე ანუგეშოს, კლასობრივად მათვის უცხო ხალხის დანახვამ.

„თანაგრძნობის გამოცხადების საქმე“ აყვანილი იყო ამ დამებით წარმოდგენილი ცივილიზაციის მიერ ერთგვარ სისტემაში. შემთხვევით აქ აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც იცნობდა ამ სისტემას.

პერსიმ აცნობა ხოლს, რომ მისსის კერტისმა უკვე მიიღო ზოგიერთი ზომები, ხელის მოწერა მოაწყო; რამდენიმე წუთის განმავლობაში შეგროვდა ას-ას დოლარზე მეტი. ჩეკი ამ თანხაზე წითელ ჯვარს გადაეცემა, რომლის აგენტებიც გაანაწილებენ ფულებს გაჭირვებულთა შორის. ამგვარად პერსის სტუმრებს მოხდილი ვალის საამური გრძნობით და დამშვიდებული სინდისით შეეძლოთ ეხლა უკან გამგზავრება.

— ქვეყანას არ შეუძლია გაქვავდეს იმისათვის, რომ მაღაროში კატასტროფა მოხდა,—სთქვა ნახშიროს მეფის შვილმა.— რაც არ უნდა მოხდეს, ხალხმა უნდა განაგრძოს თავის მოვალეობათა შესრულება.

და მან აუხსნა, თუ რაში გამოიხატება ეს მოვალეობანი. ღღეს საღამოს ის ერთ საზეიმო სადილზე უნდა იქნეს, არ იცის კი მოახერხებს ამას თუ ვერა. ბერტი ეტკინსს აქვს საპრიზო პარტია ბილიარდზე, მისსის კერტისს—ქალთა კლუბის სხდომა. გარდა ამისა, დღეს არის თვის უკანასკნელი პარასკევი, ნუ თუ ხოლს დაავიწყდა რასაც ნიშნავს ეს?

ცოტა ფიქრის შემდეგ ხოლმა გაიხსენა, რომ ეს არის ახალგაზდათა საღამო კლუბში ქალაქ გარედ. ხოლს უკვე წარმოუდგა თეთრი სვეტებიანი სახლი მთის ძირში, კარები და ფანჯრები ფართოდ გაღებულია, ისმის მუსიკის ხმა. საცეკვაო დარბაზში ახალგაზდა დამები, მათ შორის ჯეი მისი საცოლე, სუნელოვან შიფონში და ქსოვილებში, მუსიკით და ფერადი ყვავილების სუნით აღგზნებული. ისინი იხუმრებენ, იცინებენ, ფლირტით და ერთმანეთთან შეჯიბრებით გაერთობიან მაშინ, როდესაც აქ, ნორტ-ვალში მტირალი ქვრივები უსულო გვამებს უნდა იხვეოდენ. რა საკვირველია ეს და რა შესაზარი! და როგორ წააგავს ეს საფრანგეთის რევოლუციის წინა დღეების სცენებს!

§ 20.

პერსის უნდოდა, რომ ხოლიც მათთან ერთად წასულიყო; მან თავაზიანად გადუკრა სიტყვა ამის შესახებ, მაგრამ, როდესაც ხოლმა ვერ გაიგო, გულმოსვლით დაუწყო მას დაჟერება ამაში. მაღარო გაღებულია—რაღა უნდა ხოლს კიდევ ამის მეტი? როდესაც ხოლმა შენიშნა, რომ კარტრაიტს შეუძლია ხელახლა დახუროს იგი, პერსიმ უპასუხა, რომ ეს მის მამაზეა დამოკიდებული. მთავარმა ზედამხედველმა გაუგზავნა გუშინ საღამოს ვრცელი დეპეშა; პასუხი მოსალოდნელია ყოველ წუთში. როგორიც არ უნდა იქნეს ბრძანება, მას შეასრულებენ.

ხოლის სახემ მკაცრი გამომეტყველება მიიღო, მაგრამ მან ძალა დაატანა თავს, რომ ზრდილობიანი ყოფილიყო

თუ მ.მაშენის ბრძანებებმა ხელი შეუშალეს ხალხის [illegible], მე იძულებული ვიქნები ვიბრძოლო მათ წინააღმდეგ.

— რანაირად?

— გამოქვეყნებით—ერთად ერთი იარაღით, რომელიც ჩემს განკარგულებაში მოიპოება.

— შენ ამით გინდა სთქვა, რომ...

— მე მინდა ვსთქვა ამით ის, რაც შენ იცი უკვე. მე გამოუშვებ ბილლი ქიტინგს, და მთელი ეს ამბავი ქვეყანას მოედება.

— ღმერთის მადლმა!—წამოიძახა ახალგაზდა ხარიგანმა,—ეს უსინდისობა იქნება შენი მხრით! შენ ხომ მომეცი სიტყვა, რომ არაფერს ჩაიდენდი, თუ მე ვუბრძანებდი მაღაროს გაღებას.

— რა საჭირო იყო გაღება, თუ მას ისევ დახურავენ მანამდე, სანამ მოასწრებდენ მუშების ამოყვანას იქედან?

ხოლი გაჩუმდა ერთ წუთს; როდესაც მან დაიწყო ის-ევ ლაპარაკი, ის ცდილობდა თავის გამართლებას.

— შენ არ უნდა იფიქრო, პერსი, ვითომც მე არ მესმოდეს შენი მდგომარეობის სიმძიმე. მე ვიცი, თუ რა გაუთლელი გეჩვენები, გაცილებით უკეთ გაუთლელი, ვიდრე შენ შეგეძლო ამის წარმოდგენა. მიუხედავად ჩვენი კამათისა უნივერსიტეტში, მე შენ ჩემს მევობარს გიწოდებდი, გავბედავ დაგარწმუნო, რომ მე არასოდეს არ მიფიქრნია შენ წინაშე ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნა.

— მაშ რაღა ეშმაკად მოხვედი აქ? ხომ იცოდი, რომ მაღაროები ერთ ერთ შენს მეგობარს ეკუთვნოდა.

— სწორედ იმიტომ, პერსი, ნუ თუ დაგავიწყდა ჩვენი არგუმენტები? მე ყოველთვის მინდოდა ამეხსნა შენთვის, თუ რას ნიშნავს, როდესაც მე და შენ მეპატრონეები ვართ სამრეწველოების, რომლებითაც სხვები სცხოვრობენ. მე გეუბნებოდი, რომ ჩვენ არ ვიცით თუ რა პირობებში მუშაობენ ჩვენი მაღაროს მუშები, რომ ჩვენ პარაზიტები და უქმი ხალხი ვართ. შენ კი დამცინოდი მეძახდი სულელს და ანარქისტს, ირწმუნებოდი, რომ მე მზად ვარ ჩავყლაპო ყველაფერი, რასაც კი „მეამბოხეები“ მომაწოდებენ. ამიტომ მე ვუთხარი ჩემს თავს: მე წავალ პერსის ერთ-ერთ მაღაროზე, და შემდეგ, როდესაც ის შემეკამათება, მე შევსძლებ ვუპასუხო მას ფაქტებით. ასე დაიწყო ყველაფერი ეს—როგორც ხუმრობა. მაგრამ შემდეგ მე გამიტაცა გარემოებამ. მე არ მინდა გითხრა რამე არასასიამოვნო, მაგრამ არც ერთ ადამიანს, რომელსაც მოეპოება თუნდაც ერთი წვეთი ცოცხალი სისხლი ძარღვებში, ვერ დაჰყოფს აქ ერთ კვირას, რომ არ იგრძნოს ბრძოლის სურვილი. ამიტომ მე მინდა, რომ დარჩე შენ აქ; შენ უნდა დარჩე და გაეცნო ზოგიერთ პირებს, თვალ და თვალ ნახო, თუ რა მდგომარეობაშია საქმე.

— მაგრამ მე არ შემიძლია დავრჩე,—ცივად მოუჭრა პერსი ხარიგანმა.—

მე შემიძლია გითხრა მხოლოდ, რომ ჩემთვის გაცილებით უფრო სასიამოვნო იქნებოდა, თუ შენ შენი სოციოლოგიით რომელიმე სხვა ადგილას წახვიდოდი.

— სად უნდა წავსულიყავ, პერსი? ყოველივე ეს კერძო საკუთრება არის, და როდესაც საქმე რომელიმე მსხვილ წარმოებას შეეხება, მაშინ ის აუცილებლად რომელიმე ჩვენი ნაცნობის ქონებას შეადგენს.

პერსიმ შენიშნა:

— ვბედავ მოგახსენო, რომ შენ ამგვარივე წარმატებით შეგეძლო დაგეწყო ფორნერი და კო-ს მაღაროებიდან.

ხოლმა გაიცინა.

— მე ვიფიქრე ამის შესახებ, პერსი. მაგრამ გადავსწყვიტე, რომ ეს შეუძლებელია! მე უნდა დამერქვა სხვა სახელი, და იქ კი მომიხდებოდა შეხვედრა ზოგიერთ ზედამხედველებთან, რომლებსაც შეეძლოთ ჩემი ცნობა. ამიტომ მე იძულებული გავხდი სხვა მაღაროზე წავსულიყავ.

— ფორნერი და კო-ს საბედნიეროდ,— შენიშნა პერსიმ უსიამოვნო, მხიარული ტონით.

ხოლმა ძალიან სერიოზულად უპასუხა:

— ნება მომეცი გითხრა, რომ მე არ დავზოგავ ჩემს დაფასებაში არც ფორნერსა და კო-ს.

— აი მაშ რა—უთხრა პერსიმ—უკან დაბრუნების დროს ჩვენ გავივლით თქვენს ადგილებზე; და ჩემთვის საუკეთესო დაკმაყოფილება ის იქნება, თუ გავაჩერებთ იქ მატარებელს იმისათვის, რომ შენ ჩამოხტე.

§ 21

ხოლი შევიდა სალონ-ვაგონში. იქ მან ნახა მისსის კერტისი, რომელიც ბრიჯს თამაშობდა რეჯი პორტერსა, ჟენევიევა ხოლსონსა და ევერსონთან ერთად. ბობ კრესტონი ბეტი ხენისონს ელაპარაკებოდა, ალბად უყვებოდა იმას, რაც მაღაროებზე ნახა, ბერტ ატკინსი დილის გაზეთს კითხულობდა მოქნარებით. ხოლი გასცილდა მათ, ის ჯესი არტურს ეძებდა და კიდეც ნახა იგი მეორე განყოფილებაში; ის იცქირებოდა წვიმის წვეთებით დაფარულ ფანჯარაში და ისე ეცნობოდა ნორტ-ვალს,—ერთად ერთი გზა, რომელიც დარჩენოდა ქალებს ამისათვის. ხოლი ადრევე გრძნობდა, რომ მას ცუდ გუნებაზე ნახავდა და მზად იყო ბოდიში მოეხადნა მის წინაშე. როცა კი მისი სევდიანი თვალები დაინახა მან ველარ მონახა სიტყვები. ხოლმა სცადა გულგრილი ტონით ლაპარაკი; მან გაიგო, რომ ისინი მალე მიდიან. ჯესიმ წაავლო ხელი ხელში.

— ხოლ, შენც ხომ ჩვენთან ერთად მოდიხარ?

ის აგვიანებდა პასუხს, შემდეგ მოუჯდა გვერდით და უთხრა:

— ძალიან გაწყენინე, ჯესი?

ხოლმა დაინახა, რომ მის თვალებში ცრემლები დაგროვდენ.

— განა შენ თვითონ არა გრძნობდი, თუ როგორ ტკივილს მაყენებდი? მე ხომ პერსის სტუმარი ვიყავი და შენ კი ისეთ კითხვებს მაძლევდი! რა უნდა

მეთქვას? რა ვიცი მე, თუ როგორ უნდა მართოს თავისი საქმეები მისტერ ხარიგანმა?

მართალია, ჩემო ჯესი,—სთქვა ხოლმა მორჩილად,—შეიძლება მე არ უნდა გამერიე შენ ამ საქმეში, მაგრამ ეს ისეთი აწეწილი, ისე მოულოდნელი რამ იყო: შეგიძლია გაიგო შენ ეს და მაპატიო? ეხლა კი ყველაფერი კარგად მიდის.

მაგრამ ჯესი ამას არ ფიქრობდა.—წარმოიდგინოს ადამიანმა მხოლოდ, რომ შენ აქ იყავი, ასეთ პირობებში! მე კი ვფიქრობდი, რომ შენ არჩევებზე ნადირობდი მექსიკის მთებში!

ხოლს არ შეეძლო არ გასცინებოდა, მაგრამ ჯესის არც გაუღიმნია.

— და გარდა ამისა—ამგვარად გამოცდა ჩვენი სიყვარულის ყველას წინაშე!

— ნუ თუ ეს ისე საშინელი რამ იყო ჯესი?

ქალმა განცვიფრებით შეხედა მას. შეეძლო განა მას, ხოლ უორნერს, ჩაედინა ასეთი რამ და არ ეგრძნო თანაც, რომ ეს საშინელება აოის?

მისი ჩაყენება ისეთ მდგომარეობაში, რომ მას ან სიყვარულის აღთქმა უნდა დაერღვია და ან ზრდილობის წესი! ეს ხომ თითქმის აწყარა ბრძოლა იყო! მთელი ქალაქი ილაპარაკებს ამის შესახებ—რა საშინლად უხერხულია ყოველივე ეს.

— კი, მაგრამ ჩემო ძვირფასო, სთქვა ხოლმა—ეცადე გაიგო ყველაფერი ეს მთლიანად, იფიქრე მალაროში მოქცეულ ხალხზე. **შენ უნდა** ჰქნა ეს!

ჯესიმ შეხედა მას და შენიშნა ახალი მკაცრი ნაოჭები ახალგაზდა სახეზე და მის ხმაში ჩაკლული ვნება მოესმა. ის ფერმკრთალად და დალლილად გამოიყურებოდა, დაუვარცხნელი თმებით, ცუდად დაბანილი პირისახით. ის საშინელი იყო, თითქოს ეს არის ეხლა ომიდან დაბრუნდა.

— ყური დამიგდე ჯესი,—სთხოვდა იგი მე მინდა, რომ იცოდე შენ ეს საქმეები. თუ გინდა რომ ჩვენ ბედნიერები ვიქნეთ ერთად, შენ ჩემთან ერთად უნდა ვითარდებოდე. ამიტომ გამეხარადა მე, რომ შენ აქა ხარ,—შენ შეგიძლია ყოველივე ეს შენი თვალებით დაინახო. გთხოვ არ წახვიდე მანამდე, ვიდრე არა ნახავ.

— მაგრამ მე მაინც უნდა წავიდე, ხოლ. როგორ შემიძლია მე ვსთხოვო პერსი ხარიგანს აქ დარჩენა და ყველას უხეშ მდგომარეობაში ჩაყენება.

— შენ შეგიძლია უმისოდაც დარჩე აქ, სთხოვე რომელიმე ქალს, რომ დარჩეს შენთან ერთად.

ჯესიმ შეშინებით შეხედა მას.—რა მოგდის, ხოლ?

— ესე იგი?..

— იფიქრე აბა, როგორი მდგომარეობა იქნება ეს!

— მე არ შემიძლია, გენაცვალე, ბევრი ვიფიქრო ამის შესახებ...

ქალმა გააწყვეტინა.— იფიქრე, რას იტყვის დედა?

— ეს მას არ მოეწონება, მე ვიცი ..

— ის გაჯავრდება, არასოდეს არ გვაპატიებს ის ჩვენ ამას. არ აპატიებს

არც იმას, ვინც აქ ჩემთან ერთად დარჩება. ან პერსი რას იტყვის? აქ მოვედი, როგორც მისი სტუმარი, და შენდეგ უცებ ვრჩები აქ, რომ ვუღალატო იმას და მამამისს, ასე არ გამოვა? განა თვითონ ვერ ხედავ რამდენად შეურაცხყოფილია ეს ყოველივე?

კი, მას ესმოდა ეს, მაგრამ ეზიზღებოდა ყოველივე, რაც კი პირობითი იყო ჯესის წრეში, ქალს კი ეს სიგიჟედ ეჩვენებოდა. მან მოუჭირა ხოლს ხელზე ხელი, ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა.

— ხოლ,—წაბოიძახა მან,—მე არ შემიძლია დაგტოვო შენ ამ საშინელ კუთხეში. შენ ისე გამოიყურები, როგორც მოჩვენება, როგორც ფრინველების საფრთხობელა! წადი; ჩაიცვი წესიერად და წავიდეთ სახლში ჩვენთან ერთად.

მან გააქნია თავი:—ეს შეუძლებელია, ჯესი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე აქ ჩემი მოვალეობა მაქვს. ძვირფასო ჯესი, ნუ თუ შენ არ შეგიძლია გაიგო ეს? მთელი ჩემი სიცოცხლე მე ვცხოვრობდი მაღაროს მუშების შრომით და არასოდეს არ მოვიცალე იმისათვის, რომ მივსულიყო მათთან ახლოს, მენახა თუ როგორ შოულობენ ისინი ჩემთვის ფულებს.

— ხოლ! მაგრამ ესენი ხომ ხარიგანის მუშები არიან და არა შენი!

— კი,—უპასუხა მან,—მაგრამ ყველგან ერთი და იგივეა. ისინი მუშაობენ როგორც მონები, ჩვენ კი მათი შრომით ვცხოვრობთ და ვიღებთ ამას ისე თითქოს ეს ასეც უნდა იყოს.

— რის გაკეთება შეიძლება ხოლ?

— შეიძლება ყოველ შემთხვევაში ამის ცოდნა, თუ კი სხვა რამეს გაკეთება შეუძლებელია. შენ ხედავ, რომ მე ამ შემთხვევაში ცოტა რამ გავაკეთე. მაღარო გაალეს.

— ხოლ,—წაბოიძახა მან,—მე ვერ გამიგია შენი ვერაფერი! შენ ისეთი გაურანდავი გამხდარხარ, რომ არავისი აღარ გჯერა! შენ დარწმუნებული ხარ იმაში, რომ ხელისუფლებას მუშების დალუპვა სურდა! ნუ თუ შენ გგონია, მისტერ ხარიგანი დაუშვებს იმას, რომ მის მაღაროებს ეგრე განაგებდნენ!

— მისტერ ხარიგანი, ჯესი? ის დადის წმ. გიორგის ეკლესიაში პატარა თეფშით. ეკლესია ერთად ერთი ადგილია, სადაც ის შენ გინახავს. მეტი შენ იმის შესახებ არაფერი არ იცი.

— მე ვიცი ის, რასაც ყველა ლაპარაკობს, ხოლ. მაბაჩები, ჩემი ძმები იცნობენ მას, მას იცნობს შენი ძმა. ედუარდი ალბად არ იქნებოდა შენი საქციელის თანახმა.

— ვშიშობ, რომ ეგ აგრეა, ჯესი.

— და შენ მიდიხარ იმათ წინააღმდეგ, მიდიხარ ყველა ნაცნობების წინააღმდეგ. რა უფლება გაქვს იფიქრო, რომ ყველა ისინი მართალი არ არიან? იფიქრე ამის შესახებ პატიოსნად, საკუთარ პატიოსნად, ხოლ; ჰქენი ეს ჩემი გულისათვის.

ქალის თვალებში თხოვნა გამოიხატა; ხოლი დაიხარა მისკენ და აიღო მისი ხელი.

— ჯესი,—უთხრა მან ათრთოლებულის ხმით,—მეშვიდე, რომ მუშებს ავიწროვებენ, ვიცი, იმიტომ რომ მე თვითონ ერთი მათგანი ვიყავი. მე ვიცი, რომ ისეთი ხალხი, როგორიც არის პიტერ ხარიგანი და ჩემი ძმა, ღირსი არიან დაგმობის. უნდა ითავოს ვინმემ ამის გამორკვევა მათთვის, საჭიროა ისინი იძულებული შეიქნენ დაინახონ ყველაფერი ისე, როგორც ნამდვილად არის; მე დავრწმუნდი ეხლა ამაში, ეს შეადგენს ჩემს ამოცანას!

ჯესი უცქეროდა მას თავისი ფართოდ გახსნილი მშვენიერი თვალებით. მიუხედავად მისი პროტესტისა, მიუხედავად შიშისა, ახალგაზდა ქალი რაღაც ღვთაებრივ თრთოლვას განიცდიდა ამ მომაჯადოებელი გიჟის წინაშე, რომელიც უყვარდა მას:—ისინი მოგკლავენ შენ!—წამოიძახა მან.

— არა, ჩემო ჯესი,—ამაზე ნუ იდარდებ,—არა მგონია, რომ მე იმათ მომკლან.

— ხომ გესროლეს!

— არა, იმათ ჯო სმიტს ესროლეს, უნცროს მაღაროს მუშას. ისინი ვერ ესვრიან მილიონერის შვილს—ყოველ შემთხვევაში ამერიკაში ვერა, ჯესი!

— ბნელი ღამით...

— ფიქრი ნუ გაქვს. საბედნიეროდ ამ საქმეში პერსიც არის გარეული. ისინი ვერ მოსპობენ ისე, რომ ყველაფერი ეს არ გამოირკვეს,—ამიტომ მე აქ ისე უშიშარ პირობებში ვიმყოფები, როგორც საკუთარ სახლში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა მხატვრობა და პუბლიცისტიკა

ფილიპე მახარაძე.

საქართველო მეცხრამეტე საუკუნეში.

გაგრძელება *)

მცხოვრებთა დანაწილება წოდებრივ ურთიერთობათა მიხედვით.

ამ საკითხის შესახებაც ჩვენ ერთიბ ღარიბი მასალა გვაქვს. ბატონყმობის გაუქმების წინ საქართველო წოდებათა რაოდენობის მხრით შემდეგ სურათს წარმოადგენდა:

ტფილისის და ქუთაისის გუბერნიები 1859—1861 წ. წ.

გუბერნიების სახელები	თავად-აზნაურობა	სამღვდელოება	მოქალაქენი	გლეხები					
				სახელმწიფო		საეკლესიო		საბატონო	
				კომლი	სული	კომლი	სული	კომლი	სული
ტფილისი	21538	8993	25535	—	342400	8305	55399	17281	122244
ქუთაისი	23524	—	—	15030	117001	6209	46481	24524	181387
ს უ ლ	45062	8993	25535	15030	459401	14514	101880	41805	303631

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ მესამოცე წლებში ტფილისის და ქუთაისის გუბ. (ქუთაისის მხოლოდ ხუთი მაზრა) გლეხკაცობა ერთად შეადგენდა დაახლოვებით 864.915 სულს, თავად-აზნაურობა კი—45.062 სულს. მაშასადამე, ორივე გუბერნიაში მაშინ ერთ თავად-აზნაურზე მოდიოდა დაახლოებით 19 გლეხი; ამასთანავე ტფილისის გუბერნიაში 1 თავადაზნაურზე მოდიოდა 24 გლეხი და ქუთაისის გუბერნიაში კი—14 გლეხი.

ვნახოთ ახლა რას წარმოადგენდა იგივე გუბერნიები 1886 წელს:

გუბერნიების სახელწოდება	თავად-აზნაურობა	სამღვდელოება	მოქალაქენი	გლეხები			დროებით ვალდებულნი	ხიზნები
				საბელმ. გლეხ.		მესაკუთრენი		
				საბ. მიწ.	მებატ. მიწ.			
ტფილისის	23327	10655	82378	451114	127984	24379	61841	33747
ქუთაისის	62004	16325	47421	217468	211855	328674	13616	15250
ს უ ლ	85331	26980	120799	668582	339839	353053	75457	48997

*) იხ. ჟურნალი „მნათობი“ № 2 (22).

სამწუხაროდ ეს ცნობები დიდი ნდობის ღირსი არ არის. მაგრამ 1890 წლისათვის ჩვენ გვაქვს ამ საგანზე უფრო სარწმუნო ცნობები, სახელდობრ:[1]) თავადაზნაურობა ტფილისის გუბერნიაში შეადგენდა 25.846 სულს და ქუთაისისაში—51.100 სულს. გარდა ამისა, იმავე წელს ტფილისის გუბერნიაში ითვლებოდა 19.937 კომლი დროებით ვალდებულ გლეხთა. ქუთაისის გუბერნიაში 1889 წელს ამავე კატეგორიის გლეხები 48.261 კომლი იყო; 1889 წლამდე ამათგან თავი დაიხსნა 23.407 კომლმა[2]). რაც შეეხება მესაკუთრე გლეხებს ტფილისის გუბერნიაში 1890 წ იყო 8363 კომლი, ქუთაისისაში 96.912 კომლი (245.308 სული) მაშასადამე, ეს ცნობები 1886 წლის ცნობებს არ ეთანხმება.

ზემოაღნიშნული ცნობებიდან ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ მხოლოდ ერთი დასკვნა, სახელდობრ ისა, რომ ეს ცნობები არა თუ აღეწერილ-დარეგულია, და სრულებით სანდო არ არის, არამედ იმათი საშუალებით ძნელია ვიმსჯელოთ ნამდვილი წარმოდგენა იქონიოს წოდებათა რაოდენობის მოძრაობაზე ჩვენში. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვეცდებით, რამდენიმედ მაინც გამოვხატოთ ეს მოძრაობა.

1865 წ. ტფილისის გუბერნიაში გლეხკაცობა შეადგენდა 86%-ს, სამხედრო წოდებანი—4,2%-ს. თავად-აზნაურობა 3,5%-ს, სამღვდელოება—1,5%-ს და ქალაქის წოდებანი—4,21%-ს. 1886 წელს კი პირველი შეადგენდა 84,55%-ს. თავად-აზნაურობა—2,39%-ს, სამღვდელოება—1,34%-ს და ქალაქის წოდებანი—10,20%-ს. ქუთაისის გუბერნიის შესახებ არც ასეთი დაახლოვებითი გამოანგარიშებაა შესაძლებელი. მხოლოდ ტფილისის გუბერნიასთან შედარებით 1886 წელს იქ იყო: თავად-აზნაურობა 6,73% სამღვდელოება 1,77%. სოფლის წოდებანი 85,91%, ქალაქის 5,13% (რა თქმა უნდა, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ეს ურთიერთობა უთუოდ შეიცვლებოდა, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ არა გვაქვს ფაქტიური მასალა).

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ თავად-აზნაურობა და სამღვდელოება საქართველოში დიდ პროცენტს შეადგენს არა თუ რუსეთთან შედარებით, არამედ საერთოდ ამიერ-კავკასიასთანაც. პირველთან შედარებით თავად-აზნაურობა საქართველოში მეტია 3.73%, მეორესთან - 2,04%, ამ მხრით დიდი განსხვავება იყო ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებს შორისაც: პირველში თავადაზნაურობა შეადგენდა 2,89%, მეორეში—6,73%. ამ ცნობებიდან სხვა დასკვნის გამოტანას ჩვენ არ აუჩქარებლებით, მაგრამ ვიდრე ამ თავს გავათავებდეთ ჩვენ უნდა შევეხოთ კიდევ გლეხკაცობის ერთ ნაწილს, სახელდობრ, სახელმწიფო გლეხობას, ოღონდ არა მთლად, არამედ იმ კატეგორიას, რომელიც დასახლებულია სახაზინო მიწაზე და რომელსაც მთავრობაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. სახაზინო გლეხები იყვნენ.

---

[1]) ამ ხნის განმავლობაში ხსენებულ გუბერნიებში დიდი ტერიტორიალური ცვლილება მოხდა: ტფილისის გუბერნიას მოაკლდა განჯის მაზრა, სადაც, უმრავლესობას სახელმწიფო გლეხები შეადგენდნენ; ახალციხის მაზრა წინათ ქუთაისის) შეუერთდა ტფილისისას, სამაგიეროთ ქუთაისის გუბერნიას მოემატა ბათომის ოლქი.

[2]) ტფილისის გუბერნიაში 1893 წლის იანვრამდე თავი დაუხსნია სულ 3466 კომლს მთავრობის შემწეობით (იხ „ივერია", № 250, 1893 წ.)

გუბერნიების სახელწოდება	1873 წ.		1884–85 წ. წ.		მატება და კლება %
	კომლი	სული	კომლი	სული	
ტფილისის	42.757	327.966	48,250	309.090	5,75%
ქუთაისის	17.930	123.719	20.997	138.848	12,22%

ამ გვარად, საქართველოში ამ ნახევარი საუკუნის წინ წოდებრიობას უკიდურეს ხარისხამდე ჰქონდა ფეხი გადგმული, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ამ ძველი წოდებრიობის პრინციპი ცხოვრებაში ჩქარი ნაბიჯით ქრებოდა და ისპობოდა.

წარმოების ხასიათი და წესი. ხელობისა და მრეწველობის განვითარება.

მეთვრამეტე საუკუნისა და მეცხრამეტე საუკუნის მიჯნაზე საქართველო ტიპიური ნატურალური მეურნეობის ქვეყანას წარმოადგენდა. მთელი მოსახლეობა, როგორც თავადი და აზნაური, ისე გლეხი საკუთარ ნაწარმოებით იკმაყოფილებდა თავის ყოველგვარ მოთხოვნილებას. მართალია, ეს მოთხოვნილებაც მეტის-მეტად მარტივი და შემოფარგლული იყო. ყოველ შემთხვევაში იმ დროს არავითარი მრეწველობის ნასახი არ სჩანდა. ოჯახში ქსოვდენ შალს, ბამბას, აბრეშუმს. ასე იყო როგორც ქალაქად, ისე სოფლად. არავითარ განსხვავებას აქ ადგილი არ ჰქონია. ოღონდ ქალაქებში საკმაოდ იყო განვითარებული ხელოსნობა, ხელოსნური წარმოება თავისი ამქრული წესებით. ნატურალური მეურნეობის დროს შეუძლებელია სიმდიდრის დაგროვება, მით უმეტეს განუწყვეტელი ომიანობის პირობებში. მართლაც, საქართველოს მთელი მოსახლეობა იმ დროს უკიდურეს სიღატაკეში იმყოფებოდა. მართალია, ნატურალური მეურნეობა არ ნიშნავს გაცვლა-გამოცვლის, ანუ საქონლის ტრიალის არ არსებობას, ეს გაცვლა-გამოცვლა ანუ ვაჭრობა მაინც არსებობს. მაგრამ იმ დროს მეტ წილად ვხედავთ საქონლის გაცვლა-გამოცვლას პირდაპირ საქონელზე, და არა ფულის საშუალებით. ერთი ფრანგი მოგზაური—გამბა, რომელიც საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში ყოფილა, აი რას ამბობს, სხვათა შორის, აღნიშნულ საკითხის შესახებ: „იმერეთის მცხოვრებნი ყიდვა-გაყიდვას ეწევიან მხოლოდ თავისი ნაწარმოების (ხორბლის, ბამბის, სანთლის, თაფლის და სხვ.) სხვა საგნებზე გაცვლით, რისთვისაც ისინი მიდიან ბაზარზე ოთხშაბათობით და პარასკევობით“ [1]). თუ ასე ნყო მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში, რაღა უნდა ყოფილიყო წინათ. ერთი სიტყვით, თუმცა საქართველოში ფული [2]) ხმარებაში იყო, მაგრამ ფულზე ვაჭრობა

[1]) Gamba. Voyage dans la Russe meridionall. Paris. ტ. I გვ. 170.

[2]) საქართველოში არსებობდა საკუთარი ფულის სისტემა. უმაღლესი საზომი იყო ქ ე ს ა; ქესა შეიცავდა ასს მ ა რ ჩ ი ლ ს, მარჩილში 52 ფ ა რ ა ითვლებოდა. 120 ფარა ერთ ვერცხლის მანეთს უდრიდა.

ძლიერ ნაკლებად იყო გავრცელებული. სახელმწიფო შემოსავლის მხოლოდ სულ მცირე ნაწილს იღებდენ ფულად (განსაკუთრებით სადამოვნო გადასახადს), დანარჩენი შემოსავალი კი შემოდიოდა ნატურით, ნაწარმოებით.

რაც შეეხება ვაჭრობას, თავის თავად იგულისხმება, რომ იგი მეტის მეტად შეზღუდული იყო. ვაჭრობის განვითარებას ხელს უშლიდა უმთავრესად შემდეგი პირობები: ნატურალურ-პატრიარქალური მეურნეობა, მიმოსვლის საშუალებათა (გზების) ცუდი მდგომარეობა, ან სრული უგზოობა, რაც აძნელებდა ან პირდაპირ შეუძლებლად ხდიდა საქონლის გადატან-გადმოტანას, და ბოლოს მუდმივი შფოთი, ან ომიანობა. აი, ის მიზეზები, რაც ხელს უშლიდა და აბრკოლებდა ვაჭრობას, საქონლის გაცვლა-გამოცვლის ზრდა-განვითარებას. თვით ეს ვაჭრობა არ წარმოადგენდა მაშინ ცხოვრების აუცილებელ არსებით, გარდაუვალ მოთხოვნილებას, ე. ი. მაშინდელი საზოგადოება მაგრე რიგად როდი საჭიროებდა აღებ-მიცემობას, მას შეეძლო უამისოდაც ეცხოვრა, ვინაიდან თავის მოთხოვნილებათა თითქმის 99% იგი შინაური, ოჯახური ნაწარმოებით იკმაყოფილებდა.

მაგრამ ეს მდგომარეობა ძირიან-ფესვიანად უნდა შეცვლილიყო რუსეთის მთავრობის დამყარების შემდეგ. უპირველეს ყოვლისა, რუსეთს უნდა შემოეყვანა საქართველოში, და შემოიყვანა კიდეც, საკმარისად მრავალრიცხოვანი ჯარი. ამას უნდა მოჰყოლოდა, და მოჰყვა კიდეც მ ო ხ ე ლ ე ე ბ ი ს (ჩინოვნიკების) გამრავლება. ამ ხალხის შენახვა მოითხოვდა დიდძალი სურსათისა და ტანსაცმელის დამზადებას, რაც წინათ თითქმის სრულებით საჭირო არ იყო. ერთბაშად წარმოიშვა დიდძალი საქონლის საჭიროება, რაც ფულით უნდა ყოფილიყო შეძენილი. რა თქმა უნდა, ადგილობრივ ამდენი საქონელი არ მოიპოებოდა; ის უნდა შემოეტანათ ან რუსეთიდანვე, ან საზღვარ-გარეთიდან. ამისთვის დრო იყო საჭირო, სურსათი და სხვა საქონელი კი დაუყოვნებლივ უნდა გაჩენილიყო. ადგილობრივ ბაზარს მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეეძლო. ადვილი გასაგებია, თუ რა გავლენას მოახდენდა ეს გარემოება ბაზარზე. „რუსეთის მთავრობის დამყარებისთანავე—სწერს დუბროვინი—**ყოველგვარი საქონელი და სურსათი საქართველოში გაძვირდა**; ოქროს კურსი მეტის-მეტად დაეცა, ვერცხლი კი სრულებით გაჰქრა; ამაში ბრალს დებდენ კოვალევსკის, რომელსაც საქმე ჰქონდა ტფილისის ერთ უმდიდრეს ვაჭარ-მევაჭრეთაბეგოვთან“...[1]) რა თქმა უნდა, ეს იმისი ნიშანი იყო, რომ მსხვილი სპეკულიაციისათვის ჩნდებოდა, ან უკვე გაჩენილი იყო, შესაფერი ნიადაგი, რაც სრულიად ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

როგორც ზემოთ ვსთქვით, საქონელი უნდა შემოტანილიყო ან რუსეთიდან, ან საზღვარ-გარეთიდან. ეს ის დრო იყო, როცა **რუსეთის კაპიტალისტური მრეწველობა** ფეხს იდგამდა და შინაური ბაზრის დაპყრობას ცდილობდა უმთავრესად, ეგრედწოდებული, **მფარველობითი პოლიტიკის საშუალებით.** ეს მფარველობითი პოლიტიკა ნიშნავდა უცხოეთის საქონელზე ისეთი საბაჟო გადასახადის დადებას, რაც საქონლის უცხოეთიდან შემოტანას არსებითად შე-

[1]) იხ. ზემოთ დასახელებული წიგნი დუბროვინისა გვ. 52.

უძლებლად გახდიდა. ამგვარი საბაჟო გადასახადის დადება უცხოეთის საქონელზე გა რცელებულ იქნა საქართველოშიაც. მაგრამ საქმე ის არის, რომ რუსეთის ცენტრიდან იმ დროს საქართველოში საქონლის მოტანა შეტად ძნელი იყო, და ძალიან ძვირადაც ჯდებოდა. მიუხედავათ ამისა რუსეთის მოზარდი ბურჟუაზიის იმპერიალისტური მიზნები მოითხოვდა საქართველოში რუსეთის მრეწველობის ნაწარმოების გასაღებას. ასეთ მიზნებს ისახავდა ყოველთვის ყველა ქვეყნის ბურჟუაზია, და რა გასაკვირალია, თუ ამავე მიზნებს ისახავდა რუსეთის ბურჟუაზიაც. მართალია, პირველ ხანებში იყო ერთგვარი ცდა ტფილისში მაუდის ფაბრიკის გახსნისა, ჯარების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, კიდევაც შეუდგენ შენობის აგებას, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. მეორეს მხრით, რუსეთში არსებული სადამოჭნო წესდება თავისი აკრძალვითი სისტემით არა თუ არ უდგებოდა მაშინდელ საქართველოს პირობებს, არამედ ის არ ეფარდებოდა თვით რუსეთის მთავრობის ინტერესებსაც საქართველოში (და საერთოდ მთელს ამიერ-კავკასიაში), რადგანაც თუ საზღვარ-გარეთიდან საქონლის შემოტანა აქ მფარველობითი სისტემის მეოხებით შეუძლებელი შეიქნებოდა ამ შემთხვევაში ჯარის შენახვა მეტის-მეტად გაძნელდებოდა და თვით მისი არსებობაც საფრთხეში ჩავარდებოდა.

ამის გამო სადამოჭნო სისტემამ, რომელიც რუსეთში მოქმედებდა, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში რამდენჯერმე განიცადა აქ ცვლილება. მაგალ. თუმცა 1803 წელს საქართველოშიაც შემოღებული იყო უცვლელად რუსეთის სადამოჭნო წესდება, მაგრამ 1807 წელს მისი მოქმედება დროებით შეაჩერეს; 1817 წელს ხელახლა დაუბრუნდენ არსებულ წესებს, მცირე ცვლილებით. 1817 წლის დებულება მოქმედებდა 1821 წლამდე; ამ ხნის განმავლობაში უცხოეთიდან წლიურად შემოტანილი საქონლის ღირებულება საშუალოდ უდრიდა 809.315 მანეთს, გატანილი საქონლის ღირებულება კი 166.767 მანეთს. 1821 წელს მთავარმართებელის—ერმოლოვის შუამდგომლობით ამიერ-კავკასიას უბოძეს საგრძნობი შეღავათი ვაჭრობის საქმეში. სახელდობრ ნებადართულ იქნა შემოეტანათ საზღვარ-გარეთიდან 10 წლის განმავლობაში (1822 წლის 1 ივლისიდან 1832 წლის 1 ივლისამდე) ყოველგვარი საქონელი, იმ პირობით, რომ საქონლის გამოცხადებულ ღირებულებაზე გადაეხადათ მხოლოდ 5%, და მასთან, თუ ეს საქონელი საქართველოდან გატანილი იქნებოდა რუსეთში, უნდა ეღოთ ჩვეულებრივი ბაჟი. გარდა ამისა, უცხოელ და რუსეთელ ვაჭრებს მიენიჭათ სხვადასხვაგვარი შეღავათი ამიერ-კავკასიაში ვაჭრობის საწარმოებლად. ამ ზომებმა საგრძნობლად შეუწყვეს ხელი უცხოეთთან ვაჭრობის ზრდას. 1822-1832 წლებში საქონლის საშუალო შემოტანა ამიერ-კავკასიაში (მასალა საშუალებას არ გვაძლევს ცალკე გამოვყოთ—რა წილი ეკუთვნოდა საქართველოს), ფულზე გადატანით, შეადგენდა უკვე 1.700.000 მან., და გატანა კი 700.000 მანეთზე მეტს,[1]) ე. ი. 1817-21 წლებთან შედარებით შემოტანა გაზრდილა 891.000 მან., ანუ 100%, გატანას კი მოუმატნია 533.233 მან. ანუ 320%.

[1]) იხ. დიუკრუასის გამოკვლევა „ამიერ-კავკასიის ვაჭრობა უცხოეთთან“ ძველი გამოცემა გვ. 409—410.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწორედ ამ წლებში ტფილისელ ვაჭრებს გაუბამთ ურთიერთობა ევროპის ბაზრებთან, როგორც მაგალითად, მარსელთან, ლაიპციგთან, ტრიესტთან და სხვა ქალაქებთან. შემოტანილ საქონლის ნაწილი ტფილისელ ვაჭრებს სპარსეთში გაქონდათ. ასე რომ ევროპასთან [illegible] სპარსეთთან ხდებოდა მაშინ ტფილისის საშუალებით და არა ტრაპიზონის, როგორც ეს შემდეგში იყო. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა საქართველოში, და საზოგადოთ ამიერ-კავკასიაში, შემოღებულ იქნა შელავათიანი სადამოწმო წესდება, რუსეთში გამოიცა ახალი სადამოწმო ტარიფი, რომელიც კიდევ უფრო სასტიკად იცავდა რუსეთის მრეწველობას, ე. ი. კიდევ უფრო ჰკრძალავდა უცხოეთიდან საქონლის შემოტანას. ამიერ-კავკასიაში შემოღებული შელავათიანი ტარიფი კი არღვევდა ამ წესს, და ამიტომ რუსეთის ფაბრიკანტებმა დაიწყეს ჩივილი ამიერკავკასიის შელავათების წინააღმდეგ; ისინი ამტკიცებდენ, რომ ამიერ-კავკასიის შელავათიანი ტარიფის საშუალებით უცხოეთის საქონელი მეტოქეობას გვიწევს ჩვენ არა მარტო ამიერ-კავკასიის ბაზარზე, არამედ სპარსეთში და ოსმალეთშიაც. ამიტომ ისინი თხოულობდენ უცხოეთის საქონლის საქართველოდან სპარსეთში და ოსმალეთში გატანის აკრძალვას. ამის გამო 1831 წლიდან, ამიერ-კავკასიაში კვლავ გაუქმებულ იქნა შელავათიანი ტარიფი და შემოიღეს 1822 წლის დებულება; მასთან, ზოგიერთ საქონელზე, მაგ., მანუფაქტურაზე დააწესეს უფრო მეტი ბაჟი, ვიდრე თვით რუსეთში იყო, რაც არსებითად მანუფაქტურის უცხოეთიდან შემოტანის აკრძალვას ნიშნავდა. ამ გარემოებამ შეუწყო ხელი იმას, რომ ტფილისმა დაჰკარგა ის როლი, რომელსაც იგი სპარსეთისა და ოსმალეთის ვაჭრობაში თამაშობდა; ამიერიდან ამ როლის ასრულებას ტრაპიზონი კისრულობს.

ეს მდგომარეობა უცხოეთთან ვაჭრობის სფეროში გაგრძელდა 1896 წლამდე, როცა კავკასიის ნამესტნიკის—ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი ს შეამდგომლობით ამიერ-კავკასიას კვლავ მიენიჭა შელავათი უცხოეთთან ვაჭრობის საქმეში და აგრეთვე ნებადართულ იქნა სპარსეთში უბაჟოთ საქონლის გატანა, მაგრამ ამ შელავათების მოქმედება გაგრძელდა მხოლოდ 1850 წლის ბოლომდე; 1851 წლის იანვრის I-დან მთელს რუსეთის იმპერიაში შემოღებული იქნა ახალი სადამოწონო ტარიფი; აქ იყო ცალკე პარაგრაფი, სადაც ჩამოთვლილი იყო ის ბაჟი, რაც ამიერ-კავკასიაში შემოსატან საქონელზე უნდა დაედვათ. საქმე იმაშია, რომ 1846 წლამდე უცხოეთის ფართლეულობის ბაჟი იმ ზომამდე დიდი იყო, რომ იგი უდრიდა შემოტანის ფაქტიურად აკრძალვას. 1846 წლის შემდეგ ფართლეულობის შემოტანას ცოტაოდენი შელავათი მიეცა, მაგრამ მხოლოდ 1851 წლის ტარიფმა შეიტანა ამ საქმეში თვალსაჩინო გაუმჯობესება. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ 1832-1846 წლებში, როცა საქონლის შემოტანა ევროპიდან მეტის მეტად გაძნელებული იყო, ფაქტიურად თითქმის აკრძალულიც, შესამჩნევათ იმატა სპარსეთიდან საქონლის შემოტანამ, რადგანაც სპარსეთთან უფრო შელავათიანი სადამოწონო ტარიფი არსებობდა. თუ რა როლს თამაშობდა საქონლის შემოტანა ევროპიდან და აზიიდან, ამას შემდეგი ცნობები გვიჩვენებს:

სულ შემოტანილ იქნა **ევროპიდან** 1832-1850 წლებში 5.742.706 მან. საქონელი; ამაში შაქარი 3.048.881 მანეთისა ე. ი. მთელი შემოტანის 53,1%, ყავა 175.811 მან., ე. ი. 3%, საღებავი 575,288 მან., ე. ი. 10,2%, სასმელი 530.740 მან. ე. ი. 9,2%, შალეულობა 455.522 მან., ე. ი. 7,9% და სხვ. აზიის საზღვრებიდან (სპარსეთი, ოსმალეთი) შემოტანილი საქონელი ამ ხნის განმავლობაში უდრიდა 52.470.055 მან. აქედან ბამბეულობის ნაწარმოები 28.866.253 მან. ღირებულებისა, ე. ი. მთელი შემოტანის 55,1%, აბრეშუმეულობის ნაწარმოები—7.104.787 მან., ე. ი. 13,6%, ნედლი აბრეშუმი—4.407.994 მან., ე. ი. 8,4%, ხილეულობა 2.336.403 მან., ე. ი. 4,4%, შალეულობა—1.462.822 მან., ე. ი. 2.8%, საქონელი (პირუტყვი)—750.644 მან. ე. ი. 1,4%, თამბაქო—751.416 მან., ე. ი. 1,4%, პური 583.367 მან., ე. ი 1,1% და სხვ.

ამგვარად, 18 წლის განმავლობაში (1832-1850 წ. წ.) ამიერ-კავკასიაში უცხოეთიდან (ევროპიდან და აზიიდან) შემოტანილ იქნა სულ 58.212.799 მან. საქონელი; აქედან 5.742.706 მან. ანუ 9,9% ევროპიდან, ხოლო 52.470.033 მან., ანუ 90,1% აზიიდან. საშუალო რიცხვით წლიური შემოტანი უდრის 3.234.041 მან. იმის დასახასიათებლად, თუ როგორ იზრდებოდა ამ ხნის განმავლობაში უცხოეთიდან საქონლის შემოტანა, ჩვენ მოგვყავს შემდეგი ცხრილი:

წლები	შემოტანი მანეთებად		ს უ ლ
	ევროპიდან	აზიიდან	
1832	32.567	598.988	631.556
1833	48.475	528.108	576.582
1834	136.090	1.607.842	1.743 932
1835	115.458	1.951.656	2.047 094
1836	129.586	2 600.158	2.729.745
1837	279.962	2 478.946	2.758.909
1838	164.468	2.961.653	3 126.122
1839	337.758	2.681.213	3.018 971
1840	292.144	3.114.590	3.406.735
1841	258.482	2.920.521	3.158.804
1842	307.457	3 431.264	3.738.721
1843	407.437	3.233.170	3.640.607
1844	388.244	3.035.475	3.425.720
1845	377.204	3.51[illegible].103	3.9[illegible].370
1846	466.007	3.426.760	3.892.768
1847	515.170	3.450 946	3.969.116
1848	414.628	3.760.313	4.174.941
1849	495.028	4.038 860	4.533.888
1850	596.534	3.144.676	3.741.211

აქედან აშკარად ვხედავთ, თუ როგორ თანდათან იზრდებოდა და მატულობდა საქონლის შემოტანა, როგორც ევროპიდან, ისე აზიიდან. შევრამ ვხედავთ იმასაც, რომ უცხოეთის საქონელი მეტ წილად შემოჰქონდათ აზიიდან, ე. ი. სპარსეთიდან და ოსმალეთიდან, რაც იმით აიხსნება, რომ ევროპიდან საქონლის შემოტანა, აკრძალვითი ბაჟების გამო, თითქმის სრულებით შეუძლებელი იყო. მხოლოდ უკანასკნელი წლების განმავლობაში (1846-50 წლებში) ჩვენ ვამჩნევთ ცოტაოდენ ცვლილებას. მაგალითად თუ 1832 წელს ევროპიდან საქონლის შემოტანა უდრიდა დაახლოებით 5-6%-ს, 1846 წელს იგი უკვე 12%-ს უდრის.

ამგვარად, უკვე მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში აღებ-მიცემობამ საერთოდ ამიერ-კავკასიაში და უმთავრესად კი საქართველოში საკმარისად დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მეტი წილი საქონელი შემოდიოდა უცხოეთიდან, მაგრამ რუსეთიდანაც დიდძალი საქონელი მოჰქონდათ. მთავარი ცენტრი, სადაც თავს იყრიდა, როგორც უცხოეთიდან, ისე რუსეთიდან შემოტანილი საქონელი, იყო ტფილისი. ტფილისი აწარმოებდა აღებ-მიცემობას, როგორც ევროპასთან და აზიასთან, ისე რუსეთთან. რუსეთთან ვაჭრობა ხდებოდა საქართველოს სამხედრო გზით. მეცხრამეტე საუკუნის 1840 –50 წლებში რუსეთიდან შემოტანილი საქონლის ღირებულება წლიურად, დაახლოებით უნდა ვიანგარიშოთ 1.800.000 მანეთიდან 2.500.000 მანეთამდე. ეს იყო უმთავრესად ფართლეულობა (ბამეულობა), შემდეგ ტკინეულობა, სპილენძეულობა და შუშეულობა. ამ ვაჭრობას ეწეოდენ უმთავრესად ტფილისელი სომეხი-ვაჭრები, ხოლო 1847 წლიდან ტფილისის ვაჭრობაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე რუსი ვაჭრებიც.

როგორც ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, ორმოკიან და ორმოცდაათიან წლებში მარტო რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოტანილი საქონლის **ღირებულება წლიურად, საშუალო რიცხვით, 3 მილ. მანეთს აღემატებოდა**. თუ რა მონაწილეობას იღებდა აღებ-მიცემობაში ადგილობრივად, საქართველოში, დამზადებული საქონელი, ამის შესახებ არავითარი სტატისტიკური ცნობები არა გვაქვს. შეიძლება დანამდვილებით ვსთქვათ მხოლოდ ის, რომ თუ მატულობდა და იზრდებოდა უცხოეთიდან და რუსეთიდან შემოტანილი საქონლის რაოდენობა, მატულობდა და იზრდებოდა აგრეთვე ადგილობრივ დამზადებული საქონლის რაოდენობაც. მართალია ამ რაოდენობაზე ჩვენ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ უკვე მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ადგილობრივადაც დიდძალი ნაწარმოები ხდებოდა ყიდვა-გაყიდვის საგნად. მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებთან შედარებით საქართველოს სინამდვილე არსებითად შეიცვალა, და ამ ცვლილებას უპირველეს ყოვლისა აღებ-მიცემობა ახდენდა. აღებ-მიცემობა მძლავრად გააქანა წინ უმთავრესად უცხოეთიდან შემოტანილმა საქონელმა. ასე იყო თუ ისე, საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმ დროს მზადდებოდა დიდი ცვლილებები, რომელთა შემჩნევა პირველი შეხედვით ადვილი არ იყო. უმთავრესი ცვლილება მდგომარეობდა იმაში, რომ პატრიარქალურ-ნატურალურ მეურნეო-

ბაში რღვევისა და დაშლის პროცესი შეიჭრა. რამდენადაც იზრდებოდა და ვითარდებოდა აღებ-მიცემობა, იმდენად მატულობდა და ვრცელდებოდა ამ ღვევა-დაშლის პროცესიც. ეს იწვევდა საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ზრდას, ერთის მხრივ, და ფულის საჭიროების ზრდას საზოგადოებაში, მეორეს მხრივ. ფულის მოთხოვნილება უმთავრესად თავად-აზნაურობას განუვითარდა, რომელიც არაფერს აკეთებდა, მაგრამ სამაგიეროდ ბევრს ხარჯავდა. აი საიდან მიეცა დასაწყისი ქართველი **თავად-აზნაურობის დავალიანებას**; ამას კი შედეგად მოჰყვა თავად-აზნაურობის მიერ მამულებისა და ყმების დაგირავება და დაყიდვა, რამაც პირდაპირ გადამდები სენის ხასიათი მიიღო.

ფულის საჭიროების ზრდამ გამოიწვია იმავე დროს **მევახშეობის განვითარება, ზრდა სამევახშეო კაპიტალისა** (არდაზიანის რომანი „სოლომონ მეჯლანუაშვილი", გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი"; შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში — ეგნ. ნინოშვილის ტიპები-დროძენი და სხვ.) რამდენადაც შემოტანილი საქონელი ადგილობრივად დამუშავებას (სამჭედლოებში და სხვა სახელოსნო დარგებში) მოითხოვდა, იმდენათ პირველ ხანებში ის არ ამცირებდა ხელოსნურ წარმოებას, მაგრამ თვით ხელოსნური წარმოების ორგანიზაციაში ამ გარემოებას უსათუოდ რღვევისა და დაშლის პროცესი უნდა შეეტანა. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ისე, როგორც ბატონყმობის წესები არ შეეფერებოდა განვითარების გზაზე დამდგარ ახალ ეკონომიურ პირობებს (აღებ-მიცემობას), სწორედ ასევე არ შეეფერებოდა მას ძველთაგან შექმნილი და გადმოცემული ხელოსნური წარმოების ორგანიზაცია, რომელიც ახალს ვერ ურიგდებოდა და ყოველგვარ წინსვლას ეწინააღმდეგებოდა.

იმპორტთან ერთად საჭიროა მოვიყვანოთ აქვე ცნობები ექსპორტის შესახებაც. რა თქმა უნდა, საქონლის გატანას ამიერ-კავკასიიდან, და კერძოთ, საქართველოდან, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ბევრად უფრო ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე შემოტანას. გარდა ამისა, ექსპორტში საკმარისად დიდი ადგილი ეჭირა რუსეთიდან შემოტანილ საქონელს. ასე რომ ქვემოთ მოყვანილი ცნობები შეიცავს, როგორც რუსეთიდან შემოტანილ, ისე ადგილობრივად დამზადებულ საქონელს.

გატანა ამიერ-კავკასიიდან.

წლები		
1832	1.335.819	მან.
1833	336.724	„
1834	449.235	„
1835	765.708	„
1836	220.265	„
1837	951.830	„
1838	911.943	„
1839	759.970	„

1840	1.019.990	„
1841	994.980	„
1842	812.086	„
1843	695.330	„
1844	960.208	„
1845	781.759	„
1846	755.456	„
1847	832.591	„
1848	780.790	„
1849	725.180	„
1850	1.005.996	„
ს უ ლ	15.095.860	მან.

ამნაირად, 18 წლის განმავლობაში (1832—1850) სულ ამიერ კავკასიიდან გაუტანიათ 15.095.860 მან. საქონელი, რაც შეადგენს იმპორტის მხოლოდ ერთ მეოთხედს. საშუალო რიცხვით წლიური გატანა უდრის 880.000 მან. გარდა ამისა, ჩვენი ცხრილიდან სჩანს, რომ გატანას, საერთოდ, მაინცადამაინც დიდი ცვლილება ღირებულების მხრით არ განუცდია; მხოლოდ 1833-34 წლებში გატანა საგრძნობლად შემცირებულა, სხვა წლებში კი იგი საერთოდ ერთ დონეზე დგას.

შემდეგ, იმის დასახასიათებლად, თუ, სახელდობრ, რა საქონელი გაჰქონდათ საქართველოდან, და საერთოდ ამიერ-კავკასიიდან, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მოგვყავს შემდეგი ცხრილი:

გატანა 1832-1850 წლებში.

საქონელი	საერთო ღირებულება	%/% საერთო გატ.
1. ნედლი აბრეშუმი	2.494.638 მან. ანუ	15,8% „ „
2. პური[1])	1.684.555 „ „	10,6% „ „
3. დაჭმხადებელი ტყავი	1.614.696 „ „	10,3% „ „
4. ბამბის ნაწარმოები[2])	2.059.136 „ „	13 0% „ „
5. ფოლადის ნაწარმოები[3])	1.175.318 „ „	7,4% „ „
6. ნავთი	818.644 „ „	5,2% „ „
7. ბამბა	766.849 „ „	4,9% „ „
8. საქონელი (პირუტყვი)	706.695 „ „	4,5% „ „
9. აბრეშუმის ნაწარმოები	600.715 „ „	3,8% „ „
10. სალებავი	581.993 „ „	3,7% „ „
11. შალეულობა	505.392 „ „	3,5% „ „
12. ხე-ტყე	244.920 „ „	1,5% „ „
13. ხიზალალა	180.285 „ „	1,2% „ „

[1]) ნაჩვენები არ არის, სახელდობრ რა პური, ალბად აქ სიმინდიც ურევია.
[2]) ეს იყო სულ ერთიანად რუსეთიდან მოტანილი საქონელი.
[3]) ალბად ესეც რუსეთიდან იყო შემოტანილი.

14. სანთელი	182.108	„ „	1.2%	„
15. ზაფრანა	128.279	„ „	0.8%	„

ზემოთ ჩვენ ჩამოვთვალეთ უმთავრესი გასატანი საგნები. გარდა ამისა გაჰქონდათ კიდევ მატყლი, თამბაქო, მარილი და სხვა წვრილმანი, მაგრამ ესენი უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ.[4])

ამგვარად, უკვე მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, აშკარა შეიქნა, რომ საქართველო, ამიერ-კავკასიასთან ერთად, **რუსეთის კოლონიად უნდა გადაქცეულიყო.** მხოლოდ ამას კიდევ ის ცუდი მხარე ჰქონდა, რომ რუსეთის მთავრობა და რუსეთის კაპიტალისტური ბურჟუაზია არა თუ არ ფიქრობდნენ აქ მრეწველობის განვითარებაზე, არამედ არც იმაზე ზრუნავდნენ, რომ ჩვენში სასოფლო-მეურნეობა მაინც გაუმჯობესებულიყო და რუსეთის მრეწველობისათვის საჭირო ნედლი მასალა მიეღო. ერთი სიტყვით, რუსეთის მთავრობა ოდნავათაც არ ზრუნავდა ადგილობრივად საწარმოო ძალების განვითარებისათვის. მაგრამ ეს მისი სურვილის წინააღმდეგ უნდა მომხდარიყო.

რაც შეეხება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს, ალებ-მიცემობის განვითარება აქლა ბევრად უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. მართალია, ამ გარემოებას ძლიერ შეუწყო ხელი ჯერ ბატონყმობის გაუქმებამ და მერე მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესობამ, სახელდობრ, რკინისგზების შემოღებამ; მაგრამ ეს ცვლილებაც რომ არ მომხდარიყო ალებ-მიცემობის განვითარება მაინც წინ უნდა წასულიყო, თუმცა რა თქმა უნდა, არა ისეთი ტემპით. როგორც ვიცით, 1864-66 წლებში საქართველოში ბატონყმობა გაუქმდა; **პირველი რკინის გზა კი ფოთსა და ტფილისს შუა—1871 წლის აგვისტოს 14-ს გაიხსნა,** ეჭვს გარეშეა, რომ რკინისგზამ მძლავრად წასწია წინ როგორც ალებ-მიცემობა, ისე მრეწველობაც, რომელიც მხოლოდ იმ ხანებში ჩნდება ჩვენში. ბატონყმობის გაუქმებამ, ერთის მხრით, და რკინისგზის განვითარებამ და მრეწველობის წარმოშობამ (მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში), მეორეს მხრით, საქართველოს საზოგადოებრივ ურთიერთობაში პირდაპირ რევოლუცია მოახდინა. შინა-მრეწველობა სოფლად და ხელოსნური წარმოება ქალაქად ან სრულებით მოსპო, ზოგიერთი მივარდნილი ადგილების გარდა, ან დაჰკარგა ის მნიშვნელობა, რაც წინათ ჰქონდა. ვინც მოიწადინებს 1870-1890 წლების ქართული ლიტერატურის გადათვალიერებას, ის დაინახავს, თუ როგორ დასტიროდნენ ამ ამბავს მაშინდელი ჟურნალისტები, პუბლიცისტები და მწერლები, თუ როგორ სწუხდნენ ისინი, რომ მათ თვალ წინ სამუდამოთ ისპობოდა ნატურალური მეურნეობა, მოწმე ძველ დროთა ცხოვრებისა, და სოფლად იჭრებოდა და გზას იკაფავდა ფაბრიკისა და ქარხნის ნაწარმოები. ამავე დროს, ძველი ბატონყმური ურთიერთობის ადგილს ახალი, (ბურჟუაზიული) ურთიერთობა იჭერს, ე. ი. ჩნდება და ვითარდება სრულიად ახალი საზოგადოებრივი კლასები: **ბურჟუა-კაპიტალისტები და ქალაქის მუშები, პროლეტარიატი,** რომელთაც არც მეცხრამეტე საუკუნემდე და არც მეცხრამეტე საუკუნის პირ-

[4]) იხ. დიუკრუასის ზემოთ დასახელებული შრომა გვ. 424-437.

ველ ნახევარში საქართველოში არ იცნობდენ. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში აქ ჩნდება და თანდათან ვითარდება **კაპიტალისტური წარმოება**, ერთის მხრით, და **მუშათა კლასი** მეორეს მხრით. ამას უნდა მოჰყოლოდა ჯერ ჩვენი კლასობრივი ბრძოლის დაწყება. ასეც მოხდა. მაგრამ სულ ჩქარა ეს ბრძოლა რევოლიუციონურ ხასიათს ღებულობს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ ანდერძათ გად სცა მეოცეს. მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ აღებ-მიცემობას. რა მდგომარეობა იყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან? ჩვენ მოვიყვანთ აქ რამდენიმე უფრო დამახასიათებელ სტატისტიკურ ცნობებს: ამ ეპოქას ჩვენ გავყოფთ ორ ხანად: 1) რკინისგზის გახსნამდე (1851-1871) და 2) შემდეგი ხანა (1871-1899).

ავიღოთ ჯერ **აღებ-მიცემობა უცხოეთთან**. ჩვენ გვაქვს ასეთი ციფრები: [1]

წლები:	შემოტანა მანეთ.	გატანა მანეთ.
1851	4.193.433	1.104.800
1864	7.476.000	3.665.000
1870	11.470.000	3.932.000

ამნაირად, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებში ყოველწლიურად საშუალო რიცხვით უცხოეთიდან შემოქონდათ საერთოდ ამიერ კავკასიაში 3.234.041 მან. საქონელი (1850 წელს შემოტანილი საქონელი უდრიდა 3.741.211 მან.), და მეორეს მხრით, იმავე ხანებში ამიერკავკასიიდან გაჰქონდათ საშუალო რიცხვით 680.000 მ. საქონელი (1850 წელს 1.005.996 მან. **გამოვა, რომ** 20 წლის განმავლობაში (1850-1870) მოუმატნია: შემოტანას 8.236 000 მან.) ანუ 255%, ხოლო გატანას 3.052.000 მან., ანუ 349%. ამნაირად, გადატანა თითქმის ასი პროცენტით მეტად გაზრდილა, ვიდრე შემოტანა, თუმცა უკანასკნელი მაინც ბევრად სჭარბობს პირველს სამწუხაროდ ამ წლებისთვის ჩვენ არა გვაქვს ცნობები რუსეთიდან შემოტანილი და გატანილი საქონლის შესახებ. ასეთი ცნობები გვაქვს მხოლოდ 1872 წლიდან. ამ ცნობების მიხედვით აღებ-მიცემობა რუსეთთან შემდეგ სურათს წარმოადგენდა:

წლები	შემოტანა მან.	გატანა მანეთ.
1872	5.333.783	1.908.141
1876	11.923.962	2.871.856

იმავე წლებში აღებ-მიცემობა უცხოეთთან:

წლები	შემოტანა მანეთ.	გატანა მანეთ.
1872	9 451.029	5.629.413
1876	8.310.546	6.118.453

აქედან სჩანს, რომ 5 წლის განმავლობაში (1872-76) უცხოეთიდან შემოტანილი საქონლის რაოდენობას რამდენიმეთ დაუკლია, მაგრამ იმავე ხნის გან-

[1]) იხ. ჩემი წერილი ჟურ. „კვალში": „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება". 1895 წ. №№ 1, 2, 4.

მავლობაში უმატნია რუსეთიდან შემოტანილი საქონელის რაოდენობას. საერთოდ მთელი შემოტანა და გატანა ზემო მოყვანილი ციფრებით ასახულმად შემდეგ სურათს იძლევა:

წლები	მთელი შემოტანა	მთელი გატანა
1872	14.784.812 მ.	7.537.554 მან.
1876	20.233.807 მ.	8.990.309 მან.

აქედან სჩანს: 1) როგორც შემოტანას, ისე გატანას ოცი წლის განმავლობაში მეტად საგრძნობლად უმატნია წინა ხანასთან შედარებით, 2) თუმცა გატანა ძლიერ ჩქარი ტემპით იზრდება, მაგრამ ჯერ კიდევ შემოტანა სჭარბობს.

საინტერესოა, დაუპირისპიროთ ერთმანეთს საქონლის შემოტანა რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან.

წლები	შემოტანა ევროპის ნაწარმ.	რუსეთის ნაწარმ.
1873	7.826.720 მან.	4.992.256 მან.
1881	7.951.421 —	15.835.133 —

აქედან აშკარად ვხედავთ: მაშინ, როცა შემოტანა ევროპიდან 8 წლის განმავლობაში (1873-81) ერთ წერტილზე გაჩერებულა, რუსეთიდან შემოტანას მოუმატნია 10.842.837 მან., ანუ 218%. ეს სურათი ძირიანად იცვლება მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან, რასაც ნათლად გვიჩვენებს შემდეგი ცნობები:

აღებ-მიცემობა უცხოეთთან.

წლები	შემოტანა	გატანა
1886	11.452.145 მ.	27.812.402 მ.
1893	16.477.000 მ.	39.358.000 მ.

თუ წინათ, ე. ი. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებამდე უცხოეთიდან შემოტანა, ბევრად სჭარბობდა გატანას, ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან ჩვენ სულ წინააღმდეგს ვხედავთ: ახლა გატანა რამდენჯერმე მეტია შემოტანაზე ეს ცვლილება აიხსნება უმთავრესად ნავთეულობის და მარგანეცის ნაწარმოების ზოდით, ერთის მხრით, და ბიქო-ბათუმის რკინისგზის გახსნით (1883 წ.), მეორეს ხრით. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბაქოს ნავთის წარმოების მეტად სწრაფმა განვითარებამ გასული საუკუნის 70-80 წლებიდან მეტად ძლიერი გაკლნა მოახდინა, როგორც ამიერ-კავკასიის, ისე კერძოდ საქართველოს ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის ზოდა განვითარებაზე... რაც შეეხება მარგანეცს, მისი გავლენა განისაზღვრებოდა მხოლოდ საქართველოს, უფრო სწორად, დასავლეთ საქართველოს ფარგლებით.

ამგვარად, ჩვენ მივადექით მრეწველობას. აღებ-მიცემობისა და მისი მოსვლის საშუალებათა განვითარებამ მრეწველობის ზოგიერთი დარგის წარმოშობა და განვითარება გამოიწვია. ეს მოხდა მეცხრამეტე საუკუნის სამოცდა-ათიან-ოთხმოციან წლებში. პირობები ამას ხელს უწყობდა. ბატონყმობა გაუქ-

მდა; ნატურალური და ხელოსნური წარმოება უკვე საკმარისად დაიშალა და შემცირდა; დიდძალი „თავისუფალი“ მუშახელი გაჩნდა ბაზარზე; მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესება უადვილებდა გლეხებსა და ხელოსნებს ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლას; მიწის ნაკლებობა, ან სრულიად უმიწოდ დარჩენა გლეხებს სოფლიდან ქალაქისაკენ ერეკებოდა. რა ეუყოთ, რომ მისთვის აქაც, მეტ წილად ჯოჯოხეთური პირობები იყო! სამაგ ეროდ ქალაქში ლუკმა-პურს მაინც მოულობდა.

მრეწველობის მთავარი დარგები შემდეგი იყო: რკინისგზები და რკინისგზის სახელოსნოები, მარგანეცის წარმოება ჭიათურაში, ტყვიბულის ქვა-ნახშირი, თამბაქოს წარმოება, ტყავისა და საპნის ქარხნები, სადურგლო ქარხნები ტფილისში და სხვ.[1]). სამწუხაროდ, თუ ალებ-მიცემობის შესახებ ჩვენ საკმარისი ცნობები არა გვაქვს, მრეწველობის შესახებ საქმე კიდევ უფრო უარესადაა; თუ რამ ცნობა მოგვეპოება, ისიც ნაკლებად სარწმუნოა, რადგან ეს ცნობები მაშინდელი ადმინისტრაციის, ან პოლიციის მიერ არის შეკრებილი.

პირველად მოვიყვანთ 1887 წლის ცნობებს. ეს ცნობები შეიცავენ: 1) ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობას, 2) წარმოების ღირებულებას და 3) მუშების საერთო რიცხვს მაშინდელ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში.

გუბერნიები	ფაბრ-ქარხნ. რიცხვი.	წარმოების რაოდენობა მანეთებში.	მუშების რიცხვი
ტფილისის	1.543	4.944. 737 მ.	6.107
ქუთაისის	610	5.237. 254—	6.208
	2.153	10.181. 991	12.315

უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქ არ არიან რკინისგზის მუშები, რომლების რიცხვი მარტო ტფილისის მთავარ სახელოსნოებში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს 4.000 კაცამდე აღწევდა; 1887 წელს კი იმათი რიცხვი ყოველ შემთხვევაში 2.000-ზე ნაკლები არ იქნებოდა.

ამ ცნობის მიხედვით თითო ქარხანაზე ანუ ფაბრიკაზე, საშუალოდ მოდიოდა 5 ან 6 მუშა. ამავე დროს, თითოეულ მუშაზე საშუალოდ მოდიოდა დაახლოებით 827 მან. აქედან შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად მცირე იყო მაშინდელი წარმოება. ამ მხრით ზოგიერთი განსხვავება არსებობდა ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებს შორის. მაგალითად, თითოეულ ფაბრიკა-ქარხანაზე მოდიოდა საშუალო რიცხვით:

ტფილისის გუბ. 4 მუშა.
ქუთაისის გუბ. 10 მუშა.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენ თვითონ ნაკლებად გვწამს ეს ცნობები, მაგრამ უკეთესი სტატისტიკა არა გვაქვს.

დაახლოებით ასეთივე ცნობები გვაქვს ამ ორი გუბერნიის შესახებ 1893—94 წლებისათვის. ეს ცნობები ინტერესს მოკლებული არ არის. ამიტომ მოგვყავს აქვე.

---

[1]) ერთ დროს (1863—1900 წლებში) ტფილისში ბამბის საქსოვი ქარხანაც არსებობდა.

ჯუბერნიები	ფაბრიკ.-ქარხ. რიცხვი.	ნაწარმ. რაოდენ. მანეთებში	მუშების რიცხვი
ტფილისის	1.500	4.500.000	12.500
ქუთაისის	1.297	28 078.089	10.328
	2.797	32.578.089	22.828

თუ მოყვანილი ცნობები სწორია და მათ 1887 წ. ცნობებს შევადარებთ, მივიღებთ, რომ მუშების რიცხვი ამ ხნის განმავლობაში გადიდებულა 10.513 კაცით, ანუ 84%; მასთან, ეს გადიდება უფრო მეტია ტფილისის გუბერნიაში. მეორეს მხრით, ნაწარმოების საერთო ღირებულება გადიდებულა 23.396.098 მან., ანუ 221%, და ეს გადიდება სავსებით ქუთაისის გუბერნიას ეკუთვნის.

მაგრამ, როგორც ვსთქვით, ზემოთ მოყვანილი ცნობები სინამდვილეს სავსებით ვერ გამოხატავს. აქ არ არის შეტანილი ისეთი დარგი, როგორცაა რკინის-გზა, შემდეგ სოფლის მეურნეობა და მრავალი წვრილი მეურნეობანი.. გარდა ამისა, საქართველოში, და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, დიდძალი მუშა გადიოდა გარეთ; ზოგი მათგანი ამიერ-კავკასიაში (მაგ. ბაქოში) რჩებოდა, ზოგი კი ამიერ-კავკასიის ფარგლებსაც სცილდებოდა. ამის მიზეზი იყო: ერთის მხრით, მიწის უდიდესი სიმწროვე და ნაკლებობა და, მეორეს მხრით, მრეწველობის განუვითარებლობა.

ამგვარად, როგორც აღებ-მიცემობის, ისე მრეწველობის მხრით საქართველო მეცხრამეტე საუკუნის გასულს სულ სხვა სურათს წარმოადგენდა, ვიდრე ამ საუკუნის დამდეგს. ნატურალური მეურნეობა უკვე სავსებით დაშლილი და გამჭრალი იყო, ხელოსნური წარმოებაც ძალზე შესუსტებული. საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ნახევრიდან იწყება ქალაქის მრეწველობის განვითარება, მაგრამ რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის წყალობით მისი წინსვლა ძალზე დაბრკოლდა და შეფერხდა. ეს იყო კოლონიალური პოლიტიკის შედეგი. რაც შეეხება ვაჭრობა-აღებ-მიცემობას, მან უფრო ფართო ხასიათი მიიღო, მაგრამ ვაჭრობის საგნები ბოლო ხანებში მეტ წილად ან რუსეთიდან შემოჰქონდათ ან უცხოეთიდან. ადგილობრიეი ნაწარმოებიდან ბაზარზე გამოჰქონდათ უმთავრესად სოფლის მეურნეობის პროდუქტები როგორც, მაგ., სიმინდი, ღვინო, თამბაქო, ბამბა, მატყლი, ხორცი და სხვ. მაგრამ ყველაზე უფრო გავრცელებული „საქონელი" იყო მეშა-ხელი. საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმოები კი რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოჰქონდათ; რუსეთიდან შემოჰქონდათ აგრეთვე დიდ-ძალი პური.

ამგვარად, მიუხედავათ აუტანელი ბიუროკრატიული რეჟიმისა, ერთის მხრით, და გარუსების ტლანქი და უხეში კოლონიალური პოლიტიკისა, მეორეს მხრით,—რაც ხალხში აშკარა აღშფოთებას თუ არა, ჩუმ უკმაყოფილებას მაინც იწვევდა,—რუსეთსა და საქართველოს შორის დამყარდა საკმარისად ძლიერი კავშირი ეკონომიური ურთიერთობის ნიადაგზე.

საქართველოს სხვა ტომთა ხალხით დასახლება.

როგორც საქართველო, ისე მთელი ამიერ-კავკასია რუსეთის თვითმპყრობელმა მთავრობამ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში დაიპყრო. დაპყრობილ

ქვეყანას და ხალხს თავზე უნდა დატეხოდა დამპყრობელი ხალხის რისხვა და ძალდატანება. ვინც სხვას ძალით იპყრობს და იმორჩილებს, იგი არასოდეს დაპყრობილს ნდობით არ მოექცევა. ასევე მოხდა ამ შემთხვევაშიც. რუსეთის მთავრობა თავის ბატონობის დასამკვიდრებლად საქართველოში სხვადასხვა საშუალებას მიმართავდა. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენდა საქართველოში სხვადასხვა ტომის ჩამოსახლება. ამით რუსთა მთავრობა ფიქრობდა ქართველი ხალხის დასუსტებას, ან მის სრულიად გადაქართველებას, ე. ი. გადარჯულებას ან გარუსებას. ეს ჩამოსახლება ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. მართალია, პირველ ხანებში მეტ-წილად რუს-მწვალებლებს, დუხობორებს, მალაკნებს და სხვებს ასახლებდენ, მაგრამ, აქა-იქ, უფრო კარგ ადგილებში მართლმადიდებელი გლეხებიც ჩამოჰყავდათ. განსაკუთრებით რუს-გლეხებს ას:ხლებდენ აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლ-კახეთში, ბორჩალოს მაზრაში), რადგანაც დასავლეთ საქართველოში ჰავა და ნიადაგი რუსებისთვის სრულიად მეუფერებელი გამოდგა.

რუსებს გარდა მთავრობამ რამდენიმე სოფელი დაასახლა **გერმანელებით**, რომელთაც მთავრობა მეტად დიდ ყურადღებას აქცევდა. გარდა ამისა, 1828 წელს ოსმალეთთან ომის დამთავრების შემდეგ, რუსეთს გადაეცა—სამცხე-საათაბაგო (ახალც. მაზრა) და ჯავახეთი (ახალქალაქის მაზრა). რადგანაც ამ პროვინციების გამაჰმადიანებულმა ქართველობამ აღარ ისურვა რუსეთის ბატონობაში დარჩენა და ოსმალეთში გადასახლდა, ამიტომ რუსეთის მთავრობამ ნება დართო, რომ ოსმალეთიდანვე ამ პროვინციებში გადმოსახლებულიყვენ სომხები და ბერძნები. ასე აჭრელდა საქართველოს სოფლის მოსახლეობა. რაც შეეხება ქალაქებს, აქ უცხო ელემენტებ ს გაძლიერება სხვა გზით ხდებოდა: უცხო ტომის მოხელეების გამოგზავნებით და აგრეთვე უცხო ტომის ვაჭრებისათვის სხვადასხვა შეღავათების მინიჭებით. ყოველივე ამით მთავრობა ცდილობდა სანდო ელემენტების შექმნას და მათში ქართველების გათქვეფას. ამ მიზნით მთავრობა ჩამოსახლებულ ელემენტებს ანიჭებდა ყოველგვარ უპირატესობას და შეღავათს ადგილობრივ მცხოვრებლებთან შედარებით... მთავრობა აძლევდა მათ საუკეთესო მიწებს, ანთავისუფლებდა გადასახადებიდან, აძლევდა დახმარებას ფულითაც და სხვ., მაშინ, როდესაც ადგილობრივი გლეხობა ყოველსავე ამას მოკლებული იყო. უნდა ვსთქვათ, რომ ყველაზე დიდი უპირატესობა რუსეთის მთავრობამ გერმანელ კოლონისტებს მიანიჭა. მარტო ყოფილ ტფილისის გუბერნიაში მთავრობამ მისცა მათ 14.890 დეს. საუკეთესო სახნავი მიწა; ასე რომ, თითოეულ მამაკაცს 22 დესეტინაზე მეტი მიწა ერგებოდა მაშინ, როდესაც თითოეულ ქართველ გლეხზე ძლივს 1—1½ დეს., შეიძლება იმშვიათად 2—2½ დეს. მოდიოდა. გარდა ამისა, გერმანელები, და რამდენიმეთ რუსი კოლონისტები სარგებლობდენ სხვადასხვა შეღავათით თუ გადასახადის, თუ კრედიტის სფეროში. ქართველი გლეხობა ყოველივე ამას მოკლებული იყო.

რა უნდა მოყოლოდა შედეგად ასეთ პოლიტიკას? უპირველეს ყოვლისა ის, რომ ქვეყანა დასახლდა სხვადასხვა ტომის ხალხით, რომელთაც არაფერი

საერთო ერთმანეთში არ ჰქონდათ, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდენ ენით, კულტურით, ზნე-ჩვეულებით, ისტორიით, ზოგ შემთხვევაში სარწმუნოებითაც. ამავე დროს, ახლად დასახლებულები მეტ წილად სარგებლობდენ სხვადასხვა უპირატესობით და შეღავათით, მაშინ როდესაც ძირძველი მოსახლეობა ამას მოკლებული იყო. ამ ნიადაგზე მათ შორის მოსალოდნელი იყო სხვადასხვა უსიამოვნებისა და განხეთქილების აღმოჩენება, მეორეს მხრით, ქართველი ელემენტის ჯერ ძალზე დასუსტება და შემდეგ სრულიად გაქრობა. მაგრამ არც ერთი მოხდა და არც მეორე. შეუძლებელია იმის თქმა, რომ ქართველ მოსახლეობასა და მოსულ ელემენტებს შორის კარგი ურთიერთობა და განწყობილება დამყარებულიყოს; მაგრამ ამ ურთიერთობას, შეიძლება ითქვას, არასოდეს მწვავე ხასიათი არ მიუღია. მართალია, მხოლოდ ის, რომ მოსულები მეტ წილად ცხოვრობდენ განცალკევებულად, დახშულად; განსაკუთრებით ეს ითქმის გერმანელ კოლონისტებზე. გერმანელები ისე ცხოვრობდენ, თითქო მათ ირგვლივ სხვა არავინ ყოფილიყოს; ადგილობრივ მოსახლეობასთან მათ არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდათ. სცხოვრობდენ და იყვნენ თავისთვის, სთვლიდენ რა თავიანთ თავს ადგილობრივ გლეხებზე მაღლა. დაახლოებით ასევე ცხოვრობდენ რუსი სექტანტები, ხოლო, რაც შეეხება მართლმადიდებელ რუს გლეხებს, ისინი საკმარისად დაუახლოვდენ ქართველ გლეხებს და მოხდა საკვირველი მოვლენა: რუსმა გლეხებმა არა თუ ვერ გააქრუსეს ქართველი გლეხები, არამედ თითონ გაქართველდენ. ასე მოხდა, მაგალითად, ქახეთში, ჭიზიყში; რუს გლეხებს აქ გვარები ღა შერჩენიათ რუსული, თორემ ისე ქართველები არიან.

რაც შეეხება ქართველი მოსახლეობის გათქვეფას მოსულ ელემენტებში, ესეც არ განხორციელდა. ქართველმა გლეხობამ, მიუხედავათ მოვალეებისა და სიძნელისა, გაუძლო იერიშებს და თავისი სახე შეინარჩუნა. პირიქით, მაშინ როდესაც მოსული ელემენტები რევოლიუციონურ მოძრაობას შორიდან შესცქეროდენ, ქართველი გლეხკაცობა, ქართველ მუშებს რომ თავი დავანებოთ, ამ მოძრაობის შუაგულში მოექცა. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი უმთავრესად ის გარემოება იყო, რომ სწორედ ქართველი გლეხკაცობა იყო ძალზე შეეიწროებული, როგორც მიწის მხრით, ისე სხვადასხვა გადასახადებით და ბეგარით. მაშინ როდესაც სხვა ტომის გლეხობას მიწა არა თუ სამყოფი ჰქონდა, არამედ იჯარითაც აძლევდა მას, ქართველ გლეხობას სული ძვრებოდა, მიწის სიმწროვით და მეტ წილად იჯარით იღებდა მას ძლიერ მაღალ ფასებში, ბშირად სანახევროდ.

საერთოდ, რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოს მიმართ წარმოებულ კოლონიალურ პოლიტიკაზე უნდა ვსთქვა, რომ ეს პოლიტიკა სულ ერთიანად გაკოტრდა, ე. ი. მან სრულებით ვერ მიაღწია იმ მიზანს, რასაც ისახავდა.

მწერლობა, სკოლა, განათლება.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ხდება საქართველოს სხვადასხვა ნაწილების შეკრება და გაერთიანება. მაგრამ ეს არ იყო ბუნებრივი და ორგანიული

განვითარების შეუძეგი; ეს ხდებოდა ზევიდან, ძალდატანებით. ეს არის ერთი მხარე. მეორეს მხრით, მართალია, საქართველო ცალკე სამეფოებად და სამთავროებად აღარ იყო დანაწილებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში **საქართველო ერთ მთელს მაინც არ წარმოადგენდა.** ამას ხელს უშლიდა არა მარტო ის გარემოება, რომ საქართველოს ამ ხნის განმავლობაში ერთი ცენტრი არ ჰქონია, არამედ ისიც, რომ საქართველოს და ქართველი ხალხის ბედს მთლად უცხო ხალხის მთავრობა განაგებდა, და მასთან ისეთი მთავრობა, რომელიც საერთოდ ყოველი მშრომელი ხალხის, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, მტერი იყო, და მაშასადამე, არ შეეძლო ხალხის წარმატებისათვის ეზრუნა. კერძოდ, შეეძლო თუ არა რუსეთის მთავრობას ქართული მწერლობისათვის, ქართული კულტურისათვის ეზრუნა. იყო თუ არა ის დაინტერესებული ქართული მწერლობის, ლიტერატურის, თეატრის, ხელოვნების განვითარებით? თავისთავად ცხადია, არა. პირიქით, რამდენადაც ის დაპყრობითი პოლიტიკას მ სდევდა, იმდენად უთუოდ ხელი უნდა შეეშალა დაპყრობილი ხალხის კულტურის განვითარებისათვის, უნდა ჩაეკლა იგი და დაპყრობილ ერში მპყრობელი ერის კულტურა გაეერცელებია. ეს იყო წმინდა **გარუსების პოლიტიკა** და ამ გზას ადგა რუსეთის მთავრობა დღიდან საქართველოში დამკვიდრებისა. ასე, მაგალითად, მან თავიდანვე ყველა დაწესებულებაში სახმარებლად შემოიღო **რუსული ენა.** ასე გრძელდებოდა მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. თუმცა ხალხის გარუსება შეუძლებელი იყო, მაგრამ ქართული ენა მის თვალში თანდათან ჰკარგავდა მნიშვნელობას, რადგანაც ამ ენის საშუალებით მას არ შეეძლო რაიმე დაწესებულებაში შესვლა და საქმის გაკეთება. საინტერესოა ის გარემოება, რომ გარუსებას უფრო აყვა თავად-აზნაურთა წოდება, ვიდრე გლეხკაცობა. სულ ჩქარა ქართველ თავად-აზნაურობის დიდი ნაწილი სრულებით ივიწყებს ქართულ ენას და ითვისებს რუსულს, რაც იმით აიხსნება, რომ ეს მისი ინტერესებისათვის უფრო სელსაყრელი იყო. ამავე ტაქტიკას დაადგა შემდეგში ქართველ ვაჭარ-მრეწველთა უმეტესობა. მართალია, ქართველი ინტელიგენცია, რომელიც მეტ წილად თავად-აზნაურთა და ვაჭარ-მრეწველთა წრიდან იყო გამოსული, განუწყვეტლივ გოდებდა და მოსთქვამდა ქართული ენის, ქართული კულტურის დაცემაზე და მოსპობაზე, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვით იყო, საქმით კი იგი ხელს უწყობდა გარუსების პოლიტიკას. მთელი ეს გოდება და ოხვრა-კვნესა მხოლოდ წარსულის განდიდებას შეიცავდა, იმ წარსულის, რამაც ქართველი ერი მეთერამეტე საუკუნის ბოლოს ლამის იყო დაღუპვის კარამდე მიიყვანა. გოდებდენ და მოსთქვამდენ არა იმაზე, თუ რა ტანჯვას და წამებას განიცდიდა მშრომელი ხალხი, არამედ იმაზე, რომ საქართველოს თავისი საკუთარი მეფე აღარ ჰყავდა. ოღონდ ეს ძველი დრო აღედგინათ, და მშრომელი ხალხი ჭ რსაც წაელოო. ასე ფიქრობდა ქართველი ინტელიგენცია გასული საუკუნის სამოციან, სამოცდაათიან, ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებში. ეს იმას ამტკიცებდა, რომ ინტელიგენცია სრულიად მოწყვეტილი იყო ქართველ მშრომელ ხალხს. მართალია იგი ხშირად ლამაზი სიტყვებით მეტყველობდა, მას თითქოს კიდეც ეზრა-

ლებოდა საწყალი გლეხი, მაგრამ ეს სიბრალული გულწრფელი არ იყო, იგი გულის სიღრმიდან არ მოდიოდა, იგი ხელოვნური იყო. მხოლოდ სულ უკანასკნელ დროს საქართველოს სინამდვილეში ჩნდება სულ **ახალი, ნაკადი**, პატარა ჯგუფი ინტელიგენციისა, რომელსაც დანარჩენ ინტელიგენციასთან არაფერი საერთო არა აქვს, ეს ახალი ჯგუფი თვით მშრომელი ხალხიდან იყო **გამოსული**, ამ ჯგუფის სათავე ჩვენ შეგვეძლო **დ. ჭონქაძედან** დაგვეწყო, მაგრამ ჭონქაძე სრულიად განმარტოებით სდგას, როგორც ობოლი მარგალიტი. **ძნელია** მისი დაკავშირება 80—90 წლების ახალთაობასთან, რომელსაც ჩვენ **ახალი** ნაკადი ეუწოდეთ. მაგრამ სულიერად ჩვენ შეგვიძლია დ. ჭონქაძე, მუშა-პოეტის **იოსებ დავითაშვილის** და ბელეტრისტ-პუბლიცისტის **ეგნატე ინგოროყვას** (ნინოშვილის) მეშვეობით დაუკავშიროთ იმ ინტელიგენციას, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ წლებიდან მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა. აი, სწორედ ეს ინტელიგენცია იყო, რომ სწვდებოდა ხალხის გულსა და სულს და ხალხისათვის გასაგებ ენით გამოხატავდა **მის** ჰირ-ვარამს. მხოლოდ აქედან იწყება ქართველი ხალხის, ქართველი მუშისა და გლეხის აღორძინება და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა; მხოლოდ **აქედან** იწყება ნამდვილი სახალხო ლიტერატურა და მწერლობა. აქამდე თუ **ხალხისათვის** კეთდებოდა და იწერებოდა რამე, ეს ხდებოდა ისე, რომ ამაში თვით ხალხი არაფითარ მონაწილეობას არ იღებდა. „ქართველი სიტყვიერების" ავტორი ალ. ხახანაშვილი თავის წიგნის შესავალში ამბობს: „1801 წელს საქართველო დაიჭირა რუსეთმა, მის საზღვრებში ჩააყენა თავისი ჯარი, მოსპო მისი საკუთარი წესწყობილება, **შეზღუდა ორგანიული, ბუნებრივი საერთო ძალთა განვითარება, უძველეს კულტურით შეიარაღებული ხალხი დაუმორჩილა სხვა ნიადაგზე** აღმოცენებულ განათლებას, ამ ცვლილებამ ღრმა ბეჭედი დაასვა ქართველთა წინმსვლელობის ხასიათს და შეუკრა გზა თვითცნობიერების თავისუფლად გაფურჩქვნას. **ძველისა და ახლის მიმდინარეობის შეტაკებამ დაბადა** მწვავე ბრძოლა ერის სოფლმხედველობაში"...[1])

ხახანაშვილი მართალია მხოლოდ იმ მხრით, რომ **ძველის**, ე. ი. ქართული წესებისა და ზნე-ჩვეულების შეტაკებამ **ახალთან**, ე. ი. რუსულ კანონებთან გამოიწვია ცხარე ბრძოლა, მაგრამ ხახანაშვილი სცდება, ან ყოველ შემთხვევაში ძლიერ აჭარბებს, როცა ამბობს, რომ 1801 წელს **უძველესი კულტურით შეიარაღებული ხალხი დაემორჩილა** სხვა ნიადაგზე აღმოცენებულ განათლებას, რომ შეიზღუდა ორგანიული, ბუნებრივი საერთო ძალთა განვითარებაო. უნდა ვიკითხოთ სად იყო ეს კულტურა? რაში გამოიხატებოდა „ხალხის შეიარაღება უძველესის კულტურით" მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში? ყველაფერი, **რაც** ჩვენ ვიცით ამ დროის შესახებ, აშკარად ამტკიცებს, რომ მაშინდელი კულტურით ამაყობა ჩვენ ხალხს არ შეეძლო. მაგრამ სად იყო ეს კულტურა? **ხალხი** გატყავებული, აწიოკებული, პირდაპირ გაველარებული იყო. განა **შეიძლებოდა** ამ დროს რაიმე სწავლა-ცოდნაზე, განათლებაზე, სკოლაზე ლაპარაკი? **სკოლები არსებობდა** მხოლოდ მონასტრებთან და იქ სწავლობდენ მხოლოდ მეფეების,

[1]) ალ. ხახანაშვილი „ქართ. სიტყვიერების ისტორია". (მეცხრამეტე საუკუნე). გვ. 5.

მთავრების და თავადების შვილები, ისიც იშვიათად. ხალხისათვის სკოლა არ არსებობდა. მთელი მაშინდელი ცოდნა მონასტრებში იყო მომწყვდეული, თუმცა ხალხისთვის ეს ცოდნაც უსარგებლო და გამოუსადეგარი იყო. ამიტომ ლაპარაკი იმაზე, რომ „ქართველთა წინმსვლელობას და ევროპეიზირებას თავისუფლად გადურჩქენის გზა შეეკვრათ“,—სიმართლესთან შორსაა. ჩვენში ჯერ წიგნისა და გაზეთის ხსენებაც არ იყო. მართალია, წიგნები გვქონდა, მაგრამ მხოლოდ ხელთნაწერების სახით, და მაშასადამე, წიგნი ძნელად საშოვნელი იყო. წიგნის მცოდნენი მხოლოდ მაღალ სამღვდელოებაში და თავად-აზნაურებში მოიპოვებოდენ. ამ წრიდან გამოდიოდენ მწერლები და პოეტები. მაგრამ ესენი არ ეხებოდენ ხალხის ცხოვრებას, მწერლობას და პოეზიას ისინი უყურებდენ, როგორც გასართობ საგანს. სულ სხვაა, თუ ჩვენ შევეხებით წინანდელ საქართველოში არსებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესებს, ერთის მხრით, და „ზნე-ჩვეულებებს, მეორეს მხრით. ყოველივე ეს წარმოადგენდა მეტად დიდ თავისებურებას, და არსებითად განირჩეოდა რუსის ხალხის წესწყობილებისა და ზნე-ჩვეულებისაგან. და როცა ისინი ერთმანეთს შეხვდენ, შეუძლებელი იყო, რომ მათ შორის შეტაკება და ბრძოლა არ მომხდარიყო. ამ ბრძოლაში ერთის მხარეზე იყო სახელმწიფო ძალა-უფლება თავისი სასამართლოთი, ჯარით, პოლიციით, კანონით, სასჯელით—საპყრობილედან დაწყებული კატორღამდე და სიკვდილით დასჯამდე. რაიმე სამართლიანობაზე, ან ადამიანურ გრძნობაზე ლაპარაკი აქ ზედმეტი იყო. ამნაირად ქართველი ხალხი მეტად ტრაგიკულ მდგომარეობაში მოექცა. იმ დროის ვერც ერთ სამხატვრო ნაწარმოებში ამის გამოხატვას ჩვენ ვერ ვპოვეთ. მხოლოდ შემდეგში, მეცხრამეტე საუკუნის მეოთხმოცე წლებში, ალ. ყაზბეგის მოთხრობები გვაძლევს ამ უთანასწორო ბრძოლის გამოხატულებას. მაგრამ ყაზბეგი ეხება მხოლოდ საქართველოს ერთ კუთხეს და თანაც მიუხედავათ იმისა, რომ ყაზბეგის ნაწერები ერთობ დიდი ხელოვნური შემოქმედებაა, იქ ჩვენ ვხედავთ ძველ ზნე-ჩვეულებათა იდეალიზაციას, მათ ცალმხრივათ შეფასებას, მაგრამ იმ ხანებში, როცა ყაზბეგი თავის ხელოვნებას ქმნიდა, ზემოაღნიშნულ ბრძოლას უკვე რამდენიმედ დაკარგული ჰქონდა თავისი მწვავე ხასიათი.

როგორც ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებას არ დაურჩა თავისი დამცველი ანუ მოსარჩლე, ისე ქართულ მწერლობასაც მოაკლდა ყოველგვარი დაცვა და მფარველობა. ვისთვის იყო საჭირო მაშინ ეს მწერლობა? მხოლოდ მოცლილი ხალხისათვის—დროის გასატარებლად. ასეთები იყვნენ ქართველი მებატონეები, ქართველი თავად-აზნაურობა... „მწერლობა მისთვის (ე. ი. თავად-აზნაურობისთვის)—ამბობს ალ. ხახანაშვილი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისზე—თავისუფლის დროის გატარება იყო. სამსახურში გაბმული იგი უყურებს ლექსად ან პროზად წერას, როგორც გასართობ ვარჯიშობას ან სულიერად დასვენებას. მისი ლიტერატურული გემოვნება და მიმართულება შემთხვევითის ხასიათისა იყო, ხრულიად მოწყვეტილი ცხოვრების მიმდინარეობასთან. რა თქმა უნდა, ამ გვარ მწერლობას ეკარგებოდა საზოგადოებრივი მნიშვნელობა და კულტურული ზედმოქმედებითი ძალა. თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი, რომელ-

თაც ხელში ეპყრათ ხმალიც და კალამიც, მწერლობაში ასურათებდენ თავის სულისკვეთებას... ბრძნულად ბჭობდნენ ისინი ბატონსა და ყმას შორის ძველად დამყარებულს განწყობილებაზე და მაძაშვილარის გრიბოედოვის (?!) განმტკიცებულს მოეობაზე". [1]) ეს სრული სისწორით გამოხატავს ქართული მწერლობის ხასიათს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. თავად-აზნაურული, არისტოკრატიული ბეჭედი აზის ქართულ მწერლობას მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშიაც მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იმ დროს, განსაკუთრებით ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლებში, ლიტერატურულ წრეში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თავად-აზნაურობის წარმომადგენელთაგან შესდგებოდა, შეიჭრა ახალი ნაკადი, რომლის სათავე იყო მშრომელი ხალხი, სოფლის და ქალაქის მუშა და ხელოსანი. ამ ახალის ნაკადის გაჩენა ჩვენს მწერლობაში შეუმჩნეველი არ დარჩა იმათთვის, ვინც მხოლოდ თავის თავს სთვლიდა ლიტერატურის, მწერლობის და პოეზიის მფლობელებად, ანუ ბატონ-პატრონებად. ეს ვაჟ-ბატონები ამ ახალ მოვლენას შეხვდენ ჯერ აღშფოთებით და მერე დაცინვით. იმათ ინსტიქტიურათ იგრძვნეს, რომ ადრე თუ გვიან ბატონობა ქართულ ლიტერატურაში მათ ხელიდან გამოეცლებოდათ, და ამას არც ისე ადვილად ურიგდებოდენ. ბრძოლა ლიტერატურაში მკრთალი გამოხატულება იყო იმასა, რაც ცხოვრებაში ხდებოდა. ცხოვრებაში კი უკვე გაჩაღებული იყო ბრძოლა მუშებსა და ბურჟუა-კაპიტალისტებს შორის, და ეს ბრძოლა ალაგ-ალაგ იღებდა ეროვნულ ელფერს, ან კიდევ ძველი წოდებრიობის საბეს. მაგრამ ეს ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქართული მწერლობა, ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით, არ არსებობდა. იყო მელექსეობა, იყვენ საკმარისად დიდი ნიჭის მქონე პოეტები, მაგრამ ისინი უმღეროდენ სილამაზეს, ან სიყვარულს; უკითეს შემთხვევაში იგონებდენ საქართველოს ძველ დიდებას, სწუხდენ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას და სხვ., მხოლოდ ნამდვილ ცხოვრებასთან საერთო არა ჰქონდათ რა. ასეთები იყვნენ **ალ. ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი** და სხვები. ამ ხანას ეკუთვნის პოეტი—**ნიკ. ბარათაშვილიც**, მაგრამ სიყვარულის პოეზიიდან იგი შორსა სდგას. მისი პოეზია ღრმაა, მას საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, პოეტი სწუხს თავის სამშობლოს ბედზე, გამოსთქვამს თავის შეხედულებას სოკვდილ-სიცოცხლეზე და სხვ. მაგრამ მას არ აწუხებს მისი თანამედროვე გლეხობის გაჭირვება და ტანჯვა, და ეს არის ბარათაშვილის ნაკლი. ყოველ შემთხვევაში რუსთველის და გურამიშვილის შემდეგ ქართულმა პოეზიამ ბარათაშვილის შემოქმედებაში პირვა უმაღლესი მიღწევა.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ვხედავთ ჩვენ აგრეთვე პრესის დაარსების ცდასაც. პირველი ქართული გაზეთი გამოვიდა 1819 წელს; ამ გაზეთს ეწოდებოდა **„ქართული გაზეთი"**; იგი დაარსდა საქართველოს უმაღლეს მმართველობასთან ოფიციალური და პოლიტიკური ცნობებისათვის. ჩვენამდი მოაბწია მხოლოდ ამ გაზეთის ერთმა ნომერმა, რომელიც 1875 წ. გაზ. „დროე-

[1]) ბახანაშვილი, გვ. 7.

ზამ“ გადაბეჭდა. აქედან სჩანს, რომ ეს გაზეთი გამოდიოდა კვირაში ერთხელ გაზეთის თავში გამოხატულია წმინდა გიორგი (ცხენით[1]). ეს გაზეთი დაიხურა 1821 წელს. 1832 წელს **სოლ. დოდაშვილმა** დაარსა ახალი გაზეთი—**„ტფილისის უწყებანი“**, მაგრამ ამ გაზეთის გამოცემა მოისპო იმავე წელს, რადგანაც მისი გამომცემელი ციმბირში გადაასახლეს შეთქმულობის გამო. **სამწუხაროდ**, ამ გაზეთის შესახებ უფრო ნაკლები ცნობები გვაქვს, რადგანაც მთავრობამ თითქმის ყველა გამოსული ნომრები შეაგროვა და დასწვა. ვიცით მხოლოდ ის რომ **„ტფილისის უწყებანი-ს“** ენა უფრო საეკლესიო ენას წააგავდა ვიდრე ჩვეულებრივ სალაპარაკო ენას. ამის შემდეგ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ ენაზე არც ერთი პერიოდული გამოცემა აღარ დაარსებულა. მხოლოდ 1852 წელს მაშინდელი მთავრობის დახმარებით **გ. ერისთავმა** გამოსცა ყოველთვიური ჟურნალი „ცისკარი“. ამ ხნიდან ჩვენს ცხოვრებას საერთოდ წინსვლა ეტყობა, მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ კიდევ ბატონ-ყმობა მძვინვარებდა; თუმცა მისი დღეები დათვლილი იყო, მაგრამ ჯერ ეს არავინ უწყოდა. შინაარსის მხრით „ცისკარი“ მეტად ღარიბი იყო, არც შეიძლება მას ჟურნალი ვუწოდოთ, ის წერილების და მოთხრობების კრებული იყო. ენაც მოიკოჭლებდა, ის ან ძველებურ საეკლესიო ენას წააგავდა, ან რუსული ენის გავლენას განიცდიდა, თუმცა თვით **გ. ერისთავის** ენა, როგორც მის ნაწერებიდან სჩანს, ხალხის ენას უახლოვდებოდა. „ცისკრის“ გამოცემა 1854 წელს შეწყდა, და 1857 წელს კვლავ განაახლა **ივ. კერესელიძემ**, რომელიც მას დიდი ვაი-ვაგლახით და გაჭირვებით სცემდა 1870 წლებამდე. 1864 წელს **ი. ოქრომჭედლიშვილის** რედაქტორობით გამოვიდა სასოფლო-სამეურნეო გაზეთი **„გუთნის დედა“**; ხოლო 1863 წელს ილია ჭავჭავაძემ გამოსცა ჟურნალი **„საქართველოს მოამბე“**, რომელმაც მხოლოდ ერთ წელს იარსება. ბევრად უფრო მკვიდრი ნიადაგი დაურჩა პირველ ქართულ ყოველდღიურ გაზეთს **„დროებას“**, რომლის გამოცემა დაიწყო 1866 წელს. მისი დამფუძნებელნი იყვნენ **ნ. ლოლობერიძე, სტ. მელიქიშვილი და ვ. თულაშვილი**, რომლებმაც ჯერ სტამბა დაარსეს და შემდეგ გაზეთის რედაქტორათ მიიწვიეს ახალგაზრდა მწერალი **გ. წერეთელი**. 1869 წელს „დროების“ რედაქტორობა ს. მესხს დაეკისრა. იმავე წელს დაარსდა ჟურ. **„მნათობი“**, რომელიც 1872 წელს დაიხურა. გარდა ამისა 1868 წლიდან გამოდიოდა გ. წერეთლის მიერ დაარსებული **„სასოფლო გაზეთი“**, რომელმაც გასტანა 1875 წლამდე. 1873 წელს გამოდიოდა კიდევ ჟურნალი **„კრებული“**. ხოლო 1877 წლიდან ილია ჭავჭავაძე კვლავ დაუბრუნდა პრესას და დაარსა ყოველკვირეული ჟურნალი **„ივერია“**. 1879 წლიდან. ჟურ. „ივერიის“ და გაზეთ „დროების“ რედაქციები შეერთდნენ, მაგრამ 1885 წელს „დროება“ დაიკეტა და დარჩა მხოლოდ „ივერია“. 1886 წლიდან **„ივერია“** გადაკეთდა ყოველდღიურ გაზეთად, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, და მისი გამოცემა გრძელდებოდა მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში და მეოცე საუკუნეშიც. 1893 წლიდან იწყო გამოსვლა, გ. წერეთლის რედაქტორობით, ყო-

[1]) ალბად მეწინავეები ამით ხელმძღვანელობდნენ, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ღერბს იღებდნენ.

ყოველკვირეულმა ჟურნალმა „კვალმა", რომელმაც მართლაც ერთგვარი „კვალი" გაავლო ქართულ ლიტერატურაში. 1894 წ. ალ. ჭყონიას რედაქტორობით დაარსდა ჟურ. „მოამბე". საჭიროა დავასახელოთ კიდევ შემდეგი პერიოდული გამოცემანი, რომლებიც გამოდიოდნენ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას: ყოველდღიური გაზეთი „შრომა"; გამოდიოდა ქ. ქუთაისში 1882 წ.—1884 წლამდე. მიხ. გურგენიძის რედაქტორობით დაარსდა ჟურ. „იმედი", რომელმაც სამი წელი იცოცხლა; შემდეგ საყმაწვილო ჟურნალები „ნობათი" და „ჯეჯილი", აგრეთვე ყოველკვირეული ჟურნალი „თეატრი" და სასოფლო-სამეურნეო გაზეთი „მეურნე". მე არ ვასახელებ აქ იმ პერიოდულ გამოცემებს, რომლებიც გამოდიოდნენ საქართველოში რუსულ და სომხურ ენაზე (როგორც მაგ. „Кавказ", „Тифлисский Вестник", Новое Обозрение", „Тифлисский Листок", „მშაკი" სხვ.) ამგვარად, ჟურნალ-გაზეთობამ ქართულ ენაზე მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში საკმარისად დიდი ნაბიჯი გადადგა წინ; ამ საუკუნის დასაწყისში მისი ჭაჭანებაც არ ისმის, და თითქმის ასე გრძელდება საუკუნის მეორე ნახევრამდე, როცა ქართული ჟურნალ-გაზეთობა შესამჩნევად იზრდება და მატულობს. რა თქმა უნდა, ქართული გაზეთის არსებობას წინ ეღობებოდა ათას-გვარი დაბრკოლება. ახლა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, თუ რა პირობებში უხდებოდა არსებობა პრესას საერთოდ და კერძოდ ქართულ პრესას. მრავალი სიძნელე იყო ნივთიერი ხელმოკლეობა, საზოგადოების გულგრილობა და სხვ.; ამასთანავე საჭირო იყო დიდი ბრძოლა, საკუთარი ინტერესების უკუგდება და მეორე საზოგადოების დაცინვისა და მასხარად აგდების ატანა. მაგრამ ყველა დაბრკოლებას დავავიწყებდით მაშინდელი ცენზურა, იმდენად სასტიკი და უდიერი იყო იგი. მიუხედავათ ამისა ქართულმა გაზეთმა მაინც გაიკაფა გზა (ყველაზე დიდი ღვაწლი ამ მხრით მიუძღვის გაზ. „დროებას"), და დაიმსახურა მკითხველის ერთგვარი ნდობა. გაზეთი თანდათან ვრცელდება, და ამრიგად, მუშავდება საზოგადოებრივი აზრი. რა თქმა უნდა, ეს თავის თავად დიდი საქმე იყო.

მაგრამ საჭიროა ცოტა ახლო მივუდგეთ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პრესას და მწერლობას; საჭიროა, ყოველ შემთხვევაში, მთავარ—მიმართულებათა შესახებ ორიოდე სიტყვის თქმა. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ერთ ზემოდასახელებულ გაზეთს ან ჟურნალს არ ჰქონია ერთხელ და სამუდამოთ გარკვეული პროგრამა თავის სამოქმედოთ; უფრო ნათლად და ახლანდელი ენით რომ ვსთქვათ, ეს ჟურნალები და გაზეთები როდი ემსახურებოდნენ გადაჭრით რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, რადგანაც ასეთი გამოკვეთილი, ჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტიები იმ დროს ჩვენში არ იყო. მაგრამ, ამავე დროს, როგორც ესა თუ ის ლიტერატურული პერიოდული გამოცემა, ისე ესა თუ ის მწერალი ან ჟურნალისტი ეკუთვნოდა რა ამა თუ იმ საზოგადოებრივ კლასს, ნებით თუ უნებლიეთ გამოხატავდა თავისი კლასის ინტერესებს. ქართველი მწერლები და ჟურნალისტები მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშიაც, მცირე, სულ უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა, მაშინდელ გაბატონებულ კლასს ეკუთვნოდნენ. ეს იყო ბურჟუაზიულ-პომეშჩიკური კლასი. და მწერლებიც და პუბლიცისტებიც, ან შეგნებულად, ან შეუგნებლად იმ კლა-

სის ინტერესებს იცავდენ. ხახანაშვილი ეხება საერთოდ სამოციანი წლების მწერლობასა და ლიტერატურას, კერძოდ ილია ჭავჭავაძის მნიშვნელობას და ამბობს: „ილია ჭავჭავაძემ 1861 წელს აიფრიალა „ცისკარში" განმათავისუფლებელი დროშაო". ხოლო 1863 წელს თავის „საქართველოს მოამბე"-ში მან დაისახა ბატონ-ყმობასთან შეურიგებელი ბრძოლაო[1]) ასეთი შეხედულება ილ. ჭავჭავაძეზე ყოვლად უსაფუძვლოა. ჯერ ერთი 1863 წელს ბატონ-ყმობასთან ბრძოლა ერთობ დაგვიანებული ამბავი იყო ვინაიდან უკვე გადაწყვეტილად ითვლებოდა მისი „გაუქმება მაღლიდან". მაგრამ სულ სხვა იყო ბატონ-ყმობის ნაშთებთან ბრძოლა, და აქ კი ილია ჭავჭავაძე ნამდვილი და ერთგული დამცველი იყო ყოფილი მებატონეებისა, ე. ი. თავად-აზნაურობის ყველა უპირატესობისა—გლეხკაცობის წინააღმდეგ. საინტერესოა, რომ ხახანაშვილი თავის აზრს შემდეგ თითონვე არღვევს. იგი სწერს: „ბურჟუაზიულ-ეკონომისტების: სეი და ბასტიას ზეგავლენით ილ. ჭავჭავაძემ დასწერა „ცხოვრება და კანონი", და საზოგადოებრივი დამოკიდებულების მოწყობა მოისურვა **პატრიოტულ-აზნაურულს პრინციპზეო**" და სხვ... ი. ჭავჭავაძე, როგორც აკაკი წერეთელი (ესეც გამოჩენილი პოეტი), ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანებთან და სხვებთან ერთად, ყოველთვის ცდილობდა დაემტკიცებია, რომ რუსეთის მთავრობის დამკვიდრებამდე საქართველოში ბატონ ყმობა მხოლოდ მამაშვილობა იყო და არა მონობაო. იგი, როგორც განვითარებული ადამიანი, რომელიც ერთ დროს მაინც განიცდიდა რუსეთის განმანათლებლების (ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის და სხვ.) გავლენას, წინააღმდეგი იყო მხოლოდ მებატონეთა მიერ თავიანთი ყმებისადმი უდიერი, უტაქტო და ტლანქი მოპყრობისა, მაგრამ ოდნავადაც იმის წინააღმდეგი არ იყო, რომ გლეხკაცობა თავად-აზნაურობას სრულ თავის მორჩილებაში ჰყოლოდა. ერთი სიტყვით, ჭავჭავაძის მიზანი იყო, რომ ცხვარსა და მგელს ერთად ეძოვათ მშვიდობიანად. მაგრამ ეს ხომ შეუძლებელი იყო.... და ამიტომ ჭავჭავაძე გლეხების ყვლეფელების მოსარჩლე და დამცველი შეიქნა. რა თქმა უნდა ი. ჭავჭავაძე დიდი მწერალი იყო, ამას ვერავინ უარყოფს, მაგრამ ჩვენ ხაზი უნდა გაუსვათ იმ გარემოებას, რომ თავისი დიდი ნიჭით და ცოდნით იგი თავად-აზნაურობას და საერთოდ გაბატონებულ კლასებს ემსახურებოდა. ასევე უნდა ითქვას აკაკი წერეთელზედაც. ი. ჭავჭავაძის გაბატონება ქართულ ლიტერატურაში (პრესაში) მხოლოდ წარსული საუკუნის სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება, როცა მან თავი გაანება მომრიგებელ მოსამართლეობას და სათავადაზნაურო ბანკის ხელმძღვანელი შეიქნა. 1864—1877 წლებში იგი ლიტერატურიდან შორს იდგა; ამ დროს ლიტერატურას სხვა ხელმძღვანელები ჰყავდა,—ესენი იყვნენ გაზ. „დროების" სულის ჩამდგმელნი—გ. წერეთელი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.. ესენი უფრო ესარჩლებოდნენ გაჭირვებულ გლეხობას, ებრძოდნენ ჩარჩებს, საერთოდ თავად-აზნაურობის ინტერესებს ისე მაღლა არ აყენებდნენ, როგორც ზოგიერთები. ეს ჯგუფი ილ. ჭავჭავაძის ჯგუფთან შედარებით ბევრად უფრო პროგრესიული იყო. მაგრამ

[1]) წიგნ, დასახ. წიგნი—გვ. 81—82.

მას შემდეგ, რაც ი. ჭავჭავაძე კვლავ დაუბრუნდა ქართულ ლიტერატურას (ახლა უკვე, როგორც სათავად-აზნაურო ბანკის მმართველი), და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „დროება“ „ივერიას“ შეუერთდა, ქართულ ლიტერატურაში გაბატონდა ჭავჭავაძის მიმართულება და თითონ ჭავჭავაძემ პეტერბურგიდან თითქო ხელთ იგდო ქართული ლიტერატურის მონოპოლიის უფლება. ი. ჭავჭავაძის ასეთი როლი ქართულ პრესაში მცირე გამონაკლისით გრძელდება თითქმის ოთხმოცდაათიანი წლების გასვლამდე. ეს იყო ქართული პრესის დაქვეითება წინანდელ ხანასთან („დროების“) შედარებით. ი. ჭავჭავაძეს სურდა გაზეთის და საზოგადოთ ლიტერატურის საშუალებით თავად-აზნაურობის ინტერესები დაეცვა. პრესის მთავარ საკითხებს შეადგენდა სათავადაზნაურო ბანკი და სათავად-აზნაურო სკოლა. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ამ საკითხებს სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხიც მიემატა. სომეხ-ქართველთა ურთიერთობა პირველად სწორედ მაშინ გამწვავდა (1890 წელს—ტფილისის ქალაქის არჩევნების ნიადაგზე).

რაც შეეხება საზოგადოებრივი განვითარების საკითხს, ი. ჭავჭავაძე თავის გაზეთში უკმაყოფილებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ ჩვენში პატრიარქალურ-ნატურალური წარმოება ირღვეოდა და ისპობოდა. მისთვის შეუმჩნეველი თუ არა, სრულიად გაუგებარი დარჩა ის ახალი ხანა საქართველოს ცხოვრებაში, რომელსაც ახასიათებდა კაპიტალისტური წარმოების აღმოცენება და განვითარება, რაც გასული საუკუნის 70—80 წლებიდან დაიწყო. მაშინ, როდესაც ბ. ბ. „იველიელები“ სულ იმის ცდაში იყვნენ—როგორმე ქვეყანა დაერწმუნებიათ, რომ მემამულესა და გლეხს შორის თითქო სრული თანხმობა და სოლიდარობა არსებობს, რომ ამის წინააღმდეგს მხოლოდ სამშობლოს მოღალატენი ამტკიცებენ,—ის სწორედ ამ დროს, ამ ვაჟბატონებს ეამოუპარათ ის უდიდესი მოვლენა, რომ საქართველოს ცხოვრებაში გაჩნდა სრულიად ახალი ფაქტორი—ქალაქის პროლეტარიატი, რომელსაც მომავალში ნამდვილი რევოლუცია უნდა მოეხდინა მთელს საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილებაში. და როცა ამ ვაჟბატონებს ფაქტებით და ციფრებით დაუწყეს მტკიცება, რომ ჩვენს ცხოვრებაშიაც შემოიჭრა კაპიტალიზმი თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეებით, რომ ჩვენშიაც ბურჟუაზიის გვერდით ყალიბდება მუშათა კლასი, იმათ ერთი დაუსრულებელი ალიაქოთი და საშინელი განგაში ასტეხეს და თავის ქვეშევრდომთ მოუწოდეს ჯვაროსნული ომი გამოეცხადებიათ იმათ წინააღმდეგ, ვინც ამას ამტკიცებდა. ვინ იცის რას არ თხზავდენ, რას არ იგონებდენ „იველიის“ და „მოამბის“ ბანაკიდან ეკრედწოდებული **მეხამე დახელებიხ** ანუ **მარქსიხტებიხ** წინააღმდეგ. და მიუხედავათ იმისა, რომ მათ მხარეზე იყო ყოველგვარი უპირატესობა, როგორც საუკეთესო და შედარებით კარგათ მომზადებული ლიტერატურული ძალები, ისე ნივთიერი სახსარიც, და გარდა ამისა, მთავრობის ძალაც, როცა საჭირო იყო, მათ ეხმარებოდა, მიუხედავათ ყოველივე ამისა, ისინი დამარცხდენ. მარქსისტების, ამ შედარებით სუსტი ჯგუფის, გამარჯვება აიხსნებოდა მხოლოდ იმით, რომ ისინი სისწორით გამო-

ხატავდენ ცხოვრების სინამდვილეს. ეს იყო ცხოვრების და ფაქტების ლოლიკა.

იერიში „ივერიელებზე“ ჟურნ. „კვალის“ ჯგუფმა მიიტანა. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ქართველი მარქსისტები ცნობილი იყვნენ ძველ ხანებში „მესამე დასელების“ ან „კვალისტების“ სახელწოდებით. ეს მეტად ხელსაყრელი იყო მაშინდელი მარქსისტებისათვის, რადგანაც იგი ერთგვარ საფარს წარმოადგენდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაგრამ ამ გარემოებამ დიდი გაუგებრობა შეიტანა ქართული მარქსიზმის ისტორიაში. ბევრს ავიწყდება ის გარემოება, რომ ვინც „კვალისტების“ ან „მესამე დასელების“ სიაში მოხვდენ, ყველანი ნამდვილი მარქსისტები არ ყოფილან. მაგრამ უწინარეს ყოვლისა რას წარმოადგენდა თვით „კვალი“? თავდაპირველად ის იყო საბავშო ჟურნალ „ჯეჯილის“ ნახატებიანი დამატება, რომელშიაც ხშირად იბეჭდებოდა კლერიკალურ-პატრიოტული წერილები. 1893 წელს იქ დაიბეჭდა ეგნ. ნინოშვილის რამდენიმე პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილი მარქსისტული მიმართულებისა, მორჩა და გათავდა. ასევე იყო 1894 და შემდეგ წლებშიაც. მხოლოდ 1898 წლიდან „კვალი“ გადაჭრით დაადგა მარქსისტულ მიმართულებას, თუმცა ამას ყოველთვის ვერ იცავდა და მარქსისტულ ხაზს ყოველთვის სისწორით ვერ ატარებდა. ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა. ზოგიერთი მარქსისტი, მაგალითად, ნაციონალიზმისაკენ იხრებოდა (ნოე ჟორდანია, ლ. დარჩიაშვილი). გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ „კვალი“ ლეგალური ორგანო იყო, და ლეგალურ პრესაში ხშირად შეუძლებელი იყო სისწორით მარქსისტული ხაზის დაცვა. თანაც, ბევრი იმათ შორის, ვინც თავის თავს მესამე დასელს ან კვალისტს უწოდებდა, ან ვინც უკვე მარქსისტად ითვლებოდა და „კვალში“ სწერდა, ნამდვილი მარქსისტი არ იყო. ეს საკითხი ცალკე სპეციალურ გაშუქებას მოითხოვს. აქ კი უნდა ითქვას, რომ მიუხედავათ მრავალგვარი ნაკლისა, მიუხედავათ იმისა, რომ „კვალში“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა რწმენისა და მიმართულების პუბლიცისტები თანამშრომლობდენ, ამ ჟურნალმა მაინც უდიდესი სამსახური გაუწია ქართული აზროვნების განვითარებას, ერთის მხრით, და საქართველოს მუშათა კლასის გათვითცნობიერებას, მეორეს მხრით. რა თქმა უნდა, ეს ისეთი ხანა იყო, რომ იქნებოდა თუ არა გიორგი წერეთლის „კვალი“, სულერთია, ქართული მარქსიზმი მაინც უნდა წარმოშობილიყო. ასე რომ, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ჩვენ ვხედავთ საკმარისად გაცხარებულ ბრძოლას, ჯერ-ჯერობით მხოლოდ პრესაში, ერთის მხრით მარქსისტებსა და, მეორეს მხრით, ყველა ჯურის ნაციონალისტებს შორის; მასთან ჩვენი ნაციონალისტები ხშირად რუსეთის „ნაროდნიკების“ (მიხაილოვსკის, კრივენკოს, ვორონცოვის და სხვ.) სამოსელშიეხვეოდენ. ჩქარა ეს ბრძოლა პრაქტიკულ ნიადაგზე უნდა გადასულიყო. ეს წილად ხვდა მეოცე საუკუნეს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა მწერლობამ, ლიტერატურამ და პრესამ თვალსაჩინო ნაბიჯი გადადგა წინ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. კიდევ მეტი: გადაჭრით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ქართული პ-ეზია წარმოიშვა და საკმარისად განვითარდა გასული საუკუნის განმავლობაში.

სამწუხაროდ, ჩვენ საშუალება არა გვაქს მოკლედ მაინც შევჩერდეთ ქართულ, მხატვრულ მწერლობაზე, რომლითაც მდიდარია მეცხრამეტე საუკუნე, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი. უმეტესად ვწუხვარ იმას, რომ აქ არა დამირჩა ცოტა უფრო დაწვრილებით შევხებოდი იმ ახალი ნაკადის მნიშვნელობას ჩვენს ლიტერატურაში, რომლის წარმომადგენელნიც იყვნენ ჯერ. დ. ჭონჭაძე და მერე იოსებ დავითაშვილი და ევ. ნინოშკილი. თუმცა ეს სამი მწერალი ერთი მეორისაგან სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდენ და მწერლობასაც სრულიად სხვადასხვა გვარად უდგებოდენ, მაგრამ მოვკიდებთ თუ არა ხელს მათი ნაწერების შესწავლას, ჩვენთვის აშკარა გახდება მათი სულიერი ნათესაობა და იდეოლოგიური კავშირი.

ორიოდე სიტყვა სკოლებზე და სახალხო განათლებაზე. ცნობილია, რომ სკოლა და სარწმუნოება ერთი უძლიერესი იარაღთაგანია ყველა მთავრობისა და გაბატონებული კლასის ხელში თავისი ბატონობის გასამაგრებლად. თვითმპყრობელობის დროს სწავლას და სკოლას ურიგდებოდენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იყო მაშინდელი სახელმწიფოსთვის. სკოლა იარაღი უნდა ყოფილიყო მუშათა კლასის დასამონებლად. ამიტომ სკოლას ამახინჯებდენ მაგრამ საქართველოში ამ სიმახინჯეს კიდევ მეორე უბედურება ემატებოდა: სწავლება პირველ დაწყებითი სკოლებიდან ბავშვებისათვის გაუგებარ, უცხო (რუსულ) ენაზე სწარმოებდა. ამგვარად, მახინჯდებოდა ბავშვის ტვინი, გონება და გრძნობა. პირველ ხანებში სკოლა დანიშნული იყო მხოლოდ თავადაზნაურობის, ან საზოგადოების მდიდარი ნაწილის შვილებისთვის. სახალხო სკოლები საქართველოში მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში (70—80 წლებში) გაჩნდა. ხალხმა, განსაკუთრებით იმერეთში, ჩქარა შეიგნო სკოლების მნიშვნელობა და დაეწაფა სწავლა-განათლებას. მაგრამ, აშკარაა, რომ იმ დროს ხალხის ფართო მასსების სწავლა განათლებას გასაჭანს არ აძლევდენ; ხალხის მისწრაფებას ამ მხრით ფრთები შეკრული ჰქონდა. უკანასკნელ დროს ხალხის გონების დასაჩლუნგებლად შემოიღეს კიდევ სკოლის ახალი ტიპი—სამრევლო, ე. ი. საეკლესიო სკოლები, სადაც, მართალია, სწავლებას ქართულ ენაზე აწყებინებდენ ბავშვებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ ტვინს ულაყებდენ ყოველად უსარგებლო და პირიქით, მავნე შინაარსის საეკლესიო საგნებით. ეს იყო უკვე სასკოლო საქმის დაქვეითება; მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში იმ დროს სწორედ სამრევლო სკოლას ეფრო მეტი მოტრფიალენი ყავდა. იმის დასახასიათებლად, თუ ოა ეროვნების ბავშვები სწავლობდენ მაშინდელ საშუალო სასწავლებლებში (გიმნაზიებში) მე მოვიყვან კავკასიის ოლქის სასწავლებელთა ანგარიშიდან რამდენიმე ცნობას, რომელიც ეკუთვნის 1891 წელს. ამ ცნობების მიხედვით ტფილისის პირველ გიმნაზიაში ირიცხებოდა სულ:

	682	მოწაფე	ქართ.	113	სომეხი	192,	რუსი	262
მე-2 გიმნაზ.	524	„	„	100	„	141	„	204
მე-3 „	310	„	„	36	„	176	„	69
რეალურ. სასწავ.	362	„	„	36	„	106	„	164
კად. კორპუსში	415	მოწაფეთა	შორის	ქართველი	მხოლოდ			83

თუ მოვისურვებთ გამოვარკვიოთ ასზე რამდენი კაცი მოდის თითოეული ეროვნებისა, აღმოჩნდება, რომ 1 გიმნაზიაში ქართველები შეადგენენ საერთო რიცხვის:

	16,6%,	სომხები	28,2%	რუსები	38,4%
მეორე გიმნაზ.	19 %	„	26,9%	„	38,9%
მესამე „	11,6%	„	56,7%	„	21,3%
რეალურ სასწავლ.	9,9%	„	29,3%	„	15,3%

ასეთივე მდგომარეობაა დაახლოებით საქალაქო სასწავლებელშიც (იხ. გაზ. „კვალი“ 1893 წ. № 9).

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სწორედ 1891 წელს ქართველები შეადგენდენ ტფილისის მოსახლეობის 38%-ზე მეტს, უნდა დავასკვნათ, რომ ყველაზე უნუგეშო მდგომარეობაში სწავლის მხრით სწორედ ქართველები იყვნენ. ეს ადვილი გასაგებია: იმ დროს სწავლის მიღება უმთავრესად იმას შეეძლო, ვინც მდიდარი და შეძლებული იყო, ქართველობა კი იმ ხანებში თითქმის ყველა დანარჩენ ეროვნებაზე ღარიბი იყო. თავის თავად იგულისხმება, ეს გარემოება სრულებით იმას არ ამტკიცებს თითქო ქართველობა სწავლა-განათლებას ნაკლებად ეტანებოდა.

დასკვნა.

მეცხრამეტე საუკუნის ჯაში.

რა მისცა საქართველოს მეცხრამეტე საუკუნემ, და რა გადასცა მან მეოცე საუკუნეს? მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში შეიცვალა როგორც გარეგანი, ისე შინაგანი სახე საქართველოსი.

ჩვენ ვსთქვით, რომ მეთვრამეტე საუკუნის გასულს საქართველო ე. ი. ქართველი ხალხი უდიდესი საფრთხის წინაშე იდგა, მას განადგურება და დაღუპვა მოელოდა. რუსის მთავრობის დამკვიდრება საქართველოში იმ დროს ერთ-ერთი საუკეთესო გამოსავალი იყო ქართველი ხალხისათვის, უკეთესი გზა მის წინ არ სჩანდა. მაგრამ საფრთხეს არც ეს გამოსავალი იყო მოკლებული: არც ეს გზა უზრუნველყოფდა საქართველოს განვითარებას და ქართველი ხალხის გადაგვარებისაგან დაცვას. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი ხალხი მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ძალზე დასუსტებული იყო, არა მარტო გარეშე მტრებისაგან, არამედ კიდევ უფრო იმის გამო, რომ იგი საშინლად დაქუცმაცებული და დაქსაქსული იყო ფეოდალური წესწყობილების წყალობით. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ ყოფაში ჩავარდნილი ქვეყანა ვერ გაუძლებდა ძლიერი და მრავალრიცხოვანი ხალხის ზეგავლენას, რაც არსებითად პატარა, სუსტი ხალხის გადაგვარებისა და გათქვეფისაკენ იყო მიმართული. და მართლაც, დღიდან რუსის მთავრობის დამკვიდრებისა, სრული ერთი საუკუნის განმავლობაში საქართველოში მტკიცედ, სისტემატიურად და შეუწყვეტლად, ტარდებოდა გადაგვარების ანუ გარუსების პოლიტიკა. მაგრამ ამ პოლიტიკამ თავის მიზანს ვერ მიაღწია. ხალხი, მშრომელი მასსა არ გაითქვიფა

უცხო მასსაში, არ გადაგვარდა, თუ ზოგიერთ უმნიშვნელო გამონაკლისს არ ვიანგარიშებთ; პირიქით, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართველი ხალხის ეროვნული სახე კიდევ უფრო ჩამოყალიბდა და ეროვნულმა შეგნებამ ბევრად უფრო წინ წაიწია. ამ პერიოდში ობიექტიური პირობები წინააღმდეგ რუსის მთავრობის სურვილებისა და განზრახვებისა, სახელდობრ: 1) ცალკე სამეფოების, სამთავროების და საერისთაოების მოსპობა და, ამნაირად, მთელი საქართველოს გასაერთიანებლად ნიადაგის მომზადება; 2) საქართველოს სხვადასხვა ნაწილებს შორის არსებული შეღლის საბოლოოდ აღმოფხვრა; 3) გარეშე მტრების თავდასხმისაგან უზრუნველყოფა; 4) საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ეკონომიურ და კულტურულ ნიადაგზე დაკავშირება; 5) აღებმიცემობისა და მრეწველობის განვითარება.

ამგვარად, რუსის მთავრობის შემოსვლა საქართველოში 1801 წელს ქართველი ხალხისათვის, შექმნილი მდგომარეობის პირობებში, ერთად ერთი სწორი გამოსავალი იყო. ამით იგი თავს აღწევდა აღმოსავლეთის სიბნელეს, ფანატიკოსობას, ჩამორჩენილობას და მონობას. და კავშირს აბამდა განათლებულ დასავლეთთან, არა უშუალო კავშირს, რა თქმა უნდა, მაგრამ პირდაპირი გზა დასავლეთისაკენ საქართველოსთვის იმ დროს არ არსებობდა,—ეს გზა შეკრული იყო. ან კი ვინ იცის, სასარგებლო იქნებოდა თუ არა მაშინ საქართველოსთვის დასავლეთთან უშუალო კავშირის დაჭერა. დამოუკიდებლად საქართველოს არსებობა არც მაშინ შეეძლო. მაშასადამე, ის რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს კალთას უნდა შეფარებოდა. არსებითად ეს იქნებოდა ინგლისელ, ფრანგ ან ესპანელ კომერსანტების თუ ფაბრიკანტების ექსპლოატაციაში მოხვედრა; საქართველო გაიზიარებდა ინდოეთის, ეგვიპტეს, მაროკოს და სხვა კოლონიალური ხალხების ბედს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ინგლისელები და ფრანგები, როგორც მფლობელნი ბევრად უფრო მაღალ კულტურისა ერთი მხრით და უფრო განვითარებული კაპიტალისტური წარმოებისა მეორე მხრით, ბევრად უფრო მაგრად დააწვებოდენ გაუნათლებელ საქართველოს ხალხს კისერზე. რაც შეეხება ქართველ ფეოდალებს და საერთოდ ქართველ თავადაზნაურობას, რა თქმა უნდა, „განათლებული" ევროპიელები მათ ბევრად უფრო გამოიყენებდენ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად, ვიდრე რუსის მთავრობის წარმომადგენელები. ერთი სიტყვით, ისტორიული გამოცდილების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ რუსის მთავრობის დამყარება საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ერთად ერთი ხელსაყრელი გამოსავალი იყო ქართველი ხალხისათვის. ქართველმა ხალხმა, ისარგებლა საქართველოში შექმნილი პირობებით და მოახერხა, თუმცა დიდი წვითა და დაგვით, კვლავ მოეკრიფა თავისი სასიცოცხლო ძალები, რათა შეცვლილ პირობებს შებრძოლებოდა. მართალია, ამიერ-კავკასიაში მობინადრე სხვა ხალხებთან შედარებით ქართველი მშრომელი მასსა, უფრო მძიმე პირობებში ჩავარდა (ბატონ-ყმური უღელი გაუმწვავდა, შემდეგ მიწა შეუმცირდა და სხვ.), მაგრამ მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა და სიძნელისა, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში

ქართველი ხალხი შესამჩნევად გამრავლდა, გონებრივად გაძლიერდა და ნივთიერად მოლონიერდა.

მეცხრამეტე საუკუნეში საფუძველი ჩაეყარა და ნიადაგი მოემზადა იმ მოძრაობას, რომელმაც თავი იჩინა მეოცე საუკუნის დასაწყისში (1905 წლ. რევოლიუცია) და რომელიც ცოტა ხნის შემდეგ გამარჯვებით დაგვირგვინდა (1917 წლის ოქტომბრის რევოლიუცია). ეს მოძრაობა რუსეთში ჩაისახა და განვითარდა; რუსეთიდან იგი საქართველოს მუშებში და გლეხებში გადმოვიდა. რა იქნებოდა, რა ბედი ეწვეოდა ქართველ მშრომელ ხალხს, რომ საქართველო იმ დროს რუსეთის იმპერიის საზღვრებში არ მოქცეულიყო? მე მგონია, ამ კითხვაზე პასუხის მიცემა ადვილია: ქართველი მუშები და გლეხები ჯერ კიდევ დიდხანს დარჩებოდენ კაპიტალისტებისა და მემამულეების უღელ ქვეშ.

რა თქმა უნდა, რუსის მეფის წესწყობილებამ და რუსეთის გაბატონებულმა კლასებმა დიდი ტანჯვა და გაჭირვება მიაყენეს ქართველ გლეხებსა და მუშებს. მაგრამ, სამაგიეროდ, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართველი ხალხი დაუახლოვდა რუსის ხალხს, მათში თითქმის ნათესავური კავშირი გაიბა, რუსი მუშა და ქართველი მუშა ამ ხნის განმავლობაში დაძმობილდენ, და მაშინ როდესაც რუსი მემამულეები და კაპიტალისტები არც ისე კარგის თვალით უყურებდენ ქართველ მემამულეებსა და კაპიტალისტებს, ამ დროს რუს მუშასა და ქართველ მუშას შორის, ერთის მხრით, და რუს გლეხსა და ქართველ გლეხს შორის, მეორეს მხრით ნამდვილი ანხანაგური ურთიერთობა მყარდებოდა; ისინი ძმურ ხელს უწვდიდენ ერთმანეთს დასახმარებლად საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამ ძმურ კავშირს ქართველი მშრომელი ხალხი ყველაფერს ამჯობინებს, განათლებულ დასავლეთთან კავშირსაც კი. ეს მოყვა შედეგად ქართველი ხალხის და რუსის ხალხის საერთო ჰაპანწყვეტას სრული ერთი საუკუნის განმავლობაში; ამიტომ ამ კავშირის დარღვევა შეუძლებელი იყო და დღესაც შეუძლებელია. მენშევიკებმა მოიწადინეს მისი ერთი დაკვრით განიავება მაგრამ ეს მათ არა თუ ვერ შესძლეს, არამედ სწორედ ამ ნიადაგზე მათ კისერი მოიტეხეს. თუ 1801 წელს ქართველი ხალხისათვის ერთადერთ გამოსავალი იყო მონარქიულ და თვითმპყრობელ რუსეთთან დაკავშირება, ნუ თუ დღეს ქართველ მუშებსა და გლეხებს კავშირი უნდა გაეწყვიტათ ახალ რუსეთთან? თუ 1801 წელს ეს კავშირი შემთხვევითი არ იყო, ნუ თუ 1921 წელს იგი შემთხვევითი და ხელოვნური უნდა ყოფილიყო? არა, არასოდეს. ქართველი მშრომელი ხალხი ამ კავშირს ვერ გაწყვეტდა. ერთი სიტყვით, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ თუ მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველმა მუშამ და გლეხმა გამოიღვიძა, ამას რუსეთის პროლეტარიატს უნდა ვუმადლოდეთ და მის თავგანწირულ ბრძოლას განთავისუფლებისათვის. ქართველმა მუშებმა მხოლოდ რუს-მუშებისაგან მიიღეს ის რევოლიუციონური აღფრთოვანება და თავგანწირული ბრძოლის წყურვილი, რაც მათ არა ერთხელ გამოუჩენიათ. მუშათა მოძრაობის პირველ ნიშნებს საქართველოში უკვე მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში ვამჩნევთ, როცა ტფილისის ქარხნის მუშები აქა-იქ უკვე გაფიცვებს აწყობდენ.

მეოცე საუკუნის გარიჟრაჟს საქართველოს მუშები უკვე პოლიტიკური ხასიათის გაფიცვით შეეგებნენ; ეს მოხდა ტფილისში 1900 წლის ივნისის პირველს, როცა გაიფიცნენ მაშინდელი ახენის რკინისგზის მუშა-მოსამსახურენი. ეს კარგი ნიშანი იყო და კარგი დასაწყისი ახალი საუკუნისა. მართალია, ეს არ იყო პირველი მუშათა გაფიცვა საქართველოში. გაფიცვები წინადაც ხდებოდა, მაგრამ მათ უფრო სტიქიური ხასიათი ჰქონდათ. 1900 წლის გაფიცვა კი პირველი გაფიცვა იყო, რომელიც ორგანიზაციულად მოეწყო და რომელსაც ამიტომ პოლიტიკური ხასიათი ეძლეოდა არსებული ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ. ასე შეეგება საქართველოს მუშები მეოცე საუკუნეს.

პროფ. შალვა ნუცუბიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შპენგლერიდან კაიზერლინგამდე

იდეოლოგიის ევოლიუცია ომის შემდგომ გერმანიაში.

სულიერ და კულტურულ ვითარების საწვდომათ არ გამოდგება თავის თავად აღებული არც ფილოსოფია, არც ხელოვნება, არც მეცნიერება. თითოეულ მათგანის გაშლის და განვითარების აპარატურა, რა გინდ ღრმა არ უნდა იყოს მათი მიღწევები, იმ ზომად და იმ მხრივ ვერ უკუფენს მასიურ სულიერ მისწრაფებებს და განცდებს, როგორც ეს პუბლიცისტიკის და ფილოსოფიის სინთეზს ემარჯვება. ფილოსოფიის ელემენტები, რა თქმა უნდა ზეციურ წარმოშობის არ არიან, მისი აგებულობა იმავე სოციალ ანატომიით შეისწავლება, მაგრამ იმდენად რთულია მისი დამოკიდებულებათა შუალობითი რკალი სოციალ დასაყრდენის მიმართ, რომ იგი კონკრეტ სოციალ აზროვნებაში ერთობ მაღალ ფენს მიეკუთვნება. ამიტომაცაა რომ ფილოსოფია, როგორც ასეთი არ შეიცავს და ვერ შეიცავს იმას, რითაც კოლლექტივის ე. წ. სულიერი ანუ გონებრივი მიდრეკილება ხასიათდება. არც ხელოვნებაა ფილოსოფიასთან შედარებით მაინცა და მაინც ხელსაყრელ პირობებში იმ მხრივ, თითქოს მას შეეძლოს იმ ნაკლის შევსება, რომელიც სოციალ ზრახვათა უკუფენაში ფილოსოფიას წინ ელობება. საქმე იმაში კი არაა **რაზეა** ლაპარაკი, რა შეადგენს ამა თუ იმ შემთხვევაში ესთეტიურ სახვის ფენომენს, არამედ იმაში თუ **როგორია** მხატვრულ ინტუიციის გვაროვნობა. ხელოვნების ეს ასახება სოციალი ვითარების არაა და მოვლენათა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც სოციალ-ეკონომიურ ანატომიით არ დაიჭირების. ამდენად ხელოვნებასა და ლიტერატურასაც კი არ გააჩნია ის დიდი უპირატესობა სოციალ ზრახვათა საწვდომად, რომელიც პუბლიცისტურ ფილოსოფიას ხელთ უპყრია.

თუ მეცნიერებაზე საგანგებოდ არ ვილაპარაკებთ, სადაც მდგომარეობა იმ მხრივ კიდევ უფრო ნათელია, რომ მასში მასიური სულის კვეთება ძალიან სუსტადა სჩანს, მაშინ შესაძლოა პუბლიცისტურ ფილოსოფიის დახასიათებაზე გადავიდეთ და მისი კონკრეტული სახებაზე გერმანიაში ჩვენი ყურადღება შევაჩეროთ.

პუბლიცისტური ფილოსოფია არსებითად არც პუბლიცისტიკაა ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით და არც ფილოსოფია. აქ პუბლიცისტიკა

იმდენადაა, რამდენადაც საზოგადოებრივ ინტერესის შემცველი საკითხებია ფართო თეორიულ ასპექტში გაშუქებული. არა ცალმხრივი მორალისტიკა, არც თაობათა პერსპექტივები, არც, თუ გნებავთ, პრაქტიკული ფილოსოფიის დასკვნითი და გამოყენებითი მომენტები—არა, სწორედ დღევანდელი საყოველდღეო საჭირბოროტო საკითხები, ფართო სოციალ განფენილობაში აღებული, შეადგენენ ფილოსოფიურ განხილვის საგანს და ამიტომაა რომ ერთსა და იმავე დროს ორ მიზანს აღწევს: არც ყოველდღიურობის სასიცოცხლო ინტერესს კარგავს და ფილოსოფიურ-პერსპექტიულ გაშუქებასაც აღწევს. ამაშია ფილოსოფიურ პუბლიცისტიკის მიმზიდველი ძალა, ამ ძალით შეიქნა იგი ფართო გავლენიანი და ამავე საშუალებებით ემარჯვება მას საზოგადოებრივ სულისკვეთებას თითქმის მოსაიდუმლეს სახით მოევლინოს. იგი შეიძლება ხშირად რთულიც იყოს თავისი კომპოზიციით, თეორიულ ანაგების განყენებაც სჩვეოდეს, მაგრამ იმავე დროს იგი ან მქადაგებელია ან წინასწარმეტყველი და ამით ეზიარება იგი მასიურ სულიერ განწყობილების მესაჭეობას.

ყველა ამ ნიშნების მატარებელია გერმანული პუბლიცისტური ფილოსოფია. იგი არაა ღირებული როგორც თეორიულ მიღწევათა გარკვეული საფეხური ან აქამომდე შეუცნობელ არეზე ფარდის ახდა. მისი საკვლევი არე ნაკლებ სიბნელით არაა მოცული, ვიდრე უცოდინარობით დაუფლებული გონების სხივით დაუსერავი მიდამო. მაგრამ ეს ბნელეთი მიმზიდველია არა როგორც მაძიებელ ცოდნის გამაღიზიანებელი მოტივაცია, არამედ როგორც ცხრა კლიტულით სიგელ დებულ სკივრი თაობათა ბედისწერის საიდუმლოებათა. უცნობი ყოველთვის ასეთ ორ კატეგორიად იშლება: ერთხელ იგი ცნობიერების დრამაა, რომლის ალსავალი გონიერ დასაწყისის გამარჯვების ზეიმია; მეორეხელ ბედისწერითი ტრაგედიაა, სადაც ბრძოლა გამორიცხულია, როგორც გამარჯვების პრელუდია და ალსავლის კარი წინასწარმეტყველობითი მისტერიით იშლება.

ომის შემდეგი ხნის გერმანია, ე. ი. გერმანია გუშინდელი და დღევანდელი, ორივე ხაზით ცოცხლობს და მეტყველობს. განზე ვსტოვებთ, როგორც ითქვა, აკადემიურ—თეორიულ ფილოსოფიას ისევე როგორც ხელოვნებას და პოზიტიურ მეცნიერების სწრაფვათ. აქ იპოვნება ელემენტები და არა მთელი, რამდენადაც კოლლექტიურ სულისკვეთებაზეა ლაპარაკი. უცნობი, არა როგორც მეცნიერებით და შემეცნებით დასაძლევი არის კოლლექტიურ ზრახვათა გამომხატველი, არამედ როგორც საიდუმლოება და ბედის წერა. შეცნობილ განწირულობის ნიადაგზე შექმნილ სასოწარკვეთილებას ბედისწერის იდეოლოგია დაეუფლა. ერი, რომელიც საშინელ მსოფლიო ჭიდილში არა ფიზიკურ-ტეხნიკურად, არამედ პოლიტიკურად დამარცხდა, ომის დამთავრების მეორე დღეს გონებრივად ისევე შეუბღალავი აღმოჩნდა, როგორც გაუბზარავი მისი ხმალი, ხოლო ნერვიულად მოშლილი. გერმანიის შერჩა ძველი, ღრმად მოაზროვნე თავი, ხოლო მოეშალა ხერხემალი მისი ცნობიერების ცენტრით. პუბლიცისტური ფილოსოფიაც ისეთსავე დამოკიდებულებაშია ნამდვილ ფილოსოფიასთან, როგორც ხერხემლის ცნობიერება ცენტრალ ტვინის მრავალსახოვანობასთან.

უეჭველად სწორ გზას ადგას სოციალური ანატომია, როდესაც იგი ცნო-

ბიერების ფენომენებს სოციალ ვითარების ფენომენებს უკავშირებს და პირველი უკანასკნელთან დამოკიდებით გამოყავს. ომის შედეგებით დამფრთხალმა გერმანიამ პირველად იგრძნო სიმწარე იმ სინამდვილის, რომელიც ბუმბერაზ პერსპექტივების მოსპობის შემდეგ მის წინ მთელი თავისი ძიუნიდველობით გადაიშალა. ჰირში მაგარია ჰირის სამასპინძლოდ მომზადებული. გერმანია ამ სამზადისში როდი იყო. მსოფლიო ომში მასიურ ენერგიის როგორც ფრონტზე ისე შინ უმაგალითო დაძაბულობა პატრიოტიზმით და მამულიშვილობით არ აიხსნება სავსებით. ეს იყო გრანდიოზულ პერსპექტივები გამაბრუებელი ჰარმონია, რომელიც მთელს ცნობიერებას საშინელის ძალით იმორჩილებდა და რომელმაც საუცხოვო, ისტორიულ ექსტაზის სახე მიიღო. საშინელი უნდა ყოფილიყო ბერძენთა მისტერიების მომდევნო დღე, დღე ჩვეულებრივ ჭირ-ვარამისა, დღე ერთი მეორის მზგავსი უფერადო სინამდვილეში. ასევე საშინელი იქნებოდა ექსალტაციით მპყრობილ მე XII-XIII საუკ. მლაღადებლისა, როცა მისი სულიერება დეპრესიის ბრჭყალებს დაუბრუნდებოდა. ასევე საშინელი იყო გერმანიის ცნობიერებისათვის მწარე სინამდვილის პირისპირ დადგომა, იმ განსხვავებით, რომ მსოფლიო პერსპექტივების წარმოსახვის დამსხვრევამ ექსტაზის ნაცვლად პროზა კი არ გაამეფა, არამედ მისი სულისკვეთება ბედისწერის და წინასწარმეტყველობის იდეოლოგიაში გადასტყორცნა.

II

არსებულ სინამდვილეს თვალს არიდებს ის, ვისაც მასში ან მის განვითარებაში საიმედო არაფერი ეგულება. კატასტროფების აზროვნების ისტორიაში სინამდვილის უარყოფა მარტო გონებრივი მოტივაციით არ საბრდოობდა. განდგომა სინამდვილისათვის ყოველთვის „სულის საკხონებელ" გზის ძებნაა როდი ნიშნავდა: ის ხშირად ამავე სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლის ფარხმალი იყო უფრო ნაღდ და ხელსაყრელ სინამდვილისათვის.

არსად ისე ნათლად არა სჩანს თანამედროვე ევროპაში თუ რა მიმართულებით გაიტყორცნება მასიური სულის კვეთება, როდესაც სინამდვილე და მისი განვითარების შინაგანი აუცილებლობა საბედისწერო და სავალალო ხდება, როგორც ეს გერმანიაშია. მწარე იყო ომის მიმდევნო ხანა, გაცრუებულ იმედების და დამსხვრეულ ოცნებების საფერფლედ იქცა „წმინდა ფატერლანდი" ამ პირობებში და ამ ნიადაგზე „რეალისტური აზროვნება და შემოქმედება?! მაგრამ რა საშინელია თვით ეს რეალობა, რა ზომ უკუმტყორცნეა იგი! აზრი და გული მასზე და მის ირგვლივ ვერ ისვენებს: ტვინისათვის იგი გაბოროტებაა, გულისათვის —მანკი. მაშ, შორს სადმე — თუნდაც სიზმარეთში, —ოღონდაც მწარე სახე სინამდვილისა ოდნავ მიიბუნტოს, მეხსიერებიდან დაიძრას.

ეს იყო ომის შემდეგ. ისტორიამ მრავლად იცის წაგებული და მოგებული ომებიც, მაგრამ იშვიათი იყო გერმანელთისათვის ეს ომი მისგან გამომდინარე უდასასრულო წაშებით და დამცირებით. საუკუნის განმავლობაში ნაჭედი სული, რომელიც ეროვნულ გამარჯვებით და განდიდებით საბრდოობდა, სრულებით უძლური აღმოჩნდა, როდესაც საბედისწერო სინამდვილეს პირისპირ დაუდგა.

„ხალხთა ბრძოლის“ ძეგლიდან „გამარჯვების ბოძამდე“ მინიმალური დაძაბულობა აღმოჩნდა და დაგროვილი სულიერი ენერგიის რაოდენობაც ამასთან შეფარდებით მცირე ბალანსის შემცველი, ბონაპარტისტულ იმპერიალიზმის დამსხვრევით დაწყებული, ლეიპციგის ბრძოლაში გამარჯვებული, პარიზის აღებისათვის და გერმანეთის „სამღვთო“ იმპერიის აღორძინებისათვის წათამამებული— ეს სულიერი ენერგია მოჩვენებითი აღმოჩნდა. ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რაოდენ განსაზღვრულია ადამიანის სწრაფვა მარადსაქმნელად დაუწერავ ისტორიისა ნივთიერ სიმბოლიკაზე დამყარებით. Volkerschlacstchsenkmal'-ი და Siegessäule ისევე განძარცვული დგას მწარე ომის შემდეგ, როგორც ეგვიპტეს პირამიდები.

გასაკვირია იმის შემდეგ, რომ ოსვალდ **შპენგლერის** ბედისწერის იდეოლოგია ანუ **გერმანე კაიზერლინგის** პროფეტიული ინტუაცია მასიურ გერმანელისათვის ბრომატიულ მანანათ იქცა? ამ კითხვის უბრალო დადებითი პასუხით მოპრის იქეთ თუ გვსურს გავიდეთ, უნდა ვნახოთ როგორ და რატომ ირჩევა თანამედროვე გერმანელის ცნობიერება ამ ორ პოლიუსს შორის. რომ გერმანული ცნობიერება საზოგადოდ ამ მასალას დაეწაფა, ამის გასაგები გზა ჩვენ უკვე ვიცით. მართალია მისი კვლევა ძიება არ გვიწარმოებია მთელი სოციოლოგიური სირთულით, მაგრამ მდგომარეობის სიმარტივე და სიცხადე ამ შემთხვევაში ამ სირთულეს არ საჭიროებს და უარყოფს. უფრო საინტერესოა ვიკითხოთ: რას აძლევს ანუ აძლევდა ამ წლების განმავლობაში გერმანელ ცნობიერებას ბედისწერითი პესსიმიზმი ოსვალდ შპენგლერით და პროფეტიული ოპტიმიზმი გერმანე კაიზერლინგისა? პესსიმიზმი და ოპტიმიზმი თავისთავად მიმართულების საკითხი არაა. ეს განსაკუთრებით პუბლიცისტურ ფილოსოფიას ეხება. მართლაც და, თუმცა ოსვალდ შპენგლერი და კაიზერლინგი ერთის შეხედვით სხვადასხვა რამეზე ლაპარაკობენ, არსებითად მათ შორის დიდი შინაგანი კავშირია და ეს იმის ნიადაგზე ხერხდება, რომ პესსიმიზმი ანუ ოპტიმიზმი ფაქტის და არა პრინციპის საკითხია.

რა უთხრა შპენგლერმა გერმანულ ცნობიერებას? უპირველესად ის, რომ მიზეზობრივ ურთიერთობის უცილობელი ბატონობა არ არსებობსო. რაც ხდება, ან მომხდარა ის ყოველთვის მისი მიზეზებიდან არ აიხსნება. ამდენად ის პოზიტიურ აუცილებლობის საქმე კი არაა და არც შეისწავლება და გაიგება ამ თვალსაზრისით. როდესაც სინამდვილე, როგორც რეალი ფენომენი და ამდენათ მიზეზ-შედეგებიდან აკინძული, მწარე და მიუღებელი აღმოჩნდა გერმანელისათვის, უნდა დამსხვრეულიყო თვით მიზეზ-შედეგობრიობა, დაშლილიყო მისი უცილობელი, აბსოლიუტური ბატონობა.

რაც მოხდა ბედისწერაა—მსჯელობდა ილაჯ გაწყვეტილი ცნობიერება. წინაისტორიულ ამორფიულობიდან ისტორიულ დადგომის მომენტიდან ერთი ბედი უწერია კაცობრიობას და მის შემადგენელ ელემენტებს—ერებს და სახელმწიფოებს. ისტორიულობა უნივერსალიზმის და ინდივიდუალიზმის ის გასაკვნაა, სადაც მათ შორის სინთეზი ანუ მორიგეობა კი არ ხდება, არამედ ერთი მეორეს ე. ი. პირველი მეორეს განაგებს და იმორჩილებს. ამდენათ შპენგლერი

ისტორიოგრაფი კი არაა და მით უფრო ნაკლებ ისტორიოსოფი, არამედ ისტორიული ბიოგრაფი. ინდივიდუალი, რომელშიაც უნივერსალი წესი მით უფრო წესობს რამდენადაც ინდივიდუალობა სუბიექტამდე მაღლდება და ამ გარკვეულს სხვა ყოველივესი გამომრიცხველ ამბავათ იქცევა—აქაა შპენგლერის კონცეპციის სიდიადე და თავისებურობა, საინტერესოა არა პრინციპით არამედ კომპოზიციით. სტილია მთელი შპენგლერი, სტილია მისი გაგებით მთელი ისტორია. ზოგადი და კერძოობითი მოხსნილია მათ ტრაფარეტულ მიმართულებაში და ახალ კონტექსტშია გამართლებული. ეს ოპერაცია მიზეზობრივობის შესაწირავი დაჯდა. ფენომენთა „სპეციფიკაცია" რომელსაც ყოველთვის ის აზრი ჰქონდა, რომ „ზოგადი", როგორც „კანონი" გაემაგრებინა, იმ საფლავად იქცა, რომელშიაც კანონის ზოგადობა უნდა გადაყირავებულიყო.

გერმანელ ცნობიერებისათვის შპენგლერით დათრობა კომპოზიციის სხარტობით და მოკნილობით კი არ გაიზომება. ისტორიულ კატაკლიზმების და გარდატეხვის დროს განწირული სულისკვეთება ისტორიულ კანონების აუცილებლობის წინააღმდეგ იბრძვის. ამ კონტესქტშია იმ თავითვე მოთავსებული მარქსიზმი და მისი მოწინააღმდეგე იდეოლოგია. მარქსიზმის „ნომოთეტობას" ე. ი. კანონის ფორმულით ისტორიულ პროცესის გაგებას, ანტიმარქსიზმი „იდიოგრაფიას" ე. ი. მხოლოობით აღწერით მეთოდს უპირისპირებს და ისტორიულ აუცილებლობის წინააღმდეგ იბრძვის. შპენგლერმა „იდიოგრაფია" „ბიოგრაფია"-მდე მიიყვანა, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ბიოგრაფია ამ შემთხვევაში ცოტაოდნად თავისებურ მნიშვნელობისაა.

ბედისწერა მარტო წარსულის ფილოსოფია არაა. ის არა მარტო იმის შესამსუბუქებლად გამოდგება რაც აქამდე მომხდარა, არამედ მომავლის სახეს ნებისყოფის სფეროში აქცევს. მის ნიადაგზე და მის წიაღში მომავალს შეიძლება ფანტაზიაში მაინც ის სახე მიეწეროს, რომელიც სურვილებით და ოცნებებით საზრდოობს. ერთ შემთხვევაში გერმანიის უბედურება შესაძლო შეიქნა მიზეზ-შედეგობრივ რკინის კანონის გარეთ წარმოედგინათ. უბედურებაში აუცილებლობა მიზეზ-შედეგობრივ მიმართებაზე აგებული იმდენად მანუგეშებელი არ გამოდგა, როგორც ბედისწერის ფორმულაში გაბვეული. წერა იყო და რა ეშველება—მოსახდომს ვერ აიცდენდი—ასეთია. დეპრესიის და სულიერ შენჯღრევის იდეოლოგია. შპენგლერის კონსტრუქციების უჩვეულო მიმზიდველობა, გერმანელ ცნობიერების მით დათრობა ერთს თაყის ნაწილში ყოველ შემთხვევაში ამით უნდა აიხსნას.

მაგრამ გერმანიის ფართო წრეებისათვის ბედისწერის იდეოლოგიას მეორე მხარეც ჰქონდა: ხვალინდელი დღის სახე დღევანდელ მწარე მდგომარეობიდან შინაგან აუცილებლობით არ გამოიყვანება. აბსოლიუტურ ღირებულებას მოკლებულ მიზეზობრივობის პრინციპს არ შეუძლია ხვალინდელი დღე, ახლო მომავალი აუცილებლად დღევანდელ რეალობას დაუკავშიროს. ნებისყოფას არ სურს მიიღოს ეს აუცილებლობა, იგი სწრაფვათა ხაზით მიიმართება, სინამდვილის კანონის ფორმულით გაგებას, ბედისწერის იდუმალობით გაგებას ამჯობინებს. ჭეშმარიტად მართალი იყვნენ ახალ დროის ნებელობის ფილოსოფოსები

—დეკარტი და სპინოზა—როდესაც ისინი ნებისყოფის გაშლის შესაძლებლობას მხოლოდ გონების ნანგრევებზე აფუძნებდენ. სპინოზას ენერგიამ მხოლოდ ის უნდა დაემატოს, რომ ნებისყოფა თავისუფალ ფენომენს მარტო იქ იღებს, სადაც მოვლენათა საზრისიანი გაგება უსრულოა, არამედ იქაც, სადაც ეს საზრისიანობა შეცნობილად არაა პრინციპად აღიარებული, სადაც სინამდვილის განეითარებიდან სურთ მისი შინაგან კანონზომიერება ამოშალონ. ამ გზას, ადგა გერმანიის საზოგადოებრიობა როდესაც ის შპენგლერით სუნთქავდა შპენგლერით აზროვნებდა, შპენგლერით მარჩიელობდა.

III

შპენგლერმა გერმანიის ახალ ადამიანისაკენ მიუთითა. გერმანიისათვის ახალი ადამიანის ძებნა მოულოდნელი და უჩვეულო ამბავი არ იყო. მართალია დღევანდელ ბიურგერს, რომელიც პოლიტიკაში ყოველთვის ბრიყვი იყო და რა თქმა უნდა დღევანდელ ცხოვრების რთულ პირობებში ახალი ადამიანი ხშირად ახალი ბისმარკის სახით ელანდება, მაგრამ ეს ამბავი ხომ სრული ანომალიის შედეგია. ახალი ადამიანი, რომელსაც ცხოვრების ახალი კალაპოტი უნდა მოენახა და არა მარტო გერმანიის მასშტაბით დიდი ხანია დგას გერმანიის აზროვნების პროგრამაში **მაქს შტირნერს** და **ლიუდვიგ ფეიერბახს** რომ თავი დაეანებოთ „კომუნისტურ მანიფესტში“ წამოჭრილი ადამიანი, ის „ახალი ადამიანი იყო, რომელსაც გარკვეული ისტორიული ამოცანები ევალებოდა. ძველი საზოგადოების, ანუ უფრო სწორად მისი გაბატონებულ კლასის მოსაფლავე ეს ის ახალი ადამიანია, რომელიც რა თქმა უნდა შპენგლერის ახალი ადამიანის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს. როდესაც გერმანიის სულიერ რყევაზეა ლაპარაკი საყურადღებოა ბიურგერული მასა, რომელიც „ფართო საზოგადოებას“ წარმოადგენს და რომლის სულიერი მერყეობა მასიურ სულისკვეთების ბარომეტრია. „კომუნისტურ მანიფესტის“ ახალი ადამიანი კანონის ფორმულით განხილულ ისტორიის „მხრებზე სდგას“ როგორც ამას იტყოდა ძველი **ჰეგელი** თაობათა გენერაციის და მამდევნობის შესახებ. **შპენგლერსა** და **კაიზერლინგს** შუა მერყეე სულიერ განწყობილებასთან არრა აქვს საერთო მომავალ საზოგადოებისათვის მებრძოლთა. ჩვენ დღევანდელ საზოგადოების იდეოლოგიურ რხევას ვეხებით.

გერმანეთის ცნობიერებამ მეტი იცოდა ვიდრე ახალი „ადამიანი“. ეს იყო ნიცშეს ახალი შემოქმედების მატარებელი და გამტარებელი—„ზეკაცი“. პათოსი და კომპოზიცია ნიცშეს ფილოსოფიისა იგივე იყო, რაც პუბლიცისტურ ფილოსოფიის—ყოველ შემთხვევაში ასე მიიღო იგი გერმანეთის აკადემიურმა ფილოსოფიამ—მაგრამ რა დიდი განსხვავებაა სოციალ-პოლიტიკურ კონიუნქტურაში! შპენგლერის ახალი ადამიანი რეფლექსიის და თეორიის ადამიანი არაა. მართალია რეფლექსია მისი ბუნების ნაწილია, რამდენად უბრალო „ყოფნისაგან“ მას „ფხიზელი ყოფნა“ ასხვავებს, რომელიც ყოველ შემთხვევაში შეცნობილ და მაშასადამე რეფლექსია ქმნილ არსებობის შედეგია, მაგრამ მისი არარეფლექსიურობა და ათეორიულობა იმაშია, რომ იგი ფორმულებით და

თეზებით არ სცხოვრობს. პრაქტიკა იდეოლოგიის ხარჯზე ასეთია ამ ადამიანის ლოზუნგი. თეორიით მძიმედ დატვირთული პიროვნება შეიძლება სრულიად უშნიშვნელო აღმოჩნდეს მასების ხელმძღვანელობაში და—ცხოვრების გზების გამოკვლევაში ვიდრე საღი გონებით და სწორი ალღოთი აღჭურვილი პრაქტიკოსიო—ფიქრობს შპენგლერი. მაშ გაუმარჯოს ფორმულებიდან განტვირთულს პრაქტიკულ მოღვაწეს ცხოვრების რომელ დარგსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი—ასეთია ახალი პროგრამა და ისტორიოსოფიით გაბეზრებულ გერმანელს ეს ლოზუნგი გულში მოხვდა.

შპენგლერით გატაცება სოციოლოგიური თემაა. ის არაა შეფასება შპენგლერის ნათქვამის და ნააზრევის, არამედ ამ ნათქვამის და ნააზრევის შეთვისების და გავრცელების. მასიური მოქალაქე, გერმანელი ბიურგერი მარტო ლიტერატურული ტიპი კი არაა, არამედ პოლიტიკური ფენომენიც. კლასთა ჰიდილში ის აქტუალურად ნულია, მაგრამ ამ ჰიდილის სიმძაფრეში ბარომეტრია. უსათუოდ ამით აიხსნება, რომ **კ. მარქსი** გერმანელ ბიურგერს ასე ხშირად გაიხსენებდა და ხშირად პოლიტიკურ საკითხების გარკვევის დროსაც მას გვერდს არ აუვლიდა. მართლაც რომ საინტერესოა იგი როგორც პოლიტიკურ აზროვნების ტიპი. პოლიტიკურ სიბრძნეს გერმანელი ბიურგერი ყოველთვის მოკლებულია. მისი ბუნება უშუალობითაა მოცული. ბისმარკის ძველი თეზა, თითქოს მას „არავის არ ეშინია გარდა ღვთისა“ არსებითად შეიცვალა და საერთო შიშით პყრობილ ბიურგერს ყოველგან იდუმალი ძალები ეჩვენება და სასწაულის მოლოდინშია.

ამ ნიადაგზეა გერმანიაში რელიგიური აზროვნება რომ აღორძინდა, რომელსაც მისტიური ფორმა მიეცა. ისტორიულად ცნობილია, რომ რელიგია, თუმცა მისი აზრი—როგორც ამას მოწმობს თვით სახელწოდება—„უზენაესთან კავშირში“ ისახებოდა, ვალდებული არ იყო მისტიური ფორმა მიეღო. დღევანდელ რელიგიურ ძიებებს გერმანიაში, რომლითაც სავსეა სპეციალური მწერლობა, მოხსენებები, აზრთა ჰიდილი, მისტიურ ტიპისა არის და **ეკკარტის,** ფორმაციის მისტიციზმად იშლება. არიან ისეთებიც, რომლებიც აზროვნების და ფილოსოფიის უმაღლეს მიღწევად სთვლიან თუ მან ეკკარტისებურ მისტიციზმის კარებს დაუკაკუნა—ასე მაგ. **გეორგ ჰიკი.**

რელიგიურ-მისტიური აზროვნების გაძლიერება გერმანიაში ჩვენ მიგვაჩნია იმავე სოციალ ბაზისზე აღმოცენებულ გარემოებად, რომელმაც არსებული სინამდვილე მიუღებელი გახადა და მას გასაგები და შესაფასებელი ობიექტიური დასაყრდენი გამოაცალა. იმავე დროს ის საერთო საფუძველია განწირულ სულის კვეთების, რომელიც გერმანულ ცნობიერებას შერყეულს სოციალ-ეკონომიურ საფუძველზე ბედისწერის იდეოლოგიასა და პროფეტიულ ჭადაგების შუა აქანავებს. შევეხოთ ამ უკანასკნელსაც.

IV

ზერელე თვალის გადავლებას თითქოს შეუძლებლად ეჩვენება, რომ კაიზერლინგის ოპტიმისტური წინასწარმეტყველობა შპენგლერის პესსიმიზმს როგორმე

ერთისა და იმავე ცნობიერების წიაღში გადაეჯაჭვოს. მაგრამ ეს ასეა მხოლოდ ზერელე გადახედვით. ჩვენ ვიცით, რომ შპენგლერიანულ იდეოლოგიაში პესიმიზმი არაა მნიშვნელოვანი და გარდამწყვეტი. იგი ერთ-ერთ შემთხვევითი კომპონენტთაგანია, რომელშიაც უკუიფინება უკვე დამკვიდრებული და დამთავრებული სოფლ-მხედველობა და თვით უკანასკნელის კომპოზიციაში არ შედის. რაც მთავარი იყო შპენგლერში—ბედისწერის იდეოლოგია, არსებითად სრულიად არ შლიდა მომავლის სახეს, როგორც ნებელობით მოცულ არეს. სოციალ ისტორიულ მოვლენებში ობიექტიურ იმმანენტობის ამოლება სრულიადაც არ გამოდგა როგორც გზა საოცნებო და სასურველ მომავლის ასაგებად. ბედისწერა ისეთივე აუცილებლობის შინამჭონე აღმოჩნდა როგორც ისტორიული აუცილებლობა, იმ ვახსნავებით რომ უკანასკნელი მეცნიერულად შეისწავლება და აწმყოს მეცნიერულ დიაგნოზით მომავლის ასეთსავე მეცნიერულ პროგნოზს აკეთებს. ამ გზას ადგა მეცნიერული სოციალიზმი იმ თავითვე და რა თქმა უნდა გერმანიაშიც კლასი, რომლის იდეოლოგია მეცნიერულ სოციალიზმის ჩარჩოებში თავსდება შპენგლერ—ეკკარტ—კაიზერლინგის და მისი კლასის სოფლგაგებით თავს არ იწუხებს და არც იტყუებს. აქ ტაქტიკით გამაგრებულ პროგრამასთან გვაქვს საქმე.

ასეთ პირობების გარეთ მომქმედ ცნობიერებამ მალე იგრძნო, რომ ბედისწერის აუცილებლობა მაინც აუცილებლობაა და უარყოფილი იყო რა სადღეისო სინამდვილის გასაგებად კანონის ფორმულით გაშლილი მიზეზშედეგობრიობა, აუცილებელ მომავლის გასაგებად სხვა, არა პოზიტიურ—მეცნიერულ გზებს დაუწყო ძებნა.

რა თქმა უნდა შპენგლერის და კაიზერლინგის ქრონოლოგიური დამოკიდებულება არ ეთანხმება მათ შორის არსებულს შინაარსეულს და—თუ შეიძლება ასე ითქვას—ლოდიკურ დამოკიდებულებას. როცა ლაპარაკია იდეოლოგიურ ქანაობაზე შპენგლერიდან კაიზერლინგამდე ეს გარემოება უნდა იქნას მხედველობაში მიღებული. უეჭველია, რომ ცნობიერების რეაქცია გერმანიაში თავდაპირველად შპენგლერის ბედისწერითი იდეოლოგიის ირგვლივ გაიშალა, სოციოლოგიურ ანალიზი ზედმიწევნით აღმოაჩენდა ცნობიერების ყოველი ნაკვის განხვრას სოციალ-ეკონომიურ გარემოებათაგან დამოკიდებით, მაგრამ ჩვენს საერთო გადახედვაშიაც ნათელია, რომ გერმანული იდეოლოგია იმ გზით უნდა წარმართულიყო, როგორითაც იგი სინამდვილეში წარიმართა. მისი ეტაპებია: ა) სინამდვილის (და მასთან ისტორიის) გაგებაში მიზეზობრიობის აბსოლიუტურობის მოხსნა—ბრძოლა ობიექტიურ „კანონის“ წინააღმდეგ; ბ) ბედისწერის იდეოლოგიის მიღება—არსებულის სიმწვავის შემსუბუქება და მომავლის ველიუნტარიზაცია; გ) ბედისწერაში აუცილებლობის შეგნება; მის გასაგებად პოზიტიურ-მეცნიერულ გზის უარის ყოფა და მისტიურ გზის არჩევა. **ასეთია გზა შპენგლერიდან კაიზერლინგამდე.**

პროფეტიზმი ე. ი. წინასწარმეტყველობა, როგორც მას გ. კაიზერლინგი ქადაგებს იმავე პრინციპებით საზრდოობს, როგორც ბედისწერის იდეოლოგია. აქ განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პროფეტიზმი განსხვავებული საშუალებაა

მომავლის გასაგებად. გაგების საშუალება არ სცვლის გასაგების ფორმას. ეს დებულება უცვლელია ყველა შემთხვევაში, როდესაც კი შუშაობება არსებულის თუ მომავლის გაგების აპარატურა. აუცილებლობა მომავლის, სახის, რომელიც ბედისწერის იდეოლოგიამაც ვერ მოხსნა, უცვლელი დარჩა ნიცშეს წინასწარმეტყველობისთვისაც. აქ საქმე ინტერესის ხარისხშია და არა არსებით სახვობაში. ბედისწერის გაგება წარმტაცი და მიმხიდველია განსაკუთრებით მაშინ, რომ ახლო წარსული და სადღეისო სინამდვილე საიმედოს არაფერს იძლევა, ამით აიხსნება გ. კაიზერლინგის გავლენის საიდუმლოება.

მთელი ქვეყანა დაინგრევა, გადარჩება მხოლოდ გერმანული კულტურა —აი თეზისი, რომელსაც ავითარებს გ. კაიზერლინგი თავის მოხსენებებში, რომლებითაც იგი ქარიშხალივით მიმოქროლავს გერმანიის ტერიტორიაზე და რომლებსაც აურიცხველი ხალხი ესწრება. გერმანელი ბიურგერი სულგატვრინული ელოდება როდის გამოჩნდება მისი ქალაქის ჰორიზონტზე კაიზერლინგი თავისი ქადაგებით და გაფაციცებით ყლაპავს მის სიტყვებს. ეს გასაგებიცაა. ქვეყანა დაინგრევა და გერმანია გადარჩება—კარგი ამბავია ეს გერმანელ ბიურგერისათვის, რომელიც იმავე წუთს ანგარიშში ჩადის, რომ გერმანიას მეტოქე აღარ ეყოლება უცხო ბაზარზე.

კაიზერლინგი მიმზიდველი პიროვნებაა, რამდენადაც იგი თავისუფალია გაცვეთილ ფორმულებისაგან, მისი წამოწყება დარმშტადტის „სიბრძნის სასწავლებლის“ სახით ცოცხალი ანტიპოდია აკადემიურ ფილოსოფიის მომჟავების წინააღმდეგ. სქოლასტიურ ფილოსოფიის წინააღმდეგ აჯანყების შთაბეჭდილებას ახდენს მისი საქმიანობა. მას მომხრეები მარტო აღმოსავლეთის პერსპექტივების მოტრფიალეთა შორის კი არ ჰყავს—როგორიცაა მაგ. **რაბინდრანატ ტაგორი**, მის მხარეზე იპოვნებიან აკადემიურ ფილოსოფიიდან გადმოსული ხალხიც—როგორიცაა **ლანს დრიში.** ის შეიძლება საინტერესო მოვლენა იყოს, როგორც პროტესტი საუნივერსიტეტო ფილოსოფიის წინააღმდეგ, მაგრამ გერმანელ ცნობიერებას მან ვერც სიახლით და ვერც სიძლიერით იმაზე მეტი ვერაფერი უთხრა, რაც ოდესაც **ჰეგელმა** აუწყა. გერმანია, როგორც მსოფლიო ისტორიის დაგვირგვინება (ფაქტიურად კი პრუსიის პოლიციური სახელმწიფო) —ასეთი იყო ჰეგელის თეზა, რომელიც თუმცა რაციონალისტურ საფუძველზე იყო მიღებული, მაგრამ კაიზერლინგის მისტიურ მიღწევაზე მაღლა იდგა. უშედეგოთ ჩაიარა ჰეგელიანური პროფეტიზმმა, მით უფრო უშედეგო იქნება **კაიზერლინგის** პროფეტიზმი, მაგრამ, როგორც ზევით ითქვა, აქ საქმე თვით პრინციპებში ან შინაარსში, როგორც ასეთში კი არაა, არამედ როგორც სოციალურ ფენომენში.

ამ მხრივ იდეოლოგიის ევოლიუცია ომის შემდგომ გერმანიაში დამახასიათებელია როგორც სოციალ-ეკონომიურ **კრიზისზე** აღმოცენებული იდეოლოგიური კრიზისი.

ა. ჭელიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილები სპარსეთიდან

გლეხები

გაგრძელება *)

სპარსეთის ცხოვრების მთელი სიმძიმე გლეხის კისერზეა დაწოლილი. ღარიბი და თანაც ყოველგვარ უფლებას მოკლებული, იგი საცოდავ სანახაობას წარმოადგენს. სიღარიბე და უუფლებობა ერთი მეორის შედეგია. და სპარსელ გლეხს ეს ორი რამ მემკვიდრეობით აქვს გადაცემული. მიწა მისი არ არის, ნაშრომი სხვას მიაქვს.

სპარსეთის საკმაოდ ვრცელს ტერიტორიაზე, რომელიც უდრის 1.463904 კვადრატულ ვერსს, თორმეტ მილიონ სულზე მეტი სცხოვრობს. აქედან ორი წილი გლეხობაა. თითო სულზე საერთოდ 5 დესეტინა მოდის, მაგრამ გამოსადეგი მიწა ცოტაა. რაც უნდა იყოს, მიწა ან გლეხს არ ეკუთვნის, ან, თუ აქვს, მხოლოდ ორი-სამი პროცენტი. მიწა მისია, ვინც მას მორწყავს, ე. ი. ვისაც წყალის შეძენა ან ხელოვნურად გამოყვანა შეუძლიან. ასეთი მიწები მემკვიდრეობით მიუთვისებია არისტოკრატიულ ნაწილს, ან ფულით შეუძენია რომელიმე ვაჭარს. ამ ყიდვა-გაყიდვის ნიადაგზე გლეხის ბედი მალიმალ იცვლება. მისი მბრძანებელი დღეს ხანია, ხვალ ვაჭარი. და შეიძლება რამდენიმე წელიწადში რამდენჯერმე გაიყიდოს მისი ადგილ-მამული და ბატონი-აღაც ამრიგად შეიცვალოს. უახლოესი ბატონი კი მოიჯარადრეა. სოფლის იჯარით გაცემა ხელმისაცემია მიწის პატრონისთვის, რადგან ერთბაშათ, წინდაწინ მიიღებს საიჯაროს, და აგრეთვე მოიჯარადრეც უზრუნველყოფილია, რადგან განსაზღვრული ვადის განმავლობაში სოფლის აბსოლიუტური ბატონ პატრონი ის არის. ის გარეულ კატასავით აზის კისერზე გლეხს და, აქვს თუ არა, მაინც უკანასკნელი სისხლის წვეთი უნდა ამოაცალოს.

სამუშაო იარაღების გაუმჯობესება სოფელში ეხლა იწყება. სპარსული გუთანი ჩვენებური ტიპისაა, და მიწას ზერელედ სჩიჩქნის. უფრო თავისებურია აქაური კევრი. არაფრით არა ჰგავს ჩვენს კაჟიან კევრს. გარდა იმისა, რომ ამასაც თავი წვრილი აქვს და ბოლო ფართე. შუაზე ორი-სამი ღერძი აქვს

*) იხ. „მნათობი" № 2 (22)

ბის. ღერძის გარშემო რამდენიმე ფართე რკინაა წამოცმული, თხელი, პირმოლესილი. ღერძები მოძრაობის დროს ტრიალებენ და რკინებიც სჭრიან, ანაკუწებენ და ამგვარათ იღეწება პური. შეიძლება ეს სჯობდეს ჩვენებურს, მაგრამ ერთიც და მეორეც იმდენად პრიმიტიულია, რომ მომავალ შეკრულს ის არ გამოადგება. მიუხედავათ იმისა, რომ აქ ცხენი და აქლემი ბევრია, კევრშიც და ხვნაშიც ხარებს ამუშავებენ. ხარები ურემში გაბმული არსად შემხვედრია. მთელი წლის მოსავალს ეზიდებიან ვირებით და აქლემებით.

სოფელს უფროსად ჰყავს გეთხუდა (მამასახლისი), რომელიც სოფლის საქმეს განაგებს და მთავრობის ბრძანებანიც მოჰყავს სისრულეში. გლეხს აქ სადავო ცოტა აქვს, რადგან მიწა მას არ ეკუთვნის. ჩვენებური საზღვრების გადაწევ-გადმოწევა, რის გამო ბევრი სისხლი დაღვრილა და ათასი მტრობა და შური დათესილა—რასაკვირველია, აქ არ არის. ამაზე იტყვიან—ერთი ჭირი მარგებელიაო. მაგრამ მშვიდი სპარსელი, მესაკუთრეც რომ იყოს, ჩვენებურ კინკლაობას არ დაიწყებდა. სპარსელი ავია მხოლოდ სარწმუნოების ნიადაგზე. ამ გზაზე ის არავის დაინდობს. ის გაჟღენთილია სარწმუნოებრივი სულით. დღეში ხუთჯერ დაიჩოქებს და შეჰლალადებს ცასა და მიწას. აქ განსხვავება არ არის გლეხსა და მოქალაქეს შორის. თუ დაბალ წრეს ეკუთვნის, მორწმუნეც არის. მისი პირველი საზრუნავი ლოცვაა. ლოცვა, რომელიც თავის ნამეტანი სიწრფელით აკვირვებს ადამიანს. ამ ხალხის სიბრალულთან პატივისცემაც გებადება და ფიქრობ:

— უფალოო, თუ ხარ სადმე, მიეცი ამ კაცს რაც უნდა, მოიშორე თავიდან! იქნება შემდეგ მაინც გაიმართოს იმისი მუხლი და გაიაროს სწორი გზით თავის მომავლისკენ.

მაგრამ ეს რომ ასე მოხდეს, იგი სრულიად აღარ წამოდგება მიწიდან. „სასწაული“ მისთვის ადვილი მისაღებია. მას სხვა წამალი უნდა და საკმაო დრო. ძველ ღმერთს იგი ადვილად ვერ დაიეიწყებს. მისი სული ავსილია ფანატიზმის საშინელებით და მის განწმენდას დიდი ქარტეხილი უნდა.

სპარსელ მდაბიოს ვერ შეხვდებით, რომ მისი თავი დასერილი არ იყოს. თეთრი ხაზები—დანის დანარტყამი აჩნია მას დაღივით რამდენიმე ალაგას. ყოველ წელს იპარსავს, რომ კიდევ მიუმატოს, კიდევ შეიღებოს სახე და გული სისხლით, რომ ზეიმით იაროს ქუჩებში და დაადასტუროს „სულის გამარჯვება სორცზე.

მიწის მოსავალი იყოფება ხუთ ნაწილად: ერთი მეხუთედი მუშას ეკუთვნის, ოთხი—მიწის პატრონს. სადაც საუკეთესო პირობებია, იქ ერთნახევარს აძლევენ, მაგრამ იშვიათად.

ზოგჯერ მიწის მოსავალი გლეხს არ ჰყოფნის წლის ბოლომდე. ვარდება ვალში. მომავალმა წელიწადმა თუ კარგი მოსავალი მისცა, გაისტუმრებს, თუ არა და, შეიძლება ვალზე ვალი დაემატოს.

ახლა კი ოჯახის ქონებიდან უნდა რამე გაჰყიდოს და ვალი გაისტუმროს. ვალი ისევ ბატონისაა. გლეხს სხვა არავინ ენდობა. თუ „უპირული“ გამოდგა

გლეხი და ვალი ვერ გაისტუმრა, ბატონი მას სასტიკად დასჯის და გააგდებს კიდეც.

დავალიანება ასე ხდება:

გლეხს ეძლევა მიწის პატრონისაგან—მემამულეა იგი თუ მოიჯარადრე—სათესლე მიწის რაოდენობის მიხედვით. ეძლევა აგრეთვე თავის სახარჯოდ პური და მცირეოდენი ნაღდი ფულიც, იმ პირობით კი, რომ თავისი მოსავლის მეხუთედით უნდა გადიხადოს. ბატონს თუ დასჭირდა კანონიც მიეშველება. და დავალიანებული გლეხი ხშირად ჰყიდის, თუ რამე გააჩნია, და ისტუმრებს ვალს. მაგრამ მეხუთედი მოსავლისა იმდენად მცირეა, რომ გლეხი ვერასოდეს წელში ვერ გაიმართება.

გლეხის სიმდიდრეს ხშირათ ერთი ბარი შეადგენს და ორიოდე ქათამი. ქათმის და კვერცხების გაყიდვით იბრუნებს სულს წლით-წლამდე. შეძლებულ გლეხს ჰყავს ერთი ძროხა და ერთიც ვირი.

„თუ გლეხმა ველარ გაისტუმრა ბატონის ვალი, გარბის ქალაქისაკენ და მუშაობს დღეში 1—3 კრანად. მაგრამ ქალაქები ნრეწველობის მხრივ მეტად სუსტნი არიან და სამუშაო ყოველთვის არ იშოვნება. ამის გამო, ბოლოს, იგი მათხოვრად გაიქცევა ხოლმე.

გლეხის დასჯა თუ დასჭირდებათ, უპირველესად გასჯოხავენ. მისი გასამართლება და სასამართლოში თრევა მთავრობის მოხელეებს უბრალო დროს დაკარგვად მიაჩნიათ. მოხელე გამოარკვევს საქმეს, მიუსჯის და სასჯელსაც მაშინვე შეასრულებს ან გაროზგავს, ან დააჯარიმებს.

ქალაქების ახლო მცხოვრები გლეხი შედარებით უკეთეს პირობებშია: მას შეუძლია ქალაქში წვრილმანი რამე გაიტანოს და მდგომარეობა შეიმსუბუქოს. მისი უმთავრესი შემოსავალია რძე, ქათამი და კვერცხი.

ამ სამი რამით შეუძლია გლეხს ისე მწარედ არ იგრძნოს ცხოვრების სიმძიმე, როგორც ეს სპარსეთის მივარდნილ ადგილებში მცხოვრებ გლეხს ამწარებს. იგი ბევრ რამეს არის მოკლებული. ზოგიერთს შემთხვევაში ვერ იტყვი, რომ ის ადამიანია, რაიმე უფლებით მოსილი, რომელიც ბევრს რამეს არის მოკლებული, მიტოვებული ღვთის ანაბარად, ვიღაცების საკრეჭად და საექსპლოატაციოთ. შემთხვევით მეშვედიდან თეირანამდე მოგზაური, საბჭოთა რუსეთის დაწესებულების თანამშრომელი ასეთს სურათს იძლევა:

„მივარდნილ-მიყრუებული ადგილი. საშინელი სიღატაკე. ხალხი დაფლეთილ-დაგლეჯილი, თითქმის ველური. მათს უბანში ჯერ ფეხიც არ დაუდგამს ევროპიელს. მათ იქნება გაგონილი ჰქონდათ ოდესმე რუსის სახელი, მაგრამ კი არ ენახათ. ჩვენ დავბინავდით ერთ სოფელში, რადგან სალამომ მოგვისწრო. როგორც იქნა, ვიშოვნეთ ერთი მიწური შესაფალი ხვრელით. მოვიხარეთ, მოვიკაკვეთ, შევედით და დავბინავდით. გვეშინოდა, მაგრამ დაღლილობამ დაგვძალა და დავიძინეთ. უცებ, უნებურად ვიღვიძებ სინათლის შუქზე. ორი სპარსელი ლამფით თავზე გვადგიან და გაკვირვებით გვიცქერიან. მათი ფართე და გი'შერივით შავი თვალები უმთავრესად მიმართული იყო მანდილოსნისკენ. საოცარი შიში. ნერვიულობა. შენდეგ გამოირკვა, რომ მათ თავის დღეში არ ენა-

ხათ რუსი. ახლა გაიგეს, რომ აქ ვართ და მოვიდნენ ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. გათენებისას მთელი სოფელი შეიყარა. გვათვალიერე-ბდნენ, ხელით ეხებოდნენ ჩვენს ტანისამოსს, სხეულს—უშინჯავდნენ. ქალები და ბავშვები. ქალები ცდილობდნენ გაეგოთ, კაბის ქვეშ [illegible] რა [illegible] უცხო მანდილოსანს.

შემდეგ გაიგეს, რომ ჩვენ განათლებული ვართ. ერთმა ილაჯ-გაწყვეტილ-მა დედამ დაავადებული ბავშვი ჩამიგდო კალთაში—ამბობს მგზავრი ქა-ლი—კვდება—მოარჩინეო. მეორე ორ შაის იძლევა, ჩვენებურად—ორ კაპიკს, მიშველე, კბილი ამომიძრეო. ბევრს თვალები სტკიოდა, ზოგი ციებისგან იყო გაყვითლებული.

— არა ვარ ექიმი,—ვეუბნები. მე ავადმყოფობისა არაფერი ვიცი. არც წამლები მაქვს.

მაგრამ არ იჯერიდენ. ნასწავლი ხარ, როგორ არ ვეცოდინება, გვიშვე-ლეო. გვინდოდა ერთი ქათამი გვეყიდნა. გაზაფხული იყო. დედალს ვერ იმე-ტებდნენ. შეინძრა მთელი სოფელი, მოიყვანეს რამდენიმე მამალი. ყველა ცდი-ლობდა თავისი მამალი გაესაღებინა და ორი გროში ეშოვნა. ატყდა ყვირილი ღრიანცელი. ადამიანის და ფრინველის ხმა ერთიმეორეში აირია. ბოლოს, როგორც იქნა, ერთი ვიყიდეთ და სხვები შეწუხებული დაბრუნდნენ. მეორე ადგილზე, მეორე ღამეს უფრო ფრთხილად გვეძინა. ისევ ისეთივე მიწურში ვართ. წინდაწინ ყველა კუთხეები დავათვალიერეთ, რომ სენის გამავრცელებე-ლი მწერები მოგვესპო. ბინის პატრონმა ღიმილით აიყვანა ერთი მსუქანი ბაღლინჯო, ხელით გასრისა და სთქვა: ეს რაა, ამისი გეშინიათო?“

ასეთია სურათი, რომელსაც გადმოგვცემს შემთხვევით მნახველი სპარსელი გლეხის ცხოვრებისა, სპარსეთის მივარდნილს სოფლებში.

არიან გლეხები, რომელნიც თავიანთ სიცოცხლეს მარტო მწყემსობაში ატარებენ. ესენი გლეხები არც კი არიან. იმათაც ბატონი ჰყავთ და ხშირათ ბინის მონაცვლების დროს იგიც თან მიჰყვებათ. მათი ბინა უბრალო მიწური-ბაა, დროებით გამოთხრილი, რომ ცუდი დარის დროს თავი შეაფარონ. ამ ტიპის ხალხი უფრო ღარიბად ცხოვრობს, მაგრამ ბუნების წიაღში მას ნებივ-რობაც არ აკლია. გაშლილს იალაღებში იგი გულაღმა წევს და შესცქერის ჰაერში ორბების ტრიალს და ლურჯი ცის დაუსრულებელ მიმზიდველ სიღრ-მეს. მათ იციან რიკტაფელათი თამაშობა და უკრავენ სალამურს ჩხიურ ხევ-ღიან კილოზე. ცხვრისა და ძროხის გაშლილი ფარა მოდებულია მიდამოს და შიგა და შიგ დარაჯი ძაღლების ყეფა არღვევს მდუმარე კლდე-ღრეების მყუდროებას.

მუშების მდგომარეობა.

სპარსეთი წვრილი წარმოების ქვეყანაა, ესე იგი კუსტარული. ქარხნისკენ ჯერ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. სპარსეთი ამ მხრივ ჩამორჩა მონათესავე

აზიურ ქვეყნებსაც. ამიტომ აქ მუშას წელი ვერ გაუმაგრებია და თავის მდგომარეობის კულტურულ შეგნებამდე ვერ ასულა.

მუშისთვის ზრომის განსაკუთრებული კანონი არ არსებობს. მუშა ემორჩილება წესებს და დამქირავებლის სურვილს. მუშაობს იმდენს, რამდენსაც მოითხოვს წარმოება—ხან მეტს, ხან ნაკლებს. ხელფასი მცირეა. თვიურად საშუალო ხელფასი 10—30 სპარსული თუმანია, რაც უდრის რუსულს 18—50 მანეთს. საერთო გაფიცვების იდეა და მისი პრაქტიკაში გატარება არ არსებობს. შეიძლება იყოს იგი სადმე ქაღალდზე, რომელიმე კერძო სპარსელთან, მაგრამ დღის სინათლე რომ ჯერ არ უნახავს, ესეც ცხადია.

სპარსელი მუშა, თუ საქმე არ მოსწონს, თავს ანებებს და მიდის. ასევე იქცევა პატრონიც: ეტყვის, საჭირო აღარ ხარ, წადიო, და მუშამაც იმ წუთშივე უნდა დაჰყაროს იარაღი. არავითარი ზედმეტის მიცემა ან მოთხოვნა. ისიც კარგია, თუ თავისი ნამუშევარი მიიღო და სახვეწნავი არ გაუხდა. უკიდურეს შემთხვევაში მუშამ უნდა საზოგადო კანონს მიჰმართოს და თავისი სიმართლე დაამტკიცოს, რადგან მას საკუთარი პროფესიონალური კავშირი არა აქვს. ძველი ჰამქრული წესები, რომელიც არის დღეს სპარსეთში, თანამედროვე მუშას ვერ იცავს. პირიქით, იგი უფრო აბნელებს იმისი მდგომარეობის შეგნებას.

სპარსელი მუშა იბრძვის როგორც ერთეული, უფრო კი სულაც ვერ იბრძვის. იმის წინ ორი ძალაა—პატრონი და მთავრობა, რომელთაც შეუძლიათ ყოველგვარი პირობები შეჰქმნან და სავალდებულო გახადონ მუშისთვის.

აქ თითქო არსებობს პარტიების და კავშირების ჩანასახებიც, მაგრამ ჯერ მუშისთვის არაფერი მიუციათ. საბჭოთა რუსეთის მისსიის კრებებს ესწრებიან კავშირების წარმომადგენლები, აბჭობენ მილოცვებს, სიტყვებს, მაგრამ თავისთვის, დამოუკიდებლად სპარსეთის ტერიტორიაზე ერთი საჯარო კრებაც ვერ გაუმართავთ. მათი არალეგალური კრებებიც უძლურია და უშედეგო ჯერჯერობით.

მხოლოდ სტამბის მუშებმა მოახდინეს მთელი წლის განმავლობაში ორჯერ სუსტი გაფიცვა, რომელიც მცირე შეთანხმებით გათავდა, ისიც კანონის თვალის გარეშე. კომუნისტურმა იდეამ მხოლოდ სტამბის მუშათა შორის იპოვნა მცირე გამოხმაურება. მთავრობისგან სასტიკად იდევნება ყოველგვარი პარტია; ის არ ითმენს არავის გარდა თავის საკუთარი თავისა. უკანასკნელ გამოსვლას ერთგვარი კურიოზული ხასიათიც ჰქონდა; ერთსა და იმავე დროს ისმოდა: „მოგვეცით შაჰი“, და „გაუმარჯოს რუსეთსო“. ამავე დროს თავრიზში გაიძახოდენ: „არ გვინდა შაჰიო“. ამით მხოლოდ მთავრობა დარჩა მოგებული. მან ხელად აკრიფა ქუჩაზე და სახლებში ავის მოლაპარაკენი და გაავსო სატუსალოები. ამის შემდეგ იგი ცდილობს შეჰქმნას „ჯამჰური“ „რესპუბლიკური პარლამენტი“ და იკრებს ძალებს.

ახლანდელს მეჯლისში სადაც 120 წევრია, მხოლოდ ორი სოციალისტია.

მათი ხმა მუდამ იფარება მოწინააღმდეგეთა ალიაქოთით მეჯლისის მძიმე კედლებშივე.

ქალაქის მუშამ შეიძლება არჩევნებში მონაწილეობა არც კი მიიღოს გლეხს კი, რასაც უბრძანებენ, იმას გააკეთებინებენ. ეტყვიან: ესა და ეს უნდა ავირჩიოთო, და წინააღმდეგ ვერ წავა, რადგან იგი ყოვლად უქონელი და უუფლებოა. ამ მხრივ მთავრობა სრულიად ხელგახსნილია, თავისუფალი.

მუშათა საკითხის მთლიანათ დასმა და გადაჭრა ისე, როგორც არის საბჭოთა რუსეთში კი არა ბურჟუაზიულ ქვეყნებშიც, აქ არც ისე ახლოა და ადვილი, როგორც სასურველია.

და თუ ქარხანა აუცილებლად საჭიროა მუშის შეკავშირებისა და შეგნებისათვის, იგი უნდა გადაიდოს შორეულ მერმისისათვის, რასაკვირველია, ევროპიული მაშტაბით.

კანონი და სასჯელი.

უკანასკნელ წლებში მთავრობამ შემოიღო ახალი სამოქალაქო კანონი. იგი იწოდება ნაპოლეონის კანონთა კოდექსად. ამ საგანზე ახლაც მუშაობს რამოდენიმე იურისტი. ეს კანონი ჯერ უცხოა არა თუ ხალხისთვის, არამედ კანონის აღმასრულებელთათვისაც.

ძველს ჩვეულებასა და ყურანზე აღზრდილ მოსამართლეს ამა თუ იმ ბრალდებულთა დამცველი ხშირად მიუთითებს ხოლმე—ახლა ამა და ამ წიგნის და მუხლის ძალით უნდა განსაჯოთო. მოსამართლე გადაშლის წიგნს და დიდი ძებნის შემდეგ ისევ ვექილს მოსთხოვს მის განმარტებას. ვინ იცის, როგორი იქნება ეს განმარტება, რადგან არც ერთი ვექილი თავის საზარალოდ არას იტყვის.

მაგრამ მას, როგორც ახალს, თავისი გამართლება აქვს. იგიც, როგორც სხვა ყველაფერი, მომავალს ელის სპარსეთში, რადგან ადმინისტრაცია თავისი „პრაქტიკული" ნაბიჯებით ხშირად გვერდს უვლის კანონს საქმის გასაადვილებლად, და ზოგჯერ ისევ ძალას და ჯოხს მიმართავს.

ჯოხით დასჯა აქ თვით კანონათაა ქცეული. ეს არავის უკვირს და ბევრს არც ეთაკილება. დააშავებს რამეს, კაცია თუ ქალი, ის ხელათ გადაუწყვეტს, თუ იოლი დანაშაულია, ფულით გამოსყიდვას, ან თუ ფული არ აქვს, შეფასებით ჯოხის დარტყმას. იგი უბრძანებს, გააშიშვლებენ იქვე. საჯაროდ და ერთიდან დაწყებული ასამდე (და მეტიც), უნდა დაარტყან ლბილს ხაწილზე. მაგრამ სპარსეთი შედარებით ღარიბი ქვეყანაა და ფულის შემოსავალი მუდამ ნაკლებია ჯოხის რაოდენობაზე. ჯოხს დაარტყამს და რამდენიმე კვირეში მორჩება. საწყალი კაცი კი ფულს ისე ადვილად ვერ იშოვნის, ან ვინ მოუცდის მას?.. თუ ამ წუთს გადარჩა, შეიძლება მერმე ვეღარც იპოვნონ, ამიტომ ყოველი ასეთი გადაწყვეტილება ბაშინვე სისრულეში მოჰყავთ.

ზოგჯერ შეხვედებით კაცს, რომ სკამზე დაჯდომა არ შეუძლიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ამის წინ „ჯოხი" მოხვდომია, ესე იგი „როზგი".

ერთი ქართველი მუსულმანი, ყოლამ ჰუსეინ მიქელიშვილი, ფერეიდანი-

დან, სოფელ მარტყოფიდან, მთავრობის წვრილი მოიჯარადრე, თავის ორი ხელქვეითით ადმინისტრაციამ დააპატიმრა. მაშინვე მიუსაჯეს ორს სამოც-სამოცი ჯოხი, ხოლო თვითონ მოიჯარადრეს—ოცდა ათი, [illegible] ჩადენის დროს ის იქ არ იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეტისასჯელი მოელოდა. როგორც მოიჯარადრეს.

„ოცდა ათი ჯოხი რომ დამარტყან, ხომ მოვკვდი, ისიც ხალხის წინ. ცოცხალი როგორღა წამოვდგებოდი, თვალებში ვისღა შევხედავდი"—ამბობდა მიქელიშვილი. და შეიქნა ვაჭრობა.

— „რა მოგცეთ თითო ჯოხში? აჰა ფული."

— ფული?!.

დიდი ყოყმანის შემდეგ გადაუწყვიტეს თითო ჯოხის ფასად ხუთი კრანი ე. ი. ერთი მანეთი. ოცდა ათი ჯოხი—სამი თუმანი.

— „ფული უცებ ამოვიღე და დაუგდე წინ,—ამბობს ყოლამ ჰუსეინი,—რომ პირობა არ შეეცვალათ".

იმის ამხანაგებს, რადგან საიმისო ფული არ მოეპოვებოდათ, დაარტყეს სამოც-სამოცი ჯოხი.

„ისინი ორი კვირა იწვნენ პირქვე ჩაიხანაში და ისე იკვებებოდნენ, დგან დაჯდომა არ შეეძლოთო".

ჯარშიც ჯოხის დარტყმაა შემოღებული. ერთი ჯარის კაცი, ქარაკელი, სამსახურიდან გაქცევისთვის გაჯოხეს. ამის შემდეგ სრულიად გადაიკარგა. არ იციან, სად არის. „სირცხვილით სოფელში როგორღა მოვიაო". ასე ეგუება ერთი მეორეს ახალი და ძველი კანონი სპარსეთში.

სასჯელის ორიგინალობაში სპარსელი არ ჩამორჩენია აზიელ თავის მეზობლებს.

ერთმა ხანმა თავის ძლიერებისა და სისასტიკის გამოსაჩენად გლეხებს დააჭერინა რამდენიმე მგელი, რომელიც ცხვარსა სტაცებდა, მგლები დააჭედვინა და გაუშვა თურმე. ამ შემთხვევაში გლეხების და მგლების მდგომარეობა ეთანაბრება ერთი მეორეს, რადგან მათი დაჭერა და დაჭედვა თავის თავად საკმაო სასჯელია. ეს ამბავი იქნება ძველ დროს ეკუთნოდეს, მაგრამ აზიურ ჩვეულებასთან კი ახლოა.

ყოლამ ჰუსეინ მიქელიშვილმა მარტყოფელ ქართველების ცხოვრებიდან მიამბო: „ჭურდი დავიჭირეთ, დავხალეთ და გავუშვითო".

ახალი კანონის სპიულისტრაციოდ: ერთმა ექიმმა, რომელიც დიდი ხანია აქა ცხოვრობს, შემდეგი მიამბო:

ახლა, სამხედრო წესების დროს, საჭირო იყო, როგორც ექიმს, ღამე სიარულის ნებართვა მქონოდა. მივმართე, სადაც ჯერ იყო. პასპორტი მომთხოვეს, მიუხედავად იმისა, რომ კარგად მიცნობდნენ. პასპორტი პოლიციის მიერ არ იყო შემოწმებული. მომთხოვეს ორი მოწმე. მოვიყვანე, მაგრამ თვითონ მათ არ ამოაჩნდათ პასპორტები. იქვე ქვემო სართულში მომრიგებელი მოსამართლე იყო, სპარსელი, ჩემი კარგი ნაცნობი. ის დავასახელე და მოვიყვანე. მაგრამ იმასაც პასპორტი მოსთხოვეს. იმ ჟამად მას პასპორტი არ ჰქონდა და ხელწე-

ოილი მისცა, რომ მოიტანდა შემდეგ. ეს შემთხვევა უამბე ერთს დიდი თანამდებობის პირს და მან ასე მიპასუხა: „ჰო, ჯერ ახალს კანონებს კარგად ვერ იცნობენო“.

ასე რომ, სპარსელი აქაც ფანატიკოსია, უკიდურესი ფორმალისტი.

რასაც მისდგება, სრულიად ამოსწურავს. ის არ ენდობა თავის თავსაც.

ასე სდგას ამჟამად სპარსელი ძველისა და ახალი კანონების საზღვარზე.

ძველი კანონის ჩვეულებიდან შეიძლება კიდევ ერთი მაგალითის მოტანა, რომელიც ახლა, ამ ბოლო დროს შეიცვალა უფრო „კულტურული“ საშუალებით ე. ი. დახვრეტით: სიკვდილით დასასჯელს ჯალათი ხელებს შეუკრავდა, დააჩოქებდა, ხურგიდან მიუდგებოდა, მუხლს წელში მიაჭერდა, ორთითს ცხვირის ნესტოებში ამოსდებდა, გადაუწევდა თავს და დანის ერთი-ორი გასმით თავს სხეულს გააშორებდა.

მანამდი კი დამნაშავეს ხელები და ფეხები ხის მარწუხებში ჰქონდა გაყრილი და ეგდო მიწაზე. *)

კანონის შესახებ ლაპარაკი სპეციალისტის საქმეა. მე მხოლოდ ვიტყვი რომ სპარსეთის წარსულში აუარებელი ცდები ყოფილა კანონის შესაქმნელად. იგი თავის ორიგინალობით და სიმრავლით, მე მგონია, ბევრად გადააჭარბებს ახალ კულტურულ ქვეყნებს. მაგრამ მათი უვარგისობა ალბათ მათ ასრულებაში იყო უმთავრესად. კანონთა ასეთი შემკრებნი იმდენად ფანატიკურად ყოფილან გამსჭვალულნი თავიანთი მოვალეობის შეგნებით, რომ არასოდეს არ დადგებოდნენ სახელმწიფო სამსახურში თვისმიერ შეკრებილ კანონთა შესასრულებლად. ცხადია, მათ კარგად ესმოდათ მნიშვნელობა კანონის, თუ იგი არ ემსახურებოდა პირდაპირ სახელმწიფოს მმართველთა ინტერესებს. ზოგს მათგანს უარი უთქვამს მმართველთა წინადადებაზე მოსამართლის, ე. ი. ყაზის მოვალეობაზე და ამის გამო სასჯელიც უკისრნიათ. „ვინც მოსამართლეა, ე. ი. ყაზი, ის იგივე წამებას განიცდის, რასაც ცხოველი, რომელსაც ჩლუნგი დანით ყელს გამოსჭრიანო“.—უთქვამს ხალხის ადათების უდიდეს შემკრებელს აბუ ხანიფს. მეორეს, აბუ ხანიფის მოწაფეს, აბუ იუსუფს, რომელიც სახელმწიფო კანონმდებლად იყო, უსაყვედურეს თურმე—„შენ ამა და ამ შეკითხვაზე არაფერი გვიპასუხე და ხაზინიდან კი აუარებელ ფულს იღებ, როგორც კანონმდებელიო“. აბუ იუსუფმა თურმე დინჯად უპასუხა: „მე რასაც ვაკეთებ, იმის გვარად მაძლევენ. და რასაც არ ვაკეთებ, იმისიც რომ მივიღო, მთელი ჩვენი ხალიფატის სიმდიდრეც ვერ იკმარებდაო“.

საკითხთან თავისებური, მოსწრებული მისვლაც თურმე იცოდნენ ძველმა მოსამსახურეებმა. ნ. ოსტროუმოვს მოყვანილი აქვს რამდენიმე მაგალითი:

745 წელს ერთმა ხალიფამ რაღაც მოუფიქრებლად დაიფიცა: „თუ მე სამოთხის ღირსი არ ვარ, სამჯერ განვეშორო ჩემს საყვარელს (ჯოლსო“. ამ ფიცმა ხალიფი დააღონა და საჭირო შეიქნა მისი დარწმუნება, რომ სამოთხეში

*) არის კიდევ ერთი სასჯელი: დამნაშავეს ფეხებს ჯოხზე გაუკრავენ. წამოაყენებენ და ლაღმა და ქუსლებზე სცემენ ჯოხს.

შევიდოდა და ცოლთან განშორების ფიქრებიც გაექარვებინა. აბუ-იუსუფი სევდიან ხალიფს შეეკითხა: „ცუდი რამ ხომ არ გიფიქრნია ფიცის წარმოთქმამდე და ღვთის შიშით ისევ უარი ხომ არ გითქვამსო?“.

— გითქვამსო?

ჰო უპასუხა ხალიფმა.—მინდოდა ჩემი კოლის ერთი მხევალი გამეუპატიურებინა, მაგრამ ღვთისა შემეშინა.

„რაკი ეგრეა, სამოთხის ღირსი ხარ“,—დაამშვიდა თურმე მოსამართლემ ხალიფი.

სპარსელის გონებამახვილობას და მის სიჯიუტე ყოველს დარგში შეხვდებით.

ერთმა ქართველმა მიამბო ერთი დამახასიათებელი ამბავი:

მამა და ორი მისი შვილი უნდა ჩამოეხრჩოთ ყაჩაღობის გამო. მამამ ერთს შეატყო შიში და ასე გაამხნევა თურმე—არ შემარცხვინო; სანამ ცოცხალი ვიყავით, ეგენი ჩვენი ფეხის ქვეშ იყვნენ, ჩამოგვახრჩობენ, მაგრამ მაგათი თავები მაინც ჩვენი ფეხების ქვეშ იქნებიანო. მაგათზე მაღლა ვიყავით და ახლა სახრჩობელაზე რომ ავალთ, ისევ ამათზე მაღლა ვიქნებითო.

აი კიდევ ერთი მაგალითი: 1905 წლებში რევოლიუციის პირველ დღეებში ერთი კონტრ-რევოლიუციონერი უნდა ჩამოეხრჩოთ. მისმა შვილმა—რევოლიუციონერმა ამ დროს საჯაროდ გამოაცხადა:

„ეს მამა ჩემი იყო და მე უარვყოფ მას, როგორც მამას. არ მინდა მაგის შვილი მიწოდონ“.—და თვითონ გამოსწია თოკი, რომელიც მამის კისერზე იყო მობმული.

როგორც ამბობენ ეს რევოლიუციონერი თავრიზში დახვრიტეს.

ასეთ სასჯელთა გავლენა ხალხის ფსიქოლოგიაში ღრმად არის ფესვებ გადგმული. დაიჭერენ ვინმეს თუ არა, მაშინვე დაიწყებენ მსჯელობას: ასე და ასე დასჯიანო. უკანასკნელს დღეებში მცირე გამოსვლას ჰქონდა ადგილი მთავრობის წინააღმდეგ. მონაწილენი დაიჭირეს. სიკვდილით თუ ვინმეს დასჯიდნენ, არავინ იცოდა. მაინც ხმა გავარდა: ქალაქის გარეთ ორმო გათხარეს, ზედ ფიჩხები და სილა წააყარეს, დაჭერილები ზედ გაატარეს, როგორც კი შიგ ჩაცვივდნენ მიწა მიაყარეს და ცოცხლად დამარხესო.

რასაკვირველია, ასეთი რამ არ მომხდარა. მძიმე დამნაშავეთა სალიკვიდაციოდ ახლანდელ მთავრობას უფრო თოფის ხმარება ემარჯვება.

ციხე და მისი რეჟიმი ამ ჟამად ბევრით არ განსხვავდება რუსეთში თვითმპყრობელობის დროინდელ რეჟიმისგან.

ქორწილი და ტირილი.

თავისებურია სპარსული ქორწილი.

ასეთი უდიდესი დასაწყისი ოჯახობრივი ცხოვრებისა, ეს დაუვიწყარი დღე, მომტანი ბევრ მოულოდნელ ავ-კარგისა, სპარსელს, მიუხედავად იმისა, რომ დიდის პატივით და მოწიწებით ეპყრობა, მაინც არ შეუერთებია ქალის ცხოვრებასთან. ქალი აჭაც, ამ სიხარულის წუთებში, გათიშულია კაცისგან. ქალი-

დედოფალი მარტო ზის ოთახში, ქალების შორის და შორცხვად შესცქერის სხვათა მხიარულებას. ხოლო კაცი-მეფე ცალკეა, მეორე ოთახში, იქ მხოლოდ კაცები არიან, გაშლილი სუფრით, ფიალებით, ტკბილი სასმელით, ხმელი ხილით, თარით, ნალარათი, დაირით და სხვა საკრავებით, რომელიც აზიელს ემარჯვება. აქ მუდამ ორი ლხინია—კაცების და ქალების—ცალ-ცალკე. ორივე მხარეს ყველაფერი ბევრი აქვს, გუნებაც კარგი, მხიარული. მაგრამ ერთი მეორეს ვერ ხედავენ, ერთი მეორესთან ვერ მივა, ერთი მეორის უფლებას არ დაარღვევს.

ასე არ არის შუა-აზიაში, მაგალითად, თექებში, იქ ქალი პირახდილია მუდამ, იქ ქორწილის დროს ქალი და კაცი ერთად არიან. სპარსელი თავის ქალს თუ ვაჟს, თუ შესაფერი დრო იშოვნა, პატარაობიდანვე ნიშნავს. მშობლების სურვილი კანონია შვილებისთვის. ისინი დალოცავენ შვილს, და იმანაც სიტყვა უნდა შეუნახოს. პატარძლები ჯერ არ იცნობენ ერთმანეთს და ხშირად, გაცნობის შემდეგაც, ნამდვილად არ იციან, თუ რისთვის შეაკავშირეს ისინი. მაგრამ დრო ყველაზე უფრო კარგი მასწავლებელია. შედიან თუ არა ჰასაკში ქორწილს გადაიხდიან და შეუღლდებიან. აქ ხშირია 12 წლის ქალი და 15 წლის ვაჟის შეუღლება. ავრეთვე ხშირია საოცარი კონტრასტი—კაცი 50-60 წლის, ქალი 15-20-სა. ოცი წლის ქალს დროგადასულს ეძახიან. პირველი ჰასაკი 10-15 წელია. ამ ხნის თუ რიგიანია, გაუთხოვარი არ დარჩება. ორცოლიანობას თითქმის ყველა ჰკიცხავს. არიან ორ ცოლიანებიც, მაგრამ ქმარი ხშირად იძულებულია ცალ-ცალკე აცხოვროს, რადგან ქალები ერთად ვერ თავსდებიან და მუდმივი ჩხუბით ქმარს თავს აბეზრებენ. ცალ-ცალკე ცხოვრებას მეტი ხარჯი უნდა. ამიტომ ორცოლიანობას მეტი ნაწილი უშვილობის გამო მისდევს, თუ პირველმა ნაყოფი ვერ მოიტანა, უსათუოდ მეორეს შეირთავს.

დედოფალი მორთულია წითელ-ყვითელი ფარჩეულობით. შეიყვანებენ თუ არა ქმრის ოჯახში, დედამთილი ან სხვა ვინმე ტკბილეულობას მიაწვდის, თავზე შაჰრის ფხვნილს დააყრის და ცდილობს ტკბილეული ბევრი აჭამოს. მიართმევენ პირის სანახავს და სხვა საჩუქრებს.

საინტერესოა სპარსეთში გადმოსახლებულ ქართველების ქორწილი. ყოლამ ჰუსეინ მიქელიშვილმა შემდეგი მიამბო: მოიყვანებენ თუ არა დედოფალს საქმროს ბინასთან, ვაჟი გადაიმალება. მხოლოდ ერთ ვინმეს ეტყვის, თუ სად იქნება, რადგან შეიძლება დროზე ვერ იპოვნონ და ქორწილი სხვა დროისთვის გადაიდება.

ქალი კარზე გაჩერდება, გამოიხმობს დედამთილ-მამამთილს და თხოულობს „საქმრო მომგვარეთო“. იგი პირდაბურულია და დრომდე არავის ეჩვენება. დაწყებულია ძებნა „ნეფესი“, მაგრამ ზოგი თურმე ისეთი მორცხვი და მშიშარაა, რომ შორს გადიკარგება, თუ მოახერხა. სანამ ნეფეს არ იპოვნიან, დედოფალი კარზე სდგას და ნაბიჯს არ წასდგამს. ზოგჯერ, მაგალითად ზამთარში, მაყრიონი და დედოფალი გარეთ იყინებიან, მაგრამ რა ჰქნან, თუ სიძე ვერ იპოვნეს! სიძე კი, ვინ იცის სად არის!

ერთს ასეთ შემთხვევის დროს თვით ყ. ჰ. მიქელიშვილის ბიძაშვილი ბო-

სელში დამალულიყო, სადაც ნახირი და ვირები ემწყვდია. ბოლოს კიბე იცოდა ნეფეს საიდუმლოება, დიდის ხვეწნა-მუდარით გამოიყვანა, მაგრამ ვირები და ნახირი დაფრთხენ და ერთმანეთი ცემით დაასივესო.

როგორც კი ნეფეს მოიყვანენ, დედოფალი პირს აიხდის და პირველად დედამთილს ეჩვენება, შემდეგ მამამთილს. ან ოჯახის უფროსს. ყველანი პირის სანახავს მიართმევენ. შემდეგ მეფის გვერდით დადგება და ლოცვა-კურთხევით შევლენ სახლში.

ქართველებმა ქორწილი ერთად იციან. მათში ასეთი გათიშვა არ არის ქალ-კაცის, როგორც სპარსელთა შორის. სიმღერა და დასაკრავები სპარსული აქვთ. ქართული სიმღერა კი როგორც ყ. უსჰეინი ამბობს, მოსპობილია, ისიც გასაკვირიაო რომ ენა დარჩა ხოლო სიმღერის კილოკავები კი მოისპო.

ქალის უმანკოებას ქართველები, როგორც ეტყობა, დიდ ყურადღებას აქცევენ. თვით კოლამ ჰუსეინს არასგზით არ უნდა შეირთოს ქვრივი ქალი, ძალიან მოსწონს ის ქვრივი, მაგრამ მისი ძმები იტყვიან: „ჩვენ უმანკო ქალი შევირთეთ, ყოლამ ჰუსეინმა კი სხვისი ნაცოლარიო“. სიტყვა „ქალს“ ყ. ჰუსეინი მხოლოდ გაუთხოვარზე ხმარობს, გათხოვილს კი „ცოლს“ უწოდებს. თუ ქება დასჭირდა ლამაზია, დახატულიაო“.

შეუღლების წესს სასულიერო პირი ასრულებს, რომელსაც მოიწვევენ ა დროისთვის.

მკვდრის ტირილი და გასვენება სპარსელმა უფრო ადვილათ იცის, ვიდრე ჩვენში. მიცვალებულს იმ დღესვე გაასვენებენ. მიცვალებული შეხვეულია თეთრ სუდარაში. კუბო მოურთველი, შავი ჩითით გადაფარებული. უბრალო, კუბოს მიწაში არ ჩაატანენ. მიწას გასჭრიან ღრმად, ხოლო გვერდზე კიდევ თვალს გამოსთხრიან და მიცვალებულს შიგ შესდებენ. შემდეგ აგურებით ამოაშენებენ და მიწას მიაყრიან. მიცვალებულს ქალები არ მისდევენ. მოლლა მოთქმით მიუძღვის, პატარა ლოცვანით, თითქმის მირბის.

სასაფლაოები ძალიან სადა აქვთ სპარსელებს. არც ერთი ხე, არც გალავანი, მხოლოდ შიგა და შიგ—აგურით აშენებული ძეგლის მისაგვანი. რომელსაც ადვილად დააქცევს რამდენიმე ათეული წელიწადი.

თუ ვინმე დიდი კაცია ან მდიდარი, მეჩეთის ეზოში დამარხავენ, მაგრამ შესანიშნავი რამ ძეგლი არც იქ მოიპოება.

სულ სხვანაირად ეპყრობიან თავიანთ მიცვალებულებს გიაურები. ე. ი. ზოროასტრის მოძღვრების მიმდევარნი. თეირანიდან 8 ვერსის მოშორებით კლდეში აქვთ აშენებული თაღიან დაბალი კოშკი. მიცვალებულს დასვამენ ამ კოშკში. თვითონ კი სულის მოსახსენებლად ღვინოს მიირთმევენ შორი-ახლოს და მიცვალებულსაც გადაასხამენ. ხოგჯერ მოხდება თურმე: დაჩვეული ფრინველი გამოეჭანება და თავზე დააჯდება მიცვალებულს. ეს ქარგი ნიშანია, მიცვალებული ალბად სამოთხეში შევა. შემდეგ, რასაკვირველია, მტაცებელი ფრინველები და მხეცები მარტო ძვლებს დასტოვებენ, რომელსაც იქვე გათხრილ ჭაში ჰყრიან.

(დასასრული იქნება).

გ. დევდარიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაპიტალის დაგროვებისა და იმპერიალიზმის თეორია რ. ლიუქსემბურგისა.

1913 წელს გამოვიდა საერთაშორისო სოციალიზმის ცნობილი მოღვაწის რ. ლიუქსემბურგის წიგნი „კაპიტალის დაგროვება (იპერიალიზმის ეკონომიურად ახსნის საკითხისათვის)". ამ წიგნის წინასიტყვაობაში (წიგნი დათარიღებულია „1912 წ. დეკემბრით") ავტორი ამბობს: მეო „...ვერ ვახერხებდი საკმაოდ ნათლად წარმომედგინა კაპიტალისტური წარმოების მთლიანი პროცესი **მის კონკრეტულ ურთიერთობათა მხრით**, აგრეთვე მისი ობიექტიური საზღვრები". შემდეგ განაგრძობს: „...აქ საქმე ეხება არა მარტო გადმოცემა-მოყოლების საკითხს, არამედ ჩვენს წინაშე დგას პრობლემა, რომელიც თეორეტიულად დაკავშირებულია მარქსის „კაპიტალის" მე-II ტომის შინაარსთან და **ამავე დროს კავშირი აქვს თანამედროვე იმპერიალისტური პოლიტიკის პრაქტიკასთან და მის ეკონომიურ საფუძვლებთან**". (კურსივი ჩემია).

ამგვარად, ავტორი უმთავრესად არჩევს „კაპიტალის" მე-II ტომის ცნობილ მესამე განყოფილებას, სახელდობრ, იმ თავებს, რომელნიც ეხებიან წარმოების მარტივსა და გაფართოებულ განახლებას (Простое и расширенное воспроизводство). იგი თავის წიგნის მთელ სივრცეზე (მე-5 თავიდან) კრიტიკულად არკვევს წარმოების მარტივსა და გაფართოებულ განახლების სქემებს (მარტივი განახლება არის წარმოება წინანდელ დონეზე, ე. ი., როცა დაგროვება არა სწარმოებს, არამედ მთელ ზედმეტ ღირებულებას კაპიტალისტები უკანასკნელ კაპიკამდის ჰფლანგავენ).

ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ისეთი ბრწყინვალე გონების პატრონი როგორიც არის რ. ლიუქსემბურგი, მუდამ ერთმანეთში რევს კაპიტალისტური წარმოების **აბსტრაქტულ თეორიას** და უახლესი კაპიტალიზმის **კონკრეტულ სახეებს**. სწორედ ამით აიხსნება, რომ ის ვერ დააკმაყოფილა მარქსის სქემებმა და მისმა აბსტრაქტულმა მეთოდმა. რ. ლიუქსემბურგმა ვერ გაიგო მარქსის მეთოდი,—კაპიტალისტური წარმოების ანალიზის მეთოდი. თავისი თეორიის აგების დროს მარქსი არ ღებულობდა მხედველობაში (абстрагировался) ისეთ კონკრეტულ პირობებს, რომელთაც არაფერი არსებითი არ შეჰქონდათ საკით-

ხის გარკვევის საქმეში და მხოლოდ აბუნდოვანებდენ მას. შეორე მხრით საკიროა, რომ ადამიანმა აბსტრაქტული მეთოდის გამოყენების ზომაც და საზღვარიც იცოდეს. მარქსი ამ მეთოდს იყენებდა **ისეთ კაპიტალიზმის** შესწავლით, **რომელმაც სახე იცვალა** ჩვენს ეპოქაში,—მარქსმა რომ ანალიზი გაუკეთა, **ის კაპიტალიზმი იმპერიალიზმად გადაიქცა,**—**იმ** კაპიტალიზმის დამახასიათებელი, თვისებანი **უკვე გამჭრალია,**—თავისუფალი კონკურენცია, კაპიტალების მიგრაცია და სხვ. **ალარ არსებობს. ახლანდელი კაპიტალიზმი მონოპოლისტური კაპიტალიზმია** (იმპერიალიზმი). მონოპოლისტურ კაპიტალიზმის მიმართ აბსტრაქტული მეთოდის გამოყენების შესახებ კი ლენინი შემდეგს ამბობს: „წმინდა—ეკონომიურ თვალსაზრისად თუ „წმინდა" აბსტრაქციას მივიჩნევთ, მაშინ ყველაფერი, რის თქმაც კი შეიძლება, შემდეგ დებულებით ამოიწურება: განვითარება მიიმართება მონოპოლიებისაკენ. მაშასადამე ერთ მსოფლიო მონოპოლიისაკენ, ერთ მსოფლიო ტრესტისაკენ. **ეს უდავოა, მაგრამ ეს სრულიად უშინაარსოც არის.** თუ კი ვილაპარაკებთ **ფინანსიური კაპიტალის ეპოქის** „წმინდა ეკონომიურ" პირობების შესახებ, **როგორც ისტორიულად კონკრეტიულ ეპოქის შესახებ, რომელიც მე-XX საუკუნის დამდეგს ეკუთვნის, მაშინ „ულტრა იმპერიალიზმის" მკვდარ აბსტრაქციების საუკეთესო პასუხს წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის კონკრეტულ—ეკონომიური სინამდვილის მათთან დაპირდაპირება"** (იხ. მე-XIII ტომი, 310 გვ.). ამიტომ, როდესაც რ. ლიუქსემბურგს უეჭველად სურს, რომ მარქსის აბსტრაქტულ სქემებიდან იმპერიალიზმის **კონკრეტული** სინამდვილე დაინახოს, რასაკვირველია მას არაფერი გამოუვა, მაგრამ ეს სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ მარქსის სქემები არ ვარგოდეს, როგორც **ამას** რ. ლიუქსემბურგი სჩადის. პირიქით, მან ვერ გაიგო აბსტრაქტული მეთოდის მნიშვნელობა, ვერ გაიგო თუ როგორ და რას უნდა მიუყენოს იგი.

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ გადავიდეთ საქმის დედა არსზე.

როზა ლიუქსემბურგი ამბობს: ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ „იმპერიალიზმის ეკონომიური საფუძვლის ახსნა უნდა გამომდინარეობდეს სპეციალურად კაპიტალის დაგროვების კანონებიდან და ამ კანონებთან უნდა იყოს შეფარდებული, რადგან **იმპერიალიზმი საერთოდ,** უკვე საყოველთაო ემპირიულ ცნობების თანახმად, **დაგროვების მხოლოდ სპეციალური მეთოდია"** (იხ. გვ. 560, „კაპიტ. დაგრ."). მაგრამ მარქსი კაპიტალის დაგროვებას განიხილავს წმინდა კაპიტალისტურ საზოგადოების (в чистом капитал. обществе) ფარგლებში, მაშასადამე, აქ იმპერიალიზმი წინდაწინვე უკუგდებულია, ასე რომ, ის სრულიად აუხსნელი ხდება მანამდის, „ვიდრე ყოველგვარ კრიტიკის გარეშე (?) მარქსის წინნამძღვრებს ვიღებთ „კაპიტალის" მეორე ტომში". მარქსის სქემები „არ შეეფერება" საყოველთაო ემპირიულ ფაქტებს, ამიტომ ისინი უნდა შეუფარდოთ სინამდვილეს, სხვანაირად რომ ვსთქვათ, უნდა მოვსპოთ, რადგან „არაფერს არ გვიხსნიან". სწორედ ამ მიზნით რ. ლიუქსემბურგი შეუდგა მარქსის წარმოების გაფართოებული განახლების სქემების კრიტიკას და იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ეს სქემები სწორი არ არის. მიუხედავათ ამისა, ლიუქ-

სემბურგის გული მადლობით არის გამსჭვალული მარქსის მიმართ, რადგან „მარქსის სქემები გვიჩვენებენ კაპიტალისტური წარმოების ბატონობის ობიექტიურ საზღვრებს.“ მაშასადამე კაპიტალიზმი, ლიუქსემბურგის აზრით, შეიძლება განვითარდეს მანამდის, ვიდრე კაპიტალიზმი ყველგან საბოლოოდ არ ჩაინერგება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: წმინდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში დაგროვება შეუძლებელია, მაშასადამე დაგროვებისათვის საჭირონი ყოფილან კაპიტალისტური საზოგადოების კლასები კი არა, კაპიტალისტები და მუშები კი არა, არამედ სხვა რაღაც ფენები. მარქსი კაპიტალის დაგროვების საკითხს არ იხილავდა „მესამე პირებთან“ დაკავშირებით, მიუხედავად ამისა დაგროვება მაინც სწარმოებს.

რ. ლიუქსემბურგი მუდამ უცნაურად ურევს ერთმანეთში აბსტრაქტულ და კონკრეტულ მოვლენებს და როდესაც ერთმანეთს უპირდაპირებს ამ მოვლენებს, გაოცებული რჩება, რომ სქემები სინამდვილეს არ უდგება. ამაშია მისი შეცდომის მთავარი საფუძველი. მარქსის სქემები მხოლოდ ერთ რასმე გვეუბნება: როგორ და რა გზით ხდება მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის დაგროვება და ბრუნვა წმინდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ნორმალურ პირობებში,—მორჩა და გათავდა. ცხადია, წმინდა კაპიტალიზმი არ არსებობს, იმედია, არც იქნება, მაგრამ ასეთი აბსტრაქცია ერთად-ერთი გზაა, რომ სწორედ გავიგოთ კაპიტალისტური წარმოების განვითარება.

მოვიყვანოთ თვით მარქსის სიტყვები, რომელნიც სქემებს საფუძვლად დაედო: „პირველ ყოვლისა წლიურ წარმოებას ნაყოფად უნდა მოჰყვეს ყველა ის საგნები (მოსახმარი ღირებულებანი), რომელთა ხარჯზედაც შეიძლება ანაზღაურებულ იქმნას კაპიტალის ნივთიერი, წლის განმავლობაში მოხმარებული შემადგენელი ნაწილები. ამ ნაწილის გამოკლების შემდეგ რჩება წმინდა ანუ ზედმეტი პროდუქტი, რომელიც შეიცავს ზედმეტ ღირებულებას. მაგრამ რისგან შესდგება ეს ზედმეტი პროდუქტი? იქნებ იმ საგნებისაგან, რომლებმაც უნდა დააკმაყოფილონ კაპიტალისტთა კლასის მოთხოვნილებანი და ნება-სურვილები და ამგვარათ მათ მოსახმარებელ ფონდში შედიან? ეს რომ ასე იყოს, მაშინ ზედმეტი ღირებულება უკანასკნელ კაპიკამდის გაფლანგული იქნებოდა და ჩვენ საქმე გვექნებოდა მარტივ წარმოებასთან.

დაგროვებისათვის საჭიროა, რომ ზედმეტი პროდუქტის ნაწილი კაპიტალად გადაიქცეს. მაგრამ სასწაულის გარეშე კაპიტალად მხოლოდ ისეთი საგნების გადაქცევა მოხერხდება, რომელთა გამოყენება შეიძლება შრომის პროცესში, ე. ი. წარმოების საშუალებისა და შემდეგ, ისეთი საგნებისა, რომელთაც შეუძლიათ არსებობა შეინარჩუნონ მუშების ე. ი. არსებობის საშუალებებისა. მაშასადამე, წლიური ზედმეტი შრომის ნაწილი უნდა მოხმარდეს დამატებითი წარმოებისა და არსებობის საშუალებათა დამზადებას, რომელნიც ჰარბობენ იმ მათ რაოდენობას, რომელნიც საჭიროა ავანსად დაბანდებული კაპიტალის ანაზღაურებისათვის. ერთი სიტყვით, ზედმეტი ღირებულება მხოლოდ იმიტომ შეიძლება გადაიქცეს კაპიტალად, რომ ზედმეტი პროდუქტი, რომლის ღირებულებასაც (ზედმეტი ღირებულება) იგი წარმოადგენს, უკვე შეიცავს ახალი

კაპიტალის ნივთიერ შემადგენელ ნაწილებს“ (იხ. გვ. 448, „კაპ.“ I ტ.). „მაგრამ ამ ელემენტებს რომ ფაქტიურად ისეთი ფუნქციები აასრულებინონ, როგორც კაპიტალს შეჰფერის საჭიროები არიან დამატებითი მუშები.“ „ამ დამატებითს სხვადასხვა წლოვანების მუშა-ხელს ყოველწლიურად აწვდის კაპიტალს თვით მუშათა კლასი.“ საჭიროა ახლა „მათი შეერთება წარმოების დამატებით საშუალებებთან, რომელთაც უკვე შეიცავს წლიური წარმოების პროდუქტი,—და ზედმეტი ღირებულების გადაქცევა კაპიტალად უკვე მზად არის.“ „კაპიტალის... ტრიალი... იქცევა... სპირალად“ (იხ. გვ. 449).

ამგვარად აქ მხედველობაში სრულიად არ არიან მიღებულნი „მესამე პირნი“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაგროვების პროცესი წესიერად მიმდინარეობს მათ დაუხმარებლად. 448 გვ. შენიშვნაში მარქსი მათ უწოდებს „საქმის დამხლართველ გარედან მომდინარე პირობებს“ და გულისხმობს „რომ კაპიტალისტური წარმოება ყველგან განმტკიცდა და წარმოების ყველა დარგებს დაეუფლა.“ იგივეა ნათქვამი „კაპიტალის“ მეორე ტომშიც. მაგრამ, როგორც დავინახეთ, რ. ლიუქსემბურგი ამ აზრს არ იზიარებს და ასეთ საკითხს სვამს: „... ნამდვილად რომ ვთქვათ, ვისთვის ხდება წარმოების გაფართოებული განახლება?“ იმის მაგიერ, რომ ერთად-ერთი შესაძლებელი საკითხი დაეყენებინა: საიდან ჩნდება ფული, რომ საქონელი დატრიალდეს საზოგადოებრივი წარმოების პირველსა და მეორე განყოფას შუა (წარმოების საშუალებანი და პირადი მოხმარების საშუალებანი) და აგრეთვე როგორც პირველისა, ისე მეორე განყოფის ფარგლებში? ლიუქსემბურგი ამ საკითხს დიდ მნიშვნელობას არ აწერს: „დაგროვების პრობლემის წამოყენების დროს ლაპარაკია არა იმის შესახებ, თუ საიდან ჩნდება ფული, არამედ იმის შესახებ თუ საიდან ჩნდება მოთხოვნილება ზედმეტ პროდუქტზე, რომელიც წარმოიშვა კაპიტალიზაციაქმნილ ზედმეტ ღირებულებისაგან“ („დაგროვება“, ტ. I, გვ. 136).

ამგვარად პასუხი უნდა გაეცეს საკითხს: „ვისთვის ხდება... წარმოების თანდათან გაზრდილი გაფართოება“ (გვ. 338)? ასეთია მეთოდოლოგიური მიდგომა პრობლემასთან. ცხადია, ამ სახით დასმული საკითხი სწორი არ არის,—„ვინაიდან, როგორც აღნიშნავს ამხ. ბუხარინი, **მიზნის** ცნება აქ წინდაწინვე უკუგდებულია“. რ. ლიუქსემბურგი თითონვე ცდილობს კითხვაზე პასუხის გაცემას: „მართალია, წარმოებასთან ერთად საზოგადოების მოხმარებაც ფართოვდებაო“... თითქოს ამაზე იქით წასვლა აღარ შეიძლება,—პრობლება გადაჭრილია. მაგრამ არა. „... **რამდენადაც მოხმარებას ადგილი აქვს და იზრდება, დაგროვება არ სწარმოებს**“. მართალია ეს თუ არა? არა, მართალი არ არის. მოხმარება იზრდება, მაშასადამე იზრდება მოთხოვნილება წარმოების ნაყოფზედაც; წარმოება ფართოვდება... „წარმოების ზრდის შედეგად მოთხოვნილების ზრდა, როგორც წარმოების ზრდის მეორე მხარე, ძირითად წინააძღვარს წარმოადგენს მთელი საზოგადოებრივი სისტემის ზრდისათვის“... (ბუხარინი: „იმპერიალიზმი და კაპიტალის დაგროვება“, გვ. 16). მოხმარება დაგროვების, წარმოების გაფართოების ფუნქციაა, მათი ერთმანეთთან დაპირდაპირება იმ დროს, როდესაც მათ შორის კავშირი არსებობს,—მეტის-მეტად შემცდარი

აზრია. რ. ლიუქსემბურგი განაგრძობს მსჯელობას (იხ. გვ. 339) და ამბობს: „... მუშებს შეუძლიათ მოიხმარონ მხოლოდ პროდუქტის ნაწილი, რომელიც შეეფერება მათ ცვალებად კაპიტალს (?) და ამაზე მეტი ერთი მისხალიც კი არა". ეს ჭეშმარიტია, მაგრამ ისიც მართალია, რომ მუშათა კლასის მოხმარება ამავე დროს საშუალო ძალის აღდგენაა, მისი ზრდა, მაშასადამე, მოხმარების ზრდაც და, ბოლოსა და ბოლოს — წარმოების გაფართოება. მაშასადამე „დამატებითი საშუალო ძალის წარმოება აუცილებელი წინაპირობაა დაგროვების ზრდისათვის". (ბუხარინი გვ. 18). რ. ლიუქსემბურგი ჰფიქრობს, რომ მას მხედველობაში წარმოების გაფართოებული განახლება აქვს, მისი მსჯელობანი კი აქ შეეფერება მარტივ წარმოებას. შემდეგ. „მაშ ასე, ვინ ახდენს მუდამ მოზარდის ზედმეტი ღირებულების რეალიზაციას? სქემა უპასუხებს: თვით კაპიტალისტები და მხოლოდ ისინი. რას უშვრებიან ისინი მუდამ მოზარდ თავის ზედმეტ ღირებულებას? სქემა უპასუხებს: კაპიტალისტები იყენებენ მას თავის წარმოების მუდამ მოზარდ გაფართოებისათვის. ეს კაპიტალისტები, მაშასადამე, წარმოების გაფართოების ფანატიკოსები არიან წარმოების გაფართოებისათვისვე". ჯერ ერთი აქ იოლად არის გამოტოვებული კაპიტალისტური საზოგადოების სხვა ფენების მოხმარება (ჯარი, სახელმწიფო აპარატი და სხვადასხვა), მერე, რატომ მართლაც არ უნდა იყვნენ კაპიტალისტები წარმოების ფანატიკოსები წარმოებისავე გულისათვის? კაპიტალისტის მამოძრავებელი მოტივი ხომ წარმოების გაფართოებაში უფრო და უფრო **მეტი მოგებისადმი** მისწრაფებაა, ხოლო რაკი მუდამ გაფართოების გზაზე მდგომი **წარმოება ამ ძირითად მიზანს ემსახურება**, ამიტომ კაპიტალისტი ობიექტიურად მართლაც „წარმოებისათვის წარმოების" ფანატიკოსს წარმოადგენს". ამ საგანზე ლაპარაკი აქვს მარქსსა თითქმის ასეთივე ტერმინოლოგიით. მაგრამ რატომღაც რ. ლიუქსემბურგი მხოლოდ ტუგან-ბარანოვსკის ლანძღავს, რომლის თეორიის განხილვა ჩვენი მიზნისათვის აუცილებელი არაა. ყველაზე სასაცილო ისაა, რომ ლიუქსემბურგი მარქსს იცავს ტუგან-ბარანოვსკისაგან, ე.-ი. ამ საკითხში მარქსისაგან. ამგვარად: 1) მუშები ზედმეტი ღირებულების არც ერთი ნაწილის რეალიზაციას არ ახდენენო (როგორც დავინახეთ რ. ლიუქსემბურგი მუშებს იღებს სტატიკურ მდგომარეობაში); 2) კაპიტალისტების პირადი მოხმარება შედის მარტივი წარმოების ცნებაში, და არა გაფართოებული წარმოებისა (უეჭველია „ხელმომჭირნეობს" კაპიტალისტი-არა? გ. დ.) ამიტომ ამის მხედველობაში მიღება არ შეიძლება, და 3) კაპიტალისტები არ არიან „წარმოებისათვის წარმოების ფანატიკოსებიო — რაკი ამაში დარწმუნდა, რ. ლიუქსემბურგი აცხადებს: „... ზედმეტი ღირებულების რეალიზაციის მოხდენა შეუძლიან არა მუშებსა და კაპიტალისტებს, არამედ მხოლოდ საზოგადოებრივ ფენებს ან საზოგადოებებს, რომელნიც თითონ კაპიტალისტურად არ ჰქმნიან, — ...არაკაპიტალისტურ ფენებს და ქვეყნებს" (გვ. 358). ამ „ფენებსა და ქვეყნებს" გარეშე კაპიტალიზმი და მისი განვითარება საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა". დაგროვების საფუძველს, წინააღმდეგ მარქსისა, კაპიტალისტური მოსახლეობის და მის მოთხოვნილებათა ზრდა, არ წარმოადგენს, რამედ სტრუვისტული „მესამე პირნი", ურომლებოდაც „დაგროვება... ყოველი

მხრით წარმოუდგენელია“ (გვ. 375). „მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების არაკაპიტალისტური მყიდველების არსებობა კაპიტალისა და მისი დაგროვების არსებობის პირდაპირი პირობაა, ამიტომ კაპიტალის დაგროვების პრობლემისათვის გადამწყვეტ საკითხსაც წარმოადგენს (იქვე)“ [illegible], რაც მარქსმა მიიღო, როგორც წინაპირობა დაგროვების სქემისათვის, შეეფერება სრულიად დაგროვების პროცესის ობიექტიურ ისტორიულ ტენდენციას და მის თეორეტიულ საბოლოო შედეგს“ (იხ. გვ. 432). წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც რ. ლიუქსემბურგი აღნიშნავს სხვა ადგილებში, საზოგადოებრივი კაპიტალის განვითარება მარქსის მიხედვით დაემსგავსებოდა იმ „კატას, რომელიც თავის კუდის გარშემო ციბრუტივითა ტრიალებს“, დაემსგავსებოდა „კარუსელს“. თუ ამ „კატას, რომელიც თავის კუდის გარშემო ციბრუტივითა ტრიალებს“ და „კარუსელს“ რაიმე აზრი აქვთ, ეს აზრი ის იქნება, რომ ისინი, უეჭველია, ნიშნავენ მარტივ წარმოებას, და არავითარ შემთხვევაში გაფართოვებულ წარმოებას, რომელიც „სპირალურად“ მოძრაობს და არა „კარუსელის“ მსგავსად. რაკი წინასწარ ხავარაუდევია მარტივი წარმოება და მისი ცნებებით ხელმძღვანელობა, გაფართოებულ წარმოებას არავითარ შემთხვევაში არ მივიღებთ. რასაკვირველია, თუ აქედან გამოვალთ ძალიან ადვილია დავამტკიცოთ, რომ მარქსის მსჯელობანი წინააღმდეგობათა შემცველია და სიცოცხლეს მოკლებული, რაც, ცხადია, სწორე არ იქნება. მაგრამ დაუბრუნდეთ „მესამე პირებს“. 543 გვერდზე რ. ლიუქსემბურგი ასე მსჯელობს: „წარმოვიდგინოთ, რომ **კაპიტალისტურ საზოგადოებაში შექმნილ ყველა საქონელს ყოველწლიურად ერთ ადგილას აწყობენ, ერთად აგროვებენ,** რომ მთლიანად გამოიყენოს საზოგადოებამ“. რატომ აგროვებს რ. ლიუქსემბურგი ერთ ადგილას ყველა საქონელს? აი რატომ: ის ჰყოფს საქონლის „გროვას“ სამ ნაწილად: პირველი ნაწილი მუდმივი კაპიტალის ანაზღაურებას ხმარდება, მეორე ნაწილი ცვალებად კაპიტალის ანაზღაურებას და ზედმეტი ღირებულების ნაწილს, რომელიც წარმოების მხრით უნაყოფოდ იხარჯება (მოხელეები, ჯარი და სხვ.). ბოლოს მესამე ნაწილი შესდგება ზედმეტი ღირებულების იმ ნაწილისაგან, რომელიც უნდა დაგროვდეს. შემდეგ რ. ლიუქსემბურგი კაპიტალისტებს და მუშებს მიაღებინებს ამ „გროვიდან“ სათანადო პორციებს და **„გროვაში“ მას რჩება კიდევ მესამე ნაწილი. განა ცხადი არ არის, რომ რ. ლიუქსემბურგს მხედველობაში აქვს საზოგადოებრივი წარმოების სტატიკური მდგომარეობა, მარტივი წარმოება?** რა შუაშია აქ გაფართოებული წარმოება და დაგროვება?

რაკი რ. ლიუქსემბურგმა ამგვარად მიაკუთვნა „ყველა დას თავ-თავისი საყურე“, ის კითხულობს: „... ვისაა მყიდველი, მომხმარებელი ყველა საზოგადოებრივი საქონლის იმ ნაწილისა, რომლის გაყიდვაზედაც არის მხოლოდ დამოკიდებული დაგროვება?“—და თითონვე უპასუხებს: „ერთი რამ ცხადია: ამ მყიდველებად ვერ იქნებიან ვერც მუშები, ვერც კაპიტალისტები“ (გვ. 554) რატომ? იმიტომ, რომ თურმე, რადაც უცნაუროობით საქონლის ეს ნაწილი გადაიქცა „ფუფუნების საგნებად კაპიტალისტების კერძო მოხმარებისათვის“ (გვ. 555). მაგრამ რ. ლიუქსემბურგი ამ ვარაუდს შორს ისვრის და აცხადებს:

საჭონლის „გროვის“ დასახელებულ ნაწილში რომ იყოს კიდეც წარმოების და არსებობის საშუალებანი, ამით რეალიზაციის დაბრკოლებანი მეორე წელზე გადადის (იხ. იქვე). განა ეს „კარუსელი“ არაა? **ამგვარად, დაგროვებისათვის საჭირონი არიან გლეხები, წვრილ ბურჟუაზიული მეურნეობა** (გვ. 556). მაგრამ როგორ შეუთანხმოთ ეს მსჯელობა შემდეგ ადგილს: „...ინგლისელებს შეერთებულ შტატებში რკინის გზა რომ გაჰყავდათ, **საკუთარ** რკინას და სხვა მაწმინდა ხმარობდენ, ამისათვის თავის თავს საკუთარსავე ფულს აძლევდენ. (იხ. გვ. 441) განა ეს „კარუსელი“ არაა?

მაშ ასე: გლეხები,—აი ვინ იხსნის კაპიტალს აუცილებელ დაღუპვისაგან, რომელიც მოელის მას ზედირებულების რეალიზაციის შეუძლებლობის გამო წმინდა (ტიპიურ) კაპიტალისტურ საზოგადოებაში. მაშასადამე, იმ კითხვას, რომელსაც რ. ლიუქსემბურგი სვამს: ვისთვის ხდება წარმოების გაფართოებული განახლება?—გასაოცარი პასუხი მოსდევს: **გლეხებისთვისაო.** რალა იქნება ამაზე მეტი უაზრობა!

გლეხობასთან აღებ-მიცემობის გარეშე—დაგროვება არ არსებობს. ამისი აბსურდობა ჩვენ უკვე დავანახვეთ მკითხველს. მაგრამ ჩვენ საკითხის მეორე მხარესაც უნდა შევეხოთ,—მართლაც აქვთ გლეხებს გადამწყვეტი მნიშვნელობა თუ არა? გლეხთა ბაზარს, რასაკვირველია, შეუძლია იმოქმედოს დაგროვებაზე, მაგრამ გლეხთა ბაზარი არ არის კატეგორიულად მომქმედი ფაქტორი იმ მხრით, რომ უიმისოდ კაპიტალიზმი შეუძლებელი იყოს. იგი ცოტად თუ ბევრად შოჭმედებს მხოლოდ კაპიტალისტურ დაგროვების, კაპიტალიზმის განვითარების დონეზე, მართლაც, წარმოვიდგინოთ არა კაპიტალისტური, გლეხური მეურნეობა, რომელსაც მოჰყავს სხვათა შორის ბამბა ან სელი, რაც დასამუშავებლად უნდა გადავიდეს საქსოვ-სართავ წარმოებაში (მე-II განყოფა). გლეხური მეურნეობა აღებული ფულით ყიდულობს ამ მრეწველობის ნამუშევარს ან პირველი განყოფის ნაკეთებს. კითხვა იბადება: გამოიცვლება რამე თუ არა, რომ ბამბა ან სელი გლეხური მეურნეობის პროდუქტები კი არ იყოს, არამედ კაპიტალისტური სასოფლო მეურნეობისა? რასაკვირველია არაფერი. იგივე შეიძლება ითქვას კაპიტალისტური მეტროპოლიისა და კოლონიების შესახებ. კაპიტალისტი ხელში იგდებს კოლონიებს **მხოლოდ იმიტომ, რომ იხ აქ ჰპოებს იაფ მუშა ხელს და ნედლ მასალას, მაშასადამე, მეტ მოგებას ეძებს.** კაპიტალისტი გლეხებისავან პროდუქტებს ყიდულობს იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე ღირს და თავის პროდუქტებს კი იმაზე მეტ ფასად ჰყიდის, ვიდრე ღირს, ისე რომ, თუ მაინცა და მაინც რაიმე „სიძნელე“ ჩნდება რ. ლიუქსემბურგის მიხედვით, მხოლოდ და მხოლოდ აქ ჩნდება,—იმ აზრით, რომ კაპიტალისტმა იმაზე მეტი აიღო, რაც „ეკუთვნოდა.“ საჯ წაიღებს კაპიტალისტი ამ არანორმალურად მიღებულ მოგებას, თუ კი ის თავის წარმოებაში შექმნილის ზედმეტ ღირებულებას ძლივ-ძლივობით უძღვება? ის ალბად განძსაცით შეინახავს მას? მაგრამ რ. ლუქსემბურგს ამ შემთხვევაში **კაპიტალის დაგროვებად ფულის კაპიტალის (Денежный капитал) დაგროვება მიაჩნია.** ეს ასეც არის, მაგრამ აი ეს ადგილიც; „ეს ამ შემთხვევაში იქნება **არა კაპიტალისტური დაგროვება,**

ე. ი. არა ფულის კაპიტალის დაგროვება, არამედ სულ სხვა რამ, საქონლის წარმოება წარმოებისათვის, მაშასადამე კაპიტალის თვალსაზრისით სრული უაზრობაა“ (იხ. გვ. 555).

ჩვენი მიზნისათვის, მგონია, ესეც საკმაო უნდა იყოს და ამიტომ ჩვენ გვერდს უხვევთ შემდეგ საკითხებს: ა) ბრუნვის საშუალებათა,—ფულის როლის საკითხს და ბ) ბაზრებისა და კრიზისების თეორიის საკითხს. ჩვენთვის მნიშვნელობა ჰქონდა გამოგვერკვია რ. ლიუქსემბურგის მეთოდოლოგიური წინააღმდეგობა იმპერიალიზმის ეკონომიურად ახსნისა, რომელიც „წარმოადგენს... **დაგროვების სპეციალურ მეთოდს.**“ მაშასადამე, იმპერიალიზმი კაპიტალის მუდმივი თანამგზავრია, იმპერიალიზმის გარეშე კაპიტალის ვერავითარი დაგროვება ვერ მოხერხდებოდა. ამ თვალსაზრისს რომ ვადგეთ, ჩვენ ფატალურად გვერთმევა საშუალება თანამედროვე კაპიტალიზმის სპეციფიური ხასიათი გავიგოთ. მაგრამ ეს გარემოება რ. ლიუქსემბურგს არ აფერხებს. ის ამბობს: **„იმპერიალიზმი წარმოადგენს კაპიტალის დაგროვების პროცესის პოლიტიკურ გამოხატულებას მისი საკონკურენციო ბრძოლის დროს, ეს ბრძოლა სწარმოებს არაკაპიტალისტურ მსოფლიო წრის ნაწილებისათვის, რომლებზეც ჯერ არავინ არ დაუფლებია!“** (გვ. 465). ამგვარად, წვრილი ვლეხური მეურნეობა საფუძველს წარმოადგენს დაგროვებისათვის, კაპიტალი ცდილობს დაეპატრონოს მას; ეს ექსპანსიონური პოლიტიკა არის სწორედ იმპერიალიზმი. ვიდრე მთელი მსოფლიოს სასოფლო მეურნეობა კაპიტალისტური არ შეიქნება, მანამდე იმპერიალიზმი მისი მუდმივი თანამგზავრი იქნება. კაპიტალისტური წარმოების საზღვარი იქ არის გავლებული, სადაც უკვე მიღწეულია წმინდა კაპიტალიზმი. „იმპერიალიზმი კაპიტალის არსებობის განგრძობისათვის ისტორიულ მეთოდს წარმოადგენს.“ (გვ. 466). ხოლო რადგანაც დედამიწის ზურგის კუთხეთა უმრავლესობა ჯერ კაპიტალისტური არ არის, ამიტომ ჩვენ უნდა უცადოთ მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას იმაზე მეტ ხანს, რამდენი წლისაც არის დაბადებიდან თვით კაპიტალიზმი. ბერნშტეინი ხომ ამტკიცებდა, რომ სოციალიზმი, რომელიც მას არა სწამდა, ხუთასი წლის შემდეგ დადგებაო... მაგრამ რ. ლიუქსემბურგი, რასაკვირველია, ამ აზრს არ იზიარებს: იმპერიალიზმი... „ამავე დროს საუკეთესო საშუალებაა, რომ კაპიტალმა უმოკლესი გზით იაროს და მის არსებობას ობექტიური საზღვარი დაედოს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს საზღვარი უეჭველად მიღწეული უნდა იყოს. უკვე თვით კაპიტალისტური განვითარების ტენდენცია ამ საბოლოო მიზნისაკენ ისეთ ფორმებში იჩენს თავს, რომელნიც კაპიტალიზმის დამასკვნელ ფაზას კატასტროფათა პერიოდად აქცევენ.“ (გვ. 466).

„კაპიტალისტური განვითარების ტენდენციაზე“ მითითება კაპიტალიზმის იმ სტადიის ანალიზის გარეშე, რომელსაც კაპიტალიზმმა ამ საუკუნის დამდეგს მიაღწია, მხოლოდ უსაფუძვლო ლაპარაკია. ყოველ შემთხვევაში ამ საკითხის შესახებ რ. ლიუქსემბურგისაგან აქამდის არაფერი ვიცით. ამ მხრით მეტის-მეტად დამახასიათებელია, რომ 477 გვ. შენიშვნაში ის ამბობს: „ამ შრომის ფარგლებში არ არის მოქცეული განხილვა კარტელებისა და ტრესტებისა, როგორც

იმპერიალისტური ფაზის სპეციფიური მოვლენისა შინაური ხაკონკურენციო ბრძოლის ნიადაგზე, რომელიც სწარმოებს სხვადასხვა კაპიტალისტურ ჯგუფებს შორის დაგრიცების არსებულ დარგთა მონოპოლიისათვის და მოუბის განაწილებისათვის". მონოპოლისტური კავშირების რაობა ამ ციტატის მიხედვით სპეციფიურად ლიუქსემბურგულია,—მაგრამ ჩვენ ამაზე არ შევჩერდებით. ყურადსაღები ის არის, რომ რ. ლიუქსემბურგი იმპერიალიზმის ეკონომიურად ახსნის დროს მხედველობიდან უშვებს თანამედროვეობის ამ ბუმბერაზულ ფაქტორს, რომელიც მსოფლიოს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობს. ამგვარად, ავტორი არაფერს გვეუბნება ისეთს, რომ ავვიხსნას კაპიტალიზმის დამხობის აუცილებლობა. მისი ახსნა კაპიტალიზმის დამხობის ეკონომიური აუცილებლობა კი არ არის, არამედ მორალური ალშფოთებაა იმპერიალიზმის წინააღმდეგ და სუბექტიური სურვილია, რომ რაც შეიძლება მალე მოისპოს წარმოების კაპიტალისტური წესი. მაგრამ ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდეთ, ახლა კი მოვიყვანოთ რ. ლიუქსემბურგის ყველაზე უფრო სრული განსაზღვრა იმპერიალიზმისა. ეს განსაზღვრა ამბობს: „...იმპერიალიზმის... რაობა... მდგომარეობს კაპიტალის ბატონობის გავრცელებაში ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებიდან ახალ ქვეყნებში და კაპიტალისტურ ქვეყნების სამეურნეო და პოლიტიკურ საკონკურენციო ბრძოლაში ამ ახალ ქვეყნებისათვის" (გვ. 561). საოცარია, რომ ასე უდგება ერთმანეთს უკიდურესობანი. ობერ-ოპორტუნისტი და რევიზიონისტი კაუტსკიც ასე განსაზღვრავს იმპერიალიზმს: „იმპერიალიზმი უმაღლესად განვითარებულ ინდუსტრიალურ კაპიტალიზმის ნაყოფს წარმოადგენს. იგი გამოიხატება ყოველ ინდუსტიალურ კაპიტალისტურ ერის მისწრაფებაში, რომ დაიქვემდებაროს და თავის შემადგენლობაში შეიყვანოს აგრარული მხარე. რაც უფრო დიდია იგი, მით უკეთესი—მიუხედავად მისი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისა."—იმპერიალიზმი რომ ასე გავიგოთ, მაშინ ვერა გზით ვერ ავხსნით, მაგალითად, ინგლისისა და გერმანიის ბრძოლას სავაჭრო ფლოტის მოსასპობად, ბრძოლას სწორედ კაპიტალისტურად განვითარებულ ოლქებისათვის (მაგ. ამერიკის მიერ დაპყრობა გერმანიისა) და სხვა და სხვ. ყველაფერი ეს ამგვარი თეორიის მიხედვით იმპერიალიზმი არა ყოფილა. ბოლოს, უკანასკნელ ომს იმპერიალისტურს ვერ ვუწოდებთ, რადგან „იმპერიალიზმი... არის... ბრძოლა არა კაპიტალისტურ მსოფლიო სფეროს ნაშთებისათვის, რომლებსაც ჯერ არავინ დაუფლებია" (გვ. 465). მაშინ როდესაც იმპერიალისტური ომის ერთი მამოძრავებელი მოტივთაგანი იყო სწორედ ბრძოლა უკვე დაპყრობილ მიწა-წყლის ხელახალი დაყოფისათვის.

მაშ რა შეადგენს კაპიტალიზმის უკანასკნელ სტადიისათვის სპეციფიურს, მის დამახასიათებელ თვისებას? ლენინის მიხედვით **მონოპოლიების** კაპიტალიზმის **დახავსება**. აქედან გამომდინარეობს ის, რომ **კაპიტალიზმის შემდგომი განვითარება შეუძლებელია**, რომ **კაპიტალისტები უნარს არიან მოკლებულნი** და არ არიან დაინტერესებულნი, რათა განვითარდეს საწარმოო ძალები, აქედან ვე გამომდინარეობს **მშრომელთა გალატაკება და ჩაგვრა**; ხოლო, როგორც შედეგი ეკონომიური შეუძლებლობისა და სოციალური უქმა-

ყოფილების გადახლართვისა—კაპიტალიზმის დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, რაც გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს კლასო საზოგადოების შესაქმნელად. ამით ლენინი გვიჩვენებს იმპერიალიზმს—მონოპოლისტური კაპიტალიზმის, კაპიტალისტური წარმოების უკანასკნელი საფეხურის ისტორიულ ადგილ-მნიშვნელობას. რ. ლიუქსემბურგი რაღას სჩადის? იმპერიალიზმი კაპიტალის დაგროვების უბრალო სპეციფიური მეთოდიაო, რომელიც კაპიტალიზმის განვითარების ყველა პერიოდის დამახასიათებელია. ამიტომ, კაპიტალიზმის არსებობა შესაძლებელია იმ დრომდის, ვიდრე არა კაპიტალისტური წრე-გარემო არსებობს. რაც შეეხება კაპიტალიზმის დამხობას ამ საზღვრის მიღწევამდის, ეს მოხდება არა როგორც ეკონომიური აუცილებლობა, არამედ იგი შედეგი იქნება პროლეტარიატის აჯანყებისა. რ. ლიუქსემბურგი სრულიად უსაფუძვლოდ სპეკულიაციას ეწევა იმაზე, რომ თუ შესაძლებელია ზელირებულების რეალიზაცია წმინდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ამით, ვითომც, კაპიტალის ბატონობას საზღვარი არ ჰქონდეს. აქ ერთხელ კიდევ აშკარა ხდება ის, რომ რ. ლიუქსემბურგმა ვერ გაიგო მარქსის აბსტრაქტული მეთოდი, ვინაიდან ურთიერთობა კაპიტალისტურ და არა კაპიტალისტურ წრეს შორის კონკრეტული მოვლენაა, რომელსაც ვერაგზით ვერ გავიგებთ, თუ არ შევითვისებთ აბსტრაქტულ მეთოდს. „მარქსის მიხედვითაო, ამბობს რ. ლიუქსემბურგი, მუშათა აჯანყება, მათი კლასობრივი ბრძოლა (ეს ბრძოლაა თავდები აჯანყებისა გამარჯვებისა) სოციალიზმის ობექტიურ ისტორიულ აუცილებლობის მხოლოდ იდეოლოგიურ ანარეკლს წარმოადგენს; ეს აუცილებლობა გამომდინარეობს კაპიტალიზმის ობექტიურ სამეურნეო შეუძლებლობიდან მისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე“ (გვ. 576). კეთილი,—მაგრამ თვით რ. ლიუქსემბურგმა რაღა ქნა? მისი გაგებით პროლეტარიატის აჯანყება „კაპიტალიზმის ობექტიური შეუძლებლობის“ შედეგი კი არაა, რადგან მისივე თეორიით, ასეთი შესაძლებლობა კიდევ არსებობს, არაკაპიტალისტური წრე გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე კაპიტალისტური, მაშასადამე, პროლეტარიატის აჯანყება რაღაც შემთხვევითი მოვლენაა. მართლაც: „ამ პროცესის საყოველთაო ტენდენციას და საბოლოო შედეგს კაპიტალისტური წარმოების განსაკუთრებული მსოფლიო ბატონობა წარმოადგენს. ეს მდგომარეობა თუ მიღწეულია, მაშინ ძალაში შედის მარქსის სქემა: დაგროვება, ე. ი. კაპიტალის შემდგომი ექსპანსია (?) შეუძლებელი ხდება, კაპიტალიზმი ჩიხში დგება, იგი ველარ იმოქმედებს როგორც საწარმოო ძალთა განვითარების ისტორიული მამოძრავებელი, ის თავის ეკონომიურ საზღვარს აღწევს“. (გვ. 662). ამ თვალსაზრისით რუსეთის პროლეტარული რევოლუცია სრულიად გაუგებარი ხდება, შემთხვევითი მოვლენის ხასიათს იღებს. აქ რ. ლიუქსემბურგი ოპორტუნისტების ანკესზე ეგება. ამგვარად ამხ. რ. ლიუქსემბურგის იმპერიალიზმის თეორია სინამდვილეში აშკარად გამოუსადეგარი გამოდგა. ამხ. ლიუქსემბურგი თავის შრომის მეორე ნაწილის ბოლოში ცდილობს ჩირქი მოსცხოს წარმოების გაფართოებულ განახლების მარქსის აბსტრაქტულ თეორიას: ვითომც ამ თეორიას მოსდევდეს ბლოკი ბურჟუაზიასთან, მასთან შეთანხმება, რათა დარწმუნდეს ბურჟუაზია, რომ იმპერიალიზმი

საჭირო არაა,—ერთი სიტყვით ეს თეორია იწვევს გამცემლობასაო. მაგრამ, როგორც ყველამ იცის, მეორე ინტერნაციონალის ბელადთა [illegible] მარქსის თეორია სრულებით არაფერ შუაშია. ლენინს მარქსის [illegible] არ გაურუყვია; პირიქით, ლენინი მათ იცავდა ნაროდნიკების წინააღმდეგ, რომელთა თვალსაზრისს როზაც დაადგა ,,მესამე პირთა'' როლის შესახებ,—მაგრამ ლენინმა შეჰქმნა იმპერიალიზმის საკუთარი, ერთად ერთი სწორი თეორია.

ასეთი შეცდომები ჩაიდინა რ. ლიუქსემბურგმა კაპიტალის დაგროვების მარქსისტული თეორიის რევიზიის დროს. მის თეორეტიულ შეცდომებიდან გამომდინარეობს სხვა შეცდომებიც უმთავრესად შემდეგ საკითხებში: პარტიის როლის, საკოლონიო და ეროვნულ საკითხებში; გლეხთა საკითხში და სხვ.

თუ სოციალისტური რევოლიუცია პროლეტარიატის **სტიქიური აჯანყების** შედეგს წარმოადგენს, მაშინ სრულიად ცხადია, რომ არაარად იქცევა როლი პარტიისა, როგორც ორგანიზაციამქნელ ძალისა, როგორც კლასის ავანგარდისა, მისი საუკეთესო ნაწილისა. ჩვენ წინდაწინვე ვერ გვეცოდინება, თუ როდის იფეთქებს ეს სტიქიური აჯანყება, ვერ გვეცოდინება სწორედ იმიტომ, რომ ის სტიქიურია, სადაც აღგილი არა აქვს ხელმძღვანელობას.

რაც შეეხება საკოლონიო, ეროვნულსა და გლეხთა საკითხებს, რ. ლიუქსემბურგის აზრით ისინი თვალსაჩინო საკითხები არ არიან და საერთოდ არაფერი მნიშვნელობა არა აქვთ. ნამდვილათ კი ჩვენ ვიცით, რომ თუ სწორედ არ იქნებიან ეს საკითხები გადაწყვეტილნი, თუ არ მივიზიდავთ ჩვენს მხარეზე გლეხთა ფართო ფენებს (ღარიბებს), დაჩაგრულ პატარა ერებსა და კოლონიებს, პროლეტარული რევოლუცია ვერ მოხერხდება. ღარიბი გლეხები, პატარა ერები და კოლონიები პროლეტარიატის მოკავშირენი არიან და თუ მათ ხელსა ვკრავთ, არაფერ მნიშვნელობას არ მივაწერთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალისტური რევოლიუცია უნდა დავლუპოთ.

პროლეტარული რევოლუციის საკითხთა ლენინისებურად გაგების გზა მიიმართება ლიუქსენბურგიანობის დაძლევის გეზით. სწორედ ამიტომ დაისვა რ. ლიუქსემბურგის თეორიისადმი კომინტერნის დამოკიდებულების საკითხი III-IV და V კონგრესებზე კ. ი. პროგრამის განხილვის დროს.

ბიბლიოგრაფია

ვოლტ უიტმან. რჩეული პოემები.

თარგმანი კ. გამსახურდიასი. ტფილისი, 1926 წ. ს. ს ს. რ. სახელგამი 91 გვ. ტირ. 2.000.

ამერიკის პოეზიამ დღემდის შეინახა ორი დიდი პოეტის სახელი. ესენი არიან: ედგარ პო და უიტმანი. ამ პოეტებმა თავის შემოქმედებით გამოაჩინეს პოეზიის ორი სხვადასხვა პოლიუსი. ედგარ პო—ბრწყინვალე პოეტი, დასავლეთის სიმბოლიზმის მამათმთავარი. უიტმანი—მებრძოლი პოეტი, მომავალი დემოკრატიის მოციქული. შემდეგში ამერიკის პოეზია par excellence წავიდა ამ ორი პოეტის გზით.

უიტმანის ლექსების პირველი ტომი—„Blade of grass" („ბალახის ფოთოლი") გამოვიდა 61 წლის წინად. მკითხველთა ფართე მასისთვის ეს წიგნი მაშინ შეუმჩნეველი დარჩა. მხოლოდ ამერიკის ცენზურას არ გამოპარვია მისი გამოსვლა და ერთხელ კიდეც აკრძალა იგი „გარყვნილების ქადაგებისთვის". გავიდა ხანი. მოვიდენ იმპერიალისტური ომის სისხლიანი წლები. დეკადენტური პოეზია დაშრა, როგორც აშმორებული ჭაობი. ოთხი წლის სისხლის ღვრამ კაცობრიობას ისევ მოაწყურა ჯანსაღი პოეზია, ოპტიმიზმი. დასავლეთის პოეზიის ჰორიზონტზე ხელახლა გამოჩნდა უიტმანი. მისი ხმა გაისმა როლანდის საყვირივით:

„მე თქვენ გახარებთ გამარჯვებას სამართალისას,
მე თქვენ გახარებთ ერთობას და თავისუფლებას.
...მე ვარ ახალი ძლიერი რასსის მახარობელი.

უიტმანის შემოქმედებაში პოეზია პირველად დაუბრუნდა მიწას. ერთერთს თავის საუკეთესო ლექსში: „მომეცით მდუმარე, ვარვარა მზე"—პოეტი უმღერის მიწის შვენიერებას, გაფოთლილ მცენარეებს, ცხოველებს,—ადამიანის სხეულს.

...„მომეცით ნაყოფი მწიფე და წითელი
რთველში რომ ამშვენებს ხეხილის ბაღებს.
...მომეცით ხე და მტევანის სქელი ჯიქანი!
ჰოი, ბუნებავ მენატრება მე სიტკბოება
ისევე შენი ქალწულებრივი
რადგან მომბეზრდა მოუსვენრობა, ომი და ბრძოლა"! (გვ. 84.)

პოეტი თრთოლვით იგონებს მისსოურის მოჩუხჩუხე წყალს, ნიაგარას ძლიერს, „ბალებს—კამეჩის ჯოგით დაფენილს." უმეტეს ლექსებში უიტმანი ადიდებს თავისუფლებას, ერთობას, პროგრესს, ცივილიზაციას. მაგრამ ეს ცივილიზაცია თუ პროგრესი უნდა შეიცავდეს მორალურ ღირებულებასაც. უამისოთ იგი არაფერია.

უიტმანის იდეალია დამოუკიდებელი, ბუნების მოყვარული თავისუფალი ადამიანი. მისი ლექსები: „ოცდა რვა ახალგაზრდა ბანაობს," „შიშველი დედაკაცი სცურავს"—არიან ხორციელობის შეუდარებელი აპოლოგია. „ყველა დროში და ყველა ხალხში წმინდათა წმინდა თუ სადმე არის ამ ქვეყანაზე—ადამიანის სხეულია წმინდათა წმინდა! („ვის უნდა ტანი ამ მამაკაცის"?)

ბუნების გაგებით უიტმანი პანთეისტია. აქ იგი უახლოვდება რუსეთის პოეზიაში ტიუტჩევს—ლექსები: („По дороге во Вщиж," „Что ты клонишь над водами ива макушку свою?") და ქართულში—ვაჟას (სიმღერა: „სოფლისა წესი ასეა".) უიტმანის აზრით ყო-

ველივე ამ ქვეყნად მოდიფიკაცია მარადიულის. („მკითხავდა ბავში რაა ბალახი?"). „სიგრძეზე, განზე იწევს სამყარო, არა რა ჰქრება ქამით ჟამამდის."

სოფლის ბუნების პარალელურად უიტმანს იზიდავს ქალაქიც. ზევით დასახელებულ ლექსში: „მომეცით მდუმარე, ვარვარა მზე",—სადაც მოკლემულია მისი credo,—უიტმანი ამბობს:

„მაგრამ ქალაქი მაინც მიყვარს,
ჩემი ქალაქი
ის ასაზრდოებს სახეებით ჩემ
სულს დამშეულს."

ამ ლექსის მეორე ნაწილში უიტმანი იგონებს ფანტასტიურ ბროუდვეის— ელექტროს გიგანტიური ფარნებით და მილიონი ფეხის თქარუნით.

უიტმანის ლექსების ფორმა საესებით შეეფერება მის შინაარსს. აქ პირველად იქნა გადალახული კლასიკური ლექსის ზომა. უიტმანის თქმა მარცვლოვანია, თავისუფალი ტრადიციული ლექსის კანონებისაგან.

თანამედროვე ამერიკის პოეზიაში უიტმანის ძლიერ გავლენას განიცდის ნიჭიერი ნეგრი პოეტი კლოდ—მაკკეი. მისი „მოწოდება" და „ბროუდვეიზე" დაწერილია უიტმანის უშუალო გავლენით.

რაც შეეხება თარგმანს—უნდა ითქვას, რომ თარგმანი შესრულებულია ბრწყინვალეთ. შესავალი წერილიც სათანადო ერუდიციით არის დაწერილი. არ ვარგა ყდის წარწერა.

ვ. გორგაძე.

ბაჭუა კუპრაშვილი: „ამბაკო სამანაშვილი" (მოთხრობა)

საქართველოს სახელგამი. 1926.

ბაჭუა კუპრაშვილის დასახელებული მოთხრობა წარმოადგენს ერთ-ერთ წიგნს იმ სერიიდან, რომელიც საქართვ. სახელგამმა 1905 წ. რევოლიუციიდან 20 წლის შესრულების გამო გამოსცა.

ამ მოთხრობის წამკითხველი დარწმუნდება იმაში, რომ სახელგამი თავის არჩევანში არ შემცდარა. კუპრაშვილის მოთხრობა მშვენიერია. ის გამართულია არამც თუ შინაარსისა და იდეოლოგიის მხრივ, არამედ ის მოსაწონია წმიდა მხატვრული მოთხოვნილების მიხედვითაც. კუპრაშვილის ეს პირველი დაბეჭდილი მოთხრობაა და ამიტომ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მის ავტორს ხელთ უკავია კალამი და ეხერხება ლიტერატურული გამოთქმები. აქა-იქ მსჯელობა და აღწერა თუმცალა სჭარბობს, მაგრამ წმიდა მხატვრული სურათებითაც არ არის ეს ნაწარმოები ღარიბი. არც ერთი გამოცდილი მწერალი უარს არ იტყოდა ამ მოთხრობის ქვეშ თავის სახელი და გვარი მოეწერა. არც ერთი ზედმეტი ამბავი და არც ერთი ყალბი ტენდენცია აქ არ შეგხვდებათ და სადაც ავტორს ტენდენციურობა სჭირდება, ეს გამოწვეულია რევოლიუციონერის უფლებების მხატვრული საშუალებით გამართლების მიზნით.

ეს მოთხრობა დაწერილია ერთგვარი ცეცხლით. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ავტორი გვიმხელს მის სიმპატიებს რევოლიუციისადმი.—ეს ბუნებრივია ბ. კუპრაშვილისათვის, რომელიც ნამდვილ ამბაკო სამანაშვილთან ერთად იდგა პირველი რევოლიუციის მებრძოლთა რიგებში.

მოთხრობის შინაარსი მარტივია. აქ მოცემულია სურათი იმერელი გლეხის უმწეო ცხოვრებისა მე-19 საუკუნის უკანასკნელ წლებში. გლეხის შვილი ამბაკო ბატონიდან და მთავრობის ჯალათებიდან შეწუხებული სტო-

ვებს სამშობლო კერას და ტყიბულის მაღაროს მუშების რიგში იჭერს ადგილს. აქ ეცნობა ის რევოლიუციონურ მოძრაობას და მალე ხდება პირველ ხარისხოვანი რევოლიუციონერი—მებრძოლი. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ის კიდევ ბრძოლას განაგრძობს, მაგრამ მოღალატის წყალობით ხელში უვარდება პოლიციის ჯალათებს. მიუსჯიენ სიკვდილის დასჯას, მაგრამ არც მის ამხანაგებს სძინავს. როდესაც „მეფისა და მართმსაჯულობის სახელით“ მოსამართლე მას ჯალათის ლუკმათ აცხადებს, ამ დროს გავარდება სამანაშვილის რევოლვერი (რომელიც რამდენიმე წუთის წინ მას ამხანაგებმა გადასცეს). სამანაშვილი გაიქცევა. ჟანდარმერია ხახა დაღებული რჩება.

უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი სურათი მშვენივრად არის შესრულებული, მკითხველს რომანტიული ფილის ტანში, როცა ის ამ [illegible] და თან აღმაღფრთოვანებელ სურათის მოახლოებას გრძნობს. ყველაფერი ცოცხლად და ბუნებრივად არის დახატული.

სამანაშვილი 1905 წლის საქართველოს რევოლიუციონური თავგანწირულობის სრული სურათია, სიცოცხლით და სინამდვილით სავსე.

ჩვენ ყველას ვურჩევთ ამ მოთხრობის წაკითხვას. ის აქ მეტს დაინახავს და მეტს განიცდის, ვიდრე ზოგიერთი ნაადრევად დაწერილი ისტორიიდან. თვით ავტორმა კი თავისი კალამი ხელ-ახლა უნდა სცადოს რევოლიუციის გმირების დასახატავად. „ამბაკო სამანაშვილი“ თავდებია იმისა, რომ ეს ცდა ჯეროვან ნაყოფს გამოიღებს..

სარედაქციო კოლეგია: ვ. ბახტაძე. ნ. კახიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა. გვერ.

საქართველო.

1. მიხეილ ჯავახიშვილი—არსენა მარაბდელი 5
2. ალიო მაშაშვილი—გადახრა მთეარისაკენ. 24
3. დ. სულიაშვილი—ლიხელი—ბეორე დღეს 27
4. კონ. ლორთქიფანიძე—ტერორისტი 33
5. „ „ —უცხოეთში 35
6. ს. კახრაძე—ქალაქის კუჭი 37
7. ვ. ქურუელი—გულობოლი 57
8. ვ. მალაქიაშვილი—სამნი (გაგრძელება) 59
9. პ. გელეიშვილი—ილ. ჭავჭავაძის „აჩრდილის“ ახალი ავტოგრაფი 95
10. ილ. ჭავჭავაძე—აჩრდილი 105

დასავლეთი.

11. უპტონ სინკლერი—მეფე ნაბშირი. (გაგრძელ.) თარგ. კ. ჯაჭინაძისა 127

კრიტიკა, მხატვრობა და პუბლიცისტიკა.

12. ფილიპე მახარაძე—საქართველო მეცხრამეტე საუკ. (გაგრძელება) 183
13. პროფ. შალვა ნუცუბიძე—შპენგლერიდან კაიზერლინგამდე . . 214
14. ა. ჭელიძე—წერილები სპარსეთიდან (გაგრძელება) 223
15. გ. დევდარიანი—კაპიტალის დაგროვებისა და იმპერიალიზმის თეორია რ. ლიუქსემბურგისა 234

ბიბლიოგრაფია.

16. ვ. გორგაძე.—ვოლტ უიტმანი (თარგმ. კ. გამსახურდიასი) . 245
17. ბაჭუა კუპრაშვილი: „ამბავი სამანაშვილი 246